

K 191 265  
3



ISSN 0207-1304

ქ ა ნ თ უ ლ ი  
სიტყვის კულტურის  
საკითხები

წიგნი  
პეპესე

«მეცნიერება»

ქ ა რ თ უ ლ ი  
სიტყვის კულტურის  
საკითხები

წიგნი  
მეექვსე

ედგუნება ივანე გიგინეიშვილის  
ხსოვხას

499.962.1-1 + 499.962.1-3 + 499.962.1-318  
+ 499.962.1-5 + 499.962.1-6



4  
2 598

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მე-  
ექვსე წიგნში იბეჭდება წერილები ქართული ენის  
გრამატიკისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, მართლ-  
წერისა და სტილისტიკის იმ საკითხების შესახებ,  
რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თანა-  
მედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმე-  
ბის შემუშავებისა და მათი დანერგვა-დაცვის თვალ-  
საზრისით.

*K 19/265*

სარედაქციო კოლეგია:

უშპია აფრიდონიძე (მთ. რედაქტორი), თამარ ზურაბიშვილი,  
ანა კალანდანიძე, ლია ლეჟავა (მდივანი), ამთევან ლომთათიძე,  
როგინდა ლამბაშიძე, არნოლდ ჩიქოვაძე, მიხეილ შავაშვილი

სკვპ-2000  
შეგროვებულია

4602000000  
M 607(06)-84

104-84 ©

საქართველოს სსრ სსრ  
საბჭოთავო  
რესპუბლიკაში  
შეგროვებულია  
„საბჭოთავო“ 1984



## წინასიტყვაობა

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეექვსე წიგნში ტრადიციულად ქვეყნდება წერილები ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, მართლწერისა და სტილისტიკის იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება, ერთი მხრივ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირება-ნორმალიზაციისა და, მეორე მხრივ, მისი გამდიდრება-დახვეწის საქმეს.

ამით კრებულის წინამდებარე წიგნი აღრინდელთაგან არ განსხვავდება.

მაგრამ კრებულის მეექვსე წიგნი ერთი ნიშნითაა განსხვავებული: მის შედგენა-რედაქტირებაში მონაწილეობა აღარ მიუღია კრებულის დამაარსებელსა და მის უცვლელ რედაქტორს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს, გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერს ივანე გიგინეიშვილს.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეექვსე წიგნის მონაწილე ავტორთა კოლექტივი თავის შრომას ივანე გიგინეიშვილის ხსოვნას უძღვნის — უძღვნის მაღლიერებითა და გულისტკივილით...

კრებულის საგანგებო დანიშნულება სხვა მხრივაც დაეტყო წიგნის აღნაგობასა და შინაარსს: გაიზარდა სტატიების ავტორთა რიცხვი; კრებული აერთიანებს ენათმეცნიერთა სხვადასხვა თაობას — ივ. გიგინეიშვილის მასწავლებლიდან და უახლოესი კოლეგებიდან მოკიდებული, ვიდრე ბოლო ხანების მოწაფეებამდე, რომელთაც ამჟამად საერთო მიზანი და მოვალეობა აკავშირებთ; შესაბამისად გამდიდრდა კრებულის თემატიკაც.

წიგნი იხსნება ლ. ლეჟავას სპეციალური წერილით, რომელშიც მიმოხილულია ივანე გიგინეიშვილის მეცნიერული ნაშრომები. კერძოდ, სტატიაში ჩამოყალიბებულია მეცნიერის კონცეფცია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების შესახებ და შეფასებულია ივ. გიგინეიშვილის დიდი ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და სიწმინდის დაცვის საქმეში.

აქვე იბეჭდება თვით ივ. გიგინეიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი



ნაშრომთაგანი, რომელშიც ახალი ქართული პოეზიის მდიდარი მასა-  
ლის ანალიზის საფუძველზე მოცემულია გრამატიკული და სტილის-  
ტიკური დახასიათება მართული მსაზღვრელის ინვერსიისა.

ხალხური და სალიტერატურო ენის ურთიერთობისა და მწერლის  
როლის ზოგად საკითხებს ეხება არნ. ჩიქობავას სტატია „ხალხი, ენა,  
მწერალი“.

ცოცხალ ქართულ კილოებში დადასტურებული რამდენიმე სიტყ-  
ვის მაგალითზე ქ. ლომთათიძისა და ე. კოშორიძის წერილებში გარ-  
კვეთლია დიალექტური ლექსიკის, როგორც აქტიური ენობრივი რე-  
ზერვის, ადგილი სალიტერატურო ენაში.

რამდენიმე სტატია ეძღვნება ქართული ზმნის მორფოლოგიისა  
და სემანტიკის მნიშვნელოვან საკითხებს. ა. პაპიძე განიხილავს აწმ-  
ყოს კავშირებითის ძირითად ფუნქციებს კავშირებითი კილოს სხვა  
ნაკვეთებთან მიმართებაში; გ. გოგოლაშვილის სტატია ეხება მეორე  
კავშირებითის ფორმათა წარმოების საკითხს სალიტერატურო ენის  
ნორმის თვალსაზრისით, ხოლო თ. ღვინაძის წერილში საუბარია ვნე-  
ბითის ფორმათა წარმოების თავისებურებებისა და სემანტიკური და-  
ტვირთულობის შესახებ. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ენის მაგალით-  
ზე ნაჩვენებია მხატვრული ლიტერატურის მდიდარი ენობრივი შესაძ-  
ლებლობები ვნებითის ფორმათა სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსით  
გამოყენებისა.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიტყვაწარმოების სა-  
კითხებს. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოცილე  
ფორმების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მორფოლოგიაში  
სწორედ სიტყვაწარმოებითი აფიქსებია. ამ მხრივ გამოსაყოფია რამ-  
დენიმე ნაშრომი: პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ერთ  
საკითხს ეხება რ. ლამბაშიძე; ე-ზე დამთავრებულ გეოგრაფიულ სა-  
ხელთაგან ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა წარმოებისა  
და მათი მართლწერის საკითხებია განხილული ვ. შენგელიას წე-  
რილში, ხოლო მ. შინჯიაშვილის ნაშრომში ყურადღება გამახვილებუ-  
ლია ნაზმნარი სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილთაგან სხვა-  
დასხვა აფიქსით ნაწარმოებ განყენებული შინაარსის სახელებზე.

ასევე რამდენიმე წერილი ეძღვნება უარყოფითობის შინაარსისა  
და წარმოების საკითხებს. ბ. ჯორბენაძის ვრცელ ნაშრომში აღწერილი  
და კლასიფიცირებულია უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსა-  
ხეობანი და დახასიათებულია ისინი ენაში მათი ფუნქციონირების  
თვალსაზრისით. სიტყვის ფარგლებში უარყოფითი ნაწილაკის არ-/არა-  
ვარიანტების განაწილებას ეხება ლ. გელენიძე, ხოლო თხზული უარ-

ყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოების სა-  
კითხი განხილულია მ. სუხიშვილის სტატიაში.

ა. კიზირია თავის წერილში განიხილავს ფუძის რედუპლიკაციას,  
როგორც წინადადების მეორეხარისხოვან წევრთა (განსაზღვრების,  
გარემოების) გაფორმების საშუალებას.

ბ. ზურაბიშვილის სტატიით „სიტყვა და შესიტყვება“ კრებული  
კვლავ უბრუნდება სიტყვის მნიშვნელობის საკითხს კონტექსტური  
გამოყენების თვალსაზრისით. წერილში წარმოჩენილია სინონიმური  
მნიშვნელობის ზმნისართების (წყალობით, მეოხებით, შემწეობით)  
სტილისტიკური ნიუანსები.

შ. აფრიდონიძის წერილში გაანალიზებულია თანდებულებად გა-  
მოყენებული ანტონიმური ზმნისართების (წინ, უკან) სინონიმიზაციის  
შემთხვევები და შეფასებულია ისინი სალიტერატურო ენის ნორმის  
თვალსაზრისით.

რამდენიმე მიმღეობიანი კონსტრუქციის ხმარების თავისებურე-  
ბები და სტილისტიკური ნიუანსები განხილულია ნ. ცქიტიშვილის ნა-  
შრომში.

აღ. კობახიძის სტატიაში შესწავლილია სხვადასხვა ბრუნვის ფორ-  
მით წარმოდგენილი ფიცის ფორმულები და გამოვლენილია მათი სე-  
მანტიკური განაწილების კანონზომიერებანი.

კრებულში მოთავსებული ორი სტატია ქართული ენის ლექსიკის  
ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხებს ეძღვნება. ერთი მათგანი —  
ნ. ჭოხონელიძისა — შეიცავს ბგერითი შედგენილობითა და მნიშვნე-  
ლობით მსგავსი ფუძეების (ფანჩ-, ფანტ-, პანტ-) ისტორიულ ანა-  
ლიზს, მეორე კი — აღ. ჭინჭარაულისა — ეულ სიტყვის ეტიმოლო-  
გიას.

პრესის ენის საფუძვლიან მიმოხილვას მიეძღვნა კრებულის მე-  
სამე წიგნი. მ. ჭაბაშვილი კვლავ უბრუნდება პრესაში (აგრეთვე, რა-  
დიო- და ტელეგადაცემებში) სალიტერატურო ენის ნორმათა დარ-  
ღვევის ცალკეულ საკითხებს და, ამასთანავე, მოჰყავს უკანასკნელ  
ხანებში ფეხმოკიდებულ და გავრცელებულ სტილისტიკურ შეუსაბა-  
მობათა რამდენიმე ნიმუში.

ენობრივ კონტაქტებთან დაკავშირებულ სიძნელეთა წარმოჩენისა  
და მათი დაძლევის თვალსაზრისით ცალკე გამოსაყოფია რამდენიმე  
წერილი.

ც. კალაძის სტატიაში განხილულია სახელითა და მამის სახელით  
მიმართვის ფორმები ქართულში — როგორც ზეპირმეტყველებასა და  
ორიგინალური ლიტერატურის ენაში, ისე მხატვრულ თარგმანში, და-



წასიათებულია მათი გამოყენების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები და მოცემულია სათანადო რეკომენდაციები.

მ. ოსაძის წერილში ყურადღება გამახვილებულია რუსული ენის შემაერთებელმოფიანი კომპოზიტების ქართულად გადმოცემის საშუალებებზე: ეს საკითხი წარმოადგენს რუსულის გზით შემოსულ თხზულ ტერმინთა ქართული მართლწერის ერთ-ერთ პრაქტიკულად მოსაგვარებელ საკითხს.

უცხოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის ერთ ასპექტს ეხება ლ. კაიშაურის წერილი. მასში, კერძოდ, განხილულია გერმანული ch გრაფემის ქართულად გადმოცემის საკითხი. გერმანული ფონოლოგიის თავისებურების, რაც მთავარია, ქართული ენის განვითარების შინაგანი კანონებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია ქართული ტრანსლიტერაციის სარეკომენდაციო ვარიანტი.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეექვსე წიგნის გამოცემით მის შემდგენ კოლექტივს ჩაფიქრებული ჰქონდა ალენიშნა ორი თარიღი: ათი წლისთავი თვით გამოცემათა ამ სერიის დაარსებისა და ოცდაათი წლისთავი იმ განყოფილების შექმნისა, რომლის ბეჭდურ ორგანოსაც წარმოადგენს ეს კრებული. ამ მოკრძალებული, მაგრამ განყოფილების თანამშრომელთათვის ძვირფასი თარიღის მოახლებით გამოწვეული სიხარული ამჟამად განელებულია: ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებას აღარა ჰყავს დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, კოლეგებს — კომპეტენტური, ამასთან, დაუზარელი მრჩეველი, ფაქიზი და გულითადი მეგობარი. ქართული მეცნიერების ეს დიდი დანაკლისი, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, ამ კრებულსაც დაეტყობა, თუმცა ცდა არ დაჰკლებია იმისათვის, რომ ღირსი ყოფილიყო მიძღვნის ადრესატის ნათელი სახელისა.

## ივანე გიგინეიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები

ჩვენმა კრებულმა დაკარგა დამაარსებელი და რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე გიგინეიშვილი. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია მთელი ქართული მეცნიერებისათვის. ქართველოლოგიას მოაკლდა დიდად ერუდირებული და ფართოდ განსწავლული ენათმეცნიერი, ქართული ენის ნიჭიერი მკვლევარი, დიალექტოლოგი და ლექსიკოგრაფი, რუსთველოლოგი და ტექსტოლოგი, ქართული ლინგვოსტილისტიკის შესანიშნავი წარმომადგენელი, ბრწყინვალე ლექტორი და დიდი მამულიშვილი.

მრავალმხრივი იყო ივანე გიგინეიშვილის მეცნიერული ინტერესები და ფართო — მისი კვლევის სფერო: ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საკითხი, მისი განვითარების ტენდენციები, სალიტერატურო ენის მიმართება დიალექტებთან და საერთო-სახალხო ენასთან, მწერლის როლი და ადგილი სალიტერატურო ენის ისტორიაში, თანამედროვე სალიტერატურო ენის უნიფიკაცია, მისი სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვა, ქართული ენის გრამატიკისა და ქართული დიალექტოლოგიის აქტუალური პრობლემები, ლექსიკოლოგია და ტექსტოლოგია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს ახსოვთ, რამდენს ფიქრობდა ბ-ნი ივანე საკვლევე საკითხის შესახებ, ამოწმებდა, ეძიებდა, საილუსტრაციო მასალას თუ საბუთიანობას კიდევ და კიდევ აძლიერებდა, ამდიდრებდა და შემდეგ კი თითქოს ერთი ამოსუნთქვით წერდა. მის ყოველ ნაშრომში მსჯელობა ჩამოკვეთილია, საბუთიანობა — მყარი, დამაჯერებელი, ილუსტრაციები — უხვი და მარჯვე, დასკვნები — სარწმუნო, სტილი — დინჯი, ნათელი და მომხიბლავი. ამის საფუძველი იყო მკვლევრის დიდი ერუდიცია, ფართო განათლება და ფაქიზი ენობრივი ალღო, მან ბრწყინვალედ იცოდა ძვე-



ლი და ახალი ქართული ენა და ლიტერატურა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ცოცხალი სპაუბრო ენა, ქართული ენის დიალექტები

ივანე გიგინეიშვილის მეცნიერული ნაღვაწის შეფასება მომავლის საქმეა. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ იმ პრობლემებს შევხვით, რომლებიც მისთვის იყო არა მარტო მეცნიერული კვლევის ობიექტი, არამედ მოქალაქეობრივი ზრუნვის საგანიც. ესენია: ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების, სალიტერატურო ენისა და მწერლის ურთიერთმიმართების, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები... ამ პრობლემათა კვლევა მისთვის სისხლხორცეული საქმე იყო.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის საკითხების, ამ ენის ისტორიის კვლევა, ფილოლოგიური სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულება შეუძლებელია ცოცხალი მეტყველების, დიალექტების კარგად ცოდნის გარეშე.

ივ. გიგინეიშვილი ქართული დიალექტების დიდი მცოდნე იყო. მისი პირველი ნაშრომი, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა, სწორედ დიალექტოლოგიას ეხებოდა („ანგარიში საზაფხულო მივილინებისა ქართლური კილოს შესასწავლად სურამის მიდამოებში“, ენიმკის მოამბე, 1938, IVკ). შემდეგ წლებში მან ბევრი იმუშავა ჩვენი ენის დიალექტებზე: ქართლურზე, ფშაურზე, გუდამაყრულზე, კახურზე, თიანურზე... დიდი რუღუნებით მოპოვებულ ძვირფას დიალექტურ მასალას და მის ანალიზს მეცნიერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ძნელად გადაწყვეტდა ხოლმე მათ გამოქვეყნებას. მის პირად არქივში ინახება ძვირფასი მასალა, ოთხი ათეული წლის წინ ჩაწერილი ქართლსა თუ კახეთში, ფშავში, გუდამაყარში, კახეთსა თუ თიანეთში. ამ მასალის მხოლოდ ერთი ნაწილი გამოქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში, რომლის ერთ-ერთი შემდგენელთაგანი ივ. გიგინეიშვილიცაა. მასვე ეკუთვნის ამავე წიგნში ზოგი დიალექტის (სახელდობრ, ფშაურის, კახურის, გუდამაყრულის, გურულის) მიმოხილვა და ლექსიკონი. მისივე შედგენილია ქართლურის ლექსიკონიც.

ივ. გიგინეიშვილი მისთვის ჩვეული გულისხმიერებით ეკიდებოდა სხვათა მიერ მოპოვებულ სანდო და საინტერესო დიალექტურ მასალასაც, კერძოდ, მას გამოსაცემად მზად ჰქონდა შესანიშნავი დიალექტური ტექსტები.

დიალექტების ასეთი საფუძვლიანი ცოდნა ხელს უწყობდა მკვლევარს, რომ დაკვირვებოდა ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესს და ამ ენის კავშირს ცოცხალ მეტყველებასთან — დია-

ლექტებთან თუ საერთო-სახალხო ენასთან. სპეციალური სტატია მიუძღვნა მან საერთო-სახალხო ენის, დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართების საკითხს („ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952). აქ ნათლადაა გამოკვეთილი საერთო-სახალხო ენის რაობა, მისი მიმართება სალიტერატურო ენასთან, ერთი მხრივ, და დიალექტებთან, მეორე მხრივ. ამ სტატიაში ვკითხულობთ: „საერთო-სახალხო ენა იქმნება იმისაგან, რაც საერთოა... დიალექტებს შორის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ... ეს ის ენაა, რომელიც ხალხის ხელში თანდათანობით იხვეწება, იწმინდება საუკუნეთა განმავლობაში, თავისუფლდება დიალექტური ფორმებისაგან, ზოგჯერ ლიტერატურული ენის გავლენასაც განიცდის, მაგრამ მაინც ამ ენას უპირისპირდება, როგორც ხალხური, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ეს ის ენაა, რომელიც ხალხური პოეზიის ყველაზე რჩეულ, დახვეწილ ნიმუშებშია წარმოდგენილი. ეს არის ენა საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ლექსებისა, ანდაზებისა, გამოცანებისა... ასეთ ქმნილებებშია წარმოდგენილი ის ენა, რომლის სახითაც საერთო-სახალხო ენა რეალურ ოდენობად გვევლინება, ოდენობად, რომელიც უპირისპირდება ადგილობრივ დიალექტებს“<sup>1</sup>.

საერთო-სახალხო ენის სალიტერატურო ენასთან მიმართების მეტად საყურადღებო საკითხს მკვლევარი იხილავს ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხთან ერთად.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში ორგვარი შეხედულება არსებობს: ერთი XIX საუკუნეს თვლის დასაწყისად (XII—XVIII საუკუნეები ან ძველ ქართულში შეაქვთ, ან ცალკე პერიოდად გამოყოფენ საშუალო ქართულის სახელით), მეორეს კი მიაჩნია, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა XII ს-დან იწყება და ძველი ქართულის ბუნებრივი გაგრძელებაა, ქართული და კახური დიალექტების საფუძველზე მისი გადამუშავების ნაყოფია. ამ ენის ფორმირება XVIII საუკუნეში დასრულდა.

ივ. გიგინეიშვილი ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებდა და მას ეყრდნობოდა.

საერთო-სახალხო ენის სალიტერატურო ენასთან მიმართებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხს რამდენიმე ნაშრომში ეხება მკვლევარი. ამ ნაშრომთაგან ერთი („ქართული

<sup>1</sup> ივ. გიგინეიშვილი, ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, გვ. 507.



სალიტერატურო ენის განვითარების თავისებურებანი საბჭოთა კავშირში (ქაში) გამოქვეყნდა 1973 წ. საკავშირო ორგანოში<sup>2</sup>, ხოლო მეორე — ვ. თოფურასთან თანაავტორობით („ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხისათვის“) — საკავშირო აკადემიისა და ამიერკავკასიის აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა გაერთიანებული სესიის შრომებში, რომელიც ბაქოში გამოიცა 1957 წელს<sup>3</sup>.

ამავე საკითხს ეძღვნება სხვა სტატიებიც: „ი. ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ (თსუ შრომები, № 69, 1958), „სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის (საიუბილეო კრებული, თსუ, 1959), „დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 40, 1955), „ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები“ (იკე, III, 1952), „რუსულდანიანი“ (გამოკვლევა წიგნში „რუსულდანიანი“, თბილისი, 1957), Основные вопросы языка и критики текста поэмы Шота Руставели «Вепхისტкаосანი“ (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1975).

მკვლევრის შეხედულებები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

**საერთო-სახალხო ენა**, რომელიც ბატონობდა დიალექტებზე და იმორჩილებდა მათ, მწერლობის წარმოშობამდეც უნდა ყოფილიყო (იკე, III, 500).

**სამწერლობო ენის** არსებობა კი დამწერლობის წარმოშობიდან იწყება. ე. ი. V ს-ზე გაცილებით უფრო ადრე, ქრისტიანობამდეც ებოქაში.

მწერლობა ერთი რომელიმე კილოს საფუძველზე წარმოიშობოდა (მასში აისახებოდა ამ კილოს ძირითადი, ყველაზე მკვეთრი თავისებურებანი), შემდეგში კი სალიტერატურო ენა დიალექტიზმებისაგან თანდათან იცხრილებოდა და უახლოვდებოდა საერთო-სახალხო ენას (იკე, III, 498).

**საერთო-სახალხო ენა და სამწერლობო ენა** იმთავითვე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ შემდეგ, ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ებოქაში ისინი მეტ-ნაკლებად შორდებოდნენ ან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

<sup>2</sup> И. М. Гигинейшвили, М. Н. Чабашвили, Р. Б. Гамбашидзе, Особенности развития грузинского литературного языка в советское время: Закономерности развития литературных языков народов СССР в советскую эпоху—Внутриструктурное развитие старописьменных языков, М., 1973, гл. 322—350.

<sup>3</sup> В. Т. Толпуриа, И. М. Гигинейшвили, К вопросу о формировании грузинского литературного языка: Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и Академий наук закавказских республик по общественным наукам, Баку, 1957.



V—X საუკუნეებში მკაცრად უნიფიცირებული ნორმების ძველი ქართული ენა საეკლესიო მწერლობის ენა გახდა და სიო სტილის მოთხოვნებს მიესადაგა. ასეთი სალიტერატურო ენა ასე თუ ისე უნდა დაშორებოდა საერთო-სახალხო ენას (იკე, III, 523). მიუხედავად მტკიცე, მყარი ნორმებისა, ამ ხანის სალიტერატურო ენაში მაინც შეაღწია ცოცხალი ენის ნაკადმა; შეიმჩნევა სხვა დიალექტების კვალიც. ამას ხელს უწყობდა ლიტერატურული ცენტრების არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ენაში თანდათან გროვდებოდა ახალი ელემენტები.

XII საუკუნეში ამას დაემატა, ერთი მხრივ, პოლიტიკური და კულტურული ცენტრის გადმონაცვლება დასავლეთ საქართველოდან თბილისში (სალიტერატურო ენა აქაური მოწინავე საზოგადოების მეტყველებას დაემყარა) და, მეორე მხრივ, მდიდარი საერო მწერლობის აღორძინება და განვითარება. შავთელის, ჩახრუხაძის, მოსე ხონელის ნაწარმოებებში, „ვისრამიანში“, აგრეთვე დავით აღმაშენებლის, თამარისა და ლაშა-გიორგის ისტორიკოსთა თხზულებებში დასაბამი ეძლევა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც უგულვებელყოფს რიგ მკვდარ ფორმას, რომელსაც ძველი ქართული ხელოვნურად ინარჩუნებდა, და ორიენტაციას სასაუბრო ენაზე იღებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს ერთბაშად იჩენს თავს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო ახალი ფორმები. ეს ფორმები სასაუბრო ენაში არსებობდა, მაგრამ სალიტერატურო ენა მანამდე მათ კარს უხშობდა. ყველაზე აშკარად, ყველაზე რელიეფურად ეს პროცესი „ვეფხისტყაოსანში“ აისახა. ახალი სალიტერატურო ენის გამოსვლა სარბიელზე რუსთაველის სახელთანაა დაკავშირებული.

სალიტერატურო ენა თანდათან ისევ უახლოვდება ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას. ძველი ქართული სალიტერატურო ენა საეკლესიო მწერლობას შერჩა და დიდხანს იარსება, როგორც სამწერლო ენის საეკლესიო სტილი.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესი 700 წელიწადს გაგრძელდა იმ ძნელბედობის გამო, რომელსაც საქართველო განიცდიდა XIII—XVIII საუკუნეებში. ქვეყნის ფეოდალურ დაქსაქსულობასთან ერთად ამ პროცესს აბრკოლებდა აგრეთვე ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძლიერი ტრადიციები, ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლების დიდი გავლენა.

ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეას-



რულა იმავე „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც საქართველოს კუთხეს მისწვდა; მისი აფორიზმები ანდაზებად გადიოდა ხალხში. სი ენა მისაბაძი ნიმუში იყო XVI—XVII სს-ის მწერლობისათვის. ამით მან ხელი შეუწყო სალიტერატურო მეტყველების გავრცელებას მთელ ქართველ ხალხში და საერთო-სახალხო ენის დამკვიდრებასა და განმტკიცებას საქართველოს ყველა კუთხეში“ (იკე, III, 504).

XIII—XV საუკუნეებიდან მოღწეული მწირი მასალის მიხედვით ჭირს მსჯელობა ამ პერიოდის სალიტერატურო ენისა და მისი საერთო-სახალხო ენასთან მიმართების შესახებ.

XVI—XVIII საუკუნეები კი მდიდარია ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებებით. მაგრამ ამ პერიოდის სალიტერატურო ენა ნარევიანაა: ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ქართულის ბევრი ფორმა, მძლავრ. ნაკადადაა შემოჭრილი დიალექტური ფორმები, ბევრია უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები, რადგან ამ პერიოდში ბევრი რამ ითარგმნებოდა, განსაკუთრებით, სპარსულიდან.

მკვლევარს ყურადღების გარეშე არც ის რჩება, რომ ქართულ სალიტერატურო ენაზე ყოველთვის ახდენდა გავლენას ლიტერატურულ ძეგლთა თარგმანები: ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში თან ახლდა სასულიერო ლიტერატურის თარგმნა ბერძნულიდან, რის შედეგადაც ჩვენს ენაში უხვად შემოდიოდა ბერძნული ლექსიკა, ფრაზეოლოგია და სხვ. არაბთა ბატონობას თან მოჰყვა არაბული ლექსიკის შემოჭრა ქართულ ენაში. საერო ლიტერატურის განვითარების შედეგად (XI—XII სს.) მჭიდრო კავშირი დამყარდა სპარსულ ლიტერატურასთან და ქართულში ბევრი სპარსული სიტყვა შემოვიდა. XVI—XVIII სს-ში სპარსული პოეზიით გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ ანტისპარსული რეაქციაც კი გამოიწვია (ცნობილია არჩილის პურისტული ტენდენცია).

ძველი სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა, ახალი ნორმები ძნელად მკვიდრდება. სალიტერატურო ენა აღარ არის ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ნორმალიზებული, მისი მონოლითურობა შერყეულია. მკაცრად უნიფიცირებული ფორმების ნაცვლად გვაქვს ფორმათა სიმრავლე და მრავალფეროვნება. სალიტერატურო ენას მოაკლდა ის დახვეწილობა, რაც ძველი ქართულისათვის იყო ნიშანდობლივი. სალიტერატურო ენაში მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი შესუსტდა და იგი დიალექტს დაუახლოვდა<sup>4</sup>.

<sup>4</sup> ივ. გიგინეიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ შრომები, № 69, 1958.



ამ ხანის ზოგ ძეგლში (მაგ., „რუსუდანიაში“) ფართოდ აღსანიშნავი ზედიზედ და მორფოლოგიური თავისებურებანიდან და შექმნილია ეს ძეგლი.

ივ. გიგინეიშვილი შესანიშნავად იცნობდა ამ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს და მათ ენას. პოეზიის ენის შესახებ იგი წერს: „იმდროინდელი ქართული პოეზიის ძეგლთა ენის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მასში ასახულია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რღვევისა და ამ ენის ვადამუშავეების პროცესი... სამწერლობო ენა... აღარ არის მკაცრად ჩამოყალიბებული ერთიანი ნორმების მქონე, შესუსტებულია მისი მაუნიფიცირებელი ძალა, თვალსაჩინოა დიალექტებიდან მომდინარე მოვლენების უპირატესი მნიშვნელობა“<sup>5</sup>.

დიალექტიზმები იმდროინდელი სალიტერატურო ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. დავით გურამიშვილის ენისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „ქართულისა და კახურისათვის დამახასიათებელმა დიალექტურმა მოვლენებმა ფართო გასაქანი პოვა სალიტერატურო ენაში, მაგრამ XVII—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს მოვლენები არ წარმოადგენენ დიალექტიზმებს. ამგვარი დიალექტური მოვლენები მაშინდელი სალიტერატურო ენის ისეთსავე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, როგორსაც ძველი ქართული სალიტერატურო ენისაგან შემორჩენილი ფორმები“<sup>6</sup>.

ე. ი. საერთო-სახალხო ენის დამაქვემდებარებელი ძალა შესუსტებულია. მძლავრობს ტენდენცია, რომ სალიტერატურო ენამ რომელიმე დიალექტის ფორმები გაიმეოროს.

ეს უარყოფითი მოვლენა როდია. ეს იყო სალიტერატურო ენის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების პროცესის, სალიტერატურო ენის გახალსურების პროცესის ბუნებრივი შედეგი. მაგრამ მაინც სალიტერატურო ენის განვითარება ამ გზით ვერ წავიდოდა. ქართული ენა მონოლითურობას დაკარგავდა. აღარ გვექნებოდა ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენა. აღნიშნული პროცესი უნდა დასრულებულიყო, სალიტერატურო ენა უნდა დახვეწილიყო და მისი მაუნიფიცირებელი ძალა აღდგენილიყო. მართლაც, ბუნებრივად იჩინა თავი საწინააღმდეგო ტენდენციამ — შექმნილიყო დია-

<sup>5</sup> ივ. გიგინეიშვილი, XVI—XVII სს. ქართული პოეზიის ძეგლთა ლექსიკონის აგებულებისათვის („დავითიანის“ ლექსიკონის მაგალითზე): II რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1980.

<sup>6</sup> ივ. გიგინეიშვილი, დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, „ლიტ. გაზ.“, 1955, № 40.



ლექტური ფორმებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი სალიტერატურო ტურო ენა, შემუშავებოდა მას ერთიანი მტკიცე ნორმები. ამ მიზნით ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ე. ი. ერთგვარი არქაიზაცია იქნა მიჩნეული ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად. ეს არ ნიშნავდა ძველი ქართულის აღდგენას თავის უფლებებში — ამოსავალი უნდა ყოფილიყო XVI—XVII საუკუნეთა საერო ძეგლების ენა, რომელიც უნდა გაწმენდილიყო დიალექტური ფორმებისაგან<sup>7</sup>.

ამ ტენდენციის აშკარა გამომხატველად მკვლევარს სულხან-საბა ორბელიანის ენა მიაჩნია. სწორედ იმ პოზიციიდან აფასებს იგი საბას როლს ჩვენი სალიტერატურო ენის ისტორიაში<sup>8</sup>.

საინტერესოა მკვლევრის აზრი სალიტერატურო ენის ისტორიაში დიდი მწერლის როლის შესახებ. ივ. გიგინეიშვილი წერს: „არიან დიდი მწერლები, რომელთა მნიშვნელობა დაუფასებელია არა მარტო ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ ეროვნული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც. ასეთი მწერლების სახელებთან, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია რადიკალური მობრუნება ეროვნული სალიტერატურო ენის განვითარებაში. ერთი ასეთი მობრუნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მე-12 ს-ში მოხდა, როცა ახალი სალიტერატურო ენა გამოვიდა მწერლობის სარბიელზე. ეს მობრუნება რუსთაველის გენიალურ სახელთანაა დაკავშირებული; მეორე მობრუნება მე-19 ს-ის სამოციან წლებში მოხდა და მეორე დიდ სახელს — ილია ჭავჭავაძის სახელს — უკავშირდება. მაგრამ ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოქნა და ჩამოყალიბება არსებითად მე-17 ს. ბოლოს და მე-18 ს-ში დამთავრდა და ...ეს უმთავრესად სულხან-საბა ორბელიანის სახელთანაა დაკავშირებული“<sup>9</sup>.

ასე გადაეჯაჭვა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პრობლემას მწერლის როლისა და ადგილის პრობლემა.

ბუნებრივია, რომ ივ. გიგინეიშვილის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეთმობა მწერლისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობის კვლევას, მწერლის როლისა და ადგილის, მწერლის ენის თავისებურებათა საკითხების კვლევას. ამ პრობლემასთან თავს იყრის მეტად საინტერესო გამოკვლევები:

<sup>7</sup> ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, თსუ საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 31.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

- 1) სტატიები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ენის ანალიზს ეძღვნება;
- 2) სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის (ოსუ საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959);
- 3) დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა („ლიტ. გაზ.“, 1955, № 40);
- 4) ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (ოსუ შრ., 69, 1958);
- 5) ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის (ხელნაწერი);
- 6) „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი (წიგნში „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონი“, თბ, 1972);
- 7) ზოგი დაკვირვება გალაქტიონ ტაბიძის ენაზე (მოხსენება მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების 33-ე სესიაზე, 1953);
- 8) „რუსუდანიანი“ (წიგნში „რუსუდანიანი“, 1957);
- 9) XVII ს. პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა და ვახტანგ მეექვსე... (კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. 5, თბ., 1983).

საბას ენისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში საბას როლი ასეა წარმოდგენილი:

საბას ენა არ არის ძველი ქართული სალიტერატურო ენა. ის XVI—XVII საუკუნეების მწერალთა ენის შემდგომ განვითარებას, მის უფრო მაღალ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ იმავე დროს საბა მკვეთრად ემიჯნება ამ ხანის მხატვრული ლიტერატურის ენას, რომელიც ან ხელოვნური ფორმებით იყო დატვირთული, ან დიალექტიზმებით. საბამ დაძლია ერთიკა და მეორეც და ხელოვნურობის აცილებითა და დიალექტიზმების მინიმუმამდე დაყვანით მოგვცა ლიტერატურულად დამუშავებული ენის ბრწყინვალე ნიმუში, დაუბრუნა ენას მონოლითურობა. რაც შეეხება არქაიზაციას, რომელსაც საბა მიმართავდა გარკვეულ შემთხვევებში, როგორც ივ. გიგინეიშვილი განმარტავს, ის საბას ინდივიდუალური სტილის ნიშან-თვისება, მისი სტილებრივი ხერხი კი არ არის, არამედ ამსახველია სალიტერატურო ენის განვითარების იმ საფეხურისა, როდესაც აუცილებელი გახდა გახაზულიყო, რომ სალიტერატურო ენა სხვა ენობრივი ოდენობაა, ვიდრე ცოცხალი სასაუბრო ენა ან დიალექტი. არქაიზაცია საბასთვის დიალექტური მეტყველებისაგან, ყოველდღიური სასაუბრო მეტყველებისაგან გამიჯვნის საშუალებაა და, ამდენად, სალიტერატურო ენის



მონოლითურობისათვის ბრძოლის ხერხი და არა ძველი ქართულისა-  
კენ მიბრუნება. ასეთი გამიჯვნის საჭიროება კი იმდროინდელ  
ტერატურო ენაში დიდი იყო.

ესაა საბას დამსახურება სალიტერატურო ენის ისტორიაში.

საბას ენის თავისებურება კი, მკვლევრის აზრით, იმაშია, რომ  
მან უკუაგდო ჰიპოტაქსური წყობა წინადადებისა; რთული დაქვემ-  
დებარებული წინადადებები მის თხზულებებში „მოგზაურობა ევრო-  
პაში“ და „სიბრძნე სიცრუისა“ თითქმის სრულიად არ გვხვდება.  
მთელი თხზულება ან რთული შეკავშირებული წინადადებითაა გა-  
მართული, ან შერწყმულით, ან კიდევ — მარტივით. ამასთანავე, სა-  
ბა შეგნებულად მოკლე წინადადებებს იყენებს, გაუბრძნის წინადადების  
დამძიმებას მეორეხარისხოვანი წევრებით. ეს უკვე საბას ენის თავი-  
სებურებაა, რამდენადაც ძველი ქართული ჰიპოტაქსური წყობის ენაა  
ძირითადად.

საბას ენა ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართული სალიტერატურო  
ენის განვითარებაში, როცა დასრულდა ახალი ქართული სალიტერა-  
ტურო ენის ჩამოყალიბება და შესაძლებელი გახდა ენის სიწმინდზე,  
მის დახვეწაზე, მის მონოლითურობაზე ფიქრი<sup>10</sup>.

საბას გვერდით უდგას დავით გურამიშვილი. ივ. გიგინეიშვილი  
წერს: „უმალღეს ჯაფხურს... ქართული სალიტერატურო ენის გა-  
ხალხურების, ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესში  
ჯერ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო შემდეგ  
გურამიშვილის პოეზია წარმოადგენს. დავით გურამიშვილის ენა მარ-  
ტივია და სადა, მაქსიმალურად დაახლოებული საერთო-სახალხო ენას,  
უაღრესად ხალხური და მწიგნობრულობისაგან თავისუფალი. ქართულ  
ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება მეორე მწერალი, რომლის ენა  
ასე ახლოს იყოს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან“<sup>11</sup>.

რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, იგი არ მისდევს საბას კვალს, მისი  
პოეზიის ენა XVII საუკუნის ქართული მწერლობის ენის გაგრძელებას  
წარმოადგენს. მაგრამ ვახტანგის დაუღალავმა მოღვაწეობამ (სა-  
ქართველოს ისტორია, ქართული სამართალი...) ხელი შეუწყო სპე-  
ციალურ ტილთა განვითარებას და ამით ქართული სალიტერატურო  
ენის მოქმედების არის გაფართოებას.

<sup>10</sup> ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, საიუბილეო  
კრებული, თსუ, თბ., 1959, გვ. 42.

<sup>11</sup> ივ. გიგინეიშვილი, დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალი-  
ტერატურო ენა, „ლიტ. გაზ.“, 1955, № 40.



ამრიგად, XVIII საუკუნეში სალიტერატურო ენა ძალზე დაუახლოვდა ცოცხალ სახაუბრო ენას. მეფისა და კათალიკოსის კანცლერიდან გამოსული დოკუმენტების ენაც კი მარტივი და ნათელია. საბასა და გურამიშვილის ენა ახალი ქართული სალიტერატურო ენაა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, XVIII ს. ბოლოს ხელოვნურად შეაფერხეს ჩვენი სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება — ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიამ სალიტერატურო ენა კვლავ დააშორა საერთო-სახალხო ენას, ცოცხალ მეტყველებას და მხოლოდ 100 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა.


ივ. გიგინეიშვილმა სპეციალურ ნაშრომში ერთხელ კიდევ გამოკვთა ილია ჭავჭავაძის ფასდაუდებელი ღვაწლი უფლებაწართმეული ახალი ქართული სალიტერატურო ენის თავის უფლებებში აღდგენის დიდ ეროვნულ საქმეში. ერთხელ კიდევ გახაზა, რომ ილია ჭავჭავაძემ თეორიულად დაასაბუთა და მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაამყარა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების კანონზომიერება, სწორი მიმართულება მისცა ახალი სალიტერატურო ენის განვითარებას, განახორციელა ქართული ორთოგრაფიის რეფორმა. ილია ზრუნავდა ენის ნორმალიზაციის საკითხებზე, დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული ტერმინოლოგიის შესაქმნელად, შექმნა ქართული პუბლიცისტური სტილი (რითაც ქართულმა სალიტერატურო ენამ შეიძინა ახალი მნიშვნელოვანი ფუნქცია), თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში მოგვცა ახალი ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშები. „ილიამ არათუ დაკარგული უფლებები აღუდგინა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, არამედ ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი. ქართველ ერს ეს ქართული ენა შეაყვარა, ქართველს ქართული ენით სამართლიანი სიამაყე აგრძნობინა“<sup>12</sup>.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბედი არსებითად გადაწყვიტა ილიას, აკაკის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და სხვათა მოღვაწეობამ, „საქართველოს მოამბემ“ და „ივერიამ“, სადაც ილიამ დანერგა ახალი ორთოგრაფიული ნორმები.

სალიტერატურო ენა დაემყარა სახალხო ენას. სალიტერატურო ენა ძალზე დაუახლოვდა საერთო-სახალხო ენას. დაიწყო ახალი ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX ს-ის პერიოდულ გამოცემებს, ახალი თაობის გამოსვლას XX ს-ის დასაწყისში (მათ თავისი სიტყვა თქვეს პუბ-

<sup>12</sup> ივ. გიგინეიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ, შრ., 69, 1958.

2. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები



ლიცისტკურ კრიტიკაში) და მსოფლიო შედეგების თარგმნას ქართულ ენაზე.



XIX ს-ის მეორე ნახევარში ერთიანი საერთო-სახალხო ენა ქართულ ეროვნულ ენად იქცა. სალიტერატურო ენა სავსებით ემთხვევა საერთო-სახალხო ენას.

საბჭოთა ეპოქაში ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. გაფართოვდა მისი მოხმარების არე... იგი სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული, საერთო-ეროვნულ სალიტერატურო ენაზე ზრუნვა სახელმწიფომ იკისრა.

ასეა წარმოდგენილი ივ. გიგინეიშვილის შრომებში საკითხი საერთო-სახალხო ენისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობისა ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესში.

\*  
\* \* \*

საბა ორბელიანისა და ილიას ენის შესახებ მსჯელობას ივ. გიგინეიშვილი მკიდროდ უკავშირებს იმ პრობლემებს, რომლებიც მწერლის ენის შესწავლასთან, მწერლის ენის თავისებურებათა წარმოჩენასთან დაკავშირებით დგება (ამ პრობლემას იგი სხვაგანაც უბრუნდება).

მკვლევარი საჭიროდ თვლის პირველ რიგში გამიჯნოს ცნებები „სალიტერატურო ენა“ და „მხატვრული ლიტერატურის ენა“<sup>13</sup>.

„სალიტერატურო ენის გამოყენების არე სცილდება მხატვრული ლიტერატურის ფარგლებს“<sup>14</sup>. მხატვრული ლიტერატურის ენა საერთო ეროვნული სალიტერატურო ენის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამავე დროს მასზე მეტია, რადგან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის (მაგ.: არქაიზმებს, დიალექტიზმებს, ნეოლოგიზმებს).

იგივე აზრი ერთ-ერთ თეზისში ასეა ფორმულირებული: „ცნება სალიტერატურო ენისა არ არის ლიტერატურის ენის ცნების იდენტური. მხატვრული ლიტერატურა სალიტერატურო ენას გამოიყენებს

---

<sup>13</sup> დასახელებულ გამოკვლევებში ივ. გიგინეიშვილი ხმარობს ტერმინებს: „ლიტერატურის ენა“ და „სალიტერატურო ენა“. შემდეგ მან ეს ტერმინი შეცვალა: „მხატვრული ლიტერატურის ენით“. მეტი სიცხადისათვის მსჯელობაში ჩვენ ამ უკანასკნელ ტერმინებს ვიყენებთ.

<sup>14</sup> ივ. გიგინეიშვილი, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1951, გვ. 21.



ძირითადად, მაგრამ მისი ნორმები ყოველთვის საეხსებიტ არ ვა სალიტერატურო ენის ნორმებს“<sup>15</sup>.

„მწერლის ენა, მისი ენობრივი თავისებურებანი, — წერს მკვლევარი — ერთი მხრით, საერთო სალიტერატურო ენის ფაქტს წარმოადგენს, მეორე მხრით კი... მხატვრული ენის ნიმუშია“<sup>16</sup>. მწერლის ენის შესწავლისას საჭიროა ამ ორი რიგის მოვლენის ერთმანეთისაგან გამოიჯვანა, რათა ნათელი გახდეს, თუ „მწერლის ენის დამახასიათებელ მოვლენათაგან რომელი დგას საერთო სალიტერატურო ენის განვითარების სიბრტყეზე... და რაა ისეთი, რაც ამ მწერლის ინდივიდუალურ სტილებრივ თავისებურებას გვაგრძნობინებს“<sup>17</sup>.

ზოგჯერ მწერალთან გვხვდება გარკვეული ელემენტები (მაგ.: არქაიზმები, ნეოლოგიზმები, დიალექტიზმები...), მაგრამ ეს მწერლის ენის თავისებურება კი არაა, არამედ მისი თანამედროვე სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებელი და, რაც დღეს არქაიზმად გვეჩვენება, შეიძლება მწერლის თანამედროვე ენისათვის ასე არ ფასდებოდეს.

ამიტომ მწერლის ენის თავისებურებათა შესწავლისას, ივ. გიგინეიშვილის აზრით, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის ყველა ნიშან-თვისება და ამ სალიტერატურო ენის ადგილი საერთოდ ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარებაში. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ეპოქის როგორც წინა, ისე მომდევნო ხანის სალიტერატურო ენის თავისებურებები.

მას შემდეგ, რაც გაიმიჯნება მწერლის თანამედროვე სალიტერატურო ენიდან მომდინარე და თვით მწერლის ინდივიდუალური თავისებურებანი, შესაძლებელი გახდება ვაჩვენოთ ამ მწერლის როლი და ადგილი სალიტერატურო ენის განვითარებაში და საკუთრივ მისი ენობრივი თავისებურებებიც შევაფასოთ.

მწერლის ენის შესასწავლად, მკვლევრის აზრით, სულაც არაა საკმარისი მისი თხზულებების მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზი. „მწერლის ენის შესწავლა არსებითად მისი სტილის შესწავლას გულისხმობს“, — წერს იგი და იქვე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სტილისტიკის საკითხების დამუშავება სათანადო დონეზე არ დგას და

15 ივ. გიგინეიშვილი, ერთიანი ქართული..., გვ. 21.  
16 ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 29.  
17 იქვე, გვ. 50.



„ქართული ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა ქართული ენის სტილისტიკის საფუძვლების დამუშავება და ფართო კვლევა-ძიების გაშლა ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ამ თვალსაზრისით შესასწავლად“<sup>18</sup>.

ეს ლიტონ განცხადებად როდი დარჩა. ივ. გიგინეიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. შეისწავლა და წარმოაჩინა ძირითადი სტილებრივი თავისებურებანი ჩვენი გამოჩენილი მწერლების ენისა: სულხან-საბა ორბელიანისა, ვ. ბარნოვისა, გ. ტაბიძისა, ვაჟა-ფშაველასი, საგანგებოდ მსჯელობდა არქაიზმების, როგორც სტილისტიკური ხერხის გამოყენების შესახებ მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართველი მწერლების მიერ<sup>19</sup>.

საინტერესოა მეცნიერის აზრი მხატვრულ ლიტერატურაში არქაიზმების, დიალექტიზმებისა და ნეოლოგიზმების გამოყენების შესახებ. იგი საჭიროდ თვლის „არქაიზმებისა და დიალექტიზმების გამოყენება მაქსიმალურად შეიზღუდოს, ხოლო ნეოლოგიზმების შექმნისას მწერალი არ უნდა სცილდებოდეს ქართული სიტყვაწარმოების, სიტყვათხზვის წესების ფარგლებს“.

რაც შეეხება ლექსის ენას, მას ისევე, როგორც მხატვრული ლიტერატურის ენას საზოგადოდ, საერთო სალიტერატურო ენა უწესებს გარკვეულ საზღვრებს: „(ლექსის ენას) შეიძლება სრულიად გარკვეული ინდივიდუალური ფორმები ჰქონდეს, მაგრამ ასეთი ფორმები ყოველთვის ერთიანი საერთო-ეროვნული სალიტერატურო ენის ფონზე უნდა იქმნებოდეს, მისი გრამატიკული წყობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, ამ ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. პოეტური ენა საერთო-სალიტერატურო ენის კანონზომიერებათა გამოვლენას უნდა წარმოადგენდეს“<sup>20</sup>.



წლების მანძილზე იკვლევდა ივ. გიგინეიშვილი კლასიკური ხანისა და აღორძინების პერიოდის ლიტერატურული ძეგლებს ენას XII—

<sup>18</sup> ივ. გიგინეიშვილი, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1951, გვ. 21.

<sup>19</sup> ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, საიუბილეო კრებული, 1959; ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის (ხელნაწერი); „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი (წიგნში „ვაჟა-ფშაველას ბახტრიონი“, თბილისი, 1972); ზოგი დაკვირვება გალაქტიონ ტაბიძის ენაზე (მობსენება, 1953 წ.), „რუსულდანიანი“ (წიგნი „რუსულდანიანი“, 1957), „არქაიზმების საკითხისათვის“ და სხვ.

<sup>20</sup> ივ. გიგინეიშვილი, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ სამეცნიერო სესიის თეზისები, 1952 წ. გვ. 21.

XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენის შესასწავლად, იმის გასარკვევად, თუ რას წარმოადგენდა ე. წ. საშუალო ქართული, რომელიც ძველსა და ახალ ქართულს შორის მესამე პერიოდად გამოყოფენ.

XII საუკუნიდან ქართულ სალიტერატურო ენაში იწყება ძვრები, რაც მთელი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხებს უკავშირდება. „ჯერ ერთი, ჩაისახა და განვითარდა საერო ლიტერატურა, რომლისთვისაც საკმარისი აღარ იყო ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც V—XI საუკუნეების ქართულს გააჩნდა; მეორე, შეიცვალა კულტურულ-ისტორიული ვითარებანი და პირობები, რომლებშიც ძველი ქართული ენა ვითარდებოდა: ბერძნულ, სომხურ და სხვა ენებთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ძირითადად სპარსულთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობით შეიცვალა, და მესამე, რაც მთავარია, ქართულმა სალიტერატურო ენამ საორიენტაციო დიალექტი გამოიცვალა: სალიტერატურო ქართულისათვის საორიენტაციოდ სხვა დიალექტი თუ დიალექტები ჩნდება“<sup>21</sup>.

იმის გასარკვევად, თუ რა ხასიათისა იყო ჩვენი სალიტერატურო ენა იმ შვიდი საუკუნის მანძილზე, რა მიმართებაში იყო ის, ერთი მხრივ, ძველსა და, მეორე მხრივ, ახალ სალიტერატურო ქართულთან, ივ. გიგინეიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ამ ეპოქის სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა უანრის ძეგლები, ორიგინალურიცა და თარგმნილიც: „ამირან-დარეჯანიანის“, „ვისრამიანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „შაჰნამეს“ პროზაული და ლექსითი ვერსიების, „თიმსარიანის“, „რუსუდანიანის“, „ქილილა და დამანას“, „სიბრძნე სიცრუისას“, თეიმურაზ I-ის, არჩილის, თეიმურაზ II-ის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის თხზულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების ენა.

მკვლევარი უყოყმანოდ იყენებს თარგმნილ ძეგლებს („ვისრამიანი“, „შაჰნამე“, „თიმსარიანი“, „ქილილა და დამანა“), რადგან, მისი აზრით, ეს თხზულებები „თავისებურადაა ნათარგმნი. „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი, როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი და თავისთავადი ღირებულების მქონე ლიტერატურულ ფაქტს წარმოადგენს. მეტნაკლებად იგივე ითქმის „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის პროზაული ვერსიების შესახებაც“... ისე რომ, ამ ძეგლებს ასე თუ ისე ორიგინალური ძეგლების ღირებულება ენიჭებათ<sup>22</sup>. ხოლო „ქილილა და დამანა“ საბას მიერაა ნარედაქციევი.

21 ივ. გიგინეიშვილი, XI—XVIII საუკუნეების (საშუალო) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა. პროზაულ მხატვრულ თხზულებათა მიხედვით („ვისრამიანი“, „შაჰნამე“) (ხელნაწერი).

22 იქვე, გვ. 12.

მორეცაა, ამ ნაწარმოებთა ენის მორფოლოგიური მხარე წესის წყალობად, ხოლო „უცხოურ დედანს ყველაზე ნაკლები გავლენა მოხდენა სწორედ თარგმანის მორფოლოგიურ მხარეზე შეუძლებელია. თუ კიდევ მოსალოდნელია გავლენა ლექსიკასა და სინტაქსზე, მორფოლოგიურ მხარეზე ასეთი გავლენა სრულიად გამორიცხულია ამ თვალსაზრისითაც ნათარგმნ ძეგლებსაც ორიგინალურის ღირებულება ენიჭებათ“<sup>23</sup>.

მკვლევარს გამოუქვეყნებელი დარჩა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაშრომი:

1) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: „ამირან-დარეჯანიანისა“ და „შაჰნამეს“ მიხედვით.

2) XI—XVIII საუკუნეების (საშუალო) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა ა) პროზაულ მხატვრულ თხზულებათა მიხედვით („ვისრამიანი“, „შაჰნამე“); ბ) მორფოლოგიური თავისებურებანი.

3) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: „რუსუდანიანის“, „სიბრძნე სიცრუისას“, „ქილილა და დამანასა“ და „თიმსარიანის“ მიხედვით.

4) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: თეიმურაზ I-ის, არჩილის, თეიმურაზ II-ის, დავით გურამიშვილისა და ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ენა.

ამ გამოკვლევებში წარმოდგენილი უხვი მასალა და ნათელი მსჯელობა ცხადყოფს, თუ კერძოდ რა ხასიათის ცვლილებები ხდება ამ ეპოქის სალიტერატურო ენაში, როგორია ეს ენა. აშკარა ხდება, რომ ამ პერიოდის სალიტერატურო ენა ნარევი შედგენილობისაა: 1) საკმაოდ ფართოდაა ფეხმოკიდებული ახალი ქართულისებური ფორმები (დარღვეულია სახელთა ბრუნების ძველი ნორმები, თანდებული შერწყმულია ფუძესთან, ზმნისწინები გამარტივებულია, მრავლობითის -ებ-იანი წარმოებაა გაბატონებული, ასპექტის გამოხატვა ახალია, S<sub>3</sub> პირის -ეხ ნიშანი შეცვლილია -ნ, -ენ-ით, წ-, ხ-, პირის ნიშანთა ხმარება აღრეულია და სხვ.); 2) ძველი ქართული სალიტერატურო ენის მორფოლოგიის ბევრი ფაქტი განაგრძობს არსებობას (მოთხრობითისა და წოდებითის დაბოლოება, ვნებითი გვარის ზმნების -ი-ხ დაბოლოება, ხოლმეობითის ფორმები, აღამიანის საკუთარ სახელთა მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები და სხვ.); 3) მძლავრ ნაკადადაა შემოჭრილი დიალექტური ფორმები (ზმნისწინების ცვლა: მო—მა,

<sup>23</sup> ივ. გიგინეიშვილი, XI—XVIII საუკუნეების (საშუალო) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა, ა) პროზაულ მხატვრულ თხზულებათა მიხედვით („ვისრამიანი“, „შაჰნამე“), ხელნაწერი, გვ. 12.

შე—შა: -იერ აფიქსის ნაცვლად -იარ-ის გამოყენება; ნანათესაობითობრივითარებითის ფორმები...)

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მას სალიტერატურო ენის ისტორიაშიც ისევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ლიტერატურის ისტორიაში.

ივ. გიგინეიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო წლები უძღვნა ამ დიდებული პოემის ენისა და ტექსტის შესწავლას, მისი ლექსიკის, მისი სიტყვაწარმოების, სინტაქსური თავისებურებების, წინადადების აგებულების, სიტყვათა რიგის, ტერმინებისა თუ სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლას.

არნ. ჩიქობავა წერს: „ძველი ქართული ლექსიკისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე, ესაა პროცესი ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა... „ვეფხისტყაოსანის“ დაწერისას ეს პროცესი კარგა ხნის დაწყებული იყო“. „ამ პროცესის ფონზე უნდა იქნეს განხილული „ვეფხისტყაოსანის“ ენა“<sup>24</sup>.

სწორედ ამ ფონზე სწავლობდა ივ. გიგინეიშვილი პოემის ენას. რუსთველოლოგიის დიდი შენაძენია მისი მონოგრაფია, რომელშიც მაღალ მეცნიერულ დონეზე არის განხილული „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის კრიტიკისა და ენის საკითხები<sup>25</sup>.

ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება ზმნის ანალიზს „ვეფხისტყაოსანში“, ძველ და ახალ ქართულთან მიმართებაში წარმოჩენილია და შეფასებული ის არქაული ფორმებიცა და სიახლენიც, რაც პოემაში გვხვდება. ამ ანალიზის შედეგად ივ. გიგინეიშვილი ასეთ დასკვნამდე მისულა: ნათლად ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ენა ძალიან დაშორებულია ძველ ქართულ სალიტერატურო ენას. პრინციპულად ეს ენა ახალი სალიტერატურო ქართულია. რა თქმა უნდა, ძველი ქართულის საკმაოდ მძლავრი გავლენა „ვეფხისტყაოსანის“ ენას ამჩნევია, მაგრამ სისტემა ძველი აღარ არის. ძველი ფორმები „ვეფხისტყაოსანის“ ენაში არქაიზმების, როგორც ლიტერატურული ხერხის, გამოვლენა უფროა, ვიდრე გრამატიკული სისტემის ორგანული ნაწილი“<sup>26</sup>.

24 ა. ჩიქობავა, დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 227.

25 ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975.

26 ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსანის“ ენის საკითხები (ხელნაწერი).



და ასე, XI—XVIII საუკუნეების ლიტერატურული შესწავლის შედეგად ასეთი ვითარება გვაქვს: მიუხედავად ამ შერატ-თა ენას შორის არსებული არაერთი სხვაობისა, ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვის თვალსაზრისით ეს ძეგლები მეტ-ნაკლებად ერთგვარ სურათს გვიჩვენებენ: ყველგან საბოლოოდ დარღვეულია ძველი ქართულის ენობრივი ნორმები და ახალი ქართული-სათვის დამახასიათებელი ფორმებია დამკვიდრებული. თუმცა აქა-იქ ძველი ფორმებიც გვხვდება, მაგრამ არც ერთი ძველი ფორმა თანმიმდევრულად გატარებული არაა, სისტემას არც ერთი მათგანი არ ქმნის და მათ ხმარებას ხელოვნურობის, ზედმეტი მწიგნობრულობის ბეჭედი ახის<sup>27</sup>.

„დასახელებული ლიტერატურული ძეგლების ენის შესწავლამ ასე თუ ისე ნათელი გახადა ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე თანდათანობით გადასვლის პროცესი“, ნათელი გახადა, რომ „ენა, საშუალი ქართულის სახელწოდებით რომაა ცნობილი, შეიძლება ითქვას, არაა ისეთივე დამოუკიდებელი ერთეული, როგორც იყო ძველი ქართული, ან როგორც არის ახალი სალიტერატურო ქართული... საშუალი ქართულის შესწავლით... ჩვენს წინაშე იშლება ახალი სალიტერატურო ქართულის დასაბამი, მისი წარმოშობის სათავეები“<sup>28</sup>.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიაზე (1952 წ. ივნისი) წარმოდგენილი იყო ივ. გიგინეიშვილის, ა. კიზირიას და ა. მარტიროსოვის კოლექტიური მოხსენება თემაზე: „ქართული ლიტერატურულ ენის განვითარების პერიოდიზაციისათვის“. მოხსენება ემყარებოდა მხატვრული ძეგლებისა და ისტორიული წყაროების ენობრივ ანალიზს.

ამ მოხსენების თეზისებში წერია: „საკითხი დგას ე. წ. საშუალი ქართულის ადგილის შესახებ: განეკუთვნება იგი ძველ ქართულს, ახალ ქართულს, თუ ისეთივე ცალკე ერთეულია, როგორც ძველი და ახალი ქართული.

...XII—XVIII საუკუნეების მხატვრული (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი) ძეგლებისა და ისტორიული წყაროების შესწავლამ ნათელყო, რომ ამ ხანის ქართული სამწერლობო ენა ძველი ქართულის გაგრძელებას წარმოადგენს და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის

27 ივ. გიგინეიშვილი, თეიმურაზ I-ის, არჩილის, თეიმურაზ II-ის... ენა (ხელნაწერი).

28 ივ. გიგინეიშვილი, XI—XVIII (საშუალი) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა..., ხელნაწერი, გვ. 9.



კილოების (ქართულისა და კახურის) საფუძველზე მისი გადასწავლის შედეგია<sup>29</sup>.

უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ შრომაში მეცნიერი წერს: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ორი პერიოდი გაირჩევა: ძველი ქართული სალიტერატურო ენის პერიოდი (მწერლობის დასაბამიდან XI საუკუნის ბოლომდე) და ახალი სალიტერატურო ენის პერიოდი (XII საუკუნიდან დღემდე)<sup>30</sup>.



ივ. გიგინეიშვილის შრომებიდან ნათელი ხდება, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას შეუძლია სიცხადე შეიტანოს ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის ისტორიის ბევრ საკითხში, დაადგინოს ან შეამაგროს ზოგი აღიარებული დებულება. ერთი მაგალითი: როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთაგან უძველესია იაკობ კურტაველის „წამება წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. თხზულების მხატვრულ-ლიტერატურული ანალიზისა და ენობრივი მხარის გათვალისწინების შედეგად სპეციალისტები ასკვნიან, რომ ეს არ შეიძლება იყოს ქართულად შექმნილი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები. ეს საყოველთაოდ მიღებული აზრი ერთხელ კიდევ დადასტურებულია და შემაგრებული ივ. გიგინეიშვილის მიერ, ოღონდ სხვა ასპექტით.

უნიფიცირებული ნორმების მქონე ძველი ქართული სალიტერატურო ენა V—X საუკუნეების სასულიერო მწერლობის ენა იყო. ის დაშორებული იყო ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისაგან. ამას ადასტურებს აქა-იქ გამოჩენილი „ახალი“ ფორმები. „ეს ფორმები ძალაუნებურად გაიპარებოდნენ ხოლმე ძველ ძეგლებში ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან და მათ ბევრი რამ შეუძლიათ გვითხრან მაშინდელი ცოცხალი სასაუბრო ენის აგებულებაზე. მეორე მხრით, ეს ფაქტი თვით ძველი სალიტერატურო ენის დიდ ხნიერებასა და ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციის არსებობაზე მიგვითითებს

<sup>29</sup> ივ. გიგინეიშვილი, ა. კიზირია, ა. მარტიროსოვი, ქართული ლიტერატურული ენის განვითარების პერიოდიზაციისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიის თეზისები, 1952 წ., ივნისი, გვ. 9.

<sup>30</sup> И. М. Гигинейшвили, М. Н. Чабашвили, Р. Б. Гамбашидзе, Особенности развития грузинского языка в советское время: крებულში „Закономерности развития литературных языков народов СССР в советскую эпоху, М., 1973 г., с. 323.



სრულიად უეჭველად. სალიტერატურო ენას, რომელიც ასე დაშორებული იყო ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას და რომელსაც ასე მტკიცედ ნორმები ჰქონდა, განსხვავებული ცოცხალი სასაუბრო მეტყველებასაგან, ათეული საუკუნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა“<sup>31</sup>.

როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, „ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შვიდასზე მეტოწელი დასჭირდა, მისი ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი და ეს ენაც კი არ იყო ისეთი სრულყოფილი ნორმების მქონე ლიტერატურული ენა, როგორიც ძველი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენის ნორმალიზაციისა და სრულყოფისათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული გაცილებით მეტად ხელსაყრელი გარემოება და პირობები არსებობდა, ვიდრე ძველ საქართველოში, თუ ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას ამდენი დრო დასჭირდა, ცხადია, ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენი საუკუნე უნდა დასჭირვებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და სრულქმნას, ვიდრე ის იმ დონეზე ავიდოდა, როგორც სალიტერატურო ენა, რა დონეზეც დგას „შუშანიკის წამების“ ან ოთხთავისა და ბიბლიის ქართული თარგმანების ენა“<sup>32</sup>.

იგივე აზრი სხვაგანაცაა გამოთქმული: „ენა ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ნიმუშებისა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, იმდენად ჩამოყალიბებული და თავისთავადი სახის მქონეა, ისეა აღჭურვილი დიდად განვითარებული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რომ სრულიად უეჭველია — ამ ენას ჩამოყალიბების, თანდათან დახვეწისა და განვითარების ხანგრძლივი გზა უნდა გაეგლო. ასე განვითარებული და უნიფიცირებული სალიტერატურო ენა მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება შექმნილიყო“.

ამიტომ სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება დაწყებულია V ს-ზე გაცილებით უფრო (შესაძლოა ათი საუკუნით) ადრე.



დიდია ივანე გიგინეიშვილის როლი ჩვენი სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საშვილიშვილო საქმეში. თანამედროვე სალიტერატურო

<sup>31</sup> ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები..., ხელნაწერი, გვ. 56, ხაზი ჩვენია (ლ. ლ.)  
<sup>32</sup> იქვე, გვ. 57, ხაზი ჩვენია (ლ. ლ.).



ენის ნორმალიზაციისა და ქართული მეტყველების კულტურის საკითხების კვლევა და მოვლა მისი მოღვაწეობის ერთი ძირითადი სფერო იყო.

„ერთი და იმავე გრამატიკული დანიშნულების მქონე რამდენიმე პარალელური ფორმისაგან ერთის არჩევა... სალიტერატურო ენას უფრო მოქნილს, უფრო მონოლითურს ხდის, მის გამოყენებას, მოხმარებას აადვილებს, მოსახლეობას უფართოეს ფენებში მის გავრცელებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს. რაც უფრო მდიდარია სალიტერატურო ენა, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მის გონივრულ ნორმალიზაციასო“, — წერდა ივ. გიგინეიშვილი<sup>33</sup>.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს<sup>34</sup>.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის წინაპირობას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესწავლა, მისი განვითარების ყველა ეტაპის გათვალისწინება შეადგენს“, — წერდა ივანე გიგინეიშვილი<sup>35</sup> და ბუნებრივია, რომ მისი ხანგრძლივი და ღრმა დაკვირვებანი სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე ორგანულად ერწყმოდა ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის დიდ ეროვნულ საქმეს.

სალიტერატურო ენა ნორმირებული ენაა, მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. იგი ერთიანი, მონოლითური უნდა იყოს, ჰქონდეს მტკიცე წესები, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება ამ ენის მომხმარებელთათვის.

ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხები, როგორც ჩანს, ადრინდნევე ისმოდა. ძველ საქართველოში სანიმუშოდ მოუვლიათ ამ საკითხებისათვის. სალიტერატურო ენის ნორმები ურყევად, მტკიცედ ტარდებოდა, „ძველს საქართველოში სალიტერატურო ენის მოვლა, მის სრულყოფა-განვითარებაზე ზრუნვა მაღალ დონეზე იდგა. ის მემკვიდრეობა, რომელიც ძველმა საქართველომ დაგვიტოვა, ამ მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ სალიტერატურო ენის განვითარება...

<sup>33</sup> ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიას დეაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში, იკე, XXII, გვ. 284.

<sup>34</sup> არნ. ჩიქობავა, სალიტერატურო ენა და ნორმა, კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეორე, 1979, გვ. 15.

<sup>35</sup> ივ. გიგინეიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა (ხელნაწერი), გვ. 17.



რებისათვის ზრუნვა ჩვენს წინაპრებს პირველი რიგის საქმედ მიაჩნდათ“<sup>36</sup>. მაგრამ შუა საუკუნეებიდან ძველი ქართულის მონოლიტობა ირღვევა, ძველის გვერდით ჩნდება ახალი ფორმები, გზას იკაფავს დიალექტიზმები, თარგმანების გზით შემოდის უცხო ლექსიკა. ყოველივე ამის გამო ამ პერიოდის ენა ნარევიანია, რამაც „ის შედეგი მოიტანა, რომ კარგა ხნის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენა აღარ იყო ძველი სალიტერატურო ენის მსგავსად მკაცრად უნიფიცირებული ნორმების მქონე ენა. მისთვის ნაირგვარი მორფოლოგიური თუ სიტყვაწარმოებითი ვარიანტების არსებობაა დამახასიათებელი, რაც ენის სინტაქსურ წყაროებშიც იწვევდა ნაირგვარობას“.

მაგრამ ენის მოვლა-პატრონობა, მის სიწმინდეზე ზრუნვა არც ამ პერიოდში მიუტოვებიათ.

XVIII ს-ში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც უფრო დახვეწილია, ვიდრე წინა, XVI—XVII საუკუნეების ენა და ცოცხალ მეტყველებასთანაც უფრო ახლოს არის. მაგრამ ამას შემდეგ მოჰყვა გაბატონება ანტონის უკიდურესად ხელოვნური სტილისა და ორთოგრაფიული წესებისა, რომლებსაც „საყრდენი არ ჰქონდა არც ინტელიგენციის ენაში, არც ხალხის მეტყველებაში. ის არ ემყარებოდა ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური სინტაქსური აღნაგობის შესწავლას“.

მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების—აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვათა მოღვაწეობის შედეგად გაიმართა ანტონის მიერ გამრუდებული ხაზი სალიტერატურო ენის განვითარებისა. ახალი სალიტერატურო ენა კვლავ ხალხის მეტყველებას — აღმოსავლურ დიალექტებს დაეყრდნო, მაგრამ, იმავე დროს, მის განვითარებასა და სრულყოფაში მონაწილეობდნენ ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტის წარმომადგენლები. ილიას მეთაურობით განახლდა და განვითარდა ქართული პროზა, შეიქმნა ქართული პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკა (შესაბამისი სტილით), რამაც გამოიწვია, ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციებისა და, მეორე მხრივ, მისი მომხმარებელი წრის გაფართოება. ამან (და სალიტერატურო ენაში სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთა მონაწილეობამაც) ხელი შეუწყო პარალელური ფორმების გაჩენას, რამაც მოამრავლა სადავო საკითხები, ცხადი გახადა, რომ სალიტერატურო ენაში მოსაგვარებელია და გადასაქრელი მრავალი ორთოგრაფიული, მორფოლოგი-

36 ივ. გიგინეიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის..., გვ. 17.



ური, სინტაქსური თუ სხვა საკითხი. ე. ი. სალიტერატურო ენის და-  
 დათანობითმა გამდიდრებამ ნორმების მოწესრიგების საჭიროება  
 მოიწვია.

სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოგვარებით ერთი  
 პირველთაგანი ი. ჭავჭავაძე დაინტერესდა, ზუსტად შემოფარგლა ასეთ  
 საკითხთა წრე და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. პრაქტიკულად გა-  
 ტარდა სერიოზული ორთოგრაფიული რეფორმა — სალიტერატურო  
 ენამ ილია ჭავჭავაძის მაგალითისამებრ ხელი აიღო ძველი ასოების  
 ხმარებაზე. გაცხოველდა ინტერესი სალიტერატურო ენის ნორმატუ-  
 ლი საკითხების მიმართ, პერიოდულ პრესაში მრავალი საყურადღებო  
 სტატია გამოჩნდა (დავით ყიფიანის, პ. ჭარაიას, ს. ხუნდაძის, ი. გოგე-  
 ბაშვილის, გრ. ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ა. ხახანაშვილის,  
 გ. წერეთლის, კ. დოდაშვილის, ა. ქუთათელაძის, პ. მირიანაშვილის,  
 თ. სახოკიას, ვ. ყიფშიძის, ს. გორგაძის და სხვ.). მათში ნორმების დად-  
 გენისა და ნორმათა პრინციპების შემუშავების ცდები იყო წარმოდ-  
 გენილი.

სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოგვარების ცდებს  
 გხვდებით იმდროინდელ სასკოლო გრამატიკებშიც.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დამდეგს ამ მუშაობას უფრო სისტე-  
 მატური ხასიათი მიეცა.

მას შემდეგ, რაც ქართული სალიტერატურო ენა საქართველოს  
 სახალმწიფო ენად გამოცხადდა და ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი  
 ჩაიწერა ჩვენს კონსტიტუციაში, ეროვნული გახდა სკოლა, სახელ-  
 მწიფო აპარატი, სამართლის წარმოება და, რაც ყველაზე მნი-  
 შვნელოვანი იყო, დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებლები.  
 თბილისის უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ და  
 სამედიცინო ინსტიტუტებში სწავლება და სამეცნიერო-კვლევითი  
 მუშაობაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ყოველივე ამან ქართული  
 სალიტერატურო ენის ფუნქციათა კიდევ მეტად გამდიდრება-გაფარ-  
 თობა გამოიწვია. პირველ რიგში სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნი-  
 ფიკაციის საკითხი უნდა გადაჭრილიყო, რათა ქართულ ენაზე ამტ-  
 ყველებულიყო მეცნიერების ყველა დარგი. 1922—25 წლებში განა-  
 თლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა ცენტრალური სატერ-  
 მინოლოგო საბჭო (თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი), რომელმაც გარ-  
 კვეული მუშაობა ჩაატარა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენისა  
 და სალიტერატურო ენის სადავო საკითხების უნიფიკაციის ხაზით.  
 1925 წ. სახკომსაბჭოსთან დაარსდა სატერმინოლოგო კომისია. მო-



გვიანებით ეს კომისია გარდაიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებად. მას დაეკისრა სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საქმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოგვარებულიყო ქართული სამეცნიერო ენის ლექსიკის საკითხი.

1920 წლის მაისში თბილისში უნდა მოწვეულიყო ენის მცოდნეთა ყრილობა სალიტერატურო ენის სავალდებულო ნორმების განსახილველად და დასადგენად. წინასწარი მუშაობა დაკისრებული ჰქონდა საორგანიზაციო კომისიას, (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, დ. უზნაძე...). კომისიამ გამოაქვეყნა მოსაგვარებელი საკითხების სია. 1921 წელს კი გამოიცა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულსათვის (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ)“. აქ წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები სალიტერატურო ქართულის არაერთ საღავო საკითხზე.

30-იან წლებში ენისა და ტერმინოლოგიის კომისიამ (რომელიც განათლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა) და სახელმწიფო გამომცემლობამ რედაქციების მუშაკათთვის მოაწყვეს კურს-კონფერენცია, სადაც ენის სპეციალისტებმა (გ. ახვლედიანმა, ა. შანიძემ, ა. ჩიქობავამ, ვ. თოფურია, ს. ჯანაშიამ, ს. ყაუხჩიშვილმა), წაიკითხეს მოხსენებების ციკლი სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხებზე. ეს მოხსენებები გამოქვეყნდა ცალკე ნაკვთებად საერთო სათაურით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“.

როგორც ივ. გიგინეიშვილი მოგვითხრობს, აქ ჩამოთვლილ სამუშაოთა მთელი სიმძიმე თბილისის უნივერსიტეტის მუშაკებს აწვათ მხრებზე. ამ მუშაკთა შორის ძირითადი ადგილი ეჭირათ უნივერსიტეტის პირველ კურსდამთავრებულებს — ა. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას და ვ. თოფურიას.

1936 წ. განათლების კომისარიატის მიერ გამოყოფილი კომისიის სახელით გამოქვეყნდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ ერთი ნაკვეთი, რომელშიც წარმოდგენილია სალიტერატურო ენის რამდენიმე ძირითადი საღავო საკითხის გადაწყვეტა.

ამ ნორმათა გავრცელებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილმა „სასკოლო ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა“, რომელიც სამჯერ გამოიცა (1941, 1946 და 1949 წწ.).

1946—1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრე-



ზიდიუმთან მუშაობდა ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია ჯერ აკად. ს. ჯანაშიას, შემდეგ აკად. ა. შანიჭიჭიჭის მჯდომარეობით. კომისიის სწავლული მდივანი იყო ივ. გიგინეიშვილი. მასალას ნორმათა პროექტისათვის ამზადებდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ნორმათა საკითხი საენათმეცნიერო კვლევა-ძიების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ცოტა მოგვიანებით საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია“, რომელშიც შედიან სპეციალისტი ენათმეცნიერები, მწერალთა კავშირის, ლიტერატურისა და პრესის მუშაკთა წარმომადგენლები.

ივ. გიგინეიშვილი იყო ამ კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, მისი აქტიური და შემოქმედი წევრი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ივ. გიგინეიშვილი დაარსების დღიდან (1954) ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილებას (ამჟამად „მეტყველების კულტურის განყოფილება“), რომელიც ამ კომისიის სამეცნიერო აპარატს წარმოადგენს და რომელსაც დაეკისრა სადავო საკითხების შესწავლა და ნორმათა პროექტების შედგენა.

„ქართული ენის ნორმათა დადგენის საქმე საბოლოოდ დადგა მყარ საფუძველზე, რადგანაც იგი გახდა საერთოდ საენათმეცნიერო კვლევა-ძიებისა და, კერძოდ, ქართული ენის შესწავლის მიზნით წარმოებული მუშაობის ორგანული და მყარი ნაწილი“<sup>37</sup>.

განყოფილების საკმაოდ რთულ სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას ივ. გიგინეიშვილი წარმართავდა მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღინჯით და დიდი პრინციპულობით. ამას ერთვოდა საოცარი სიყვარული ამ დიდი ეროვნული საქმის მიმართ.

განყოფილება და მისი ხელმძღვანელი მტკიცედ იცავდნენ იმ პრინციპებს, რაც შემუშავდა და მიღებულ იქნა თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად (სახელმწიფო კომისიის წევრის არნ. ჩიქობავას მოხსენების თანახმად)<sup>38</sup>.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით შედგა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი კრებული (1970), რომლის

<sup>37</sup> ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიას ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში, ივე, XXII, გვ. 288.

<sup>38</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

გამოსაცემად ივ. გიგინეიშვილმა, როგორც რედაქტორმა, ძალზე დიდი შრომა გასწია. ამ კრებულში გათვალისწინებულია წინათ არსებული კომისიების ნამუშევარი. ნორმები მიღებულია ცნობილი ენათმეცნიერების — ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას და სხვათა, აგრეთვე განყოფილების თანამშრომლების მოხსენებათა საფუძველზე. თითოეულ სტატიაში წარმოდგენილია საკითხის წარმოშობის ისტორია, სათანადო დასაბუთება და საილუსტრაციო მასალა.

ამ კრებულში შესულ ნორმათაგან ათი მიღებულია ივანე გიგინეიშვილის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე.

აქ გადაჭრილია ბევრი საჭირობო რეცეპტი და სადავო საკითხი, როგორცაა: II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშან ჰ-ს და ხ-ს გამოყენების საკითხი, რიცხვითი სახელების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები (ოცდამეშვიდე თუ მეოცდამეშვიდე? თუთხმეტი, თხუთმეტი თუ ხუთმეტი? ასპირველი თუ ასმეერთე? მესამოცე წლები თუ სამოციანი წლები? ორ მილიონმა კაცმა თუ ორმა მილიონმა კაცმა?), პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები (ანთავისუფლებს, ანხვავებს, ანვითარებს, ანცვიფრებს, ანსახიერებს, აღშფოთებს... თუ ათავისუფლებს, ახვავებს, ავითარებს, აცვიფრებს, ასახიერებს, აშფოთებს...?), ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული სიძნელები (ეთერიმ თუ ეთერმა...) ვ'ინის ჩართვისა და დაკარგვის წესები, კომპოზიტების მართლწერის საკითხი.

არანაკლებ საინტერესოა ივანე გიგინეიშვილის თეორიული ხასიათის სტატიები ენის ნორმალიზაციის საკითხებზე, დაწერილი მისთვის ჩვეული სიციხადითა და მყარი საბუთიანობით.

ბოლო წლებში მწვავედ დაისვა უცხოურ პირთა ქართულად გადმოცემის საკითხი. პრესაში დისკუსიაც კი გაიმართა ამ საკითხის ირგვლივ. 1972 წ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ I წიგნში გამოქვეყნდა ივ. გიგინეიშვილის წერილი „უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის“, რომელშიც მეცნიერული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები უცხოურ პირთა სახელების გადმოცემისა.

1982 წ. დისკუსია კვლავ განახლდა ამავე საკითხზე. სამწუხაროდ, ჩანს, დისკუსიის ხელახლა წამომწყებნი სათანადოდ ვერ ჩასწვდომიან ამ წერილის დებულებებს და ისიც არ გაუთვალისწინებიათ, რომ ამ პრინციპთა საფუძველზე არის გამართული ჩვენი ენციკლოპედიის 5 ტომი.

ივანე გიგინეიშვილის რედაქტორობით მომზადდა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ 5 წიგნი. კრებულში ქვეყნდება სტატიები და ნარკვევები ქართული ენის მართლწერის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, ტერმინოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხებზე, რომლებიც მოწვევნიერებს მოითხოვს. იბეჭდება მიმოხილვები ვაზეთების, ყურნალების, სახელმძღვანელოთა ენის სიწმინდის საკითხებზე.

კრებულს ასეთი სახე განყოფილების ხელმძღვანელმა მისცა. კრებულში მონაწილე მკვლევართ კი ასეთი ამოცანა დაუსახა: წერილები და გამოკვლევები უნდა ასახავდეს ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების მაღალ დონეს, ამასთან, უნდა იყოს ნორმატული ხასიათისა, საკითხები უნდა გადაიჭრას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, ნორმათა დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელსო.

ივ. გიგინეიშვილი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა ამ კრებულის შედგენა-რედაქტირებას. მისი ღრმა რწმენით, კრებული მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვას და ქართული მეტყველების კულტურის მაღალი დონისათვის ბრძოლის მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დადგომას.

დაულალავად იღვწოდა ივ. გიგინეიშვილი სალიტერატურო ენის ნორმების არა მარტო დადგენისათვის, არამედ აგრეთვე ამ ნორმათა ხალხში გავრცელებისათვის, დანერგვისათვის და სალიტერატურო ქართულის სიწმინდის დაცვისათვის. იგი, რამდენადაც ეს საქმე ეროვნული მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდა, სისტემატურად კითხულობდა ლექციებს ტელევიზიისა და რადიომათუწყებლობის მუშაკთათვის, გამომცემლობების თანამშრომელთათვის, პედაგოგებისათვის განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ უნივერსიტეტში... ხელმძღვანელობდა რადიოგადაცემათა ციკლს, რომელიც ემსახურება დადგენილ ნორმათა პოპულარიზაციას, სადავო საკითხების განმარტებას, რთული გრამატიკული საკითხების ფართო აუდიტორიისათვის ვასაგებად მიწოდებას...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვის საქმეში დიდ როლს ასრულებს ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას მიერ შედგენილი ქართული ენის ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც 1968 წ. გამოვიდა.

ეს წიგნი ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა სამაგიდო წიგნად იქცა. მისი ფარგლები შორს სცილდება წმინდა ორთო-



გრაფიული ლექსიკონის ფარგლებს, რამდენადაც ის მიზნად ისახავს არა მხოლოდ სიტყვათა მართლწერის, ე. ი. წმინდა ორთოგრაფიული საკითხების გარკვევასა და ჩვენებას (ასეთი საკითხები ქართულში არცთუ ისე მწვავეა), არამედ, იმავე დროს, წარმოადგენს ერთგვარ საცნობარო წიგნს ქართული ენის მორფოლოგიურ ფორმათა მართლ-ხმარების შესახებაც. მასში წარმოდგენილია მდიდარი მასალა ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკიდანაც, მაგ.: ეროვნული და საერთაშორისო სინონიმები, მოძველებული სიტყვები და მათი შემცვლელი თანამედროვე ერთეულები, იშვიათად — სინტაგმებიც კი.

საინტერესოა ლექსიკონის აგებულებაც: სალექსიკონო სტატიაში ხშირად სწორი და არასწორი ფორმები ერთადაა მოცემული საგანგებო აღნიშვნის დართვით, რაც მკითხველს ამახვილებინებს ყურადღებას არა მარტო სწორ ფორმებზე, არამედ შესაძლო შეცდომებზეც, ზოგჯერ პარალელურად დასაშვებ ვარიანტთაგან მითითებულია უმჯობესი ვარიანტი და ა. შ.

ამჟამად გამოცემლობა „განათლებაში“ იბეჭდება ამ ლექსიკონის ახალი, შევსებული გამოცემა, რომელიც მოამზადა ივ. გიგინეიშვილმა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციასთან ერთად ივ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შედგა და საბოლოო რედაქცია გაიარა საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა, რომელსაც ალბათ მალე მიიღებს ქართველი საზოგადოებრიობა.

იმავე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციასთან ერთად ივ. გიგინეიშვილმა, როგორც მეტყველების კულტურის განყოფილების გამგემ, მოამზადა მასალა უცხო პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ქართულად გადმოცემის მოსაწესრიგებლად და შესაბამისი ორთოგრაფიული ცნობების გამოსაცემად.

ივ. გიგინეიშვილი სწავლობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიას. მას დარჩა ხელნაწერი შრომა „ივანე კერესელიძის „ცისკარი“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხების შესახებ“. თავის გამოკვლევებსა თუ წერილებში იგი წარმოაჩენდა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მოღვაწეთა როლს სალიტერატურო ენის სადავო საკითხების გამოვლენასა და მოგვარებაში.

მრავალ სტატიასა თუ საჯარო გამოსვლაში (ამ გამოსვლების ტექსტები დაცულია) მან საგანგებოდ აღნიშნა ჩვენი დიდი ენათმეცნიერების — არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას და ვ. თოფურის დამსახურება

ამ დიდ ეროვნულ საქმეში, გახაზა, რომ სალიტერატურო ენის ნორმებისათვის ბრძოლის საკითხი ობიექტურ მეცნიერულ საფუძველზე დაყენა არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებულმა პრინციპებმა. ვ. თოფურიას ამაგის შესახებ იგი ვრცლად მსჯელობს საგანგებო წერილში: „ვ. თოფურიას ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში“<sup>39</sup>.

ივ. გიგინეიშვილი ფართო საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა. მას ამომწურავი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაუცია უამრავ შეკითხვაზე, რომლებსაც ენათმეცნიერების ინსტიტუტი იღებდა სალიტერატურო ენის საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთა თუ დაწესებულებებისაგან.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ბოლოდროინდელი საქმიანობა, რომელსაც ივ. გიგინეიშვილი უძღვებოდა, სალიტერატურო ენის ნორმათა მეორე კრებულის მომზადებას ემსახურებოდა. კრებულში სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხების შეტანა ივარაუდება. ეს საქმეაოდ რთული უბანია. სტილის სფეროში კანონზომიერების დადგენა, ნორმის დაწესება გარკვეულ სიძნელეებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ამ კანონზომიერებათა მიკვლევა, დადგენა. ამის შესახებ ივ. გიგინეიშვილი წერდა: „შესაძლოა ორთოგრაფიული საკითხებიც მოგვარებული იყოს, მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმებიც დადგენილ-დაკანონებული და დაცული, მაგრამ სალიტერატურო ენამ მაინც ვერ შეასრულოს ჯეროვნად თავისი ფუნქციები, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა ენის სტილისტიკურ მხარეს... ესაა ყველაზე საჭირობოროტო საკითხი დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში და ჯეროვნად მისი მოგვარება არაერთ სიძნელესთანაა დაკავშირებული“<sup>40</sup>.

განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით განყოფილებაში მუშავდებოდა სტილისტიკის საკითხები. ზოგი მათგანი გამოქვეყნდა ჩვენს კრებულში, ზოგზე კი გრძელდება მუშაობა.

დაწყებული იყო მუშაობა პრაქტიკული სტილისტიკის სახელმძღვანელოს შესადგენად ნორმატული ხასიათის გამოთქმათა ლექსიკონითურთ. საამისოდ შეისწავლებოდა შესიტყვების ფუნქციები, შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შეხამება მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამ ლექსიკონისათვის განყოფილების თანამშრომლების მიერ მო-

39 იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXII, თბ., 1980.

40 ივ. გიგინეიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა (ხელნაწერი), გვ. 18.

მზადდა მასალა (500-მდე სიტყვა-სტატია). ივ. გიგინეიშვილმა შეიმუშავა და განყოფილებას გააცნო ლექსიკონში შესატანი სიტყვა-სტატიის რამდენიმე ნიმუში, განყოფილების სხდომაზე განიხილა თანამშრომლების მიერ მომზადებული მასალიდან რამდენიმე ნიმუში, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი მასალის რედაქტირება ველარ მოასწრო.

განყოფილებას სხვა პრობლემებიც ჰქონდა: შეისწავლებოდა თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციები, თანამედროვე მწერალთა ენა, ჩვენი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, სასკოლო სახელმძღვანელოების ენა. ამ მუშაობის შედეგებიც თანდათანობით აისახებოდა განყოფილების კრებულში. მთელ ამ საქმიანობას განყოფილების ხელმძღვანელი წარმართავდა.

სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს მოაკლდა დიდი სპეციალისტის, ხალასი ენათმეცნიერული ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოებული მკვლევრის, შესანიშნავი ორგანიზატორის თვალი და ხელი. იგი ამ საქმის დიდი მცოდნე იყო... და მუშაობდა იგი დიდი ენთუზიაზმით, მეცნიერული სიღინჯით, გატაცებითა და საოცარი სერიოზულობით, იკვლევდა ფაქიზად და ღრმად...

ძნელია მოკლე სტატიაში სრულად აღწერო მისი მოღვაწეობის თუნდაც ეს ერთი მხარე.

ახლოდ ჩიკობავა

ხალხი, ენა, მწერალი

1. ენას ხალხი ქმნის, სამწერლო ენას — მწერლობა, სამწერლო ენის ძეგლები ენის ნაკვალევს ტოვებენ ისტორიაში.

ენის სპეციალისტი ამ ნაკვალევის მიხედვით აღადგენს, მეტ-ნაკლები სისრულით, თუ რა სახისა იყო იმ დროს ენის ლექსიკა, სიტყვისა და წინადადების სტრუქტურა, ბგერითი შედგენილობა.

2. ქართული სამწერლო ენის ყველაზე ძველ „ნაკვალევად“ ითვლება წარწერა ბოლნისის სიონზე V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა (ასოთა მოხაზულობა ქვაზე — ივანე ჭავჭავაძის სამართლიანი ვარაუდით — გვაფიქრებინებს, რომ მეხუთე საუკუნეში შექმნილად ქართულ ანბანს ვერ მივიჩნევთ: ამ დროისათვის მას განვითარების გარკვეული გზა უნდა ჰქონდეს გავლილი).

3. ერის რაობას როცა განსაზღვრავენ, ენის ერთობაზე მიუთითებენ.

ერის რაობის ეს ნიშანი ყველაზე ძველია (ტერიტორიის ერთობა, ეკონომიკა, ფსიქიკური წყობა ამ მხრივ ენას ვერ შეედრებია). ერის რაობის ეს ყველაზე ძველი ნიშანი ხალხს ახასიათებდა, ხალხის მეობას განსაზღვრავდა:

შეიძლება ხალხმა სამშობლო გამოიცვალოს და იმავე ხალხად დარჩეს, თუ ენა შეინარჩუნა, — წერს კ. უშინსკი, ცნობილი პროგრესული რუსი პედაგოგი, — მაგრამ სხვა ხალხად იქცევა, თუ ენა იცვალა (თურქული მოდგმის ხალხი, ბულგარელები, კარგა ხანია ახლანდელ სამშობლოში დამკვიდრდნენ, სლავური მეტყველება შეითვისეს და სლავ ხალხად თვლიან თავს).

ენა ხალხის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანია.

4. აქ იგულისხმება ბუნებრივი ენა, ხალხის შექმნილი და ხალხის კუთვნილება.

შეიძლება „ენის“ შექმნას ცალკეული პირიც შეეცადოს: „ესპერანტო“, „ილო“.. ამგვარი ენის ნიმუშებია; ესაა ე. წ. „ხელოვნური



დამხმარე საერთაშორისო“ ენები. ყველაზე მეტი მიმდევარი „ესპერანტო-რანტოს“ ჰყავს. იგი ლათინური ენის გამარტივებულ სუროგატს წარმოადგენს.

„ესპერანტომ“ რაღაც პრაქტიკული დახმარება შეიძლება გაუწიოს იმას, ვინც ეს ენა ისწავლა, მაგრამ ამ ენაზე ლირიკული პოეზია რომ შეიქმნას, სათუთა: ბუნებრივი ენის მაგივრობას ის, ცხადია, ვერ გასწევს.

რაც არსებითია: ავტომატური თარგმანი რადიკალურად ცვლის ვითარებას — სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთა ურთიერთობაც შესაძლებელი ხდება და ხალხის დედაენასაც მისი ბუნებრივი ადგილი ურჩება.

5. ენის რაობას, ენათა ცვლის ისტორიას იკვლევს, სამწერლო ენის მეურნეობას უვლის და სამწერლო ენის განვითარების საკითხებს შეისწავლის ენის სპეციალისტი, ენათმეცნიერი: რა გვაქვს სამწერლო ენაში და, თუ რაყევა გვაქვს, როგორ მივიღეთ იგი. ერთი სიტყვით, ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალება; კერძოდ, ისიც უნდა გაარკვიოს: ის ნაირგვარობა გვაქვს, რაც სალიტერატურო ენას აჭრელებს და აძაბუნებს და, მაშასადამე, უადგილოა („იმათ თქვეს“ — შდრ. იმათმა თქვეს, იმგენმა თქვეს), თუ ისეთი ვარიანტებია, რომ მათი მოშლა ენას გააღარიბებდა, შტამპს შექმნიდა („მგზავრი დაშავდა“... „მეურნეობა დაზარალდა სეტყვისაგან“... „შენობა დაზიანდა მიწისძვრისაგან“... რუსული ენა აქ სამსავე შემთხვევაში ერთ ზმნას იხმარს: пострадал, -а, -о... ქართულადაც ერთ სიტყვას — „დაზარალდა“ — ხმარობს ზოგი ავტორი ზოგ გაზეთში...).

6. სალიტერატურო ენის კანონმდებლად მოქმენდა თავი ძველ სასკოლო გრამატიკას; აქ საკითხს ასე სვამდნენ: როგორ არის, როგორ უნდა იყოს! ჩვეულებრივ იტყოდნენ: ასეა კეთილზმოვანიო! ერთისთვის კეთილზმოვანი შეიძლებოდა მეორეს არაკეთილზმოვნად მიეჩნია („ბავშვი“ თუ „ბავში“... უფრო კეთილზმოვანი რაა, ამაზე კამათი ჩვენში ყოფილა...). ეს სუბიექტური საზომია.

7. სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის; მხატვრული ნაწარმოები... აქ „არ ყველა სწორია“: არის რომანი, მოთხრობა..., რომ მკითხველი არაერთხელ წაიკითხავს, და ყოველ ჯერზე ახალ რაღაცას იბოვის მასში, ახლებურად აღიქვამს... ასევე — ლექსიც, ზეპირად რომ სწავლობენ. არის — სხვაგვარიც.

და მაინც: ერთი კარგი მოთხრობა ან ლექსი რომ შესძინოს მშობლიურ მწერლობას ავტორმა, კეთილი საქმეა...

ყველა ზარი ხომ თანაბრად არ გუგუნებს... „Vivos voco, mor-

tuos plango“ — „ცოცხლებს მოვუხმობ, მკვდრებს დავიტირებ“, შეუძლია თქვას მოგუგუნე ზარმა, მწერალმა.

8. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დროში, როცა უწიგნური ბავშვი არ რჩება, როცა დედაენას ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში დიდი სარბიელი უჩნდება, და დედაენის განვითარების საკითხები რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ზრუნვის საგანი გახდა (ოფიციალური დადგენილებაც კი გამოაქვთ და დადგენილებების შესრულებასაც კონტროლი ეწვევა), ქართული ლიტერატურისა და ქართველი მწერლის „დროშა მალლა ავიდა“...

ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება ის არის, რომ ქართული მწერლობისა და ქართული ენის ბურჯებს საგანგებო დღეები დაუწესდათ<sup>1</sup>, მათი დვაწლი რომ იხსენიებოდეს: რუსთაველის დღე, ილიას დღე, აკაკის დღე, ვაჟას დღე, იაკობ გოგებაშვილის დღე...

აქ ერთი საკითხი ჩნდება: ბუნებრივი არ იქნებოდა გვექონოდა ქართული ენის დღე, იმ ენის დღე, ურომლისოდაც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იგუგუნებდნენ?...

შეიძლებოდა ქართული ენის დღე დაკავშირებოდა ქართული პოეზიის მწვერვალის — რუსთაველის დღეს: „რუსთაველისა და ქართული ენის დღე“...

ამ დღეს შევაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის კვლევისათვის რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში — ნორმათა დანერგვის მხრივ...

რა გაკეთდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა მასობრივი გამოცემის მხრივ... და ასე შემდეგ...

„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“ (თუ: „ქართული ენისა და რუსთაველის დღე“) იქნებოდა „ქმნა მართლისა სამართლისა“..., რაც ქართულ ენას ფაქტობრივ აქვს და ოფიციალურადაც ეკუთვნის.

<sup>1</sup> სიცოცხლეში ილია ჭავჭავაძეს, ქართველი ხალხის ჭირისუფალს, იუბილე ვერ გადაუხადეს... უკანასკნელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე უსამართლობა გამოსწორდა.

ივანე გიგინეიშვილი

პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი ახალი  
ქართული ლექსის ენაში\*

ქართულ ენაში მსაზღვრელი შეიძლება იყოს პოსტპოზიციური, ე. ი. სასაზღვრი სახელის მომდევნოდ დასმული, და პრეპოზიციური, ე. ი. სასაზღვრი სახელის წინ დასმული.

„და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჟთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... და წარმოჰართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი...“<sup>1</sup>

„და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და წარადგინა იგინი წინაშე საკურთხეველს...“<sup>2</sup>

„და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწართა საესჳ და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა“<sup>3</sup>.

ერთი მხრით, გვაქვს პოსტპოზიციური წყობის ნიმუშები: საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, მსახურნი მისნი, მონაჲ თჳსი, ტაძარი თჳსი, სახლაკი ერთი მცირე, ყურესა ერთსა...

მეორე მხრით, გვაქვს პრეპოზიციური წყობის ნიმუშები: მისნი ძენი, სადიასპანოჲთა ცხენითა, სამნი იგი ძენი, ერთი ასული, მწუხრისა ჟამი, მწართა ცრემლითა...

მსაზღვრელად შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი, ხმოვანფუძიანი, ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი და ნანათესაობითარი

\* წაკითხულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიაზე 1971 წ. 23 დეკემბერს (თეზისები გამოქვეყნებულია).

<sup>1</sup> „მარტყოლბაჲ შუშანიკისი“, ილია აბულაძის გამოცემა, ტფ., 1938, გვ. 5.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 6.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 7.



სახელები. ამათგან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი პრეპოზიციურია და მართულია სასაზღვრი სახელწოდებით. ერთ ბრუნვაში; თანხმოდგენილი და ხმოდგენილი მსაზღვრელები პრეპოზიციურადაც შეიძლება იყოს დასმული და პოსტპოზიციურადაც და შეთანხმებულია სასაზღვრთან ბრუნვაში; ნანათესაობითარი სახელი მხოლოდ პოსტპოზიციურია და ბრუნვაშია შეთანხმებული სასაზღვრთან. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმებოდა მრავლობით რიცხვშიც.

წყობა მსაზღვრელ-საზღვრულისა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უპირატესად მაინც პოსტპოზიციური იყო: ქუეყანაჲ იგი ჰერეთისაჲ, ქუეყანასა მას ჰერეთისასა... საზღვარი ქართლისაჲ... საზღვარნი ქართლისანი, საზღვართა ქართლისათა...

პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელი მტკიცედაა დაკავშირებული სასაზღვრ სახელთან და არ შეიძლება მიეკედლოს შესიტყვების სხვა რომელიმე წევრს (სახელს), — კონსტრუქცია დახშულია; პოსტპოზიციური წყობისას ეს კავშირი შეიძლება დაირღვეს: მსაზღვრელი შეიძლება დაუკავშირდეს შესიტყვების შემდგომს წევრს — სახელს, — კონსტრუქცია დაუხშველია<sup>4</sup>. ამის გამო პოსტპოზიციური წყობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსაზღვრელი სახელის შეთანხმებას სასაზღვრთან ბრუნვასა და რიცხვში. ამით გამოირიცხება სხვა სახელთან მისი დაკავშირების შესაძლებლობა, კონსტრუქცია დახშული ხდება. პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელის სასაზღვრთან რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების აუცილებლობა აღარ არის. ამიტომ, რომ პრეპოზიციური მსაზღვრელი იჩენს ბრუნვის ნიშნების ჩამოკვეცის ტენდენციას.

ახალ სალიტერატურო ქართულში მსაზღვრელის პრეპოზიციურად დასმის ტენდენციამ გაიმარჯვა და გაძლიერდა მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნების ჩამოკვეცის ტენდენცია. მოიშალა აგრეთვე მრავლობით რიცხვში შეთანხმება მსაზღვრელისა სასაზღვრთან.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული პრეპოზიციური მსაზღვრელი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში, ჩვეულებრივ, მართული იყო: ქართლისა ქალაქი, ქართლისა ქალაქმან, ქართლისა ქალაქსა... ძმისა სახლი, ძმისა სახლმან, ძმისა სახლსა, ძმისა სახლისა, ძმისა სახლითა, ძმისა სახლად, ძმისა სახლო...

ასევე დარჩა იგი ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც, ოღონდ

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1950, გვ. 047, 049.



ა) მან დაკარგა ემფატიკური ა ხმოვანი და

ბ) ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით გაზრდილა და გაბატონდა კიდევც.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული პრეპოზიციური მართული მსაზღვრელი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში პოსტპოზიციურად მოქცევისას სასაზღვრ სახელთან ბრუნვაში (და რიცხვში) შეთანხმებული ხდებოდა და მას ყველა ბრუნვის ფორმა მოეპოვებოდა.

სახელობითი	სახლ-ი	ძმისა-ა
მოთხრობითი	სახლ-მან	ძმისა-მან
მიცემითი	სახლ-სა	ძმისა-სა
მიმართულებითი	სახლ-ად	ძმისა-(დ)
ნათესაობითი	სახლ-ისა	ძმ-სა-მსა
მოქმედებითი	სახლ-თა	ძმისა-ათა
მიმართვის ფორმა	სახლ-ო	ძმისა-ო

ქალაქ-ი ქართლისა-ა, ქალაქ-მან ქართლისა-მან, ქალაქ-სა ქართლისა-სა, ქალაქ-ად ქართლისა(დ), ქალაქ-ისა ქართლისა-მსა, ქალაქ-ითა ქართლისა-ათა, ქალაქ-ო ქართლისა-ო.

როდესაც ა ბგერა გაქრა სალიტერატურო ქართულში და ამასთან დაკავშირებით მოიშალა ამ ბგერის შემცველი დიფთონგები, ამ ფაქტმა შედეგად ის მოგვცა, რომ ასეთი მსაზღვრელის ბრუნება დეფექტური გახდა: ახალ სალიტერატურო ქართულში მას აღარ მოეპოვება ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმები. სახლისა ძმისა-მსა და სახლითა ძმისათა ან ქალაქისა ქართლისამსა და ქალაქითა ქართლისათა ფორმების ბადალი ახალ ქართულში აღარ გვაქვს. ა ბგერა ახალ ქართულში არც სახელობითშია, მაგრამ აქ მსაზღვრელს საზღვრულთან მტკიცედ დამაკავშირებლად ემფატიკური ა ხმოვანი შერჩა; ეს ხმოვანი პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელს აღარ შეიძლება ჰქონდეს, ამის გამო პოსტპოზიციური წყობისას ემფატიკურ-ხმოვნიანი ფორმა მომდევნო სახელს ვეღარ დაუკავშირდება. ეს ემფატიკური ა, ამრიგად, კონსტრუქციის დამზღველად გვევლინება. ესაა ნორმა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა<sup>5</sup>.

ამრიგად, ახალ სალიტერატურო ენაში გვაქვს ნანათესაობითარი მსაზღვრელის ასეთი ფორმები:

სახელობითი სახლ-ი ძმისა-  
მოთხრობითი სახლ-მა ძმისა-მ

<sup>5</sup> ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 037.

მიცემითი	სახლ-ს	ძმისა-ს
მიმართულებითი	სახლ-ად	ძმისა-(დ)
ნათესაობითი	არა აქვს	
მოქმედებითი	არა აქვს	
მიმართვის ფორმა	სახლ-ო	ძმისა-ო.

ნანათესაობითარი მსაზღვრელის ბრუნვის ეს პარადიგმა, გარდა იმისა, რომ დეფექტურია (ყველა ბრუნვის ფორმები არ მოეპოვება), არც აქტუალურია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის, იშვიათად იხმარება და, როცა იხმარება, მაშინაც არქაულ იერს ანიჭებს ფრაზას. მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი რთული კონსტრუქცია, როცა ამათი გამოყენება სალიტერატურო ენაში აუცილებელი ხდება, რამდენადაც პრეპოზიციური წყობის ფორმები ყოველთვის მთლიანად ვერ ცვლის ამათ<sup>6</sup>.

ამრიგად, ახალ ქართულში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორგვარი სახეობა: ერთი — პრეპოზიციური სახეობა მართული მსაზღვრელისა (მსაზღვრელი დასმულია ნათესაობით ბრუნვაში, რომელსაც ემფატიკური ა არ შეიძლება დაერთოს), და მეორე — პოსტპოზიციური სახეობა ნანათესაობითარი, ბრუნვაში შეთანხმებული მსაზღვრელისა (მსაზღვრელის ფუძედ გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვის ა ემფატიკურხმოვნინი ფორმა). პირველი სახეობა გაბატონებულია როგორც სასაუბრო მეტყველებაში, ისე სალიტერატურო ენის ყველა სტილსა და ლიტერატურის, კერძოდ, ლექსის, ენაში. მას ყველა შესაძლო ფორმა მოეპოვება. მეორე სახეობა წიგნურია, დეფექტური (ყველა ბრუნვის ფორმა არ მოეპოვება), მაგრამ მაინც არ ქრება ენა-

<sup>6</sup> ნანათესაობითარი მსაზღვრელს მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს უწოდებენ: „ნათ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი, რომელიც მართულია უშუალოდ წინ დასმის შემთხვევაში (ხის სახლი, მებადის სახლი), მართულ-შეთანხმებული ხდება უკან გადასმისას: მართულია იმიტომ, რომ ნათ.-ის ფორმა საზღვრელისაგანა დამოკიდებული, შეთანხმებულია იმიტომ, რომ ეს ნათ.-ის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული და ხელშეორედ ნაბრუნები საზღვრელის ფორმასთან შეწყობის მიზნით“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 91, § 130). ასეთი გავება გამართლებული არ ჩანს. მსაზღვრელი ერთდროულად მართულიც და ბრუნვაში შეთანხმებულიც არ შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში „ნათესაობითის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული“ მხოლოდ და პრინციპულად ისეთივე ვითარებაა, როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელების შემთხვევაში გვაქვს: მსაზღვრელი მისი (მისი წიგნი ან წიგნი მისი) მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელად არ მიიჩნევა, თუმცა ფუძედ ნათესაობითის ფორმა გამოყენებული და შემდგომ კი მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნვაშია შეთანხმებული.



ში, რამდენადაც გარკვეულ შემთხვევებში სრულიად აუცილებელი ხდება პოსტპოზიციური წყობის გამოყენება. განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ფორმები სრულიად მოუქნელია ლექსის ენის თვალსაზრისით.

ის წესი, რომ პრეპოზიციური წყობისას ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელს ემფატიკური ა არ დაურთვის, ხოლო პოსტპოზიციური (ე. ი. ნანათესაობითარი) მსაზღვრელის შემთხვევაში ეს ემფატიკური ა აუცილებელია და, ამასთან, იგი ხშავს კონსტრუქციას, ახალ ქართულში ლექსის ენაშია გატარებული. ლექსის ენაში პოსტპოზიციური (ნანათესაობითარი) მსაზღვრელის გამოყენებისას მოიშალა შეთანხმება ბრუნვაში, ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა (რომელსაც ახალ ქართულში ბუნებრივია, ა ჩამოცილებული აქვს) გავრცელდა ყველა ბრუნვაში, გაჩნდა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებიც, რომლებიც ბრუნვაში შეთანხმებულ ნანათესაობითარ მსაზღვრელს არ ჰქონდა, და შეიქმნა ნანათესაობითარი მსაზღვრელის ერთი უდღეფქტო ბრუნება საერთო სალიტერატურო ენის დეფექტური ბრუნების საპირისპიროდ.

სახელობითი	წიგნ-ი	ამხანაგისა
მოთხრობითი	წიგნ-მა	ამხანაგისა
მიცემითი	წიგნ-ს	ამხანაგისა
მიმართულებითი	წიგნა-დ	ამხანაგისა
ნათესაობითი	წიგნ-ის	ამხანაგისა
მოქმედებითი	წიგნ-ით	ამხანაგისა
მიმართვის ფორმა	წიგნ-ო	ამხანაგისა

თუ ამოსავალია ხმოვანფუძიანი ბოლოუკვეცელი სახელის ნათესაობითის ფუძე, მაშინ ემფატიკური ა-ს ადგილს ემფატიკური ი დაიკავებს:

ციხე რად გინდა, ციხე თვითონ ხარ, მაღალი ზღუდე საქართველოსი (ა. ლეონ).

წმინდა კავშირად მიწის, ზენასი ვაზი დაეშვა იზაბელასი (ა. კლანდ).

ამოსავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავლობითის ფუძეც, როგორც -ებ სუფიქსიანი, ისე -თ(ა) სუფიქსიანი:

და წმინდა სისხლი ქართველებისა შენს კიდებზედ გადასხმულია (ილია).

მაგრამ თურმე სხვა ყოფილა ხასიათი მგოსნებისა (აკაკი).

ქსანზედ, არაგზედ ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა (ა. ლეონ).



რომ მეც შევიგრძნო ხელი მზრუნველი ცაში დაკიდულ შადრევანზე (ი. გრიშ.).

ქართველთ ენა ვერ წარბოცა ქარიშხალმა დროთა (კ. მაყაშუ).

ვლგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ ცეცხლთან, წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა (ი. აბაშ.).

დასახელებულ ფორმათა გავრცელება-დამკვიდრებას, ჯერ ერთი, ხელს უწყობდა ალბათ ის ფაქტი, რომ მიმართულებითს ბრუნვაში მსახვდრელს დაბოლოება არ ჰქონდა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში და შემდგომაც (რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მნიშვნელობა ჰქონოდა იმას, თუ რა წარმოშობისა იყო მიმართულებითის ეს ფორმა)<sup>7</sup>. მეორეც, ამასვე უწყობდა ხელს ალბათ ის ვითარება, რომ წოდებითის ფორმაში ბოლოხმოვნისა სახელები საერთოდ იჩენენ ტენდენციას მოიკვეციონ დაბოლოება<sup>8</sup>.

მოგვეყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა.

### სახელობითი ბრუნვა

სახელობითი ბრუნვის საკითხი სხვა ბრუნვების ფორმათაგან განსხვავებულად დგას; სახელობითის ფორმა ბრუნვაში შეთანხმებულ ფორმათაგან (ამჟამინდელი დეფექტური ბრუნებისაგან) მომდინარეობს, მაგრამ ამჟამად იგი, ჩვეულებრივ, აღქმულია, როგორც ზემომოყვანილი პარადიგმის წევრი, უდეფექტო ბრუნების ნაწილი.

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა (ვ. ირბ.).  
მწუხარი გულიისა, სევდა გულიისა  
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს (ნ. ბარათ.).  
ძნელი არის მართობა აუღიისა (ნ. ბარათ.).  
და წმინდა სისხლი ქართველებისა  
შენს კიდებზედ გადასხმულია (ილია).  
...და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა  
წმინდა საყდარი უკვდავებისა? (ილია).  
ვიციოთ, რომ არ შეშინდება  
გული მეფის დიმიტრისა (ილია).  
ქართველო, ხელი ხმალს იქარ,  
გათენდა დღე დიდებისა,  
თოფ-იარაღი აისხი,  
დრო მოდის გამარჯვებისა (ილია).

<sup>7</sup> არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმქის მოამბე, I, 1937.

<sup>8</sup> შდრ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბ., 1970, გვ. 62—64 (წოდებითი ფორმის დაბოლოება).

სტივის გულა მაქვს ბლიაძის,  
ქამანჩა ქეზაძისაო (აკაკი).  
ნუთუ არ იცი, თუ რაა გული  
ტრფობით გამსჭვალულ დედაკაცისა? (აკაკი).  
ხორცი ვათავდა ქივჭვისა,  
სული კი არა კვდებოდა (ვაჟა).  
ზღუდე გამაგრდა ქართლისა (ვაჟა).  
ოცნება ბახტრიონისა  
მონასტერშია მწირადა (ვაჟა).  
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ  
მთიდან ყვირილი ხარისა (ვაჟა).  
მაგრამ წავიდა დრო ტირილისა,  
შენც არ მარგიხარ ახლა ბრძოლაში (ირ. ევლ.).  
დაიცრემლება ენგიანი სახე მდელოსი (ვ. ვაფრ.).  
პირს დაიყარა ვარდები  
ათასი გაზაფხულისა (გ. ლეონ.).  
ხოხობას გნახე, მიწურვილიყო  
როცა ზაფხული რუსთაველისა (გ. ლეონ.).  
შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც  
და გაქრქოლება მთი გულისა,  
თავშესაფარი რამდენ ოცნების  
იყავ ბანაკი გაზაფხულისა (გ. ლეონ.).  
ამაყო ძმებო! სალამი წმინდა!  
სალამი გრძნეულ რუსთაველისა (პ. იაშვი.).  
რომ მომეტანა საქართველოში  
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა (გ. ტაბ.).  
შემა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა,  
აიმართენ კოშკები ცისა და ნესტანისა (გ. ტაბ.).  
გახსოვს? ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა (გ. ტაბ.).  
შეგირთო და ეგ გულიც ისე მაგრად დახურა,  
როგორც ბერ საქურისმა კარი ალაყაფისა (ი. გრიშ.).  
ვარსკვლავიან ცის კაბადონს  
ჰგავს ფოროჯი კალმახისა (ს. ჩიქ.).  
მოფრთხილებდნენ ლექსები წყნარად  
გუგუნავას და გურიელისა (ს. ჩიქ.).

## მოთხრობითი ბრუნვა

ცრემლი აწვიმა მთაზედა  
ტურტამ ცისკარმა დილისა (ვაჟა).  
ვერ ჰხედავთ, ნდომამ მდერისა  
ჩემს გულში დაისახკარა! (ვაჟა).  
მქადაგებელმა ძმობისა  
ძმობა პირველმა გაყიდა (ვაჟა).  
ვერ გასძლო გულმა გმირისა... (ი. ევლ.).  
უთხარ, რომ გამოიღვიძოს

იმედმა გაზაფხულისა (ი. ევლ).  
 რაც მეტი იყო, ვუჩვენე გზები  
 შემყურემ თქვენის მოლოდინისა (ი. ევლ).  
 მოდი! გეძახი ათას წლის მერე,  
 დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,  
 ვარდისფურცლობის ნიშანი არი  
 და დრო ახალი პაემანისა (გ. ლეონ).  
 დაე, ფერფლმა ნუშისა  
 ჩვენი მხრები მოთოვლოს,  
 გაზაფხულო, აპრილო,  
 დაწვიმულო ფოთოლო! (გ. ლეონ).

### მიცემითი ბრუნვა

და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა  
 ექმნათ საქურედ ჯართა ქართლისა (ნ. ბარათ).  
 ვერ ვაქებ მუნჯის მკვერობას,  
 შორსმკვერეტელობა ბეცისა (აკაკი).  
 მჭრელსა და ფხაშუშულელსა  
 გამმრავლებელსა მკვდრებისა... (ვაჟა).  
 ბრალი რად უნდა დაედვას  
 ალალს, არ მქმნელსა ცოდვისა? (ვაჟა).  
 ან იმ ბაღს ვინ უპატრონებს  
 უსუსურს, მტირალს ბედისა? (ვაჟა).  
 თვალს რომ ვავლებდი, ვხედავდი  
 თმა-წვერს მიაღლის მთისასა (ვაჟა).  
 ეჭაჭგურება, რაც ძალუმს  
 მავთულებს ვნებათ ჟინისა (ვაჟა).  
 და პირველად აქ რაინდებს წმინდა ჯვრისა  
 უმღერიათ... (პ. იაშვი).  
 მას როგორც მოწმეს უკვდავების და დიდებისა  
 ამკობს გვირგვინი მარმარილოს სონეტებისა (პ. იაშვი).  
 ის ვერ ითვლის გმირთა მხარ-მკლავს  
 და სიუხვეს გენიისა  
 და ბრწყინვალეს ანთებს ვარსკვლავს,  
 ვარსკვლავს აკადემიისა (გ. ტაბ).  
 გადავიართო არაგვი,  
 გზები უკანა ფშავისა,  
 მერე ბილიკებს შევუყუეთ  
 მზიანი კიბოს თავისა (პ. კალანდ.).  
 [მზე კაცს]  
 უმზადებდა შიმშილს და გვალვას  
 და უშრეტლა სიუხვეს წყალთა (ლ. სტურ).

### მიმართულებითი ბრუნვა

მსწრაფლ გაღმოეშო ცისა ლავარდსა  
 შეიდფეროვანი სარტყელი ცისა

და გადევნა ჩემს ქვეყანასა  
მახარობელად ტკბილ იმედისა (ილია).  
სადაც ჰყვაროდა ხე ცხოვრებისა,  
ქართლის გულიდამ აღმოცენილი  
და წყარო იგი წყაროდ შვებისა  
სჩქედდა იმ გულით გარდმოდენილი (ილია).  
მე სადმე ვისხენებოდე  
მკამლად ალაღის ლუკმისა (ვაჟა).  
მაშ, ჩვენი ტანჯვაე ჩავთვალოთ  
სიბნელედ ერთის ღამისა (ვაჟა).  
მზედ იდგეს ხევსურეთისა,  
უხვად შუქს ჩამოჰლაღავდეს (ვაჟა).  
სათათრეთს გადავვარდები,  
დამკვრელად ვივლი თარისა,  
ჩოხა წვიმისა მეცმევა  
და ყაბალახი მთვარისა (გ. ლეონ.).  
პირველი აფრა გაუშალე მსუბუქ ნიავექარს  
სახილველად უცხო მხარისა (ა. კალანდ.).

### მოქმედებითი ბრუნვა

მუნ ირემი აღვალს რა წიადით ბნელის ტყისა...  
განიშვებს უშიშარად (ალ. ჰავცი).  
[გაგჩნდითო] ნუთუ მისთვისა  
სახითა ღვთისა,  
ვერ იგრძნოს კაცმა, რომ შემოსულა (ვ. ორბ.).  
მიჰქრის ბავშვობა სუმბულის ფრთებით  
და სურნელებით ბურბუშელიისა (გ. ლეონ.).  
ვისიც სიტყვაა ნახივოსნები  
ნათელ ემბაზით ძორაჰესისა (გ. ლეონ.).  
ოქროში გადამდნარი  
გაზაფხულის დიღები  
და ფრთებით პეპელისა  
გზები ნაჩრდილები (გ. ლეონ.).  
აქ მობლაოდა თხრილზედ არაბი  
შიშველი ხმალით ხალიფატისა (გ. ლეონ.).  
ნაზ ყვაავილებით ქანაანისა  
გვირგვინებს ვიწწვ და შენთვის ვირთვი (ა. კალანდ.).

### მიმართვის ფორმები

ო. ჟამო ნელო, დამხლართველო ტრფიალთა გზისა... (ალ. ჰავცი).  
დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა,  
შენ შეიშვილე და შენ იძმე იგი ობოლი (ვ. ორბ.).  
მშვიდობა თქვენსა მობრძანებასა,  
ბედნიერებაე დიდის ყადისა! (რ. ერისთ.).

ბედო შავბირო, უბირო,  
ამრევო გზა და კვალისა,  
სულს ნუ ამომხდი, მაცალე  
დახამხამება თვალისა! (აკაკი).  
ჩემო ნათლულო და შვილობილო,  
სანდოე გულისა, ჭკვიანო ცირა! (აკაკი).  
ახ, საკამანდო შვინდისავ,  
ზის კოვზითა და ჯამითა,  
ნადულო დედიჩემისა,  
გამაძლო შენის ჭამითა! (ვაჟა).  
ზაუნჯევე სათნოე ბისა,  
ჩემიც მიიღე ქებაო! (ვაჟა).  
დავკრავ, დაეძახებ ჩონგურზე,  
ვიტყვი: ნიაგო დილისა,  
ფოთლების ტკბილო ჩურჩულო,  
ვერხვო ალაზნის პირისა.  
თქვენა მჯობიხართ ისევა... (ი. ევდ.).  
მშვიდობით, წყაროვ, არ შიყო  
ვარდ-ზამბახის და იასი,  
რაკრაკე, ჰანგის შემწყობო  
ბულბულის ტიატიასი... (ი. ევდ.).  
შენგან განდგომა, ო, ჯვარცმულო, მე რად დამბრალდა,  
მაღალ მწვერულთა სალოცავო, ხატო ნაპრალთა... (ი. აბაშ.).  
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,  
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან... (ი. აბაშ.).  
შენ, დედაჩემის მზითევო,  
ფარ-ხმალო მამა-პაპისა! (გ. ლეონ.).  
ახლო ქართლო, მიწავ ქართლისა,  
შემოვეფარე შენს სიმართლესა (გ. ლეონ.).  
წამლადე დაგენაყები,  
კუნწულავ იაგუნდისა (გ. ლეონ.).  
მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი  
გრაალს შევედრები (გ. ტაბ.).  
დაუდგრომლობავ, მღელვარებავ დიდებულ ომთა (ივ. მაჩაბ.  
თარგმ.).

და თქვენ, ბატონო გამგებელო ამ კუნძულისა  
უნდა განსაჯოთ ეს ავსული (ივ. მაჩაბ. თარგმ.).  
დარღმა საფლავშიც არ მიგატოვა,  
შენ მომღერალო ხალხთა ძმობისა! (ლ. ასათ.).  
— შვილო, ეს რა ჰქენ? — შეჰკივლა დედამ, —  
შვილო, სიამევე ჩემი გულისა! (ლ. ასათ.).  
გაშლილო მზეო, გაესილო მთვარევე, დედაქვადო  
წინანდალისა (ლ. ასათ.).

მითხარ, იმედო ჩემი გულისა,  
პიმნი კოლხიდის გაზაფხულისა (ლ. ასათ.).

+



ამრიგად, შესაძლებელია ყველა ბრუნვის ფორმები: <sup>გოთხრე-</sup>ბითისა (ფერფლმა ნუშისა, ელვამ შენი ტანისა...), მიცემით <sup>მისა:</sup> (სიუხვეს გენისა, ვარსკვლავს აკადემისა...), მოქმედებითისა (ფრთებით პეპელისა, სურნელებით ბურბუშელისა...), შესაძლებელია და ძალიანაც გავრცელებული მიმართვის ფორმები ამ რიგისა (ფარ-ხმალო მამა-პაპისა, გამგებლო ამ კუნძულისა, მიწავ ქართლისა, კუნწულავ იაგუნდისა). ბრუნვაში შეთანხმება საჭირო აღარაა იმისათვის, რომ კონსტრუქცია დაიხშოს, ამისათვის ემფატიკური ა ხმოვნის დართვაა საკმარისი, ბრუნვაში შეთანხმებულ, მაგრამ დეფექტურ ბრუნებას ბრუნვაში შეუთანხმებელი, მაგრამ უდეფექტო ბრუნება ცვლის.

მეორე მხრივ, ლექსის ენაში ნათესაობით ბრუნვაში დასმული პოსტპოზიციური მსაზღვრელი ემფატიკური ხმოვნის გარეშეც შეიძლება იხმარებოდეს, და რასაც ვერ იტანდა ენა პროზისა, ის ჩვეულებრივი ხდება ლექსის ენაში. ასეთი ფორმები ძალიან გავრცელებულია განსაკუთრებით თანამედროვე ლექსის ენაში.

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა.

**სახელობითი ბრუნვა**

სახელობითის ფორმები კარგა ხანია სრულიად ჩვეულებრივია და თითქმის ყოველ თანამედროვე ლექსში გვხვდება. დავასახელებთ ერთგვარი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

გაღიმდა: „ვალი ხრესილის აწ უთხოვია მშრომელსა! (ბესიკი),  
 ყელი გამომჭერ, პირი დამრჩა შენის დანების (ბესიკი).  
 განცხრომა გულის, შეშლა ჟამის, დალატი ბედის  
 ერთხელ ჩვენც ერთად განვიცადეთ და განვატარით (ალ. ჰავჭ.).  
 თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,  
 თუ ნათელი არს და ნათელი ქეშმარიტების,  
 მამს საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო? (ვ. ორბ.).  
 ჯვარი ვაზისა! მადლი იმ ჯვარის  
 ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის... (ვ. ორბ.).  
 ვარსკვლავი დილის, მთიები ცისკრის  
 მას არა სჯობდა მშვენიერებით (ვ. ორბ.).  
 სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების (ნ. ბარათ.).  
 და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის  
 საუბრის (ნ. ბარათ.).

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა  
 წმინდა სიხლი წამებულის,  
 კვლავ დამარცხდა დიდი საქმე  
 ყოვლად მხსნელის სიყვარულის (ილია).  
 იქ, სადაც უწირავთ უფლისა მიმართ  
 მსხვერპლი ქებისა და დაღადების... (ილია).

გეყო! მოვიდა დრო ანგარიშის  
მოდის, გავსწორდეთ, ნუ მემალეები (ილია).  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძლევამოსილის ამ საუკუნის... (ილია).  
ქალია ქველი წერეთლის (აკაკი).  
გავარდა თოფი იმ დროს რევოლუციის  
და უცაბედად ლევან დაიჭრა (აკაკი).  
დავაგდე მხარე ფარისევლების (აკაკი).  
სუნი მეცა გაზაფხულის  
უცნაური ვიგრძენ ძალი (აკაკი).  
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა  
ნიშანი დიდი ქრისტიანობის (აკაკი).  
ნაძოძი ტყვიის ალუდას  
კალთაში ჩაეშლებოდა (ვაჟა).

ჯარი დაძრულა ბრიტანიის და აქეთ მოდის, ჩემო ხელმწიფევ  
(ივ. მაჩაბ. თარგმ.).

მოყვარენი ვართ, ქვეშევრდომნი დანიის მეფის  
(ივ. მაჩაბ. თარგმ.).

რაზმი და რაზმი ფიქრების  
გარს შემომერტყა ნისლადა (ვაჟა).  
ბოლქვი შვლების და არჩევების  
ირმებს კვალდაკვალ ჰყვებოდა (ვაჟა).  
შეიგნო სიბრძნე ქაჯების  
ამიერიდან ტყვემო (ვაჟა).  
ხან თუ მტრები აოხრებდნენ,  
იყო მღვრელი ცრემლის მწარის,  
ბრწყინვალე დროც დასდგომია  
დრო დავითის და თამარის (ლუბუ შვირ.).

მე კაციც ვიყავ,  
მეც ამ მიწის  
მედო ბეგარა;  
მე ვიყავ მონა  
სიყვარულის  
და ერთმეფობის (ი. აბაშ.).

თუ განმკაცე,  
თუ დამადგი  
თვალი სრულმქმნელის,  
თუ მომეც ძალი  
ხან ფრთაშესხმის,

ხან დაღონების  
მე მწაღდა შენგან  
სიტკბოც  
ცნობის თავისუფლების,

მე მწაღდა შენგან  
სიხარულიც

გ ა ნ ხ მ უ ლ გ ო ნ ე ბ ი ს ( ი . ა ბ ა შ . ) .  
 ც ა ლ - ც ა ლ კ ე მ ი ყ ვ ა რ ს შ ე ნ ი ქ უ ჩ ნ ე ბ ი ,  
 რ ო გ ო რ ც ხ ე ლ ე ბ ი ს ა ყ ვ ა რ ე ლ ქ ა ლ ი ს ( ვ . გ ა ფ რ . ) .  
 ხ რ ი ზ ა ნ ტ ე მ ე ბ ი ს თ ე თ რ ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა ს  
 მ ე მ ი რ ჩ ე ვ ნ ი ა ს უ რ ნ ე ლ ი პ უ რ ი ს ( ვ . გ ა ფ რ . ) .  
 წ ი ვ ნ ი კ ი ა რ ა — ე რ ე ჟ ო ლ ა ხ ა რ  
 ჩ ა მ ო ა ჟ ა ფ უ ლ ი ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ი ს ( გ . ლ ე ო ნ ) .  
 ი ქ ს ა დ გ ო მ ი ა შ ე ნ ი ღ მ ე რ თ ე ბ ე ბ ი ს ,  
 ტ ა ხ ტ ი ს ი კ ე თ ი ს , მ შ ე ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ,  
 ი ქ ა კ ვ ა ნ ი ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ,  
 ს ა თ ა ვ ე შ ე ნ ი ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ( კ . მ ა ყ ა შ . ) .  
 მ ი ლ ი ო ნ ხ მ ე ბ ი თ ს ა ვ ს ე ქ ა ლ ა ჟ ო ,  
 დ ი დ ი ს ა ტ ა ხ ტ ო ხ ა რ პ ო ე ტ ე ბ ი ს ( პ . ი ა შ . ) .  
 რ ო ც ა ჩ ა მ ო დ ი ს მ ა მ ა ,  
 ჩ ა მ ო ა ჟ ე ს ს უ რ ნ ე ლ ი ძ ვ ი რ ტ ა ს ი ე რ თ ი .  
 ჩ ა მ ო ა ჟ ე ს ვ ა ე კ ა ც ს ლ ა მ ა ზ ს  
 უ ბ რ ა ლ ო ს უ ნ ი პ ი ტ ნ ი ს წ ვ ე თ ი ს ( პ . ი ა შ . ) .  
 მ ა გ რ ა მ ა რ მ ი ნ დ ა ლ ხ ი ნ ი ქ ი ქ ე ბ ი ს ,  
 მ ი ნ დ ა მ ი ვ ი დ ე შ ე უ ც ო დ ვ ე ლ ი  
 ყ რ უ მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი კ ა თ ო ლ ი კ ე ბ ი ს ,  
 ს ა დ ა ც მ ი კ ი თ ხ ა ე ს ლ ო ც ვ ა ს კ ლ ო დ ე ლ ი ( პ . ი ა შ . ) .  
 თ ქ ე ვ ნ ა რ ა ტ ა რ ე ბ თ ჩ ე მ ს ფ ს ე ვ დ ო ნ ი მ ე ბ ს ,  
 გ ე თ ა კ ი ლ ე ბ ა თ ც ო ლ ო ბ ა მ გ ო ს ნ ი ს ( ი . გ რ ი შ . ) .  
 თ ე თ რ ი თ ო ვ ლ ი ი ს ე თ ე თ რ ი რ ა მ ა რ ი ს ,  
 ვ ი თ კ ბ ი ლ ე ბ ი დ ე დ ო ფ ა ლ ო ს თ ა მ ა რ ი ს ( ი . გ რ ი შ . ) .  
 ლ ე თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს წ ი ნ კ ი შ ე ნ ყ ვ ი თ ლ ე ბ ი , ვ ი თ ღ ო შ ი თ ა რ თ ი ს ( ი . გ რ ი შ . ) .  
 ტ ყ ე ქ ი ა უ რ ი ს ჯ ი ქ უ რ ჯ ი ლ ა დ ე ღ გ ა ა ლ ა ზ ა ნ ს ( ს . შ ა ნ შ . ) .  
 მ ო გ დ ე ვ დ ა ს ე ვ დ ა დ ი დ ტ რ ა მ ა ლ ე ბ ი ს  
 დ ა მ ო ა ტ ა ნ ე გ ა ნ თ ი ა დ ა მ დ ე ( ტ . ტ ა ბ . ) .  
 ნ ა მ უ რ ა ლ ზ ე მ ი ფ რ ე ნ ს ღ ა ლ ლ ა ,  
 ი ვ რ ი ს პ ი რ ა ს ჯ ო გ ი მ ი რ ბ ი ს ი რ მ ი ს ( ს . ჩ ი ქ . ) .  
 ყ ვ ე ლ ა ს გ ე ქ ო ნ ი ა ყ უ რ ძ ნ ი ს ჯ ა ვ ა ნ ი  
 დ ა ს ა ა ლ ე რ ს ო ც ე ც ხ ლ ი კ ე რ ი ი ს ( ს . ჩ ი ქ . ) .  
 ო პ , რ ო გ ო რ მ ი დ ი ს ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა —  
 დ ა უ ნ დ ო ბ ე ლ ი ს უ რ ვ ი ლ ი ლ ო მ ი ს  
 დ ა ყ ო ვ ე ლ ი ე ვ რ ო გ ო რ ნ ა ზ დ ე ბ ა ,  
 რ ო ც ა ა ხ ლ ო ა მ ზ ე შ ე მ ო დ გ ო მ ი ს ( გ . ტ ა ბ . ) .  
 წ ვ ე თ ი ს ი ს ხ ლ ი ს ა რ ა რ ი ს ჩ ე მ შ ი ა რ ა პ ა რ თ უ ლ ი  
 ძ ა ფ ი ნ ე რ ვ ი ს ა რ ა რ ი ს ჩ ე მ შ ი ა რ ა ბ ო ე ტ ი ს ( გ . ტ ა ბ . ) .  
 ყ ო ვ ე ლ გ ა ნ უ ჩ ი ნ რ ა დ ტ ი რ ი ა ნ დ ა ნ ა კ ლ ი ს  
 თ ა მ ა რ ი ს ტ ა ძ რ ე ბ ი დ ა ძ ვ ლ ე ბ ი ი რ ა კ ლ ი ს ( გ . ტ ა ბ . ) .  
 ს ა ლ ა მ ო ს ლ ა ნ დ ე ბ ი , ვ ი თ ბ ი ნ დ ი ნ ი ა ვ ე ი ს  
 მ ი დ ა მ ო ს ს დ ე ბ ი ა .  
 გ ი ნ ა ხ ა ვ თ თ ქ ე ვ ნ ფ ე რ ი ღ ა ბ ი ნ დ უ ლ ქ ლ ი ა ვ ი ს ?  
 ე ს ჩ ე მ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო მ თ ე ბ ი ა ( გ . ტ ა ბ . ) .  
 პ ა უ , ა მ ო დ ი ს , ა მ ო დ ი ს დ ა ვ ე ლ ა რ ც ა მ ო დ ი ს

ჩ რ დ ი ლ ი გ უ მ ბ ა თ ი ს, კერპის ჩრდილი, ჩ რ დ ი ლ ი  
მ ა მ ო ნ ტ ი ს (შ. ნიშნ.).

ეს წყურვილია ძალთა მოკრების,  
ეს წყურვილია ახლის დანახვის,  
წყურვილი რისკის, საშიშროების,  
მათი ძიების და გადალახვის (შ. ნიშნ.).  
კოწია — არწივი ბახტრიონის,  
აგრაფინა — ვარდი შირაზის  
ვარშიყებიან ურთიერთს (შ. შაქავე).  
როგორც ამბობენ, პირველად  
მე მზე ვიხილე აპრილის (შ. შაქავე).  
და ელანდება გაყინულ ხელებს  
რალაც წატიფი და საშინელი,  
ალბათ ბუსუსი მწიფე ატმების (ლ. ხტურ.).

ს ი ტ ყ ვ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც ი ს, მ გ ო ს ნ ი ს, მ ე გ უ თ ნ ი ს,  
უპირველესად ჩვენს საყვარელ მამულს ეკუთვნის (ხ. ბერულ.).  
სხვა რა გითხრათ იმის მეტი,  
რომ დედოფლის მყარი ვარ  
და სტუმარი კვირიკეთის (ხ. ბერულ.).  
დვას თბილისი, როგორც ტახტი  
სიცოცხლის და გაზაფხულის (ი. ნონ.).  
შენ არა გაქვს მეფის გვარი,  
ფრთაფარფატა თოლია,  
მაშ, თვალები თამარქალის  
როგორ გამოგყოლია? (ი. ნონ.).  
ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის,  
გზაც ნაწვიმარია (ა. კალანდი).  
აქ იდგა ორად ორი ხე წყავის (ა. კალანდი).  
შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,  
ძვირფას კაბას კი... ერთი ღერო შერჩა სუსამბრის (ა. კალანდი).  
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია  
და შენს ქოხთან გუგუნია თელების (ა. კალანდი).  
და რომლის კვალი მიწას აჩნია  
ვით ნაფეხური დინოზავრების (ლ. ასათ.).  
არის სერობა, არის ზეიმი  
ადამიანის, მზის და ბუნების (ლ. ასათ.).  
თეთრონებს მოხადეს ავაზას ტყავები  
და მასზე დააწყვეს ლამაზად თავებო  
ირმების,  
ჯიხვების,  
არჩევების,  
დათვების... (ლ. ასათ.).  
ორლობეების ბროწეული, ბარდი მაყვალის (თ. ერისთ.).  
აღმართ-აღმართ სათიბები და ყანები იფქლის (თ. ერისთ.).

## მოთხრობითი ბრუნვა

როს გაშალეს წიგნი მძახალთ, მყის შეექმნათ ჭმუნვა-ურვა,  
ნახა მკვლელმა დედამთილის, იწყო თრთოლევა, ოფლში  
ცურვა (ბესიკი).

მრავალთ ყმაწვილკაცთ, ნუ გეშთა ქართლის,  
დასდევს აქ თავი მამულისათვის (ნ. ბარათ.).  
წესდებამ ჭიადღეთის, სჩანს, როდი მოიტყულია (ვაჟა).  
დე, იღუშალმა შინაარსმა ნივთიერების  
იქნება მოგვეს შინაარსი ჩვენ ღვთაებრივი (პ. იაშ.).  
რამდენ უცხოელს გული წარსტაცა  
უცხო კრებულმა ქართველ ქალების... (ი. ნონ.).  
და მერე, როცა მეტოქემ მთვარის  
გადამაფარა სინათლის კალთა,  
უეცრად გაქრა ზმანება მკრთალი,  
განათებული ოცნების კართან (ლ. ასათ.).  
სხვა როცა მე შემომნატრის,  
მე მივბაძო სხვას?  
მე — პატრონმა,  
მე — პატრონმა  
ამისთანა ზღვის,  
მე — პატრონმა,  
მე — პატრონმა  
ამისთანა ცის,  
თუ ღმერთი გწამს,  
თუ კაცი ხარ,  
სხვას მივბაძო ვის? (მ. მაჭავ.).  
და მისთვის დაჰკარგეს აზრი  
ქალებმა საესემ და ქერამ.  
და სიმწიფემ ყვითელი ქერის (ლ. სტურ.).

## მიცემითი ბრუნვა

მარჩბივი რთავს ფათერაკთა, კალოს ლეწავს მკვდართა ზვინის (ბესიკი).  
ოდეს ვჰშორავ მას მიზეზს ჩემისა ვალალების, სოფელი მჩანს სა-  
მარედ (ალ. ჭავჭავ.).  
ვექობ, რომ იგი სამეფოს ქართლის აძლევს საფარს ქვეშ  
რუსთა ხელმწიფის (ნ. ბარათ.).  
ვერ გაიგონებთ მუნ ხმას მტერის (ნ. ბარათ.).  
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის (ნ. ბარათ.).  
ბატონო ჩემო, თქვენს მოხუც გამზრდელს,  
შემყურეს თქვენის ბედნიერების,  
ნება ჰქონია... (აკაკი).  
ხმაღზე უფრო ძლიერად სჭრის პატარა და რბილი ენა,  
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების... (აკაკი).

არ ვიცი, რა დამემართა ღირსეულს რედაქტორობის (ვაჟა).  
ეთხოვებოდა თვის ლოცვაში იერუსალიმს,  
ხედავდა სურათს მის ზავსიან ბჭეთა დანგრევის (ი. ვედ.).  
პიტიაზშები, ერისთავები, ხევისთავები, სპასალარები  
ზიარებაზე ფიცს ღალადებენ მტრის უმოწყალო დაზარალების (გ. ლეონ.).  
შემოფრინდები, ამბავს მახარებ ახალი ქართლის ახალ დიდების  
(გ. ლეონ.).

ძმანო, ლაშქარნო, წინამძღომელნო, გაფიცებთ სახელს ქართლის  
პირიმზის (გ. ლეონ.).

დიდად ატკობდა სმენას ველურ პარიზელების (პ. იაშ.).  
ტალღებს რომ ჰგავდნენ, აქტიორებს უძველეს დრამის (პ. იაშ.).  
სანთელივით ანთებულან ხმები,

სანთლებს ჰგვანან თუ ყვაველებს ნუშის? (ს. ჩიქ.).  
როგორც უხვი მემკვიდრე, ვისერი სავსე პეშვებით  
ფანტასტიურ მკვლევლობებს და ოცნებას მკათათვის (გ. ტაბ.).  
ორბელიანი ხედება თავიზით

და მღერის ქებას ღვინის და ვაზის (ლ. ასათ.).

და ჭიკჭიკებდა როგორც ბუღბული  
ზიმღერას ქართლის ბედნიერების (ლ. ასათ.).

დაუბერავს და ცეცხლს ერთი ბროწეული  
ზანძარივით გადაიტანს ხიდან ხეზე (თ. ერისთ.).

### მიმართებითი ბრუნვა

სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნებით  
და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკენესარად და მთქმელად ვების  
(ალ. ქავჭ.)

ეს გურიელიც მოუსვენარი,  
სახელგანთქმული, ვეფხვი, ლომგული  
დღეს მოკამათედ ჩემის სურვილის  
ლეჩაქის ყურზე მყავს გამობმული (აკაკი).  
ვიწვევი მისა მხსნელ ანგელოზათ,  
მღელვარე ზღვაში ფრთად ტლუ ნავისა,  
მეგობართ, სულის სხივოსან დროშათ,  
კვარცხლბეკათ გულის, მოღლილ მკლავისა (ი. ვედ.).

თან დაშინს ტარზე ხელი ეჭირა ნიშნად სიმტკიცის, შეურყევ-  
ლობის (გ. ლეონ.)

გახდება მიზნად სიოცოცხლის და მაღალ ოცნების (პ. იაშ.).  
რა გვინდა სასაფლაოზე, ქვეყნად მღუმარე სარკოფაგების?  
(ა. კალანდ.).

### მოქმედებითი ბრუნვა

თავიც კი მოსწონს, რომ სული  
მან განაბრწყინა შუქითა  
ქართველი ერის... აგვიკლო

უსამზღერო ბაქი-ბუქითა (ვაჟა).  
ნი ა დ ე რ ი თ ს ი ს ხ ლ ი ს  
მთა-ბარი ირწყვის,  
მამულის შვილი იხოცებიან (ვ. ორბ.).

## მიმართვის ფორმები

ხელმწიფევ, გული  
შენთან-ა ბმული,  
წყალობიანად მომცემო შევების! (ბეხიკი).  
რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის! (ილია).  
უთხრა: ჩემო ხელკეტო,  
გაპირვების ტალ-კვესო!  
შელოცვილო გრძნეულის  
ხმალზე უძლიერესო... (აკაკი).  
ოჰ, გამწირველო შენი სისხლ-ხორცის,  
თამარო, იყავ ღვთისგან წყეული (აკაკი).  
ოხ, საჩუქარო ჩემი ნათლის  
არ გიღალატებს ჩემი მარჯვენა (აკაკი).  
ამაყო შეილო ტანჯული ხალხის,  
მშობლის ცრემლებმა აგინთეს გული (ი. ევდ.).  
ოხ, ძმებო, თქვენის საყვარელ დების,  
ცოლის ნუგეშნო, ნუგეშნო მშობლის (ი. ევდ.).  
შენ, აკენის ჰიმნო, ცრემლო სამარის... —  
იბერის ენავ, ენავ თამარის... (ი. აბაშ.).  
ყოველდღიურო მახარობელო ჩემი მშობლოს აღორძინების...  
(გ. ლეონ.).  
მშვენიერო რტოვ არმაზის... (ს. ჩიქ.).  
იყო ზვირთების შეხლა, თერგის ნგრევის და რიხის,  
შენ რაღას იტყვი ეხლა, ქედო მშობლიურ ლიხის? (გ. ტაბ.).  
ნაზო მთვარევ,  
შენ, ხელობავ სიაუშის,  
გაუსწარი მატარებელს სიარულში... (მ. მაჭავ.).

აქ წარმოდგენილი ვრცელი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ მსაზღვრელ სახელთან დაკავშირებული ეს მოვლენები ახალ ქართულ ლექსში არ შეიძლება ჩვენი საუკუნის მოდერნისტულ-დეკადენტური ტენდენციების გამოვლენად იქნეს მიჩნეული. როგორც ვხედავთ, ამ მოვლენებმა ქართულში ახალი სალექსო ფორმების გაჩენისთანავე იჩინეს თავი, გვხვდება უკვე საშუალ საუკუნეთა ძეგლების ენაში და გავრცელებული იყო XIX საუკუნის პოეზიაში. შაირის ფორმაში ასეთი შემთხვევები უფრო იშვიათად გვაქვს და უფრო ახალი ზომების გავრცელებას დაემთხვა მისი გავრცელება.



მაინც „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება რამდენიმე შემთხვევაში ანალოგიური ზემოთ განხილული მაგალითებისა:

მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მხარისა,  
გამოემართა იგი მზე პირითა სავეს მთვარისა;  
მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულმწუხარისა,  
მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა (1325).

**პირითა სავეს მთვარისა, დაგდება ფატმანის...**

სხვა მაგალითი:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.  
სულთქენა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა (1328).

**უნახავმან ხანისა!**

დაუწყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა (1377).

**ტაიჭთა ფრიდონის...**

კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საპირავე ხელისა,  
ავთანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა (1466).

**ძღვენი ფრიდონის...**

ნ. ბარათაშვილის ლექსში ასეთ ფორმებს სრულიად ბუნებრივად უკავია მნიშვნელოვანი ადგილი:

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,  
მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,  
ოდეს იგი ენითა სასუფევლის  
უალერსებს წიაღთა თვის მშობლის,  
იტაკტივე ენითა უსუსურის,  
იტაკტივე, ვიდრე ჟამი დაგზარის! („ჩჩვილი“).  
და რად ივიწყებ, რომე მარადის  
ერსა ეკუთვნის გულისთქმა მეფის?..  
ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის  
გონება ყმათა ვერა მიხედების!..  
ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის  
აძღვეს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის..  
დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის  
გარდაიწყვიდა გულმან ირაკლის („ბედი ქართლისა“).

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენთვის საინტერესო ფორმებს ილიას ლექსში:

მტრობა ენის  
არს მტრობა ქვეყნის...

ღმერთი არმობის,  
 ღმერთი ყალბობის  
 არ ურწმენია ჩვენსა თაობას.  
 ღმერთი მზაკვრობის  
 და თვალთმაქცობის  
 ღმერთი უქმობის უარუყვია,  
 ღმერთი ხარბობის  
 და მძარცველობის  
 თქვენთა მსგავსათვის მას დაუთმია („პასუხის პასუხი“).  
 მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის -  
 დაბლად ღულღუნი დაღონებული,  
 მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,  
 შორი ხმა მწყემსის დაობლებული, —  
 მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების  
 და შენს გუთანზედ, გულით ღმობილი  
 იტყვი სიმღერას თავისუფლების („აჩრდილი“).

ვაჟას სტრიქონებია:

გავები კლდიანს ადგილას,  
 პირი არა ჩანს ველების,  
 ლობედ ჩამიდგა გზაშია  
 ათასი გუნდი გველების,  
 პირებს ალებენ, მიშქენენ,  
 ეინი აშლიათ ხველების,  
 საძრავი არსათა მაქვს  
 არც ფეხთა, არცა ხელების („სინჰმარი  
 სასოწარკვეთილისა“).

ისმოდა ბებრის ეზოში  
 კრუხის ქვითინი მწარია...  
 ცრემლი იქცევა ქათმების,  
 დიდი გლოვა და ზარია („წიწილა“).

ამ თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ასეთ ფორმებს ხალხური პოეზია იცნობს:

ციხეში შეგროვებულან  
 ვეფხვები სალის კლდისაო,  
 თორმეტ დღე-ღამეს იომეს  
 ჩამოტეხვას ჰგავს ცისაო,  
 თოფისა ალი ჩამოწვა  
 წვერებ დამალა მთისაო,  
 ამბობენ შეწუხებასა  
 ბიჭების საგირთისაო (კოტეტი, 161).  
 ომში ამბობენ წასელასა  
 უცოლო ბიჭურისია...  
 ცხენის სიმარდეს უქებენ,

ჟაქრასა ფრანგულია...  
 ერთ კვირას გავლილს ამბობენ  
 საელელსა ერთი თვისია...  
 თრიალეთს გაცილებულა,  
 საქოვარს ფშავლის ცხვრისია...  
 ჩახედავს ყარსის ქალაქსა,  
 ნაპირსა შაეის ზღვისია...  
 შაბმულს ამბობენ ხემწიფეთ  
 თათრისი, რუსეებისია...  
 ეხვეწებ ლაშარის ჯვარსა,  
 ძალსა იმ იახსრისია...  
 სამხთოსაც დიდსა უქადებს  
 ხარისასა და ცხვრისია,  
 ომებს ამბობენ ძლიერებს,  
 სროლასა ზარბაზნისია...  
 თავის უფროსებს მიართვამს  
 მარჯვენას თათრებისია...  
 საჩუქარს ბევრსა უქებენ,  
 მენდლისი, მაგის ჯვრისია...  
 კიდევ გამოსვლას ამბობენ  
 ტემლაქს ბიჭურის ხმლისია... („ბიჭური“, კოტბ. 132—133).

პოსტპოზიციურად დასმული მართული მსაზღვრელის გამოყენება-გავრცელების თვალსაზრისით ლექსის ენა მკვეთრად უპირისპირდება პროზის ენას: პროზის ენაში ასეთი კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, დაუხშველია, ღიაა, ლექსის ენაში კი ასეთი კონსტრუქციები მაინც დახშულია — მიუხედავად იმისა, რომ მსაზღვრელი არც ადგილის მხრივად მტკიცედ დაკავშირებული საზღვრულთან და არც სინტაქსურადაა შეთანხმებული მასთან: ლექსის ენაში ასეთ შემთხვევაში კონსტრუქციის დამხშველად გვევლინება სალექსო ზომა — სტროფი, სტრიქონი, ცეზურა... ლექსის ენაში სიტყვები ინტონაციურად ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულ ჯგუფებად ერთიანდებიან და აქ გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ მახვილს, რიტმს, პაუზას, წარმოთქმის ტემპის ცვლილებებს და საერთოდ ყველა იმ მომენტს, რაც ინტონაციას ქმნის. სტროფი და მისი ნაწილები, სტრიქონი და სტრიქონის ნაწილები — ინტონაციურად შეკრული, ხოლო სხვა ამგვარ ნაწილთაგან მკვეთრად გამოყოფილი ერთეულებია, რაც სპობს შესაძლებლობას ერთ ინტონაციურ ერთეულში შემაჯავალი სიტყვების დაკავშირებისას სხვა ინტონაციურ ერთეულებში შემაჯავალ სიტყვებთან და საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ლექსში პროზის ენის თვალსაზრისით დაუხშველი კონსტრუქციები იყოს გამოყენებული. ლექსის ეს თავისებურებები თვით გვევლინებიან კონსტრუქციის დამხშველად.

ასე, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ზემომოყვანილ ლექსში ერთეულები გამოიყოფა:

გავები კლდიანს ადგილას  
პირი არა ჩანს ველების  
ღობელ ჩამიღვა გზაშია ათასი გუნდი გველების  
პირებს ადებენ, მიშქენენ, ჟინი აპულიათ ხველების  
საძრავი არსათა მაქვს არც ღებთა არცა ხელების.

ამ ერთეულების შიგნით კიდევ გამოიყოფა უფრო მცირე ერთეულები. ეს ერთეულები ერთმანეთისაგან სტროფიკულადაცაა გამოყოფილი და ინტონაციურადაც. ამის გამოა, რომ პირველ ერთეულში შემავალი და ამ ერთეულის ჩამკეტი ბოლო სიტყვა — ველების არ შეიძლება დაუკავშირდეს მეორე ერთეულის დამწყებ სიტყვას ღობელ, თუმცა ასეთი დაკავშირება სავსებით შესაძლებელია სინტაქსურადაც, სიტყვათა მნიშვნელობის მხრივაც და ადგილის მიხედვითაც. ეს სიტყვა უკავშირდება მხოლოდ სასაზღვრ სიტყვას პირი, რომელიც ამავე ინტონაციურ ერთეულშია მოქცეული.

ასეთივე ვითარება გვაქვს შემდგომს ერთეულებშიც: გველების ასევე ვერ დაუკავშირდება სიტყვას პირებს და ა. შ. ყველაფერს ამას ემატება ისიც, რომ ზოგჯერ ასეთი ორი სიტყვა სინტაქსურად კი შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს, მაგრამ ამავე სიტყვათა ერთმანეთთან დაკავშირება შეუძლებელია მნიშვნელობის თვალსაზრისით, მნიშვნელობა ამ სიტყვებისა ერთმანეთთან შეუფერებელი და, ამდენად, უაზროა.

ის ფაქტი, რომ ხშირად მნიშვნელობის მხრივ შეუძლებელი სინტაგმები წარმოიშობა, აგრეთვე უწყობს ხელს დაუხშავი კონსტრუქციების არსებობის შესაძლებლობას.

ლექსის ენიდან ასეთი ფორმები საერთოდ სალიტერატურო ენაში ვრცელდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ამგვარი მსაზღვრელი ფრაზაში მომდევნო სიტყვებს არ შეიძლება დაუკავშირდეს ამ მნიშვნელობით, ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა ისეთი სინტაგმა მიიღება, რომლის შემადგენელ სიტყვათა მნიშვნელობები ერთმანეთს არ შეეფერება, ან კიდევ იმის გამო — რომ ამგვარი ფორმები გამოკვეთილი ინტონაციური ერთეულების დამაბოლოებლად გვევლინება ფრაზაში.

მაგრამ სალიტერატურო ენაში ხშირად ძნელი ხდება ზღვარის დადება არაშეცდომასა და შეცდომას შორის, მცდარსა და არამცდარს შორის, ნორმასა და ნორმის დარღვევას შორის, და ამგვარი შემთხვევები სალიტერატურო ენის ნორმის სიმტკიცეს ხშირად ძირს უთხრის.

როგორც ცნობილია, ზემოთ განხილული ფორმები, დამახასიათებელი ლექსის ენისათვის, ჩვეულებრივ, გვხვდება ვასილ ბარნოვის რომანების ენაში:



### ემფატიკურხმოვნანები

ვაუთენდა მეფეს დილა ახალის ყოფისა, გაუღიმა იმ ედმა ახალის ცხოვრებისა, დამტკბარის ცხოვრებისა („მიმქრ. შარ.“).

ეს კი უღრიდა დაკარგვას საქართველოსი („ცოდვა სიქ.“).

იმით შეუღლებას არ უძლოდა განმასპეტაკებელი სიყვარული, რომელი განსწმედს, აღამაღლებს ქალ-ყრმათა ერთობას, ჰაეროვან სახეს აძლევს და განდევნის მუნიღვან ყოველსავე მწიკვლს თუ ცოდვას, ნასახს ბილწის ეშმაკისა („მიმქრ. შარ.“).

ძნელია მიხვდეს გონება, სად ჰპოვებს გული ნაკადს ნეტარებისა („მიმქრ. შარ.“).

ან გაიყრებოდნენ ნამღურაენი, ვერ ჩამოაკვსებდნენ ნაპერწკალს სიამისა („მიმქრ. შარ.“).

ეს წყნარი სხივი ნაშთია იმ უშლელის ნათელისა, რომელი საიდუმლოდ გარდმოვალს სარეცელზედ სიყვარულისა („მიმქრ. შარ.“).

მხოლოდ იგი წარემძღვარებინა ყოლაოზად ცხოვრებისა („მიმქრ. შარ.“).

ბრძანა აევით იქ კოშკი დარაჯად ამ მიყვრძობულის ადგილისა („მიმქრ. შარ.“).

ველარ გასჭრა ველარც წვევამ ტკბილ დაფინესი („მტკვ. ვაჟი“).

და შესწირა გალობა სამადლობელი მომნიჭებელს სიყვარულისა („მიმქრ. შარ.“).

მოიხვეჭდი ძვირფას სახელს შემმართებლისა („ცოდვა სიქ.“).

### უმეფატიკურონი

#### სახელობითი

თუ მტერი აიღებდა ანისს, გამავრდებოდა, დაბრუნება იმ ქალაქის გამწვლდებოდა („პირიმზე“).

მსურს განვახვანა ფართოდ კარნი კავკასიონის („ცოდვა სიქ.“).

თვით ზრუნავდა და შრომობდა იმათზე ისე, ვით დედა ტკბილი რომელიმე ღარიბ ოჯახის, ვის დაჰნდობია მრთელის კერის კეთილდღეობა („ცოდვა სიქ.“).

მოსდებოდა სიყვარული ქალს ბრვე ვაჟაკის („ცოდვა სიქ.“).

დედა მავრა ლოტბარი გახლავთ მგალობელთ დასის („არქ. ნაშთი“).

საერთო ლტოლვა მთლიანის ლაშქრის („ცოდვა სიქ.“).

მოართვეს მეფეს შეკვეთილი სურათი ქალის („დედოფ. ბიზანტ.“).

#### მიცემითი

ქალს ხელთ ვერ მივსცემთ ხმალს ბუმბერაზის („პირიმზე“).

არც თამარი დასთმობს ძაბუნებას თავისის ქვეყნის („პირიმზე“).

დარიალის კერძო თოღრულს უპირავს, მოისხლევ მტერს ჩემი მეგობარი (,,ცოდვა სიჲ“).

შესაძლო იყო მოჰყოლოდნენ მოშენებას ცხვრის, სხვა ნის. ცულსაც ფიქრობდა: ძირს დაწევას დაფინეს სახლის, რაიმ მიზეზით განქარვებას მათ კეთილყოფის (,,მტკვ. ვაჟი“).

### მიმართულებითი

თოთონაც გაემართნენ ისნის ციხისკენ. დარაჯებმა არ შეუშვეს ნახვად თამარის (,,პირიმზე“).

მაჰმადიანი არ ეგების საქმროდ თამარის (,,პირიმზე“).

თანამოსაყდრედ შეიქმნება თამარი მამის (,,პირიმზე“).

სრულიად იდენტური ვითარებაა იმისა, რაც ლექსის ენაში იყო შენიშნული, ასეთი ფორმები ჩვეულებრივ გვხვდება ვ. ბარნოვის უკანასკნელი ხანის რომანებში. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ამ რომანების მთელი პასაჟები ხშირად თოთხმეტმარცვლიანი, ზოგჯერ კი ათმარცვლიანი ლექსის სტრიქონებს წარმოადგენს<sup>9</sup>.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელის გავრცელება ახალი ქართული ლექსის ენაში ახალი მოდერნისტული მიდრეკილებების შედეგი არაა. ეს ასეა, მაგრამ ერთგვარი დაზუსტება მაინცაა საჭირო. ახალმა მოდერნისტულმა მიმდინარეობებმა, რაც ჩვენში რევოლუციის წინა წლებში ცისფერყანწელთა პოეტურ პრაქტიკაში გამოამყლავნდა უპირატესად, სალიტერატურო ენის საკითხშიც გამოამყლავნეს გარკვეული მიდრეკილებები. კერძოდ, საქართველოშიც დაახლოებით იმგვარივე დამოკიდებულება შეიმჩნეოდა ლექსის ენისადმი, როგორც რუს სიმბოლისტებს ჰქონდათ (ანდრეი ბელი, ვს. ივანოვი, ვ. ბრიუსოვი) და რასაც ეს უკანასკნელები თეორიულადაც ასაბუთებდნენ კიდევ. ეს მიდრეკილებები ბევრ რამეში გამოიხატა, მაგრამ უპირატესად მაინც რიტმული პროზისადმი მიდრეკილებაში და ფრაზაში ზმნური კონსტრუქციების საპირისპიროდ სახელური კონსტრუქციების გაჭატონებაში. ვასილ ბარნოვმა სრულიად გარკვეულად განიცადა ეპოქის ამ ქროლვათა ზეგავლენა და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ რომანებში მოგვცა ამ მიდრეკილული ტენდენციების ერთგვარი ხელოვნური შერწყმა ისტორიულ არქაულ გარემოსთან, რომელში ყოფნასაც მას მისი ისტორიული რომანების სიუჟეტები ავალბდა.

<sup>9</sup> ივ. გიგინეიშვილი, ვ. ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის (ხელნაწერის უფლებით); ს. ჩიქოვანი, ვ. ბარნოვი: „მნათობი“, 1958, №6; ელ. კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, თბ., 1966, გვ. 16, 136—138.



ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის ენა, როგორც ცნობილია, რომელიც  
 რი რამით განსხვავდება საერთოდ სალიტერატურო ენისაგან. ეს განსხვავება  
 სხვაგვარადაა სტილისა და სიტყვაწარმოების (აგრეთვე კომპოზიციის)  
 სფეროში შეღავანდება მეტწილად. აქ განხილული ფორმები იმ მხრივ  
 ჩანს საინტერესო, რომ ეს განსხვავება სინტაქსის სფეროსაც გადას-  
 წვდა და ლექსის ენა ამ მხრივ გაემიჯნა საერთო სალიტერატურო  
 ენას — ცდილობს ავტონომიური უფლებების მოპოვებას.



### ჟ. ლომთათიძე

## დიალექტური ლექსიკის აღზილი სალიტერატურო მნაში

დიალექტური ენობრივი მასალიდან, როგორც ცნობილია, მხოლოდ ლექსიკა შეიძლება იქცეს სალიტერატურო ენის კუთვნილებად (გარკვეულ შემთხვევებში, რამდენადაც დიალექტურ ლექსიკას შეიძლება ახასიათებდეს სპეციფიკური სიტყვათწარმოებითი აფიქსები, ამდენადვე სიტყვასთან ერთად საერთო ენაში მოსალოდნელია აღმოჩნდეს ამ რივის აფიქსური ელემენტებიც), თუმცა აქაც ერთგვარი კანონზომიერება უნდა იყოს დაცული. თუ სალიტერატურო ენას რომელიმე საგნის ან მოვლენის სახელწოდება უკვე აქვს დამკვიდრებული (იგი, ჩვეულებრივ, მომდინარეობს ფუძე დიალექტიდან) — სალიტერატურო ენის მონოლითური ხასიათის შესანარჩუნებლად — საჭირო აღარ არის მისი დიალექტური სინონიმური წყვილებით გართულება (მაგ., იხვის გვერდით აღარ არის საჭიროება სალიტერატურო ენაში მას შეეცილოს დიალექტური კვატა, ან გოგო-ს გვერდით დაფუყნოთ დიალექტური ძღაბი და მისთანანი. აქ მხედველობაში არა გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა გარკვეული კოლორიტის შესაქმნელად მათ მიმართავს მწერალი).

სხვა მხრივ კი დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ძირითადი წყაროა. ბუნებრივია, პირველ რიგში ამ მიზნით ენა მიმართავს სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტს (ჩვენს შემთხვევაში — ძირითადად ქართლ-კახურს), მაგრამ სალიტერატურო ენის ლექსიკური შემადგენლობის დახვეწა-გამდიდრებისათვის საჭირო სისრულით უნდა იქნეს გამოყენებული ყველა დიალექტის ლექსიკური მონაცემები.

დიალექტური ლექსიკის გამოყენების მხრივ განსხვავებული ვითარება შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა სალიტერატურო ენაში.

ძველი და განვითარების უწყვეტი ტრადიციის მქონე სალიტერატურო ენებში, რა თქმა უნდა, დიალექტური ლექსიკის შეჭრა ძირითად სიტყვიერ ფონდში ნაკლებად არის მოსალოდნელი, დროთა ვი-

თარებაში მას უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებული სახე აქვს მი-  
ღებული, სამაგიეროდ, იგივე არ ითქმის ახალდამწერლობიან ენებზე.  
ამ ენებში დიალექტური და სალიტერატურო ასე მკვეთრად არ  
რისპირდებიან ერთმანეთს. ერთი და იმავე საგნის სახელად აქ დია-  
ლექტური სახეობები უფრო თავისუფლად მონაცვლეობენ.

სხვადასხვა მოცულობით აისახება დიალექტური ლექსიკა სხვა-  
დასხვა სალიტერატურო ენაში ასევე თვით ენის დიალექტური შედ-  
გნილობის მიხედვით: რაც უფრო დიალექტურად დიფერენცირებუ-  
ლია ენა, მით უფრო მეტი დიალექტური წარმომავლობის სიტყვები  
აისახება სალიტერატურო ენაში. კერძოდ, ქართული ენა, გავრცელებული  
შედარებით მცირე ტერიტორიაზე, საკმაოდ დიფერენცირებუ-  
ლია დიალექტურად. ამის შესაბამისად სხვადასხვა კუთხის  
დამახასიათებელი რეალიების ამსახველი დია-  
ლექტური ლექსიკა საკმაოდ გილს იჭერს და დაი-  
ჭერს ქართულ სალიტერატურო ენაში.

ენის ლექსიკურ შემადგენლობას დროთა ვითარებაში საერთოდ,  
და განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, დიდი ცვლილებები მოსდის. ახალი  
საგნები, ახალი მოვლენები, თვით სალიტერატურო ენის გამო-  
ყენების არეალის გაფართოება მოითხოვს ენობრივი რეზერვის ამო-  
ქმედებისა და გააქტიურების გზით ენის ლექსიკური შემადგენლობის  
გამდიდრება-დაზვეწას. ამ საქმეში ფრიად მნიშვნელოვანია სწორედ  
დიალექტური ლექსიკის როლი.

სხვადასხვა დიალექტის მეტყველებაში დაცულია მრავალი ლექ-  
სიკური ერთეული საერთო ენის ბუნებასთან შეხამებულ თავისებურ  
სიტყვაწარმოებით საშუალებებთან ერთად (ქართული ენის დიალექ-  
ტებისათვის ამ მხრივ დამახასიათებელი — რაიმე თვისების მქონე-  
ლობის გამომხატველი, კნინობითობის ამსახველი და მსგავსი აფიქ-  
სები), რომლის ჩართვა საერთო ხმარებაში დიდად შეუწყობს ხელს  
სალიტერატურო ენის ლექსიკის შემდგომ განვითარებას, შეუწყობს  
ხელს იმ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც ყოველ-  
დღიურად წამოიჭრება ჩვენი ცხოვრების სწრაფი ტემპის პირობებში  
სალიტერატურო ენის გეგმაზომიერი განვითარებისას.

ხშირად სპეციალისტებს უჭირთ სათანადო მოხდენილი წარმოება  
შეურჩიონ ახალ ცნებას, საგანს, მაშინ როდესაც ამა თუ იმ კუთხის  
მეტყველებაში შეიძლება დაიძებნოს ამისათვის ადეკვატური მონა-  
ცემა.

საკირო გახდა, მაგალითად, რუსული „безразмерный“ — სთვის  
ისეთი ქართული შესაბამისის მორგება, რომელიც გზას გაიკაფავდა  
ენაში და ადვილად დამკვიდრდებოდა. მიმართეს უზომო-ს, უსა-  
5. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ზომო-ს, მაგრამ ეს არ გამოდგა; შეიქმნა ვნებითის წარმოების ფორმაზე დაყრდნობით იწელებადი. ხელოვნურობის ეფერი და-  
პყვება და ვერც ეს დამკვიდრდა. ენისწილნი  
სიხალონი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდში დაცულია დიალექტური ლექსიკონების მასალები. ერთ-ერთ რაჭულ მასალაში ამოტივტივდა სიტყვა **მაწევანა** (დიალექტური „მარწევანა“ ფორმის სახით) ხათანადო საილუსტრაციო ტექსტში ასეთი აღვილია: „წინდა მოგიქსოვე (ეუბნება ბებია შვილიშვილს), პატარა არი, მაგრამ ჩაიცვი, **მაწევანა** არის და მოგერგება“-ო.

აი ეს წარმოება თავისი მ(ა)- --ან-ა აფიქსაციით უფრო მოხდენილი გამოდგა ზემოთ მოყვანილი შემთხვევისათვის. იყო ცდა ახალი სიტყვის წარმოებისა გარკვეული ტიპის ვნებითის ფორმის მეშვეობით (ძველ ქართულში ნაცადი წარმოების მსგავსად), ხალხმა კი აწარმოვა მ-ტივე-ან-ა-, მ-ციე-ან-ა (მღრ. აგრეთვე — მარქენალი) ტიპის მიხედვით.

იგი აღეკვატურად და მოქნილად გადმოგვცემს საჭირო ცნებას და ამიტომაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ იგი მოიწონა და გზა გაუხსნა მის ჩართვას სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკურ ფონდში.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთია ასეთი დიალექტური მასალის მოპოვება, გამოვლენა და, მეორე მისი დროული გამოყენება, ჩართვა საერთო ეროვნულ ლექსიკონში. ამ მიმართულებით მეტად აწყობილი მუშაობა მოგვეთხოვება, გადაუდებელი საქმეა დროულად დაძებნა და გამოყენება დიალექტებში არსებული სარეზერვო ფონდისა.

ენას, მაგალითად, დასჭირდა რუსული გამოთქმის „МОЛОЧНЫЙ ПРОДУКТ“-ის შესატყვისი ქართულად და თითქოს სავსებით წესიერად ითარგმნა კიდევ იგი „რძის ნაწარმ“-ად. საჭირო კი იყო მისი ასეთი აღწერითი გადმოცემა? ქართული ენის დიალექტები ნუთუ არ გვაწვდიდა ამისათვის შესაფერ ლექსიკურ ერთეულს?

ამ დანიშნულებით მრავალი სიტყვა დადასტურდა სხვადასხვა ქართულ დიალექტში:

**წველა** და **წველაული** რაჭულში („წველა და წველაული ერთია. წველაული არის რძე, ხაჭვა, ერბო, ყველი, ნაღული, რაც რძიდან გამოდის“)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 691.

**წუალი** (წველი) ამავე გაგებით ნახმარი აქვს ზაზა ფანასკერტელი ციციშვილს<sup>2</sup>.

ამავე სიტყვის მნიშვნელობისათვის საყურადღებოა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ის ადგილიც, სადაც ვკითხულობთ „...გიორგიწმიდობისა თთუჲ რაჲ დადგეს. მარხვაჲ წუელითა ვიდრე გიორგიწმიდობამდჲ. ეგრეთვე ქრისტეს-შობისა მარხვანი და წმიდათა მოციქულთანი საეკლესიოდ დიდითა მოღუაწებითა და კეთილად-კრძალულებითა აღასრულნიან“<sup>3</sup>. ამავე მნიშვნელობით მას ვადასტურებთ გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიაც:

„ეგრეთვე ჰყოფდა წმიდაჲ ესე, რამეთუ ძაძაჲ შეემოსა და უჯამლოჲ და თავლია და უღწროჲ და უწუელოჲ ვიდრდა გზასა მას იწროსა, რამეთუ დღესა შინა ერთგზის მიიღის პური და წყალი“<sup>4</sup>.

იქვე, ცოტა, ქვემოთ ვკითხულობთ:

„...რამეთუ იჯმნა სრულიად ღვინისაგან და წუელისა. და ჰმოსიედ სამოსლად მისა ქუეშე ძაძაჲ ფიცხელი, ხოლო მას ზედა საფარველად ჩოჯაჲ ერთი და, რადთა არა განვაგრძო სიტყუჲჲ ჩემი, ყოველნივე სათნოებანი თავესა შორის თუსსა დაიუნჯნა...“<sup>5</sup>

ხევსურულსა<sup>6</sup> და მთიულურში<sup>7</sup> ამავე გაგებით გვხვდება ნაწველ-ნადღვები (ასევე თუშურში დასტურდება წველ-დღვება). იმავე მთიულურში იხმარება აგრეთვე რძეული<sup>8</sup>. იმერხეულში გამოიყენება

---

2 იხ. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბაღინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, სძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბ., 1978.

3 იხ. ნ. მარის გამოცემა: *Житие Григория Хандатийского*, С.—Петербург, 1911, თავი XII, გვ. 31—34.

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), დასაბუჲდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანიკევმა და ც. ჭღამაიამ; ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1967, გვ. 120, 23—26.

სხვა რედაქციებში აღნიშნული სიტყვის ადგილას მითითებულია უწალო, უწალო (იქვე, შწმ. 27). კერძოდ, ალ. ხახანაშვილისეულ გამოცემაში ამ ადგილას იკითხება უწალო (იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბებით, თბ., 1901, გვ. 292).

საბა ორბელიანს ამავე გაგებით მოჰყავს სიტყვა საურწყო, რომელსაც ასე განმარტავს: „სძე, ერბო, ყველი და მისთანანი“.

5 იქვე, გვ. 129, 22—28.

6 ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 267.

7 ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 223.

8 იქვე, გვ. 267.



ამ შინაარსით — წიგნა-მ<sup>9</sup>, იმერულში — ძროხეული<sup>10</sup>, თუშურში — საჯღურაჲნი<sup>11</sup>, ქართულში — თეთრეული<sup>12</sup> და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა თეთრეული. იგი აღმოჩნდა ქართული ენის ფუძე დიალექტში — ქართულში. მის ზემოთ მოყვანილ გაგებას მხარს უჭერს თუშური დიალექტიც, და არა თუ ოდენ ქართული დიალექტები, იგი სავსებით შესაფერისი გამოდის აღნიშნული შინაარსით საერთო ქართველური სახელდებისათვის. კერძოდ, მეგრულში ამ მნიშვნელობით იხმარება იმავე სემანტიკის მქონე ჩიობუა: „ჩიობუა ვა არკუ დო მუთუნი“ („თეთრეულობა“, ე. ი. რძის ნაწარმი, არ აკლია და არაფერი“).

ამრიგად, სავსებით შესაფერისი სიტყვა არ იქნა გამოყენებული თავისი დანიშნულებით. ამას სხვა გარემოებამაც შეუშალა ხელი: კალკირების გზით თეთრეული დაკავებული აღმოჩნდა რუსული სიტყვის „дѣлѣ“—სთვის, რამაც, თავის მხრივ, შეზღუდა ქართ. საცვალის ამ დანიშნულებით გამოყენება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დ. ჩუბინაშვილი რუსული дѣлѣ-ს თარგმანში „თეთრეულს“ არ იყენებს<sup>13</sup>.

სხვა მავალითიც შეიძლება მოგვეყვანა: მეცნიერების წინსვლამ მოითხოვა რუსული давление-ს შესაბამისი ტერმინის შექმნა. შეიქმნა კიდევ ასეთი ტერმინი წნევა. ტერმინი საკმაოდ მოქნილი გამოდგა (თუმცა აღუნიშნავთ, რომ იგი „უკანონოდ“ არის ნაწარმოებო).

სამაგიეროდ, საგულისხმოა, როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ხალხური მეტყველება. დიალექტებში, კერძოდ, ზემოიმერულში, ქ. ძოწენიძის მასალის მიხედვით, „სისხლის წნევისათვის“ გამოიყენება „სისხლის კმევა“ („ექიმმა მითხრა: ნორმალური სისხლის კმევა გაქო“)<sup>14</sup>.

აქ, რა თქმა უნდა, ამ რიგის ფაქტები იმიტომ არ გავიხსენეთ, რომ უკვე დამკვიდრებულთა შეცვლას მოითხოვდეს ვინმე, მაგრამ ამგვარ-

9 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 655.

10 ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

11 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 584.

12 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955. თეთრეული მნიშვ. 2.

13 იხ. Русско-грузинский словарь, составленный Д. Чубиновым, Тифлис, 1901.

14 ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.



რი მოვლენებისათვის ანგარიშის გაწევა უთუოდ საჭიროა ლექსიკონის შესაბამისობათა და სინონიმთა შერჩევისას.

სალიტერატურო ენის შემდგომი გამდიდრება-დახვეწისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შეძლებისდაგვარად ს რ უ ლ ა დ იქნეს გამოვლენილი დიალექტური ლექსიკური ერთეულები (მათი გავრცელების არეალის ჩვენებით), რათა მათ შესაბამისი ადგილი მიეჩინოს საერთო სალიტერატურო ენის მიმოქცევაში.



ალენე კოზორიძე

## სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ურთიერთობის ისტორიიდან

სალიტერატურო ენისა და დიალექტთა ურთიერთობის საკითხი მრავალჯერ ყოფილა სპეციალისტთა კვლევის საგანი სხვადასხვა თვალსაზრისით.

ერთი რამ საყოველთაოდ აღიარებულია: დიალექტური ლექსიკა არა მარტო სანდო საბუთია ენის ისტორიისათვის, არამედ სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი წყაროცაა, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა სალიტერატურო ენისა და დიალექტებს შორის თანდათან მცირდება.

დიალექტური ლექსიკის ერთი ნაწილი უცვლელად მკვიდრდება სალიტერატურო ენაში მისივე სარეზერვო ფონდიდან.

ამის ერთი ნიმუშია მაცნე. მიუხედავად იმისა, რომ მაცნე თავისი წარმოშობით ძველი ჩანს, არ დასტურდება ლექსიკონებში; ვგულისხმობთ ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონს (1948—1949 წ.წ.), ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონს (1973 წ.), „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიას (1956 წ.), სულხან-საბა ორბელიანისა (1965—66 წ.წ.) და ნ. ჩუბინაშვილის (1961 წ.) ქართულ ლექსიკონებს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მაცნე ამბის მიმტანია, რისამე მაუწყებელი, შიკრიკი, იფრინდა<sup>1</sup>.

ახალ ქართულში ეს სიტყვა ვაჟას პოეზიამ ამოატივტივა და დაამკვიდრა. ალ. ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ მაცნე ახსნილია ვაჟასეული განმარტებით: „შიკრიკი“<sup>2</sup>. ამ უკანასკნელს კი „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ არ იცნობს. ჩანს, ვაჟამ შეგნებულად აღარსად იხმარა შიკრიკი, რათა სწორედ მაცნე<sup>3</sup>სთვის გაეკაფა გზა სალიტერატურო ენაში.

<sup>1</sup> ქეგლ.

<sup>2</sup> ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969.

ბ. ფოჩხუა თავის „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“ შენიშნავს: საერთო სამწერლობო ლექსიკურ ფონდში ბევრი ვაჟასტული სიტყვა დამკვიდრდა<sup>3</sup>, და ასახელებს მაცნე<sup>4</sup>საც. თუმცა მაცნე „შიკრიკის“ დუბლეტია, მაგრამ სისხლხორცეული ქართული სიტყვაა, ნაწარმოებია საერთო ქართული წესითა და ქართული ელემენტებით, ე. წ. „შენაცვლებადი მონოსემიური ნაწარმოები“ სიტყვაა და არც ბგერითად ჰგავს შიკრიკს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაცნე<sup>5</sup>ს დამკვიდრებას, რადგან, როგორც ცნობილია, „მნიშვნელობით იდენტური დიალექტური დუბლეტი არ შეიძლება ტრადიციულ საერთო ენობრივ სიტყვას ბგერითად ისე ძლიერ ჰგავდეს, რომ მათი ოდინდელი იგივეობა იგრძნობოდეს. სწორედ მეტსმეტი მსგავსების ფონზე არის განსაკუთრებით თვალსაჩინო არსებული განსხვავება და, რამდენადაც ამ განსხვავების საფუძველია საერთოენობრივი ნორმიდან გადახვევა, ენობრივ კოლექტივს იგი ეჩოთირება, მას ანომალიად მიიჩნევენ და არ იღებს. ასეთი სიტყვა, ჩვეულებრივ, საერთოენობრივი ფონდის გარეშე რჩება (ე. ი. მოთოხავს ვერ ძლებს ლიტერატურული მოფოფხავს სიტყვის გვერდით, მეღამურა ვერ ძლებს ლიტერატურული ღამურას გვერდით)“<sup>4</sup>

მეტი შესაძლებლობა აქვს სალიტერატურო ენაში დამკვიდრებისა ისეთ სიტყვებს, რომელთაც დუბლეტები არ მოეპოვებათ — ე. წ. შეუნაცვლებად ლექსიკურ ერთეულებს. ცნობილია კიდევ, რომ „სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს: მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება“<sup>5</sup>. ეს კი მოსალოდნელია მაშინ, როდესაც „საამისო შინაარსის გადმოსაცემი სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს“<sup>6</sup>.

ამ მხრივ ფასეულია ქართულისათვის ჩხნდე სიტყვის წარმოჩენა. ამ სიტყვას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. გიგინეიშვილმა. იგი წერს: „ჩხნდე ცოცხალი და დღესაც ხმარებული სიტყვა ყოფილა გარეკახურში და აქედან მხატვრული ლიტერატურის ენაშიც

3 ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, გვ. 206.

4 იქვე, გვ. 192.

5 არნ. ჩიქობავა, წინასიტყვაობა, ქეგლ, I, 1950, გვ. 009.

6 იქვე.



შემოვიდა“<sup>7</sup>. მოყვანილია საილუსტრაციო ფრაზაც რ. ინანიშვილის მოთხრობიდან: „ხევში ნაკადულისოდენა მღვრიე წყალი მოდიოდა ქვებში, ჩხნდებში, ღორღებში“.

თვით მწერლისა და სოფ. ხაშმის მცხოვრებთა დახმარებით სიტყვის მნიშვნელობაც გაირკვა: „ჩხნდე არის წყალში ჩაკიდებული (ჩაყრილი), ჩაწოლილი ხის წვრილი ტოტები და ფესვები, უმთავრესად ხმელი“<sup>8</sup>.

რ. ინანიშვილმა ამ სიტყვის ხმარებით გააცოცხლა ერთი ისეთი სიტყვა, რომელსაც სინონიმი არ მოეპოვება სალიტერატურო ენაში, როგორც შეუნაცვლებად სიტყვას. თანაც, ამ სიტყვის გაცოცხლებამ შესაძლებლობა მისცა მკვლევარს გაესწორებინა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილი. კერძოდ: „ჩემნი მომკვლელნი წამწამნი შავნი გიშრისა ჩხნდენია“ (1261,4), ე. ი. უარყოფილ იქნა „ვეფხისტყაოსნისათვის“ სრულიად შეუფერებელი მეტაფორა წამწამისა — „გიშრის ხე“ და აღდგენილ იქნა ტაეპის ზემოხსენებული წყაითხვა:

ცხადია, გასწორების საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებია, რომლებშიც ეს სიტყვა დაცული იყო, მაგრამ უყურადღებოდ დარჩა — ალბათ იმის გამო, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ იყო<sup>9</sup>.

სალიტერატურო ენის გამდიდრებასა თუ სრულყოფაში დიდია როლი მწერლებისა, რომლებიც თავიანთი თხზულებებით მივიწყებულ სიტყვებს აცოცხლებენ, ლექსიკონის პასიურ მარაგს ააქტიურებენ და ამით ხალხის წიაღიდან შეთვისებულ-შესისხლხორცებულ ლექსიკას, მის მნიშვნელობას წარმოაჩენენ სალიტერატურო ენისათვის.

ამ მხრივ ქართული მწერლობის ენა სათანადო შესწავლა-შეფასებას საჭიროებს.

ამ საკითხისადმი განსაკუთრებულია ცნობილი ქართველი მწერლის გ. შატერაშვილის დამოკიდებულება. იგი თავის ჰიტყვასაც მისხლობრივ წონიდა და სხვის ნათქვამსაც საგანგებოდ უკვირდებოდა, საგანგებოდ აგროვებდა საინტერესო ლექსიკურ ერთეულებს და, როგორც ჭაშნიკს, სთავაზობდა მკითხველს.

მაგალითად, გ. შატერაშვილის ცნობით, „...ლიტერატურულ

7 ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, 1975, გვ. 117.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> მართალია, ჩხნდეს იცნობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მაგრამ დამოწმებულია საბას ლექსიკონის მიხედვით.



ენაში **შინაბერა** შემოიტანა კ. გამსახურდიამ<sup>10</sup>, რომლისთვისაც ენიჭება სიტყვა, ქართული დიალექტიდან აღებული, შ. ძიძიგურს მიუძღვნა<sup>11</sup> დება, კ. გამსახურდიამ კი ეს სიტყვა ფენიქსებზე გააცოცხლა<sup>11</sup>.

აღნიშნულია ისიც, რომ **შინაბერა** ძველი ქართული სიტყვა ყოფილა, კერძოდ, სამსახურებრივი ტერმინის აღმნიშვნელი — ძველ საქართველოში. გ. შატბერაშვილი იმოწმებს ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტს, „...ღედღოფალსა... ახლდენ მანდილოსანნი ორნი მოხუცნი, უფრო თავადის ცოლნი, გამდღეუბად, ექვის თავადის ქალნი **შინაბერებად** და აზნაურისა ოთხი მდაბალი მოახლეები პირის დასაბანად და ქვეშაგების დასაგებად, და ექვსიც კიდე მათზე დაბალი სარეცხისა და საკერავისათვის. და ამათ ყოველთა თავ-თავისი შესაფერი ჯამაგირი ექმნებათ, მეფისა და დედოფლის მოსამსახურეთ“<sup>12</sup>.

სახელდობრ, რა ევალებოდა **შინაბერას**, ამ ამონაწერიდან არ ჩანს. ის კი გარკვეულია, რომ თავადის ქალი უნდა ყოფილიყო და, როგორც სახელიც მიუთითებს, გათხოვების უფლებაც აღკვეთილი უნდა ჰქონოდაო, — აღნიშნავს გ. შატბერაშვილი და იქვე დასძენს, — საფიქრებელია, **შინაბერა** შიმუნვარის აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

ჩვენთვის კი აქ ისაა მთავარი, რომ ძველი ქართულიდან ეს სიტყვა ქართულ დიალექტს შერჩენია და მისი ხელახლა გაცოცხლება, გარკვეული შინაარსობრივი შეზღუდვებით, სწორედ მწერლობის საშუალებით მოხდა.

ასევე დიდი მნიშვნელობისაა სალიტერატურო ენაში მივიწყებული ლექსიკის გამოცოცხლება-დამკვიდრებაში პრესა. ამჯერად მხედველობაში გვაქვს სიტყვა „**საფიხვნო**“, რომელსაც კარგა ხანია ხმა-რობს პედაგოგიური ყურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. ეს სიტყვა ძირითადად ვაჟას თხზულებათა ენის მიხედვითაა ცნობილი:

„აღუდა ქეთელაური  
კაცია დავლათიანი,  
საფიხვნოს თავში დაჯდების,  
სიტყვა მაუღის გზიანი“ (ვაჟა).

10 გ. შატბერაშვილი, თვალაღური ქართულის ქაშნიკი, 1964, გვ. 179.  
11 იქვე.  
12 ი. ბაგრატიონის „სჯულდება“, ივ. სურგულაძის შესავლით, ლექსიკონითა და საძიებლით, 1957; იხ. გ. შატბერაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

ან კიდევ:

„როცა საფიქნოდ დავსხლოდით,  
ვსტოვდით, რაც გადაგვხედა“ (ვაჟა).

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში თანამედროვე მწერალთაგან დამოწმებულია ს. ჩიქოვანიც: „ქართლის ჭირის წისქვილს-შიგან თხრობა, კლუბი იყო თუ საფიხვნო სრული“; განმარტებულია სიტყვის მნიშვნელობაც: „ხალხის თავმოსაყრელი და საბაასო, სამუსაიფო ადგილი სოფელში — ფეხონი“. მინიშნებულია, რომ საფიხვნო მთის კილოთა კუთვნილებათა<sup>13</sup>.

საფიხვნო შინაარსით თითქოს უფრო ტრევადი სიტყვაა, ვიდრე ცალკე აღებული თავშესაყარი ან სამასლაათო. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ადგილი ვაჟას თხზულებისა „შთაბეჭდილებანი“: „ისინი სიშორის გამო ველარ მოდიოდნენ პაპასთან სამასლაათოდ, „საფიხვნოდ“<sup>14</sup>, სადაც „მასლაათის“ სინონიმად ნახმარი საფიხვნო თითქოს ამდიდრებს და ასრულებს აღსანიშნის მნიშვნელობას. ამასთან, საფიხვნო ზუსტად ისეა ნაწარმოები, როგორც საუბნო — საერთო ქართული წესითა და ქართული ელემენტებით. ამ მხრივ იგი მაცნე<sup>15</sup>საც ჩამოჰგავს, თანაც, შეუწავსებელი სიტყვა ჩანს, და არ არის საკვირველი, რომ ლიტერატურული აღიარება მოიპოვოს.

ამის დადასტურებაა ქურნალ „ჭოროხის“ მიერ ამ სიტყვის მიღება-გაზიარება<sup>15</sup>.

სწორედ ამგვარი სიტყვების მიმართ ითქმის, რომ ისინი „მეტწილად საერთო ენის კუთვნილებას წარმოადგენენ იმის მიუხედავად, დადასტურებულია თუ არა ისინი ლიტერატურაში: საერთო სამწერლო ენაში მათ ფარდი არ მოეპოვებათ. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, შესაძლებელია, რომ მათ ადრე თუ გვიან დაუბრკოლებლივ დაიჭირონ ადგილი საერთო-ქართულ ლექსიკურ ფონდში“<sup>16</sup>.

მსგავს ნიმუშად გვესახება კატაფშატა, რომელიც, ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით, ველური ფშატის ხალხური სახელწოდებაა, ძირითად ტერმინად კი მიღებულია ჭალაფშატა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც კატაფშატა იგივეა, რაც ჭალაფშატა. აღნიშნულია, რომ კუთხურია — კახური ან გურული; დამოწმებულია თ. რაზიკაშვილი:

<sup>13</sup> ქე გ ლ.

<sup>14</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. III, 1961, გვ. 23.

<sup>15</sup> იხ. ქურნალი „ჭოროხი“, 1981.

<sup>16</sup> ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.



რომელი მცენარე იგულისხმება ამ დასახელებით, არ ჩანს.

თვით **ჭალაფშატა** კი ასეა განმარტებული: „ფშატის ჯიშის მცენარე, ეკლიანი ბუჩქი ან ხე, იყენებენ ცოცხალ ღობედ“<sup>18</sup>.

სიტყვა მაგალითებით ილუსტრირებული არ არის.

**კატაფშატა** თანამედროვე მწერალთაგან დადასტურებულია რ. ინანიშვილის ენაში. მისი ცნობილი მოთხრობის მიხედვით („ჩვენი კატაფშატა“), **კატაფშატა** გარეული ფშატია, ნაყოფის გამომცემელი. მოთხრობაში ვკითხულობთ:

სხვა მისიანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბუჩქ-ბუჩქად იზრდებოდნენ, ეს კატაფშატა გამომარტოებით იდგა, წასულიყო მალა, მალა, მაგრამ ზენა ქარს არ გაეშვა. წაეხარა, წაეგლუეებინა და ეხლა ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქო გამვლელს ეხვეწება, მოდიო, ჩემს ტოტებქვეშ დაისვენეთო. დალოცვილმა ზაფხულში მშვენიერი ჩრდილი იცოდა, ზამთარში კი — მყუდრო. გაზაფხულზე კი ჰყვოდა და მისი სურნელება ჰხნედავდა ჭალას. შემოდგომისას და ზამთარში, თვით თოვლშიც კი წითელი, ტკბილი ნაყოფი ესხა.

და სხვაგან:

...ამობდნენ, ასეთი ტკბილი ფშატი არსად გვიჰამიო, ჩვენ გვიხაროდა. აბა რა, ვე უბრალო ფშატი კი არ არის, ჩვენი კატაფშატასიაო.

ცხადია, რომ აქ გარეული ფშატი ივარაუდება. მაგრამ, რ. ინანიშვილის ცნობით, ლევან გოთუა **კატაფშატას** ქაცვს უწოდებდა. მართლაც, ქაცვის დიალექტურ ლექსიკურ ერთეულად „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ქართლურისათვის **კატაფშატა**ა დასახელებული<sup>19</sup>. ქაცვსაც ხმარობენ ცოცხალ ღობედ და უფრო ხშირადაც, ოღონდ გარეული ფშატი და ქაცვი სხვადასხვა ნაყოფს იძლევა.

ლექსიკონების მიხედვით, გაურკვეველია, რა ან რომელი ნაყოფი იგულისხმება, როცა **ჭალაფშატას**<sup>20</sup> ასახელებენ. არც ის-ვიცით, თუ ვინ, რომელი ენობრივი კოლექტივი ხმარობს **ჭალაფშატას** გარეული ფშატის აღსანიშნავად, რადგან **ჭალაფშატა** მაგალითებით არაა ილუსტრირებული. **კატაფშატა** კი დღეს სალიტერატურო ენის ფაქტია. ხომ არ იქნებოდა იგი უკეთესი ლიტერატურული შესატყვისი ველური

17 ქეგლ.

18 ქეგლ.

19 ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.

20 ვფიქრობთ, **ჭალაფშატა** ლათინურიდან კალკირებული ტერმინია



ფშატის აღსანიშნავად, ვიდრე **ჭალაფშატა?** მით უმეტეს, რომ **ჭალაფშატა** — ყველა პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს თვით ეს მოთხრობა და, რაც მთავარია, სათაურშივე გამოტანილი სიტყვა **ჭალაფშატა**.

ზოგჯერ სალიტერატურო ენის ფაქტი ხდება ნაწარმოები სიტყვა — საზოგადო ან საკუთარი სახელი — ტოპონიმი ან ანთროპონიმი, რომლის განმარტება მხოლოდ დიალექტზე დაყრდნობით ხერხდება.

მხედველობაში გვაქვს საკუთარი სახელი **წიწოლა** (ჩვენთვის ძირითადად ვაჟას პოემის მიხედვით ცნობილი), რომლის ეტიმოლოგია ალ. ჭინჭარაულს ეკუთვნის<sup>21</sup>.

**წიწ-** ძირი, რომელსაც ეყრდნობა ეს საკუთარი სახელი, მთის კილოებს შემოუნახავს, როგორც **შიშის** სინონიმი. ფშაურ-ხევსურულში **შიშ-წიწი** ისეთივე ტოლადმერწყმული კომპოზიტი ყოფილა, როგორც **შიშველ-ტიტველი**. ჩანს, **წიწოლა** ისევე მოტივირებული სახელია, როგორც **მუცელა**, **იმედა**, **ფხიანა...** თანაც, კანონზომიერად ნაწარმოები, როგორც **გიგო—გიგოლა**, **წიწო—წიწოლა...**

აღსანიშნავია ისიც, რომ ფშაურში დადასტურებული **წიწ-** ძირის მნიშვნელობას მხარს უჭერს თ. ცქიტიშვილის გამოკვლევა: „ზოგიერთი სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორიისათვის“<sup>22</sup>.

დიალექტებიდან სალიტერატურო ენაში ხშირად ფონეტიკურად და სემანტიკურად სახეცვლილი ვარიანტი მკვიდრდება. ამ მხრივ საინტერესოა სიტყვა **ნაძრახი**, რომელიც თავისი წარმოშობით არქაული ჩანს.

ძველ ქართულში ცნობილია ამ სიტყვის საწყისი: **განზრახვა**, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: „განზრახვა — „ზრახვა“, უბნობა, ფიქრი, მიჩნევა, ან: დაკვირვება, გონება, გონიერება, აზრი“, — სიტყვასიტყვით ასეა განმარტებული ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973).

ამ რამდენიმე მნიშვნელობიდან, როგორც ჩანს, ერთ-ერთმა, კერძოდ, „უბნობის“ შინაარსით ნახმარმა **განზრახვა** მნიშვნელობა იცვალა და, შესაბამისად, ამ ძირისაგან ნაწარმოებ მიმღებურ ფორმასაც — **ნაზრახ'ს**, რომელიც თავდაპირველად „ნალაპარაკებს“ ნიშნავდა, — რომელიც დიალექტში ძველ ქართულშივე გაუჩნდა განსხვავებული მნიშვნელობა, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ **ნაზრახი**

21 ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი პერსონაჟის სახელის ეტიმოლოგია (**წიწოლა**), ვაჟას კრებული, II, 1982, გვ. 231—239.

22 თ. ცქიტიშვილი, ზოგიერთი სიტყვის სემანტიკური განვითარების ისტორიისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1971, გვ. 115.

უკვე „შერცხვენილს“ ნიშნავს; ეს მოხდებოდა, ცხადია, მას შემდეგ რაც ქართველის შემეცნებაში **ნაწრახი** დამკვიდრდა ეპითეტები პიროვნებისა, რომელიც სალაპარაკო ობიექტად იქცა, და აქედან მოვიდა სალიტერატურო ენაში. სალიტერატურო ენამ კი განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობით ნახმარ სიტყვას ფორმაც განსხვავებული მოუნახა — **ნაძრახი**.

სოჭის მეტყველებაში ამ სიტყვას კიდევ უფრო გაულრმავებია მნიშვნელობა: „შერცხვენილს“, „გაუპატიურებულს“ ნიშნავს<sup>23</sup>.

ამავე თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა სიტყვა **ბიამანი**, რომელიც ახალ ქართულში ვ. ბარნოვის თხზულებათა ენაში გვხვდება და ყოველთვის მსგავს კონტექსტებში დასტურდება. მაგალითად:

ისარი ერთ ხრიოკ ადგილას დარკობილიყო. მიიხედ-მოიხედა და თქვა: ეს რა **ბიამანი** ადგილი ყოფილაო („ქოჩ. ხე“).

ცხოვრების ზღვა აპლევებოდა და ტალღას ბიამანზე გაეტყორცნა, გერიყნა („ქოჩ. ხე“).

პატარა იად მოეჩვენა ქესკუმი ქალი თავის ცხოვრების უყვავილო ბიამანზედ („ტრფ. წამ.“).

მიმოიხედა თავის გარშემო მეფე ქალწულმა და დაინახა ბიამანი პარტახებული, გადამწვარ არეს არც ნაკადი არ მოსჩანდა გულის საგრილოდ („პირ.“).

საილუსტრაციო მასალის მიხედვით, **ბიამანი** ხრიოკი, უყვავილო, გადამწვარი ადგილია, რამდენადმე უდაბურიც.

ზუსტად ამ მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტებით ეს სიტყვა დასტურდება აღორძინების ხანის მწერლობაში<sup>24</sup>. კერძოდ, ბიამანი||ბეაბანი ფორმით — „ქილილა და დამანაში“, ბეაბანი — „ბახთიარ-ნამეში“ და ბეებანი — ვახტანგ VI-ის თხზულებათა ენაში. ძველი ქართული ენის ძეგლები ამ სიტყვას არ იცნობს, რადგანაც, როგორც ირკვევა, სპარსულიდან ყოფილა ნასესხები საშუალ ქართულში. სპარსულში ეს სიტყვა **ბიამან||ბიავან** ფორმით გვხვდება და სიტყვასიტყვით ნიშნავს „უწყლო ადგილს“ (ბი—უ-პრეფიქსი, აბ — „წყალი“, ან — „ადგილი“).

ქართული დიალექტებიდან **ბიამანი** ქართლურსა და ფერეიდნულში დავადასტურეთ.

<sup>23</sup> **ნაწრახის** მნიშვნელობა დამოწმებული გვაქვს ოთარ მიქიაშვილის სადი-სერტაციო ნაშრომის მიხედვით „ქართული ენის დიალექტთა შერევისა და ინტერფერენციის საკითხები (სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების მიხედვით)“, 1982.

<sup>24</sup> ამ სიტყვის ეტიმოლოგიას ეხება ზ. ჭუმბურიძე გამოკვლევაში „ტოპონი-მიკური ძიებანი“, თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, გვ. 55—56.

როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს, ეს სიტყვა იმერულშიც ყოფილა ბაბანი||ბებანი სახით, მაგრამ სემანტიკა უცვლია: „ძალიან ვაკე ადგილს“. ქართლურსა და ფერეიდნულში კი მნიშვნელოვანი მნიშვნელობა შემოუნახავს, არც ფონეტიკურად ჩანს შეცვლილი.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

წინათ ეჭა ისეთი ბიაბანი ტყე ყოფილა, რო სუ დათვებითა, მკლებით იყო თურმე სავსე<sup>25</sup>.

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი

ჩაქთენ დღეს რო იარნეს, მიადგეს ერთ ბიაბანს და ამპკადეს ყაძლა. იქ არც სოფელი და არც წყალი იყო ახლო<sup>26</sup>.

ცხადია, ე. ბარნოვის ენაში დადასტურებული ბიამანის წყარო ან აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლები, ან აღმოსავლური სასაუბრო მეტყველება, სადაც, როგორც ჩანს, ბიაბანს ფონეტიკური ვარიანტი გაუჩნდა ბიამანის სახით. ე. ბარნოვმა სწორედ ამ ფორმით სცადა მისი გაცოცხლება ახალ ქართულში, მაგრამ, რადგანაც ამ მნიშვნელობით ქართული ძირისაგან ნაწარმოები უკეთესი სიტყვები მოგვეპოვებოდა — „უდაზნო“ და „უდაბური“, ბიამანი ქართულ სალიტერატურო ენაში არ დამკვიდრებულა, ეს ძირი ტოპონიმებშია შემოგვრჩა. ამ მხრივ საინტერესოა ბებნისი („უწყლო ადგილი“, „უდაბნოსი“) და აბისი („წყლიანი ადგილი, „წყლისი“, „წყლეთი“), რომელთა შესახებაც მსჯელობაა ზ. ჭუმბურიძის ზემოთ დასახელებულ წერილში.

ალბათ ამით აიხსნება, რომ ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში არ შესულა.

როგორც აღნიშნავენ, „ლიტერატურაში უხმარი სიტყვა მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩნევა“ და „ლიტერატურაში რაც გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურული არაა“<sup>27</sup>.

ეს, ერთი მხრივ, ბიამანსაც მიესადაგება და, მეორე მხრივ, ლიტერატურაში უკვე ნახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ჯერ კიდევ დრო გამოსცდის. სალიტერატურო ენა მიიღებს ან უარს იტყვის მათზე. ესენია:

საღძირი — ლექსიკონებში არსად დასტურდება. გვხვდება რ. ინანიშვილის ენაში.

<sup>25</sup> ქართლური დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, და ლ. ნოზაძე, 1981.

<sup>26</sup> ვ. თოფურია, ივ. ნიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, ქართული ენის დიალექტოლოგია, I, 1961.

<sup>27</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 009.

კაცს შვიი ხალათის სატინის საყელო საღძირამდე აქვს შეკრული („საღ. ხ.  
ჩან.“).



მწერლის განმარტებით, საღძირი ბოლო, უკანასკნელი, კრისტალური სული წერტილია.

**პატრიაქდება ან ამოპატრიაქდება.**

ამოპატრიაქებულან დგნალები, ილღუნები („ს. ივ. ჭ.“).

ლექსიკონებში არ გვხვდება. რ. ინანიშვილის განმარტებით, ამოპატრიაქება მცენარის ღონივრად ამოსვლაა, განსაკუთრებით, წვიმის შემდეგ უცებ ამოხეთქავს ხოლმე მიწიდან, იტყვიან, ამოპატრიაქდაო. დამარმარებული ნიშნავს: ძალიან სუფთად დაგვილს, სუფთად მოხსულ-დაბარულ მიწას. გვხვდება რევან ინანიშვილის ენაში.

დაბლა სულ ნახნაებია, დასუფთავებული, დამარმარებული ნახნა-  
ვები („შ. თ. მწ.“).

დაგვილი, დამარმარებული მიწა („შ. თ. მწ.“).

დასტურდება ქართულ დიალექტშიც: ამარმარებს — ასუფთავებს, აწკრიანებს. გ. შატბერაშვილთან ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტიც შეგვხვდა: დამანმანებული<sup>28</sup>.

სიტყვის დადასტურება რამდენიმე მწერლის ენაში იმის ნიშანია, რომ ეს სიტყვა გზას იკაფავს სალიტერატურო ენაში.

**კრინავს** — გვხვდება ვაჟას და რ. ინანიშვილის თხზულებებში.

ქათამი იქეჭებოდა, ხამუშ-ხამუშად კრინავდა (ვაჟა).

იქვე ახლოს ჭრიჭინა კრინავდა (რ. ინან.).

„ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონის“ მიხედვით, კრინავს — ე. ი. დაბალ ხმას გამოსცემს, კვნესის. რ. ინანიშვილის განმარტებით კი — ჭრიჭინა შუადღისას ჭრიჭინებს, ღამე კი გამოსცემს მისუსტებულ ხმას. ამას კრინვა ჰქვია.

**შეშმიში** — გვხვდება ვაჟას, ვ. ბარნოვისა და გ. ლეონიძის ენაში. მაგალითად:

საჭირთა, რომ დედაკაცი იზნიღებოდეს ან შეშმიშიად იყოს (ვაჟა).

ქალის მამა შეშმიშივით შეიქნა (ვ. ბარნ.).

ეს შეშმიში რას იტყვისო? (გ. ლეონ.).

ჩანს, ეს სიტყვა აღმოსავლურ კილოთა შემონატანია. გვხვდება ქიზიყურშიც<sup>29</sup>. ნიშნავს: გონებადაკარგულს, დაბნეულს, შეშინებულს, გადარეულს, არეულად მოლაპარაკეს.

<sup>28</sup> გ. შატბერაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

<sup>29</sup> სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ეჭავახება — ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში დასა-  
სიათებულია როგორც კუთხური (ფშაური) და დამოწმებულია ბაზის  
ნას მიხედვით. მაგრამ, ფშაურის გარდა, ეს სიტყვა ყოფილა ქართ-  
ლურსა<sup>30</sup> და რაჭულშიც<sup>31</sup>. ხმარობენ გარეკახურშიც.

მნიშვნელობა დაახლოებით ერთნაირია: უტევს, ეკამათება.

ბაჩანას გარდა, დასტურდება გ. ლეონიძისა და გ. შატბერაშვი-  
ლის თხზულებათა ენაშიც:

თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში ცოლ-ქმრის შეჭავახება (გ. ლეონ.).  
რას ეჭავახები, რა შენი ტოლია! (გ. შატბ.).

ამგვარი ნიმუშების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ  
საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

დიალექტებიდან შემოსული ამ ლექსიკური ერთეულების დასა-  
მკვიდრებლად მნიშვნელობა ექნება, ჯერ ერთი, იმას, თუ რამდენად  
სისხლხორცეულია იგი სალიტერატურო ენისათვის, მეორეც, რა სიხ-  
შირით ხმარობს მწერალი ამ ახალ სიტყვას (ამასთან, რამდენად პო-  
პულარულია თვით ამ მწერლის თხზულებები) და, მესამეც, რა სიხ-  
შირით წარმოჩნდება იგი სხვა მწერალთა ნაწერებში, ე. ი. რამდენად  
იქცევა ესა თუ ის სიტყვა საერთო-სახალხო ენის კუთვნილებად;  
ხოლო ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის საბოლოო მიღება-გაზი-  
არებისათვის, როგორც ცნობილია, საჭიროა არსებობდეს სიტყვა ცალ-  
კე — მწერლის ნაწერებისაგან დამოუკიდებლადაც.

საზოგადოდ კი, „კილოებიდან მომდინარე სიტყვების შესვლა-  
დამკვიდრება საერთო-სალიტერატურო ქართულში კარგად ასახავს  
სალიტერატურო ქართულის დიალექტური ბაზის მნიშვნელოვან გა-  
ფართოებას, ცოცხალი მეტყველების მზარდ როლს საერთო ქართული  
ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში“<sup>32</sup>.

30 ქართული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი,  
მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981.

31 ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912.

32 ბ. ფონხუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

## ასმათ ბაკიძე

### აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი

ზმნის ფორმა, რომელიც დღეს აწმყოს კავშირებითის სახელითაა ცნობილი, აღრინდელ ქართულ გრამატიკებშივე ერთხმად არის მიჩნეული არათხრობითი კილოს შინაარსის გამომხატველ ფორმად. მყოფადის წრის საბოლოო ჩამოყალიბებამდე, რაშიც უპირველესად მყოფადის კავშირებითის დამოუკიდებელ ნაკვთად გაფორმებას ვგულისხმობთ, აწმყოს კავშირებითი, როგორც ცალკე ფორმა, არ არსებობდა, იყო დრო-კილოთა I ჯგუფის კავშირებითი — I კავშირებითის სახელწოდებით, რომელშიც თანაბრად შედიოდა დღევანდელი მყოფადის კავშირებითისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები.

როდესაც I კავშირებითის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები აწმყო-მყოფადისა და უწყვეტელ-ხოლმეობითის ანალოგიით დამოუკიდებელ ნაკვთებად გაფორმდა, ამ ნაკვთებს სათანადო წრეების შესაბამისად ეწოდათ აწმყოს და მყოფადის კავშირებითები. ასე რომ, აწმყოს კავშირებითის დამოუკიდებელ ნაკვთად ჩამოყალიბება უშუალოდ უკავშირდება მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბებას და ორივე I კავშირებითის დაშლის შედეგია. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ I კავშირებითი დაიშალა ფორმობრივად, — ზმნისწინიან და უზმნისწინო ჯგუფებად. ხოლო დაშლის საფუძველი გახდა ახალ ქართულში ზმნისწინებთან დაკავშირებული ახალი ფუნქციების განვითარება. როგორც კი ზმნისწინთა ეს ფუნქციები (მომავლის აღნიშვნა) გამოიკვეთა, I კავშირებითის გამოეყო ზმნისწინიანი ფორმები და ახალი ნაკვთის — მყოფადის კავშირებითის — სახით ჩამოყალიბდა, ხოლო საკუთრივ I კავშირებითის ფუნქციები ძირითადად დარჩა აწმყოს კავშირებითის<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ ახალია ტერმინი **აწმყოს კავ-**

1 აქვე შევნიშნავთ, რომ დაშლის შემდეგ მოხდა I კავშირებითის ზოგი ძველი ფუნქციის გაძლიერება ან დასუსტება. ამიტომ განვასხვავებთ აწმყოს კავშირებითის ფუნქციებს იმავე ფორმის იმდროინდელი ფუნქციებისაგან, როდესაც იგი I კავშირებითის შემადგენლობაში შედიოდა.

შირებითი და არა თვითონ ფორმა (ისევე, როგორც მყოფადის კავშირებითი). აწმყოს კავშირებითი პირველად იხსენიება ა. შანიძის გამოკვლევაში „მწკრივის კატეგორია ზმნაში“, რომელშიც მწკრივებში დაჯგუფებულია კილოთა მიხედვით და კავშირებითი კილოს ოთხ მწკრივს შორის პირველი სწორედ აწმყოს კავშირებითია (составительный настоящего): **ვცხოვრობდე**. აწმყო-მყოფადის კავშირებითის სახელწოდებითაა გამოყოფილი ამ გამოკვლევაში დღევანდელი II კავშირებითი (составительный наст.-буд.): **ვიცხოვრო²**.

შემდგომში, როდესაც მწკრივთა დაჯგუფებას კვლავ ნ. მარისეული კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად (ზმნის ფუძის წარმოება და სინტაქსური წყობა)³, აწმყოს კავშირებითი გამოჩნდა, როგორც დრო-კილოთა I ჯგუფში გამოყოფილი აწმყოს წრის კავშირებითი კილოს ნაკვთი⁴. მის პარალელურად ჩნდება მყოფადის კავშირებითიც, თუმცა ამ უკანასკნელის დამოუკიდებელ ნაკვთად დამკვიდრება უფრო გაჭირდა.

როგორც თვითონ ტერმინები გვიჩვენებს, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითის ფორმათა ძირითადი განმასხვავებელი სემანტიკური ნიშანი დროითი მნიშვნელობაა.

დრო და კილო საუღლებელ ერთეულთა ძირითადი სემანტიკური მახასიათებლებია. ნაკვთთა არსებულ სახელდებასაც ამ ნიშანთა მეტნაკლები მქონებლობა უდევს საფუძვლად. მაგრამ ნაკვთის სახელწოდებაში მხოლოდ ძირითადი ფუნქციაა ასახული და ამიტომ ეს სახელწოდება არ იძლევა ნაკვთის ფუნქციის სრულ სურათს. ამდენად, კავშირებითის რომელიმე ფორმა ყოველთვის კავშირებითი კილოს გამომხატველი არ იქნება, ისევე, როგორც აწმყოს ნაკვთი ყო-

² А. Шанидзе, Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразования глаголов на примерах грузинского языка, еნიმის მოამბე, X, 1941, გვ. 226.

³ ნ. მარისეული „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითად ტაბულებში“ აწმყოს კავშირებითის ფორმები ნამყო უსრულის ერთ-ერთ ნაკვთად აქვს გამოყოფილი და მას უწოდებს ნამყო უსრულ მე-2-ს (ნატვირთს): — прошедшее несовершенное 2-ое (желательное),—об. Н. Я. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СП-ბ., 1908, ხოლო ძველი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში ეს ფორმები უკვე დამოუკიდებელი ნაკვთის სახით არის წარმოდგენილი და მას ნ. მარისეული ნატვირთს უწოდებს.—Н. Я. Марр, Грамматика древнелитературно-грузинского языка, Л., 1925, § 199, გვ. 163.

⁴ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 219.



ველთვის ახლანდელ დროს არ გამოხატავს და ა. შ<sup>5</sup>. მით უმეტეს, რომ დროისა და კილოს გარდა თითოეულ ნაკვთს სხვა სემანტიკური მახასიათებლებიც აქვს. მათი სხვადასხვა სახეობის ფუნქციური გადაკვეთა იძლევა ნაირგვარი შინაარსის გადმოცემის შესაძლებლობას. ამასთან, ეს სემანტიკური ნიუანსები ზმნას კონტექსტის მიხედვით გამოაჩნდება.

დროის კატეგორია განისაზღვრება ზმნით აღნიშნული მოქმედების შეფარდებით საუბრის მომენტთან<sup>6</sup>. ხოლო თვით საუბრის მომენტი, როგორც ახლანდელი დროის გამომხატველი, ყოველთვის გარკვეულ დროულ განფენილობას გულისხმობს, რომელიც მოიცავს როგორც საუბრის მომენტამდე, ისე მის შემდგომ მოქმედებასაც. ეს მოქმედება შეიძლება აღნიშნავდეს ცნობილ ფაქტს, რომელიც წარსულიდან მოდის, წარსულში დაწყებულა, საუბრის მომენტს მოიცავს და მომავალშიც გაგრძელდება, ანდა შეიძლება დაწყებულიყოს საუბრის მომენტში და მომავლისკენ იყოს მიმართული<sup>7</sup>. ამიტომ არის, რომ აწმყო დრო ყოველთვის განგრძობითია და უსრული, ხოლო აწმყოს ფორმები დროულად ყველაზე განუსაზღვრელნი, ხშირად ე. წ. უდროონიც არიან. დროის დაკონკრეტების ამ სუსტმა უნარმა და ზოგჯერ მისმა უქონლობამ განაპირობა ზოგადი აწმყოს ფუნქციის ჩამოყალიბება.

აწმყოს ეს სემანტიკური თავისებურებები შესაბამისად აისახა აწმყოს კავშირებითს შინაარსშიც, მით უმეტეს, რომ კავშირებითის ფორმათათვის დროული განუსაზღვრელობა, ზოგადობა ისედაც ერთერთი ძირითადი სემანტიკური ნიშანია. მართლაც, ის, რაც სავარაუდებელ-შესაძლებელია, რაც ირეალურია, მისი დროული დაკონკრეტება (თუნდაც საუბრის მომენტისათვის) ძნელია.

ერთი მხრივ, საკუთრივ აწმყოს ფორმათა ზოგადდროულმა ში-

<sup>5</sup> ეს წინააღმდეგობები ჰქონდათ მხედველობაში, როდესაც წერდნენ, ნაკვთთა სახელდება შეიძლებოდა სტრუქტურული თვალსაზრისით მოგვეცაო, — უბრალო ნუმერაციის წესით (იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე, XIII, 1962, გვ. 102), ან განყენებულ სახელთა აღნიშვნით, — მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ზელოვნური, — რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 217).

<sup>6</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 198.

<sup>7</sup> М. Д. Мегрелишвили, Функции настоящего времени индикатива в разносистемных языках, Мაცენ, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1981, გვ. 134.





თი კილოს ფორმები გათავისუფლდა მომავლის გადმოცემის საკუთრივებისაგან და მათ საკუთრივ კავშირებითობის აღნიშვნის ფუნქციას დაარჩათ.

სწორედ ამიტომ, თუმცა I კავშირებითის დაშლის შემდეგ აწმყოს კავშირებითის ფორმები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა აწმყოს წრეს, აწმყოს ფუძეს, მის შინაარსს (და ამდენად, აწმყოს ზოგადდროულ სემანტიკასაც), აწმყოს კავშირებითის ზოგადდროული შინაარსი მაინც I კავშირებითის საერთო ფორმაშივე უნდა ვეძიოთ. ამგვარად, აწმყოს კავშირებითის ფორმათათვის ზოგადდროულობა, ზოგადი ირეალობის გადმოცემა უფრო ძველი ფუნქცია უნდა იყოს, ვიდრე კონკრეტული აწმყოს კავშირებითობისა (რასაც იგი თითქმის არც გადმოსცემს).

ზოგადდროული, ჩვეულებითობის ვარაუდი თუ შესაძლებლობა, ზოგადი პირობითობაა გადმოცემული აწმყოს კავშირებითით გამოხატულ ფორმათა დიდ უმრავლესობაში.

**მაგალითად:**

დედის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდე, ორი დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეცეო, — დედა მაგას იქს (ილია). შე ქალო, შენი რძალი ყმაწვილი ქალია, რა ვუყოთ, რომ ჩაცმა-დახურვა ეხალისებოდე (დ. კლდ.). ღრეობა გახურდა... ყველაზე მეტად თაყა ლხინობდა — კაცი რომ იხარჯებოდე, აღარას არგებს ღრეკაო (გ. ლეონ.). მივხვდი, სასაცილოა, იჯდე ამ გამოყრუებულ რაიონში და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ფიქრობდე (გ. ფანჯ.). კლუბის წევრი რომ ვახდე, სულაც არ არის აუცილებელი სპორტისა რამე გაგეგებოდე, საკმარისია გიყვარდე „თოჯოფარანი“ და მთელი გულით და სულით მას ეკუთვნოდე („საუნჯე“).

საგულისხმოა, რომ თავისი ზოგადობის გამო აწმყოს კავშირებითი კარგად იტუებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებსა და ამ ფუნქციით ნახმარ სახელებს. შდრ. მაგ.: კაცი, ქალი. ამავე მიზანს (განზოგადებას) ემსახურება ზმნა-შემასმენლის II პირის ფორმით გამოყენება, რაც აგრეთვე ძალიან ხშირია. შდრ. მაგ.: იჯდე, ფიქრობდე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქართული ანდაზების ენაზე დაკვირვებაც. ანდაზებში ხშირად გვხვდება აწმყოს კავშირებითი. ეს გასაგებიცაა, რადგან ცნობილია, რომ „ანდაზა ხშირად მიმართავს ისეთი მორფოლოგიური საშუალებების, ისეთი სინტაქსური ზღვრების ხმარებას, რომელთა მეოხებით შეიძლება მოქმედების განზოგადება. საამისოდ იგი არჩევს ზმნის დასმას ისეთ ფორმაში, რომელიც გან-

გრძობილ, განმეორებულ, ჩვეულებრივს მოქმედებას კარგად ვაღიარებთ. გვინდა გავაუმჯობესოთ ეს მოქმედება. (ილია).  
გვინდა გავაუმჯობესოთ ეს მოქმედება. (ილია).  
გვინდა გავაუმჯობესოთ ეს მოქმედება. (ილია).

როგორც გიჟირდეს, ისე გიღირდეს. რაც გეზარებოდეს, ის გეძალებოდეს. რაც ითქმოდეს, ქარს მიჰქონდეს. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს. განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მითლიდეს<sup>9</sup>... და ა. შ.

აწმყოს კავშირებითი გადმოცემული ზოგადდროულობა ზოგჯერ ერთგვარად „ლოკალიზდება“ ხოლმე პირობითი მოდალობის გამომხატველ წინადადებებში.

მაგალითად:

ქართველებს და სომხებს რომ სციოდე თ და თეატრი გაათბონ, აქ გადადგომა და ორგულობა რა შუაშია? (ილია). ორი ელფეთერი რომ მყავდეს, ერთს უსათუოდ ჩამოეხარჩობდიო! (გ. ლეონ). თოფიანი კაცი რომ მინდოდეს, მე მთლად ცოცხალ კაცს დავაყენებ იქ, ნამდვილი თოფით ხელში (ნ. დუმბ.). ახლა რომ უმალეს სასწავლებელში შევდიოდე, ნამდვილად მეტალურგიის ფაქულტეტს ავირჩევდი (გ. ფანჯ.). მაგიდის მეორე მხარეს რომ ვისხდეთ, უფრო გამიიოდებოდა მდგომარეობა (გ. ფანჯ.).

მაშინაც კი, როდესაც წინადადება კონკრეტულ სიტუაციას ეხება, — კონკრეტულ შესაძლებლობასა თუ ვარაუდს, პირობასა თუ ვალდებულებას, აწმყოს კავშირებითი მაინც ზოგად, განყენებულ შინაარსს აძლევს წინადადებას.

მაგალითად:

კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით უნდა ვწინავდე, ჩემი სოფლის ყვავილებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს (გ. ლეონ). ბატონო ბაჩანა, უკვე ოთხი წელია, ხბო ხელოვნური გულით ცოცხლობს, ასე რომ, ეს ფაქტი გულს კი არ უნდა გიღონებდეთ, პირიქით, უნდა გამხნეებდეთ (ნ. დუმბ.). აქ არა სწოთკობდე, — უპასუხა მელმა, — წახვიდე, ემანდ გორას იქით ორი ტრედი ზის თელაზე დალაულ-დაქანცულები, ვერ გაგიფრინდებიან (ჯაფა). ჩვენ არ გვინდა ამითი ვთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი (ილია). თავს მოვიჭრი, თუ მე ახლა ამაში ვცდებოდე (დ. კლდ.).

ყველა შემთხვევაში ირეალობა მაინც ზოგადია და „საქმეს ვერ შეველის“ კონკრეტულ სიტუაციაზე მისათითებელი სიტყვებიც (ამ წიგნის, ეს ფაქტი, აქ, იმ წამს, ახლა).

ზოგ შემთხვევაში მთავარი წინადადების ზმნა აღნიშნავს აშკარა კონკრეტულ მოქმედებას, დამოკიდებული წინადადების მიზნით გა-

<sup>9</sup> ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 218.

<sup>10</sup> ქართული ანდაზები, შეადგინა ა. კანდელაკმა, თბ., 1959.

მოხატული მოქმედებაც იმავე სიტუაციას მიემართება, მაგრამ თუ ეს ზმნა აწმყოს კავშირებითითაა წარმოდგენილი, გადმოცემული შინა-არსი მაინც ზოგადდროულია, განგრძობითია და არა კონკრეტული.

მაგალითად:

ჩვენი მწერალი ქალი ბრძანებს, ვითომც მე ვამბობდე, რომ ეგენი ქართულს ახდენენ (ილია). დარბაზს გასცქერის, ხალხს ათვალიერებს, თითქოს ძალზე აინტერესებდეს, ვინ არიან რესტორანში (გ. ფანჯ.). ვითომდა არ იცოდეს?! იმისთვის მოდი, რომ მაგის წველების ყურებით დამტკბარიყავი? (დ. კლდ.). თავს ვიკატუნებ, ვითომ შვეიცარიული გერმანული არ მესმოდეს („ხაუნჯე“). მოდი, გენაცვალო, დაათვალიერე, რაც გინდოდეს (რ. ინან.). უთვლიდა: ვინც შენ გსურდეს, სარწმუნო კაცებად გამოგზავნეო (დ. ხან.). მე ისე ვიცი, ვითომ არ მჭეროდეს და ამასობაში სხვა კარისკენ მივემართები („ხაუნჯე“).

მოყვანილ მაგალითებში ზოგჯერ შესაძლებელია აწმყოს კავშირებითის სხვა ნაკვთით შენაცვლება ისე, რომ წინადადების შინა-არსი არ დაირღვეს. ეს კია, რომ ხშირ შემთხვევაში ზოგადდროულობა და დიურატიულობა ქრება და ეჭვი თუ ვარაუდი შედარებით კონკრეტდება, შდრ. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში: ჩვენი მწერალი ქალი ბრძანებს, ვითომც მე ვამბობ... ან: ...ხალხს ათვალიერებს, თითქოს ძალზე აინტერესებს, ვინ არიან რესტორანში. ან: მე ისე ვიცი, ვითომც არ მჭერა... და ა. შ. ეჭვი აშკარად კონკრეტულ სიტუაციას ეხება, ასევე: ვითომდა არ იცი?, დაათვალიერე, რაც გინდა; ვინც შენ გსურს||მოგესურვება, გამოგზავნე...

მაშასადამე, აწმყოს კავშირებითის უნარი, გამოხატოს ზოგადდროული ირეალობა, მომდინარეობს არა საკუთრივ საწარმოებელი აწმყოს ფუძის შინაარსიდან, არამედ თვით აწმყოს კავშირებითის სემანტიკიდან. ზოგადდროულობა ამ ნაკვთის ერთი ძირითადი ფუნქციაა, შეპირობებული კავშირებითობის სემანტიკით.

ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო კონკრეტული დროული სემანტიკა აქვთ კავშირებითი კილოს სხვა ნაკვთებს: მყოფადის კავშირებითს, II კავშირებითსა და III კავშირებითს. სხვათა შორის, მათთან მეზობლობაში აწმყოს კავშირებითიც შედარებით უფრო კონკრეტდება ხოლმე. შდრ. მაგ.: „მიუახლოვდი იმას და დაუკვირდი: თუ სახე ვარდისფრად გაუწითლდეს, ენა დაებას, გულ-მკერდი აუღელდეს, გულის ძგერა გაიგონო და თვალებში ჯოჯოხეთი და სასუფეველი ერთნაირად იხატებოდეს, გრწამდეს იმისი სიყვარული, შეილო, და ის შეიუღლე“ (აკაკი).

II. განგრძობითობა. დროული განზოგადება, ზოგადდროულობა მჭიდროდაა დაკავშირებული მოქმედების დიურატიულობასთან. მართ-



ლაც, ის, რაც დროში არ არის დაკონკრეტებული, რაც განსაზღვრებულია, რაც ჩვეულებითია, თავისთავად გულისხმობს დროში გაგრძელებასაც. ამიტომ აწმყოს კავშირებით გადმოცემული მოქმედება მომენტობრივი ვერ იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მომენტობრიობა განმეორებადია და ამგვარად გვაქვს მიღებული მრავალგზისობის, ჩვეულებითობის შინაარსი (იხ. ქვემოთ).

მაშასადამე, დიურატიულობა, განგრძობითობა აწმყოს კავშირებითს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით აწმყოს კავშირებითი განსხვავდება კავშირებითი კილოს სხვა ნაკვეთისაგან. მოქმედების დიურატიულობის გადმოცემის უნარით უპირისპირდება იგი მყოფადის კავშირებითს, ხშირად მეორე კავშირებითსაც.

ამგვარად, აწმყოს კავშირებითის დიურატიულობას განაპირობებს არა საკუთრივ კავშირებითობის შინაარსი (მაშინ კავშირებითის სხვა ნაკვეთიც დიურატიული მოქმედების გადმოცემი უნდა ყოფილიყვნენ), არამედ აწმყო დროის სემანტიკისა და კავშირებითის სემანტიკის შეხვედრა. ასპექტის ეს სახე — განგრძობითობა — აუცილებელი თანამდევია ჩანს აწმყო დროისა და კავშირებითის შინაარსთა გადაკვეთისას.

თვითონ აწმყო, როგორც ახლანდელი დროის გადმოცემი ძირითადი ნაკვეთი, განგრძობითი მოქმედების გამომხატველია (უშუალოდ საუბრის მომენტთან დაკავშირებული მოქმედება დასრულებული ვერ იქნება), მაგრამ, როდესაც იმავე მოქმედებას კავშირებითის შინაარსი დამატება, ვიღებთ ერთგვარ ზოგად კავშირებითს, რომელიც, ამავე დროს, განგრძობითი შინაარსის გამომხატველიც არის. ამასთან, აწმყოს კავშირებითი თავისი შინაარსით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მეტადაა დიურატიული, ვიდრე თვითონ აწმყო, რადგან აწმყოს ხშირ შემთხვევაში მაინც აქვს კავშირი საუბრის მომენტთან. ხოლო აწმყოს კავშირებითის დიურატიულობა, თავისი ზოგადდროულობის გამო, დროულ სივრცეშია განფენილი.

ვნახოთ მაგალითებზე:

არავითარი სურვილი არა მაქვს, ჩემი შვილიც ისევე იტანჯებოდეს, როგორც მე ვიტანჯები (გ. ფანჯ.). ეხ, ისე კალამს რომ ვხმარობდე, ბიძაჩემო, როგორც ცელს ხმარობ, წუთით უქმად არ გავაჩერებდი, ისევე ვიხარო („ცისკ.“) — არც თვითონ უნდა თავისი ცხოვრებიდან იმაზე მეტს ხედავდე, ვიდრე მე ვხედავ („საუნჯე“). იციან, რომ ვიტანჯები... უნდათ, რომ ვიტანჯებოდე — ფიქრობდა იგი და როდის-როდის გადათვრდებოდა ხოლმე სარკმელი (ო. კილ.).

მოყვანილ რთულ წინადადებებში აწმყოს კავშირებითის ფორმასთან ერთად შესაბამისი ზმნის აწმყოს ნაკვეთიც გვაქვს: ვიტანჯებო-



დე — ვიტანჯები, ვხმარობდე — ხმარობ, ხედავდე — ვხედავ. რაა: ვიტანჯებოდე, ვხმარობდე, ხედავდე ფორმები ზოგად ირეალობას გამოხატავს. ამიტომაც ეს მოქმედება მოიცავს საერთოდ ზმნისართის შინაარსსაც: ვიტანჯებოდე = (საერთოდ) იყოს, გრძელდებოდეს ჩემი ტანჯვა; ვხმარობდე = (საერთოდ) შემემძლოს ხმარება; ვხედავდე = (საერთოდ) შემემძლოს, მქონდეს საშუალება ხედვისა. ამგვარი დიურატიულობის შინაარსი არა აქვს სათანადო აწმყოს ფორმებს.

მოვიყვანთ აწმყოს კავშირებითი გამოხატული დიურატიული მოქმედების სხვა მაგალითებსაც:

მე რომ სხვის გემოვნებითა ვსცხოვრობდე, როგორც უფ. ბართოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწოდებდით მაგ-გვარ აზრის განსახოვნებას... (ილია). ეპ, ჩვენს ქვეყანაში რომ ფეხბურთზე არ გიყვებოდეს ხალხი, ეგ უკეთეს საქმეს მოკიდებდა ხელს („საუნჯე“). კაცს გიშოვი ისითაა, რო შენს ბედს ქვეყანა მიჰნატროდეს (ვაჟა). ეხლა ვაქაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაქაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს (ილია). მას კი ისე უნდა, ეხუტებოდეს მის მკერდს, ძლიერ უნდა (დ. შენგ.). ალექსანდრემ იცის, სულ სხვა ვილაცის სახელი რომ წერია ამ ძაძაზე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მას უნდა, რომ ეს უცხო სახლიც ნიკოს გლოვობდეს, მის ძმას, მისთვის ყველაზე უდროოდ დაღუპულ ადამიანს (ო. ჰილ.).

**III. მრავალგზისობა, ხოლმეობითობა.** მოქმედების განგრძობითობას, მაშასადამე, ძირითადად მისი დროული პირობითობა განსაზღვრავს. ხოლო საკუთრივ ეს ზოგადდროული შინაარსი, დროული პირობითობა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია სასურველ-სავარაუდო მოქმედების ხშირი (ან მოსალოდნელი) განმეორების შედეგი იყოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიურატიულობისა და მრავალგზისობის სემანტიკათა შეპირისპირება. განგრძობითი მოქმედება ლოგიკურად არ შეიძლება იყოს მრავალგზისი, რადგანაც მრავალგზისი მოქმედება, ჩვეულებრივ, ერთნაირი, ერთი და იმავე მოქმედებათა განმეორებადობას გულისხმობს. ეს მოქმედებები, თავის მხრივ, აუცილებლად წყვეტადი ბუნებისა უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი განმეორებადობა, მრავალგზისობა შეუძლებელი იქნებოდა.

თვითონ კატეგორია დიურატიულობისა და მრავალგზისობისა ერთ-ერთი უძველესი კატეგორიაა ქართულში. ძველ ქართულში იგი გრამატიკულადაც გამოიხატებოდა და დაკავშირებული იყო ასპექტის წარმოებასა და მის სემანტიკასთან<sup>11</sup>. -ი სუფიქსიანი განგრძობი-

<sup>11</sup> ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 5.



თი ასპექტისა და -ე სუფიქსიანი მომენტობრივი ასპექტის ფორმირებას  
 ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მოქმედების, პროცესის მიმდინარეობის  
 რეობის ჩვენებით. ეს პროცესი შეიძლება ყოფილიყო განგრძობითი  
 (დიურატიული), ან წერტილებრივი (მომენტობრივი), ერთგზისი (წყვე-  
 ტილი), ან მრავალგზისი, ჩვეულებითი<sup>12</sup>...

ამასთან, საგულისხმოა, რომ ძველი ქართულის ხოლმეობითის  
 ნაკვეთი კავშირებითის ფუნქციითაც იხმარებოდა და უპირატესად ეს  
 იყო ნამყო უსრულის ხოლმეობითის ვარიანტი<sup>13</sup>. ხოლმეობითს შეეძ-  
 ლო აგრეთვე ზოგადი აწმყოს შინაარსის გადმოცემა<sup>14</sup>. მაშასადამე,  
 ძველ ქართულშივე არსებობდა სემანტიკური საფუძველი ხოლმეო-  
 ბითისა და I კავშირებითის ფუნქციათა სიახლოვისა.

პროცესის სახეობათა გამოხატვა შემდგომ დროის გრამატიკული  
 სისტემის ჩამოყალიბებას დაედო საფუძველად, ხოლო ასპექტის სახე-  
 ობათა გრამატიკულად გაფორმებული სისტემა თანდათან მოიშალა,  
 თუმცა მთის ზოგიერთ დიალექტში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი  
 ხოლმეობითის ფორმები<sup>15</sup>. ენის პოტენცია, გამოეხატა მოქმედების  
 მიმდინარეობის სხვადასხვაგვარი სახე, გამოიხატა ასპექტის აღწერი-  
 თად წარმოებით. ეს განსაკუთრებით შეეხო ხოლმეობითის კატეგო-  
 რიას. უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქართულში ჩნდება ხოლმე ნა-  
 წილაკი, რომელიც თავდაპირველად ჯერ კიდევ ცოცხალ, მაგრამ ფუნ-  
 კციამორღვეულ ხოლმეობითის ნაკვთს დაერთვოდა, ხოლო შემდგომ  
 უკვე არახოლმეობითის, ერთგზისის ფორმებსაც ანიჭებდა ხოლმეო-  
 ბითობას<sup>16</sup>. ამავე ფუნქციით გამოიყენებოდა (და დღესაც გამოიყე-  
 ნება) ზოგიერთ დიალექტში -ყე/-კე ნაწილაკი<sup>17</sup>.

აწმყოს კავშირებითის შინაარსი იგუებს მრავალგზისობის სემან-  
 ტიკას და ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში ეს ნაკვეთი ყოველგვარ

12 არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგი-  
 ლისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მო-  
 ამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 92—94.

13 არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-  
 კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 52—53.

14 იქვე, გვ. 42.  
 15 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, თბ., 1973, გვ.  
 210—211.

16 ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან..., გვ. 10.

17 არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა  
 გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწადური, I—II, თბ.,  
 1923; ი. ქავთარაძე, მოხუცი კილო ყაზბეგის ენაში, თსუ შრომები, ტ. 35,  
 1949.



დამხმარე კონტექსტუალურ საშუალებათა გარეშე გამოხატავს მრავალგზის მოქმედებას, ხოლმეობითობას. ოღონდ, იქ, სადაც დავეუ-  
შვებთ აწმყოს კავშირებითის მრავალგზისობის, ხოლმეობითის ში-  
ნაარსს, დიურატიულობა თითქოს უნდა გამოირიცხოს. მაგრამ აწმყოს  
კავშირებითის მრავალგზისობის შინაარსი რამდენადმე განსხვავებუ-  
ლია მრავალგზისობის ტრადიციული გაგებისაგან. აქ ხშირად სავა-  
რაულებელი მოქმედების მრავალგზისობის განმეორების შედეგად მი-  
ღებული ჩვევა, ჩვეულებითობა უფრო იგრძნობა, ვიდრე თვით ფაქ-  
ტი განმეორებადობისა.

ამასთან, აწმყოს კავშირებითით გადმოცემული მრავალგზისობა  
თავისი შინაარსით წყვეტად მოქმედებათა სიმრავლეს კი მოიცავს,  
მაგრამ თვით შესაძლებლობა ამ განმეორებადობისა უწყვეტია, გან-  
გრძობითია. ესაა მრავალგზისობა, რომლის განმეორებადობის გაგრ-  
ძელება სასურველ-სავარაუდოა.

ამას ორი ფაქტორი განაპირობებს: ერთი მხრივ, აწმყოს კავში-  
რებითის ზოგადდროული შინაარსი, და მეორე მხრივ, — თვით ფუნ-  
ქცია დიურატიულობისა, რომელიც აწმყოს კავშირებითთან ძლიერად  
მოქმედებს. მართლაც, დროული დაკონკრეტებისაგან თავისუფალი  
ყოველი მოქმედება დიურატიული იქნება. და აწმყოს კავშირებითით  
გადმოცემული მრავალგზისობაც, რომელსაც საფუძვლად უდევს  
წყვეტად მოქმედებათა სიმრავლე, საერთო ფუნქციონირებისას მაინც  
დიურატიულია. ოღონდ, მრავალგზისობისა და დიურატიულობის ასე-  
თი შერწყმა მათს ერთგვარ „საშუალო ფუნქციას“ იძლევა. ეს ფუნ-  
ქცია უფრო ჩვეულებითობაა, რომელიც მრავალგზის განმეორებად  
მოქმედებათა საფუძველზე ჩამოყალიბებულა. მრავალგზისობის ში-  
ნაარსის დამტვე თვით ისეთ ტრივიალურ მოქმედებათა შემთხვევაშიც  
კი, როგორცაა ადგომა, ჩაცმა, ჭამა... და მისთ., აწმყოს კავშირები-  
თის ფორმაში მოქმედების ჩვეულებითობას (უფრო ზუსტად, მის  
პირობითობას) უფრო ესმება ხაზი, ვიდრე საკუთრივ ხოლმეობითო-  
ბას. შდრ.: „მოსწავლე ყოველ დილას ადრე უნდა დგებოდეს, სწრა-  
ფად იცვამდეს, საჭმელს ჭამდეს და სკოლაში მიდიოდეს“ და იგივე  
წინადადება აწმყო/უწყვეტლის ფორმებით: „მოსწავლე ყოველ დი-  
ლას ადრე დგება/დგებოდა, სწრაფად იცვამს/იცვამდა, საჭმელს ჭამს/  
ჭამდა და სკოლაში მიდის/მიდიოდა“.

სხვა მაგალითები:

მე რომ არ ვდარაჯობდე, იქნებ ეს უნებურად ეცადა კიდეც („ხაუნჯე“).  
მოუსვი ესლავე შენ და მეორეჯერ აღარ განხო, მეზობლებს რომ აწუხებდე,  
თორემ! (ნ. დუმბ.). ის მუშაობდეს აი ისე, როგორც ხანდახან იცის ხოლმე —  
წვერაუპარსავი, ხალათამოჩეჩილი... არ მინდა არაფერი (რ. ინან.).



ვფიქრობთ, ამ მაგალითებში მაინც უფრო მრავალგზისობის, ხოლმეობითობის შინაარსია წამოწეული, მოქმედების შესაძლებლობის გამო გარკვეულ ჩვეულებითობად აღქმული.

თუ მოქმედების განმეორებადობა წარსულში არ დაწყებულა და მისი მრავალგზისობა მომავლისთვისაა სასურველ-სავარაუდებელი, ამ ტიპის წინადადებებში მოქმედების ჩვეულებითობად გადაქცევის ნატვრა-სურვილია გადმოცემული, — ჩვეულებითობა, რომელიც მოქმედების განმეორებადობის, მრავალგზისობის შედეგად ჩამოყალიბდება.

მაგალითად:

ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლითა და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰალაობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე, ვაჭებ-ვადილებდე შენს მშვენებას, შენს შემოქმედს (ვაჟა). დიდხანს იდექი აგრე, წელან რომ დაგინახე, ფალავანივით გიყურებდეთ და გვახარებდე (რ. ინან.). მითამ რა ნუგეშია, რომ ერთ-ერთ თვალზედ შეშორეს, მეორედამ კი სცვიოდეს ცრემლი? (ილია). არ მინდა არაფერი, მის სუნთქვას ვგრძნობდე ახლოს (რ. ინან.). შდრ. იქვე ხოლმე ნაწილაკიანი ფორმაც: რა იქნება, ღმერთო, ჩემი რომ იყოს; არა, ჩემი კი არა, ვგრძნობდე ხოლმე, რომ ის მეორე ოთახში მუშაობს და მე აქეთ ვიყო.

ხშირ შემთხვევაში აწმყოს კავშირებითი გადმოცემული მრავალგზისი მოქმედების შესაძლებლობა თუ ვარაუდი ზოგადდროულია. მაგალითად:

პეტრე მაინც მადლობელი იყო მისი, როგორც მეპატრონე მოურავისა, რომელიც კარგად უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას და რომელიც სრულებითაც არ არის ვალდებული, სამუშაოს დამთავრების შემდეგაც სიყვარულს ეფიცებოდეს მეპატრონეს (ო. ჭილა). ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნებული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი (კ. გამს.). მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს (ილია). სწორედ აღარ ეგვიანებოდა, — ისეთ ღროს მოველინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე, — ღირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფეთა (ლ. ხან.).

ზოგადდროულობა და ირეალურობა აწმყოს კავშირებითის მუდმივი ფუნქციური მახასიათებლებია, განპირობებული თვით ნაკვთის სემანტიკით. რაც შეეხება მრავალგზისობას, იგი გამოჩნდება ხოლმე გარკვეულ შემთხვევებში, ოღონდ გარკვევა ამ შემთხვევებისა ძალიან ჭირს (თვით ამ ფუნქციის გამოყოფის კრიტერიუმი ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ იგუებს ხოლმე ნაწილაკის სემანტიკას); ვერ



ბერხდება განსაზღვრა იმისა, თუ რით არის განპირობებული ამ მრავალგზისობის გადმოცემა. დამატებითი კონტექსტუალური საშუალებები გამოყენებული არაა. შესაძლოა, მიზეზი ზმნათა სემანტიკაში იყოს საძიებელი. შეინიშნება ასევე ერთი რამ: წინადადებებში, რომლებშიც სავარაუდებელია აწმყოს კავშირებით გადმოცემული მრავალგზისობის შინაარსი, ძირითადად გამოყენებულია ის ზმნები, რომლებსაც სრულიად განსხვავებული ანდა წარმოების თვალსაზრისით სხვადასხვა ყალიბის ფუძეები აქვთ აწმყოს წრისა და მყოფადის წრისათვის (**დადიოდე, იჯდე, მოგკონდეს; ვდარაჯობდე, მწვანობდე, ფიქრობდე...** ტიპის). ამასთან, თუ წინადადებაში რამდენიმე ზმნაა აწმყოს კავშირებით წარმოდგენილი და ერთს მაინც აქვს მრავალგზისობის გავება, დანარჩენი ზმნებიც ადვილად იძენენ სათანადო შინაარსს. ხოლო ის ზმნები, რომელთა აწმყო-მყოფადის წრის ნაკვთებს ზმნისწინის ქონება-უქონლობა განასხვავებს, შედარებით ნაკლებად გამოიყენება ამგვარ კონტექსტში. თანაც, აწმყოს კავშირებითის სათანადო ზმნისწინიან ვარიანტსაც, უმეტესწილად, შეუძლია მრავალგზისობის შენარჩუნება, მაშინ როდესაც ზემოთ აღნიშნული განსხვავებული წარმოების შემთხვევაში მრავალგზისობის შინაარსი ქრება, თუ ზმნას **ხოლმე** ნაწილაკს არ მივაშველებთ.

შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ: აღარ განახო, მეზობლებს (**შეაწუხებდე**; ისე ატარე მანქანა, რომ შიშისაგან გული არ (**გა**)მისკლებოდეს; არაა დასაძრახისი, ეგ სიტყვა ჩვენში (**მო**)**იხმარებოდეს**; გიორგი მეხუთე — ღირსი — (**მო**)**იხსენიებოდეს** და ა. შ. და, მეორე მხრივ: **ივლიდე, მოიტანდე, ვიფიქრებდე, ვიგრძნობდე, ვიმუშავებდე** და ა. შ. ამ უკანასკნელ ფორმებში უკვე წინ წამოიწია სურვილის, ნატვრის შინაარსმა, რის გამოც ისინი მრავალგზისობის გამოსახატავად **ხოლმე** ნაწილაკის გარეშე სათანადო კონტექსტებში ნაკლებად გამოდგებიან.

როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში ზმნისწინი ჯერ კიდევ სუსტი მადიფერენცირებელი საშუალებაა აწმყოსა და მყოფადის კავშირებითების ნაკვთათვის. ამიტომაც ზმნისწინით განსხვავებულ აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებს უფრო მეტად აქვთ შემორჩენილი ფუნქციური სიახლოვე, ვიდრე სხვადასხვა წარმოების შესაბამის ნაკვთებს.

ზმნისწინებთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. როგორც ცნობილია, ზმნისწინს ქართულში მრავალი ფუნქცია აქვს<sup>18</sup>. იგი ახალ ქართულში არა მარტო მყოფადის წრის ფორმებს აწარმო-

18 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 239.

ებს, არამედ ახალ ლექსიკურ ერთეულებსაც ქმნის. ხშირად სრულიად განსხვავებულია სხვადასხვა ზმნისწინიანი ერთი ძირის ფორმები ლექსიკურად (მოიგო, წააგო, ჩააგო, დააგო, ააგო და მისთ.). ყოველთვის ერთნაირი არაა აწმყო-მყოფადის წრის ნაკვთთა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება. ვხატავ—დავხატავ, ვხატავდი—დავხატავდი, ვხატავდე—დავხატავდე ტიპის წყვილებში ზმნისწინი მომავალი დროისა და მასთან დაკავშირებული ახალი ნაკვთების მაწარმოებელია. მაგრამ ვაგებ ფორმის მყოფადის წრის წარმოებისას დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ ძირის ლექსიკურ შესაძლებლობათა ვარიაციები და სათანადო კონტექსტი. თუ აწმყოში გვაქვს ვაგებ ხ ა ლ ი ჩ ა ს, — მყოფადში დავაგებ გვექნება, თუ ვაგებ ფ უ ლ ს, მაშინ — წავაგებ, ვაგებ ს ა ხ ლ ს — ავაგებ და ა. შ.

ზმნისწინით შექმნილი ლექსიკური მნიშვნელობები ზოგჯერ იმდენად მყარია და განსხვავებული, რომ აუცილებელი ხდება მისი დატოვება აწმყოს წრეშიც, ან, უფრო სწორად, უზმნისწინოდ იგი არ იხმარება; ამდენად, აწმყო-მყოფადის წრის ფორმები საერთო აქვთ და მხოლოდ კონტექსტი განარჩევს მწკრივის ფორმებს<sup>19</sup>.

მაგალითად:

როგორც თვითონ ამბობს, იგი ჯერჯერობით თვალს ადევნებს მხოლოდ იმას, რომ ნატაშას ფიზიკური მდგომარეობა შეეცაბა ბეზოდეს მის სათანადო პოტენციალს („ლელო“). კაცს გიშოვი ისითასა, რომ შენს ბედს ქვეყანა მიჰნატროდეს (ვაჟა). მე ისეთი სიძე მინდა, რომ მისი ქორწილი ერთი კვირა გაგრძელდეს, ქვეყანა პირდაღებული შემომცქეროდეს („საუნჯე“). რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს (ილია). წინ ქალაღდები დაუწყეთ და თითონაც ისე მოაწყეთ პორტრეტი, რომ ქალაღდებში ჩაიცქირობოდეს (ვაჟა).

**IV.** აწმყოს კავშირებითის მოდალური ნიუანსები: ა) პირობითობა. ხშირად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აწმყოს კავშირებითის გამოჩენა ერთგვარი პირობითობის გადმოცემას ემსახურება. ამასთან, აღნიშნული პირობითი მოდალობა შეიძლება დავადასტუროთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების, მიზეზის, მიზნის... და სხვა დამოკიდებულ წინადადებათა შემცველ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებში. ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება არის ერთგვარი გამომრიცხველი პირობა, საფუძველი, ახსნა იმისა, რის გამოც ხდება ან არ ხდება მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება. მაშა-

<sup>19</sup> იგივე ითქმის მოძრაობის გამომხატველი ზმნების შესახებაც, რომლებშიც ზმნისწინი მოძრაობის, გადაადგილების მიმართულების მაჩვენებელია.

სადამე, მოსაუბრის თვალსაზრისით, ერთი მოქმედების ფაქტად ქცევა უშუალოდ დაკავშირებული მეორე მოქმედების შესრულებასთან. ამასთან, ეს ორი მოქმედება დროის თვალსაზრისით აუცილებლად დასახვევებულია. პირობა უნდა უსწრებდეს შესაძლო შედეგს. ამ დროული უწინარესობის გამო არსებობს აზრი, რომ „პირობითი აუცილებლად ნამყოს ფორმას გულისხმობს“<sup>20</sup>. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ პირობითი და შედეგობითი მოდალობა „კილოს“ პირობითი სახელწოდებით არის გამოყოფილი და ასეთად ჩათვლილია მხოლოდ II თურმეობითისა და I ხოლმეობითის მონაწილეობით შედგენილი სათანადო კონსტრუქციები. („მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა), — „აღნიშნულ ფორმებში დრო წარსულია გამოხატული“<sup>21</sup>.

პირობით-შედეგობითი კატეგორიის გამოყოფა, ვფიქრობთ, მხოლოდ სემანტიკურ სიბრტყეზე შეიძლება. გრამატიკულად იგი არც „კილოა“ და არც „კატეგორია“; ამასთან, პირობითობის შინაარსი უფრო ფართოა და ის მრავალი სხვადასხვა ნაკვთის კომბინაციას მოიცავს. მაგალითისათვის შეიძლება რამდენიმე კომბინაცია დავსახელოთ: აწმყო—მყოფადი: ის თუ ამ სურათს ხატავს, მე იმას დავხატავ. ნამყო ძირითადი — ხოლმეობითი: ის თუ ამას ხატავდა, მე სხვას დავხატავდი. უფრო ხშირად ამგვარი კომბინაციები ერთი და იმავე ნაკვთის ფარგლებში გვაქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხოლმეობითის ხმარება (მე დავხატავდი, ის თუ მთხოვდა). პირობითი შინაარსის გადმოცემის დროს აწმყოს კავშირებითანაც ყველაზე ხშირად ხოლმეობითის ნაკვთია დაკავშირებული.

ამწყოს კავშირებითი გადმოცემული პირობაც დროულად უწინარესი უნდა იყოს, თუმცა კვლავ და კვლავ თავისი ზოგადდროული შინაარსის გამო ყოველთვის ნათლად როდი შეიმჩნევა ასეთი დროული შეფარდება. ხშირად წარმოდგენილი პირობა და შედეგი თითქოს ერთდროულიც კია. დამოკიდებულ წინადადებაში გაცხადებულ პირობის ფაქტად ქცევაზეა დამოკიდებული მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების შესრულება. მაგალითად, წინადადებაში: „მაგიდის მეორე მხარეს რომ ვისხდეთ, უფრო გამიიოლდებოდა მდგომარეობა“ (გ. ფანჯ.). — მაგიდის მეორე მხარეს ჯდომა იქნებოდა მდგომარეობის გაიოლების პირობა, საფუძველი და კავშირებითის ნაკვთით გადმოცემულია სწორედ ამ პირობის შესრულების სასურველობა. ამგვარივე წინადადებებია:

20 ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში..., გვ. 45.

21 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები..., გვ. 209.

მეც ვიტყვებდი, რომ მარტო უკან-ღა ვიხედებოდე, როგორც ვნლა შენ (ილია). სიამოვნებით შევეუშვებდი თავს, რომ არ მეუხერხულებოდე (გ. ფანჯ.). ვარშემო რომ ქვეყანა ინგრეოდეს, მის ზედაპირზე ერთი კლდეც არ შექანდება („ციხკ.“). ეს რომ არ უშლიდეს ხელს, პირველი კლასის მოთამაშე იქნებოდა („საუნჯე“). რომ ვიცნობდე, სილას გვაწინადი შიგ ტუჩებში... (რ. ინან.). ვინ ოხერი, ასს კი არა, ორას მანეთსაც რამეს ვეტყვოდი, რომ რამე გამეფეოზოდეს, რამე გამაჩნდეს (დ. კლდ.). კარგად რომ იკითხებოდე ის თქვენი ვერლობრი, მაშინ ხომ ველარ შეგედევებოდი... („ციხკ.“). გაქვევა რომ შეიძლებოდე, ამდენ ხალხს რა გააჩერებდა აქ (ო. პილ.).

ამგვარივე პირობითობაა გამოხატული კითხვა-მიგების, დიალოგურ, ზოგჯერ კი რიტორიკულ მეტყველებაში, სადაც მხოლოდ პირობაა ფიქსირებული, მისგან გამომდინარე შედეგი, მეორე მოქმედება კი იგულისხმება.

მაგალითად:

აბა, შენ გტკიოდეს? (რ. ინან.). აბა, შენ გქონდეს ამოდენა ბებერა? (იქვე). ორი ამდენი რომ გყავდეს? (ნ. ღუმბ.).

**ბ) ნატვრითობა.** ნატვრითი მოდალობის გადმოცემა კავშირებითი კილოს ნაკვეთა ერთ-ერთი გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქციაა. ამის გამო ისინი ხშირად მონაწილეობენ ამ შინაარსის გამომხატველ მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებშიც — დალოცვისა და წყევლის ფორმულებში. ნატვრა ყოველთვის მომავალს მიემართება, აწმყოს კავშირებითით გადმოცემული ნატვრა კი მოკლებულია დროულ დაკონკრეტებას, იგი ზოგადდროულია, უდროოა. მას არა აქვს კავშირი საუბრის მომენტთან, რაც საუღლებელი ზმნით გამოხატული მოქმედების დროის განსაზღვრისას ამოსავალია. ამიტომ ეს მოქმედება ყოველთვის დიურატიულია, ხშირად მრავალგზისიც.

აწმყოს კავშირებითი შედარებით იშვიათად მონაწილეობს ე. წ. ფიცილის ფორმულებში, მაგრამ ნატვრითობის, სასურველობის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება.

მაგალითად:

ნეტავი იყიდებოდე, მე ვიყო შენი ვაჰარი (ხალხ.). მრისხანე ხელი შენი მსჯიდეს, ხოლო გულსა შენსა ვუყვარდე (ნ. ლორთქ.). ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლითა და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლადობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე, ვაქებ-ვალიდებდე შენს მშვენებას, შენს შემოქმედს (ვუა). სულ გაზაფხულის ისმოდეს ფეთქვა და მეღვრებოდეს მზის შუქი გულზე (ციხკ.). უფალო, შენ ღამეზე, დაწვი, დანაცრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სქამდეს ჭოჯოხეთში (გ. ლეონ.).

გ) ბრძანებითობა. აწმყოს კავშირებითით გადმოიცემა ძირითადად ბრძანებითი კილოს მუქარისა და მოწოდების მოდალობები. მაგალითად:

აქამდე გატყუებდით, კიდევ მქონდა თავის დაძვრენის იმედი, მაგრამ ახლა იცოდეთ, რომ იმ ღამეს მართლა მწყყერებს კი არ დავდევი ბათუმის ბულვარში (ო. ჰილ). ყველას ერთსა და იმავეს აბარებდა: ჩემი გეშინოდეთ, რამეთუ სხვას ფეხებზე კილია ჩვენი სივალხეო (ო. ჰილ). ამ დროს კი გჯეროდეთ ყველას წამითი მეგობრობა და გრწამდეთ ხანმოკლე სიყვარულიც (აკაკი).

ბრძანებითის უახლოვდება ერთგვარი ჯიბრის, დაქადნებითი შინაარსის წინადადებებიც:

მისი კუდიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეს (დ. კლდ.). მტკივა და მტკიოდეს (რ. ინან.).

V. აწმყოს კავშირებითთან გამოყენებული ნაწილაკები. კავშირებითი კილოს ნაკვთები სხვადასხვა მოდალურ ნიუანსს (ეჭვის, ვარაუდის, სურვილის, შესაძლებლობის...) უმთავრესად დამხმარე კონტექსტუალური საშუალებებით გადმოსცემენ. მათგან ნაწილაკებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ირეალობის კონკრეტიზაცია, ჩვეულებრივ, ხდება ან მთავარი წინადადების შინაარსით, მისი ზმნის მიმართებით დამოკიდებულთან, ან ნაწილაკის საშუალებით. ეს ნაწილაკი, როგორც წესი, დამოკიდებულ წინადადებაშია ხოლმე. ახალ ქართულში, საერთოდ, შეიმჩნევა ტენდენცია ირეალობის კონკრეტიზაციისა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ნაწილაკთა ხარჯზე მოდის. ნაწილაკთა ამგვარი „დახმარება“ იმდენად გავრცელდა, რომ ანალოგიურ კონსტრუქციაში კავშირებითის ნაკვთის გამოყენების გარეშეც მათ შეძლეს ინდიკატიურ ფორმებთან ირეალური მოდალობის გამოხატვა. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო, ალბათ, ენის შინაგანმა პოტენციალმაც, — ძველ ქართულში ირეალურ მოქმედებას ხომ სწორედ თხრობითი კილოს ნაკვთებთან -მცა ნაწილაკის ხმარება გამოხატავდა.

აწმყოს კავშირებითთან ყველაზე ხშირად გამოყენებულია ორი ნაწილაკი: უნდა და თითქოს.

თითქოს ნაწილაკი საერთოდ ყველაზე პროდუქტიული ნაწილაკია კავშირებითი კილოს ნაკვთებთან, ხშირად დამახასიათებელი კონსტრუქციაც აქვს: ისე ან ისეთი კორელატები — მთავარ წინადადებაში, თითქოს ნაწილაკი და კავშირებითი კილოს ნაკვეთი — დამოკიდებულში. თითქოს ნაწილაკიანი კავშირებითი კილოს ნაკვთებით ერთ-

გვარი ასოცირებული შედარებაა გამოხატული. ამასთან, მთავარ წინადადებაში შედარების საფუძველი, წინაპირობაა მოცემულია ციციის გაჩენისა. ორი საგნისა თუ მოქმედების ასოცირებული დაკავშირება ცნობიერების აქტია; ამ დაკავშირების საფუძველზე წარმოიქმნება შემდეგ გარკვეული შთაბეჭდილება, რომელიც მოჩვენებითია, ირეალურია, — რაიმე ნიშნით შეპირობებული ასოციაციის შედეგი. ამიტომაც იგი დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული.

ენახოთ მაგალითებზე:

თითქოს გვირაბში მივდიოდეთ, ხელმარჯვნივ ჩამუქებული ფოთლებით გამოვსებული ტყეა, ხელმარცხნივ (რ. ინან.). ისევ ყურისწამლები ჯაჯაყი, ისევ ბეჟანას გამყინავი ხმა — თითქოს წყალგალმა ექაბოდეს ვინმეს. (რ. ინან.). გზადახეული დავაბიჯებ მე მის ქარებზე, ფრთხილად, თითქოს ახალშობილ ბაღს ვეხებოდე („ციხკ.“) მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი... თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე (ილია).

აღნიშნულ წინადადებებში ჩამუქებული ფოთლებით გამოვსებულ ტყესთან ასოცირებულია გვირაბი, გამყინავ ხმასთან — წყალგალმა ძლიერი გადაძახილი, სიფრთხილესთან — ახალშობილ ბავშვთან შეხება, დიდ ბარგთან — ქალის გათხოვება, მზითვეი.

მაგრამ წინადადებათა უმრავლესობაში ასოცირებული შთაბეჭდილება ერთგვარად შენიღბულია. არ ჩანს აშკარად, კერძოდ რა იწვევს აღნიშნულ ასოციაციას. დამოკიდებულ წინადადებაში წარმოდგენილი ასოციაცია ან მოჩვენებითობა ესადაგება ძირითად სათქმელს, რომელიც მთავარ წინადადებაში შეფარულად არის ვაცხადებული. მკითხველმა თვითონ უნდა წარმოიდგინოს, აღადგინოს ამ ასოციაციის გაჩენის მიზეზი, რომელიც ელიბტირებულია, თუმცა წინადადების ძირითადი აზრია. შდრ.:

კოხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გვეფლება, თითქოს მტკნარ ზღვაში იხრჩობოდე („ციხკ.“). თან თავს ისე მაჩვენებს, ვითომ ბარის თავზე დაკიდებული რეკლამის ამოკითხვას ლამობდეს („საუნჯე“). ისეთი სახე ადევს, თითქოს საქორწილოდ ირთვებოდეს (ო. ჭილა). ლაბორატორიაშიც ისე დაიარება ხოლმე, თითქოს სიმფონიური მუსიკის კონცერტზე მიდიოდეს (გ. ფანჯ.). აბა, ისე მივდივარ ახლა, თითქოს ჯიბეში მეგულეობდეს (დ. კლდ.).

ამგვარ კონსტრუქციაში გამოიყენება III კავშირებითიც და სურათი ზუსტად ისეთივეა, როგორც აწმყოს კავშირებითის შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ ასპექტობრივია, — აწმყოს კავშირებითი ზოგადდროულ, განგრძობით მოქმედებას გადმოგვეცემს, ზოგჯერ მრავალგზისიცაა, ხოლო III კავშირებითით გამოხატული ასოცირებული



შთაბეჭდილების საფუძველი წარსულ დროშია გადატანილი, ოღონდ შთაბეჭდილება აქაც საუბრის მომენტში იქმნება, მოქმედება თადად წერტილებრივია და ერთგზისი, შდრ. III კავშირებითიანი კონსტრუქცია:

ისე ერიდებოდა და ეკრძალებოდა კვების, თითქოს მას, უკვე გამოჩერ-ჩებულ დედაკაცს, მოეტყუებინოს, გაექურდოს და ხელცარიელი დაეტოვებინოს კვაქუნი (მ. ჭავ.). ან: „მეთევზეც“ მიუახლოვდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, მეგობარი შეათვლიერა („ციხკ.“).

კავშირებითი კილოს ნაკვეთათვის აღნიშნული კონსტრუქცია (ისე/ისეთი მისათითებელი სიტყვა მთავარში, თითქოს ნაწილაკი დამოკიდებულში) იმდენად ძლიერი დამხმარე კონტექსტუალური საშუალებაა მოჩვენებითობის ასოციირებული შთაბეჭდილების გადმოსაცემად, რომ ანალოგიურ კონსტრუქციაში ინდიკატიური ფორმებითაც შესაძლებელია აღნიშნული შინაარსის გამოხატვა.

მაგალითად:

მგვრამ თუ ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრენი დარჩენია, ისინი ისე თცხოვრებას ვასწევენ, თითქოს ხელთ სწორედ სათაყვანებელი ადამიანის დანატოვარი ვანაწესი აქვთ და იმით ხელმძღვანელობენ („ციხკ.“). ისეთი ტკბილი, უჩვეულო შეგრძნებაა, თითქოს სიკვდილში მიიღიხარ (გ. გვგ.).

ამ კონსტრუქციაში შესაძლებელია ისე, ისეთი მისათითებელი სიტყვები არ იყოს და კონტექსტით იგულისხმებოდეს, ან იყოს მისი ფარდი სიტყვები: იმგვარად, რა-რიგად და მისთ.

მაგალითად:

სულის დაღვეის დროს იგი მაინც არა ჰკარავს სიამაყეს, მამაცად აბრიალებს თვალბს, თითქო ეუბნება თავის ნიშის მგებლებს... (ვაჟა). არა, რა-რიგად გაფითრებულა, მითომ და მართლა არჩობენ (ილია).

ამავე რიგისაა თითქოს ნაწილაკიანი მეორე კონსტრუქციაც, რომელშიც დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ზმნასთან პირად შეწყობილი სახელის განმარტებაა.

მაგალითად:

ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ბედის ანაბარა გტოვებ („ციხკ.“). ამა-საც იტყვიან, თითქოს არც მე მიყვარს მამაჩემი (გ. შატბ.). მე ვცდილობ, რომ ეგებ მოიშოროს ეს ტონი, რომლითაც მარწმუნებს, თითქოს უფრო საინტერესო და საკირო საქმე, ვიდრე მეფრინველეობაა, არ არსებობს („კომ.“).

ყველა ზემოთ მოყვანილი ზმნის ინდიკატიურფორმიანი კონსტრუქცია შინაარსობრივად არაფრით განსხვავდება შესაბამისი კავში-



რებითი კილოს ნაკვეთიანი კონსტრუქციისაგან: თითქოს აქვთ დახმარება მძღვანელობენ სემანტიკურად უდრის თითქოს ჰქონდეთ დახმარება მძღვანელობდნენ, თითქოს მიდიხარ = თითქოს მიდიოდე, მითამ არჩობენ = მითამ არჩობდნენ, თითქო ეუბნება = თითქოს ეუბნებოდეს, თითქოს გტოვებ = თითქო გტოვებდე, თითქოს არ მიყვარს = თითქო არ მიყვარდეს.

უნდა ნაწილაკი. თანამედროვე ქართულში უნდა ნაწილაკი სამ ნაკვეთთან იხმარება: აწმყოს კავშირებითთან, II კავშირებითთან და II თურმეობითთან. შეინიშნება უნდა-ს ხმარება III კავშირებითთანაც. რაჭულში უნდა გაეკეთებინოს სრულიად ბუნებრივი და გავრცელებული კომბინაცია, სალიტერატურო ქართულში და სხვა დიალექტებში კი იშვიათად თუ გამოჩნდება. III კავშირებითის ეს ფუნქცია მთლიანად II თურმეობითმა იკისრა.

ერთი რამ ნათელია: უნდა მხოლოდ კავშირებითის ნაკვეთს შეიგუებებს და კატეგორიულობის, აუცილებლობის, ვალდებულების მოდალობას გამოხატავს. ამგვარი შინაარსის გადმოსაცემად ძველ ქართულშიც კავშირებითი კილოს ფორმები იყო გამოყენებული, ოღონდ უნდა ნაწილაკის გარეშე (საერთოდ, ძველი ქართული მოდალურ ნაწილაკებს ერიდება). ოთხთავის ბერძნულსა და გერმანულ პარალელურ ტექსტებში ამ კონსტრუქციაში თხრობითი კილოს მომავალი დროის ნაკვეთია გამოყენებული<sup>22</sup>. ამიტომ აღნიშნული ფორმები კილოს მიხედვით თხრობითად არის მიჩნეული, ხოლო კატეგორიულობის მოდალობის გამო დამსგავსებულია ბრძანებითს<sup>23</sup>.

ვალდებულებისა და აუცილებლობის მოდალური მნიშვნელობა ბერძნულში მომავლის ფორმით გადმოიცემოდა, ხოლო ძველმა ქართულმა ანალოგიური შინაარსი კავშირებითის ნაკვეთით იმიტომ გამოხატა, რომ მომავლის გადმოცემის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება სწორედ კავშირებითის ფორმები იყო. უნდა ნაწილაკის გაჩენა კი სლავურთან დაახლოების საფუძველზეა ახსნილი (რუსული должен ინფინიტივი ახალ ქართულში უდრის უნდა + ზმნის ფორმას)<sup>24</sup>.

II კავშირებითთან დაკავშირებული უნდა ნაწილაკი თითქმის ყოველთვის აუცილებლობისა და ვალდებულების მოდალობის გამოხატველია და მას მართლაც თხრობითი კილოს ერთ-ერთ მოდალობად (კერძოდ, მომავალში აუცილებლად შესასრულებელ მოქმე-

<sup>22</sup> გ. ნინუა, კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შესახებ, მაცნე, I, 1967, გვ. 231—233.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 233.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 231—233.



დებად) ვთვლით იმის გამო, რომ უნდა + II კავშირებითი ადვილად იგუებს მარტივი წინადადების კონსტრუქციის და, ამასთან, არც მარტივი რი ასოციირებული მიმართებები არ იგულისხმება (მე უნდა ვხატო, მან ეს უნდა გააკეთოს).

აწმყოს კავშირებითთან უნდა ნაწილაკი ძირითადად სამი ფუნქციით გამოიყენება:

1) მსგავსად II კავშირებითისა, იგიც ვალდებულებისა და აუცილებლობის მოდალურ შინაარსს გამოხატავს და II კავშირებითის შემცველი ანალოგიური კონსტრუქციისაგან ძირითადად ასპექტისა და დროული განზოგადების მიხედვით განსხვავდება. II კავშირებითიანი ფორმები მომავალში შესასრულებელ მოქმედებას აღნიშნავს, სრულასპექტიანი ფორმები მომენტობრივი შინაარსისა, აწმყოს კავშირებითის ფორმები კი დროულად განუსაზღვრელია, ზოგადია, უსრული ასპექტისაა და განგრძობითი, ხშირად მრავალგზისი შინაარსისაც. მართალია, მოსალოდნელია II კავშირებითის უსრულასპექტიანი ფორმის გამოყენებაც უნდა ნაწილაკთან (მე უნდა ვხატო), მაგრამ ვალდებულების გადმოსაცემად ენა ამ შემთხვევაში აწმყოს კავშირებითიანი ფორმებს აძლევს უპირატესობას. მე უნდა ვხატო გამოთქმაში კატეგორიულობა თითქოს უფრო სუსტია, ვიდრე მე უნდა ვხატავდე ფრაზაში.

დროულად განუსაზღვრელი ვალდებულებისა და აუცილებლობის კატეგორიულობის მოდალობაა გამოხატული უნდა ნაწილაკითა და აწმყოს კავშირებითით შემდეგ წინადადებებში:

სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმაღს იქნევედე, ვშმაკები რომ არ დაეპატრონონ (ნ. დუმბ.). თავადს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს — გლეხობა (ილია). უნდა მოლხენით ცხოვრობდე, სისხლი არსადა გდიოდეს, ყველას კაქივით ეგონო, შენ სანთელივით დვიოდე (ხალხ.). შენ ისეთი დედ-მამის შვილი ხარ, ერთი ბავშვი ვერ უნდა გიტოვდებოდეს მთელ სოფელში (ჯ. ქარჩხ.). ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია იყოს ინტელიგენტი, მან თავისი ერის ისტორია უნდა იცოდეს, მას თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, გული სტკიოდეს მის ნაკლზე, აწუხებდეს მისი ბედი, ეამაყებოდეს მისი სახელოვანი და გამირული წარსული („საქ. ქალი“). კარგმა თამადამ ხორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს, ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი უნდა იყოს, ბორჯგლიან გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერეკებოდეს (გ. ლეონ.). არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე (აკაკი). სარკეში მართო ჩვენს სახეს კი არ უნდა ვამოწმებდეთ, უნდა გვქონდეს



ლაც, ის, რაც დროში არ არის დაკონკრეტებული, რაც განმარტებულია, რაც ჩვეულებითია, თავისთავად გულისხმობს დროში გაგრძელებასაც. ამიტომ აწმყო კავშირებით გადმოცემული მოქმედება მომენტობრივი ვერ იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მომენტობრიობა განმეორებადია და ამგვარად გვაქვს მიღებული მრავალგზისობის, ჩვეულებითობის შინაარსი (იხ. ქვემოთ).

მაშასადამე, დიურატიულობა, განგრძობითობა აწმყო კავშირებითს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით აწმყო კავშირებითი განსხვავდება კავშირებითი კილოს სხვა ნაკვთებისაგან. მოქმედების დიურატიულობის გადმოცემის უნარით უპირისპირდება იგი მყოფადის კავშირებითს, ხშირად მეორე კავშირებითსაც.

ამგვარად, აწმყო კავშირებითის დიურატიულობას განაპირობებს არა საკუთრივ კავშირებითობის შინაარსი (მაშინ კავშირებითის სხვა ნაკვთებიც დიურატიული მოქმედების გადმოცემა უნდა ყოფილიყვნენ), არამედ აწმყო დროის სემანტიკისა და კავშირებითის სემანტიკის შეხვედრა. ასპექტის ეს სახე — განგრძობითობა — აუცილებელი თანამდევია ფუნქციისა ჩანს აწმყო დროისა და კავშირებითის შინაარსთა გადაკვეთისას.

თვითონ აწმყო, როგორც ახლანდელი დროის გადმოცემა ძირითადი ნაკვთი, განგრძობითი მოქმედების გამომხატველია (უშუალოდ საუბრის მომენტთან დაკავშირებული მოქმედება დასრულებული ვერ იქნება), მაგრამ, როდესაც იმავე მოქმედებას კავშირებითის შინაარსი დაემატება, ვიღებთ ერთგვარ ზოგად კავშირებითს, რომელიც, ამავე დროს, განგრძობითი შინაარსის გამომხატველიც არის. ამასთან, აწმყო კავშირებითი თავისი შინაარსით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მეტადაა დიურატიული, ვიდრე თვითონ აწმყო, რადგან აწმყოს ხშირ შემთხვევაში მაინც აქვს კავშირი საუბრის მომენტთან. ხოლო აწმყო კავშირებითის დიურატიულობა, თავისი ზოგადდროულობის გამო, დროულ სივრცეშია განფენილი.

ენახოთ მაგალითებზე:

არავითარი სურვილი არა მაქვს, ჩემი შვილიც ისევე იტანჯებოდეს, როგორც მე ვიტანჯები (გ. ფანჯ.). ეხ, ისე კალამს რომ ვხმარობდე, ბიძაჩემო, როგორც ცელს ხმარობ, წუთით უქმად არ გააჩერებდი, ისევე ვიხარო („ცისკ.“). არც თვითონ უნდა თავისი ცხოვრებიდან იმაზე მეტს ხედავდე, ვიდრე მე ვხედავ („საუწყე“). იციან, რომ ვიტანჯები... უნდათ, რომ ვიტანჯებოდე — ფიქრობდა იგი და როდის-როდის გადათვრდებოდა ხოლმე სარკმელი (ო. კილი).

მოყვანილ რთულ წინადადებებში აწმყო კავშირებითის ფორმასთან ერთად შესაბამისი ზმნის აწმყო ნაკვთიც გვაქვს: ვიტანჯებო-



დე — ვიტანჯები, ვხმარობდე — ხმარობ, ხედავდე — ვხედავ. რაა: ვიტანჯებოდე, ვხმარობდე, ხედავდე ფორმები ზოგად ირეალობას გამოხატავს. ამიტომაც ეს მოქმედება მოიცავს საერთოდ ზმნისართის შინაარსსაც: ვიტანჯებოდე = (საერთოდ) იყოს, გრძელდებოდეს ჩემი ტანჯვა; ვხმარობდე = (საერთოდ) შემემძლოს ხმარება; ვხედავდე = (საერთოდ) შემემძლოს, მქონდეს საშუალება ხედვისა. ამგვარი დიურატიულობის შინაარსი არა აქვს სათანადო აწმყოს ფორმებს.

მოვიყვანთ აწმყოს კავშირებითი გამოხატული დიურატიული მოქმედების სხვა მაგალითებსაც:

მე რომ სხვის გემოვნებითა ვსცხვრობდე, როგორც უფ. ბართოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწოდებდით მაგ-გვარ აზრის განსახოვნებას... (ილია). ეპ, ჩვენს ქვეყანაში რომ ფეხბურთზე არ გიქდებოდეს ხალხი, ეგ უკეთეს საქმეს მოკიდებდა ხელს („ხაუნჯე“). კაცს გიშოვი ისითასა, რო შენს ბელს ქვეყანა მიჰნატროდეს (ვაჟა). ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს (ილია). მას კი ისე უნდა, ეხუტებოდეს მის მკერდს, ძლიერ უნდა (დ. შენგ.). ალექსანდრემ იცის, სულ სხვა ვიდაცის სახელი რომ წერია ამ ძაძაზე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მას უნდა, რომ ეს უცხო სახლიც ნიკოს გლოვობდეს, მის ძმას, მისთვის ყველაზე უფროოდ დაღუპულ ადამიანს (ო. ჰილ.).

**III. მრავალგზისობა, ხოლმეობითობა.** მოქმედების განგრძობითობას, მამსახადამე, ძირითადად მისი დროული პირობითობა განსაზღვრავს. ხოლო საკუთრივ ეს ზოგადდროული შინაარსი, დროულ პირობითობა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია სასურველ-სავარაუდო მოქმედების ხშირი (ან მოსალოდნელი) განმეორების შედეგი იყოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიურატიულობისა და მრავალგზისობის სემანტიკათა შეპირისპირება. განგრძობითი მოქმედება ლოგიკურად არ შეიძლება იყოს მრავალგზისი, რადგანაც მრავალგზისი მოქმედება, ჩვეულებრივ, ერთნაირი, ერთი და იმავე მოქმედებათა განმეორებადობას გულისხმობს. ეს მოქმედებები, თავის მხრივ, აუცილებლად წყვეტადი ბუნებისა უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი განმეორებადობა, მრავალგზისობა შეუძლებელი იქნებოდა.

თვითონ კატეგორია დიურატიულობისა და მრავალგზისობისა ერთ-ერთი უძველესი კატეგორიაა ქართულში. ძველ ქართულში იგი გრამატიკულადაც გამოიხატებოდა და დაკავშირებული იყო ასპექტის წარმოებასა და მის სემანტიკასთან<sup>11</sup>. -ი სუფიქსიანი განგრძობი-

11 ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 5.



თი ასპექტისა და -ე სუფიქსიანი მომენტობრივი ასპექტის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მოქმედების, პროცესის მიმდინარეობის ჩვენებით. ეს პროცესი შეიძლება ყოფილიყო განგრძობითი (დიურატიული), ან წერტილებრივი (მომენტობრივი), ერთგზისი (წყვეტილი), ან მრავალგზისი, ჩვეულებითი<sup>12</sup>...

ამასთან, საგულისხმოა, რომ ძველი ქართულის ხოლმეობითის ნაკვთი კავშირებითის ფუნქციითაც იხმარებოდა და უპირატესად ეს იყო ნამყო უსრულის ხოლმეობითის ვარიანტი<sup>13</sup>. ხოლმეობითს შეეძლო აგრეთვე ზოგადი აწმყოს შინაარსის გადმოცემა<sup>14</sup>. მაშასადამე, ძველ ქართულშივე არსებობდა სემანტიკური საფუძველი ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფუნქციათა სიახლოვისა.

პროცესის სახეობათა გამოხატვა შემდგომ დროის გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად, ხოლო ასპექტის სახეობათა გრამატიკულად გაფორმებული სისტემა თანდათან მოიშალა, თუმცა მთის ზოგიერთ დიალექტში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ხოლმეობითის ფორმები<sup>15</sup>. ენის პოტენცია, გამოეხატა მოქმედების მიმდინარეობის სხვადასხვაგვარი სახე, გამოიხატა ასპექტის აღწერითად წარმოებით. ეს განსაკუთრებით შეეხო ხოლმეობითის კატეგორიას. უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქართულში ჩნდება ხოლმე ნაწილაკი, რომელიც თავდაპირველად ჯერ კიდევ ცოცხალ, მაგრამ ფუნქციამორღვეულ ხოლმეობითის ნაკვთს დაერთვოდა, ხოლო შემდგომ უკვე არახოლმეობითის, ერთგზისის ფორმებსაც ანიჭებდა ხოლმეობითობას<sup>16</sup>. ამავე ფუნქციით გამოიყენებოდა (და დღესაც გამოიყენება) ზოგიერთ დიალექტში -ყე/-კე ნაწილაკი<sup>17</sup>.

აწმყოს კავშირებითის შინაარსი იგუეებს მრავალგზისობის სემანტიკას და ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში ეს ნაკვთი ყოველგვარ

12 არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 1, 1943, გვ. 92—94.  
 13 არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 52—53.  
 14 იქვე, გვ. 42.  
 15 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 210—211.  
 16 ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან..., გვ. 10.  
 17 არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწდეული, I—II, თბ., 1923; ი. ქავთარაძე, მოხუერი კილო ყაზბეგის ენაში, თსუ შრომები, ტ. 35, 1949.



დამხმარე კონტექსტუალურ საშუალებათა გარეშე გამოხატავს მრავალგზის მოქმედებას, ხოლმეობითობას. ოღონდ, იქ, სადაც შევებით აწმყოს კავშირებითის მრავალგზისობის, ხოლმეობითის შინაარსს, დიუტრატიულობა თითქოს უნდა გამოირიცხოს. მაგრამ აწმყოს კავშირებითის მრავალგზისობის შინაარსი რამდენადმე განსხვავებულია მრავალგზისობის ტრადიციული გაგებისაგან. აქ ზშირად სავარაუდებელი მოქმედების მრავალგზისობის განმეორების შედეგად მიღებული ჩვევა, ჩვეულებითობა უფრო იგრძნობა, ვიდრე თვით ფაქტი განმეორებადობისა.

ამასთან, აწმყოს კავშირებითით გადმოცემული მრავალგზისობა თავისი შინაარსით წყვეტად მოქმედებათა სიმრავლეს კი მოიცავს, მაგრამ თვით შესაძლებლობა ამ განმეორებადობისა უწყვეტია, განგრძობითია. ესაა მრავალგზისობა, რომლის განმეორებადობის გავრცელება სასურველ-სავარაუდოა.

ამას ორი ფაქტორი განაპირობებს: ერთი მხრივ, აწმყოს კავშირებითის ზოგადდროული შინაარსი, და მეორე მხრივ, — თვით ფუნქცია დიუტრატიულობისა, რომელიც აწმყოს კავშირებითთან ძლიერად მოქმედებს. მართლაც, დროული დაკონკრეტებისაგან თავისუფალი ყოველი მოქმედება დიუტრატიული იქნება. და აწმყოს კავშირებითით გადმოცემული მრავალგზისობაც, რომელსაც საფუძვლად უდევს წყვეტად მოქმედებათა სიმრავლე, საერთო ფუნქციონირებისას მაინც დიუტრატიულია. ოღონდ, მრავალგზისობისა და დიუტრატიულობის ასეთი შერწყმა მათს ერთგვარ „საშუალო ფუნქციას“ იძლევა. ეს ფუნქცია უფრო ჩვეულებითობაა, რომელიც მრავალგზის განმეორებად მოქმედებათა საფუძველზე ჩამოყალიბებულია. მრავალგზისობის შინაარსის დამტვევ თვით ისეთ ტრივიალურ მოქმედებათა შემთხვევაშიც კი, როგორცაა ადგომა, ჩაცმა, ჭამა... და მისთ., აწმყოს კავშირებითის ფორმაში მოქმედების ჩვეულებითობას (უფრო ზუსტად, მის პირობითობას) უფრო ესმება ხაზი, ვიდრე საკუთრივ ხოლმეობითობას. შდრ.: „მოსწავლე ყოველ დილას ადრე უნდა დგებოდეს, სწრაფად იცვამდეს, საჭმელს ჭამდეს და სკოლაში მიდიოდეს“ და იგივე წინადადება აწმყოს/უწყვეტლის ფორმებით: „მოსწავლე ყოველ დილას ადრე დგება/დგებოდა, სწრაფად იცვამს/იცვამდა, საჭმელს ჭამს/ჭამდა და სკოლაში მიდის/მიდიოდა“.

სხვა მაგალითები:

მე რომ არ ვდარაჯობდე, იქნებ ეს უნებურად ეცადა კიდეც („საუნჯე“). მოუსვი ეხლავე შენ და მეორეჯერ აღარ ვნახო, მეზობლებს რომ აწუხებდე, თორემ! (ნ. დუმბ.). ის მუშაობდეს აი ისე, როგორც ხანდახან იცის ხოლმე — წვერგაუპარსავი, ხალათამოჩიჩილი... არ მინდა არაფერი (რ. ინან.).



ვეფქრობთ, ამ მაგალითებში მინც უფრო მრავალგზისობის ხოლმეობითობის შინაარსია წამოწეული, მოქმედების შესაძლებლობის მეორებადობის გამო გარკვეულ ჩვეულებითობად აღქმული.

თუ მოქმედების განმეორებადობა წარსულში არ დაწყებულა და მისი მრავალგზისობა მომავლისთვისაა სასურველ-სავარაუდებელი, ამ ტიპის წინადადებებში მოქმედების ჩვეულებითობად გადაქცევის ნატვრა-სურვილია გადმოცემული, — ჩვეულებითობა, რომელიც მოქმედების განმეორებადობის, მრავალგზისობის შედეგად ჩამოყალიბდება.

**მაგალითად:**

ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლითა და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლალობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმდერდე, ვაჭებ-ვადიდებდე შენს მშვენებას, შენს შემოქმედს (ვაჟა). დიდხანს იდექი აგრე, წელან რომ დაგინახე, ფალავანივით გიყურებდეთ და გვახარებდე (რ. ინან.). მითამ რა ნუგეშია, რომ ერთ-ერთ თვალზედ შემშრეს, მეორიდან კი სცვიოდეს ცრემლი? (ილია). არ მინდა არაფერი, მის სუნთქვას ვგრძნობდე ახლოს (რ. ინან.). შდრ. იქვე ხოლმე ნაწილაკიანი ფორმაც: რა იქნება, ღმერთო, ჩემი რომ იყოს; არა, ჩემი კი არა, ვგრძნობდე ხოლმე, რომ ის მეორე ოთახში მუშაობს და მე აქეთ ვიყო.

ხშირ შემთხვევაში აწმყოს კავშირებითით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედების შესაძლებლობა თუ ვარაუდი ზოგადდროულია. მაგალითად:

პეტრე მინც მადლობელი იყო მისი, როგორც მეპატრონე მოურავისა, რომელიც კარგად უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას და რომელიც სრულებითაც არ არის ვალდებული, სამუშაოს დამთავრების შემდეგაც სიყვარულს ეფიცებოდეს მეპატრონეს (ო. ჭილ.). ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნებული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყეო და შლეგად მოაჩვენო აღამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი (კ. გამხ.). მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს (ილია). სწორედ აღარ ეგვიანებოდა, — ისეთ ღროს მოველინა თავის ქვეყანას გიორგი მეხუთე ბრწყინვალე, — ღირსი, იხსენიებოდეს გვერდით დიდთა ქართველთა ხელმწიფთა (ლ. ხან.).

ზოგადდროულობა და ირეალურობა აწმყოს კავშირებითის მუდმივი ფუნქციური მახასიათებლებია, განპირობებული თვით ნაკვთის სემანტიკით. რაც შეეხება მრავალგზისობას, იგი გამოჩნდება ხოლმე გარკვეულ შემთხვევებში, ოღონდ გარკვევა ამ შემთხვევებისა ძალიან ჭირს (თვით ამ ფუნქციის გამოყოფის კრიტერიუმში ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ იგუებს ხოლმე ნაწილაკის სემანტიკას); ვერ

ზერხდება განსაზღვრა იმისა, თუ რით არის განპირობებული ამ მრავალგზისობის გადმოცემა. დამატებითი კონტექსტუალური საშუალებები გამოყენებული არაა. შესაძლოა, მიზეზი ზმნათა სემანტიკაში იყოს საძიებელი. შეინიშნება ასევე ერთი რამ: წინადადებებში, რომლებშიც სავარაუდებელია აწმყოს კავშირებით გადმოცემული მრავალგზისობის შინაარსი, ძირითადად გამოყენებულია ის ზმნები, რომლებსაც სრულიად განსხვავებული ანდა წარმოების თვალსაზრისით სხვადასხვა ყალიბის ფუძეები აქვთ აწმყოს წრისა და მყოფადის წრისათვის (დადიოდე, იჯდე, მოგქონდეს; ვდარაჯობდე, მწვანობდე, ფიქრობდე... ტიპის). ამასთან, თუ წინადადებაში რამდენიმე ზმნაა აწმყოს კავშირებით წარმოდგენილი და ერთს მაინც აქვს მრავალგზისობის ვაგება, დანარჩენი ზმნებიც ადვილად იძენენ სათანადო შინაარსს. ხოლო ის ზმნები, რომელთა აწმყო-მყოფადის წრის ნაკვთებს ზმნისწინის ქონება-უქონლობა განასხვავებს, შედარებით ნაკლებად გამოიყენება ამგვარ კონტექსტში. თანაც, აწმყოს კავშირებითის სათანადო ზმნისწინიან ვარიანტსაც, უმეტესწილად, შეუძლია მრავალგზისობის შენარჩუნება, მაშინ როდესაც ზემოთ აღნიშნული განსხვავებული წარმოების შემთხვევაში მრავალგზისობის შინაარსი ქრება, თუ ზმნას ხოლმე ნაწილაკს არ მივაშველებთ.

შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ: აღარ ვნახო, მეზობლებს (შე)აწუხებდე; ისე ატარე მანქანა, რომ შიშისაგან გული არ (გა)მისკლებოდეს; არაა დასაძრახისი, ეგ სიტყვა ჩვენში (მო)იხმარებოდეს; გიორგი მეხუთე — ღირსი — (მო)იხსენიებოდეს და ა. შ. და, მეორე მხრივ: ივლიდე, მოიტანდე, ვიფიქრებდე, ვიგრძნობდე, ვიმუშავებდე და ა. შ. ამ უკანასკნელ ფორმებში უკვე წინ წამოიწია სურვილის, ნატვრის შინაარსმა, რის გამოც ისინი მრავალგზისობის გამოსახატავად ხოლმე ნაწილაკის გარეშე სათანადო კონტექსტებში ნაკლებად გამოდგებიან.

როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში ზმნისწინი ჯერ კიდევ სუსტი მადიფერენცირებელი საშუალებაა აწმყოსა და მყოფადის კავშირებითების ნაკვთათვის. ამიტომაც ზმნისწინით განსხვავებულ აწმყოსა და მყოფადის კავშირებითებს უფრო მეტად აქვთ შემორჩენილი ფუნქციური სიახლოვე, ვიდრე სხვადასხვა წარმოების შესაბამის ნაკვთებს.

ზმნისწინებთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. როგორც ცნობილია, ზმნისწინს ქართულში მრავალი ფუნქცია აქვს<sup>18</sup>. იგი ახალ ქართულში არა მარტო მყოფადის წრის ფორმებს აწარმო-

18 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 239.

ებს, არამედ ახალ ლექსიკურ ერთეულებსაც ქმნის. ხშირად სრულიად განსხვავებულია სხვადასხვა ზმნისწინიანი ერთი ძირის ფორმები სიკურად (მოიგო, წააგო, ჩააგო, დააგო, ააგო და მისთ.). ყოველთვის ერთნაირი არაა აწმყო-მყოფადის წრის ნაკეთთა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება. ვხატავ—დავხატავ, ვხატავდი—დავხატავდი, ვხატავდე—დავხატავდე ტიპის წყვილებში ზმნისწინი მომავალი დროისა და მასთან დაკავშირებული ახალი ნაკეთების მაწარმოებელია. მაგრამ ვაგებ ფორმის მყოფადის წრის წარმოებისას დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ ძირის ლექსიკურ შესაძლებლობათა ვარიაციები და სათანადო კონტექსტი. თუ აწმყოში გვაქვს ვაგებ ხ ა ლ ი ჩ ა ს, — მყოფადში დავაგებ გვექნება, თუ ვაგებ ფ უ ლ ს, მაშინ — წავაგებ, ვაგებ ს ა ხ ლ ს — ავაგებ და ა. შ.

ზმნისწინით შექმნილი ლექსიკური მნიშვნელობები ზოგჯერ იმდენად მყარია და განსხვავებული, რომ აუცილებელი ხდება მისი დატოვება აწმყოს წრეშიც, ან, უფრო სწორად, უზმნისწინოდ იგი არ იხმარება; ამდენად, აწმყო-მყოფადის წრის ფორმები საერთო აქვთ და მხოლოდ კონტექსტი განარჩევს მწკრივის ფორმებს<sup>19</sup>.

მაგალითად:

როგორც თვითონ ამბობს, იგი ჯერჯერობით თვალს ადევნებს მხოლოდ იმას, რომ ნატაშას ფიზიკური მდგომარეობა შეეცაბა ბაშკოვ დე ს მის სათანადო პოტენციალს („ლელო“). კაცს გიშოვი ისითასა, რო შენს ბედს ქვეყანა მიჰნატრო დე ს (ვაჟა). მე ისეთი სიძე მინდა, რომ მისი ქორწილი ერთი კვირა გაგრძელდეს, ქვეყანა პირდაღებული შემომცქეროდეს („ხაუნჯე“). რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატრო დე ს (ილია). წინ ქალაღდები დაუწყეთ და თითონაც ისე მოაწყეთ პორტრეტი, რომ ქალაღდებში ჩაიცქირებოდეს (ვაჟა).

**IV. აწმყოს კავშირებითის მოდალური ნიუანსები: ა) პირობითობა.**

ხშირად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში აწმყოს კავშირებითის გამოჩენა ერთგვარი პირობითობის გადმოცემას ემსახურება. ამასთან, აღნიშნული პირობითი მოდალობა შეიძლება დავადასტუროთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების, მიზეზის, მიზნის... და სხვა დამოკიდებულ წინადადებათა შემცველ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებში. ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება არის ერთგვარი გამომრიცხველი პირობა, საფუძველი, ახსნა იმისა, რის გამოც ხდება ან არ ხდება მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება. მაშა-

<sup>19</sup> იგივე ითქმის მოძრაობის გამომხატველი ზმნების შესახებაც, რომლებშიც ზმნისწინი მოძრაობის, გადაადგილების მიმართულების მაჩვენებელია.

სადამე, მოსაუბრის თვალსაზრისით, ერთი მოქმედების ფაქტად ქცევა უშუალოდაა დაკავშირებული მეორე მოქმედების შესრულებასთან. ამასთან, ეს ორი მოქმედება დროის თვალსაზრისით აუცილებლად განსხვავებულია. პირობა უნდა უსწრებდეს შესაძლო შედეგს. ამ დროული უწინარესობის გამო არსებობს აზრი, რომ „პირობითი აუცილებლად ნამყოს ფორმას გულისხმობს“<sup>20</sup>. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ პირობითი და შედეგობითი მოდალობა „კილოს“ პირობითი სახელწოდებით არის გამოყოფილი და ასეთად ჩათვლილია მხოლოდ II თურმეობითისა და I ხოლმეობითის მონაწილეობით შედგენილი სათანადო კონსტრუქციები. („მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა), — „აღნიშნულ ფორმებში დრო წარსულია გამონახატული“<sup>21</sup>.

პირობით-შედეგობითი კატეგორიის გამოყოფა, ვფიქრობთ, მხოლოდ სემანტიკურ სიბრტყეზე შეიძლება. გრამატიკულად იგი არც „კილოა“ და არც „კატეგორია“; ამასთან, პირობითობის შინაარსი უფრო ფართოა და ის მრავალი სხვადასხვა ნაკვეთის კომბინაციას მოიცავს. მაგალითისათვის შეიძლება რამდენიმე კომბინაცია დავასახელოთ: აწმყო—მყოფადი: ის თუ ამ სურათს ხატავს, მე იმას დავხატავ. ნამყო ძირითადი — ხოლმეობითი: ის თუ ამას ხატავდა. მე სხვას დავხატავდი. უფრო ხშირად ამგვარი კომბინაციები ერთი და იმავე ნაკვეთის ფარგლებში გვაქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხოლმეობითის ხმარება (მე დავხატავდი, ის თუ მთხოვდა). პირობითი შინაარსის გადმოცემის დროს აწმყოს კავშირებითანაც ყველაზე ხშირად ხოლმეობითის ნაკვეთია დაკავშირებული.

ამწყოს კავშირებით გადმოცემული პირობაც დროულად უწინარესი უნდა იყოს, თუმცა კვლავ და კვლავ თავისი ზოგადდროული შინაარსის გამო ყოველთვის ნათლად როდი შეიმჩნევა ასეთი დროული შეფარდება. ხშირად წარმოდგენილი პირობა და შედეგი თითქოს ერთდროულიც კია. დამოკიდებულ წინადადებაში ვაცხადებული პირობის ფაქტად ქცევაზეა დამოკიდებული მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების შესრულება. მაგალითად, წინადადებაში: „მაგიდის მეორე მხარეს რომ ვისხდეთ, უფრო გამიიოლდებოდა მდგომარეობა“ (გ. ფანჯ.). — მაგიდის მეორე მხარეს ჯდომა იქნებოდა მდგომარეობის გაიოლების პირობა, საფუძველი და კავშირებითის ნაკვეთით გადმოცემულია სწორედ ამ პირობის შესრულების სასურველობა. ამგვარივე წინადადებებია:

20 ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში..., გვ. 45.

21 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები..., გვ. 209.

მეც ვიტყვებდი, რომ მართო უკან-ლა ვიხედებოდე, როგორც ელა შენ (ილია). სიამოვნებით შევეუშევრდი თავს, რომ არ მეუხერხულე ბოდე (გ. ფანჯ.). გარშემო რომ ქვეყანა ინგრეოდეს, მის ზედაპირზე ერთი კლდეც არ შექანდება („ციხკ.“). ეს რომ არ უშლიდეს ხელს, პირველი კლანის მთაშია იქნებოდა („საუნჯე“). რომ ვიცნობდე, სილას გააწნავდი შიგ ტუჩებში... (რ. ინან.). ვინ ოხერი, ასს კი არა, ორას მანეთსაც რამეს ვეტყვოდი, რომ რამე გამეწყობოდე, რამე გამაჩნდეს (დ. კლდ.). კარგად რომ იკითხებოდე ის თქვენი ვერლიბრი, მაშინ ხომ ველარ შეგედავებოდი... („ციხკ.“). გაქცევა რომ შეიძლებოდე, ამდენ ხალხს რა გააჩერებდა აქ (ო. ჭილ.).

ამგვარივე პირობითობაა გამოხატული კითხვა-მიგების, დილოგურ, ზოგჯერ კი რიტორიკულ მეტყველებაში, სადაც მხოლოდ პირობაა ფიქსირებული, მისგან გამომდინარე შედეგი, მეორე მოქმედება კი იგულისხმება.

მაგალითად:

აბა, შენ გტკიოდეს? (რ. ინან.). აბა, შენ გქონდეს ამოდენა ბებერა? (იქვე). ორი ამდენი რომ გყავდეს? (ნ. ღუმბ.).

ბ) ნატვრითობა. ნატვრითი მოდალობის გადმოცემა კავშირებითი კილოს ნაკვთთა ერთ-ერთი გამოკვეთილი და დამახასიათებელი ფუნქციაა. ამის გამო ისინი ხშირად მონაწილეობენ ამ შინაარსის გამომხატველ მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებშიც — დალოცვისა და წყევლის ფორმულებში. ნატვრა ყოველთვის მომავალს მიემართება, აწმყოს კავშირებითით გადმოცემული ნატვრა კი მოკლებულია დროულ დაკონკრეტებას, იგი ზოგადდროულია, უდროოა. მას არა აქვს კავშირი საუბრის მომენტთან, რაც საუღლებელი ზმნით გამოხატული მოქმედების დროის განსაზღვრისას ამოსავალია. ამიტომ ეს მოქმედება ყოველთვის დიურატიულია, ხშირად მრავალგზისიც.

აწმყოს კავშირებითი შედარებით იშვიათად მონაწილეობს ე. წ. ფიცილის ფორმულებში, მაგრამ ნატვრითობის, სასურველობის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება.

მაგალითად:

ნეტავი იყოდებოდე, მე ვიყო შენი ვაჟარი (ხალხ.). მრისხანე ხელი შენი მსჯიდეს, ხოლო გულსა შენსა ვუყვარდე (ნ. ლორთქ.). ტყეო, დეღამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლითა და ნყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰალალოდდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, ვიმღერდე, ვაქებ-ვადილებდე შენს მშვენებას, შენს შემოქმედს (ვაჟა). სულ გაზაფხულის ის-მოდეს ფეთქეა და მეღვრებოდეს მზის შუქი გულზე (ციხკ.). უფალო, შენ დამეხე, დაწვი, დანატრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სჭამდეს ჩოჩოხეთში (გ. ლეონ.).

გ) **ბრძანებითობა.** აწმყოს კავშირებითით გადმოიცემა ძირითადად ბრძანებითი კილოს მუქარისა და მოწოდების მოდალობები.

მაგალითად:

აქამდე გატყუებდით, კიდევ მქონდა თავის დაძვრენის იმედი, მაგრამ ახლა იცოდეთ, რომ იმ ღამეს მართლა მწყერებს კი არ დავდევდი ბათუმის ბულვარში (ო. ჭილ.). ყველას ერთსა და იმავეს აბარებდა: ჩემი გეშინოდეთ, რამეთუ სხვას ფეხებზე კიღია ჩვენი სიგლახეთ (ო. ჭილ.). ამ დროს კი გჯეროდეთ ყველას წამითი მეგობრობა და გრწამდეთ ხანმოკლე სიყვარულიც (აკაკი).

ბრძანებითს უახლოვდება ერთგვარი ჯიბრის, დაქადნებითი შინაარსის წინადადებებიც:

მისი კულიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეს (დ. კლდ.). მტკივლა მტკიოდეს (რ. ინან.).

V. **აწმყოს კავშირებითთან გამოყენებული ნაწილაკები.** კავშირებითი კილოს ნაკვებები სხვადასხვა მოდალურ ნიუანსს (ეჭვის, ვარაუდის, სურვილის, შესაძლებლობის...) უმთავრესად დამხმარე კონტექსტუალური საშუალებებით გადმოსცემენ. მათგან ნაწილაკებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. ირეალობის კონკრეტიზაცია, ჩვეულებრივ, ხდება ან მთავარი წინადადების შინაარსით, მისი ზმნის მიმართებით დამოკიდებულთან, ან ნაწილაკის საშუალებით. ეს ნაწილაკი, როგორც წესი, დამოკიდებულ წინადადებაშია ხოლმე. ახალ ქართულში, საერთოდ, შეიმჩნევა ტენდენცია ირეალობის კონკრეტიზაციისა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად ნაწილაკთა ხარჯზე მოდის. ნაწილაკთა ამგვარი „დახმარება“ იმდენად გავრცელდა, რომ ანალოგიურ კონსტრუქციაში კავშირებითის ნაკვების გამოყენების გარეშეც მათ შეძლეს ინდიკატიურ ფორმებთან ირეალური მოდალობის გამოხატვა. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო, ალბათ, ენის შინაგანმა პოტენციალმაც, — ძველ ქართულში ირეალურ მოქმედებას ხომ სწორედ თხრობითი კილოს ნაკვებთან -**მცა** ნაწილაკის ხმარება გამოხატავდა.

აწმყოს კავშირებითთან ყველაზე ხშირად გამოყენებულია ორი ნაწილაკი: **უნდა** და **თითქოს**.

**თითქოს** ნაწილაკი საერთოდ ყველაზე პროდუქტიული ნაწილაკია კავშირებითი კილოს ნაკვებთან, ხშირად დამახასიათებელი კონსტრუქციაც აქვს: **ისე** ან **ისეთი** კორელატები — მთავარ წინადადებაში, **თითქოს ნაწილაკი** და კავშირებითი კილოს ნაკვეთი — დამოკიდებულში. **თითქოს** ნაწილაკიანი კავშირებითი კილოს ნაკვებებით ერთ-



გვარი ასოციირებული შედარებაა გამოხატული. ამასთან, მითავარ წინადადებაში შედარების საფუძველი, წინაპირობაა მოცემულია ციციის გაჩენისა. ორი საგნისა თუ მოქმედების ასოციირებული დაკავშირება ცნობიერების აქტია; ამ დაკავშირების საფუძველზე წარმოიქმნება შემდეგ გარკვეული შთაბეჭდილება, რომელიც მოჩვენებითია, ირეალურია, — რაიმე ნიშნით შეპირობებული ასოციაციის შედეგი. ამიტომაც იგი დამოკიდებულ წინადადებაშია მოცემული.

**ენახით მაგალითებზე:**

თითქოს გვირაბში მივდიოდეთ, ხელმარჯვნივაც ჩამუქებული ფოთლებით გამოვსებული ტყეა, ხელმარცხნივ (რ. ინან.). ისევ ყურისწამლები ჭაყყაყი, ისევ ბეჟანას გამყინავი ხმა — თითქოს წყალგალმა ექაბო დეს ვინმეს. (რ. ინან.). გზადახნული დავაბიჯებ მე მის ქარებზე, ფრთხილად, თითქოს ახალშობილ ბაღს ვეხებოდე („ცისკ.“) მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი... თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე (ილია).

აღნიშნულ წინადადებებში ჩამუქებული ფოთლებით გამოვსებულ ტყესთან ასოციირებულია გვირაბი, გამყინავ ხმასთან — წყალგალმა ძლიერი გადაძახილი, სიფრთხილესთან — ახალშობილ ბავშვთან შეხება, დიდ ბარგთან — ქალის გათხოვება, მშითვეი.

მაგრამ წინადადებათა უმრავლესობაში ასოციირებული შთაბეჭდილება ერთგვარად შენიღბულია. არ ჩანს აშკარად, კერძოდ რა იწვევს აღნიშნულ ასოციაციას. დამოკიდებულ წინადადებაში წარმოდგენილი ასოციაცია ან მოჩვენებითობა ესადაგება ძირითად სათქმელს, რომელიც მითავარ წინადადებაში შეფარულად არის გაცხადებული. მკითხველმა თვითონ უნდა წარმოიდგინოს, აღადგინოს ამ ასოციაციის გაჩენის მიზეზი, რომელიც ელიპტირებულია, თუმცა წინადადების ძირითადი აზრია. შდრ.:

კითხულობ ამ ლექსს და ისეთი გრძნობა გვეფლება, თითქოს მტკნარ ზღვაში იხრჩობოდე („ცისკ.“). თან თავს ისე მაჩვენებს, ვითომ ბარის თავზე დაკიდებული რეკლამის ამოკითხვას ლამობდეს („საუნჯე“). ისეთი სახე ადევს, თითქოს საქორწილოდ ირთვებოდეს (ო. ქილ.). ლაბორატორიაშიც ისე დაიარება ხოლმე, თითქოს სიმფონიური მუსიკის კონცერტზე მიდიოდეს (გ. ფანჯ.). აბა, ისე მივიღივარ ახლა, თითქოს ჯიბეში მეგულეობოდეს (დ. კლდ.).

ამგვარ კონსტრუქციაში გამოიყენება III კავშირებითი და სურათი ზუსტად ისეთივეა, როგორც აწმყოს კავშირებითის შემთხვევაში. განსხვავება მხოლოდ ასპექტობრივია, — აწმყოს კავშირებითი ზოგადდროულ, განგრძობით მოქმედებას გადმოგვცემს, ზოგჯერ მრავალგზისიცაა, ხოლო III კავშირებითი გამოხატული ასოციირებული



შთაბეჭდილების საფუძველი წარსულ დროშია გადატანილი, ოღონდ  
 შთაბეჭდილება აქაც საუბრის მომენტში იქმნება, მოქმედება  
 თაღად წერტილებრივია და ერთგზისი. შდრ. III კავშირებითიანი  
 კონსტრუქცია:

ისე ერიდებოდა და ეკარალებოდა კვაქის, თითქოს მას, უკვე გამოჩერ-  
 ჩებულ დედაკაცს, მოეტყუებინოს, გაექურდოს და ხელცარიე-  
 ლი დაეტოვებინოს კვაქუნი (შ. ჭავ.). ან: „მეთევზე“ მიუახლოვდა, თით-  
 ქოს არც არაფერი მომხდარიყოს, მეგობარი შეათვალერა („ცისკ.“).

კავშირებითი კილოს ნაკვეთათვის აღნიშნული კონსტრუქცია  
 (ისე/ისეთი მისათითებელი სიტყვა მთავარში, თითქოს ნაწილაკი დამო-  
 კიდებულში) იმდენად ძლიერი დამხმარე კონტექსტუალური საშუა-  
 ლებაა მოჩვენებითობის ასოციირებული შთაბეჭდილების გადმოსა-  
 ცემად, რომ ანალოგიურ კონსტრუქციაში ინდიკატიური ფორმები-  
 თაც შესაძლებელია აღნიშნული შინაარსის გამოხატვა.

მაგალითად:

მვრამ თუ ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრენი დარჩენია, ისინი ისეთ  
 ცხოვრებას გასწევენ, თითქოს ხელთ სწორედ სათაყვანებელი ადამიანის დანა-  
 ტოვარი განაწესი აქვთ და იმით ხელმძღვანელობენ („ცისკ.“). ისე-  
 თი ტკბილი, უჩვეულო შეგრძნებაა, თითქოს სიკვდილში მიდიხარ (გ. გვგ.).

ამ კონსტრუქციაში შესაძლებელია ისე, ისეთი მისათითებელი  
 სიტყვები არ იყოს და კონტექსტით იგულისხმებოდეს, ან იყოს მისი  
 ფარდი სიტყვები: იმგვარად, რა-რიგად და მისთ.

მაგალითად:

სულის დაღვეის დროს იგი მაინც არა ჰკარგავს. სიამაყეს, მამაცად აბრიალებს  
 თვალს, თითქო ეუბნება თავის ნიშის მგებლებს... (ვაჟა). არა, რა-რიგად  
 გაფითრებულა, მითომ და მართლა არჩობენ (ილია).

ამავე რიგისაა თითქოს ნაწილაკიანი მეორე კონსტრუქციაც, რო-  
 მეღშიც დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ზმნასთან  
 პირად შეწყობილი სახელის განმარტებაა.

მაგალითად:

ოღონდ არ იფიქრო, თითქოს ბედის ანაბარა გტოვებ („ცისკ.“). ამა-  
 საც იტყვიან, თითქოს არც მე მიყვარს მამაჩემი (გ. შატბ.). მე ვცდი-  
 ლობ, რომ ვეგებ მოიშოროს ეს ტონი, რომლითაც მარწმუნებს, თითქოს უფ-  
 რო სინტერესო და საპირო საქმე, ვიდრე მეფრინველეობაა, არ არსებობს  
 („კომ.“).

ყველა ზემოთ მოყვანილი ზმნის ინდიკატიურფორმიანი კონსტ-  
 რუქცია შინაარსობრივად არაფრით განსხვავდება შესაბამისი კავში-



რებითი კილოს ნაკვეთიანი კონსტრუქციისაგან: თითქოს აქვე და ხელ-  
მძღვანელობენ სემანტიკურად უდრის თითქოს ჰქონდეთ და ხელ-  
მძღვანელობდნენ, თითქოს მიღიხარ = თითქოს მიდიოდე, მითამ არ-  
ჩობენ = მითამ არჩობდნენ, თითქო ეუბნება = თითქოს ეუბნებოდეს,  
თითქოს გტოვებ = თითქო გტოვებდე, თითქოს არ მიყვარს = თითქო არ  
მიყვარდეს.

უნდა ნაწილაკი. თანამედროვე ქართულში უნდა ნაწილაკი სამ  
ნაკვეთთან იხმარება: აწმყოს კავშირებითთან, II კავშირებითთან და  
II თურმეობითთან. შეინიშნება უნდა-ს ხმარება III კავშირებითთან-  
ნაც. რაჭულში უნდა გაეკეთებინოს სრულიად ბუნებრივი და გავრ-  
ცელებული კომბინაციაა, სალიტერატურო ქართულში და სხვა დია-  
ლექტებში კი იშვიათად თუ გამოჩნდება. III კავშირებითის ეს ფუნქ-  
ცია მთლიანად II თურმეობითმა იკისრა.

ერთი რამ ნათელია: უნდა მხოლოდ კავშირებითის ნაკვეთს შეი-  
გუებებს და კატეგორიულობის, აუცილებლობის, ვალდებულების მო-  
დალობას გამოხატავს. ამგვარი შინაარსის გადმოსაცემად ძველ ქარ-  
თულშიც კავშირებითი კილოს ფორმები იყო გამოყენებული, ოღონდ  
უნდა ნაწილაკის გარეშე (საერთოდ, ძველი ქართული მოდალურ ნა-  
წილაკებს ერიდება). ოთხთავის ბერძნულსა და გერმანულ პარალე-  
ლურ ტექსტებში ამ კონსტრუქციაში თხრობითი კილოს მომავალი  
დროის ნაკვეთია გამოყენებული<sup>22</sup>. ამიტომ აღნიშნული ფორმები  
კილოს მიხედვით თხრობითად არის მიჩნეული, ხოლო კატეგორიუ-  
ლობის მოდალობის გამო დამსგავსებულია ბრძანებითს<sup>23</sup>.

ვალდებულებისა და აუცილებლობის მოდალური მნიშვნელობა  
ბერძნულში მომავლის ფორმით გადმოიცემოდა, ხოლო ძველმა ქარ-  
თულმა ანალოგიური შინაარსი კავშირებითის ნაკვეთით იმიტომ გამო-  
ხატა, რომ მომავლის გადმოცემის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება  
სწორედ კავშირებითის ფორმები იყო. უნდა ნაწილაკის გაჩენა კი  
სლავურთან დაახლოების საფუძველზეა ახსნილი (რუსული должен  
ინფინიტივი ახალ ქართულში უდრის უნდა + ზმნის ფორმას)<sup>24</sup>.

II კავშირებითთან დაკავშირებული უნდა ნაწილაკი თითქმის  
ყოველთვის აუცილებლობისა და ვალდებულების მოდალობის გა-  
მომხატველია და მას მართლაც თხრობითი კილოს ერთ-ერთ მოდა-  
ლობად (კერძოდ, მომავალში აუცილებლად შესასრულებელ მოქმე-

<sup>22</sup> გ. ნიუნა, კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შე-  
სახებ, მაცნე, I, 1967, გვ. 231—233.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 233.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 231—233.



დებად) ვთვლით იმის გამო, რომ უნდა + II კავშირებითი ადვილად იგუებს მარტივი წინადადების კონსტრუქციას და, ამასთან, არაფერია რი ასოციირებული მიმართებები არ იგულისხმება (მე უნდა ვხატო, მან ეს უნდა გააკეთოს).

აწმყოს კავშირებითთან უნდა ნაწილაკი ძირითადად სამი ფუნქციით გამოიყენება:

1) მსგავსად II კავშირებითისა, იგიც ვალდებულებისა და აუცილებლობის მოდალურ შინაარსს გამოხატავს და II კავშირებითის შემცველი ანალოგიური კონსტრუქციისაგან ძირითადად ასპექტისა და დროული განზოგადების მიხედვით განსხვავდება. II კავშირებითიანი ფორმები მომავალში შესასრულებელ მოქმედებას აღნიშნავს, სრულასპექტიანი ფორმები მომენტობრივი შინაარსისა, აწმყოს კავშირებითის ფორმები კი დროულად განუსაზღვრელია, ზოგადია, უსრული ასპექტისაა და განგრძობითი, ხშირად მრავალგზისი შინაარსისა. მართალია, მოსალოდნელია II კავშირებითის უსრულასპექტიანი ფორმის გამოყენებაც უნდა ნაწილაკთან (მე უნდა ვხატო), მაგრამ ვალდებულების გადმოსაცემად ენა ამ შემთხვევაში აწმყოს კავშირებითიანი ფორმებს აძლევს უპირატესობას. მე უნდა ვხატო გამოთქმაში კატეგორიულობა თითქოს უფრო სუსტია, ვიდრე მე უნდა ვხატავდე ფრაზაში.

დროულად განუსაზღვრელი ვალდებულებისა და აუცილებლობის კატეგორიულობის მოდალობაა გამოხატული უნდა ნაწილაკითა და აწმყოს კავშირებითით შემდეგ წინადადებებში:

სამშობლო ტაძარი სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევიდე, ეშმაკები რომ არ დაებატრონონ (ნ. დუმბ.). თავაღს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლუხს — გლუხობა (ილია). უნდა მოლხენით ცხოვრობდე, სისხლი არსადა გდიოდეს, ყველას კაცივით ეგონო, შენ სანთელივით დვიოდე (ხალხ.). შენ ისეთი დედ-მამის შვილი ხარ, ერთი ბავშვი ვერ უნდა გიტოვდებოდეს მთელ სოფელში (გ. ქარჩხ.). ვისაც აქვს სურვილი და პრეტენზია იყოს ინტელიგენტი, მან თავისი ერის ისტორია უნდა იცოდეს, მას თავისი სამშობლო უნდა უყვარდეს, გული სტკიოდეს მის ნაკლზე, აწუხებდეს მისი ბედი, ეამაყებოდეს მისი სახელოვანი და გმირული წარსული („საქ. ქალი“). კარგმა თამადამ ზორციანი, ბედაური სიტყვა უნდა იცოდეს, ენა თაფლით უნდა ჰქონდეს სველი, ოქრობაგეთი უნდა იყოს, ბორჯგლიან გულზე დამბოლავ სიტყვას უნდა ერეკებოდეს (გ. ლეონ.). არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც უნდა სიკვდილამდე მახსოვდეს და ვეტრფოდე (აკაკი). სარკეში მართო ჩვენს სახეს კი არ უნდა ვამოწმებდეთ, უნდა გვქონდეს



2. უნდა ნაწილაკიანმა აწმყოს კავშირებითმა შეიძლება გამოხატოს არა მხოლოდ თხრობითი კილოს კატეგორიულობის, არამედ წმინდა კავშირებითი კილოს მოძალობაც: ეჭვის, ვარაუდის, მიზეზის... ასე, მაგალითად, წინადადებაში: „ყოველ შემთხვევაში, ბიჭებს მაინც ძალიან უნდა მოსწონდეთ“ (რ. ინან.), — გადმოცემულია მოსაუბრის ვარაუდი, მისი თვალსაზრისი, შესაძლოა, ოდნავ უფრო დაჯერებული, მაგრამ არა კატეგორიული<sup>26</sup>.

ეჭვი და ვარაუდია გამოხატული ამ წინადადებებშიც:

ისე კი ძალიან ლამაზი თვალეები უნდა ჰქონდეს, თუმცა შემზარავი და თავზარდამცემი („ციხკ.“). ეს ამბავი რაღაცას უნდა ნიშნავდეს (გ. ჭარჩხ.). ასეთი ეტიმოლოგია ხელს უნდა აძლევდეთ უცხოურის მოყვარულთ („ციხკ.“). კამილა, ეტყობა, სადმე ბიუროში არ უნდა მუშაობდეს („საუწყ.“). მეგონი „იშხვარი“ სულაც არ უნდა არსებობდეს ბუნებაში (გ. ლეონ.).

შესაძლებლობის მოძალადური შინაარსიც შეიძლება იყოს გადმოცემული უნდა აწმყოს კავშირებითის შემცველ წინადადებაში.

მაგალითად:

რა შემოსავალი უნდა მქონდეს, შვილო, ეგ ძროხები და ცხვრები ერთმანეთს ძლივს არჩენენ, უპასუხა ღიმილით (ნ. დუმბ.). უნდა მქონდეს = შეიძლება მქონდეს. ვისაც უკანასკნელი ფული მიუცია ბილეთში, ის მიხვდება, რა ტანჯვას უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომ ქვეყანაზე საუკეთესო მუსიკალური საღამო მიატოვოს (ნ. ლორთქ.). უნდა გრძნობდეს = შეიძლება გრძნობდეს ასევე: თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულეობდეს, იქ ვილასი უნდა ეშინოდეს (ილია).

3) უნდა ნაწილაკი აწმყოს კავშირებითთან ხშირად გამოიყენება რიტორიკულ წინადადებებში, აგრეთვე დიალოგებში, სადაც კითხვა-

---

25 შდრ.: II კავშირებითის უნდა ნაწილაკიან ფორმას აწმყოს კავშირებითის გვერდით დასჭირდა მრავალგზისობის, ხოლმეობითის გამომხატველი ზმნისართის ხშირად დამატება: ხშირად უნდა ჩავიხედოთ.

26 საინტერესოა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც უნდა ნაწილაკითა და კავშირებითი კილოს ფორმით ვალდებულებებისა და აუცილებლობის მოძალობაა გადმოცემული, რუსულად ეს შინაარსი გადადის должен + საუღლებელი ზმნის ინფინიტივის საშუალებით, ხოლო როდესაც უნდა ნაწილაკი ეჭვისა და ვარაუდის მოძალადური შინაარსის გამომხატველია, რუსულში შესაბამისად გვაქვს ჩართული კონსტრუქცია: должно быть + საუღლებელი ზმნის ფინიტური ფორმა. შდრ. წინადადებები: იგი უნდა ხატავდეს (კატეგორიული შინაარსით) — Он должен рисовать, იგივე წინადადება ვარაუდის შინაარსით: Он, должно быть, рисует.

ზე კითხვით არის გაცემული პასუხი, ერთგვარად ასევე რიტორიკული ხასიათისა.

მაგალითად:

არ გეშინია? — რისი უნდა მეშინოდეს? (გ. ფანჯ.). — რისი უნდა მრცხვენოდეს? — მესამეჯერ უპასუხა ანეტამ (ო. ჭილა). — რა უნდა მინდოდეს, ბიჭო, შენი ჭანმრთელობა და სიცოცხლე მინდა, მეტი არაფერი. (ფ. ლუმა.).

უნდა აწმყოს კავშირებითი რიტორიკულ წინადადებებში მოქმედების მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას. მიზეზზე, რომელიც მოსაუბრისთვის უცნობია. ამიტომაც უნდა ნაწილაკის წინ ზოგჯერ რატომ (რად) კითხვითი სიტყვაც გამოჩნდება ხოლმე, ან იგულისხმება მაინც.

მაგალითად:

რატომ უნდა ვისჯებოდეთ ერთნაირად მწყერისა და გენერლის გულისთვის? (ო. ჭილა). მაგ. დრუნჩიან ღორს უბატონოდ ხმას ვერ უნდა ვცემდე? (ფ. ლუმა.). ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს? (ილია).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აწმყოს კავშირებითი, განსხვავებით კავშირებითი კილოს სხვა ნაკვეთებისაგან, ნაწილაკის გარეშეც ხშირად იხმარება, რაც სრულიადაც არ უშლის ხელს, გამოხატოს სასურველი ირეალობის ნიუანსი. ჩანს, აწმყოს კავშირებითის ფორმას ყველაზე უკეთ შეუხარჩუნებია ირეალობის სემანტიკა, რადგანაც დამხმარე კონტექსტუალური საშუალებები ნაკლებად სჭირდება სასურველი შინაარსის გადმოსაცემად. ზოგ შემთხვევაში ამას ხელს უწყობს მთავარი წინადადების ზმნის სემანტიკაც. თუ მთავარ წინადადებაში ე. წ. „ცნობიერება=წრის“ ზმნა გვაქვს, დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად აღარაა საჭირო ნაწილაკის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში ძირითადად თითქოს ნაწილაკის სემანტიკა იგულისხმება.

მაგალითად:

ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე (ილია) შდრ.: თითქოს მადლს გიშვრებოდე. ვერ დავიტრაბახებ, კარგად მესმოდეს, რა არის ეს მიკროსამყარო ან ელემენტარული ნაწილაკები (გ. ფანჯ.). შდრ.: თითქოს კარგად მესმოდეს. არ იფიქროთ, რითმის აპოლოგიას ვცდილობდე („ციცკ“). შდრ.: თითქოს... ვცდილობდე.

ეჭვისა და ვარაუდის მოდალური შინაარსის გადმოსაცემად აგრეთვე ხშირად იხმარება აწმყოს კავშირებითი შესაბამისი ნაწილაკების (შეიძლება, იქნებ, ვაითუ, თითქოს...) გარეშე.

მაგალითად:

ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ხაირემს, რომელიც საფურცლეს ტყეში დას-  
დევდეს ამ წუთში თავის ფურს და სხვა ირემი თუ შეეზიარა, რქებით გამო-  
ფატრავს მეტოქეს (კ. გამს.). ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ ორაგულს, აღმა  
რომ მიჰყვება ამაღამ არავცს, უფსკრულებში დაეძებდეს თავის ღედალს,  
ფეკაცურად მიარღვევდეს ტალღებს, რათა გუდამაყარში წამოეწიოს და  
მისწვდეს საწაღელს (იქვე). აქ, ბევრი-ბევრი ათი მეექვსეკვატორე მუშაობდეს  
ათი ათასი შოფრის გვერდით (რ. ინან.). თან ვხედავ, როგორ აცეცებს ეს კაცი  
თვალებს, ვინმე არ გვიხმენდესო („საუნჯე“). მაგრამ დავიჯერო, ანა კა-  
ლანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, იგივე თ. ჭილა-  
ძე... ის ღონეა, რომ რაიმე „ემუქრებოდეს“ ქართულ პოეზიას? („ცისკა“).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. კატეგო-  
რიული გამორიცხვის შინაარსის გამომხატველი წინადადებები, რო-  
მელშიც აწმყოს კავშირებითი, ისევე როგორც ანალოგიურ კონს-  
ტრუქციაში კავშირებითი კილოს სხვა ნაკვთები, ნაწილაკის გარეშეა  
გამოყენებული.

მაგალითად:

არ არის ამ წუთში სულიერი ქვეყანაზე, ბაჩანა, შენზე უფრო რომ მიყვარ-  
დეს! (ნ. ღუმბ.). არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მე-  
თაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს (აკაკი). განა არის ღრმა ტანჯვა, რო-  
მელსაც ნაყოფათ სიხარული, ნეტარება არ მოყვებოდეს? (ნ. ლორთქ.). მე  
ძალიან ცოტა მეგულება საქართველოში კაცი, ვინც ასე ბუნებრივად მეტყვე-  
ლებდეს ქართულად (გ. შატბ.). ჩვენში კაცი არ მეგულება, მე არ მიცნობ-  
დეს („საუნჯე“).

არის შემთხვევებიც, როდესაც ამგვარ კონსტრუქციაში თითქოს||  
ვითომ ნაწილაკი გამოჩნდება ხოლმე.

მაგალითად:

ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ ამ წამს იბადებო-  
დეს გენოსი (ილია). მე არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, თითქოს ლონდონში  
გამარჯვების მხოლოდ მცირეოდენი შანსები გვქონდეს („ახ. კომ.“). ვერ  
დავეთანხმები იმ აზრს, რომ თითქოს გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობდეს  
 („ლიტ. საქ.“).

უკანასკნელ წინადადებაში თითქოს ნაწილაკთან ერთად რომ კავ-  
შირიც გვაქვს. რომ აქ ზედმეტია. თითქოს კავშირის მოვალეობასაც  
ასრულებს და გარკვეული მოდალურობაც შეაქვს წინადადებაში. ასე-  
თივეა: „ემფატიკური -ა-ს მახვილიანობა სრულებითაც იმას არ ნიშ-  
ნავს, რომ თითქოს აქ ირღვეოდეს სიტყვათმახვილის წე-  
სი და სიტყვას ბოლოდან პირველ მარცვალზე მოსდიოდეს მახვილი  
(სბიქე).



VI. აწმყოს კავშირებითი და წინადადების კონსტრუქცია. როდესაც

საც კავშირებითი კილოს შინაარსი გადმოცემულია მოდალური ნაწილისა და თხრობითი კილოს ნაკვეთის საშუალებით, წინადადების კონსტრუქცია ასეთ შემთხვევაში შეიძლება მარტივად იყოს. მართალია, მოდალური ნაწილის არსებობა უკვე ერთგვარად მიგვანიშნებს რთული წინადადების სემანტიკაზე, (რამდენადაც ეს ნაწილაკები, როგორც წესი, ზმნური წარმომავლობისანი არიან), მაგრამ სინქრონიულ დონეზე, ფორმობრივად, რთული წინადადება ვერ გამოიყოფა. მაგრამ მაინც შეინიშნება, რომ ამგვარ წინადადებათა მოდალური ნიუანსი (ძირითადად ეჭვი და ვარაუდი) მთავარი წინადადების სახით ასოცირდება. ფორმობრივად იგი წარმოდგენილი არ არის, მაგრამ თვითონ წინადადება თითქოს ეჭვმდებარება მოსაუბრის ცნობიერებაში „დარჩენილ“ აზრს, გამომდინარეობს მისგან. მაგალითად, წინადადებაში: „მხატვარი შეიძლება უკვე ხატავს კიდევ მათ სურათს“, — ვარაუდის მოდალობა შეიძლება მოდალური ნაწილისა და აწმყოს ინდიკატიური ფორმის (ხატავს) საშუალებით არის რეალიზებული მარტივი წინადადების ფარგლებში. შეიძლება წარმოშობით ზმნაა, მაგრამ ზმნურობა დაკარგული აქვს და, რადგანაც კავშირებითი კილოს შინაარსი უეჭველად ორი მოქმედების ერთმანეთისადმი დაქვემდებარებით გამოიხატება, მოდალური შინაარსის საბოლოო გაფორმებისათვის „გამოითხოვება“ უკვე ახალი ზმნა, თუმცა ხშირად მხოლოდ ასოციაციურად. ჩვენს წინადადებაში ასეთი ზმნა შეიძლება იყოს: ვეჭვობ, ვფიქრობ, ვვარაუდობ და მისთ.

მაგრამ, როდესაც ანალოგიურ მარტივი წინადადების კონსტრუქციაში თხრობითის ნაცვლად კავშირებითი კილოს ნაკვეთია გამოყენებული, აღნიშნული ასოცირება, სემანტიკური მიმართება, დაქვემდებარება კიდევ უფრო ხელშესახება.

მაგალითად:

ქართული პოეზიის ერთი ყველაზე დიდი ოსტატი სულის უინტიმურეს ვიბრაციათა წვდომისა თავისი ყოველი ლექსით გინდაც უღრმეს საიდუმლოს გამხელეთ (რ. თვარ.).

ელისტირებულია მთელი ფრაზა: ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ...

ამ ე. წ. ელისტირებულმა ფრაზამ შეიძლება ირიბი ნათქვამისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციაში, ავტორისეულ რემარკაში იჩინოს თავი.

მაგალითად:

შესაძლოა შორენა ჭოპყავდეთო, ეს გაიფიქრა და წამოეწია (კ. გამხ.).



საერთოდ, კავშირებითი კილოს ნაკეთთა გამოყენებას გარკვეულ-  
წილად უჩანს კავშირი პირდაპირსა და ირიბ თქმასთან, პირდაპირსა  
ირიბად მოქცევასთან და სხვათა სიტყვის ნაწილაკებთან, მაგრამ ეს  
სპეციალური განხილვის საგანია და აქ არ შევეხებით.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: შეიძლება ფორმამ დღე-  
ისათვის თითქმის დაკარგა ზმნურობა და ნაწილაკის ფუნქციით არის  
დამკვიდრებული. ზმნური ფუნქციით იგი ძალიან იშვიათად განი-  
ყენება, მაგრამ აწმყოს კავშირებითთან ხმარებისას (განსხვავებით კავ-  
შირებითი კილოს სხვა ნაკეთებისაგან), იგი თითქოს უფრო „ზმნურ-  
დება“ და ამგვარად კონსტრუქციის ჩაქეტვის უნარს ავლენს. შდრ.  
მაგ., ინდიკატიური კონსტრუქცია: — მხატვარი შეიძლება უკვე ხა-  
ტავს კიდევ მათ სურათს — აწმყოს კავშირებითიან კონსტრუქციას:  
მხატვარი შეიძლება უკვე ხატავდეს კიდევ მათ სურათს. ან: შეიძლება  
ყველა ნაწერი თვითონ განსვენებულ კვიხაშვილს ეკუთვნოდეს  
(ნ. ლორთქ.).

უკანასკნელ წინადადებებში შეიძლება მთავარი წინადადების  
ეკვივალენტურ ფორმად უფრო გაიზრება, ვიდრე მოდალურ ნაწი-  
ლაკად. (აღვილად აღდგება შეიძლება-ს შემდეგ რომ კავშირი). კი-  
დევ უფრო მეტი აქვს ზმნურობა შესაძლოა ფორმას.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ, თუ ამგვარი მოდალური ნაწილა-  
კი უშუალოდ არ უსწრებს ზმნას და გათიშულია რამდენიმე სიტყ-  
ვით, ხშირად ხდება მისი (მოდალური ნაწილაკის) თითქოსდა „გაზ-  
მნურება“ და ამგვარი ზმნური გადააზრების გამო ავტორები მათ  
მძიმით გამოყოფენ წინადადების სხვა წევრებისაგან, რაც მას დამხმა-  
რე სიტყვიდან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვად, პი-  
რიან ზმნად აქცევს და უკვე ისე მიემართება გამოყოფილ წინადად-  
ბას, როგორც მთავარი — დამოკიდებულს:

მაგალითად:

შესაძლოა, ჭიაბერი და თალაგვა მცხეთაში ჰყავდეთ, დიღევი  
სადმე (ყ. გამს.). შესაძლოა კეისართან ომს მოელოდეს მეფე, ან ტფილი-  
სელ ამირანს თავდასხმას (იქვე). არა მგონია, ლილა აღქაჟს ჰგავდეს  
(„სახუნჯე“). შესაძლოა, ეს ახალი ნაწარმოები ვერ უსწორდებოდეს  
თავისი მხატვრული ღირსებით უკვდავთა ნახელავს, მათსავით ძლიერი სულის გა-  
მომქლავნება არც იყოს (გ. შატბ.). შესაძლოა, პოეტს ცხოვრებაში ჰქონდეს  
ამგვარი ნიჭი, გამოიჩინოდეს კიდევ სხვათაგან ამ მხრივ, როგორც პოე-  
ტი, როგორც შემოქმედი, სრულიად სხვა თვისებებით იყო ძლიერი (გ. ახათ.).

ამგვარად გამოყოფილ მოდალურ სიტყვებს ზოგჯერ ჩართულა-



დაც განიხილავენ ხოლმე<sup>27</sup>. მათ ჩართულის სემანტიკასთან მართლაც აქვთ საერთო, რადგანაც ჩართულიც ერთგვარად მოდალური სისაა, — გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას ნათქვამთან. მაგრამ, როცა ამგვარი გამოთქმა სინტაქსურადაც და სემანტიკურადაც მთავარი წინადადების როლს ასრულებს, ფიქრობთ, ჩართულად არ უნდა ჩაითვალოს. უღრ., მაგალითად:

ქართული პროზა რომ ე. წ. აღმავლობის გზას ადგას, ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს („ციცხე“). ყველა ერთმანდს უყაყანდა, განა შეიძლება ასეთ მანქანას ასეთი ვინმე ატარებდესო („საუნჯე“). მიყვები სულმოსწრაფებულ ულაცს და ასე მგონია, ათასი ცეცხლოვანი თვალი მოგვსდევდეს უკან ქშენითა და ბუბუნით (კ. გამს.). არა მგონია, ბატონო ზაჩანა, თქვენი ცხოვრების გზა განმეორებით ანალიზს საჭიროებდეს (ნ. დუმბ.). ხმა მხეცისათვისაც მიუცია ბუნებას, მაგრამ არა მხეცი არა მგონია ლაპარაკობდეს (ილია). რას გაუშვებენ, ხვალ-ზეგ მგონი<sup>28</sup>, ძვალის ნატეხიც კი არსად მოიპოვებოდეს (ვაჟა).

თუ მოდალური ნაწილაკი უშუალოდ უსწრებს ან ძალზე ახლოსაა ზმნასთან, მაშინ სხვაგვარად გააზრების საშიშროება ნაკლებია, თუმცა გამორიცხული არაა. ასე, მაგალითად:

ესეც უბედურია, — ფიქრობდა ანეტა, — რადგან ამან არ იცის, ასევე რომ შეიძლება, გიყვარდეს ვიღაცა, არ იცნობდე და გიყვარდეს, არ იცნობდე და ენდობოდე, არ იცნობდე და გჯეროდეს მისი (ო. ქილ.).

უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ზემოთ მოყვანილ წინადადებებში საგანგებოდაა დაცული პუბლიკაციის პუნქტუაცია, როგორც თანამედროვე ქართულში არსებული სინტაქსურ-სტილისტიკურ წინააღმდეგობათა გამოხატულება. რამდენადაც:

27 ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 304—308.

28 მგონი ფორმა უკვე აშკარად ნაწილაკია და მისი არსებობა მიუთითებს მგონია ფორმის ნაწილაკად ქცევის ტენდენციაზე. ასეთი შეკვეცილი ფორმა სწორედ ნაწილაკათვის არის დამახასიათებელი. ამგვარი გზა განვლო ცალკე მდგომ ნაწილაკთა დიდმა უმრავლესობამ: გინდ, თუნდ, ვინძლო, იქნებ, ეგებ, თითქოს, თითქმის და მისთ., რომელთა ნაწილაკად ქცევა მთელი გამოთქმის ანდა დამოუკიდებელი ზმნური ერთეულის გაცვეთის შედეგია. რაც შეეხება ჩართულებს, ისინი აგრეთვე კომპაქტური ლაკონიური გამოთქმებია, მაგრამ არასოდეს არაა გაცვეთილი, შეკვეცილი ფორმები. ალბათ ეს ფაქტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ზოგიერთი სადავო ჩართულისა და ნაწილაკის განსაზღვრისას. ხშირად უფრო რთულია ამგვარ გამოთქმებში ნაწილაკისა და მთავარი წინადადების გამოჩენა-განსაზღვრა.



თუ შეიძლება, შესაძლოა, მგონია ფორმებს ჩართულად გავიყენებო-  
 რებთ, მაშინ ისინი მძიმეებით უნდა გამოიყოს, თუ ნაწილაკად,  
 მძიმის გარეშე უნდა იყოს, ხოლო თუ მას მთავარი წინადადების ძა-  
 ლით აღვჭურავთ, მაშინ მძიმე დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე  
 იქნება. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში კი ერთი და იგივე ფორმა  
 სხვადასხვანაირად არის ინტერპრეტირებული.

საერთოდ, მოდალურ ნაწილაკად ქცევის ტენდენციას ამჟღავნებენ  
 ნებელობისა და გუნება-განწყობის გამომხატველი სხვა ზმნებიც, გან-  
 საკუთრებით, თუ ერთშემადგენლიანი წინადადებით არიან წარმოდგე-  
 ნილნი.

მაგალითად:

ვევქვობ, რომ მიცნობდეს (წ. ღუმბ.). მე თუ მკითხავთ, სასიყვარულო  
 ამბების უმრავლესობა, ჯობია, საერთოდ არ იწყებოდეს („საუნჯე“). ვი-  
 ცი, რომ სასაცილოა, არ გავიწყდებოდეს საქმე, რომელიც არ ჩა-  
 გიდენია („საუნჯე“). ყოველი „მგზავრი“ ვალდებულია იბრძოდეს თა-  
 ვისი ზომალდის უსაფრთხოებისათვის, რომელიც საშინელი სისწრაფით მიღრინავს  
 უსიცოცხლო ზონაში (გ. ფანჯ.).

მაგრამ, თუ ზმნური ფორმისაგან წარმოშობილი მოდალური ნა-  
 წილაკი ხშირი ხმარების ან, ალბათ, ძირითადად უფრო აღრინდელი  
 წარმოშობის გამო გაცვეთილია, გაქვავებული, ის ზმნურ ფორმად  
 ველარასოდეს წარმოდგება და, მიუხედავად იმისა, ზმნისაგან რა მან-  
 ძილით იქნება დაშორებული, ყოველთვის ნაწილაკად დარჩება, მო-  
 დალობის დამაკონკრეტებელი ფუნქციით.

ამგვარი ნაწილაკებიდან აწმყოს კავშირებითთან იხმარება იქნე-  
 ბ(ა), ეგებ, ვინძლო, დაე...

მაგალითად:

იქნება ისე არა სწვიმდეს, როგორც ჰქუხს-მეთქი (ილია). იქნებ  
 მათი ფსიქიკის ხვეულებში ქვედინებების სახით წინაპართა გარდასული ცხოვრე-  
 ბის ექოც კი ხშიანობდეს (შ. ნიშნ.). ეგებ ამ წარმართს უდიოდესო,  
 გაიფიქრა მელქისედეკა... (კ. გამს.). ეგებ ჩვენი გაზაფხულიც მოდიოდეს  
 (აკაკი). ნუ დაუშლი, თუ ღმერთი გწამს, დაე უყვარდეთ ერთმანეთი (ილია).

აწმყოს კავშირებითის ფუნქციებზე დაკვირვება მის ერთ საერთო  
 ფუნქციას წარმოაჩენს: დროული განუსაზღვრელობა, თავისუფლება  
 რაიმე დროული დაკონკრეტებისაგან. ამ ნიშნიდან გამომდინარეობს  
 მისი ძირითადი ფუნქციების სპეციფიკაც.

გიორგი გოგოლაშვილი

მეორე კავშირებითის ფორმათა წარმოების ზოგი  
საკითხი თანამედროვე ქართულში

მეორე კავშირებითს ახალ ქართულში სამი სუფიქსი აწარმოებს: -ა (მოვკლ-ა, გავჭრ-ა...), -ე (გავებ-ე, დავებრდ-ე...) და -ო (გავაკე-თ-ო, დავხატ-ო...). ერთი ნაკვეთის მაწარმოებელ სუფიქსთა სიმრავლე სამეცნიერო ლიტერატურაში მეორეულ ფაქტად მიიჩნევა. გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეორე კავშირებითის ძირითადი, პირვანდელი ფორმანტი -ე სუფიქსია<sup>1</sup>.

მეორე კავშირებითის უძველეს, პირვანდელ მაწარმოებლად -ე სუფიქსის მიჩნევა შესაბამისად სვამს საკითხს -ა და -ო სუფიქსთა მეორეულობის, გვიანდლობის შესახებ. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევით არაფერია თქმული -ა და -ე ფორმანტთა ურთიერთმიმართების თაობაზე, კერძოდ, -ა სუფიქსი -ე-ს ფონეტიკური ვარიანტია თუ თავისთავადი, დამოუკიდებელი აფიქსი, ისტორიულად სხვა დანიშნულებისა, რომელმაც შემდგომ შეიძინა კავშირებითობის ფუნქცია.

რაც შეეხება II კავშირებითის -ო სუფიქსს, მკვლევართა უმეტესობა მას ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილად მიიჩნევს. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, თუ როგორაა გააზრებული ამ სუფიქსის მიღების გზა. ნ. ნარის აზრით, -ო სუფიქსი ფუძისეულ ვ-სთან კავშირებითის -ა სუფიქსის შერწყმის შედეგადაა მიღებული<sup>2</sup>. ამ მოსაზ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში? ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 9, ტფილისი, 1929, გვ. 116—117; ვ. თოფური, სვანური ენა, I, ზმნა (II გამოცემა): შრომები, ტ. 1, თბილისი, 1967, გვ. 167; არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 139; ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში: თელავის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1959, გვ. 388—389...

<sup>2</sup> Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, М.-Л. 1925, გვ. 161.



რებას იზიარებს გ. დეეტერსი<sup>3</sup>. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, სუფიქსიანი II კავშირებითის პირვანდელი მაწარმოებელი უნდა იყოს ფილიყო -ე სუფიქსი. მისი შერწყმით ფუძისეულ ვ-სთან მივიღებთ -ა<sup>4</sup>. არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც კავშირებითის -ა უკვე ძველსავე ქართულში თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია და არა კომპლექსის შერწყმის შედეგი, თუმცა უფრო ადრინდელ საფეხურზე ამგვარი პროცესის შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული<sup>5</sup>.

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში II კავშირებითის მაწარმოებელთა პირვანდელი სახისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ არაა აზრთა ერთგვარობა. ფაქტი კი ერთია: თანამედროვე ქართულში -ა, -ე, -ა სუფიქსები დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობებია და „სინონიმურ“ აფიქსებად წარმოგვიდგება.

მეორე კავშირებითის მაწარმოებელთა განაწილება არცთუ მარტივ სურათს ქმნის. ჩვეულებრივ, მიუთითებენ, რომ მეორე კავშირებითი იწარმოება ნამყო ძირითადის ფუძისაგან და -ა, -ე, -ა სუფიქსთა გამოვლენა დამოკიდებულია ნამყო ძირითადის წარმოების ტიპზე; სხვაგვარად, ნამყო ძირითადის წარმოება განსაზღვრავს II კავშირებითის წარმოებას. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „ქართულში ამ დროის საწარმოებლად სამი სუფიქსი იხმარება: -ე (დ-თი ნაწარმოებ ვნებითებთან მეტწილად და ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნებთან), -ა და -ა გარდამავალ ზმნებთან და ი-თ და ე-თი ნაწარმოებ ვნებითებთან; აორისტში თუ -ი ანდა ნოლი გვაქვს მაწარმოებლად, აქ -ა გვექნება (დავკარ — დავკრა, ვთქვი — ვთქვა, დავბი — დავბა), თუ აორისტში -ე არის, აქ -ა იქნება მაწარმოებელი სუფიქსი (გავაკეთე — გავაკეთო, ვწერე — ვწერო, ვზომე — ვზომო)“<sup>6</sup>.

როგორც ვხედავთ, წარმოების თვალსაზრისით შედარებით მარტივი ვითარება -ა-სუფიქსიან მეორე კავშირებითში გვაქვს: თუ ნამყო ძირითადის მაწარმოებელი არის -ე სუფიქსი, II კავშირებითში -ა სუფიქსი გვექნება.

<sup>3</sup> G. Deeters, Das karthvelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 156.

<sup>4</sup> გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 652.

<sup>5</sup> ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, [ვა], [ვა], [უე] და [ო] სემანტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი, III, თბ., 1973.

<sup>6</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 142.



**შენიშვნა:** ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის ფორმათს ამ გვარი ურთიერთმიმართების შესახებ ქართული ენის პრაქტიკულმატიკებშიც არის მინიშნებები. ანტონ პირველი ნამყო ძირითადის -ე და II კავშირებითის -ო სუფიქსების მიმართებას ზმნათა ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად გამოიყენებს და გამოყოფილ ჯგუფებს ამ ნიშნის მიხედვით ახასიათებს: „ესე სრულსა შინა განიკიდურებს ე. მაგალითებრ: განვჰბანე და მყოობადსა შინა ო. მაგალითებრ: განვჰბანო“<sup>7</sup>. ამ ტიპის ყველა ზმნა ამგვარადაა დახასიათებული. საერთოდ, ანტონ პირველი ზმნათა ჯგუფების გამოყოფისას ნამყო ძირითადისა და II კავშირებითის ფორმათა ჩვენებას, მათ ურთიერთმიმართებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ვაიოზ რექტორი ზმნათა უღვლილების ჯგუფების დახასიათებას სისტემატურად ამ ნიშნის მიხედვით ახდენს („ნამყო სრულსა დროსა პირტშლსა და მეორესა პირსა შინა განიკიდურებენ ე და მყოობადსა შინა ო“) და ცალკეულ შემთხვევებში ჩამოთვლის იმ ზმნებს, რომლებიც ამ წესს არ ემორჩილება („რომელნიცა სხტაობენ სრულსა და მყოობადსა დროსა შინა“)⁸.

**შესაბამისობა** — ნამყო ძირითადის -ე: II კავშირებითის -ო — უგამონაკლისო ჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული წესი პირუკუ არ მოქმედებს. ახალ ქართულში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა II კავშირებითი -ო სუფიქსით არის ნაწარმოები, შესაბამისი ნამყო ძირითადი -ო-ელემენტია: მივაგენი — მივაგნო, შევიბყარი — შევიბყრო, ვიყავი — ვიყო... გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც: დარგახ||დარგოხ, მომკახს||მომკოხ. ნიმუშად შეიძლება რამდენიმე მაგალითის დამოწმება სამწერლობო ენიდან:

- მერე ეს ქვეყანა და ვიბყროთო (ი. გოგ.).
- რომ საქართველომ მტკიცედ დაიბყრას ქრისტეს მოძღვრება (აკაკი).
- ყველამ მიუზღოს სათავისო, შესაფერისი (ო. ჩხ.).
- ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი (ილია).
- იქნებ მოგვითხროთ, როგორ იპოვეთ საყუთარი სტილი თარგმანში (თ. ჩხენკ.).
- ვინ მოგვითხრას მათი საქმე უთვალავი, საგმირონი (აკაკი).
- მაშ ამ დილით ვარდი დავრგო? (ო. მამფ.).
- ჩრდილისათვის დავრგათ რამოდენიმე ხე (მ. ნოზ.).
- დათესვის შემდეგ ნიადაგი ყუთებში კარგად უნდა მოირწყოს (ნ. ჩახნ.).
- ნაკვეთი უნდა მოირწყას საჭიროების მიხედვით (მ. ნოზ.).
- მეტე გზა არ არის, ცოლი უნდა შეერთათ (ილია).

7 ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885, გვ. 24.  
 8 ვაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970, გვ. 72—95.

ასეთი ქალი შვერთო... (ილია).

ესე არ მომასწრონ (ნ. შიუკ).

უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა (ილია) და სხვ.



პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ -ა- და -ო- სუფიქსიან პარალელურ ფორმათა არსებობა მეორე კავშირებითში ზემოთ წარმოდგენილ კანონზომიერებებს არ არღვევს: ყველა შემთხვევაში პარალელური წარმოება დასტურდება ნამყო ძირითადშიც<sup>9</sup>. სხვაგვარად: პარალელური წარმოება II კავშირებითისა (როცა პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი -ო- სუფიქსიანია) შეპირობებულია ნამყო ძირითადის პარალელური წარმოებით. -ო-სუფიქსიანი ფორმები II კავშირებითისა ნამყო ძირითადის -ე-სუფიქსიან ფორმათა შესაბამისია. ეს ფაქტია. მაგრამ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით პარალელურ ფორმათაგან რომელს მიენიჭოს უპირატესობა.

ვფიქრობთ, საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ჩვენებას (მხოლოდობით რიცხვში). მიუთითებენ, რომ „თუ აორისტიში S<sub>3</sub>-დ ო არის წარმოდგენილი, II კავშირებითის ნიშანი ო იქნება“<sup>10</sup>. აქედან გამომდინარე, პარალელური წარმოება II კავშირებითისა მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტური მესამე პირის პარალელური ფორმები არსებობს (-ა- და -ო- სუფიქსიანი); იმისდა მიხედვით, ამ უკანასკნელთაგან რომელს ენიჭება უპირატესობა, უნდა გადაწყდეს II კავშირებითის პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობის საკითხიც.

I. შევიპყარ||შევიპყრე, ვიგრძნე||ვიგრძნე, ვიცან||ვიცნე, მოვასწარ||მოვასწარე, ჩავფალ||ჩავფლე და სხვა ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობამ შეაპირობა პარალელიზმი სუბიექტური მესამე პირის ფორმებშიც: შევიპყრა||შევიპყრო, იცნა||იცნო, მოასწარა||მოასწარო, ჩაფლა||ჩაფლო... ერთი და იგივე ზმნა ორგვარი ყალიბითაა წარმოებული:

შევიპყარ-(ი)||შევიპყრ-ე

შევიპყარ-(ი)||შევიპყრ-ე

შევიპყრ-ა||შევიპყრ-ო

რამდენადაც ამ ტიპის ზმნებში სუბიექტური მესამე პირის -ო-სუფიქსიანი ფორმებია ნორმატული (შევიპყრო, იგრძნო, იცნო, მო-

<sup>9</sup> ნამყო ძირითადის პარალელურ ფორმათა შესახებ მსჯელობისათვის იხ. ჩვენი: სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში—კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, IV, თბ., 1981.

<sup>10</sup> ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.



ასწრო, ჩაფლო, გამოაკლო, დაამყნო...), -ა-სუფიქსიანი ვარიანტები იშვიათია, ან საერთოდ არ გვხვდება თანამედროვე ქართულში (დავით აღმაშენებლის ხანა, იცნა, იგრძნა... ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვის), მეორე კავშირებითის პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს -ო-სუფიქსიან ვარიანტებს (შეიპყროს, იგრძნოს, იცნოს, მოასწროს, ჩაფლოს...) -ა-სუფიქსიან ვარიანტებთან შედარებით (შეიპყრას, იგრძნას, იცნას, დაეხწრას, ჩაფლას...).

II. ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები<sup>11</sup> პარალელურ კანონზომიერ ფორმებად წარმოგვიდგენს დებს ზმნის ნამყო ძირითადის სუბიექტურ მესამე პირში დადვა||დადო ფორმებს, რაც, ჩვენი აზრით, დავას არ იწვევს. რამდენადაც ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ჩვენებას ანგარიში ეწევა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა ანალიზისას, დადვას||დადოს ფორმებიც თანაბარუფლებიანად, კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

III. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუბიექტური მესამე პირის ფორმებს პარალელურად, -ა და -ო სუფიქსებით, იწარმოებს შემდეგი ზმნები: დარგა||დარგო, მორწყა||მორწყო, მიუზლა||მიუზლო, დაართა||დაართო<sup>12</sup>. ამათ რიგში უნდა ჩადგეს: მომკა||მომკო, განერთხა||განერთხო, დამწყსა||დამწყსო, დაუხშა||დაუხშო, დაიხრჩვა||დაიხრჩო, ჩაასვა||ჩაასო... სუბიექტურ მესამე პირში პარალელურ ფორმათა არსებობის ახსნა -ა და -ო სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობით გაჭირდება. დარგა და დარგო სხვადასხვა პარადიგმის წევრებია (იხევე, როგორც შეიპყრა||შეიპყრო):

დავრგა||დავრგე  
 დარგა||დარგე  
 დარგა||დარგო

სამწერლო ენაში ყველა ფორმა დასტურდება:

მე გა დ მო ვ რ გ ი მიწაზე ყვავილი (ჭ. ლომთ).  
 უკრაინაში გა დ არ გ ი ლექსი და მოაშენე ქართული ბაღი (ს. ჩიქ).  
 მთიდან გა დ მო რ გ ე ნაზი სუმბული (ს. ჩიქ).

11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. ტ. 1—8, თბ., 1950—1964; ვ. თოფურია, ი. გიგნეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

12 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 430; ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 60.

კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე (ილია).

ვაზი გადმორგა (ქველ).

ერთხელ ბავშვების მამას სურდა შეეფურჩქნა ვარდის პატარა ბავშვების  
რომლებიც დარგო ამასწინათ თავის ბაღჩაში (ი. გოგ.).

სუბიექტური მესამე პირის -ა და -ო სუფიქსიანი ფორმები სამ-  
წერლო ენაში თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება, ეს ფაქტი ქარ-  
თული ენის განმარტებით ლექსიკონშიც იჩენს თავს: რე ძირის შემ-  
ცველ ზმნებთან ნამყო ძირითადის ფორმები წარმოდგენილია რო-  
გორც -ა, ისევე -ო სუფიქსით (დარგა, გადარგა, მიარგა, გადმორგა,  
შემორგა, გადაურგა — შემოარგო, ჩარგო, წარგო, შერგო, დაურგო,  
წაურგო); მდგომარეობა თითქმის ასეთივეა ამ ტიპის სხვა ზმნათა შემ-  
თხვევაშიც (აწყა, დაწყა, აუწყა, მიიწყა, მაგრამ აიწყო, ამოწყო, გა-  
მოუწყო... მორწყა, დარწყა, ამორწყა, მაგრამ არწყო, მორწყო... მომ-  
კა, გადამკა, მოუმკა, მაგრამ დამკო, მოიმკო, მოუმკო...). ყოველივე  
ეს გვაფიქრებინებს, რომ, დადვა||დადო ფორმათა მსგავსად, დარგა||  
დარგო, მომკა||მომკო თანაბარუფლებიანი, კანონზომიერი ფორმებია.  
შესაბამისად, თანაბარუფლებიან, კანონზომიერ ფორმებად უნდა მი-  
ვიჩნოთ ამ ტიპის ზმნათა II კავშირებითის ფორმებიც: დარგას||დარ-  
გოს, მორწყას-||მორწყოს, მიუზღას||მიუზღოს, დაართას||დაართოს,  
მოიმკას||მოიმკოს, განერთას||განერთოს, დამწყას||დამწყოს, დაუხ-  
შას||დაუხშოს, ჩაასვას||ჩაასოს...

იმის ნათელსაყოფად, რომ მეორე კავშირებითის პარალელურ  
(-ა და -ო-სუფიქსიან ფორმათა გაჩენისა და, შესაბამისად, პარალე-  
ლურ ფორმათაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებისას ნამყო  
ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმათა ჩვენებას არსებითი  
მნიშვნელობა აქვს, ერთი ფაქტის მოხმობა შეიძლება:

დასტურდება ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმათა პარა-  
ლელური წარმოება: გამაქერ||გამაქრე, მივაგენ||მივაგენე, გავიძერ||გა-  
ვიძრე, შევიძელ||შევიძლე:

მომკალ, გამაქერ (ილია).

აქრე, აქრე სანთელი, მე მაინც ავანთებ მას (ჭ. ლომთ.).

ბოლოს მივაგენით, მაგრამ დილას აქეთ კი ვღევთ (პ. კაყ.).

ვერ შევიგნე, რა სისულელე ჩავიღინე (იკომ.).

გავიძერ ხანჯალი (ილია).

დამბაჩაც გავიძრე (ილია).

დაგუყრებდი, ვეღარ გავძელ, ლოყით კოცნა მე მოგპარე (ილია).

ვაიმე, შვილო, თუ მშვიერმა, მწყურვალმა და ხელმეორედ დაობლებულმა...  
ვეღარ გასძლე და დამიჭლედი (მკ. გაბ.).

ყველა შემთხვევაში გვაქვს ნამყო ძირითადის პარალელური წარ-  
მოება (-ე- სუფიქსიანი და უნიშნო — resp. -ი- ელემენტისანი), მაგ-

რამ, რამდენადაც სუბიექტურ მესამე პირში მხოლოდ -ო-სუფიქსიანი ფორმები დასტურდება (გააქრა, გაიძრა, მიაგნა, გაძლა არაა ბუნებრივი, ჩვეულებრივია გააქრო, გაიძრო, მიაგნო, გაძლო...), ამ წმინტა II კავშირებითშიც გამოირიცხულია პარალელიზმი: მხოლოდ -ო სუფიქსიანი წარმოება გვაქვს: გააქროს, გაიძროს, მიაგნოს, გაძლოს...

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მეორე კავშირებითში -ა და -ო სუფიქსებიანი პარალელურ ფორმათა არსებობის საფუძველი ნამყო ძირითადის პარალელური წარმოებაა. პარალელურ ფორმათაგან II კავშირებითის -ო-სუფიქსიანი ვარიანტები ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის -ო-სუფიქსიანი ფორმათა შესაბამისია. აქედან გამომდინარე, II კავშირებითის პარალელურ წარმოებაში -ო-სუფიქსიანი ვარიანტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა -ა-სუფიქსიანთან შედარებით, თუ ნამყო ძირითადის სუბიექტურ მესამე პირში -ო სუფიქსიანი ვარიანტებია მართებული. ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის -ა- და -ო-სუფიქსიანი ფორმათა თანაბარუფლებიანობა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა თანაბარუფლებიანობის საფუძველად უნდა მივიჩნიოთ.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც II კავშირებითში -ო სუფიქსი გვაქვს და შესაბამისი ნამყო ძირითადის ფორმაში -ე სუფიქსი არ დასტურდება, არის იყოს წმნა. თუ ამ ფორმაში -ო კავშირებითის მაწარმოებელია და მისი გამოყოფა საერთოდ შესაძლებელია, ისევე, როგორც ნამყო ძირითადის ფორმის (იყო) ბოლოკიდური -ო-სი<sup>13</sup>, მაშინ შეფარდება — ნამყო ძირითადის -ე: II კავშირებითის -ო — უგამონაკლისო არ იქნება. როგორც ჩანს, ამ გამონაკლისის თავიდან აშორების ცდაა ენაში -ე სუფიქსიანი ფორმების გაჩენა: ვიყვე — იყვე — იყვეს, რაც სამწერლო ენაშიც იჩენს თავს:

შერცხენილი ვიყვე, თუ სანაქებოდ არ მოეუღბინო (დ. კლდ.).

13 ბ. ჯორბენაძე, ფორმანტა სემანტიკური ინფორმატიულობის საკითხისათვის ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 82.

განა არ გინდა, რომ შენი შრომა უფრო ნაყოფიერი და ვრცელი  
(მკ. ვაბ.).



სული მორჩილი ნეტარია, ოღონდ აქ ვ ი ყ ვ ე თ (ო. ჩხ.).

ამგვარ ფორმათა უმართებულობას და, შესაბამისად, იყოს ფორ-  
მის მართებულობას ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის იყო  
ფორმაც ადასტურებს: სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსიანი  
წარმოების შესაბამისი მხოლოდ -ო სუფიქსიანი II კავშირებითია.

---

თინათინ ლვინაძე

ვნებიანი გვარის ფორმათა წარმოშობისა და გამოყენების  
შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

ქართულ ენაში ვნებითი გვარის ფორმები მკაფიოდ გაირჩევა სხვაგვარი ფორმებისაგან. ეს განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა დრო-კილოთა I და III ჯგუფის ფორმებში<sup>1</sup>. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სხვა გარდაუვალი ზმნებისაგან, *ი-ე-* თავსართებისა და *-დ* ბოლოსართის გარდა, აწმყოში არის *-ი* დაბოლოება და *S<sub>3</sub>-ის -ს/-ან* დაბოლოებები ძველი ქართულისათვის. თანამედროვე ქართულში *ი* დაბოლოება რჩება, *S<sub>3</sub>-ის* დაბოლოებად კი დამკვიდრდა ძირითადად *-ა/-ან*, თუმცა ძველი ქართულისებური ფორმებიც არა-იშვიათად გამოიყენება დღესაც.

ვნებითი გვარის ფორმები ხშირად იხმარება ქართულში. ისინი ნაირგვარი სემანტიკის შემცველია ძველშიც და თანამედროვე ქართულშიც. საკუთრივ ვნებითური შინაარსით (ე. ი. მოქმედების ობიექტიდან ამოსვლით) ეს ფორმები გაცილებით ნაკლებ გამოიყენება და ასეთ შემთხვევებშიც უმეტესწილად ზოგადი აწმყოს ან განზოგადებულსუბიექტიანი მოქმედების აღსანიშნავად არის ნახმარი. უფრო ხშირად კი ვნებითის ფორმები აქტიური მოქმედების შინაარსის შემცველია ან ვნებითისაგან განსხვავებული სხვაგვარი ნიუანსის მქონე.

ვნებითის ფორმათა სემანტიკური შესაძლებლობანი მოქმედებითი გვარის ზმნებისაზე მეტიც ჩანს. ამ შესაძლებლობათა გამოვლენის ფართო ასპარეზი იქმნება მხატვრულ მეტყველებაში. მეცნიერებისა და პრესის ენა ნაკლებ საშუალებას იძლევა ამ შესაძლებლობათა გამოყენებისა. მეცნიერების ენისათვის ჩვეულებითობის გამომხატველი

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 443—469; ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, I, 1950, გვ. 060, 063—071.



ზოგადი აწმყოს ვნებითური ფორმები უფროა დამახასიათებელი (იყოფა, იბრუნება, იკვეცება, ღამღება, თბება...), ხოლო ვნებითის ფორმათა ნიუანსური დატვირთვით გამოყენება გამორიცხულიცაა. პრესისა და საქმიანი ნაწერების ენაში ჭარბობს ვნებითის ფორმათა გამოყენება საკუთრივ ვნებითური შინაარსით, ვინაიდან სათქმელს მოქმედების პროცესის ობიექტიდან ამოსვლით განხილვა უფრო შეუფერება (აშენდა, გარემონტდა, გადაეცა, მადლობა გამოეცხადა, დაჯილდოვდა, შესრულებულ იქნა...).

მხატვრული ლიტერატურის ენაში სულ განსხვავებული ვითარებაა ვნებითის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსანი“<sup>2</sup>.

პოემაში ვნებითის ფორმები ძალიან ხშირად არის გამოყენებული<sup>3</sup>. 3000-ზე მეტი ფორმაა მასში ვნებითისა, ე. ი. საშუალოდ ყოველ სტროფში ორი ფორმა მაინც არის გამოყენებული. მართლაც, იშვიათად არის სტროფი გამართული ვნებითის ფორმათა დაუხმარებლად, ხოლო ძალიან ბევრგან კი ისეა დახვავებული ვნებითის ფორმები და მათი დახვავებით ისეთი მხატვრული ეფექტია მიღწეული, რომ მწერლის მხატვრული სტილის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ეს თავისებურებაც უნდა ჩაითვალოს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სალექსო სტრიქონები:

- ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეეღმის ლმობისა. 849.  
 მონანიცა გარდიხვეწნეს, გაიპარნეს მასვე თანა. 1199.  
 მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა. 1278.  
 იჭირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწავს ცეცხლებრ ალია. 1288.  
 ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების. 1298.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და ენის საკითხების კვლევისას ვნებითის ფორმათა წარმოებისა და გამოყენების საკითხებს არაერთხელ შეხებია ივანე გიგინეიშვილი. მის საკანდიდატო დისერტაციაში „სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“ (1944 წ.) საგანგებო თავი ეძღვნება ნასახელარ ზმნათა წარმოებას, სადაც ცალკეა საუბარი ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოების შესახებ. დასკვნები ისეთი საყურადღებოა, რომ ამ ძეგლის ენაში საერთოდ ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებისა და გამოყენების შესწავლის ინტერესს აღძრავს. მონოგრაფიაში „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (1975 წ.) ვნებითის ფორმების წარმოებისა და გამოყენების საკითხები მრავალჯერ განხილვას მსჯელობისა და კონიექტურის საგანი.

<sup>3</sup> ვსარგებლობთ „ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემით (ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედ.).

ზმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დაპრიდნეს

დადრკა, მდაბლად ეთაყვანა, პირსა ზედან დაეფინა. 1528<sub>2</sub>

ვნებითის ფორმათა უხვად გამოყენების თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავია ზოგიერთი სტროფი, რომელშიც თვალში საცემია ზმნის ფორმათა სიუხვე. ასეთ სტროფებში უმეტესწილად ვნებითის ფორმები სჭარბობს სხვაგვარებს.

მაგალითად:

ვარდი ჭნებოდა, ღრებოდა, აღვისა შტო ირხეოდა,  
ბროლი და ლალი გათლილი ლაქვარდად გარდიქცეოდა. 954<sub>1-2</sub>

ორ ტაეაში გამოყენებულია ოთხი ზმნა და ოთხივე ვნებითი გვარის ფორმით.

სხვა მაგალითები:

მოვასხნებ ერთხელ კვლაცა, აწ რაზომცა მეფე წყრების,  
ნუთუ გაბრჭოს, გული ჩემი ვით იწვის და ვით ენთების;  
არ გამიშვებს, გავიპარვი, რა იმედი გარდმიწყდების,  
მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრების! 769.

მთელ სტროფში გამოყენებული 10 ზმნური ფორმიდან 7 ვნებითისაა.

ამას მოთქმიდის, იწვოდის, ვითა ზანთელი დნებოდის,  
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის,  
რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის,  
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უშვრეტდის, ეუზნებოდის. 838

11 ზმნური ფორმიდან 7 ვნებითისაა.

რა ასმათმან დანახა, მოეგება, ცრემლი სწვთების,  
ვით ეამა, სიხარულსა მათ ველარას ვერ მიჰხვდების;  
ყმა გარდახდა, მოეხვია, აკოცებს და ეუზნების.  
კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლვა ღია ეამების. 843.

11 ზმნური ფორმიდან 9 ვნებითი გვარისაა.

მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;  
ყმამან ცხენით შეუტივა, გაამაყდა, არ შეშინდა,  
შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,  
გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აჭშინდა. 980.

ამ უკანასკნელ მაგალითში კი 12 ზმნური ფორმიდან 8 ფორმა ვნებითისაა.



საყურადღებოა, რომ იმ სტროფებში, რომლებშიც ვნებითის ფორმათა ასეთი სიუხვეა, ვნებითის ფორმები სარიტომოდაცაა განთავსებული. ასეთი შემთხვევა 100-მდეა. თვით ეს ფაქტიც ვნებითის ფორმების შერითმებისა ამ ფორმათა ლაღად, ამავე დროს, მიზნობრივად მოხმარების მაჩვენებელია. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უმთავრესად ვნებითის ბუნებრივ ფორმებს მოიხმარს ამ მიზნითაც. დასახელებულ მაგალითებში არცერთი ფორმა არ არის ხელოვნური. არავითარი ძალდატანება არ ემჩნევა ვნებითის ფორმების გამოყენებას ასეთ სტროფებში:

სხვად, ჩემო, ჩემი ამავე ჩემგან არ მოგეწერების:  
 ენა და შვირების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.  
 ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიშვი მას ეტყერების!  
 აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების. 1298

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის უცხო არაა ვნებითის ხელოვნური ფორმებიც. ასეთი ფორმები სხვა ხელოვნურ ფორმებთან ერთად შესწავლილი აქვს ივ. გიგინეიშვილს. ნასახელარი ზმნების მიმართ გაკეთებული დასკვნა პირველ რიგში სახელთაგან ნაწარმოებ ვნებითის ფორმებს ეხება, როცა განხილულია ასეთი შემთხვევა:

ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია. 1429<sub>3</sub>

ამგვარივეა ვნებითის ფორმა ამ ტაეპში:

მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმოზია. 965<sub>3</sub>

თუ დასახელებულ შემთხვევებში მოულოდნელია და, დედა, თმა სახელთაგან ვნებითის ფორმათა წარმოება და სხვა შემთხვევები, გარდა დასახელებული თურმეობითი I-ისა, არც გვხვდება, სხვა ადგილას ამოსავალი ფუძის ფორმა არის თავისებურად გამოყენებული. ამის მაგალითად გამოვღებთ ასეთი შემთხვევები:

რა ტარელ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა,  
 თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა,  
 მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა;  
 შეიყარნეს, ერთმანეთი მათგან იქო, არ გაუქდა. 986.

სტროფში გამოყენებული 9 ზმნური ფორმიდან 7 ვნებითი გვარისაა. მათგან ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს სარიტომოდ გამოყენებული მხოლოდ 3 ფორმა: აუჩუქდა, ბუქდა, გაუქდა, ისიც ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით.

ასეთივეა ვმკლდები, ვსხვლდები, ვწვლდები ფორმები შემდეგ მაგალითში:

მო, მთვარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებრ ვმკლდები,  
მზე გამაესებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ  
ვწვლდები. 968<sub>1-2</sub>

(შესაბამისად მკლე, მსხვილ და წულილ ფუძეებისაგან).

ვნებითის ფორმები გვხვდება მაჯამურ სტროფშიც, დიდი ოსტატობით ნაწარმოები და მოხმარებული:

მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაეზადა, (=ბადედ გაუხდა)  
მუნვე ღარჩა დათმობაცა მისთანავე დაეზადა (=ღაბმულ იქნა)  
რათგან დასწვავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაეზადა, (=ბადებს ზმნის)  
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაეზადა.

(=დაიბადა) 734

საერთოდ, მარტო იმ სტროფებზე დაკვირვებაც კი, რომლებშიც სარიტმო ერთეულებად არის გამოყენებული ვნებითის ფორმები, საინტერესო დასკვნის საფუძველს იძლევა: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ერთნაირი ოსტატობით იყენებს ნებისმიერი წარმოების ვნებითის ყველა დრო-კილოს ფორმას. პოეტისთვის ცნობილია ქართული ენის ყველა შესაძლებელი ფორმა ამ მხრივ.

სხვადასხვა ტიპის ვნებითები აწმყოს ფორმითაა გამოყენებული შემდეგი სტროფების სარიტმო სიტყვებად:

259 იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების;  
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების<sup>4</sup>;  
მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნებისნ,  
დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვენების.

705 საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების:  
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების...  
მაშინ კირი ჩნდა ჩემზედა, აწ ასრე ლხინად უხვდების,  
რათგან შვება აქვს სოფელსა, თვით რად ვინ შეუწუხდების?

717 ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების,  
მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყუდების;  
ვით მწვანელსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების,  
ჰხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ აღრე დააჩნდების!

738 აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგებბის;  
გული მას აქვს გულოვანსა, აქა ხელი რა მეხდებბის?  
თუ რას ვარგებ, პირველ ხვალმე თვით სახელი თქვენ მოგხვდებბის;  
ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ, ჩემი ფიცა არ გატყდებბის.

<sup>4</sup> ივ. გიგინეიშვილმა დაიხსოვნების წაკითხვა მიიჩნია სწორად, დასახ. მონოგრაფია, გვ. 54.

<sup>5</sup> დაეყოვნების, ივ. გიგინეიშვილი, იქვე, გვ. 55, შწმ.



1008 არას გარგებს შეპირება, რომ სკმუნვიდე, რა გერგების!  
 არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების!  
 მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დატენების.  
 ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ც-ა-გ-ხ-ვ-დ-ე-ბ-ი-ს

1001 ვითა მთვარე დაუდგრომლად იარების, არ დადგების;  
 მასვე ცხენსა შენეულსა ზის, აროდეს გარდახდების;  
 არას ნახავს პირ-მეტყველსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების.  
 ვა მე, მისსა მგონებელსა, ვა მას, ვინცა მისთვის კვდების.

1035 ყმამან უთხრა: „ვინცა ჰმუნავს, ცუდია და ცუდად ცთების  
 რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვეცთების,  
 მე მივიწოდებ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, და-ც-ა-მ-წ-ვ-თ-ე-ბ-ი-ს,  
 ვინცა გებძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა, და-ა-ც-თ-ე-ბ-ი-ს.

1081 სჯობს სიშორე ღიაცისა, ვისგან ვითა დათმობის:  
 გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,  
 მართ ანაზღად გილატებს, — გაჰკვეთს, რაცა დაესობის, —  
 მით ღიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხოვბის.

1500 ფრიდონს უთხრა: „ვალთ თქვენი ჩემგან ძნელად გარდიხდების,  
 მაგრა თქმულა: „ქარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“  
 აწ საკურტლე რაზომიცა აქა ძეს და ან იდების,  
 შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიღე, ვითა გხვდების“.

ასეთივე დანიშნულებით გვხვდება I და II პირის ფორმები:

1228 როშაქ ბრძანა: „მო-ც-ა-ვინ-მკლავს, მე ტირილსა არ დავჰხვდები,  
 მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსებო,  
 შინა მოვალ შოებული, აღრე ზედა მოვესწრებო,  
 მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ც-ა-ვ-ჰ-ყ-ვ-ებ-ი“.

1279 ზანგმან უთხრა: „ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაჰხვდები?  
 მე ვარ მონა ფატმანისა, თქვენს წინაშე ნამგზავრები;  
 ამა წიგნმან გამამართლოს, არ ტყუილად გეუბნებო,  
 მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, აღრე ნუ დასტენები!“

1651 მოახსენა: „ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გასწყრები:  
 თუ ხმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გაგეყრები,  
 მე მეყაფა შუქი თქვენი, ვარ მზის ეტლთა შენასწრები,  
 ვერ გავსწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან ვიარებო“.

რამდენიმე შემთხვევაში სარიტმო სიტყვებად გვხვდება ვნებიითე-  
 ში აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმითაც:

- 964** „აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,  
მთვარე, ასპიროზ, მარინი მოვლენ და მოწმად მყვებიან,  
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებებიან“.
- 989** ფრიდონისებრნი მოყმენი ვინა ვინ ვით ეგებებიან!  
მაგრა მას ახლვან ქებანი, მართ მეტი არ მიხვდებიან;  
მზე უჩინო იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან,  
დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუქნი ჰკრთებიან.
- 1086** შენ გტრფიალობენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,  
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან!  
შენი შეგნება ყვავილთა აჰნობს და ჩემნიც ჰნეებიან,  
სრულად დამწვარებარ, თუ მზისა შუქნი არ მომეცს რებიან.
- 1860** ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივს გარდასწვდებიან,  
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებებიან,  
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,  
მათთა შეგბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

სარიტმო სიტყვებად ვნებითის აწმყოს ფორმების გამოყენების დასახელებულ შემთხვევათა უმეტესობაში ვნებითის ფორმებს აქვს ჩვეულებითობის ან შესაძლებლობის ნიუანსი, იშვიათად — გარდატევილობის შინაარსიც. ასეთივე წარმატებით დიდი სემანტიკური დატვირთვით არის გამოყენებული ვნებითები ნამყო უსრულსა და კავშირებით I-ში.

ა) ვნებითის ფორმები ნამყო უსრულშია:

- 728** ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა;  
ბაგეთა გასჰვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთა ელვა ჰკრთებოდა.  
ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,  
უტარიელო ხსენება არვისგან იკადრებოდა.
- 982** მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;  
ღირსნი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ჰხლებოდა;  
მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.  
ფრიდონს უკვირდა, რა ქმნესო, მისთა სპათათვის წყრებოდა.
- 994** მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა,  
მან უჭირველად დახოცნა, ომი არ მისჰირდებოდა,  
ზოგთა მხარ-თეძო დაჰლეწა და ზოგთა სული ჰხდებოდა;  
მუნდა ცნეს, ეტლი მთვარისა რომე არ დაბრუნდებოდა.
- 1042** კიოდეს იგი ლაშქარნი, ხმა მათი არ გაწყდებოდა,  
აძვრეს ძელი, რომელსა ზედა სახნისი ჰგებოდა;



ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე ჰკრთებოდა  
 კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა, ლომს მკლავი არ უდრკებოდა

- 1177 შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა,  
 თვალ-მარგალიტი ავიდე, რაც ოდენ ამეღებოდა,  
 თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა,  
 მივე, მას წელთა შევარტყი, შევ-გული ვისთვის კედებოდა.
- 1337 ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა:  
 გაღმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა;  
 ეტყოდა: „ეცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,  
 აწ გაახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჰნებოდა“.
- 1571 ნესტან-დარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შემოგცნებოდი,  
 მზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დავდნებოდი.  
 ამბავსა სცნევედი, მაცნევედი, წიგნითა მეუბნებოდი,  
 ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, ეგრე შენ ჩემთვის ჰბნდე“.

ბ) ვნებითის ფორმები I კავშირებითშია:

- 924 ანოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს,  
 მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს,  
 ცოტად ეგრეცა დაუვსებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს.  
 დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.
- 1052 ანოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს,  
 ამხანაგათთვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა ჰხლებოდეს.  
 მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწებებოდეს,  
 ჰშენოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე ჰვნებოდეს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ვნებითის ფორმებს განსაკუთრებული მიზნით მიმართავს გარკვეულ შემთხვევებში და არა ინტუიციურად და სტიქიურად. ამ შთაბეჭდილების განსამტკიცებლად გამოდგება I თურმეობითის ფორმათა გამოყენების რამდენიმე შემთხვევა:

- 965 აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია,  
 რას გარგებს მოკლეა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;  
 მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,  
 მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!“
- 1008 რა მოგეშორევე, მას აქათ სიცოცხლე მომძულეებია;  
 თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურეებია;  
 შენ უჩემობა ლხინად გიჩნს, მე დია მომჭირეებია,  
 ოხერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამამარმებია!



ამ უკანასკნელ შემთხვევას თუ განვიხილავთ, ნათელია, თუ რა დიდი ოსტატობით არის ნაწარმოები თურმეობითი I-ის ფორმები. ორპირიანი ვნებითი გვარის -დ სუფიქსიანი ვნებითებისაგან: **მომძულდება, მომსურდება, მომჭირდება და გამიარმდება.**

აქ ცალკე აღარ ვეხებით სარიტმო სიტყვებად დონიანი ფორმების გამოყენების შემთხვევებს, რომელთა რაოდენობა სამ ათეულს სცილდება. დონიან ფორმათა დიდი ნაწილი სახელთაგან არის ნაწარმოები. ისინი განხილულია ივ. გიგინეიშვილის სადისერტაციო ნაშრომში „სიტყვაწარმოების თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“. ნასახელარი ზმნების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა შეიძლება გავავრცელოთ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში საზოგადოდ ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებასა და გამოყენებაზე: „აქ იშლება პოეტის სიტყვათშემოქმედება მეტისმეტად ფართოდ, აქ პოულობს იგი ფართო გასაქანს. რუსთველი მეტყველების ყოველგვარი ნაწილისაგან აწარმოებს ზმნის ფორმებს და ვირტუოზულად იყენებს მათ თავისი მიზნებისათვის“ (გვ. 201). ამ აზრის განზოგადებას საერთოდ ვნებითების რუსთველურ ფორმათწარმოებასა და გამოყენებაზე საფუძველს უმაგრებს ე-პრეფიქსიანი ფორმების წარმოება და გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. ვნებითის ფორმათაგან ასეთები ყველაზე მეტია „ვეფხისტყაოსანში“. კერძოდ, ისინი ვნებითის ფორმათა მთელი რაოდენობის ნახევარზე მეტია საწარმოებელ ფუძეთა რაოდენობის თვალსაზრისითაც და ამ ფორმათა გამოყენების თვალსაზრისითაც. ამასთან, ნაირგვარი, ვნებითებისათვის დამახასიათებელი ყველა შესაძლებელი ნიუანსით არის გამოყენებული. ქვემოთ შევეცდებით ამის ჩვენებას.

ვნებითის ე-პრეფიქსიანი ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში თითქმის ყველა დრო-კილოსათვის დასტურდება. მაინც ყველაზე ხშირია აწმყოს ფორმათა გამოყენება. ეს ფორმები ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ყალიბითაა ნაწარმოები: ფუძე+თემის ნიშანი+ო+მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდობითსა და მრავლობითში შესაბამისად -ს/-ან ბოლოსართებით. ამდენად, თემის ნიშნის შემდეგ -ი ბოლოსართი ყველა პირის ფორმაში არის წარმოდგენილი. არცერთი შემთხვევა არ დასტურდება აწმყოს ფორმაში სუბიექტური მესამე პირისათვის მხ. რიცხვის ფორმაში -ა-ს გამოყენებისა. მაშასადამე, ენიანი ვნებითების აწმყოს ფორმები სუბიექტური მესამე პირის ნიშნის გამოყენების თვალსაზრისით ძველი ქართული-სებურია.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში ვნებითის დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმებში დომინირებს -ებ თემის ნიშანი, რომელიც ფუ-



ძეს ფუნქციონირებს სხვა თემის ნიშნის შემდეგ დაერთვის ან მის ადგილს იკავებს. მაგალითად, თუ იყო მხოლოდ **და-ე-რ-თ-ვ-ი-ს** ფორმა, გვაქვს **და-ე-რ-თ-ვ-ი-ს-ა**; ანდა: იყო **მი-ე-წურ-ვ-ი-ს** ფორმა და ახლა გვაქვს **მი-ე-წურ-ი-ბ-ა** და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში **-ავ-**თემისნიშნის ზმნათაგან **ე-პრე-**ფიქსიანი ვნებითის ძველი ქართულისებური ფორმებია ძირითადი:

- ე-მღურ-ვ-ი-ს:** ე მღ უ რ ვ ი ს ე ტ ლ ა რ ბ ე ნ ა ს ა . 1197<sub>3</sub>.
- ჰე, მეფეო! რად ე მ ლ უ რ ვ ი ა ნ უ ლ მ ე რ თ ს ა , ა ნ უ ბ ე დ ს ა ? 113<sub>2</sub>.
- რად ე მ ლ უ რ ვ ი ს ა წ უ თ რ თ ს ა ? 879<sub>4</sub>
- ე-ნუკ-ვ-ი-ს:** შ ე ნ გ ე ნ უ კ ვ ი მ ო ნ ა ხ ე ს ა . 128<sub>4</sub>.
- შ ე ნ გ ე ნ უ კ ვ ი , შ ე მ ი ჯ ე რ ო , ლ მ ე რ თ ი ი ღ მ რ თ ო , ც ა ე ა ი ც ო . 664<sub>3</sub>.
- ყ მ ო , რ ა გ ი ნ დ ა , ა ნ უ მ ე ნ უ კ ვ ი მ ე რ ა ს ა ? 285<sub>1</sub>.
- რ ა ს მ ე ნ უ კ ვ ი , ა რ ა ვ ი ც ი , გ ა მ ი ც ბ ა დ ე . 277<sub>1</sub>.
- შე-ე-რ-თ-ვ-ი-ს** მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია. 1410<sub>4</sub>
- ე-ფარ-ვ-ი-ს** მზესა ღრუბელი ეფარვის. 1590<sub>4</sub>.
- რ ა ღ რ უ ბ ე ლ ი მ ი ე ფ ა რ ვ ი ს , მ ზ ე ხ მ ე ლ ე თ ს ა დ ა ა ჩ რ დ ი ლ ე ბ ს . 713<sub>3</sub>.
- მ ზ ე ღ რ უ ბ ე ლ ს ა მ ო ჰ ფ ა რ ვ ო დ ა , ქ უ შ დ ე ბ ო დ ა , ვ ა რ დ ს ა ზ რ ვ ი დ ა . 1580<sub>3</sub>.
- გა-ე-ქს-ვ-ი-ს:** ღიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა. 1098<sub>1</sub>.
- ე-წყალ-ვ-ი-ს:** არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად. 415<sub>1</sub>.
- მ ო ვ კ ვ დ ე , თ ა ვ ი ა რ მ ე წ ყ ა ლ ვ ი ს 861<sub>4</sub>.

ზოგჯერ **ღრო-კილოთა I** ჯგუფის სხვა ფორმები გვაეარაუღებინებს ამოსავალ ფუძეში **-ავ** სუფიქსისეული ვ თანხმოვნის არსებობას აწმყოს ფორმაში:

ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა;  
ჩემი რა ვითხრა, რა ვიყავ, ლხინი რა დამეთვალოდა!  
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა. 380<sub>1-3</sub>.

**მ-ე-კრძალ-ოდა-ა, და-მ-ე-თვალ-ოდა-ა, მ-ე-ლალო-და-ა** ფორმები აწმყოს **მეკრძალვის, დამეთვალვის, მელალების** ფორმებს აღგვადგენინებს.

პარალელურად „ვეფხისტყაოსნის“ ენაში დასტურდება **-ებ-**თემისნიშნისანი ფორმებიც ამგვარივე ძირებიდან:

- მი-ე-ფარ-ებ-ი-ს:** თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების. 510<sub>1</sub>.
- შე-ე-ბრალ-ებ-ი-ს:** დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალების 249<sub>3</sub>.
- მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების. 299<sub>3</sub>.
- შენს უკან ჩემი სიცოცხლე, თუ გესმის, არ გებრალები? 1275<sub>4</sub>.
- მო-გ-ე-პარ-ებ-ი-თ:** თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით. 388<sub>3</sub>.
- მო-ე-შორ-ებ-ი:** ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორები? 1564<sub>3</sub>.



თურმეობითი II-ის მიახლებოდა და მოჰშორებოდა ფორმები („მიახლებოდა სიკვდილსა, მოჰშორებოდა თმობასა“, 870<sub>2</sub>) აწმყოსთვის გვაგარაულებინებს მიეახლების და მოეშორვის ფორმებს ერთმანეთის გვერდით. მოეშორვის ფორმა, როგორც ჩანს, სუფიქსისეულ ვ-ს ინარჩუნებდა დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებშიც:

ფატმან იტყვის: „მოეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა“. 1214<sub>1</sub>.  
 მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-კლებულნი. 1208<sub>4</sub>.  
 მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორვება განანათლებს. 850<sub>1</sub>.

კრძალ ძირიდან, ერთი მხრით, გვაქვს ე-კრძალ-ებ-ი-ს ფორმა („ეცეცა იცი, სიკვდილსა თვით ეძებს, არ ეკრძალები“, 249<sub>4</sub>), ემორე მხრით, მ-ე-კრძალ-ოდ-ა („ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა, 380<sub>1</sub>) არის მ-ე-კრძალ-ვ-ი-ს ზმნის ნამყო უსრული.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამგვარი ფორმების წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის დამახასიათებელია ახალი ქართულისებური ვითარებაც.

ე- პრეფიქსიანი ფორმები ვნებითისა ძირითადად ორპირიანებია. მაგრამ ახალი ქართულის მსგავსად მრავალი ე-ნიანი ფორმა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ერთპირიანის გაგებით გამოიყენება.

განვიხილავთ საამისო მაგალითებს:

მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დიდ უფრო დაეებადა. 784<sub>4</sub>. (=დაიბადა)  
 იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა. 569<sub>1</sub>. (=დავიბენ).  
 გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები! 1298<sub>4</sub>  
 მკვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, იქ ები!“ 1551<sub>4</sub>. (=აიხსნები).  
 ბრძანა: „მინდორს შევეკდებო“, ლაშქარიცა დაერაზმა. 170<sub>3</sub>. (=დაირაზმა).  
 დღე და ღამე მუჭამრითა ეკმეოღის ალვა თლილი. 330<sub>1</sub>. (=იკმეოდა).  
 საბრალთა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ე-ზროს. 177<sub>2</sub>.  
 (=დაითრთვილოს, დაიზრას).

შეეკაზმა ფრილონ, შეჯღა... 1879<sub>1</sub>. (=შეიკაზმა).

ეს ზმნა 11 სხვადასხვა ფორმით გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და ყოველთვის ე- პრეფიქსით.

დასახელებულ შემთხვევებში, როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ე-პრეფიქსიან ერთპირიან ფორმებს ახალ ქართულში შეენაცვლა ი-პრეფიქსიანი ფორმები.

ზოგჯერ ერთპირიანის გაგებით ნახმარ ე-პრეფიქსიან ფორმებს ახალ ქართულში გაუჩნდა დ-ონიანი ფორმები:

დაეყოვნების: წასრულა, ჯერეთ ცოტაი ხანია. 1241<sub>4</sub>. (=დაყოვნდება).  
 ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარებო. 510<sub>3</sub>.  
 (=გაუხარდება).

ამ უკანასკნელი ზმნის სხვადასხვა ფორმით გამოყენების ათამდე შემთხვევაა „ვეფხისტყაოსანში“ და ყოველთვის ე-პრეფიქსითაა ნაწარმოები იგი. როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში (დამკვიდრდა ამ ზმნის ვნებითის ფორმა -დ სუფიქსით: გამიხარდება, გაიხარდება, გაუხარდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში გამოყენებული ერთპირიანი ე-პრეფიქსიანი ზმნების ერთი ნაწილი ასევე დარჩა ახლ ქართულშიც. ასეთებია, პირველ რიგში, მოძრაობის აღმნიშვნელი გაემართა, გაემგზავრა, გაექანა, მოემზადა, დაეცა და ზოგი სხვა ზმნა.

გაემართა ზმნის სხვადასხვა ფორმით გამოყენების ორ ათეულზე მეტი შემთხვევაა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში:

ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ 141<sub>4</sub>.  
მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა. 194<sub>2</sub>.  
იგი ნახეს, გასაქცევად გაემართნეს, შევკვივლენით. 451<sub>1</sub>.  
...ქარაფანი ეგვიბტით გამოვემართეთ ერთით. 1033<sub>1</sub>.  
გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღვრიდესა. 1447<sub>2</sub>. და ა. შ.

სხვა ზმნების გამოყენების მაგალითები:

რა ყველი დავიურვე, ხატებით გავემგზავრე. 464<sub>1</sub>.  
ფრიღონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა. 1529<sub>1</sub>.  
ასსა ვუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“ 557<sub>1</sub>.  
აწ დაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან. 1605<sub>1</sub>.  
ავდეგ, მსხდომნი ნადიმობით აემზადნეს ასაყრელად. 371<sub>1</sub>.  
დანა დაცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა. 582<sub>4</sub>.  
დავეცი, დავზნდი, წამიხდა, ძალი მხართა და მკლავისა. 348<sub>2</sub>.  
კვლა დავეცი დაზნდილი, გულსა სისხლი გარდმეთხია. 350<sub>4</sub>.  
ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა.. 337<sub>1</sub>.

ამათთანავე განსახილველი ინვერსიული ზმნები: გაეღვიძა, დაეძინა, გაეცინა, აეტირა და მისთანანი, რომლებიც თანამედროვე ქართულშიც ამგვარივე ფორმებით იხმარება:

გამეღვიძა, აღარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა. 506<sub>3</sub>.  
მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინიის ლულითა. 1215<sub>2</sub>.  
მას ქვეშეთსა გაეცინა... 256<sub>3</sub>.  
ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა ჰმურა. 326<sub>2</sub>.  
ავთანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლნი ცხელნი. 1137<sub>2</sub>.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმათა გამოყენების შესახებ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დრო-კილოთა I ჯგუფში უფრო ხშირია მათი ხმარება, II ჯგუფის ფორმებიც საკმაოდ ხშირია, გვხვდება III ჯგუფის ფორმებიც. დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმებიდან კი ყველას სჭარბობს აწმყოს ფორმები, რომლებიც

კონკრეტული აწმყოს გარდა ძალზე ხშირად ზოგადი აწმყოს, ჩვეულებითობის აღმნიშვნელია.

სემანტიკურად დიდი უმრავლესობა ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებისა აქტიური მოქმედების აღმნიშვნელია, მათში მოქმედების პროცესი სულაც არ ჩანს ობიექტიდან ამოსვლით განხილული. ასეთ ფორმებად გვესახება ეაჯების, ეუბნების, გაებრჭობის, მოგეგებვის, დაევაჭრნეს, მოერევის, გემუღარები, ელაღობნეს, მოგეპარების, შეერთვის, გაესალამა, მოგვესწრებიან, მოეშორები, მიეახლების, ეხვეწების, გავებრმლენით, შევეჯახები, შემოვები და მისთანანი „ვეფხისტყაოსნიდან“.

მაგალითები:

- ღათობასა ეაჯების გულსა... 728<sub>3</sub>.
- ადგა, მუხლნი მიუყარა, ეაჯების<sup>6</sup>, ვითა მზრდელსა. 1528<sub>3</sub>.
- მიშავალი ცასა შესტირს, ეუბნების<sup>7</sup>, ეტყვის მზესა 957<sub>1</sub>.
- ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა. 670<sub>1</sub>.
- იღუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია. 475<sub>1</sub>.
- გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბარითა. 1181<sub>1</sub>.
- ავთანდილ უხმო, ეუბნა კაცსა არ სიტყვა მცთომელსა. 1068<sub>3</sub>.
- მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა. 959<sub>2</sub>.
- პურად ავი მასპინძელი მოგვეგებვი ომად წინა. 1880<sub>4</sub>.
- შორს გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა. 1484<sub>1</sub>.
- მეფე ადგა, მოეგება; ყმა გარდახდა, რა მივიდა. 1530<sub>1</sub>.
- იგი მზენი მიეგებნეს<sup>8</sup>, მოეხვიენეს გულის-გულად. 1630<sub>3</sub>.
- დაევაჭრნეს, არ მოჰყიდეს, შავნი ენახენ მეტად წყენით. 1134<sub>4</sub>.
- უმცროსსა ძმასა მივეციოთ, უფროსსა დავეზიდენით. 208<sub>1</sub>.
- დიდებულნი ეთაყვანნეს, ერთობლინი ადგეს სრულად. 1630<sub>2</sub>.
- აწ ავთანდილ გეთხოვების... 754<sub>3</sub>.
- დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჰმუნვასა. 1003<sub>1</sub>.
- ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად. 982<sub>2</sub>.
- კვლა ფრიდონცა დაეთხოვა... 1656<sub>1</sub>.
- მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაკონა ვითა შვილი. 146<sub>1</sub>.
- ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს. 909<sub>4</sub>.
- რა წამეკიდა, ყველაი წერილად გაიმბო ენითა. 906<sub>1</sub>.
- მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა. 270<sub>2</sub>.
- უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე<sup>9</sup>. 109<sub>1</sub>.

6 ათი შემთხვევაა ამ ზმნის სხვადასხვა პირისა და ღრო-კილოს ფორმით ხმარებისა.

7 ათი შემთხვევაა ამ ფორმით ხმარებისა, სხვა ფორმებით ზმნები იხმარება 15 შემთხვევაში.

8 „ვეფხისტყაოსანში“ 44 შემთხვევაა ამ ზმნის ამ მნიშვნელობით გამოყენებისა.

9 სხვადასხვა ფორმით შეგვხვდა 17-ჯერ.

შეღამდა და წა-ცა-ვიდა, სხვა ემთხვია მონა გზასა. 1097<sub>2</sub>.  
 სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა. 428<sub>1</sub>.  
 გემულარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი. 167<sub>3</sub>.  
 ვითა შვილი დამადუმა, მემულარა, შემეპოვა. 630<sub>3</sub>.  
 ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა, მათთა მშვენთა. 1407<sub>3</sub>.  
 მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ველაღობე, ველაციციე. 1153<sub>1</sub>.  
 თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით 888<sub>3</sub>.  
 ჩემნი ყმანი ზედადამა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით. 1184<sub>3</sub>.  
 შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი. 447<sub>1</sub>.  
 დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწყალი. 1046<sub>3</sub>.  
 მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია. 1410<sub>4</sub>.  
 მე, გლახ, მათ ჩემთა პატივთა სხვადა დამერთო ზედო. 1285<sub>3</sub>.  
 დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთვივარ სულთა სირასა. 884<sub>4</sub>.  
 მათეც დარჩა სანადირო, — არ მივსცემდი, მომერჩოდეს. 601<sub>4</sub>.  
 აეთანდילו შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა. 1660<sub>1</sub>.  
 დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს. 943<sub>1</sub>.  
 თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა. 1386<sub>4</sub>.  
 რას დაგექადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული? 1104<sub>3</sub>.  
 დამექადის, რაზომჭერცა წავიკიდნით თავის წინა. 1207<sub>1</sub>.  
 მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არა ეცნა ამება. 295<sub>2</sub>.  
 შორს მნახეს, ადრე გამექცეს, ნავი მფრინველი ჩნდა ვითა. 1023<sub>4</sub>.  
 თუ გავეყრებ<sup>10</sup>, თვალთაგან ცრემლიცა დამედინების. 661<sub>2</sub>.  
 ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორებო? 1564<sub>3</sub>.  
 ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე. 566<sub>3</sub>.  
 მზე მოგვეახლა<sup>11</sup>, მოგვეცა ჩვენ მოშორება ჩრდილისა. 1859<sub>4</sub>.  
 ყმა უნდო-გვარად ეხვევის<sup>12</sup> ყელსა ყელითა ბროლითა. 1252<sub>2</sub>.  
 მუხლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ეხვეწებოდა<sup>13</sup>. 670<sub>2</sub>.  
 ვარქვი: „ჩემო, განდა სადმე გეხმარების ესეგვარი. 1178<sub>1</sub>.  
 ამის მეტი რაღა გაკდრო, ძმასა ძმურად მოეხმარე 1322<sub>4</sub>.  
 რამაზ მეფე ჩამოვადე, ერთმანერთსა გავეხრმლენით. 451<sub>3</sub>.  
 ფიცხლად ზედა შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა. 614<sub>3</sub>.  
 შემოვები<sup>14</sup>, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მხეზუნეს. 654<sub>2</sub>.  
 და სხვ მრ.

დასახელებულ მაგალითებში ნათელია ჩვენთვის საინტერესო ფორმების აქტიური შინაარსი.

თითქმის ამდენივე სხვადასხვა ზმნა დრო-კილოთა სხვადასხვა ფორმით გვხვდება საკუთრივ ვნებითური შინაარსით. ასეთად მიგვაჩინა ენიანი ფორმები შემდეგ მაგალითებში:

10 ამ ზმნის 20 სხვადასხვა ფორმა გვხვდება.  
 11 სხვადასხვა ფორმით დასტურდება 19-ჯერ.  
 12 სამ ათეულამდე სხვადასხვა შემთხვევა.  
 13 სხვადასხვა ფორმით 12-ჯერ დასტურდება.  
 14 შეგვხვდა 10-ჯერ სხვადასხვა ფორმით.



ბრძანა: „ჭირი დავიფიწყოთ, რათგან ლხინი და გვებადა“. 1635<sub>4</sub>.  
 დახსნილ ვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოების. 648<sub>4</sub>.  
 იტყვის: „ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი? 920<sub>2</sub>.  
 ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების. 301<sub>3</sub>.  
 სხვამცა რა გადარეთ! თვით იცით, მაგას რა მოეგვარების. 510<sub>4</sub>.  
 მიჯნურობითა დამწვარვარ, ცეცხლი უშრეტი მეგზებია. 285<sub>4</sub>.  
 მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები. 808<sub>4</sub>.  
 ვჰკადრეთ, თუ: „მზეო, სახმილი გვედების<sup>15</sup> შენგან აღისა“. 1157<sub>2</sub>.  
 უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების. 49<sub>4</sub>.  
 მე შენი გაყრა სიკვდილად მიჩნს და მით თავსა ვევენები. 1015<sub>2</sub>.  
 ამისად ჭმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევესებოდა. 47<sub>4</sub>.  
 კვლა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია. 350<sub>4</sub>.  
 ცხენსა მისცნა სადავენი, და გვექარგა წინა თელთა. 995<sub>4</sub>.  
 ვითა ქაჯი და გვემალე, მონებიცა დავაფეთეთ. 288<sub>3</sub>.  
 მეფე ცოტათ მოგეგებვის, ვის მჭერეტი ვერ გელევიან. 435<sub>1</sub>.  
 ბედმან გვიყო ყველაკი, ჩემო, რაცა და გვემართა! 1299<sub>4</sub>.  
 ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიციხე. 629<sub>1</sub>.  
 რად ემდურვი საწუთროსა? რა უქმნია უარაკო?! 879<sub>4</sub>.  
 მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,  
 არ მიენდობის გულითა, თუ კაცს მეცნიერია. 1211<sub>3</sub>.  
 შენ გენუკვი, შემიჭერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო. 664<sub>3</sub>.  
 ..ცრემლით, ლომო, მავა ცეცხლსა რა ერგების! 301<sub>1</sub>.  
 არა კაცსა არ იახლებს, ერიდების, კრთების, ქსუობს. 776<sub>4</sub>.  
 გარე მომრტყმოდეს ჯალაზნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა. 348<sub>4</sub>.  
 უცხოოდ რადმე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი. 88<sub>3</sub>.  
 ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე სხვანით სხვანი. 1509<sub>2</sub>.  
 მე თვით წინა მოგეგებვი, მესწრაფების ნახვა შენი. 429<sub>2</sub>.  
 რომე ბირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა. 512<sub>1</sub>.  
 ყველაკი დამეფანტა, დაპრჩომოდა რაცა ჭირსა. 589<sub>3</sub>.

ძალიან რომ აღარ გაგვიგრძელდეს მაგალითების ჩამოთვლა, შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ზმნის ფორმები, რომლებიც მივიჩნიეთ საკუთრივ ვნებითური შინაარსის გამომხატველად<sup>16</sup>:

მო-ე-ფინ-ებ-ი-ს (49<sub>1</sub>, 96<sub>3</sub>, 122<sub>4</sub>, 168<sub>3</sub>, 1612<sub>3</sub>), გვ-ე-ქონ-ებ-ი-ს (610<sub>2</sub>) შე-ე-ჭმ-ა (186<sub>1</sub>, 289<sub>1</sub>, 313<sub>1</sub>, 584<sub>4</sub>, 489<sub>2</sub>, 387<sub>4</sub>...), შე-ე-ქც-ე-ვ-ი-ს (185<sub>1</sub>), მ-ე-ყოფ-ი-ს (181<sub>4</sub>, 663<sub>2</sub>, 1131<sub>4</sub>, 1297<sub>1</sub>, 1308<sub>4</sub>, 1371<sub>1</sub>, 1387<sub>2</sub>), და-მ-ე-შლ-ებ-ი-ს (646<sub>4</sub>, 884<sub>4</sub>, 990<sub>2</sub>), მო-მ-ე-შვ-ნ-ე-ს (338<sub>4</sub>), ე-წყინ-ებ-ი-ს (15-ჯერ), შე-ვ-ე-წყნარ-ებ-ი (313<sub>4</sub>), მი-ე-წურ-ა (215<sub>1</sub>, 322<sub>3</sub>, 326<sub>4</sub>), შე-მ-ე-ქედ-ნ-ე-ს (758<sub>3</sub>), და-ე-ჭირ-ო-ს (773<sub>4</sub>);

ც ძირისაგან გვაქვს მი-/მო- ზმნისწინებიანი ზმნები (მი-ვ-ე-ც-ემ-ი, მი-ვ-ე-ც-ი, მო-მ-ე-ც-ემ-ა, მო-მ-ე-ც-ა და მისთ. ვნებითის სემანტიკით

15 სხვადასხვა ფორმით 16-ჯერ გვხვდება.

16 დავასახელებთ ერთ-ერთს დადასტურებულ ფორმით, დანარჩენებისას მი-ვითითებთ სტროფსა და ტაქსს.



(შეგვხვდა 22-ჯერ), ხოლო ამავე ძირისაგან ნაწარმოები უზმნისწინა ან და- ზმნისწინიანი ფორმები უფრო მეტად აქტიური სემანტიკის მქონეა:

ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა. 1343<sub>4</sub>.  
 თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველი მსგავსად გმირისად. 1401<sub>2</sub>.  
 მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა. 362<sub>1</sub>.

სხვა მაგალითები მხოლოდ ვნებითური შინაარსის ზმნებისა:

შე-ეცვალ-ებ-ი-ს (249<sub>1</sub>), ს-ცხ-ებ-ოდ-ა (1334<sub>1</sub>), გა-ე-ხარ-ნ-ეს (1059<sub>1</sub>, 1529<sub>2</sub>, 1581<sub>1</sub>), ე-ხოც-ებ-ი-ს (140<sub>1</sub>, 588<sub>3</sub>) და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში დიდი სიუხვეა ენიანი ვნებითის ფორმების მიჩნევის ნიუანსით გამოყენებისა. ასეთი ფორმების წარმოებისა და მოხმარებისას ავტორის დიდი დახელოვნება ვლინდება. ეს ზმნები ყოველთვის სახელთაგან ნაწარმოები ჩანს.

ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთვის ეაგეთა. 1375<sub>2</sub>.  
 ახლოს დამისევს ადგილსა, მუნ, სადა მეამებოდა. 482<sub>1</sub>.  
 თვალნი მოვსწყვიდნი, სიცოცხლე ამითა მეარმებოდა. 482<sub>4</sub>.  
 ამისთვის ვიწვი, სახმილი გულსა ეცხელა, ებავთა. 1510<sub>4</sub>.  
 მას ყმასა თავი არ მისცა, ჭვრეტადცა ებილწებოდა. 232<sub>1</sub>.  
 მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, მედიადა. 185<sub>3</sub>.  
 აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო. 1285<sub>4</sub>.  
 გვეუცხოვე და გვეკეთე, მით გეუბნებით ქებითა. 970<sub>2</sub>.  
 მეკეთა ესე თათბირი... 384<sub>1</sub>, 426<sub>1</sub>.  
 მოგვეგებვიან, ვემცრობით... 1404<sub>4</sub>.

სხვა მაგალითებიდან მხოლოდ ზმნის ფორმებს დავასახელებთ., ვინაიდან უკონტექსტოდაც ნათელია ამ ფორმებში მიჩნევილობის შინაარსი:

მ-ე-მართლ-ებ-ი-ს (828<sub>4</sub>, 1284<sub>1</sub>), გ-ე-მაგრ-ებ-ი-ს (1388<sub>1</sub>), მ-ე-მეცნ-ებ-ი-ს („ნებ-დავ პირსა თქვენსა, მზისა პირად მემეცნების. 1064<sub>3</sub>), გ-ე-მცთარ-ებ-ი-თ (80<sub>1</sub>), შე-ე-ზარ-ა (160<sub>1</sub>, 907<sub>4</sub>), გ-ე-მუქვ-ებ-ი-ს (1469<sub>3</sub>), მე-ე-მხურვალ-ებ-ი-ს (299<sub>1</sub>), მ-ე-ოც-ნ-ა (110<sub>1</sub>, 588<sub>2</sub>), მ-ე-საზარო-ებ-ი-ს (643<sub>1</sub>), მესათნოვა (630<sub>2</sub>), მესალაშობის (643<sub>3</sub>), ვებურფე (612<sub>1</sub>), მელირსოს (1545<sub>4</sub>), ეცხელა (1510<sub>4</sub>), ეძნელების (666<sub>2</sub>, 646<sub>1</sub>, 976<sub>3</sub>, 419<sub>1</sub>), გეძუნწები (1316<sub>4</sub>) და ა. შ.

დიდი რაოდენობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში დადასტურებული ეპრეფიქსიანი ზმნებისა გარდაქცევითობის შინაარსის მქონეა. ასეთებიც, ჩვეულებრივად, სახელთაგან ნაწარმოები ფორმებია:

...მე ყვაილი დამებერა. 1526<sub>3</sub>.  
 მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების?! 1151<sub>4</sub>.  
 პირსა დაიდვა, და-ცა-ბნდა, ქვე მკვლართა დაედასების. 497<sub>4</sub>.

- ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია 17. 1429<sub>2</sub>.  
 ...ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალები. 299<sub>2</sub>.  
 სჯობს, რომე გენახნე, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით. 388<sub>4</sub>.  
 სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე. 779<sub>3</sub>.  
 მეც ვიცი, ჩემსა ხელ-ჰქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმოზია 17. 965<sub>3</sub>.  
 ზედა დავსვი ტახტა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე. 1138<sub>4</sub>.  
 თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეჭურნების. 126<sub>4</sub>.  
 მუნ პირი, ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამელალოდა. 380<sub>4</sub>.  
 შენ ვისთვის ჰკვდები, მაგითა მას არა არ ელხინების. 661<sub>4</sub>.  
 ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების. 249<sub>2</sub>.  
 თავითგან გითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაქმზადენით. 1120<sub>4</sub>.  
 დღედ სიკვდილამდის ზიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების. 610<sub>4</sub>.  
 იხ. აგრეთვე: 645<sub>4</sub>, 1517<sub>2</sub>.  
 ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს. 177<sub>1</sub> აგრეთვე: 588<sub>4</sub>,  
 1389<sub>1</sub>, 1234<sub>1</sub>].  
 მგზავრთა ჰკითხედის ამბავთა, მათ თანა ემოყვრებოდა. 180<sub>4</sub>.  
 მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად. 319<sub>4</sub>.  
 (აგრეთვე: 1256<sub>4</sub>).  
 ტბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს. 112<sub>1</sub>.  
 ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა. 232<sub>3</sub>.  
 მაგრა საქმე არ მოხდების, უამი ასრე დამემტერა. 788<sub>2</sub>.  
 მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების. 780<sub>1</sub>.  
 შენ საყვარელსა გაყარო, ესე რად გენაცვალების! 299<sub>4</sub>.  
 შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიენი ეოცების. 140<sub>4</sub>.  
 რომე დავყავ წელიწადი, თვე თორმეტი გამეოცა. 588<sub>1</sub>.  
 ვინცა გწადეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე. 1650<sub>1</sub>.  
 ...ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა. 527<sub>1</sub>.  
 რა კაცი ტარიელისა ესტუმრა ზღვათა მფლობელსა... 1422<sub>1</sub>.  
 ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების. 1298<sub>3</sub>.  
 (აგრეთვე: 651<sub>1</sub>).  
 ვაჭებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან. 347<sub>3</sub> (აგრეთვე: 1589<sub>1</sub>,  
 1658<sub>3</sub>).  
 ...თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების. 510<sub>1</sub>. (აგრეთვე: 228<sub>3</sub>,  
 718<sub>3</sub>, 1151<sub>3</sub>...)].  
 ...დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა. 1093<sub>1</sub>.  
 თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარებო. 1472<sub>4</sub>.  
 მას ზენაარსა არ გავსტებ, მას ფიცსა არ ვეცრუებო. 852<sub>1</sub>. (აგრეთვე:  
 797<sub>3</sub>, 845<sub>3</sub>).  
 საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი კვლა მეცქაფნეს. 654<sub>4</sub>.  
 შევხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით. 557<sub>2</sub>.  
 მაშინდა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმოზილა. 872<sub>3</sub>.  
 მოდი, ჰმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო. 105<sub>3</sub>.

17 თურმეობითი I-ის ამ ფორმებისათვის ამოსავლად ივარაუდება ე-პრეფიქსიანი ფორმები დედა, და, თმა სახელებისაგან.



მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს. 532<sub>1</sub> ეროვნული  
 შემოვები, ამოვწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს. 654<sub>2</sub> ბიბლიოთეკა  
 მომეჭარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხტუნე. 607<sub>1</sub> და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში ე-პრეფიქსიანი ვნებიტების სემანტიკური დახასიათებისთვის აღწერილია შესაძლებლობის ნიუანსის გამოხატვის უნარიც. „ვეფხისტყაოსნის“ ენაშიც გვხვდება ამგვარი ე-პრეფიქსიანი ფორმები:

...„არ ეგებოს აწ ამისი ასრე თქმევა“. 248<sub>1</sub> (აგრეთვე: 253<sub>2</sub>, 301<sub>2</sub>, 512<sub>3</sub>, 540<sub>4</sub>, 638<sub>4</sub>).

...ამბავი ჩემი არ გაგეგონების. 610<sub>1</sub>.  
 ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე დაედების. 301<sub>4</sub>.  
 ავთანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების“. 661<sub>1</sub>.  
 გაიგონენ ჰირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების. 732<sub>4</sub>.  
 მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაგეყოვნების. 259<sub>3</sub>.  
 სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების. 1298<sub>1</sub>.  
 შემინდევ და შემვიდრე, მკვდარსა რალა გარდმეხდევის. 805<sub>4</sub>.  
 ...დასაშლელი ჩემგან არა არ გეთხრობის. 1017<sub>1</sub> და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში ენიანი ვნებითის შესაძლებლობის სემანტიკასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. გიგინეიშვილის მიერ ზმნის ფორმის გასწორება 849-ე სტროფის მე-2 ტაქტში: „მაგრა, ვით ითქმის, ვით გახდა, ვითა გეამბობ ცნობილსა“. გეამბობ ფორმას მკვლევარი განიხილავს, როგორც, ერთი მხრით, ზმნის პირის ფორმათა აღრევისა და, მეორე მხრით, გვარის ფორმათა აღრევის შედეგს. აი რას წერს იგი ამის შესახებ: „წარმოდგენილ წაკითხვათაგან უბირატესობა გეამბობის წაკითხვას უნდა მიენიჭოს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამავე ტაქტში ვით ზმნისართთან პირველ შემთხვევაში ვნებითის ფორმაა ზმნისა, რომელსაც შესაძლებლობის მნიშვნელობა აქვს (ვით ითქმის), სრულებით ბუნებრივია მეორე შემთხვევაშიც ასეთივე კონსტრუქცია ყოფილიყო (ვით გეამბობის), რაც ასახულია კიდევაც ხელნაწერებში. ვიღებთ სავსებით ბუნებრივად გამართულ ტაქტს — „მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვით გეამბობის ცნობილსა!“

ასეთი კონსტრუქციები, როგორც უფრო ზოგადი, დამახასიათებელია პოემისათვის<sup>18</sup>. (დაყოფა ჩვენია. თ. ლ.).

<sup>18</sup> ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 276.



მართლაც, ვნებიტის ფორმატა დიდ უმრავლესობას აქვს უნარი უფრო ზოგადი ვიტარების გამოხატვისა. ეს უნარი ვნებიტის ფორმატთან ყველაზე ნათლად უჩანთ ე-პრეფიქსიან ვნებიტებს, რომლებიც, ამას გარდა, ხასიათდებიან დიდი სემანტიკური შესაძლებლობით. ვნებიტის ე-პრეფიქსიან ფორმატა ეს შესაძლებლობანი ოსტატურად არის გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ. ამ ოსტატობას ნათლად წარმოაჩენს ე-პრეფიქსიანი ვნებიტების სტილური ფუნქციით, კერძოდ, გარდაქცევითობის, მიჩნევითობისა თუ შესაძლებლობის ნიუანსებით გამოყენება.



ბესარიონ ჯორბანაძე

უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის  
ქართულში

უარყოფის მნიშვნელობა ქართულში ორგვარად გამოიხატება:

1) უარყოფის უ- პრეფიქსის საშუალებით:

ა) ნაზმნარ სახელებში (მიმღებებში) აღინიშნება რაიმე შედეგის (მოვლენის) უქონლობა: უ-წერ-ი, და-უ-წერ-ელ-ი, და-უ-ხატავ-ი, ვა-უ-კეთებ-ელ-ი...

ბ) საკუთრივ სახელებში გამოიხატება საგნის უქონლობა: უ-ქუდ-ო, უ-წიგნ-ო, უ-სახლკარ-ო, უ-დაბ-ურ-ი... ზოგჯერ — ამა თუ იმ საგნისათვის ნიშანდობლივი თვისების უქონლობა: უ-გუნ-ურ-ი || უ-გნ-ურ-ი (შდრ.: გონ-იერ-ი), უ-გემ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი...

ორივე შემთხვევაში გვაქვს უარყოფის გამომხატველი ზედსართავები.

2) უარყოფის არ, ვერ, ნუ ელემენტების (ე. წ. ნაწილაკების) საშუალებით:

ა) ზმნებში: არ გააკეთა, ვერ გააკეთა, არ გააკეთო! ნუ გააკეთებ!...

ბ) სახელებში: არგაგონილი, ვერმიხვედრილი...

თითოეული მათგანი რამდენიმე ფორმობრივი და ფუნქციური ნაირსახეობით გვხვდება.

\*  
\* \* \*

უარყოფის უ- პრეფიქსი სხვა აფიქსებთან მიმართების თვალსაზრისით სამი ვარიანტითაა წარმოდგენილი:

1) ზმნური ფუძისგან უარყოფის გამომხატველ მიმღებობათა წარმოებისას გამოიყენება მარტოოდენ უ- პრეფიქსი.

იმავდროულად ზმნური ფუძე შესაძლოა ფუნქციონირებდეს:

ა) მარტივი სახით რაიმე დამატებითი ფორმანტის გარეშე: უ-წერ-ი, უ-ტეხ-ი, უ-ხატავ-ი, უ-ნახავ-ი, უ-კლებ-ი...



ბ) უფრო ხშირად კი ფუძე გართულებულია მიმღობის მაწარმოებელი -ელ, -არ სუფიქსებით: და-უ-წერ-ელ-ი, გა-უ-ტეხ-ელ-ი, და-უ-ხატვ-ელ-ი, გა-უ-კეთ-ებ-ელ-ი, და-უ-პობ-ელ-ი, და-უ-ბმ-ელ-ი, გა-უ-შლ-ელ-ი... ა-უ-ტკივ-არ-ი, გა-უ-თხოვ-არ-ი, უ-ჩინ-არ-ი, უ-წყინ-არ-ი და ა. შ.<sup>1</sup>

**შენიშვნა 1:** უარყოფის გამომხატველ ზოგიერთ მიმღეობას უძველესი ზმნური ფუძე აქვს შემონახული: უ-კვდ-ავ-ი (ძველი: უ-კუდ-ავ-ი) მიგვანიშნებს \*კუდ-ავ-ს ზმნური ფორმის შესაძლებელ პოზიტივებაზე<sup>2</sup>, ასევე: უ-რცხვ-ი მიუთითებს \*რცხვ-ი-ს ზმნის შესაძლებლობაზე და ა. შ.

**შენიშვნა 2:** უარყოფის გამომხატველ მიმღეობებში ზოგჯერ მტკიცებითი მიმღეობის ფუძეა შესული: მ-გვან-ი → უ-მგვან-ი, მ-გბ-არ-ი → უ-მგბარ-ი, მ-დგ-არ-ი → ა-უ-მდგარ-ი, მ-ცდ-არ-ი → შე-უ-მცდარ-ი, \*მ-ე-ც-არ-ი → უ-მეცარ-ი...

**შენიშვნა 3:** გვაქვს ისეთი უარყოფის მიმღეობებიც, რომლებშიც ამა თუ იმ პირის ფორმაა გამოყენებული ფუძედ: უ-ხამს-ი (შდრ.: ხამ-ს, ძველი: ჯამ-ს „საჭიროა“), უ-ვიც-ი (შდრ.: ვ-ი-ც-ი)... რაც შეეხება უ-ღირს-ი ფორმას, მისთვის ღირს-ი მიმღეობის ფუძეა ამოსავალი, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, პირიანი ფორმისაგანაა ნაწარმოები: ღირ-ს → ღირს-ი<sup>3</sup>.

**შენიშვნა 4:** უარყოფის გამომხატველ მიმღეობებში გართულებული ფუძეებიც იპოვება: უ-ნებ-ს ზმნა უარყოფის მიმღეობად უნდა იძლეოდეს ან \*უ-ნებ-ი (შდრ.: ა-კლებ-ს → უ-კლებ-ი, ძლ-ებ-ს → უ-ძლ-ებ-ი), ან \*უ-ნებ-ელ-ი (შდრ.: და-უ-კლებ-ელ-ი, გა-უ-ძლებ-ელ-ი) ფორმებს. გვაქვს კი სხვაგვარად: უ-ნებ-ელ- ფუძე რთულდება -ივ სუფიქსით: უ-ნებლ-ივ-, რომლისგანაც შემდგომ იწარმოება ორი ვარიანტი:

უ-ნებლ-ივ- > { უ-ნებლი(ვ)-ე → უ-ნებლიეთ  
 უ-ნებლი(ვ)-ად

1 არნ. ჩიქობავა, საყრდენი ფუძის ცვლისათვის ქართული ენის უბრუნებელი მიმღეობის უარყოფით ფორმებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVIII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1982, გვ. 8.

2 ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 206.

3 ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბ., 1980, გვ. 582.



რაც შეეხება უ-ნებ-ურ-ი ფორმას, იგი ნაწარმოებია  
 გაარსებული მასდარისაგან ნება იმავე პრინციპით,  
 რაც: წეს-ი—უ-წეს-ურ-ი.

**შენიშვნა 5:** იშვიათად, თუკი რომელიმე სახელი ზმნურ ფუძედაც გამოიყენება, მისგან უაწყოფის ფორმა ნაზმნარი ფორმის ანალოგიურად იწარმოება და იმავდროულად სემანტიკურად უპირისპირდება იმავე ფუძისაგან სახელადი წარმოების ფორმას: უ-ფერ-ი მნიშვნელობით „შეუფერებელი“, შდრ.: უ-ფერ-ო — „ის, რასაც ფერი არა აქვს“; უ-რიდ-ი — მნიშვნელობით „მოურიდებელი“, შდრ.: უ-რიდ-ო — „ის, ვისაც რიდე არა აქვს“ და მისთ.

**შენიშვნა 6:** უარყოფის გამომხატველი მიმღობა, როგორც წესი, პირველი სერიის, კერძოდ, აწმყოს ფუძისგან იწარმოება, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როცა ამ მიზნით მეორე სერიის ფუძე გამოიყენებული:

აწმყო: რგ-ებ-ს—უ-რგებ-ი  
 ნამყო ძირ.: ა-რგ-ო—უ-რგ-ი

უ-რგ-ი ტიპის წარმოება ხელოვნური ჩანს, პოეტური მეტყველებისათვის ნიშანდობლივი („შენი კარგი სილამაზე არს ჩემთვის უ რ გ ი“, დ. გურამ.; „რად გინდა გული მგზნებარი, თუ ქვეყნისათვის უ რ გ ი ხარ“, ა. აბაშ.). ზოგ შემთხვევაში რგ- სახელად ფუძედ არის გაგებული და მისგან უარყოფის ფორმა უ-ო კონფიქსით იწარმოება: „ქვეყნის უ-რგ-ო ბარგი ხარ“ (აკაკი).

2) სახელის ფუძისგან წარმოებისას უარყოფის გამომხატველი ფორმა უ-პრეფიქსთან ერთად -ო სუფიქსსაც იყენებს: უ-წიგნ-ო, უ-ბედ-ო, უ-ხელ-ო... იგივე პრინციპია გამოყენებული მასდარისაგან უარყოფის ფორმათა წარმოების დროსაც: უ-სიყვარულ-ო...

-ო სუფიქსი, როგორც ჩანს, ისტორიულად დამოუკიდებელი ფორმანტია, სახელის ფუძის მაწარმოებელი, იმავე რიგისა, რაც -ელ სუფიქსი მიმღობებში.

შდრ.:

აღ-მა-შენებ-ელ-ი	სა-ბედ-ო
ა-სა-შენებ-ელ-ი	უ-ბედ-ო
ა-უ-შენებ-ელ-ი	



მიმღეობის ფუძეს, საერთოს სამივე ფორმისათვის, აწარმოებენ — ელ, სახელის ფუძეს, საერთოს ორივე ფორმისათვის, — -ო. პრეფიქსებს თავთავისი ფუნქციების გამოხატვა აკისრიათ, მათგან უ- პრეფიქსს — უარყოფის მნიშვნელობისა.

**შენიშვნა 1:** ფუძედ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თხზული სახელიც: უ-თვისტომ-ო, უ-დედმამ-ო, უ-ხელფეხ-ო; ზოგჯერ — სინტაგმაც: უ-ამსიმღერ-ო, უ-ლამაშქალ-ო, უ-დეღისაღერს-ო...

**შენიშვნა 2:** ამ პრინციპით უარყოფის სახელები ძირითადად არსებითი სახელებისაგან იწარმოება, იშვიათად — სხვა ფორმებისგანაც: უ-შენ-ო („რა ვქნა მე უ შენ ო-მ ა“, ილია), უ-თუ-ო, უ-ებრ-ო... გვაქვს ამ რიგის წარმოება ზმნური ფუძისგანაც: უ-რგ-ო, რაც გადააზრიანების შედეგი ჩანს (იხ. ზემოთ). რაც შეეხება უ-შენ-ო ფორმას, იგი **შნო** სახელისაგან უნდა იყოს ნაწარმოები<sup>4</sup>.

3) სახელის ფუძისგანვე უარყოფის ფორმათა წარმოებისას უ-პრეფიქსთან ერთად გამოყენებულია -ურ სუფიქსიც: უ-წიგნ-ურ-ი, უ-ბედ-ურ-ი, უ-დაბ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი...

-ურ სახელის ფუძის მაწარმოებელია, ისევე, როგორც ზემოხსენებული -ო.

პარალელური წარმოება უარყოფის გამომხატველი ფორმებისა (უ — ო და უ — ურ) მნიშვნელობის მიხედვით განსხვავების ტენდენციას ქმნის<sup>5</sup>, რასაც იყენებს კიდევაც ენა:

უ-წიგნ-ო — ვისაც წიგნი არა აქვს, წიგნის არმქონე.

უ-წიგნ-ურ-ი — წიგნის, წერა-კითხვის უცოდინარი.

-ურ სუფიქსიანი სახელებისაგან უარყოფითი ფორმების წარმოებისას უპირატესად რაიმე თვისების, შინაგანი რაობის უარყოფა გამოიხატება. ამიტომაც თვისების აღმნიშვნელ მტკიცებით ფორმებს უარყოფის გამომხატველ ფორმათა მხოლოდ ამგვარი წარმოება უპირისპირდება: უ-წმინდ-ურ-ი (შდრ.: წმინდ-ან-ი), უ-გემ-ურ-ი (შდრ.: გემ-რ-იელ-ი), უ-მად-ურ-ი (შდრ.: მად-ლ-იერ-ი) და ა. შ.

\*

\* \*

უარყოფის არ, ვერ და ნუ ნაწილაკები გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული.

<sup>4</sup> შდრ.: ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.  
<sup>5</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126—127; შდრ.: ვ. თოფურია, შრომები III. თბ., 1979, გვ. 77—78.

ნუ ძირითადად გამოიყენება თხოვნითი აკრძალვის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, აწმყოსა და მყოფადის ფორმებთან: **ნუ წერ!** **ნუ დაწერ!** **ნუ წერს!** **ნუ დაწერს!**... არ გვხვდება ნამყო ძირითადის ფორმასთან. იშვიათია კავშირებითის ფორმებთან: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაბრიელმა ეგ იკადროს“ (ილია). იხმარება შედეგობითის (თურმეობითის) ფორმებთანაც მუქარის მოდალური ფუნქციის გამოხატვისას: **აბა, ნუ გაუკეთებია!** **აბა, ნუ გაეკეთებინა!**... ამ შემთხვევებში უპირატესობა მაინც არ ნაწილაკს ენიჭება: **აბა, არ გაუკეთებია!**... **ნუ, როგორც წესი, ბრძანებით კილოშია დამოწმებული თხოვნითი აკრძალვის გამოსახატავად.** ეს სემანტიკური ელფერი მას შენარჩუნებული აქვს მაშინაც, როცა უშუალოდ ბრძანებითის ფუნქცია არ გამოიხატება: თუ არ უნდოდა, **ნუ დაწერდა!**

ნუ ნაწილაკის გამოყენება უპირატესად თხოვნითი აკრძალვის რულდეს). ამის გამოა, რომ **ნუ** ნაწილაკს აწმყოსა თუ მყოფადის მყოფადის ფორმებთან: ბრძანება შეეხება მხოლოდ ისეთ მოქმედებას, რომელიც აწმყოსა ან მყოფადში უნდა შესრულდეს (ან არ შესრულდეს). ამის გამოა რომ **ნუ** ნაწილაკს აწმყოსა თუ მყოფადის მნიშვნელობა შეაქვს იმ ფორმებშიც, რომლებიც ჩვეულებრივ ამ ფუნქციით არ გამოიყენებან: **ნუ უცოცხლია!** **ნუ უქამია!**<sup>6</sup>

ვერ ნაწილაკი გვხვდება მხოლოდ თხოვითსა და კავშირებით კილოებში, ბრძანებითში იგი არ გამოიყენება. გამოხატავს შეუძლებლობას: **ვერ აკეთებს, ვერ აკეთებდა, ვერ აკეთებდეს...** **ვერ გააკეთა...** **ვერ გაუკეთებია, ვერ გაეკეთებინა...**

მოიბოგება გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნები, რომლებთანაც ვერ ნაწილაკი, როგორც წესი, არ გამოიყენება. კერძოდ, ასეთებია ზმნები, რომლებიც გრძნობა-აღქმას გამოხატავენ: **სწყურია, სტკივა, უყვარს, იცის, ესმის, უნდა...** ედიდება, ეკმევა, ემღერება... ასევე მყოფობის, მქონებლობის და ზოგი სხვა ფუნქციის გამომხატველი სტატიკური ზმნები: **არის, აქვს, ჰყავს, სწერია, ასხია, აბადია, გააჩნია...** ამ ზმნებთან უარყოფის შემთხვევაში, როგორც წესი, არ ნაწილაკი გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ხსენებული ზმნები ან საერთოდ ვერ იგუებენ შესაძლებლობის სემანტიკას (**სწყურია, სტკივა...**), ანდა ვერ ნაწილაკის გარეშეც გამოხატავენ შესაძლებლობას (ამ რიგისაა, მაგალითად, პოტენციალისის ფუნქციის გამომხატველი

<sup>6</sup> ზ. ქუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, № 2, თბ., გვ. 42.

ეჭმევა ფორმა: არ ეჭმევა თავისთავად შეუძლებლობაა, გამოხატული თვით ზმნური ფუძით, არ ნაწილაკი მხოლოდ უარყოფას აღნიშნავს.

იმავედროულად ზოგჯერ შესაძლებელი ხდება ზოგიერთ ზემო-დასახელებულ ზმნასთან ვერ ნაწილაკის გამოყენება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რაიმე ფაქტის დაზუსტებასთან, რაც შესაბამისი ვითარებითი სიტყვით აღინიშნება: „ისე ვერ არის, როგორც საჭიროა“, „კარგად ვერა აქვს საქმე“, თუმცა იშვიათად ვერ ნაწილაკი ამ პირობის გარეშეც შეიძლება იქნეს გამოყენებული: „ზამთარში, როცა ჩვენი ფეხბურთელები აშკარად ვერ არიან ფორმაში, თბილისელ ფეხბურთელებს დაუგეგმეს თამაში იტალიაში“ („კომუნა“).

არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც მარტოდენ ვერ ნაწილაკს იგუებენ უარყოფის შემთხვევაში. ამ რიგისაა, მაგალითად, წარმოიდგენს-ს ზმნა: ვერ წარმოიდგენს, ვერ წარმოედგინა... არ ნაწილაკის გამოყენება ამ შემთხვევაში უმართებულოა.

არ ნაწილაკი დამოწმებულია როგორც ბრძანებითში, ასევე თხრობითსა და კავშირებით კილოში. პირველი და მეორე სერიის ფორმებთან სამსავე კილოში გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას: არ აკეთებს, არ აკეთებდა, არ აკეთებდეს... არ გააკეთა... არ აკეთო! არ გააკეთო! არ გააკეთოს!... მესამე სერიაში არსებითად საქმე გვაქვს კატეგორიულობის ნეიტრალიზაციასთან, აღინიშნება ფაქტი: არ გამოიკეთებია, შდრ.: ვერ გამოიკეთებია; არ გამოიგია, შდრ.: ვერ გამოიგია... გარკვეულ კონტექსტში შეიძლება აღინიშნებოდეს მუქარაც: აბა, არ გაუკეთებია!.. იგივეა, რაც: აბა, არ გააკეთოს!

**შენიშვნა:** არ ნაწილაკი კატეგორიულ უარყოფას არ გამოხატავს მაშინაც, როცა იმ ზმნებთან გამოიყენება, რომლებიც ვერ ნაწილაკს ვერ იგუებენ (იხ. ზემოთ). ამიტომაც ნეიტრალური ფაქტია აღნიშნული და არა კატეგორიული უარყოფა შემდეგ შემთხვევებში: არ მწყურია, არ შემშიძლია, არ მესმის, არ მაქვს, არ მახადია, არ მემღერება...

ასე რომ, არ უპირისპირდება როგორც ნუ, ასევე ვერ ნაწილაკებს კატეგორიულობა-შესაძლებლობის თვალსაზრისით: თხრობითსა და კავშირებითში არ უპირისპირდება ვერ ნაწილაკს (არ გავაკეთე — ვერ გავაკეთე, არ გავაკეთო — ვერ გავაკეთო), ბრძანებითში — ნუ ნაწილაკს (არ გავაკეთო! — ნუ გავაკეთებ!). სქემაზე ეს ასე გადმოიკცმა:

თხრობითი	ვერ	არ
კავშირებითი		
ბრძანებითი	ნუ	

ამდენად, ბრძანებითის ფორმებში არ ნაწილაკი კატეგორიულობას გამოხატავს, ნუ — ფხოვნას, რჩევას, ანუ: თხოვნით-ბრძანებითობას. კატეგორიულობისა და თხოვნის ეს სემანტიკური სხვაობანი სალიტერატურო ქართულში მხოლოდ მაშინ წარმოჩნდება, როცა უარყოფის მნიშვნელობაა (ე. წ. უკუთქმითი ბრძანებითია) გადმოსაცემი, მტკიცებით (დადებით, წართქმით) ფორმებში ეს სხვაობა ინტონაციით ან კონტექსტით მიიღწევა:

კატეგორიული:                      თხოვნით-ბრძანებითი:

— გააკეთე!                      — { — გააკეთე, რა! (← გააკეთე, რა იქნება!)  
— გათხოვ, გააკეთო!  
— გათხოვ, გააკეთე!

შენიშვნა: ზოგ დიალექტში სხვაგვარი ვითარებაა: მტკიცებით ფორმასაც მოეპოვება მორფოლოგიური საშუალება განასხვავოს კატეგორიულობა და თხოვნა. კატეგორიულია: გააკეთე! თხოვნაა: გააკეთიდი! გააკეთოდი! გააკეთე-ლა! გააკეთოდე! გააკეთებდე!... ყველა ამ ფორმის შინაარსი თხოვნაა, ოღონდ ეს ფორმები სხვადასხვა დიალექტშია დამოწმებული: ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურში, ქართლურში...

მესამე პირისადმი ბრძანება (როგორც მტკიცებითი, ასევე უარყოფითი), ჩვეულებრივ, მეორე კავშირებითის ფორმით გამოიხატება:

გაკეთოს! — არ გააკეთოს!

თხოვნითი შინაარსი აქაც ინტონაციით ან კონტექსტით გადმოიცემა.

ზოგ შემთხვევაში (წყევლისა და დალოცვის ფორმულებში) მესამე პირისადმი ბრძანება დასაშვებია თხრობითი კილოს ნამყო ძირითადის ფორმითაც გამოიხატოს (მეორე პირისადმი მტკიცებითი ბრძანების მსგავსად): ღმერთმა დალოცა! ღმერთმა დაწყევლა!... (ეს

იგივეა, რაც: ღმერთმა დალოცოს! ღმერთმა დაწყევლოს!). ანალოგიური ვითარებაა უარყოფით ფორმებშიც: ღმერთმა არ დალოცოს! ღმერთმა არ დაწყევლოს! ღმერთმა არ ქნას!...



პირველ პირს ბრძანებითობის (უკეთ: მოწოდებითობის) ნიუანსი მხოლოდ მრავლობითში აქვს: წავიდეთ! ავიდოთ! გავაკეთოთ!... ჩვეულებრივ, აქაც მეორე კავშირებითის ფორმაა გამოყენებული, იშვიათად — თხრობითის ფორმაც ნამყო ძირითადადში: აბა, წავიდეთ! აბა, ავიდეთ, ავწიეთ!.. უარყოფის შემთხვევაშიც ანალოგიური მდგომარეობაა: კითხვაზე — წავიდეთ? შეიძლება უპასუხონ როგორც: არ წავიდეთ! ასევე: არ წავიდეთ!... პასუხი, როგორც ჩანს, მაინც კითხვით იქნება შეპირობებული: წავიდეთ? — არ წავიდეთ! მაგრამ: წავიდეთ? — არ წავიდეთ!

მაშასადამე, მტკიცებით-უარყოფითი ფორმები კატეგორიულობათხოვნითობის თვალსაზრისით სალიტერატურო ქართულში ასე მიემართება ერთმანეთს:

ა) თხრობითი კილო:

გაკეთე	არ გააკეთე
	ვერ გააკეთე

ბ) კავშირებითი კილო:

გაკეთო	არ გააკეთო
	ვერ გააკეთო

გ) ბრძანებითი კილო:

გაკეთე	არ გააკეთო!
	ნუ გააკეთებ!

\*  
\* \* \*

უარყოფის გამომხატველი არ და ვერ ნაწილაკების გვერდით გამოიყენება არა და ვერა. ეს უკანასკნელნი მხოლოდ გარეგნულად ემ-



თხვევიან თხზულ უარყოფით ნაცვალსახელებს: არა-რა „არაფერი“ → არა-რა → არა, ვერა-რა „ვერაფერი“ → ვერა → ვერა. უარყოფის <sup>სწრაფი</sup> <sup>სწრაფი</sup> ვერა სრული სახეა არ და ვერ ნაწილაკებისა.

არ და არა, ვერ და ვერა ნაწილაკების განაწილება გარკვეული წესის მიხედვით ხდება.

შევუდაროთ ერთმანეთს ფორმები:

— გააკეთე?	— გააკეთე!	— გააკეთე?	— გააკეთე!
— არ/ვერ გააკეთე.	— არ/ვერ გააკეთებ!	ა რ ა / ვ ე რ ა	

ამ შედარებით ნათელი ხდება, რომ -ა ელემენტით დაბოლოებული ფორმები არა და ვერა ცვლიან მთელ შესიტყვებას. საპირისპირო შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება არ და ვერ ნაწილაკებს.

რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს არა და ვერა ნაწილაკების გამოყენებას სინტაგმაში. მართალია, გარკვეული შეზღუდვით, მაგრამ არა და ვერა ამ შემთხვევაშიც გვხვდება: არა მაქვს, არა მყავს, არა მგონია, არა მტკივა... არა წუხს, არა ჩივის, არა ტყუის... არა წერს, არა წერდა, არა წერდებ... ვერა ჩივის, ვერა ტყუის, ვერა წერს.. არა და ვერა ხსენებული ტიპის სინტაგმებში მაშინაა გამოყენებული, როცა ზმნას არ მოეპოვება ზმნისწინი ან ხმოვანი პრეფიქსი, საკმარისია ერთისა ან მეორის მქონებლობა, რომ არა და ვერა ნაწილაკების ხმარება იკრძალება, დასაშვებია მხოლოდ არ და ვერ: არ||არა წერს, მაგრამ მხოლოდ: არ დაწერს, არ იწერს, არ უწერს...<sup>8</sup> რაც შეეხება არა იზრუნოს ტიპის სინტაგმებს („არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“, ნ. ბარათ.), ისინი პოეტური მეტყველების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

სხვათა შორის, ხსენებული თავისებურება შესაძლებლობას იძლევა სინტაგმით იქნეს გარჩეული არა (ვერა) უარყოფის ნაწილაკი და არა (ვერა) უარყოფითი ნაცვალსახელი: არა წერა, ვერა წერა — აქ არა და ვერა უარყოფის ნაწილაკებია, მაგრამ: არა დაწერა, ვერა დაწერა — აქ უკვე არა და ვერა უარყოფითი ნაცვალსახელებია, ნიშ-

<sup>8</sup> თ. ზურაბიშვილი, მაცრები ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972, გვ. 53—54.



ნავს: არაფერი დაწერა, ვერაფერი დაწერა. სხვადასხვა დანიშნულებში  
 სა და წარმომავლობის არა და ვერა ელემენტებს ენობრივი მოქმედე-  
 ბაც სხვადასხვაგვარი აღმოაჩნდათ.

\*  
\* \* \*

არ, არა, ვერ, ვერა ნაწილაკები, როგორც წესი, ზმნებთან არიან  
 გამოყენებული, რადგან მოქმედების ან მდგომარეობის უარყოფას გა-  
 მოხატავენ. იმავდროულად არ გამოირიცხება მათი გამოყენება სა-  
 ხელებთანაც, როგორც საკუთრივ სახელადი ფუძის მქონე, ასევე ნა-  
 ზმნარ სახელებთან.

ამ რივისაა: არქონა, არგაგონილი, არგასაწყვეტი, არგაკითხული,  
 არათითი, არამუშა, არაგამტარი, არადანტერესებული, არადამაკმა-  
 ყოფილებელი, არადამაჯერებელი, არადრეკადი, არამეტყველი, არა-  
 მკითხე, არამცოხნელი, არაადამიანური, არამქვეყნიური, არამხანა-  
 გური, არაბუნებრივი, არაგემიანი, არათანაბარი, არათანასწორი, არა-  
 თანასწორუფლებიანი, არაიშვიათი, არამტკიცე, არალეგალური, არაჩვე-  
 ულებრივი, არახელსაყრელი... არაერთხელ, არავჯით...<sup>9</sup>

არ||არა ნაწილაკების გამოყენება ამ შემთხვევაში სხვადასხვა მი-  
 ზეზით აისხნება.

ამგვარ ფორმათა გაჩენის საფუძველი ანტონიმურ მნიშვნელო-  
 ბათა წარმოებაა.

წარმოების თვალსაზრისით ანტონიმები სამი სახისაა;

1) გამოყენებულია ორი სხვადასხვა ფუძის მქონე ფორმა:

- კარგი — ცუდი
- ხშირი — იშვიათი
- ბევრი — ცოტა
- დიდი — პატარა...

2) დადებითი ფორმისგან იწარმოება ანტონიმური მნიშვნელო-  
 ბის მქონე ფორმა:

- მუშა — არამუშა
- მსგავსი — არამსგავსი
- ადამიანური — არაადამიანური...

<sup>9</sup> ნიმუშები დასახელებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მი-  
 ზედვით, ტ. I—VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950—1964.



3) ერთი და იმავე ფუძისგან იწარმოება ანტონიმური ორივე კომპონენტი:

წიგნი → { წიგნიანი, წიგნიერი  
                  { უწიგნო, უწიგნური.

ამგვარმა განდასებამ ერთი თავისებურებაც წარმოაჩინა: უარყოფის გამომხატველი ანტონიმი უ- პრეფიქსით ჩვეულებრივ იწარმოება მაშინ, როცა იმავე ფუძისგან ნაწარმოებია დადებითი ფორმაც (მესამე წესი), ხოლო თუკი უარყოფის გამომხატველი ანტონიმი ნაწარმოებია უშუალოდ დადებითი ფორმისაგან, გამოიყენება არაწარმოება (მეორე წესი). თუმცა გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც: უმართებულო — არამართებული, უმსგავსო — არამსგავსი და მისთ. (იხ. ქვემოთ).

განსხვავება უ- პრეფიქსსა და არაწარმოებას შორის ისიცაა, რომ არაწარმოება ნაწარმოებია აწარმოოს როგორც არსებითი, ასევე ზედსართავი (მსაზღვრელი) სახელი; ასევე: ორივეს შემცვლელი ნაცვალსახელი:

ა) არსებითი სახელი:

რაობა → არარაობა  
თითი → არათითი  
კაცი → არაკაცი

ბ) მოქმედების აღმნიშვნელი არსებითი სახელი (მასდარი):

გატეხა → არგატეხა  
ქონა → არქონა

გ) მსაზღვრელი სახელი:

ადამიანური → არადამიანური  
გაგონილი → არგაგონილი  
დრეკადი → არადრეკადი  
თანასწორი → არათანასწორი...

დ) ნაცვალსახელი:

რა → არარა  
ფერი → არაფერი  
ვინ → არავინ  
\*ნაირი → არანაირი...



შენ არ გატეხა კარგი გვირს ზენაარისა, ფიცისა (ვეფხისტყაოსანი).  
 ხამს მიჯნური ხანიერი, არმეძავი, ბილწი მრუში (ვეფხისტყაოსანი).

უ- პრეფიქსი მხოლოდ მსაზღვრელ სახელებს აწარმოებს, რომელთაგან შემდგომ სპეციალური ფორმანტებით იწარმოება არსებითი სახელი:

- გაუტეხელი—გაუტეხელობა
- უწიგნური—უწიგნურობა
- უწესო—უწესობა
- უხამსი—უხამსობა...

ამ რიგის წარმოება სინონიმებს ქმნის: არქონა და უქონლობა, არგატეხა და გაუტეხელობა...

ანტონიმების წარმოების ზემოხსენებული წესები ზოგჯერ ირღვევა. ამას თავისი ახსნა აქვს. შეიძლება გამოვყოთ ოთხი შემთხვევა.

ა) პირველადი ფორმის ანტონიმია მეორეული (ასევე: მესამეული...). ამ შემთხვევაში ხდება ყველა იმ სტადიის კონკრეტული დასახელება (მეორეული, მესამეული...), რომელიც არ არის პირველადი, რომელიც უპირისპირდება პირველადს. იმავედროულად საჭიროა ამ თვალსაზრისით განზოგადებული ანტონიმის წარმოებაც, აღნიშვნა მხოლოდ იმისა, რომ პირველადის გვერდით გვაქვს ისიც, რაც არ არის პირველადი. ამ მიზნით იწარმოება ფორმა „არაპირველადი“, რომლითაც ხდება ყველა სხვა კონკრეტული მნიშვნელობის (მეორეული, მესამეული...) განზოგადება: არაპირველადი შეიძლება იყოს მეორეულიც, მესამეულიც და ა. შ. ანტონიმების წარმოების პირველი წესის ნაცვლად გამოყენებულ იქნა მეორე: უარყოფითი ფორმა იწარმოვა უშუალოდ დასაპირისპირებელი ფორმის ფუძისგან.

ბ) საჭირო ხდება ანტონიმური მნიშვნელობის ხაზგასმით წარმოჩენა, რაც ერთი და იმავე საყრდენი ფუძის გამოყენებით უკეთ მიიღწევა:

- ქეშმარიტი — არაქეშმარიტი
- მართებული — არამართებული...

მართებული ფორმის ანტონიმია მცდარი; ანუ: მცდარი არსებითად იგივეა, რაც არამართებული, მაგრამ ამ უკანასკნელით ხაზი ესმება მის დაპირისპირებას საკუთრივ მართებული ფორმასთან.

ენას აქვს შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით რთული მიმართებანი შექმნას.

ანტონიმებია როგორც: მართებული — მცდარი,

ასევე: მცდარი — არამცდარი,

და { მართებული — არამართებული  
მართებული — უმართებული.

ამის შედეგად კი მართებული და არამცდარი სინონიმებად გვევლინება, ისევე, როგორც არამართებული და მცდარი.

გ) ენას ხშირად აქვს შესაძლებლობა ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად სხვადასხვა წარმოების ფორმები გამოიყენოს, ეს კი ქმნის სინონიმურ რიგს:

მართებული: უმართებულო||არამართებული  
ზუსტი: უზუსტო||არაზუსტი  
კანონიერი: უკანონო||არაკანონიერი  
გამტარი: გაუმტარი||არაგამტარი  
ცვალებადი: უცვლელი||არაცვალებადი...

ეს არის ენის შინაგანი პოტენციის რეალიზაცია.

ანალოგიური პარალელიზმი ჯერ კიდევ ძველ ქართულში იბოვება. მაგალითად, უღირსი ფორმის გვერდით არაღირსი: „რაფთა განარიჩნეს ივინი უშჯულომსა და არაღირსისა და ბილწისა მის ქორწილისაგან“<sup>10</sup>. იგივე ფორმა გამოყენებული აქვს დ. გურამიშვილს: „მიმიყვანეს არაღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს“.

მეტცი: ზოგჯერ ანტონიმთა წარმოების სამივე წესია გამოყენებული სემანტიკური თვალსაზრისით ერთი და იმავე დაპირისპირების გამოსახატავად:

პირველი წესი: ცვალებადი — მუდმივი  
მეორე წესი: ცვალებადი — არაცვალებადი  
მესამე წესი: ცვალებადი — უცვალებელი (←ცვალ-ებ-ს).

დ) უარყოფის გამომხატველ ფორმათა პარალელური წარმოება ყოველთვის არ ქმნის სინონიმებს: ფორმობრივი შეპირისპირებით უამხანაგო და არამხანაგური იმ რიგისაა, რაც უკანონო და არაკანონიერი, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით კი არსებითი ხასიათის სხვაობაა: უამხანაგო თავისი მნიშვნელობით სხვაა, ვინემ არამხანაგური. ამავდროულად:

დაუჭერებელი — არადამაჭერებელი  
უღრეკი — არაღრეკადი

<sup>10</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 8.



ასევე: არაიშვიათი სემანტიკური ნიუანსით სხვაა, ვინემ ხშირი.

ასე რომ, ამ შემთხვევაში უარყოფის გამომხატველ პარალელურ ფორმათა წარმოება ნაირგვარ მნიშვნელობათა გამოხატვის მოთხოვნისგან განსხვავებული და, ამდენად, შინაგანად გამართლებულიც.

\*  
\* \* \*

შეუდარებლივ უფრო ნაკლებია ვერ||ვერა ნაწილაკით ნაწარმოები ფორმები: ვერავინ, ვერარა, ვერავითარი, ვერანაირი, ვერაფერი, ვერ-მისხვედრილი, ვერსაფიქრელი, ვერბიჭი, ვერსად, ვერასდროს||ვერა-დროს...

ორიოდე მაგალითია ნუ ნაწილაკით ნაწარმოები: ნუვინ, ნურა და მათი კონტამინაციით მიღებული: ნურავინ, ასევე: ნურაფერი... რაც შეეხება ნუგეში ფორმას, აქ მთელი სინტაგმის ერთ სიტყვად გადაქცევასთან გვაქვს საქმე: ნუ გეშინის → ნუგეშინი → ნუგეში<sup>11</sup>.

\* \* \*

არ||არა, ვერ||ვერა, ნუ ნაწილაკები, ჩვეულებრივ, ერწყმიან რა, ვინ, სად და ოდეს ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს. ეს პროცესი სქემაზე ამ სახით წარმოგვიდგება:

არა//არ ვერა//ვერ ნუ	{	რა →	{ არარა → არრა → არა ვერარა → ვერრა → ვერა ნურა
	{	ვინ →	{ არავინ → არვინ ვერავინ → ვერვინ ნუვინ (კონტამინაციით: ნურავინ)
	{	სად →	{ არსად ვერსად *ნუსად (*ნურასად → ნურსად)
	{	ოდეს →	{ არაოდეს → აროდეს (არასოდეს) ვერაოდეს → *ვეროდეს (ვერასოდეს) *ნუოდეს (კონტ.: ნურასოდეს)

<sup>11</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66—67.



უგვევ ფორმები გვხვდება -ლა და -ც(ა) ნაწილაკებით **გართულე-**ბული: **ალარაინ, აღარარა, ველარაინ...** ფორმები ძველ ქართულში ვეა დამოწმებული<sup>12</sup>. უფრო იშვიათია **არლა, ვერლა** გაფორმება. სპორადულად იჩენს თავს **აღარ** და **არლა** ფორმათა კონტამინაციით მიღებული **არღარა**: „**არღარა** აქვს მას ნდობა ამა სოფლის, ეშინიან, იკრძალვის, არლა იცის, ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა“ (ნ. ბარათ.).

ადრეულ ეტაპზევე ისახება ამგვარი წარმოების ფორმათა ზმნით გათიშვის ტენდენცია: **არა-რა იყო—არა იყო რა** (იხ. ზღაპრის დასაწყისი ფორმულა: **იყო და არა იყო რა**)<sup>13</sup>.

ამგვარი გათიშვის შესაძლებლობა უნდა ჩასახულიყო შემდეგი ტიპის კონსტრუქციებში: „**მან არარაჲ მიუგო მას სიტყუაჲ**“, ანდა: „...**იესუ არა მიუგო მას სიტყუაჲ**“. ხელნაწერშია „**არაჲ მიუგო მას სიტყუაჲ**“, გამომცემელს გაუსწორებია: „**არა მიუგო მას სიტყუაჲ**“<sup>14</sup>.

უკვე ამ ორ ნიმუშშიც ნათლად იჩენს თავს ზემოხსენებული გათიშვის ტენდენცია: **არა მიუგო სიტყუაჲ** კონკრეტული ნაირსახეობაა ზოგადი **არაჲ მიუგო** ან **არარაჲ მიუგო** შესიტყვებებისა. **რა** კონკრეტდება **სიტყუაჲ** ფორმის საშუალებით, ე. ი. ივარაუდება: **არა სიტყუაჲ მიუგო** ან რიგის შეცვლით: **არა მიუგო სიტყუაჲ**. შესაბამისად დასაშვებები ხდება როგორც **არარაჲ მიუგო**, ასევე რიგშეცვლილი: **არა მიუგო-რაჲ**.

რაც შეეხება კონსტრუქციას **არარაჲ (||არაჲ) მიუგო სიტყუაჲ**, ესაა კონტამინირებული (და იმავდროულად უმართებულო) კონსტრუქცია, მიღებული ორი მართებული კონსტრუქციის შერწყმით:

არარაჲ (||არაჲ) მიუგო }  
 არა მიუგო სიტყუაჲ } → არარაჲ (||არაჲ) მიუგო სიტყუაჲ

<sup>12</sup> ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადიერი, I—II, ტფ., 1923—1924, გვ. 79; ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, თბ., 1962, გვ. 200—202. ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 247.

<sup>13</sup> ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 103.

<sup>14</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945, გვ. 54. ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 542; ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 95.

უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვის ტენდენციისათვის საფუ-  
რადღებო ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი ტიპის პარალელურ ვარიანტ-  
ტა პოვნეირება:

არცაღა მამაჲ შჯის არავის...	და არცა მამაჲ შჯიდეს ვის... <sup>15</sup>
-----------------------------	---

საშუალ საუკუნეებში უკვე საკმაოდ იჩენს თავს უარყოფითი ნა-  
ცვალსახელების გათიშვის შემთხვევები, რაც ზეპირი მეტყველების  
უშუალო გამოძახილი ჩანს. სულხან-საბა ორბელიანის საერო თხზუ-  
ლებებში, „რუსუდანიანი“ ხშირია „ვერა გაიგეს-რა“, „ვეღარა დაე-  
ხელებინა-რა“ (საბა), „მისთანა არა მინახავს რა“ („რუსუდანიანი“)  
ტიპის კონსტრუქციები. ამავე პერიოდის სხვა ნაწარმოებებიც არ  
წარმოადგენენ გამონაკლისს ამ თვალსაზრისით.

\*

\* \*

ნაირგვარი შესაძლებლობებიდან საბოლოოდ მხოლოდ ერთი დამ-  
კვიდრდა ქართულში: გათიშვა ხდება რა ნაცვალსახელით ნაწარმოები  
უარყოფითი ნაცვალსახელისა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იგი  
სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

იყო კი სხვა შესაძლებლობაც.

ჯერ ერთი, დასაშვები იყო გათიშულყოფი ვინ კითხვითი ნაცვალ-  
სახელით შედგენილი უარყოფითი ნაცვალსახელიც. ამაზე მიაინიშნებს  
ზემოთ უკვე ნახსენები ფორმა: **არცა მამაჲ შჯიდეს ვის.**

მეორეცა და, გათიშული უარყოფითი ნაცვალსახელის ბრუნვა  
არ იზღუდებოდა. ამის ნიმუშადაც გამოდგება ზემოხსენებული მა-  
გალითი: ვის აქ მიცემითი ბრუნვის ფუნქციას გამოხატავს. ამავე  
შესაძლებლობაზე მიაინიშნებს: „...არას იქმოდის და არც რას  
იგონებდის ველთა სიარულისა და ნადირთა სვრის მეტსა“ („რუსუდა-  
ნიანი“).

ბოლოს კი ენამ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარ-  
მოდგენილ რა ნაცვალსახელიან ფორმებში დაუშვა გათიშვის შესაძ-  
ლებლობა. ამის შედეგად მივიღეთ:

არარაჲ ჰქმენ→არა ჰქმენ რა  
არარაჲ აქუნდა→არა ჰქონდა რა  
არარაჲ მიუგო→არა მიუგო რა...

<sup>15</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 312 (იოვანე, 5, 22).

არარაჲ ახალ ქართულში შეცვალა არაფერი ფორმამ, ამან კი, თუ-  
ვის მხრივ, საფუძველი შეუქმნა პარალელურ ვარიანტებს: ეროვნული  
გენერაცია

არა გამაჩნია რა — არაფერი გამაჩნია

არა მითქვამს რა — არაფერი მითქვამს

არა მინდა რა — არაფერი მინდა...

ორივე საკმაოდ გავრცელებული სინტაგმაა. პირველი — უპირა-  
ტესად ზებირ მეტყველებსა და მხატვრულ ლიტერატურაში. დამახა-  
სიათებელია იგი უფრო აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონიდან გა-  
მოსული მწერლების ენისათვის.

ნათელია, რომ ამგვარ პარალელურ ფორმათა პოვნიერება თავი-  
დან გვაცილებს ტრაფარეტულ გამოთქმებს, მეტყველების გადაჭარ-  
ბებულ სტანდარტიზაციას. არა გამაჩნია რა ტიპის გამოთქმებს უთუ-  
ოდ ენის გაცოცხლებისათვის აუცილებელი სინედლე ახლავს თან  
და, ამდენად, მათ ფართოდ დამკვიდრების პერსპექტივა უჩანს.

\*

\* \*

რა ნაცვალსახელს რამდენიმე მნიშვნელობა მოეპოვება: 1. რა  
კითხვად დაესმის ყველაფერს, რაც ადამიანი არ არის; 2. კითხვით კონ-  
სტრუქციებში ცვლის არაფერი, არავითარი, არა ნაცვალსახელებს:  
„სხვა რა გზა გვაქვს?“, „ცოტა რომ დააკლდეს, რა უშავს?“; 3. ასე-  
ვე კითხვით კონსტრუქციებში ცვლის რამდენი ნაცვალსახელს: „რა  
მიეცი მაგ საათში?“; 4. ცვლის როგორი, რანაირი ნაცვალსახელებს:  
„რა შეუბრალებელი ყოფილა!“

ამდენად, რა ნაცვალსახელს აღმოაჩნდა როგორც არსებითი სა-  
ხელის, ასევე მსაზღვრელის ფუნქციები. ამის შესაბამისად, წინადა-  
დების წევრი, რომელსაც ცვლის რა ნაცვალსახელი უარყოფის გა-  
მომხატველ კონსტრუქციებში, შეიძლება იყოს ქვემდებარე, უშუალო  
(პირდაპირი) დამატება და მათი მსაზღვრელები.

იმის გამო, რომ უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვის შემ-  
თხვევაში რა მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით შეიძლება იყოს  
წარმოდგენილი, მას შეუძლია შეცვალოს გარდამავალი ზმნის ქვემ-  
დებარე პირველი სერიის ფორმებთან, გარდაუვალი ზმნის ქვემდ-  
ებარე სამივე სერიის ფორმებთან, გარდამავალი ზმნის უშუალო (პირ-  
დაპირი) დამატება მეორე სერიის ფორმებთან, და შესაბამისად, მა-  
თი მსაზღვრელები. სხვა შემთხვევებში რა ნაცვალსახელით შედგენილ  
უარყოფით ნაცვალსახელთა გათიშვა არ ხდება.

წარმოვადგენთ კონსტრუქციებს, სადაც **რა** ნაცვალსახელი ცვლის გრამატიკულ ქვემდებარეს.

ზმნა გარდაუვალაია, ერთ- ან ორპირიანი.

1) გრამატიკული ქვემდებარის შენაცვლება **რა** ნაცვალსახელით ერთპირიან ზმნებთან:

ყურთა უამესი არა ისმოდა რა, არცა თვალთაგან სახილველი ინახებოდა (საბა).

არარა ისმოდა → არა ისმოდა რა. **ინახებოდა** ზმნასთან კი კონკრეტული ფაქტია დასახელებული: **სახილველი**. რა თქმა უნდა, აქაც დასაშვებია იყო: **არა ინახებოდა რა**.

სახლიდამ ბეწვის ოდენიც არა იკარგებოდა-რა (ილია).

არარა იკარგებოდა → არა იკარგებოდა რა.

მეტი აღარა გაეწყო-რა, თოფით უნდა ავუშვა (აკაკი).

**გა-ე-წყ-ობ-ა** ორპირიანი ვნებითის ყალიბითაა წარმოდგენილი. ორპირიანი ზმნის ფუნქციითაა იგი გამოყენებული ამ წინადადებაში: „რომ რამე გაემეწყო ოდეს...“ უარს ვეტყვოდი“ (დ. კლდ.): **გა-მ-ე-წყ-ობ-ოდ-ეს-ს** მე ის (რამე). მაგრამ უმეტეს წილ ეს ზმნა კარგავს ერთ პირს და ერთპირიანი ფორმის ფუნქციით გამოიყენება: **რა გაეწყო! არა გაეწყო რა!** და მისთ. იკარგება ირიბობიექტური პირი.

ამავე რიგისაა **არა უშავს-რა**:

მიწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა (ილია).

არა უშავს-რა, პური და ღვინო ისეც ნაკურთხია ღვთისაგან (აკაკი).

**მ-ი-შავ-ს, გ-ი-შავ-ს, (მ)-უ-შავ-ს** მორფოლოგიური სტრუქტურით აშკარად ორპირიანი ფორმებია. ორპირიანობა მათ შენარჩუნებული აქვთ ამ შესიტყვებაში: **არა მიშავს რა**, რაც ნიშნავს: **მე არაფერი მიშავს**. იმის გამო, რომ გრამატიკული ქვემდებარის ადგილს აქ, როგორც წესი, **არაფერი** იკავებს, შესაძლებელი გახდა მისი (ე. ი. გრამატიკული ქვემდებარის) ამოვარდნა, რამაც მოგვცა: **არა მიშავს**, რაც ნიშნავს: **ცუდად არ ვარ**. იმავედროულად დასაშვებია აღმოჩნდა მესამე პირის ფორმაში ირიბი ობიექტის გაუჩინარებაც: **არა უშავს რა**



ნიშნავს: არაფერი შავდება, დაშავებული არაფერი არის<sup>16</sup>. ირიბობით-  
ექტური პირის პოენიერება აქ არ ივარაუდება.

უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვა ჩვეულებრივი მოვლენაა.  
მყოფობის აღმნიშვნელი ზმნის კონსტრუქციებში:

ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის-რა და ბოლოს სამსალა არის და  
საწყენი (ხაბა).

უამესი არარა არის—უამესი არა არის რა.

იმთ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყო ს-რა (ილია).

შემშლით გავწყდებით, სხვა რომ არა იყო ს-რა (ა. ყაზბ.).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა (ზღაპრის დასაწყისი  
ფორმულა).

2) საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ქვემდებარის ფუნქციით  
გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვა ხდება ორპირი-  
ანი გარდაუვალი ზმნების მქონე კონსტრუქციებში (უნდა აღინიშნოს,  
რომ ეს საკმაო სიხშირე ძირითადად ინვერსიულ ზმნებზე მოდის):

ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შეადრება-რა (ა. ყაზბ.)

სხვა ამ ქვეყნისა არა მინდოდა-რა და აღარც მერგებოდა-რა (ილია).

მამალსა და ძერას კი აღარა ეშველა-რა (ხაბა).

ბოლოს, რომ არა ეშველა-რა, წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას,  
უინც მე ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტანდა (ილია).

აღარა გეშველო-რა (ხაბა).

ველარაფრმა უშველა, აგრემც არა ეშველო-რა შენსა მტერსა (ილია).

შენიშვნა: ე-შველ-ებ-ა ორგვარი მნიშვნელობით გამოი-  
ყენება. ა) ეშველება იგივეა, რაც ჰშველის, ანუ: ეხმარება,  
დახმარებას უწევს. ამ შემთხვევაში სუბიექტისა და ობიექ-  
ტის სულიერია, უმეტეს წილ ვინ-ჯგუფისა, ადამიანი. ამი-  
ტომაც ბუნებრივია, რომ მასთან, როგორც წესი, არ გა-  
მოიყენება რა ან არარა ნაცვალსახელი (ადამიანს მხოლოდ  
ვინ შეიძლება შეენაცვლოს!). ამდენად, მისთვის უცხოა  
ზემოხსენებულის მსგავსი კონსტრუქციები. ზმნა ამ დროს  
პირდაპირი წყობისაა. ბ) ეშველება ზმნას მეორე მნიშვნე-

16 შავ- ფუძე აქ გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული; შდრ.: ა-შავ-  
-ებ-ს „აფუძებს“ — შავ-დ-ებ-ა „ფუძდება“, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მოქ-  
მედებითისა და ვნებითის ფორმებია. შესაბამისი სტატიკური („საშუალი“) მათ არ  
მოეპოვებათ. იგი მათ მხოლოდ საობიექტო ქცევის შემთხვევაში აღმოაჩნდებათ:  
უ-შავ-ებ-ს — უ-შავ-დ-ებ-ა — უ-შავ-ს. ამიტომაცაა უ-შავ-ს ზმნა პირიანობის  
თვალსაზრისით ლაბილური.

ლობაც აქვს: შველა შესაძლებელია, შეიძლება უშველონ, გამოსწორება შესაძლებელია. სუბიექტი აქ უკვე უსულოა, თუ რამე ეშველება, დაეხმარეთ!, ანდა: თუ არაფერი ეშველება, თავი გაანებეთ! ამიტომაც უარყოფითი არარა ნაცვალსახელის გამოყენებაცა და გათიშვაც სწორედ ამ შემთხვევაში ხდება.

ჯულუტიკორად ვეთხოვები მე ამ ქვეყანასა, იმიტომ, რომ მე იმისი არა მემალდებარა (ილია).

საგანძური დაგლევია, აღარა გეშოვებარა (საბა).

ბევრი არა მენადვლებოდარა (ილია).

შენ წურა გენადვლებარა (ა. ყაზბ.).

მე აქ არა მესმისრა (ილია).

მე თუმცა არა მესმოდარა, მაგრამ მივხედი, რომ აქ კარგი არა არის რა-მეთქი (აკაკი).

წარმოდგენილი იყო ვნებითის ყალიბის მქონე ორპირიანი გარდაუვალი ზმნების კონსტრუქციები. ანალოგიური ვითარება მაშინაც, როცა არარა უარყოფითი ნაცვალსახელი სტატიკურ (საშუალი გვარის) ზმნებთანაა გამოყენებული:

ახლა მოერჩი, აღარა მიქირსრა (საბა).

ბუძენი მეწვიან, მარტილს თუ არა სქირსრაო (საბა).

ღია დავბერდი, აღარა ძალმიც (←ძალ მიძს) რა (საბა).

ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიცსრა (საბა)

მე არა შემიძლიანრა (ილია).

მაგას არცა ქორწილისა, არცა ვაებისა, არცა მეფის და არც ერისა არა უნდარა (საბა).

სალხინო მაგას არა აქვსრა (საბა).

მე შენთან საქმე არა მაქვსრა (ილია).

რა მისთა მსახურთ ნახეს, აღარა ჰქონდარა, მისი სიყვარული გაცეთეს (საბა); შდრ. იქვე: ღია დაგლახაქდა და მოუნდა მას თავის ამხანაგებთან სმა და არარა აქვნდა, მისულიყო და მიეტანა (საბა). პარალელური ვარიანტები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს.

დანაშაული არა მქონდარა (ილია).

თურე მასვე ევაქრსა ჰყვანდა ამისთანა ვაჟი, მის მეტი არა ჰყვანდარა (საბა) შდრ. იქვე: ამას მის მეტი არარა ჰყვანდა და ყოველივე დახოცა და შენ გიმზადო (საბა).

რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადიარაო (აკაკი).

არა მაკლიარა (ა. ყაზბ.).

არა გამაჩნიარა (ა. ყაზბ.).

ჩემი აღარა გჯერარაო (ა. ყაზბ.).

ყველა ზემოდასახელებული სტატიკური ზმნა ინვერსიულია. ეს კი ნიშნავს, რომ რა ნაცვალსახელი ცვლის გრამატიკულ სუბიექტს, რომელიც სემანტიკურად, ფუნქციურად გაიგება როგორც ობიექტი.

ანალოგიური ვითარებაა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაშიც:

3) გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებთან რა ნაცვალსახელს ხელი ცვლის გრამატიკულ სუბიექტს, რომელიც სემანტიკურად (რამატიკურად) ობიექტად არის გააზრებული. გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები თავისი მორფოლოგიური სტრუქტურითა და სინტაქსური სტატუსით გარდაუვალნი არიან: კონსტრუქციაში წარმოდგენილია მარტოოდენ სუბიექტი და ირიბი ობიექტი. მხოლოდ ინვერსია ხდის შესაძლებელს, რომ ეს ფორმები მოქმედებითი, გარდამავალი ზმნის უღვლილების პარადიგმაში იყოს გაერთიანებული.

ა რ ა მ ო უ ხ ს ე ნ ე ბ ი ა - რ ა (ილია).

ს ხ ვ ა რ ა უ თ ქ ვ ა მ ს - რ ა გ ო გ ო ს ა ? (ილია); შ დ რ . ი ქ ვ ე : ა რ ა ფ ე რ ი ა რ უ თ ქ ვ ა მ ს , მ ა მ ი ჩ ე მ ის ც ხ ო ნ ე ბ ა მ (ილია).

ა რ ა დ ა მ ი მ ა ლ ა ვ ს - რ ა (ილია).

\*  
\* \* \*

ინვერსიულ ფორმებთან რა ნაცვალსახელის გამოყენება ერთთვალსაზრისითაც იქცევა ყურადღებას.

ცნობილია ისეთი ინვერსიული ფორმები, რომელთაც ფაქტობრივ დაკარგული აქვთ გრამატიკული სუბიექტი: აცახცახებს, აურუოლებს, ათრთოლებს. მორფოლოგიური სტრუქტურით ეს ფორმები მოქმედებითი გვარისაა, გარდამავალი, ორვალენტიანი, ქვემდებარისა და უშუალო დამატების შემცველი. სწორედ ამ გააზრებით არიან ისინი წარმოდგენილი შემდეგ კონსტრუქციებში:

ა თ რ თ ო ლ ე ბ თ ტ ა ნ შ ი ს ი ც ი ვ ე , ჩ ა მ ო ს დ ი თ ც რ ე მ ლ ი მ წ ა რ ე ა (ვაჟა)-  
ტ უ ჩ ე ბ ს მ დ უ რ ვ ა ა თ რ თ ო ლ ე ბ ს (ვაჟა).

ა ს ა მ ა დ ლ ე ბ შ ი ყ ე ლ ს გ ა დ ა ი ხ რ ი დ ა დ ა ხ მ ა ს ა თ რ თ ო ლ ე ბ დ ა (ვ. ბარნ.).

დ ა ყ ო ვ ე ლ ფ ო თ ო ლ ს ა თ რ თ ო ლ ე ბ ს ს ე ვ დ ა ფ ა რ უ ლ ი (ა. აბაშ.).

ს ი ო ფ ო თ ო ლ ს ა ც ა ხ ც ა ხ ე ბ ს ...

სიცვივე, მდურვა, სიო ქვემდებარეებია; ხმას, ფოთოლს — უშუალო (პირდაპირი) დამატებები.

წყობა ყველა შემთხვევაში პირდაპირია.

ფორმობრივადაც და სემანტიკურადაც მოქმედებითი გვარის ზმნებთან გვაქვს საქმე.

იმავედროულად ხსენებული ზმნები ინვერსიულადაც გაიზრება, რაც იწვევს გრამატიკული ქვემდებარის გარდაქცევას უბრალო დამატებად და ბოლოს დაკარგვასაც: მათ (ტანში) ათრთოლებთ სიცვივე → მათ ათრთოლებთ სიცვივისაგან → მათ ათრთოლებთ. ამ შემთხვევაში

ზედმეტი ხდება გრამატიკული ქვემდებარეც და მისი შემცველი ნაცვალსახელიც: მისი გამოყენება ამ დროს ინერციის შედეგია, რადგან არსებითად მას ფუნქცია დაკარგული აქვს: **არა მათრთოლებს-რა, არა მაცახცახებს-რა...**

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დიალოგში დამოწმებული ფორმა:

- რაი ვაცახცახებს?
- არც რაი! (ა. ყაზბ.).

პირველ შესიტყვებაში რაი ნიშნავს „რატომ“, შესიტყვების მნიშვნელობაა „რატომ ცახცახებს“, ოღონდ ფორმობრივ სხვაგვარადაა გამოხატული. ხოლო არც რაი არსებითად იგივეა, რაც: **არა მაცახცახებს-რა**. ამჟამად ინერციასთან გვაქვს საქმე: **რატომ** ფორმის მნიშვნელობით ნახმარი რაი მეორე შესიტყვებაში იჭერს სუბიექტის (ქვემდებარის) ადგილს. საქმე ისაა, რომ თვით ზმნური ფორმა ამოსავალში იძლევა ამგვარი დაშვების შესაძლებლობას, თუმცა ხსენებულ კონკრეტულ შემთხვევაში იგი არსებითად უფუნქციო დანამატია, წმინდა ფორმობრივი „ორნამენტი“.

\*  
\* \*

რა ნაცვალსახელმა შეიძლება შეცვალოს გარდამავალი ზმნის ქვემდებარეც პირველი სერიის ფორმებთან: **არა მახარებს რა, არა მამინებს რა, არა მაწუხებს რა...** გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს ძირითადად განწყობის, განცდის, სურვილის მნიშვნელობებია გამოხატული. მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ რა-ჯგუფის ქვემდებარე უპირატესად სწორედ ამ ტიპის გარდამავალ ზმნებს ეხამება. შესაბამისად მათთან შესაძლებელი ხდება **არარა უარყოფითი ნაცვალსახელის გამოყენება, როგორც გაუთიშველის (არარა მაწუხებს), ასევე— გათიშულის (არა მაწუხებს რა)**.

\*  
\* \*

ხშირად რა ნაცვალსახელი ცვლის უშუალო (პირდაპირ) დამატებას. ბუნებრივია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეორე სერიის ფორმებთან, რადგან სახელობითი ბრუნვით ხსენებული დამატება სწორედ აქ არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, დასაშვებია როგორც: **არარა ჭამა**, ასევე: **არა ჭამა-რა**, მაგრამ მხოლოდ: **არას ჭამს**



(„ჩვეულება აქვს, თუ არა ტვინსა, სხვას არასა კანკაღსა (საბა).“)

ა) უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვის შემთხვევები ორპირიან ზმნასთან:

თუ მეფის ძე კარგად გაზარდოთ, მე თურე არა ვიცი რაო (საბა); შდრ.: თქვენს სასახლეში ბზესა ჰყრიდნო და აწ აღარა ვიციო (საბა).

ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდერაო (ილია).

მამამ ჯერ არა იცოდა-რა (ა. ყაზბ.).

ხალიფამ ტვინის მეტი არა სჭამა-რა. არაბმან ვაზირს ჰკითხა: ხალიფამ რად არა სჭამა-რაო (საბა).

გამოვიდა და არა თქვა-რა (საბა).

ჩემთვის აღარა შევიინახე-რა (საბა).

ხვალისად არა შევიინახი-რა (საბა).

თვალეზს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე — არა დინახოს-რაო (ილია).

ტენის მეტი მე იმის არა გამოვიყოლე-რა (ილია).

სხვათ ვერა შეიგნეს რა (საბა).

ვერც ერთმა ვერა გაიგეს-რა (საბა).

ესძებნე და ვერა ჰვეპოე-რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა (დ. გურამ.).

ვერა იპოვა-რა (ილია).

რომ ველარა გააწყეს-რა, მიწყნარდნენ (აკაკი).

მგელმა თხის შექმნის ნდომით ველარა გაიგო-რა (საბა).

მე კიდევ ველარა მოვახერხე-რა სათქმელად და გავჩუმიდი (ილია).

ველარა მოახერხა-რა ონისემ (ა. ყაზბ.).

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვის შემთხვევები სამპირიან ზმნასთან:

ვირი მიზნეს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტეხოს-რაო (საბა).

თუ გველი ცდილობს, არა აწყინოს-რა, შენ ხომ აღამის ტომი ხარ (საბა).

შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა (ილია).

შვილმა აღარა უთხრა-რა (ილია).

ვეფხი შეშინდა, მრჩეველებს აღარა უსმინა-რა (საბა).

არა დავაბარა-რა? (ა. ყაზბ.).

ერთმანეთს ვერა შეატყობინეს-რა (საბა).

რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ-რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოეკვდ, თკი ყელს მომბით, გამათრით და ხეზედ ჩამოჰკიდეთ (საბა).

ვერა უწამლე-რა (საბა).

მისთვის მრავალნი მკურნალნი შეკრბნეს და ვერა არგეს-რა (საბა); შდრ.: ვერა მკურნალმან ვერ არგო (საბა).

ნიშანდობლივია, რომ უპირატესობა ენიჭება არა, ვერა (აღარა, ველარა) ნაწილაკებს. ეს იმიტომ, რომ უარყოფით ნაცვალსახელებში ისინი ჩვეულებრივ სრული სახით არიან წარმოდგენილი: არარა, ვერარა (იშვითია არრა, ვერრა); გათიშვის შემდგომაც ისინი სრულ სახეს ინარჩუნებენ.



გვაქვს ასეთი შემთხვევები: „ვერაფერი ვერა უთხრა მამას პასუხად“ (ილია), „შიგ არაფერი არა იყო“ („რუსულდანიანი“). აქ გრამატიკული ტავტოლოგიაა<sup>17</sup>: არაფერი, ვერაფერი იგივეა, რაც არარა, ვერარა, რომლის გათიშვაც ხდება ზმნით: ვერარა უთხრა—ვერა უთხრა რა (დაუშვებელია ვერაფერი ვერარა უთხრა, რისგან მიღებულადაც ივარაუდება ზემოხსენებული უმართებულო ვერაფერი ვერა უთხრა-რა).



რა ნაცვალსახელი მტკიცებით ფორმებშიც გამოიყენება: „ზოგჯერ რა უთხრეს და ზოგჯერ რა (საბა). ასეთ შემთხვევებში რა ყოველთვის ზმნის წინა პოზიციას იკავებს. იგივე რა შეიძლება გართულდეს -ლა და -ც(ა) ნაწილაკებით: რალაცა—რალაც. ასეთ დროს პოზიცია აღარ იზღუდება: დასაშვებია როგორც რალაც უთხრეს, ასევე: უთხრეს რალაც.

უარყოფის გამომხატველ კონსტრუქციებში, როგორც ვნახეთ რა ნაცვალსახელის პოზიცია მყარი არ არის: იგი შეიძლება დაუკავშირდეს უარყოფით ნაწილაკსაც (არარა უთხრა) და ზმნასაც (არა უთხრა-რა).



რა ხშირად გამოდის მსაზღვრელის ფუნქციითაც. აქ ის შემთხვევაა, როცა არსებითი სახელი კონსტრუქციაში იკავებს ზედსართავი სახელის (მსაზღვრელის) პოზიციას და, ამდენად, ზედსართავის ფუნქციით აღიჭურვება.

„მაშ, შენობა აღარა დარჩებოდა-რაო“ (საბა): აღარარა (აღარავითარი, არავითარი) შენობა დარჩებოდა—\*აღარა შენობა დარჩებოდა-რა—შენობა აღარა დარჩებოდა-რა; შდრ.: „მას ძმა არ არა ჰყავს“ (საბა), ნიშნავს: მას არავითარი ძმა (არ) ჰყავს.

„ჩვენს მიდამოს ნიშანი არა იყოს რაო“ (საბა): არარა ნიშანი იყოს—არა ნიშანი იყოს-რა—ნიშანი არა იყოს-რა

„მანდეთ ბილიკი-გზა ხომ არა მიდის-რა?“ (ა. ყაზბ.): არარა გზა მიდის?—არა გზა მიდის-რა?—გზა არა მიდის-რა? (ნიშნავს: არავითარი გზა არ მიდის?).

17 ზ. კუ მ ბ უ რ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 46.



„შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდაც საცილო არა მომხდარიყო-რა“ (ა. ყაზბ.): არარა (არაფერი) სასაცილო მომხდარიყო→სასაცილო არა მომხდარიყო-რა.

„დაღონების მიზეზი არა ჰქონდა-რა“ (ა. ყაზბ.): დაღონების არარა (არაფერი, არავითარი) მიზეზი არ ჰქონდა→დაღონების მიზეზი არა ჰქონდა-რა.



ზემოთ მოყვანილი ნიმუშებით წარმოჩნდა, რომ გვაქვს უარყოფითი ნაცვალსახელების შემცველი კონსტრუქციების ორი ნაირსახეობა: რა შეიძლება მიერთოს როგორც უარყოფით ნაწილს (არარა უთხრა), ასევე ზმნას (არა უთხრა-რა).

გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით ეს ორი მონაცემი იდენტურია, სხვაობა სტილისტიკური ჩანს: არარა უთხრა არქაული იერის მქონეა, არა უთხრა-რა თანამედროვე ზეპირი მეტყველების კუთვნილება ჩანს. სინტაგმას არარა უთხრა თანამედროვე ქართულში ცვლის არაფერი უთხრა. ასე რომ, ამჟამად თავისუფალი არჩევითობაა ორი შესიტყვებისა: არაფერი უთხრა და არა უთხრა-რა.

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ავტორი ერთგან გაუთიშველ უარყოფით ნაცვალსახელს იყენებს, მეორეგან კი გათიშულს რჩეობს, ზოგჯერ ერთსა და იმავე ზმნასთანაც კი.

სულხან-საბა ორბელიანი არცთუ ისე იშვიათად ხმარობს გაუთიშველ უარყოფით ნაცვალსახელებს: „ჩვენ არარა გვეკითხვის“ (მღრ.: ჩვენ არა გვეკითხვის-რა); „არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოველსა ქვეყნისაო“ (ეს იგივეა, რაც: არც ენის უტკბოსი იქნების-რა...); „მათი შეჭირვების ნიშანი არა (—არრა—არარა) იპოვებოდა“ (ანუ: მათი შეჭირვების ნიშანი არა იპოვებოდა-რა).

ნიმუშად დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას, როცა ერთსა და იმავე ზმნასთან დამოწმებულია როგორც გაუთიშველი, ასევე გათიშული უარყოფითი ნაცვალსახელი:



რა მისთა მსახურთა ნახეს, აღარა ჰქონდა-რა, მისი სიყვარული გაცივითეს (საბა).	მოუნდა მას თავის ამხანაგებთან სეფიქელნი არარა აქვნდა, მისულიყო ეტანა (საბა).
--	--

მის მეტი არა ჰყვანდა-რა (საბა).	ამის მეტი არარა ჰყვანდა (საბა).
---------------------------------	---------------------------------

სხვა არა უთქვამს-რა გოგოსა? (ილია).	არაფერი არ უთქვამს, მაიჩემის ცხონებამ (ილია).
-------------------------------------	---

\*  
\*   \*   \*

უარყოფითი ნაცვალსახელის (არარა, ვერარა) გათიშვა დასაშვებია უღვლილების ყველა ფორმასთან, სადაც კი იგი სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი.

პირველი სერიის ფორმებთან შეიძლება გაითიშოს ის უარყოფითი ნაცვალსახელი, რომელიც ეკვივალენტია როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნის ქვემდებარისა (სუბიექტისა);

1) გარდამავალი ზმნის ქვემდებარის ეკვივალენტი რა ნაცვალსახელი:

- აწმყო: არა მაწუხებეს რა
- ნამყო უსრული: არა მაწუხებდა რა
- აწმყოს კავშირებითი: არა მაწუხებდეს რა
- მყოფადი: არა შემაწუხებეს რა
- პირობითი: არა შემაწუხებდა რა
- მყოფადის კავშირებითი: არა შემაწუხებდეს რა

2) გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ეკვივალენტი რა ნაცვალსახელი:

აწმყო: მე იმის არა მემადღება-რა (ილია), აღარა გეშოვება-რა (საბა), ცოდვის უამესი ცოტა ხანს არა არის-რა (საბა), სალხინო მაგას არა აქვს-რა (საბა), არა აბადია-რა (აკაკი), არა უშავს-რა (ილია).

ნამყო უსრული: არა იკარგებოდა-რა (ილია), ბევრი არა მენადვლებოდა-რა (ილია), არა მესმოდა-რა (აკაკი), რა მისთა მსახურთ ნახეს, აღარა ჰქონდა-რა, მისი სიყვარული გაცივითეს (საბა).

აწმყოს კავშირებითი: არა იკარგებოდეს-რა, არა მენადვლებოდეს-რა, აღარა ჰქონდეს-რა.

მყოფადი: არა დაიკარგება-რა, აღარა ექნება-რა.

პირობითი: არა დაიკარგებოდა-რა, აღარა ექნებოდა-რა

მყოფადის კავშირებითი:

არა დაიკარგებოდეს-რა, აღარა ექნებოდეს-რა.

3) ანალოგიური ვითარებაა მაშინ, როცა უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული:

აწმყო: მანდეთ ბილიკი-გზა ხომ არა მიდის-რა (ა. ყაზბ.).

ნამყო უსრული: მანდეთ ბილიკი-გზა ხომ არა მიდიოდა-რა და ა. შ.

\* \* \*

მეორე სერიის ფორმებთან გაითიშება ის უარყოფითი ნაცვალსახელი, რომელიც ეკვივალენტია გარდაუვალი ზმნის ქვემდებარისა ან გარდამავალი ზმნის უშუალო (პირდაპირი) დამატებისა.

1) უარყოფითი ნაცვალსახელი გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ეკვივალენტია:

ნამყო ძირითადი: მამალსა და ძერას კი აღარა ეშველა-რა (საბა). არა ებადა-რა (საბა).

მეორე კავშირებითი: ვერაფერმა უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მტერსა (ილია). არა ებადოს-რა. შიმშილით გავწყდებით, სხვა რომ არა იყოს-რა (ა. ყაზბ.).

2) უარყოფითი ნაცვალსახელი გარდამავალი ზმნის უშუალო (პირდაპირი) დამატების ეკვივალენტია:

ნამყო ძირითადი: ხალიფამ ტვინის მეტი არა სჭამა-რა (საბა), გამოვიდა და არა თქვა-რა (საბა), მგელმა თხის შეჭმის ნდომით ვეღარა გაიგო-რა (საბა), ვსძებნე და ვერა ჰვპოე-რა მგობი ამ სწავლა-მცნებისა (დ. გურამ.), მე კიდევ ვეღარა მოვახერხე-რა სათქმელად (ილია), ჩემთვის აღარა შევინახე-რა (საბა).

მეორე ხოლმეობითი: ხვალისად არა შევინახი-რა (საბა).

მეორე კავშირებითი: თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე, არა დაინახოს-რაო (ილია), ვირი მიზეზს ეძებდა, თუცა გავიცალოო, არა ამიტეხოს-რაო (საბა), თუ გველი ცდილობს არა აწყინოს-რა... (საბა), მართლა არა გაუჭირვონ-რა (აკაკი).

გარდაუვალი ზმნის ქვემდებარესა და გარდამავალი ზმნის უშუალო (პირდაპირი) დამატებას შორის სხვაობა ოდენგრამატიკულია, სე-

მანტიკურად კი ეს ორი მონაცემი არსებითად იდენტურია. ამის მიხედვით ფარდობა შემდეგნაირი იქნება:

არა ჭამა რა — არა შეიჭამა რა

არა თქვა რა — არა ითქვა რა

ვერა მოახერხა რა — ვერა მოხერხდა რა...

მარცხენა რიგის ფორმებში რა უშუალო დამატებას ცვლის, მარჯვენა რიგისაში — ქვემდებარეს, პირველ შემთხვევაში ზმნა გარდა-მავალია, მეორე შემთხვევაში — გარდაუვალი.

გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმათა პრინციპს იმეორებენ იცის და უწყის ზმნებიც თავისი ისტორიული ვითარების გამო: სემანტიკურად ისინი პირველი სერიის ფორმებადაა გააზრებული, მაგრამ ფორმებრივ მათ შეინარჩუნეს გარდამავალი ზმნის მეორე სერიისთვის ნიშანდობლივი თვისება: არა იცის რა, არა უწყის რა; არა იცოდა რა, არა იცოდეს რა...

\*

\* \*

მესამე სერიაში თავისებური ვითარებაა გარდამავალ ზმნებთან: ფორმოზომიერი და სემანტიკური მონაცემები არ თანხვედბა ერთმანეთს: სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ფორმოზომიერად ქვემდებარეა, სემანტიკურად — უშუალო დამატება, ფორმოზომიერ ზმნა გარდაუვალია, სემანტიკურად — გარდამავალი ზმნის პარადიგმაში შედის (ეს შესაძლებლობა ინვერსიას ემყარება), ფორმოზომიერ გრამატიკული ქვემდებარის ეკვივალენტია რა ნაცვალსახელი, სემანტიკურად კი იგი უშუალო დამატებად გაიზრება.

რაც შეეხება ორპირიან და ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს, აქ მეორდება პირველი და მეორე სერიის ჩვენება.

1) გარდამავალი ზმნის მესამე სერია:

პირველი შედეგობითი (თურმეობითი): ესეთი არა გვინახია-რა (ა. ყაზბ.), ჯერ არა გიჭმევია-რა (აკაკი), განა აღარ გაგვიგონია და არა წაგვიკითხავს-რა (აკაკი), არა მოუხსენებია-რა (ილია), სხვა არა უთქვამს-რა (ილია), არა დამიმალავს-რა (ილია).

მეორე შედეგობითი (თურმეობითი): არა ევნო-რა (ა. ყაზბ.), სხვა ვერა წარმოედგინა-რა (ა. ყაზბ.), არა დაებარებინა-რა (ა. ყაზბ.).

მესამე კავშირებითი: არა დაებარებინოს-რა, არა ევნოს-რა...



2) გარდაუვალი ორპირიანი ზმნის მესამე სერია:  
 პირველი შედეგობითი: არა ჰშველებია რა, არა ჰქონებია რა...  
 მეორე შედეგობითი: არა ჰშველებოდა რა, არა ჰქონებოდა რა...  
 მესამე კავშირებითი: არა ჰშველებოდეს რა, არა ჰქონებოდეს რა...

3) ერთპირიანი ზმნის მესამე სერია:  
 პირველი შედეგობითი: ფარსავად ჯერ არც კი ამოსულა-რა (აკაკი), არა მომხდარა რა...  
 მეორე შედეგობითი: შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდა სასაცილო არა მომხდარიყო-რა (ა. ყაზბ.).  
 მესამე კავშირებითი: არა მომხდარიყოს რა...



უარყოფითი ნაცვალსახელის გათიშვის შემთხვევები ჩვეულებრივია ბრძანებითშიც:

- შენ ნურა გენადვლება-რა! (ა. ყაზბ.).
- არა უთხრა რა!
- არა უთხრას რა!...



რა დამოწმებულია უარყოფის გამომხატველ ყველა ნაწილაკთან:  
 არარა → არრა (→ არა)  
 ვერარა → ვერრა (→ ვერა)  
 ნურა

ეს უკანასკნელი ა-რა და ვე-რა ნაწილაკების ანალოგიით გაიგება როგორც ერთშემადგენლიანი (როგორც ოდენ უარყოფითი ნაწილაკი და არა ნაცვალსახელი) და მას დამატებით კიდევ დაერთვის რა: ნურარა.

დასაშვებია ყველა ამ ნაცვალსახელის გათიშვა:

- არარა: „არა უთხრა-რა“ (ა. ყაზბ.).
- ვერარა: „სხვა ვერა წარმოედგინა-რა“ (ა. ყაზბ.).
- ნურარა: „შენ ნურა გენადვლება-რა“ (ა. ყაზბ.).

სიხშირის თვალსაზრისით უფრო გავრცელებულია არარა და ვერარა ფორმების გათიშვის შემთხვევები.

არარა, ვერარა, ნურარა ფორმათა გათიშვის შემთხვევაში იქნება თავისებური აღწერითი ზმნა (არა უთხრა რა, ვერა უთხრა რა, არა აბაღია რა, არა შეედრება რა, ვერა შეედრება რა...), როცა ზმნის ბირთვში შემოდის ან გრამატიკული ქვემდებარე, ან უშუალო დამატება (მღრ.: ყო ნათელი და ნათელი ყო|ნათელ-ყო). ეს ფაქტი ქართული ზმნის შინაგანი შესაძლებლობით აიხსნება, მისი უნარით — თავის ირგვლივ მოახდინოს წინადადების სხვა წევრთა კონცენტრირება, წინ წამოსწიოს საკუთრივ მოვლენის, ქმედების არსი და მას დაუმორჩილოს ამ პროცესში მონაწილე საგნები, გამოხატული შესაბამისი სახელებით.

უარყოფის არ, არა ნაწილაკები ენამ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება გამოიყენოს სრულიად საპირისპირო — დადასტურების — ფუნქციით. ძირითადად გამოიყოფა ორი ტიპის კონტექსტი:

ა) გამომხატველი პირობით-შედევობითი ურთიერთობისა:

ნახა ჩემმა ყურშამ, რომ ტიღუნა აღარ ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა (ვაჟა).

მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს („რომ არ მივშველებოდი“), შესრულებულია და იმავდროულად უარყოფითი ფორმითაა გამოხატული. შეუსრულებელი მოქმედება კი დადებითი ფორმით გამოიხატება ამ ტიპის კონსტრუქციებში: „მე რომ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა“<sup>18</sup>.

ამ რიგის კონსტრუქციებია:

„თუ არ ვიტყვოდი, ეს საქმე არც გამოვიდოდა“ (ე. ი. ვთქვი კიდევაც და საქმეც გამოვიდა, გაკეთდა).

„რომ არ მეთქვა, ეს საქმე არც გამოვიდოდა“ და მისთ.

ბ) კითხვითი წინადადება, სადაც არ, არა ცვლის დადასტურებით ნაწილაკს:

„ასეა, არა?“ ეს იგივეა, რაც: „ასეა, ხომ?“ ანდა: „ასეა, ხომ კი?“

ამ რიგის ფორმები ჩვეულებრივია ზეპირი მეტყველებისათვის. ნიშანდობლივია, რომ არა და ხომ ნაწილაკები თავისუფლად ცვლის ერთმანეთს:

„ალბათ გემრიელი ყოფილა ოსპის წვენი, არა?“

შდრ. იქვე: „შენ ლაზი ხარ, ხომ?“ (კ. გამს.).

პირველ წინადადებაში ისევე შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ხომ ნაწილაკი, როგორც მეორე შემთხვევაში არა.

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით დიალექტების ჩვენებაც. მაგალითად, იმ პოზიციაში, სადაც გურულში უარყოფის არა ნაწილაკია დადასტურებული, იმერულში დადასტურების ქე არის გამოყენებული:

გურული: „იქიდან რომ დაბრუნდება, არა, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი“.

იმერული: „ქე რო დევეცო, მერე ასე მაქ ე ფეხი“.<sup>19</sup>

პირველ ფრაზას იმერული ასე იტყოდა: „იქიდან ქე რო დაბრუნდება...“ მეორე ფრაზას გურულში ასეთი სახე ექნებოდა: „რო დევეცო, არა...“

დადასტურების ფუნქცია აქვს არ ნაწილაკს კითხვით-ძახითი ინტონაციის მქონე კონსტრუქციებშიც: „აგერ არ მოდის?!“ ეს ნიშნავს: „აგერ, ახლა მოდის!“

---

<sup>19</sup> ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 343.

ლატავრა გელენიძე

არ-/არა-ნაწილაკიანი სახელები ქართულში

უქონლობის სახელებსა და უარყოფით მიმღებებს გარდა, ქართულში გამოიყოფა ლექსიკის საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც ნაწარმოებია არ-/არა- უარყოფითი ნაწილაკების მეშვეობით. ასეთი წარმოების გაჩენა შეიძლება განპირობებული იყოს ანტონიმის უქონლობით, ანდა დამატებითი სემანტიკური ნიუანსის გამოხატვის აუცილებლობით, უპირატესად სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, მხატვრულ ენაში კი — სტილის სპეციფიკითაც. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელმა დონემ დიდად შეუწყო ხელი ასეთი ფორმების გავრცელებას: არააცილებადი, არაბმული, არაგამჭოლი, არადრეკადი, არათავისუფალი, არაკლდოვანი, არალითონები, არამადნეული, არასაიმედოობა, არატრანსპორტაბელური....

ტექნიკური ტერმინოლოგიის ბოლო გამოცემაში<sup>1</sup> უპირატესობა მიენიჭა არა- ნაწილაკს. ორიოდ შემთხვევაში დადასტურდა არ- ვარიანტიანი ფორმებიც: არდაიშლებადი (//არადაშლადი), არიწვებადი (//უწვავი), არიწვებადობა (//უწვაობა). აღნიშნული ლექსიკონის წინა გამოცემაში<sup>2</sup> ასეთი ფორმები მეტი იყო: არგამტარი, არგაუმტარობა, არიკოქსებადი, არიუანგებადი, არიშლებადი, არიცვებადი, არსაბრუნი, არსაშალი, არშერევადი არშესხმული, არშეცხობადი, არწამრეცხი, არწაირეცხებადი, არწილადობა.

სპეციალურ ენაში ასეთი წარმოება შეიძლება ხელოვნური გვეჩვენოს, მაგრამ იგი დასტურდება არა მარტო თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, არამედ ძველ ქართულშიც.

როგორია ახალ ქართულში არ- და არა- ნაწილაკების განაწილება? მასალის ანალიზმა გვიჩვენა<sup>3</sup>:

1 ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1982

2 იქვე, თბ., 1961.

3 ვეყრდნობით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I, თბ., 1950.



1. უარყოფითი ნაწილაკის ორივე ვარიანტი იხმარება ექტო და საობიექტო მიმღეობებთან, როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური წარმოებისას, ზმნისწინიან თუ უზმნისწინო ფორმებთან. მაგალითები:

1) სასუბიექტო მიმღეობა:

არგამტანი, არმნდომი, არმყოფი... მაგრამ: არაგამტარი, არადამაკმაყოფილებელი, არადამაჯერებელი, არამეტყველი, არამცოხნელი.

2) საობიექტო მიმღეობა:

ა) სუფიქსიანი: არარსებული, არგაგონილი, არგაკითხული, არდაბადებული, არნახული, არყოფილი... მაგრამ: არადაინტერესებული, არანორმირებული, არაორგანიზებული, არაუზრუნველყოფილი.

ბ) პრეფიქსიანი: არგასაზრდელი, არგასაწყვეტი, არგასახარელი, არდასაცალელებელი, არსახმენელი, არსაქნელი... მაგრამ: არადასაბეგრავი, არაპატივისცემი, არასაკადრისი, არასაკმაო, არასამუშაო, არასასიამოვნო, არასასურველი, არასახარბიელო.

პარალელური ფორმები გვაქვს ვინ და რა ნაცვალსახელებთანაც: არვინ, არცრა, არა←არ-რა<sup>4</sup>, ერთი მხრივ და არავინ, არარა (აქედან: არარაობა), მეორე მხრივ.

2. მხოლოდ არ- ნაწილაკი გვხვდება:

ა) მასდართან: არარსებობა, არგაგება, არქონა, არყოლა, არყოფნა, არცოდვა, არცოდნა.

მასდარისაგან ბრუნვის ფორმით ნაწარმოებ ზედსართავებთან კი არა- ნაწილაკი დადასტურდა: არადრეკადი, არაზედმიწვევითი, არაკოქსვადი, არაცვალეზადი, არაცვალეზადობა.

ბ) კითხვით ზმნისართებთან: არროდის, არროს, არხად, არსაიდან, არსაით.

3. ახალი სიტყვის მაწარმოებლად მხოლოდ არა- ნაწილაკი გვხვდება:

ა) ზედსართავებთან: არაადამიანური, არაამქვეყნიური, არაარსებითი, არაბუნებრივი, არაგეგმიანი, არაგონიერი, არაგულწრფელი, არადროული, არაერთნაირი, არაზუსტი, არათავისთავადი, არათანაბარი, არაიშვიათი, არაკვალიფიციური, არალეგალური, არამართებული, არამგავსი, არამუღმივი, არასაბოლოო, არასრული, არასწორი, არაფარდი, არაძირითადი...

ბ) ზმნისართებთან: არაერთგზის, არაერთხელ, არავითარი, არაო-

<sup>4</sup> აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 44.



დეს, არასგზით, არასდროს, არასოდეს. ერთადერთი გამონაკლისი „აროდეს“, რომელიც უფრო არქაული ფორმა ჩანს. მასვე უნდა დავმატოს აკ. შანიძისეული „არ-ტოლად“<sup>5</sup>.

გ) არსებით სახელებთან: არათითი, არაკაცი, არარეალობა, არა-ნიუსტე, არაფერი, არაშვილი.

რა ვითარებაა ამ მხრივ ძველ ქართულში?

იოანე პეტრიწის ენაში გვხვდება როგორც არ-, ისე არა- ნაწილაკით ნაწარმოები სიტყვები. არ- ნაწილაკი, როგორც წესი, მიერთვის სახელმწიფებს (მასდარსა და მიმღობას) და აბსტრაქტულ სახელებს (არესეობაჲ, არიგივეობაჲ, არმეზიარე, არმეზიარებელი, არმოქენე, არმყოფი, არარსებაჲ, არუზიარებლობა, არშემწყენარებელი), აგრეთვე, ნაწილაკებს (არლა, არცა, არ ოდენ), ხოლო არა- ნაწილაკი — ზედსართავ სახელებს (არა სრული, არა სწორი)<sup>6</sup>.

საბას ლექსიკონში შეტანილია ასეთი აგებულების ერთადერთი სიტყვა — არაწმიდა. ილია აბულაძის ლექსიკონში კი არ- ნაწილაკიანია არმეცნიერი 'უტოლინარი'; უფრო მეტი არა- ნაწილაკიანი სიტყვები: არა-არსი, არა-არსება, არა-განწყუნილი, არა-გარდამაქცეველი, არაფინაჲ, არაფინაჲთ, არაფისი, არა-კეთილი, არა-მართალ, არა-მართლად, არა-მოფასეობა, არა-მოკსენება, არა-მყოფი, არა-ნებითა, არა-ნეფსით, არა-პატიოსანი, არარა, არასადა, არასადათ, არა-სარწმუნოება, არა-საკმარი, არა-ღირსი, არა-ყოფა, არა-ყოფილი, არა-შეწყალებული, არა-ძღება, არაწმიდა, არა-წრფელი.

ჩამოთვლილ მაგალითებში არა- მიერთვის ზედსართავებს, მიმღობებს, ნაცვალსახელებს. ლექსიკონში მისი არსებით სახელთან ხმარების ორი შემთხვევაა გამოყოფილი: არა-ერ-ი 'სხვა ხალხი': („ეპრქუა არა-ერსა ჩემსა“) და არა-ჟამ-ი 'უჟამო, უდროო' („ნუჟუჟე მოჰკუდე არა-ჟამსა შენსა“). აქ ორივეგან არსებითი სახელით გათიშული ნაცვალსახელის უარყოფა უნდა იყოს უფრო: „არა ჩემი ერი“, „არა შენი ჟამი“. მსგავსი შემთხვევები ხშირია „ვეფხისტყაოსანში“<sup>7</sup>:

- მიჯნურობა სხვა რამეა, არ ზიძვისა დასადარი (24, 2).
- უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი (1072, 4).
- სულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა (413,2).
- თავ-ჩამოგდებით მტირლისად, არ ჰერეტით მოლიზდარისად (85,2).

5 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 160, § 193: არ-ტოლად შერწყმული სახელები.

6 იოანე პეტრიწის შრომები, I, თბ., 1940, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა.

7 დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1974 წლის გამოცემის მიხედვით (სერიიდან „ქართული პოეზია“).

სული დაიღეს, დაღუმდეს, მივლენ არ თურე მღერითა (997, 2).  
 ეუბნა კაცსა არ სიტყვა-მცთომელსა (1051, 3).  
 წინა-უკანა იარნეს ორნი ღღენი და ღამენი,  
 ღღისით და ღამით მაშვრალნი, არ საჰამადთა მჰამენი (215, 2).  
 ჟამამდის ჩემსა ნუ იტყვიოთ არ თქვენსა პატრონობასა (1046, 1).  
 პირის-პირ ომი არ ძალ გვიც, არ ჟამი საკვეხხარია (1379, 3).  
 ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა-საკვეხელსა (727, 1).  
 ...იგონებდა არ საქმეთა საომართა (743,4).  
 მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურველია (156, 1).  
 კვლა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა (726, 2).  
 თქვენთანა ჩემი სიციცხლე არ ჩემი შესაგევანია (1181, 4).  
 უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა (120,3).

გათიშული ფორმები დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ჩა-  
 ნართ და დანართ სტროფებშიც:

წავიდა მისი მლოცველი, არ ომა მომკვეხხარია (1648, 4).  
 ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, იყენეს არ ჩემგან ქებულნი (908,4).

ცხადია, არ-/არა-ნაწილაკდართული ყველა სიტყვა „ვეფხისტყა-  
 ოსანში“ არ გაიაზრება კომპოზიტად, მეტიც, ერთი და იგივე სიტყვათ-  
 შეხამება ხან კომპოზიტია, ხან — დამოუკიდებელი სიტყვები. მაგა-  
 ლითად, ერთ ცნებას გამოხატავს სიტყვები არ-მქისი (//არა-მქისი),  
 არ-წბილი ფრაზებში:

მისგან მომეცა მოსმენა არ საუბრისა მქისისა (377, 3).  
 უბნობენ ლალნი, წყლიანი, არა სიტყვითა მქისითა (686, 3).  
 ფრიღონის, პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა (1450, 3).

მაგრამ ეგვე სიტყვები არ ქმნის კომპოზიტს ფრაზებში:

პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი (1059, 2).  
 განაღამცა მას ვეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი (1292, 2).

რაც შეეხება არ-/არა- ნაწილაკების განაწილებას „ვეფხისტყაო-  
 სანში“, უნდა აღინიშნოს, რომ არა- ნაწილაკიანი ფორმები ერთეულ  
 შემთხვევებში დასტურდება:

1. ნაცვალსახელის ფუნქციით ნახმარ კაც- ფუძესთან:

უგუნებოდ არა კაცი არ მოკვდების... (893, 2).  
 კაცსა არას არ იახლებს... (767, 3; ინგოროყვას გამოცემაში:  
 „არას კაცსა“).

2. ზედსართავთან:

ერთად სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა მქისისა (1068, 3).  
 უბნობენ ლალნი, წყლიანი არა სიტყვითა მქისითა (686, 3).

<sup>8</sup> მაგალითები დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ პ. ინგოროყვასეული გამო-  
 ცემის იმხედვით, თბ., 1953.

ხელი ხადეს ხრმალთა მითთა, არა ცუდად წელთა ებნეს (1521, 4).  
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო (1523, 2).

3. ზმნისართთან:

პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების (771, 4).  
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს (28, 3).

4. მიმღეობასთან:

ხელ-აპყრობით ღმერთსა მადლობს ცნობა-სრული, არა მთრვალი (1298, 4).

5. მასდართან:

...მეტად უარეა არა-თქმა და ჭირთა მალეა (405, 2).  
ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა... (742, 3).  
...თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების (503, 1).  
...ღედოფალო, გჳირს ამათი არა-მცნება,  
ესენია მსხნელნი ჩვენნი... (1631, 2. პ. ინგოროყვას გამოცემა).  
არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა (იქვე, 320, 4).

ამ უკანასკნელ ზმნასთან არ- ნაწილაკიც დასტურდება ერთხელ:

ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის... ყმისა არ-სმა არად გვგავა (501, 4).

„ვეფხისტყაოსნის“ ენაში თვალში საცემია არ- ნაწილაკით ნაწარ-  
მოები სიტყვების სიმრავლე. არ- ნაწილაკის გამოყენების არე თითქ-  
მის შეუზღუდავია. ყველაზე მეტია ზედსართავსა და სინტაქსურად  
მის ფარდ მიმღეობასთან შერწყმის შემთხვევები. ასევე ხშირია იგი  
არსებით სახელთან და სინტაქსური ფუნქციით მასთან ახლომდგომ  
მასდართან. იშვიათად გვხვდება იგი რიცხვით სახელთან, ნაცვალსა-  
ხელსა და ზმნისართთან. მოვიყვანთ ზოგ ნიმუშს ტექსტიდან.

1. არ- არსებით სახელთან:

მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-აღქატი სისა (1451, 1).  
ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არ იეფობით (621, 4).

...ჟამად გვანია ჩვენ თქვენი არ-ორგულობა (435, 3).

წვადი შეიწვეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,  
მუნ უპურობა პურობა, არ-სიღიადე ჟამისა (912, 2).

თავსა მოვიკლავ...

მაგრა შენ გაწყენ ჩემისა არ-სიცოცხლისა სმენასა (825, 3).

აწ ღმერთმან მოგვცა წყალობა, ვცან მისი არ-სიძვირითა (1438, 3).

სიამოვნისა დართა იარეს, არ სიძნელითა (1025, 1).

ზამს... არ-სიწყნარე გონებისა მოიძულოს (212, 4).

...ვახდა ზათქი და ზარები... მუნ იყო არ-სიწყნარები (1167, 2).

2. არ- ნაწილაკი მასდართან:

...ეუბნეს არ აჯებითა (573, 3).

ღამე მერჩია, მეწადა არ-გათენება დილისა (392, 4).

შენ არ-გატეხა კარგი გვირს ზენაარისა ფიცისა (697, 1).  
 კვლა ვაამაღლა ზახილით ტირილი, არ-გაცინება (245, 3).  
 თუცა მისი არ-გაწირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს (767, 1).  
 არ-ღავიწყება მოყვრისა აროდეს გვიხამს ზიანსა (789, 1).  
 აჰა მიხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ-ღათოვნა (208, 1).  
 არს პირველი მიჯნურობა არ-ღაჩენა ჭირთა, მალეა (27, 1).  
 სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა (887, 3).  
 მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა (768, 3).  
 ღარჩომა და არ-სიკვდილი მას უმძიმდა მეტის-მეტად (493, 4).  
 აქა საღმე არ-ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი (154, 4).  
 რა ნახიან ერთმანეთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან (566, 4).  
 ვიცი, შორი-შორ არ-ჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ვქმენითა (1427, 4).  
 ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახლომა (1530, 4).

### 3. არ-ნაწილაკი ზედსართავთან:

არ-ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა ღენისა (486, 4).  
 სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ-ახალია, ძველია (1163, 4).  
 მას მულამ ძველი ცეცელი სწევავს, არ ახალ, არ ახლებია (986, 3).  
 ...ასმათი მარტო ზის, არ ბარგოსანი (1342, 1).  
 ქალმან უთხრა საუბარი კვლუც-სიტყვად, არ დუხჭირად (126, 1).  
 ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი (380, 4).  
 ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია (558, 1).  
 ...შესთვალა პასუხი არ-ნაგარძელევი (807, 2).  
 ...იყო არ-ნათლად ნათელი (514, 1).  
 ყმა შევიდა მოკაზმული მხიარულად, არ ბირ-ბნელად (1245, 2).  
 კვლა ერთმანეთსა მიუღეს სიტყვები არ ბირ-მკვახეები (1394, 1).  
 გვირაბის კარსა ნიადვ მოყმე სცავს არ ბირ-ნასეები (1231, 1).  
 აწ თქვენგან მივხვდი საქმესა ყოლა არ-საადვილოსა (209, 3).  
 თქვენმცა მაშინ გენახენით, ლაღნი ვდევით, არ საპყრულნი (962, 3).  
 სამხრე გაბია ოქროსა... უსაკო და უსულო, არ სიტყვიერი (888, 2).  
 ჩამოვპბურე მრავალ-კეცი სტავრა მძიმე, არ-სუბუქი (1131, 3).  
 მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი (122, 4).  
 მერმე წასვლა არა მწაღდა, ამად მოვალ არ-ფიცხელი (540, 4).  
 თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგზომ არ-ღაფალსა (644, 4).  
 ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწველი, მაგრა მზმელი (1065, 1).  
 ავთანდილ მიხდა არაბეთს, ნახნა არ ცუდნი ჭირენი (1579, 4).  
 შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი (999, 1).

### 4. სასუბიექტო მიმღეობასთან:

ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი, არ გამწყვრალი (684, 1).  
 სასიმოცა მოგვივიდა, იყენეს ხანსა არ-დამზმელნი (543, 2).  
 მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არ-დამზრალი (1422, 4).  
 ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად (694, 1).  
 ხელსა მაღბენს ნახვა შენი, ამად გიქვრეტ არ-დამცთარად (944, 3).  
 მისით კითხვით წამოსრულვარ, არ-მთრვალი და არ-მამხმურად (922, 3).  
 შევეუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკვენესი (1189, 2).



ვის ძალ-უც ბოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა? (271, 3)  
 გამელავენებასა მექაღდა არ მოყვარულად, მტერულად (1194, 3)  
 კვლა შევა დარბაზს ვეზირი დარღვეით, არ-მხიარულად, (811, 1).

**5. საობიექტო მიმღეობასთან:**

**ა) სუფიქსური წარმოების მიმღეობის უარყოფა:**

ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშევებული ზეზითა (211, 2).  
 ...წყალი სდის, აროდეს არ გახმობილი (908, 3).  
 ...ერთი კილობანი დაბეჭდული, არ-გახსნილი (1354, 4).  
 ...მადლი ღმერთსა ვარდნი ვნახენ არ-დაზრულნი (1439, 1).  
 ყველაკი გაიყარა, ჭალაბი ჩანს არ-დაჯრილი (100, 3).  
 შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ-მალული (885, 1).  
 ახლოს დამისვა, მალირსა აქამდის არ-ღირსებული (531, 3).

**ბ) სა- თავსართიან მიმღეობასთან:**

მუნაღა ვებზნე ღონენი ჩემნი არ-დასამრუდენი (214, 4).  
 მან ჩემთვის დაწვა თავისა დაღვა, არ-დასაწვავისა (693, 2).  
 დაბრუნებთა გვეცემის ზიანი არ-საზომისა (1022, 2).  
 ...გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან არ-სათნებია (485, 2).  
 ... აწ თურ არ-სათქმელია, ... საამბობლადცა ძნელია (1220, 1).  
 ვერთსა ვიაჯი, მააჯეთ, სააჯო არ-საკრძალავი (1045, 3).  
 არ-სასმენლისა მოსმენა არს უმყავესი წმაზისა (886, 4).  
 გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო ჰმენითა (906, 3).  
 ...ნუ ამოგწყყვედ, არის შენგან არ-საქმენელი (415, 2).  
 ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება არ-საწყენია (733, 4).

**გ) ნა- თავსართიან მიმღეობასთან:**

მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ-დანაღამია (466, 1).  
 მე რომე ცეცხლი მეღების, არ-ნაგზეზბია კვესითა (916, 2).  
 მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები (1467, 1).  
 სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არ-ნაკლულითა (1007, 3).  
 ...არ ნაქმარია მთრვალისა (915, 3).  
 მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი (1302, 1).  
 ...ჩემი მივნური ხარ, დასტურია, არ-ნაქორად (129, 3).

**6. არ- ნაწილაკი უკუთქმით მიმღეობასთან:**

შენის მღერა და სიცილი მათ მისთა არ-უიციართა (1434, 3).  
 გამაგრებოდა სიკვდილსა ამისთვის არ უმხნეოდა (943, 3).  
 ...ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ-მეუზრახემან (729, 1).

**7. არ- ნაწილაკი რიცხვით სახელთან:**

ღღე იარა არ-მრავალი (1298, 2).

**8. არ- ნაწილაკი ნაცვალსახელთან:**

თუ მოგვეცემს შეილსა სასიძოდ, მისებრი არ-რომელია (504, 4).

## 9. არ- ნაწილაკი ზმნისართან:

არ-ავად გამორჩეული (4, 2).

...წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა,

სულთქმა სულთქმისა ბევრისა, მაშა თუ არ ერთხელისა (257, 4).

ჩვენ ყოვლთა გემართებს ნეტარძი ათასი, არ-ერთხელე ბი 1629,4 (პ. ინგ.)-  
გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს (532, 1).

ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა (1185, 1).

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ არა- ნაწილაკის სიტყვათ-  
საწარმოებელი ფუნქციით ხმარების არე შეზღუდულია. იგი მხოლოდ  
9 სიტყვაში დადასტურდა, მაშინ როდესაც არ-ნაწილაკიანი სიტყვები  
უამრავია. არ- ნაწილაკი მიერთვის არსებით, ზედსართავ, რიცხვით  
სახელებს, ნაცვალსახელს, მასდარს, მიმღეობებს, ზმნისართებს. ახალ  
ქართულში ამ ნაწილაკთა გამოყენების არე ასე დანაწილდა:

არსებით და ზედსართავ სახელებთან გვხვდება მხოლოდ არა-  
ნაწილაკი, მასდართან — მხოლოდ არ-; მიმღეობასთან ორივე ნაწი-  
ლაკი იხმარება, მაგრამ ჭარბობს არა-თი ნაწარმოები ფორმები. სრული  
ფორმის გავრცელებისათვის სხვა ენების გავლენასაც უნდა შეეწყო  
ხელი.

რადგან ჩვენი მიზანია თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლო-  
გიურ სიტყვაწარმოებაში არ/არა- უარყოფითი ნაწილაკის გამოყენები-  
სა და განაწილების გარკვევა, ამიტომ არ ვეხებით ისეთ ნაწარმოებს,  
სადაც უარყოფით ფორმათა წარმოება სხვა თვალსაზრისითაა გან-  
ხილული.

---

მუზიკის სიმბოლოები

„უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში“

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში შეინიშნება ორ-შემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოების საინტერესო შემთხვევები. ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელები უ- — -ო პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება, ფუძედ აღებულია იმგვარი რთული სახელი, რომელიც ძირითადად ერთცნებიანია, ან რომლის გაგება ერთ ცნებას უახლოვდება (თუმცა, შესაძლოა, ორ- და მეტცნებიანი რთული სახელიც შეგვხედეს<sup>1</sup>), მაგ.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის ფრიად ჰკვიანური, გრძნობიერი უმეტე-ნაკლებობა აღსრულება როლისა, რომლის ცხადი მაგალითი თვალწინ გავიტარა-ბ-ნმა გამყრელიძემ (ილია, ქველ).

უ ბ უ კ-ნ ა ლ ა რ ო ს საქმესა... თვალი ძნელად მისწვდება (ილია).

უ ძ ა ლ ღ ო ნ ო ბ ა ს, სისუსტეს

ვერ თვისობს ჩემი გონია (ვაჟა)

ჩვენ, უ ე ნ -პ ი რ ო ბუნება

სხვა ვართ, კაცთაგან ვსხვაედებით (ვაჟა).

ხშირად ქვას უ ე ნ -პ ი რ ო ს ა

ქვეყნის შემქმნელად ჰგონებთა (ვაჟა).

ძმობა ლომისა რას მარგებს

უსჯულჯანოს და უძღურსა (ვაჟა).

ირაკლი მათზე უ ჰ ი რ ნ ა ხ უ ლ ო არ ყოფილა (აკაკი).

შვილო... რითი იცხოვრებ უ მ ა მ უ ლ-დ ე დ უ ლ ო კაცი?

(ს. მაგ., ქველ).

უ წ ა რ ბ-წ ა მ წ ა მ ო მ და უთმობ

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1973, თბ., გვ. 147.

2 იხ. ძველი ქართულის ანალოგიური წარმოება: „ეგრევე თქუენცა უგულის-ქმოვე ხართ“ (მ., 15, 16).

საღლა გამოეყო თავია (3. ცახ.).

— რათა უნამუსომ? — ითვლავდა პირს ენაქართალა დარო — უნამუსომ ვარცხელში ზიზღიროსება (კ. კობ.)...  
კი არა, უ შვილ ძეო მიიმუნმა („მნათ.“).  
უ შვილ ძირო მეფეს როცა ჩეჩვა-ქსოვა დალიდა... ისვენებდა (კ. კობ.)...

ზემოთ ჩამოთვლილ შერწყმულ სახელთა შემადგენელი ნაწილები შინაარსის მიხედვით სინონიმური ან ანტონიმური წყვილებია:

უ-შვილძე-ო (შვილი//ძე), უ-მამულდედულ-ო (მამული — დედული), ან რაიმე ნიშნის მიხედვით ერთმანეთთან დაახლოებული საგნის სახელები: უ-ენპირ-ო (ენა და პირი), უ-წარბწამწამ-ო (წარბი და წამწამი), უ-სახლკარ-ო (სახლი და კარი).

ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელის ერთ-ერთ წევრად, კერძოდ, მსაზღვრელად, შეიძლება წარმოგვიდგეს ირიბ ბრუნვაში დასმული ჩვენებითი ნაცვალსახელიც:

წინათ სულ მთლიანი იყო, უამთაროებო (რ. ინან.).

ორშემადგენლიანი უარყოფითი ფორმის ვითარებით ბრუნვაში დასმით იწარმოება უარყოფითი ზმნისართები (უსახლკარო > უსახლკაროდ), ეს სინთეზური წარმოება ცვლის უარყოფით ანალიზურ წარმოებას: სახლკარის გარეშე უსახლკაროდ... ამგვარი წარმოება ახალი ქართული სათვის დამახასიათებელია<sup>4</sup>:

ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-გვართოდაც დიდიაო (ილია).

„შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჭერება“, — წამოიძახა უთავბოლოდ ლუარსაბმა (ილია, ქველ).

მშვიდობიანად, უბუკნადაროდ საქმობენ თავის საქმესა (ილია).

ერთი მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ — მიწა უმუშახელოდ (ილია, ქველ).

3 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 157.

4 ძველ ქართულში უარყოფითობა იწარმოება როგორც ანალიზურად, ასევე სინთეზურად ანალიზური წარმოებისას უარყოფითობის გადმოსაცემად გამოიყენება თვნიერ, გარეშე, გარნა თანდებულები (თუ ზმნისართული თანდებულები): ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თვნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ (მ. 13, 34 DE) შდრ.: უიგავოდ არას ეტყოდა მათ(C). „იგავისა გარეშე არას ეტყოდა მათ“ (მრ., 4, 34) „ხოლო ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარნა იერუსალმის წარწყმედალ“ (ლ., 13, 33, C) შდრ.: „რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალმისა წარწყმედალ“ (DE).

ზოგჯერ უარყოფითობა არა-ნაწილაკითაა გამოხატული: „და განკურნებდა ყოველთა სნეულებათა და არაძლებათა ერისათა“ (მ., 4, 28 C) შდრ. „და განკურნებდა ყოველთა მათ სნეულთა და ყოველთა უძრულეებათა ერისათა (DE)“. (თვნიერ, გარეშე, გარნა, გარდა... თანდებულების შესახებ იხ. ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, I, 1946, გვ. 240, 244...).

როგორც კაცი არ ვარბა უძმაბიჭოდ, უამხანაგოდ, ისე არც სიმღერა  
არ ვარბა უსაზანდროდ (აკაკი).

უტყაბატყუბოდ არ დარჩა  
ადგილი ერთი ბეწვია (ვაჟა).

სად თქმულა მკერდ-გაღელილი  
უხარ-გუთნოდა გურჯიო (ვაჟა).

(გლუხებს) არ ეგონათ, თუ ხელმწიფე უმიწაწყლოდ ინებებდა გლეხის  
ვანთავისუფლებას და აბუნტდნენ (გ. წერ., ქეგლ).

გიორგობისთვის რვაში ყველა ბატონის კაცები უმეტნაკლებოდ გორ-  
ში გამოცხადდნენ (ს. მაგალ., ქეგლ).

ეკატერინე ქვაბების ხეხვითა და ამგვარი საქმით უფრო იმახინჯებდა ისე-  
დაც დღეთისაგან უნიშაწყლოდ გაჩენილ პირისახეს (ე. ვაბ., ქეგლ).

დიწყუ პირდაპირ, უსალამ-ქალამოდ, იმ დიდებულმა კაცმა (ი. ახნაზ.,  
ქეგლ).

იმიტომ მოვიქონიე ყველაფერი, რო უშვილძიროდ გადაეშენდე (კ. კობ.).  
დარდად მხოლოდ ის მიმყვება, ... უდაძმოდ რომ გტოვებთ („კომ.“)...

უარყოფითობის წარმოების განხილული შემთხვევებისათვის  
ამოსავალი ფუძეა კომპოზიტები (ტყაბატყუბო, სალამ-ქალამო...), ტო-  
ლად-შერწყმული სახელები (ძმა-ბიჭი, ხარ-გუთანი, შვილ-ძირი...), ტო-  
ანალოგიურად იწარმოება უარყოფითობა, როცა ამოსავალში მსა-  
ზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგმა ივარაუდება, მაგ.:

დევს უმოძრაოდ, უსულთქმოდ (პ. ცახ.).

მერე უქუდოდ, უმოსასხამოდ და უხელჯოხოდ მოქუსლა (ნ. გოგოლ.,  
თარგმ.).

ბაქაწუ არ არის მგზავრთა მოსაცდელი შენობა და ცუდი ამინდის დროს  
მგზავრები უთავშესაფროდ არიან („კომ.“, ქეგლ)...

მართულმსაზღვრელიანი უარყოფითი ფორმები უფრო იშვიათად  
დასტურდება; უარყოფითი მართულმსაზღვრელიანი სინტაგმის ორ  
მაგალითს იმოწმებს აკ. შანიძე<sup>5</sup>:

ამ მოთხრობაში 12 ირმის რქა უკვე და მხოლოდ ჩიტის რქე-ლა აკლია, რომ  
ნამდვილ ზღაპრად იქცეს, მაგრამ უ-ჩიტის-რქეოდაც მას ზღაპრისა და ნა-  
ტყუარობის უცილობელი თვისებები ახლავს (ივ. ჯავახ.).

უპარხლის-სახარებოდაც ცხადია, რომ შატბერდის კრებული ეკუ-  
თვნის მეთე საუკუნეს (ქრონ., 1).

ანალოგიურია ეს მაგალითიც:

რა დღეში ვიქნებით უკლუბოდ, ურადიოდ, უტელეფონოდ, უბავშვთა-  
ბალოდ, უწყლოდ, უელექტრონოდ („ნიანგი“).

წარმოების თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ჩვენებითი (და  
კუთვნილებითი) ნაცვალსახელების შემცველი უარყოფითი ზმნისარ-

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 147.



თების სინთეზური წარმოების გავრცელების შემთხვევები ახალ ქართულში. ეს სინთეზური წარმოება ცვლის უარყოფით ანალიზურ ტრუქციას ამის გარეშე, იმის გარეშე, თქვენს გარეშე... წარმოვადგენთ სათანადო ილუსტრაციებს:

ელისოს დამოზა ვეიასათვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობაც კი ვერ წარმოედგინა უ-ამ-ქალოდ (ა. უაზბ.).<sup>6</sup>  
 თორემ აქ ვის რა გაძლებინებს, კლდეთ უფესურლებში, უამვარსკვლავოლდ? უმისხივოლდ? (ა. კალანდ. „აქ... რა გაძლებდა უამვარსკვლავოლდ“).

უამტრადიციოდ გაზრდილი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში გაცილებით მეტია მელანქოლიურობა, ინდიფერენტისში („ლიტ. საქ.“).  
 უამკოლოდ და უამჯავაროდ ისინი სისხლისაგან დაიწრიტებოდნენ. ...უამგრძნობოდ ვერაფერს გავაწყობთ („ლიტ. საქ.“).  
 უამწიგნოდ ვერ აიღვამს ენას ჩვილი (ბ. ბერ.).  
 უამცდებოდ ადვილად იღვზებოდა (ნ. გოგოლ. თარგმ.).  
 უამჰანგებოდ... მთა და ხეობა.. დროის ქარაფს მიემსხვრეოდა („კომ.“).  
 უამრწმენოდ, უამრწმენოდ, დღეო, ნუ გამითენდები. („ციხკ.“).  
 უამყვავილოდ თავისუფლებას ის დიდი ფასი მანც არ ჰქონდა (გ. დოჩ.).  
 ...წარმოგიდგენიათ ზღაპარი უამჯადოქრებოდ და უამდევებოდ („ახ. კომ.“).

როგორი ღარიბი იქნებოდა ჩვენი სული... უამგრძნობებოდ („კომ.“).  
 ხომ გვცივა უამსიტყვებოდ! (გ. ლეონ.).  
 ვინც ბუდექართველია, უამსადდეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! (გ. ლეონ.).

... ჩვენ უკვე ვეღარ წარმოგიდგენია, რომ ოდესმე ვიყავით უამმსახიობოდ, უასლამაზიშვილოდ („საქ. ქალი“).  
 უიმლონოდ და უიმგონებოდ... როგორ შეხედავდა (გ. დოჩ.).  
 ...და ჩვენი მეტრფე უიმმანქანოდ რიგითი ადამიანივით ფეხოსნად გამოდიოდა ქუჩებში (გ. დოჩ.).  
 უიმნატიფხმოდ დამლამობითაც კი ვეღარ სძლებდა (გ. დოჩ.).  
 პრინცესა კი... გაიძახოდა: უამაგჯამბაზოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო (ნ. გოგოლ., თარგმ.).  
 ...მაგრამ უთქვენგულოდ და უთქვენმარჯვენოდ მე უსუსური ვარ, ძვირფასო ბავშვებო (გ. ჰიქ.).

ვითარებით ბრუნვაში დასმული უარყოფითი ზმნისართების საპირისპირო დადებითი ფორმები მოქმედებითი ბრუნვითაა გამოხატული (უამქალოდ — ამ ქალით, უამწიგნოდ — ამ წიგნით, უიმმანქანოდ — იმ მანქანით, უამაგჯამბაზოდ — მაგ ჯამბაზით...), ან ნაწარმოები ფორმით (ამ ქალიანად...)

<sup>6</sup> იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147, შენიშვნა.



უარყოფითი ზმნისართების მსგავსი წარმოება სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულო და მოულოდნელი არ ჩანს. ის გვხვდება, უწინარეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსანში“:

„ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,  
ჯაჴე-მუზარადი აღმასი, ხრმალი ბასრისა, მკრელიო,  
თუ ქაჴნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!  
უმისჴამისოდ ვინც გაჴსნის, არის მეფეთა მკლველიო“. (1368).  
„უმისჴამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი“ (1475).  
...აჴ ავთანდილ გეთხოვების, მოაჴეობს, არ წამკიდობს,  
უმისყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს (754).

როგორც შენიშნული აქვს ა. შანიძეს, **უმისჴამისოდ, უმისყმი-სოდ** რუსთველისეულ წარმოებაში „გამოსავლად ნათ. ბრუნვის ფორ-მაა მიღებული“ და თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებულ ვი-თარებას წარმოგვიდგენს<sup>7</sup>.

საშუალო საუკუნეების ოფიციალური, კერძოდ, იურიდიული დოკუმენტების ენაში ამგვარი წარმოება ჩვეულებრივია.

მე უჩემშვილოდ ვერ გაძღებ (სამ. ძეგლ. VII).

ახლა უთქვენ-ბრძანებოთ და ურუსთ(ვ)ლოდ ქვევრები ველისცი-ხელთათვის მიუყიდნიათ და ბეითალმნები უთქვენ-წიგნოთ და ურუსთვ-ლის-წიგნოთ თითონ უჭირავს (სამ. ძეგლ. VII).

...ვისაც უჩვენ-წიგნოთ ბეითალმანი მიემძღავრებინოს თავისის ძალით, ავად მოუყარ (სამ. ძეგლ. VII).

ერთი ჩემი ყმა წლევეანდელი ჩასული ბიჭი ჰყავს ქისიყის მოურავს და უთ-ქვენაწიგნოთ (!) არ მაძლევს (სამ. ძეგლ. VII).

ყოვლად მოწყალეს ჯელმწიფეს ამას მოვახსენებ: ან თქვენ დამიხსნათ და ან ერთის ოქმის წყალობა მიყოთ, რომ დამიხსნას ვინმე უთქვენსოქმოთ (!) (სამ. ძეგლ. VII).

ნურას სათხოვარს უმუხრანის ბატონოთ ნუ სთხოვენ (სამ. ძეგლ. VI).

უმუხრანის ბატონოთ ნურას ითხო(ვ)ენ (სამ. ძეგლ. VI).

და იმ ვენახის გარშემო, რაც მამულები არის ზაზას ნაქონი, ყველა უმეტ-ნაკლებოთ(!) შუა უნდა გაიყოს (სამ. ძეგლ. VI)...

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ უარყოფით ფორმათა ამოსავალი ფუძეები თხზულ სახელებს წარმოადგენს. ეს თხზული სა-ხელები, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება იყოს ერთ- და მეტცნებია-ნიც. უარყოფითობის სინთეზური წარმოება ამ სახელებისა მოწმობს,

7 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 147. ამგვარი ფორმები დასტურდება „რუსულდანიანში“: „უჩემისქალისოდ არ იქნებოა“, „ეს უკაისნიშნოდ არ იქნებოდაო“; შდრ. „უშენტანისოდ ბროლი თუ უტალოდ მქონდეს, ძნელია (არჩ.)“.

რომ „მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული“<sup>8</sup>, <sup>თხზვის</sup> არსიც ამას გულისხმობს („ახალი სახელის წარმოშობას“)<sup>9</sup>, <sup>ე. ი. მთელი</sup> ხელდავად იმისა, ერთცნებიანია რთული სახელი თუ მეტცნებიანი, მო-  
ლაპარაკის მიერ ის გააზრიანდება, როგორც ერთი სახელი. უარყო-  
ფითობის სინთეზურ წარმოებას რთულ სახელებში გარკვეული ტრა-  
დიციაც უჩანს, ის თითქოს უფრო მოქნილია და, ერთგვარად, პერს-  
პექტიულიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უარყოფითი ფორ-  
მების ანალიზურ და სინთეზურ წარმოებათა ერთმანეთთან შენაცვლე-  
ბა ყოველთვის არ ხერხდება, მაგ.: „უტყაპატყუპოდ არ დარ-  
ჩა ადგილი ერთი ბეწვია“ (ვაჟა); ანდა: „გიორგობის რვაში ყველა  
ბატონის კაცები უმეტნაკლებოდ გორში გამოცხადდნენ“  
(ს. მგაღ.). უტყაპატყუპოდ, უმეტნაკლებოდ ზმნი-  
სართები ხსენებულ კონტექსტში ანალიზურად ვერ გადაკეთდები-  
ან<sup>10</sup>, ე. ი. უარყოფითობის სინთეზური წარმოება გარკვეულ შემ-  
თხვევაში ერთადერთი საშუალებაა სათანადო შინაარსის გამოსახა-  
ტავად. ამასთან, ყველა ცალკეულ შემთხვევაში სინთეზურად ნაწარ-  
მოები უარყოფითი ფორმები შეიძლება მოუქნელი ჩანდეს სალიტე-  
რატურო ენის თვალსაზრისით. ასეთებად მიგვაჩნია ზედსართავი სა-  
ხელისა და ზმნისართების შემდეგი უარყოფითი ფორმები:

ირიბი ობიექტის გამომატველი თანდებულბრუნვიანი სახელი... წინადადე-  
ბისთვის ისეთსავე აქტანტად უნდა იქნეს განხილული, როგორც... დანარჩენი  
უთანდებულბრუნვიანი წევრები („საენათმ. კრებ.“).

მანქანის აქეთ-იქით გაცვეთილი საბურავები, ნაირ-ნაირი ჭანჭიკები, ჯარად  
ქცეული ღერძები, დადვლარქნილი ბრტყელი რკინები, მანქანის უქართულსახელო  
ნაწილები და ათასი ხარახურა ყრია (კ. კობ.).

დიდი თეატრის მსახიობები გვეუბნებოდნენ, თითქოს უკვე წარმოუდგენელიც  
იყოს ჩვენი კოლექტივი უქართველმომღერლებოდ („კომ.“).

...ადამიანი... იმისთვის... მოდის ამქვეყნად, რომ... უჩვილბავშვოდ არ  
დაბერდეს („საუნჯ.“).

ახლა საღამოობითაც კი ვარჯიშობდა, ოღონდ უპიანისტროდიონო-  
ვოდ (გ. დოჩ.).

8, 9 ა. შანიძე, ქართული ენის გარმატიკის საფუძვლები, გვ. 147, 148.

10 ანალიზურად ვერ გადმოიცემა შემდეგი გამოთქმები: ულამაზოდ მოიქცა, უშნოდ გამოიყურება და სხვ. ყურნ. „ნიაწვის“ მკითხველი უკმაყოფილოა ერთ-ერთი დაწესებულების აბრაზე შესრულებული შემდეგი წარწერით: „სამამულო ომის მონაწილეებს და ინვალიდებს შემნახველი სალაროები ემსახურებიან ური-გოდ“... „თავიანთ მუშაობას ასეთ უარყოფით შეფასებას რატომ აძლევენ ამ დაწესებულებათა მუშაკები, როცა ჩვენ მათი მომსახურებით კმაყოფილი ვართ?“ — წერს მკითხველი და იქვე დასძენს: „ურიგოდ კი არა, რიგგარეშე უნდა დაიწეროს“.



სიცოცხლეს აზრი არა აქვს უფირმისკინქოდ („თბილ.“).  
უმწვრთნელოდ კი არა, უძველკაპიტნოდ, ხომ ხედავთ, რა დღეში  
ვართ („კომ.“)...

მსგავსი შემთხვევების უხერხულობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგმები ქართველი მომღერალი, პიანისტი როდიონოვი, ქართული სახელი, თანდებულიანი ბრუნვა, ძველი კაპიტანი არ ქმნიან ახალ ერთეულს, ახალ სიტყვას და, ამდენად, ამათგან უარყოფითი ფორმის წარმოქმნა გამართლებული არ უნდა იყოს (ისევე, როგორც გაჭირდება ვაწარმოთ სა-ქართველ-მომღერ-ლო, სა-თანდებულბრუნვიან-ო და მისთ. ფორმები)<sup>11</sup>. ამ ფორმათა აღქმისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის სიგრძესაც (მით უმეტეს, თუ მსაზღვრელი და საზღვრული მარტივი ფუძეა). მოკლე ფორმები უფრო ბუნებრივად აღიქმება; ბუნებრივად აღიქმება უარყოფითი ფორმები, რომელთაც მართულ მსაზღვრელად ჩვენებითი ნაცვალსახელი აქვს: „უამითებოდ“ შევიშლები, უამითებოდ გავვყდები“ (მ. ფოცხ.). სინტაგმაში „უამითებოდ“ მსაზღვრელი სიტყვის, ჩვენებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა ნეიტრალიზებულია და მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაგმა ერთ სახელად აღიქმება.



<sup>11</sup> შდრ.: უამსიტყვოდ—საამსიტყვოდ: ერთხელ ეპატიება კაცს, ორჯერ და ყოველ ნაბიჯზე რომ საამსიტყვოდ გაუხდეს საქმე, ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთია ავტორის ღირსების ასაწონად (ილია).

## როგნდა ღამაზიძე

### პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში

პროფესიის ტერმინოლოგიის შესწავლა საკითხების ფართო წრეს მოიცავს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური თვალსაზრისითაც, კერძოდ, ისტორიის, ეთნოგრაფიის, მატერიალური კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგის სპეციფიკას, რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას ბევრი სხვა დარგისაგან. ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი არქაულობაა. მოხელეობისა და მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვები საზოგადოებრიობის კულტურის ისტორიის ადრინდელ ეტაპებს უკავშირდება. ამითაა განპირობებული ამ ტერმინოლოგიის ხალხურობაც: მოსაქმეობის ტერმინთა დიდი ნაწილი ხალხში, შინაურობაში, კუსტარული წარმოებისას ჩაისახა და საერთო-სახალხო ენასა თუ მის დიალექტებთან გენეტურად უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული. შესაძლებელია ამით აიხსნებოდეს ის ფაქტიც, რომ ტერმინთა გარკვეული წყება, რომელიც პროფესიათა აღნიშვნას ემსახურება, დღესაც კი ნაკლებ ექვემდებარება ტერმინოლოგიურ ინოვაციებს და არცთუ ყოველთვის ხასიათდება იმ აუცილებელი განმასხვავებელი ნიშნებით, რომლებითაც მეცნიერული ტერმინი საერთო-სახალხო ენაში ხმარებული სიტყვებისაგან გამოირჩევა.

თემატური ჩარჩოები ამ საკითხისა შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს, თუ ამას დავუმატებთ კულტურულ-ისტორიული ევოლუციის ცალკეულ ეტაპებზე ხალხური მოსაქმეობის განვითარების, მისი შესაბამისი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების, ლექსიკური გეოგრაფიის, ეტიმოლოგიისა და სხვა საკითხებს.

პრობლემები, რომლებიც პროფესიის ტერმინოლოგიის საკითხებს უკავშირდება, შეიძლება უჩვეულოდ ბევრი იყოს და რამდენიმე სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვლევის საგანი გახდეს.

ჩვენი სტატიის ამოცანა ვაცილებით მარტივია. იგი პრაქტიკული ხასიათის საკითხის გადაწყვეტას ისახავს მიზნად, კერძოდ, ტერმინოლოგიური ლექსიკონების მასალაზე გააშუქოს პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვების წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და გადადგას ნაბიჯი ამ მასალაში არსებული ზოგი სიტყრელის სალიკვიდაციოდ, ერთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში ტერმინთა უნიფიცირებისათვის. პროფესიათა სახელები ქართულში რამდენიმე სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა:

### I. ხელობის, მოსაქმეობის სახელების აღსანიშნავად ენა სპეციალური დანიშნულების აფიქსებს იყენებს:

1. მე—ე: მე-თუნ-ე, მე-ფოლად-ე, მე-გუთნ-ე, მე-ჩარხ-ე, მე-ჯალამბრ-ე, მე-კარ-ე, მე-მანქან-ე, მე-არმატურ-ე, მე-დიზელ-ე, მე-კაფელ-ე, მე-მონტაჟ-ე, მე-ნავთობ-ე, მე-საფლავ-ე, მე-წყალსადენ-ე<sup>1</sup>.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, სიტყვათა ამ წყებას სახელი იმ ინვენტარის ან მასალის მიხედვით აქვს შერქმეული, რითაც, რაზედაც ან რომელთანაც სრულდება მოქმედება.

წარმოებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორია ძირეული სიტყვის ფუძე; საკუთრივ ქართული თუ ნასესხები, მარტივი თუ რთული, მე—ე ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენს სიტყვის ფუძის მიმართ და სრულიად გამჭვირვალედ მის ერთ გარკვეულ მნიშვნელობას აჩვენებს — მიუთითებს ამა თუ იმ პროფესიის, მოსაქმეობის, ხელობის მქონე პირზე.

ცხობილია, რომ ამგვარი წარმოებისას ძირეულ სიტყვასა და მაწარმოებელ სუფიქსს შორის შეიძლება გაჩნდეს ბგერა ან ბგერები, ე. წ. ინტერფიქსები<sup>2</sup>, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ჰგვანან აფიქსებს, მაგრამ მათ სიტყვაში არავითარი დამატებითი მნიშვნელობის შეტანა არ შეუძლიათ (ეს ძირითადად ხმოვანზე გათავებული სახელებია):

<sup>1</sup> იგივე წარმოება უნდა ედოს საფუძვლად იმ ტიპის ტერმინებს, გავრცელებულს ძირითადად სოფლის მეურნეობის (ენტომოლოგიის, ორნითოლოგიისა და ზოგ სხვა) დარგებში, როგორცაა: მემერქნია дровесник, მექვიშია песчанник, მემინდვრია полевка, მეზღვია поморник, მეკაკლიები орехотворки, მეთოვლია чайка, მემატლია мухоловка, მემარცვლია зерновка და სხვ. მაგრამ აქ მე—ე აფიქსით წარმოები სიტყვა საყრდენ ფუძედაა გამოყენებული ახალი სიტყვის საწარმოებლად და მნიშვნელობაც ახალი აქვს შექნილი. ამდენად ეს შემთხვევები ჩვენი მსჯელობის სფეროში არ შემოვა.

<sup>2</sup> იხ. Е. А. Земская, Современный русский язык, Словообразование, М. 1973.

მე-ტყე-ვე  
მე-ეზო-ვე  
მე-რძე-ვე  
მე-ამწე-ვე  
მე-შულო-ვე  
მე-ტუმბო-ვე

მე-ორმო-ვე  
მე-წინა-ვე  
მე-როგო-ვე  
მე-ხვალ-ი-ვე  
მე-ხბო-რ-ვე  
მე-ციხ-ოვნ-ვე

ზოგჯერ ხმოვანფუძიანებში შეიძლება მაწარმოებელი მხოლოდ მე-ზე იყოს დაყვანილი: თორნე—მე-თორნე.

ამგვარ ფორმათა გვერდით, არცთუ იშვიათად, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ანალოგიურ ვითარებაში სიტყვები არაერთად ხმოვანთგასაყარს არ საჭიროებენ<sup>3</sup>.

- 1) კალო—მე-კალო-ე  
კანჯო—მე-კანჯო-ე
- 2) ურო—მე-ურო-ე  
კუბო—მე-კუბო-ე
- 3) რუ—მე-რუ-ე
- 4) ჩაი—მე-ჩაი-ე  
მატიანე—მე-მატიან-ე  
თორნე—მე-თორნე
- 5) პაი—მე-პაი-ე
- 6) თამბაქო—მე-თამბაქო-ე
- 7) მალარო—მე-მალარო-ე

## 2. მე — ურ

მე-ბად-ურ-ი  
მე-დოლ-ურ-ი  
მე-ცეცხლ-ურ-ი  
მე-რგოლ-ურ-ი  
მე-ვზ-ურ-ი  
მე-ზღვა-ურ-ი  
მე-ძუძ-ურ-ი  
მე-ხე-ურ-ი  
მე-კლდე-ურ-ი  
მე-დღე-ურ-ი  
მე-კომ-ურ-ი

<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ლექსიკონში ჰრელი სურათია: პარალელურად ვხვდებით ორივე წარმოების შემთხვევებს.



3. იშვიათად გვხვდება დისიმილაციის შედეგად მიღებული **მე-ურ-ის** ფონეტიკური ვარიანტიც — **მე-ულ<sup>4</sup>**:

- მე-ბარგ-ულ-ი
- მე-კვერცხ-ულ-ი
- მე-კლიტ-ულ-ი

4. ზოგჯერ **მე-ე-სთან** თითქოს ფუნქციურად მკაფიოდ გამიჯნული არ ჩანს სიტყვის მაწარმოებელი მორფემა **მო-ე-ც<sup>5</sup>**. ამას გვაფიქრებინებს იმ რიგის სიტყვები, როგორცაა: **მოჭადრაკე, მომთაბარე, მოკარვე, მოზამთრე, მოხარკე, მოღეჭე, მოღაღე, მოჭირნახულე, თანამოსარეცელე, მოძალე, მოვალე, მობანე, მოსისხლე, მოხელე, მოქარავნე, მოზავე, მოღღებვალიე, მოქართულე, მოსარჩლე, მოძმე, მოასაკე, მოსაქმე და სხვ.**

თითოეულ ამ მაწარმოებელს თავისი ფუნქცია აქვს და ხმარების საკუთარი სფერო მოეპოვება: **მე-ე**, როგორც წესი, სახელთაგან აწარმოებს პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებს, **მო-ე** კი საშუალო გვარის ზმნათაგან — მიმღობებს, რომლებიც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ამა თუ იმ კონკრეტული მოქმედების შემსრულებელზე მიუთითებენ (**მონავარღე, მოღავე, მოკამათე, მოლაპარაკე, მოსრიალე, მოშრიალე, მოწკრიალე, მოგიზგიზე, მოჟიფიფე, მოჭიკჭიკე, მოლივლივე, მობანავე, მოქანავე** და სხვ.)<sup>6</sup>

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში წარმოების თავისებური სურათი სემანტიკით უნდა იყოს მოტივირებული. მათ უმრავლესობას ხელობის მნიშვნელობა სულ არა აქვს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მკაფიოდ არა აქვს გამოკვეთილი. ისინი ერთგვარად მერყეობენ ხელობის აღმნიშვნელ სახელსა და საშუალო გვარის ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღობებს შორის. შემთხვევითი არ არის, რომ ლექსიკონებში მათ უმრავლესობას სათანადო დუბლეტები მოეძებნება: **მოკარავე-ხვევრდით გვაქვს მეკარვე, მოზამთრეს გვერდით მეზამთრე, მოხარკე**

<sup>4</sup> სამეცნიერო ლიტერატურიდან საყოველთაოდ ცნობილია **მე-ე, მე-ურ-ულ** აფიქსთა ფუნქციები (იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, § 169, გვ. 135). გამოთქმულია მოსაზრება ამ აფიქსის — თავსართის თავდაპირველი დანიშნულების შესახებაც, როდესაც ისინი კლას-კატეგორიის ფუნქციის გამომხატველი უნდა ყოფილიყვნენ (არნ. ჩიქობავა, ქველ I, გვ. 034), მ. ტუ სკია, სახლთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1975.

<sup>5</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974, § 93, გვ. 114, იხ. მ. ტუ სკია, დასახ. ნაშრ.

<sup>6</sup> იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, § 598, გვ. 579.



მეხარკე, მოჭირნახულე||მეჭირნახულე, თანამოსარეცელე||თანამესარე-  
 ცელე, მობანე||მებანე, მოსისხლე||მესისხლე, მოკრივე||მეკრივე  
 ქარავნე||მექარავნე, მოდღეხვალიე||მედღეხვალიე და სხვ.

იშვიათად გვხვდება პირუკუც: მე—ე-თი გაფორმებული ხელობის აღმნიშვნელი სიტყვა. ზმნური შინაარსის მქონე ძირისაგან იწარმოება და მნიშვნელობაც მიმღეობისა აქვს: მეთვალთვალე, მეცადინე, მე-შულდე, მეკრიმანჭულე, მენადიმე, მესადილე (შდრ. მოთვალთვალე, მოცადინე, მოშულდე, მოკრიმანჭულე, მონადიმე, მოსადილე).

სწორედ ეს სემანტიკური მონაცვლეობა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ეს სიტყვები წარმოების თვალსაზრისით არ აგრძელებენ იმ ერთიან სტრუქტურულ ხაზს, რომელსაც საყოველთაოდ ემორჩილება ხელობის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება.

5. იშვიათად ხელობის აღმნიშვნელი ფუნქციით გვხვდება სუფიქსი -ელ, რომელიც ძირითადად სადაურობისა და იშვიათად მიმდევრობის აღმნიშვნელია ქართულში:

- მალარო-ელ-ი
- ავტოგზ-ელ-ი
- რკინიგზ-ელ-ი
- სამთო-ელ-ი
- ტრამვა-ელ-ი

დღეს ასეთი წარმოება ნაკლებპროდუქტიულია და სულ რამდენიმე მაგალითით შემოიფარგლება.

II. პროფესიის აღმნიშვნელი სახელები მეტწილ შემთხვევაში მიმღეობით გადმოიცემა:

მბურღავი	მგრეხელი	მრჩილავი	შემომჩეხელი
მგლინავი	მომპირკეთებელი	მთრიმლავი	განმქარჩავი...
მგოზავი	მღოზირებელი	მკოქსავი	

ტერმინთა გარკვეული ნაწილისათვის (იგულისხმება აფიქსური წარმოება) თუ სახელი ინვენტარის მიხედვით იყო შერქმეული (მებეტონე, მეაბრაზივე, მეაუზე, მეფოლადე, მეხრახნე, მეშპატე, მეცხავე და სხვ...), მეორე წყებისათვის — მიმღეობისათვის ამოსავალი ის საქმიანობაა, რომელსაც ასრულებს ამა თუ იმ პროფესიის (ხელობის) წარმომადგენელი.

პროფესიის ტერმინების მიმღეობით გამოხატვა დღეისათვის ძალიან გავრცელებულია მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციის ეპო-

ქაში, როცა მექანიზებულია საწარმოო პროცესები; ერთი მხრივ, უფრო დეტალიზებულია საქმიანობის სახეები, ხოლო, მეორე მხრივ, მუშაობის კომპლექსური ხერხებია შემუშავებული, როდესაც მწყობრ-შია ჩამდგარი სხვადასხვა რთული კონსტრუქციისა და აღჭურვილობის (ტექნიკური) დანადგარები, არსებითი ძვრებია მომხდარი დამუშავების ტექნოლოგიაში და სხვ., ბუნებრივია, ამა თუ იმ საქმიანობის სახელდება რაიმე კონკრეტული რეალიდან (ინვენტარიდან, მასალიდან, დეტალიდან) ამოსვლით პრიმიტიული და უკმარი საშუალება იქნებოდა. სიტყვაწარმოების გზით შექმნილი ტერმინები ვერ გასწვდებოდა იმ საჭიროებას, რომელსაც პროფესიის დარგში ასობით და ათასობით ახალი ცნება ქმნიდა. უთუოდ რაღაც ახალი და დამატებითი საშუალებები უნდა გამოძებნილიყო. შესაძლებელია, სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, რომ მიმდებამ ერთბაშად ასეთი ახალი ფუნქციური დატვირთვა მიიღო და მას სხვა დანიშნულებასთან ერთად საყოველთაოდ პროფესიის, ხელობის აღნიშვნაც დაეკისრა.

მიმდებამ იქაც კი ფართოდ გაიკაფა გზა, სადაც ტერმინების წაკლებობა არ გვქონდა და სახელთან ერთად, როგორც მისმა პარალელურმა ფორმამ, მოქალაქეობა მოიპოვა (**მესაჩერე||გამჩერებელი, მეპაკეტე||დამპაკეტებელი**).

შეიძლება ითქვას, რომ მიმდებობით პროფესიის ტერმინთა გამოხატვას გარკვეული უპირატესობა აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას მეტი სემანტიკური სიახლე ახლავს: იგი ზედმიწევნით ზუსტად მიუთითებს იმ საქმიანობაზე, რომლის გადმოცემაც შესაბამის ტერმინს ევალდება. შდრ. **მებუნკერე და ბუნკერში ჩამყრელი ბუნკეროვნიკი, მეგლემურძე და გლემურძის ამცლელი მездрильщик, მედორე და დორზე მომუშავე дорщик, მემუავე და მუავადამაზადებელი кислотчик, кислотник**.

მეორე მხრივ, საგრძნობია მიმდებობათა ამ დანიშნულებით გამოყენებისას გარკვეული „უხერხულობაც“. მიმდებობას, როგორც ითქვა, სხვა აზრობრივი დატვირთვაც აქვს: მათი უმრავლესობა ითავსებს პირისა და საგნის (ინსტრუმენტის, იარაღის, მანქანის და მისთანათა) მნიშვნელობას. ასე, მაგ.: **მტვირთავი** თანაბრად შეიძლება იყოს მუშაცა და მანქანაც, მაშინ, როდესაც მე—ე—თი ნაწარმოები სახელები ყოველთვის გამჭვირვალე სემანტიკისაა და კონტექსტის გარეშეც სწორად მაროინტირებელია.

ტერმინისათვის ცალსახა დამოკიდებულება შესაბამის ცნებასთან ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

III. პროფესიათა ტერმინების გადმოცემის ერთ-ერთი გზა აღწე-



რითი წარმოებაა. ფაქტობრივად ეს იგივე წარმოებაა, რაზეც **II** განაყოფში გვქონდა საუბარი, ოღონდ აქ შინაარსობრივად ტერმინი უფრო დაზუსტებულია: მოქმედებასთან ერთად დასახელებულია სამოქმედო საგანი, იარაღი, დეტალი, მასალა და ა. შ.<sup>7</sup>

სქელფისის გამომხდელი	пековщик
გორგლად დამხვევი ქალი	клубочница
დრაჟეს გამკეთებელი	дражировщик
ვაგონეტების მიმხმელ-მომხსნელი	плитовой
ორთქლპილრაველიკურ ღლობაზე მომუშავე	парогидрооттайщик
მონტეჟიუს აპარატის <sup>8</sup> მუშა	монжусник
ცეცხლგამძლე აგურზე მომუშავე	огнеупорщик
სამტვრევ კუტზე მომუშავე	копровой
საყალიბე მიწის დამამზადებელი	землеподготовщик,
	земледел
მიღების ბოლოების გამგანიერებელი	расковщик труб
ტექსტის ამწყობი	текстовик და სხვ.

ძირითადად ეს ისეთი გამოთქმებია, რომელთა გაკომპოზიტება და ერთ სიტყვად ქცევა მორფოლოგიური საშუალებებით მოუხერხებელია, რადგანაც მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი რამდენიმე ელემენტისგანაა შედგენილი.

IV. ცალკე ჯგუფს ქმნიან ქართულში უცხო ენიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც თავისი სემანტიკით მიუთითებენ ამა თუ იმ საქმიანობაზე, პროფესიაზე (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით)<sup>9</sup>: ინჟინერი, ექიმი, გეოლოგი, დრამატურგი, გეოგრაფი, ტოპოგრაფი, ქრონომეტრაჟისტი, ტრალმაისტერი, მექანიკოსი, ელექტრიკოსი, ტრაქტორისტი, ყასაბი, ბაყალი, ფეიქარი, იჯარადარი და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს ის ფენა, რომელიც პროფესიაზე მიუთითებს ლექსიკურადაც და დერივაციული საშუალებითაც (მე-ყასბ-ე, მე-

7 ზოგჯერ ამა თუ იმ მიმღობას ენაცვლება სიტყვა მუშა, რომელიც მომუშავე სიტყვის სემანტიკური დუბლეტია.

8 მონტეჟიუს აპარატი — ქიმიურ ქარხნებში მყავების, ტუტეებისა და სხვადასხვა სახის ამოსატუმბ-ჩასაშვები აპარატი.

9 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 135.

ბაყალ-ე და მისთ.). ამგვარი ტერმინების რიცხვი ძალზე მცირეა და რეგულარული ხმარების შემთხვევად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. როგორც საანალიზო მასალამ გვიჩვენა, სხვადასხვა პროფესიისა და მოსაქმეობის ტერმინები ქართულში ნაირგვაროვანი საშუალებებით გადმოიციემა. ნაირგვაროვანია ამ საშუალებათა მიმართ ენის დამოკიდებულებაც: ზოგს ნაკლებად იყენებს იგი, ზოგს უფრო მეტად. სხვადასხვაობაა თითოეული ამ რგოლის შიგნითაც.

ჩვენ საგანგებოდ ამ სხვადასხვაობის ერთ კერძო შემთხვევაზე გვინდა შევჩერდეთ: სახელდობრ, მე—ე-თი წარმოქმნილ სიტყვათა ერთ ჯგუფზე, რომელთა ფუძე უცხო ენიდან ნასესხებ კომპოზიტს წარმოადგენს.

ქართულში ამგვარი წარმოების ორი ტიპი გვხვდება: ერთ ტიპს ქმნის, მაგ., ჰიდრომემონიტორე და მეორეს — მეჰიდრომონიტორე. პირველ მაგალითში პრეფიქსი მე- რთული სიტყვის მეორე კომპონენტის წინაა დასმული, მეორეში კი — კომპოზიტის თავსა და ბოლოში<sup>11</sup>.

ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ამ თვალსაზრისით ჭრელი სურათია. ხან ერთი გვაქვს და ხან მეორე: ხან მეავტომეწვევა, ხან — ავტომეამწვევი, ხან მევაკუუმაპარატე, ხან ვაკუუმმეამაპარატე... ბუნებრივია, ამ შემთხვევათა უნიფიკაციაა საჭირო.

ჩვენი აზრით, მართებულ ფორმებად უნდა ჩავთვალოთ:

მეავტოგუდრონატორე [და არა ავტომეგუდრონატორე]	автогудронаторщик
მეავტოელექტროკარე [და არა ავტომეელექტროკარე]	автоэлектрокарщик
მეაირგენერატორე	газогенераторщик
მეაირმფრქვევანე	газоф орсуnщик
მეჰიდროსილაჭავლე	гидропескоструйщик
მეაირსატარე	газоходчик
მეასფალტბეტონე	асфальтобетонщик
მეგალვანობლასტე	гальванопласт
მედეზინტეგრატორე	дезинтеграторщик

10 იმ ენაში, საიდანაც ეს ტერმინებია შემოსული, სიტყვები სათანადო აფიქსებითაა გაფორმებული, მაგრამ ქართულში ისინი ერთ მთლიან ფუძედ გაიაზრებოან.

11 რუსულში ეს საკითხი მარტივად წყდება: აქ მხოლოდ სუფიქსურ წარმოებასთან გვაქვს საქმე და, ცხადია, აფიქსის სტაბილურობის საკითხი არ დგება

(ავტოკრანовщик, вакуумапп аратчик და ა. შ.).

მეელექტროლიტე  
მევაკუუმტუმბოვე  
მემარილწყლე  
მეელექტრომონტაჟე  
მესილაჰავლე  
მეპიდროციკლონე  
მექლორსადენე  
მეპიპოქლორიტე  
მეფილტრპრესე

электролитчик  
вакуумнасосчик  
тузлуковщик  
электромонтажник  
пескоструйщик  
гидроциклонщик  
хлоропроводчик  
гипохлоридчик  
фильтропрессовщик,  
фильтропрессчик.

მეპიდრომონიტორე  
მეპიდროპულბიორე  
მეპიდროსეპარატორე

гидромониторщик  
гидропульперщик  
гидросепараторщик

დასაბუთება ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციისა ძნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, ამ მოდელს (მე—ე—ს თავსა და ბოლოში მოთავსებას) უკვე გაკაფული აქვს გზა ენაში საკუთრივ ქართულ მასალაზე (მეწყალსადენე, მეტყვიამფრქვევე, მედღებვალიე, მეაბჯრეთუხუცესი, მეელმავლე, მემთამადნე), და მეორეც, ქართული სიტყვაწარმოების წესებს ემყარება: ნასესხები კომპოზიტი ერთ მთლიან საყრდენ ფუძეს წარმოადგენს და მისი დაშლა არ შეიძლება.

იგივე საკითხი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების სხვა შემთხვევებშიც ჩნდება, როცა ძირეულ სიტყვად უცხო ენიდან ნასესხები კომპოზიტი გვაქვს: რადიოსალოკაციაო თუ სარადიოლოკაციაო, რადიოსაპელენგაციაო თუ სარადიოპელენგაციაო, რადიოსატელეგრაფო თუ სარადიოტელეგრაფო და მრავალი სხვა.

რადგანაც ნასესხები გვაქვს ქართულში რადიოლოკაცია, რადიოპელენგაცია, რადიოტელეგრაფი და მისთ., ბუნებრივია, უნდა იყოს სარადიოლოკაციაო, სარადიოპელენგაციაო, სარადიოტელეგრაფო...

პროფესიათა ტერმინოლოგია, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი<sup>12</sup>, არც რუსულშია დღეისათვის მთლიანად შესწავლილი და უნიფიცირებული<sup>13</sup>. რეგულარული წარმოების გვერ-

<sup>12</sup> С. Г. Бархударов, О значении и задачах научных исследований в области терминологий, в сборнике: Лингвистические проблемы научно-технической терминологии, М., 1970, с. 10.

<sup>13</sup> ამ თვალსაზრისით შესწავლილია მხოლოდ ზოგი დარგი: საფეიქრო საქმის, ხის დამუშავების, მეთუნეობისა და სამკედლო საქმის ტერმინოლოგია, იხ.:



დით რუსულშიც ხშირად გვაქვს ტერმინის აგების უმართებულო შემთხვევები. ზოგჯერ ერთი და იმავე წიგნის ფარგლებშიც უჩვეულო სიჭრელეს ვხვდებით. ამის საუკეთესო ნიმუშს გვაძლევს 1974 წ. მოსკოვში გამოცემული წიგნი „Льготное пенсионное обеспечение“, რომელიც ათასობით პროფესიათა დასახელებებს მოიცავს. აქ ერთმანეთის გვერდით, პარალელურად, რამდენიმე სხვადასხვა წარმოების ტერმინი გვხვდება:

дозаторщик, дозировщик	მდოზირებელი,
фильтровщик, фильтовальщик	მფილტრავი
кислотник, кислотчик	მჟავადამამზადებელი
чистильщики, чищали	მწმენდავეები
катальщики, катали	გადაამგორებლები
молотобоец, молотобойщик	უროსმცეპი
контролеры, контрольные	მეკონტროლეები
котельщик, котловый	მექვაბე
вышковык, выщечник	მალღივ მომუშავე
кольцевой, кольцевщик	რგოლური ღუმელის მუშა
просевальщик, просевщик,	გამტრელი
просейвалщик	
шпатлевщик, шпаклевщик	შემფითხნი
печник, печной, печевой	მელუმელე
грохотильщик, грохотовщик,	მეცხავე, მცხრილავი და სხვ.
грохотчик	

ენობრივ მონაცემთა ასეთი სიჭრელე, ბუნებრივია, რომელ ენა-საც არ უნდა ეხებოდეს, გაერთმნიშვნელიანებას ითხოვს.

О. Н. Т р у б а ч е в, Ремесленная терминология в славянских языках, М., 1966, с. 55, 153, 180.

ვაჟა შინგელია \*

## ორი სადაურობის აღმნიშვნელი სახელის მართლწერილობის

### 1. ადიღელი, ადიღველი თუ ადიღელი?

ადიღე ქართულში ადგილის სახელია — ადიღელებით დასახლებულ ქვეყანას აღნიშნავს (ადიღეს ავტონომიური ოლქი), ამავე დროს, ეს ეთნიკური ტერმინიც აქედანაა: ადიღელი, ადიღველი, ადიღელი.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ადიღე და ადიღველი ერთნაირი მნიშვნელობისაა:

„ადიღე (ადიღესი) — 1. ძირითადი მოსახლეობა ადიღეს ავტონომიური ოლქისა... ჩერქეზთა მოდგმის ხალხია. 2. „ადიღე“-ს უწოდებს თავის თავს ყველა ჩერქეზი ტომი...“<sup>1</sup>

„ადიღველ-ი (ადიღველისა) — 1. ადიღეს ავტ. ოლქის ძირითადი მკვიდრი მოსახლე. 2. საერთოდ, ჩერქეზი...“<sup>2</sup>

ბუნებრივია, ადიღე-ს, როგორც ტოპონიმის, მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში არა გვაქვს.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ადიღე-სა და ადიღველ-ს სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს: ადიღე მისთვის ყველა ჩერქეზი ტომის სახელია, ტერმინი ადიღველი კი ადიღეს ავტონომიური ოლქის მკვიდრი მოსახლეობის სახელადაა გამოყენებული<sup>3</sup>. ამავე დროს ადიღე ენციკლოპედიაში ტოპონიმიკური ერთეულიცაა („ადიღეს ავტონომიური ოლქი, ადიღე...“)<sup>4</sup>.

ივ. ჯავახიშვილთან ადიღე-ს პარალელურად და იმავე მნიშვნელობით ადიღველ-საც შევხვდებით<sup>5</sup>.

1 ქეგლ, ტ. I, თბ., 1950, გვ. 122.

2 იქვე.

3 ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 93.

4 იქვე, გვ. 93—94.

5 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 54, 114, 187.



ს. ჯანაშია ადიღე ფორმას რჩეობდა<sup>6</sup>.

1983 წელს გამოცემულ მ. ცინცაძის წიგნში „საქართველო ენციკლოპედია“ ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან ტოპონიმად ადიღე-ა გამორყენებული, ეთნიკურ ტერმინად — ადიღეელი-ი.

ტოპონიმ ადიღე-საგან ნაწარმოები სადაურობის სახელის სხვადასხვა ფორმა — ადიღეელი, ადიღეველი, ადიღელი — ბუნებრივია, განვიხილოთ ზოგადად ქართულში ასეთ სახელთა წარმოების მოდელის თვალსაზრისით.

ადამიანთა წარმომავლობის (სადაურობის) აღმნიშვნელი სახელები, როგორც ცნობილია, სათანადო ადგილის სახელთაგან იწარმოება -ელ სუფიქსის საშუალებით<sup>7</sup>. -ელ სუფიქსის დართვისას ფუძის ბოლო-კიდური **ო** და **უ** შენარჩუნებულია, ხოლო **ა** და **ე** იკვეცება (მაგალითები ცნობილია):

წყალტუბო — წყალტუბოელი, საგარეჯო — საგარეჯოელი, საჩინო — საჩინოელი, ტოკიო — ტოკიოელი...

დვაბზუ — დვაბზუელი, ჩხოროწყუ — ჩხოროწყუელი, პერუ — პერუელი, კატმანდუ — კატმანდუელი...

ახმეტა — ახმეტელი, მცხეთა — მცხეთელი, აჭარა — აჭარელი, ევროპა — ევროპელი, კანადა — კანადელი...

ნოსტე — ნოსტელი, ბოდბე — ბოდბელი, ოჩამჩირე — ოჩამჩირელი, ვალე — ვალელი, ეგვიპტე — ეგვიპტელი...

ამრიგად, ზემოაღნიშნულის მიხედვით, ტოპონიმ ადიღე-საგან სადაურობის აღმნიშვნელი სწორი ფორმა იქნება ადიღელი... ბუნებრივ ქართულ მეტყველებაში ასეც იხმარება.

ადიღეელი კი წიგნური გზით შემოსული ფორმაა და გააზრების შედეგია (ადიღე ფუძეა და -ელი სუფიქსი უნდა დაერთოს!). ამ შემთხვევაში არც სათანადო რუსული ფორმის გავლენა გამოირიცხება (адыгейцы), სადაც ორი **е** გვაქვს (ერთი ფუძისეული, მეორე —აფიქსისეული)<sup>8</sup>.

რაც შეეხება ადიღეველ-ს, ის მეორეულია და ვ თანხმოვნის ჩართ-

6 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. IV, გვ. 77, 120, 143.

7 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 127; ა. რ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, ტ. I, თბ., 1950, გვ. 034.

8 ადიღე ხომ სათანადო ხალხისა და ქვეყნის აღსანიშნავად ქართულში ახალია, აღრე ჩერქეზი და ჩერქეზეთი (||საჩერქეზო) გამოიყენებოდა.

ვითაა მიღებული, რაც ქართულისათვის ბუნებრივი ხმოვანთა შემდგომობის სუპერაციის შედეგია<sup>9</sup>.

## 2. ჩილიელი, ჩილეელი თუ ჩილელი?

თანამედროვე პრესაში ჩილიელი-ც გვხვდება და ჩილეელი-ც:

ეს ჩილეელი ფეხბურთელებისათვის დიდი მხარდაჭერაა („თბილ.“). ნახევარფინალში ჩილელებმა სძლიეს იტალიელებს („თბილ.“).

მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ჩილეელი ფეხბურთელები („თბილ.“).

ჩილელებმა მწვევედ შეუტყეს („კომ.“).

უკანასკნელ მატჩში ჩილელებს გფრ-ის გუნდის წინააღმდეგ მოუხდებათ თამაში („კომ.“).

განმეორებით მატჩში ჩილელებმა სანტ-იაგოში აიღეს რევანში („ლელო“).

ათასობით ჩილეელი პატრიოტი დიღეგებშია ჩამწყვედული („სოფლ. ცხოვრ.“).

როგორც ჩანს, ფუძედ გაგებულია ხან ჩილი, ხან ჩილე; ზოგჯერ ჩილსაც მიიჩნევენ ფუძედ:

...საბჭოთა ფეხბურთელები მიემგზავრებოდნენ ჩილში („ლელო“).

ისინი გაემგზავრნენ ჩილში („ლელო“).

ვინ იმსაჯებს ჩილში? (ლელო“).

თავდაპირველად უნდა გაირკვეს ფუძის საკითხი: ჩილ, ჩილი თუ ჩილე.

ჩილე ესპანურენოვანი ქვეყნის სახელია და ჯობს ამ ქვეყნის სახელწოდების ფონეტიკური სახის შერჩევას ესპანურს დავემყაროთ. სიტყვის ბოლოკიდურად ესპანური აღნიშნულ სიტყვაში ე-ს ხმარობს და ეს ე გამოითქმის კიდევ: **Chile** (ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა **República de Chile**). ასევე გამოითქმის ე ისეთი ფართო ვავრცელების ენებში, როგორცაა ინგლისური, გერმანული, იტალიური... მხოლოდ რუსულსა და ფრანგულში იწერება და გამოითქმის ი: რუს. **Чили**, ფრანგ. **Chili** (როგორც ჩანს, რუსულში სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყნის სახელი ფრანგულის გზითაა შემოსული).

ამრიგად, სიტყვის ფუძედ უნდა მივიჩნიოთ ჩილე (და არა ჩილი, ან ჩილ) და ამის მიხედვით გვექნება: ჩილემ... ჩილემში, ჩილენე...

ტოპონიმ ჩილე-საგან სადაურობის სახელი ისევე უნდა ვაწარმოოთ, როგორც ადიღე-საგან (იხ. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა); მაშასადამე, სწორი ფორმებია: ჩილე — ჩილეელი.

<sup>9</sup> თ. უთურგაიძის თვალსაზრისის შესაბამისად, ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი ხმოვანთა მიმდევრობა ერთი მორფემის ფარგლებში, ხოლო მორფემის ფარგლებში მოქმედი სისტემა გავლენას ახდენს მორფემათა საზღვარზედაც (იხ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 31—41, 208).

მერი უინჯიაშვილი

განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებასთან  
დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის თანამედროვე  
ქართულში

თანამედროვე ქართულში გამოიყოფა განყენებული შინაარსის სიტყვები, რომელთაც აბსტრაქტული სახელები ეწოდებათ<sup>1</sup>. ამ სემანტიკურ ჯგუფში, ჩვეულებრივ, აერთიანებენ სახელებისაგან, ზმნისათვისაგან, ნაწილაკებისა და შორისდებულებისაგან -ება, -ობა და სი—ე აფიქსებით ნაწარმოებ სახელებს.

სემანტიკურად და ფუნქციურად ამ ჯგუფის სიტყვათა იდენტური არის განყენებული შინაარსის ნაზმნარი სახელებიც — მასდარები. ფორმა ამ ორივე ჯგუფის სახელებს მსგავსი აქვთ. მართლაც, ერთი შეხედვით შენება, თბობა, სიკეთე, ბოროტება, კაცობა, სითეთრე ერთეულების შეპირისპირება სინქრონულ დონეზე შენ-, თბ-, კეთ-, ბოროტ-, კაც-, თეთრ- ფუძეებსა და -ება, -ობა, და სი—ე მაწარმოებლებს გამოგვაყოფინებს. სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღიარებულია, რომ ეს აფიქსები საერთო მაწარმოებლებია მასდარისა და აბსტრაქტული სახელებისა და ისინი მასდარისაგან მომდინარეობენ აბსტრაქტულ სახელებში.

მაგრამ განყენებული შინაარსის სახელების პარადიგმატული მიმართებების განხილვის საფუძველზე მასალობრივად იდენტურ აფიქსებს -ება'ს და -ობა'ს სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა. შდრ.:

ა-შენ-ებ-ს, ა-შენ-ა — შენ-ებ-ა და ბოროტ-ი — ბოროტ-ება  
ა-თბ-ობ-ს, ა-თბ-ო — თბ-ობ-ა კაც-ი — კაც-ობა.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 131—133; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 217—238; ა. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX—X, თბ., 1958, გვ. 121—125.



შეპირისპირება ცხადყოფს, რომ -ებ და -ობ სუფიქსები ზმნის პირიანი ფორმების კუთვნილებაა. ქართულში დრო-კილოთა <sup>ქრონოლოგიის</sup> ზმნათა პირიან ფორმებში -ებ და -ობ თემის ნიშანთა გარდა ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებად გვევლინება -ავ, -ამ, -ემ, -ევ, -ოფ, -ეფ და ა. შ<sup>2</sup>. ამგვარი ზმნების უპირო ფორმების დაბოლოებებიც შესაბამისად არის: -(ა)ვ-ა, -(ა)მ-ა, -ემ-ა, -ევ-ა, -ოფ-ა, -ეფ-ა და ა. შ. მაშასადამე, ქართულში -ებ და -ობ სუფიქსები პირიანი ზმნის საყრდენი ფუძის მაწარმოებელი მორფემების -ავ, -ევ, -ამ, -ემ... რიგში დგანან და მასდარშიც მათგან მომდინარეობენ, საკუთრივ მასდარის მაწარმოებელი კი არის -ა<sup>3</sup>.

საზოგადოდ ქართულში ზმნის პირიან ფორმათა წარმოების მრავალგვარი ყალიბი გვაქვს, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქმნიან ზემოთ ჩამოთვლილ სუფიქსთაგან -ებ, -ობ, -ავ და -ევ მაწარმოებლიანი ფუძეები; შესაბამისად მრავალრიცხოვანია -ებ-ა, -ობ-ა, -ავ-ა და -ევ-ა-დაბოლოებიანი მასდარები როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში. ხოლო აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებელ საშუალებად ძველ ქართულს გამოუყენებია მასდართა ყველაზე გავრცელებული დაბოლოება -ება (||-ობა). სი—ე საერთო მაწარმოებელია ორივე ჯგუფის სახელებში<sup>4</sup>. მასალობრივად იდენტურმა საწარმოებელმა მორფემამ შეაპირობა მასდართა და აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკური და ფუნქციური მსგავსება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია აწმყოს -ებ და -ობ სუფიქსების ისტორიული მიმართების საკითხები: -ობ წარმომავლობით -ებ სუფიქსის ფონეტიკურად შეპირობებული პოზიციური ვარიანტია: -ვებ—-ობ<sup>5</sup>. ეს სვამს საკითხს -ება'სა და -ობა'ს მიმართებისას აბსტრაქტულ სახელებშიც.

ნათქვამი ცხადყოფს, რომ აბსტრაქტულ და ნაზმნარ სახელთა წარმოება მარტივ სურათს არ ქმნის: ერთი მხრით, აშკარაა მათი მსგავსე-

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 397—416; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, I, თბ., 1950, გვ. 062.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 231.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 235—238.

<sup>5</sup> G. Deeters. Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 218, 126, 231; არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, I, გვ. 062; თ. გამყრელიძე, ვ. შაქვაძე, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 43—45, \*274; ბ. ჯორბენაძე, ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ. 78—91.



ბა, ხოლო, მეორე მხრით, ხელშესახეაია მათ შორის სხვაობაც, ამიტომ კანონზომიერი იქნება, თუ განყენებული შინაარსის სახელები კლასში გამოვყოფთ ორ ჯგუფს: 1. აბსტრაქტული სახელებისა და 2. ნაზმნარი სახელების ჯგუფებს. ამგვარი კლასიფიკაცია იძლევა შესაძლებლობას, ზოგი საკითხის ანალიზისას წარმოჩინდეს მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

განყენებული შინაარსის სახელების სემანტიკური განსაზღვრა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარია. ა. შანიძე ამ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის სიტყვებს „აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელ სახელებს“ უწოდებს<sup>6</sup>. ა. მარტიროსოვიც აღნიშნავს: „განყენებული სახელი აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავს, მასდარი კი, როგორც განყენებული ნაზმნარი სახელი, აღნიშნავს მოქმედებამდგომარეობის ზოგად პროცესს პირისა, დროისა და უღვლილების სხვა კონკრეტულ კატეგორიათაგან განყენებულად“<sup>7</sup> სხვაგვარადაა განმარტებული ეს სახელები ბ. ფოჩხუას შრომაში: „ცალკე სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან ის სიტყვები, რომლებიც თვისებას გადმოსცემენ განყენებულად (ე. ი. მისგან დამოუკიდებლად, რისი თვისებაცაა)... ამხანაგობა განყენებულად წარმოვედგენს იმ თვისებას, რომელიც ამხანაგი სიტყვის მნიშვნელობაში არის წარმოდგენილი“<sup>8</sup>.

პირველი განმარტების მიხედვით, განყენებული შინაარსის სახელი საგან-ცნების აღმნიშვნელია, ხოლო, მეორე თვალსაზრისით, განყენებული სიტყვები თვისებებს გადმოსცემენ მისგან დამოუკიდებლად, რისი თვისებაცაა. საკითხი ისმის, რა მიმართებაა, ერთი მხრივ, საგან-აღსანიშნსა, აღმნიშვნელ სიტყვასა და, მეორე მხრივ, ნაწარმოებ სიტყვას შორის. რას აღნიშნავს სემანტიკურად **კაცობა, ამხანაგობა, ბედნიერება, სიწითლე**: სიტყვების — **კაცი, ამხანაგი, ბედნიერი, წითელი** — საგნობრივ მნიშვნელობას განაზოგადებს თუ მათს თვისებას წარმოაჩენს.

განყენებული შინაარსის სახელთა სემანტიკური ნიუანსების გამოსავლინებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათს სინტაგმატურ მიმართებებს. სახელდობრ, ქართულში ყოველი სახელი შეიძლება გამოდიოდეს მსაზღვრელის ფუნქციით, აბსტრაქტული სახელი კი ძალიან იშვიათად (ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასუბსტანტივეებულია, მაგ.: სამების ტაძარი, ბზობის კვირა) გვევლინება

6 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 131.

7 ა. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება..., გვ. 126.

8 ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 137.



ატრიბუტივის როლში. ჩვეულებრივ, წინადადებაში ის მხოლოდ შემთხვევით შემთხვევებში შესიტყვებაში შედის. განყენებული შინაარსის სახელების სინტაქსურ მიმართებებში უკუფენილი ჩანს მათი ძირეული მნიშვნელობა, საგნები, მოვლენები, თვისებები და მოქმედება-მდგომარეობა გამოხატოს ცნებებით, უფრო განზოგადებულად, განყენებულად, ვიდრე ეს შესაძლებელია მათივე შესაბამისი ძირეული მორფემებით.

ამგვარ ინტერპრეტაციას ამაგრებს ისიც, რომ აბსტრაქტულ სახელებს მრავლობითი არ ეწარმოება: მრავლობითობა გულისხმობს მრავალ კონკრეტულში განხორციელებულ ერთ, აბსტრაქტიზებულ ზოგადს. ხოლო აბსტრაქტული სახელი არის ზოგადის, განყენებულის, ცნებითი შინაარსის ნომინაცია, რაც თავისთავად გამორიცხავს სიმრავლეს.

განყენებული შინაარსის სახელების ფორმობრივი ანალიზისას ისმის, ერთი მხრით, ძირეული მორფემების, მაწარმოებელი აფიქსების განაწილებისა და, მეორე მხრით, წარმოების პროცესით შეპირობებული ფონეტიკური ცვლილებების საკითხები.

განყენებული შინაარსის სახელების საყრდენი ფუძე სხვადასხვანაირია: სახელი ბრუნებადია, ზმნა — ულლებადი, სხვა მეტყველების ნაწილები ფორმაუცვლელი სიტყვებია; ხოლო მათგან ნაწარმოები აბსტრაქტიზებული სახელები არის ფორმაცვალებადი, ბრუნებადი სიტყვები.

საანალიზო სიტყვათა მაწარმოებელი აფიქსები ა და ე ხმოვნით ბოლოვდება. ამგვარფუძიანი საზოგადო სახელი ქართულში ფუძეკვეცადია: განყენებული შინაარსის სახელებიც თანამედროვე ქართულში ყველა ფუძეკვეცადია.

როგორც აღვნიშნეთ, განყენებული შინაარსის სახელების საწარმოებელი აფიქსები სამგვარია. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თანამედროვე ქართულში რა სიხშირით იხმარება თითოეული აფიქსი და როგორია მათი განაწილების სფერო.

ა. მარტიროსოვი დაწვრილებით განიხილავს აბსტრაქტულ სახელთა წარმოების საკითხს ძველ ქართულში, შემდეგ ძველი ქართულის ვითარებას აღარებს ახლისას და ასკვნის: 1. აბსტრაქტულ სახელთა წარმოების ტიპებს შორის... მტკიცე ზღვარი არ არის, ეს აფიქსები ერთნაირად აწარმოებენ აბსტრაქტულ სახელებს ზედსართავთაგან, არსებით სახელთაგან, ასევე ვნებითი და საშუალი გვარის მიმღობათაგან. 2. ხშირია შემთხვევები, როცა ერთისა და იმავე ფუძისაგან პარალელურად წარმოქმნილია აბსტრაქტული სახელები -ება და -ობა სუ უიქსებით. 3. ძველ ქართულში უფრო პროდუქტიული იყო -ება



ტიპის წარმოება, ახალში კი, პირიქით, იგრძნობა -**ობა** სუფიქსული ბატონების ტენდენცია<sup>9</sup>.

ხოლო პრეფიქს-სუფიქსური წარმოების შესახებ არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „სი-მკნ-ე, სი-ველოვნ-ე, სი-ბოროტ-ე... ახალ ქართული-სათვის უცხოა: მათი ადგილი დაიჭირა მხნე-ობ-ა, ხელოვნ-ებ-ა, ხელოვნ-ვან-ებ-ა, ბოროტ-ებ-ა-მ: პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება შეცვალა ოდენ-სუფიქსიანმა წარმოებამ“<sup>10</sup>.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, როგორც უკვე ვთქვით, უამრავი განყენებული შინაარსის სახელია. კერძოდ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში<sup>11</sup> შეტანილია **სი—ე, —ეზა** და **-ობა** აფიქსებიანი 5500-მდე სახელი. ნაზმნარ და აბსტრაქტულ სახელებში ძირეულ მორფემათა მიხედვით ამ სუფიქსთა განაწილება ამგვარია:

1. **სი—ე** მორფემას უძველესი აფიქსების რიგში აყენებენ. ის ნაზმნარი და აბსტრაქტული სახელების საზიარო მაწარმოებლად მიჩნეული<sup>12</sup>.

თანამედროვე ქართულში განყენებული შინაარსის სახელთა სინონიმურ მაწარმოებელთაგან ყველაზე ნაკლები ინტენსივობით **სი—ე** აფიქსები იზმარება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ მორფემებით ნაწარმოები მხოლოდ 297 ერთეულია შეტანილი.

ა. შანიძე წერს: „-ობა სახელებს აწარმოებს ისეთ სახელთა ფუძეებისაგან, რომლებიც საგანს აღნიშნავენ, ხოლო **სი—ე** აწარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ“<sup>13</sup>.

განმარტებით ლექსიკონში შეტანილი **სი—ე**-აფიქსებიანი განყენებული შინაარსის სახელებიდან მხოლოდ ოციოდეა არსებითის ფუძისაგან ნაწარმოები.

ესენია: სი-ალალ-ე, სი-ბაეშე-ე, სი-ბრძნ-ე; ასევე: სიბებრე, სიგანე, სიგლახაკე, სივალაღე, სივაჟკაცე, სილაზათე, სიმახვიღე, სიმხეცე, სიყმაწვიღე, სიყმეწიყრმე, სიცხოვეღე, სიჭაბუკე, სიხალისე და სიჯიქე.

ამ სახელების საწარმოებელ ფუძეთა უმრავლესობა ქართული ძირეული ლექსიკის კუთვნილება არაა („ალალი“, „ვალალი“, „ლაზათი“, „ჭაბუკი“); ხოლო „მახვილი“, „ყმაწვილი“ და „ცხოველი“ წარმომავლობით მიმღეობები.

9 ა. მარტიროსოვი, აბსტრაქტულ სახელთა წარმოება..., გვ. 121—127.  
 10 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 238.  
 11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომად, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I—VIII, 1950—1964.  
 12 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 238.  
 13 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 133.



ენებით და საშუალო გვარის მიმღებების დიდი ჯგუფების წარმომადგენელი შინაარსის სახელებს აწარმოებს **სი**—ე აფიქსებით. მაგალითად:

სი-მდგრად-ე, სიამწვავ-ე, სი-მხურვალ-ე, სი-მკრთალ-ე, სი-მთვრალ-ე, სი-მყრალ-ე, სი-მშრალ-ე; ასევე: სიმცხრალე, სიდამბლე, სიმსივნე, სიმჭრელე, სიმძულვარე, სიმხიარულე, სიმწუხარე, სიმედგარე, სიმდიდრე, სიგამბდრე, სიმშვენიერე, სიმძლავრე და ა. შ.

უმეტესად კი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, **სი**—ე მორფემებით განყენებული შინაარსის სახელები იწარმოება ზედსართავი სახელების ფუძეთაგან.

მაგალითად:

სი-ადვილ-ე, სი-ბედშავ-ე, სი-ბრიყვ-ე, სი-გლუვ-ე; ასევე: სიგრილვ, სიდიადე, სივიწროვე, სილამაზე, სილურჯე, სიმარდე, სიმშვიდე, სიმწვავე, სინათლე, სინაზე, სინოტივე, სირბილე, სისადავე, სისველე, სისაძაგლე, სისულელე, სიყვითლე, სიშავე, სიცივე, სიწვრილე, სიძველე, სიჭკვიანე, სიხაშმე, სიჯილე და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ძველსავე ქართულში პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოებას ცვლის სუფიქსიანი ვარიანტები. თანამედროვე ქართულში კი მკვეთრადაა გამოხატული სუფიქსური წარმოების გაბატონების ტენდენცია. კერძოდ, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში მხოლოდ ორმოციოდე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ განყენებული შინაარსის სახელს არ დაეძებნება პარალელური სუფიქსიანი ვარიანტები. გვაქვს:

სითეთრე, სიფითრე, სიმცირე, სისწორე, სიმძაფრე, სიკასკასე, სიკისკასე, სიკეციტე, სისქე, სიბრტყე, სიმკვანე, სიკეთე, სიაშკარავე, სიმჭლევე, სიგლუვე, სისრულე, სისაწყლე, სიხმელე, სიწრფელე, სითხელე, სიფაფუკე, სიმხდალე, სიფართე, სიმსუქნე, სიმედგრე და ა. შ.

მაგრამ არ დასტურდება:

თეთრობა, ფითრობა, მცირობა, სწორობა, მძაფრობა, კეციტობა, ბრტყელობა, მკვანობა, თხელობა და ა. შ.

უმრავლეს შემთხვევაში კი **სი**—ე მორფემებით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებს მოეპოვება სუფიქსიანი ვარიანტები. ეს ვარიანტები სემანტიკურად და ფუნქციურად იდენტურია არის **სი**—ე მაწარმოებლებიანი სახელებისა.

თვალში საცემია, რომ პრეფიქს-სუფიქსურ მაწარმოებელს ძირითადად ენაცვლება **-ობა** სუფიქსი.

მაგალითად:

სიკოხტავე||კოხტაობა, სიმხნევე||მხნეობა, სიბრმავე||ბრმაობა, სიმსუნავე||მსუნაგობა, სიღარბისლე||ღარბაისლობა, სივერავე||ვერაგობა,

სიაველავობა, სიქაჩლექაჩლობა, სისულელე||სულელობა, ნე||რეგვენობა, სისადაგლე||სადაგლობა, სიღამწვრე||ღამწვრობა.

ხოლო **სი**—**ეი**-ება მონაცვლეობის შემთხვევები ძალიან იშვიათია: სიფხვიერე||ფხვიერება, სიმხურვალე||მხურვალეობა, სიძლიერე||ძლიერება, სიღონიერე||ღონიერება და ა. შ.

ამასთან, ამ პარალელურ წყვილთაგან ხშირად სუფიქსური წარმოების ფორმას ეძლევა უპირატესობა. მაგალითად, თანამედროვე მწერლობაში, პრესასა და ზეპირმეტყველებაში უფრო მეტი სიხშირით იხმარება ფორმები:

ვერაგობა, ამპარტავენობა, მხნეობა, დამწვრობა, საზიზღრობა, ძლიერება, მშვენიერება, ღონიერება, სადაგლობა, ჭაბუკობა..., ვიდრე შესაბამისი ფუძეებისაგან **სი**—**ე**'თი ნაწარმოები ვარიანტები:

სივერაგე, სიამპარტავენე, სიმხნევე, სისაზიზღრე, სისადაგლე, სიღონიერე და ა. შ.

ხოლო აბსტრაქტული სახელების — ქალწულობა, თაღლითობა, თავხედობა, ბავშვობა, მალხაზობა, მცონარობა, უგუნურება, თავმდაბლობა, ერთგულება, ქვრივობა'ს შესაბამისი პრეფიქს-სუფიქსიანი ვარიანტები კი ძალიან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ ლიტერატურაში, ისიც — მხოლოდ გარკვეული სტილური ფუნქციით.

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ება** და **-ობა** სუფიქსებით ნაწარმოები უამრავი სახელი გვაქვს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია **-ება** და **-ობა** სუფიქსიანი 5200-მდე სახელი.

2. 1. **-ება** სუფიქსი თანამედროვე ქართულში უმთავრესად მასდარიბს აწარმოებს: **-ება-ა** დაბოლოება მოუდის იმ ნაზმნარ სახელებს, რომელთა შესაბამის ზმნის პირიან ფორმებს დრო-კილოთა პირველ ჯგუფში აქვთ **-ებ** თემის ნიშანი. რადგანაც **-ებ** სუფიქსიანი მრავალი ზმნა გვაქვს ქართულში, ამიტომ **-ება** სუფიქსიანი მასდარიც მრავალია. განმარტებით ლექსიკონში 2000-მდე **-ება-ა** სუფიქსიანი მასდარიც შეტანილი.

2. 2. ნაკლები რაოდენობით გვხვდება **-ება** სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები: განმარტებით ლექსიკონში შესულია 800-მდე **-ება-სუფიქსიანი** აბსტრაქტული სახელი.

ა. ამათგან 250 განყენებული შინაარსის სახელი მრმლეობისაგანაა ნაწარმოები. სახელდობრ, **-ება** სუფიქსით იწარმოება განყენებული სახელები მიმლეობებისაგან, რომელთაც აფიქსებად აქვთ:

- ილ: მინდობ-ილ-ება, მორჩ-ილ-ება, განხეთქ-ილ-ება;
- ულ: აგებ-ულ-ება, გაბედ-ულ-ება, შეხედ-ულ-ება;

-არ||-ალ: შუქელე-არ-ება, ბრწყინვ-ალ-ება;

მ—არ: მ-ძულე-არ-ება, მ-ღელე-არ-ება, მ-ცხუნე-არ-ება;

მ—იარ: მ-გლოვ-იარ-ება, მ-სხმო-იარ-ება, მ-ტეხ-იარ-ება;

მ—ურ: მ-სახ-ურ-ება;; სა—არ: სა-კუთ-რ-ება, სა-ოც-რ-ება; სა—ო:  
სა-ჩინ-ო-ება; უ—არ, უ—ავ, უ-: უ-პოვ-არ-ება, უ-კარ-ება, უ-მეც-  
რ-ება; უ-კედ-ავ-ება; უ—ო: უ-საფრთხ-ო-ება, უ-რწმუნ-ო-ება; -ედ:  
ქმ-ედ-ება.

ბ. -ება სუფიქსით განყენებული შინაარსის აბსტრაქტული სახელი  
სუბსტანტივებისა და სხვა მეტყველების ნაწილებისაგანაც იწარმოება.  
განმარტებით ლექსიკონში 400-მდე ამგვარი აბსტრაქტული სახელია  
შეტანილი. ამათგან მხოლოდ 30-მდე აბსტრაქტული სახელია ნაწარ-  
მოები მარტივი ფუძისაგან. მარტივფუძიანი არსებითებისაგან ნაწარ-  
მოებია ათიოდე აბსტრაქტული სახელი.

მაგალითად:

ამბორება, მანქანება, შნობება, ღვთაება, დროება, გარემოება, სა-  
სოება, პაპანაქება, სახება, ფუფუნება, ქალწულება;

ოციოდე აბსტრაქტული სახელი კი ნაწარმოებია ზედსართავისა  
და სხვა მეტყველების ნაწილებისაგან:

ფართობა, ამპარტავნება, ორგულება, ერთგულება, ლირწება,  
ბოროტება, იწროება, სიტკბობა, სურნელება, ნარნარება, ამაოება,  
სამება, ვაება, ვითარება, თვითება და სხვა.

უმეტესწილად კი -ება სუფიქსით აბსტრაქტული სახელები სახე-  
ლის რთული ფუძისაგანაც ნაწარმოები (370). კერძოდ, აბსტრაქტუ-  
ლი სახელები -ება სუფიქსით იწარმოება იმ სახელებისაგან, რომელ-  
თაც აფიქსებად აქვთ:

-ებურ: თავის-ებურ-ება; -ევან: ნაკლულ-ევან-ება; -ეულ: სნ-ეულ-  
ება, გრძნ-ეულ-ება; -იერ: სახ-იერ-ება, თვინ-იერ-ება, ბიწ-იერ-ება;  
-ოვან: სახ-ოვან-ება, კლდ-ოვან-ება, ხნ-ოვან-ება; -ოსან: პატი(ვ)-ოსნ-  
ება; სა—ო: სა-ზოგად-ო-ება, სა-ჭირ-ო-ება; სი—ო: სი-წრფ-ო-ება;  
უ—ო: უ-საზღვრ-ო-ება, უ-მანკ-ო-ება; უ—ურ: უ-წმინდ-ურ-ება,  
უ-გუნ-ურ-ება, უძლ-ურ-ება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უცხო წარმომავლო-  
ბის ყველანაირი სახელისაგან განყენებული შინაარსის სახელი ისევე  
იწარმოება, როგორც ჩვეულებრივი ქართული ფორმებისაგან. სახელ-  
დობრ, -იზ და -ირ მაწარმოებლიანი ნასესხობებისაგან ქართულში  
განყენებული შინაარსის სახელები იწარმოება ფუძეზე -ება სუფიქსის  
დართვით.

მაგალითები:

ინვენტარ-იზ-ება, დედუც-ირ-ება; ასევე: კონკრეტიზება, მოტორიზება, პასტერიზება, პოპულარიზება, ტერორიზება, ინდუცირება, კვალიფიცირება, ლითოგრაფირება, რედუცირება, ტელეგრაფირება, პროფოცირება და ა. შ.

**3. -ობა** სუფიქსიც განყენებული შინაარსის სახელებს აწარმოებს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში როგორც ზმნური, ისე სახელური ფუძეებისაგან. განმარტებით ლექსიკონში 2400-მდე -ობა სუფიქსიანი სახელია შეტანილი.

**3. 1.** ამათგან მხოლოდ 200-მდე სახელია მასდარი. კერძოდ, -ობა მაწარმოებელი აქვს იმ ნაზმნარ სახელებს, რომელთა შესაბამის ზმნის პირიან ფორმას დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მოუდის -ობ სუფიქსი. ამ ჯგუფში შედის:

- ა. უმთავრესად **თბება** ტიპის თემისნიშანმონაცვლე ზმნები (70-მდე);
- ბ. **თამაშობს, მეფობს** ტიპის ერთპირიანი ზმნები (70-მდე);
- გ. მასდართა ჯგუფს ვაკუთვანებთ -ობა-სუფიქსიან განყენებული შინაარსის სახელებს, რომლებსაც აშკარად ნასახელარ-ზმნური ფუძე აქვთ.

შეადარე: კოჭ-ა-ობ-ს — კოჭ-ა-ობა და კოჭ-ი; კენჭ-ა-ობ-ს — კენჭ-ა-ობა და კენჭ-ი; ბუც-ა-ობ-ს ბუც-ა-ობა და ბუც-ი; ბურთ-ა-ობ-ს — ბურთ-ა-ობა და ბურთ-ი; ასევე: კარგაკაცობა, ყოჩაობა, ლექსაობა, ჭორაობა, მწყერაობა, თევზაობა და ა. შ. (სულ 60-ოდე სახელია).

**3.2.** თანამედროვე ქართულში -ობა სუფიქსი ძირითადად აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელია. კერძოდ, განმარტებით ლექსიკონში შეტანილი 2200-მდე აბსტრაქტული სახელი -ობა სუფიქსიანია. დიდი წილი ამგვარი ფორმებისა ნაწარმოებია მარტივფუძიანი სახელეებისაგან (960).

- ა. არსებითებისაგან: ბავშვ-ობა, დედ-ობა, კაც-ობა...
- ბ. ზედსართავებისაგან (400): ბედოვლათ-ობა, წუწკ-ობა...
- გ. ნაცვალსახელისაგან (27): იმისთანა-ობა, ვინა-ობა, იმოღენ-ობა...
- დ. რიცხვითი სახელისაგან (3): პირველ-ობა, ერთ-ობა.
- ე. ზმნიზედისაგან (20): აქა-ობა, ახლო-ობა, ზედა-ობა, სადა-ობა.
- ვ. ნაწილაკისაგან (7): ოღენ-ობა, ალბათ-ობა, ჰოარა-ობა.

**3. 3.** აბსტრაქტული სახელები **ობა** სუფიქსით იწარმოება იმ რთულფუძიანი სახელებისაგან, — ძირითადად არსებითებისაგან, რომლებსაც აფიქსებად აქვს:



მე—ე: მე-ურმ-ე-ობა, მე-ჩექმ-ე-ობა, მე-თესლ-ე-ობა, მე-ინჟინერ-ობა, მე-ისრ-ობა;

მო—ე: მო-სახლ-ე-ობა, მო-ადგილ-ე-ობა, მო-ნაწილ-ე-ობა, მო-ნადირ-ე-ობა;

უ: უ-ხილ-ობა, უ-ქეიფ-ობა, უ-ზავ-ობა;

უ—ურს|უ—ულ: უ-სახ-ურ-ობა, უ-ფერ-ულ-ობა, უ-პირ-ულ-ობა;

-ად: სულ-ად-ობა, პირველ-ად-ობა, ტან-ად-ობა, ჯერ-ად-ობა.

-ელ კახ-ელ-ობა, ფარისევ-ლ-ობა;

-ეულ: ეშმაკ-ეულ-ობა, ნივთ-ეულ-ობა;

-იან: ბიჭ-იან-ობა, ხერხ-იან-ობა;

-იერ: ზეც-იერ-ობა;

-ოვან: გულ-ოვან-ობა;

-ოსან: თოფ-ოსან-ობა, ხმ-ოსან-ობა;

-ულ: პერიოდ-ულ-ობა, პარტი-ულ-ობა, რიტმ-ულ-ობა;

-ურ: დეფექტ-ურ-ობა, სცენ-ურ-ობა, ჰუმან-ურ-ობა;

ნა—არ: ნა-ცოლ-არ-ობა, ნა-სახლ-არ-ობა, ნა-ძირ-ალ-ობა;

სა-: სა-წყლ-ობა, სა-თუ-ობა;

სა—ო: სა-იმედ-ო-ობა, სა-ჯარ-ო-ობა.

**3. 4. -ობა** სუფიქსით იწარმოება აბსტრაქტული სახელები ნასესხები სახელებისაგან, რომელთა დაბოლოებაცაა:

-ენტ: დეკადენტ-ობა, ინტელიგენტ-ობა;

-ისტ: ანარქისტ-ობა, ტრაქტორისტობა, ეგოისტ-ობა;

-ორ: სუფლიორ-ობა, ფანტაზიორ-ობა, ინიციატორ-ობა;

-ოს: ისტორიკოს-ობა, კათალიკოს-ობა, კრიტიკოს-ობა, თეორეტიკოს-ობა და ა. შ.

**3. 5. -ობა** სუფიქსით ნაწარმოებია აბსტრაქტული სახელები იმ მიმღებობებისაგან (800), რომლებსაც აფიქსებად აქვთ:

მ-, მ—ავ: მ-ყოფ-ობა, თავმო-მ-წონ-ობა, მო-მ-ხიბლ-ა(ე)-ობა, მ-პარა(ე)-ობა, მო-მ-დურ-ავ-ობა;

მ—ალ: მ-ყვირ-ალ-ობა, მ-წერ-ლ-ობა;

მ—არ-ე: მ-დგომ-არ-ე-ობა, პირ-მ-ლიმ-არ-ობა, მ-ლებ-რ-ობა;

მ—ე: გა-მ-გე-ობა, მ-ძლ-ე-ობა;

მ—ელ: მ-თხზვ-ელ-ობა, მ-ხილვ-ელ-ობა, მ-ზრუნვ-ელ-ობა, მ-მართვ-ელ-ობა;

მა-: აღ-მა-ვალ-ობა, წინა-მა-სწარ-ობა;

მა—არ: მა-თხოვ-რ-ობა, მა-ხსოვ-რ-ობა, მა-ბეზღ-არ-ობა, მა-ძლ-რ-ობა;

მ—იარ: მ-სხმო-იარ-ობა, მ-გლოვ-იარ-ობა, მ-შობ-იარ-ობა;

- მა—ელ: წარმო-მა-დგენ-ლ-ობა, დუბლშე-მა-დგენ-ლ-ობა;
- მა—ურ: მა-ცდ-ურ-ობა;
- მე-: მე-დგ-ობა;
- მე—არ: მე-ძებრ-ობა;
- მე—ე: მე-შვ-ე-ობა, მე-ცადინ-ე-ობა, მე-შურნ-ე-ობა;
- მო—არ: პირ-მო-ცინ-არ-ობა, მო-კიცხ-არ-ობა, მო-ყვ-რ-ობა;
- მო—ე: კაცთ-მო-ძულ-ე-ობა, მო-მსახურ-ე-ობა, მო-წყალ-ე-ობა;
- ნა-: აღ-ნა-გ-ობა, ნა-ყიდ-ობა, ნა-კეთ-ობა, ნა-ცვლ-ობა;
- ნა—არ: ნა-ქნ-არ-ობა, ნა-შოვ-რ-ობა, ნა-ხსოვ-რ-ობა;
- ნა—ურ: ნა-მსახ-ურ-ობა;
- ნა—ევ: გუნება-ნა-ქც-ევ-ობა, ნა-ჩქარ-ევ-ობა;
- ნა—ულ: ნა-ზრდ-ულ-ობა, ნა-კლ-ულ-ობა, და-ნა-შაულ-ობა;
- სა-: ღირსშე-სა-ნიშნა-ობა, კეთილ-სა-ნახა-ობა;
- სა—ო: სა-ბრალ-ო-ობა, თვალ-სა-ჩინ-ო-ობა;
- უ—ავ, უ-: უ-ძრა(ვ)-ობა, უ-მოქმედ-ობა, უ-მზრახ-ობა, უ-რჩ-ობა;
- უ—არ, მი-უ-საფ-რ-ობა, შე-უ-მცდ-არ-ობა, უ-ჩინ-არ-ობა;
- უ—ელ: გა-უ-ზრდ-ელ-ობა, გადა-უ-ხდელ-ობა, და-უ-ზოგველ-

ობა;

- ელ: ნებ-ელ-ობა;
- ილ: ფერმიზღ-ილ-ობა, გან-დევ-ილ-ობა, ჩვ-ილ-ობა;
- ულ: გაზიდ-ულ-ობა, წახედ-ულ-ობა, ჩაკიდ-ულ-ობა;
- ად: კვეც-ად-ობა, წველ-ად-ობა, ქმნ-ად-ობა;
- ით: შემთხვევ-ით-ობა, ქმედ-ით-ობა, შეფარდებ-ით-ობა.

ზემოთ თქმულის შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნაზმნარ და აბსტრაქტულ სახელებში სი—ე, -ება და -ობა სუფიქსების განაწილების ცხრილი ასეთია:

5500 განყენებული შინაარსის სახელისაგან არის ნაწარმოები:

-ება სუფიქსიანი		-ობა სუფიქსიანი		სი-ე აფიქსიანი
სულ	2800		2400	300
ნაზმნარი სახელი	2000		200	—
აბსტრაქტ. სახელი	800		2200	300

ძველი ქართულის ანალოგიურად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სი—ე, -ება და -ობა აფიქსები დაერთვის განყენებული შინაარსის სახელებს — ნაზმნარ აბსტრაქტულ სახელებს. -ება და

**-ობა** იდენტური ფუნქციისაა და განყენებული შინაარსის სახელებს აწარმოებენ როგორც ზმნური, ისე სახელური ფუძეებისაგან. დროს მათ საწარმოებლად უმეტესწილად მკაცრად განსაზღვრული თავ-თავიანთი სფერო აქვთ.

სახელდობრ, **-ება** სუფიქსი ძირითადად მასდართა დაბოლოებაა; გვაქვს ამავე სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელებიც, ოღონდ უფრო მცირე რაოდენობით — 2000:850 (5:2). **-ება** სუფიქსით აბსტრაქტული სახელები იწარმოება ძირითადად მიმღეობებისა და სახელის რთული ფუძეებისაგან. **-ება** სუფიქსით განყენებული შინაარსის სახელები იწარმოება:

- ა. სახელებისაგან, რომლებსაც აფიქსებად აქვს: **-ებურ**, **-ევან**, **-ეულ**, **-იერ**, **-ოვან**, **-ოსან**, **სა—ო**, **სი—ო**, **უ—ო**, **უ—ურ**, **-იზ**,  
ბ. მიმღეობებისაგან, რომლებსაც აფიქსებად აქვს: **-ილ**, **-ულ**, **-არ||-ად**, **მ—არ**, **მ—იარ**, **მ—ურ**, **სა—ურ**, **სა—ო**, **უ—არ**, **უ—ავ**, **უ—**, **უ—ო**, **-ელ**.

ახალ ქართულში **-ობა** სუფიქსი ძირითადად აბსტრაქტული სახელების მაწარმოებლად გვევლინება. გვაქვს **-ობა-სუფიქსიანი** მასდარებიც, მაგრამ მცირე რაოდენობით — 2200:200 (11:1). **-ობა** სუფიქსით აბსტრაქტული სახელები იწარმოება ყველა სახის მეტყველების ნაწილებისაგან: ძირითადად არსებითი და ზედსართავი სახელების მარტივი ფუძეებისაგან, ასევე მიმღეობებისა და ნაწარმოები სახელების ფუძეებისაგან.

განყენებული შინაარსის სახელი **-ობა** სუფიქსით იწარმოება:

- ა. სახელებისაგან, რომლებსაც აფიქსებად აქვს:  
**მე—ე**, **მო—ე**, **უ-**, **უ—ურ||ულ**, **-ად**, **-ელ**, **-ეულ**, **-იან**, **-იერ**, **-ოვან**, **-ოსან**, **-ულ**, **-ურ**, **ნა—არ**, **სა-**, **სა—ო**, **-ენტ**, **-ისტ**, **-ორ**, **-ოს**.  
ბ. მიმღეობებისაგან, რომლებსაც აფიქსებად აქვს:  
**მ-**, **მ—ავ**, **მ—ალ**, **მ—ელ**, **მა-**, **მა—არ**, **მ—იარ**, **მა—ელ**, **მა—ურ**, **მე-**, **მე—არ**, **მე—ე**, **მო—არ**, **მო—ე**, **ნა-**, **ნა—არ**, **ნა—ურ**, **ნა—ევ**, **ნა—ულ**, **სა-**, **სა—ო**, **უ—ავ**, **უ-**, **უ—არ**, **უ—ელ**, **-ილ**, **-ულ**, **-ად**, **-ით**.

როგორც ვხედავთ, **სი—ე**, **-ება** და **-ობა** აფიქსებით ნაწარმოები განყენებული შინაარსის სახელების ძირეული მორფემები მრავალგვარია: საყრდენი ფუძე ხან მარტივია, ხან პრეფიქსულ-სუფიქსური, ხან ოდენპრეფიქსული ან ოდენსუფიქსური. ამგვარი სიჭრელის მიუხედავად, განყენებული შინაარსის სახელების მაწარმოებლესა და საყრდენ ფუძეს შორის მიმართება უმრავლეს შემთხვევაში უაღრესად მარტივია. განსაკუთრებით გამჭვირვალეა თანხმოვანფუძიანი ფორმებისაგან ნაწარმოები განყენებული შინაარსის სახელები.

მაგალითები:

სი-შავ-ე, სი-გრილ-ე, სი-წყნარ-ე, ამბორ-ება, ფუფუნ-ება, სურნელ-ება, ჭაბუკ-ობა, თემ-ობა, კოჭლ-ობა, ყვავილ-ობა, სადილ-ობა და ა. შ.

მაინც განყენებული შინაარსის სახელების ფუძეთა სეგმენტაციის დროს დგება ზოგი საკითხი.

4. უქონლობის სახელებისაგან განყენებული შინაარსის სახელების წარმოებისას თავისებურია ძირეული მორფემა. კერძოდ, როგორც ძველ, ისე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უქონლობის სახელების მაწარმოებელი აფიქსებია უ—ო ან უ—ურ, ხოლო მიმღებებისა კი — მხოლოდ უ<sup>14</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ისტორიულად ქართულისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო უქონლობის სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოება<sup>15</sup>. ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში შემონახულია ამგვარი წარმოების ნიმუშები, სათანადო მაგალითები გაქვეყნებული სახით ახალ ქართულშიც დაიძებნება: უმსგავსი, ურიცხვი, უჯერი, უეჭველი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უარყოფის შინაარსის მიმღებები ისევ ოდენპრეფიქსული წარმოების წესს მისდევს. მაგალითად: მო-უ-ქნელ-ი, უ-ხრწნელ-ი, უ-ცოდნელ-ი, უ-ჭმელ-ი.

სახელებში კი გაბატონებულია პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ორგვარი ყალიბი: 1. უ—ო: უ-თავ-ო, უ-ბედ-ო, უ-ძილ-ო და 2. უ—ურ: უ-ბედ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-ქმ-ურ-ი.

ხოლო როდესაც ამ ფორმათაგან განყენებული შინაარსის სახელები იწარმოება, ნაზმნარი სახელების მსგავსად, სახელებშიც პრეფიქსული წარმოების წესია გატარებული.

მაგალითები:

უ-თმინ-ობა, უ-მორჩილ-ობა, შე-უ-საბამ-ობა, უ-საქმ-ობა, უ-საქციელ-ობა, უ-სურვილ-ობა, უ-ცილ-ობა; შე-უ-ძლ-ობა.

უ-თავ-ობა, უ-ბედ-ობა, უ-ძილ-ობა, უ-იარაღ-ობა, უ-კაც-ობა, უ-ხორც-ობა, უ-ბიწ-ობა, უ-ნიჭ-ობა, უ-ზუსტ-ობა, უ-ტაქტ-ობა, უ-ნამუს-ობა, უ-მეფ-ობა, უ-შედეგ-ობა; ასევეა: უენობა, უზადობა, უწესრიგობა, უმადობა, უბედობა, უუნარობა, უგულობა და სხვა.

ეს თავისებურება განყენებული შინაარსის სახელთა სიძველის მიმანიშნებელია.

14 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 19; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 127, 597.

15 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 126.

მაშასადამე, თანამედროვე ქართულში, ერთი მხრით, გვაქვს ინტე-  
ვაციური წარმოების უქონლობის სახელების პრეფიქსულ-აფიქსული  
ფორმები: უ-თავ-ო, უ-ბიწ-ო და, მეორე მხრით, განყენებული წინაა-  
რსის სახელების ფუძეში შესული უქონლობის სახელთა არქაული  
ოდენპრეფიქსული სახეობები: უ-თავ-ობა, უ-ბიწ-ობა. სინქრონიულ  
დონეზე ამგვარი შეუსაბამობა უდევს საფუძვლად ისტორიულად სწო-  
რი, პარადიგმატული მიმართებებითაც გამართლებული ოდენპრეფიქ-  
სული წარმოების ვარიანტებად პრეფიქსულ-სუფიქსური სახეობათა  
გაჩენას.

მაგალითად:

უ-ბიწ-ობა||უ-ბიწ-ო-ება, უ-თანხმ-ობა||უ-თანხმ-ო-ება, ასევე: უმს-  
გავსობა||უმსგავსოება, ურჯულობა||ურჯულოება, უსაშიშრობა||უსაშიშ-  
როება, უღმერთობა||უღმერთოება, უწესობა||უწესოება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამგვარი უ—ო აფიქ-  
სებიანი ვარიანტები განყენებული შინაარსის სახელთა საყრდენ ფუ-  
ძეში ანომალიურია.

უ—ურ აფიქსიანი უქონლობის ფორმებისაგან განყენებული ში-  
ნაარსის სახელთა წარმოებისას რყევას: საყრდენი ფუძის პრეფიქსული  
და პრეფიქსულ-სუფიქსური ფორმები ხან სინონიმურ ვარიანტებად  
გვევლინებიან:

უ-წეს-ობა||უ-წეს-ურ-ება, უ-საქმ-ობა||უ-საქმ-ურ-ობა, უ-ზნე-  
ობა||უ-ზნე-ურ-ობა, უ-წმინდ-ობა||უ-წმინდ-ურ-ება.

უფრო ხშირად კი პრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური წარ-  
მოების უქონლობის სახელებიცა და მათგან ნაწარმოები განყენებული  
შინაარსის ფორმებიც ლექსიკურად სრულიად განსხვავდებიან ერთი-  
მეორისაგან.

შეადარე: უ-დაბ-ურ-ე-ბ-ა და უ-დაბ-ობა, უ-ბედ-ურ-ება და  
უ-ბედ-ობა, უ-გუნ-ურ-ება და უ-გონ-ობა; ასევე: უქმურობა და უქა-  
მობა, უმადურება და უმადობა და ა. შ.

ამგვარი ლექსიკური პარალელები -ურ სუფიქსის სიტყვაწარ-  
მოებითი ფუნქციის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

5. სი—ე, -ება და -ობა აფიქსებით ახალ ფორმათა წარმოებისას  
ა, ე და ო ხმოვნების გავლენით საწარმოებელ ფუძეში ხდება ფონე-  
ტიკური ცვლილებები: კუმშვა, კვეცა, ბგერის ჩართვა, დაკარგვა და  
ა. შ.

5. 1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კუმშვის ერთ-  
გვაროვანი წესი არ მოქმედებს: პოტენციურად კუმშვადი სიტყვა ზოგ-  
ჯერ შეუკუმშვადაც არის წარმოდგენილი ხმოვნით დაწყებული დაბო-  
ლოების წინა პოზიციაში. განყენებული შინაარსის სახელების წარ-



მოებისას კი ძირითადად კუმშვის ერთგვაროვანი წესი მოქმედებს: სი—ე, -ება და -ობა სუფიქსების დართვისას -ალ, -ამ, -ან, -არ, (მა—არ, შ—არ, უ—არ), -ელ (მა—ელ, უ—ელ), -ენ, -ერ, -ემ და -ობ, -ოლ, -ონ, -ორ მარცვლებზე დასრულებული პოტენციურად კუმშვა-დი სახელური და ნაზმნარი ფუძეები იკუმშება.

მაგალითები უამრავია:

-ალ, მ—ალ: ბალ-ი — ბლ-ობა, მდაბ-ალ-ი, — სი-მდაბლ-ე; ასევე: სიმართლე, სიმუხთლე, სიმაღლე, სისაწყლე, სიქაჩლე, სიცოცხლე; ალალმართლობა, ანგლობა, ბეითლობა, გენერლობა, გულმართლობა, თავმდაბლობა, დედლობა, დედოფლობა, დურგლობა, ენაჭარტლობა, ზეინკლობა, კვირაძლობა, მამლობა, მარშლობა, მაშელობა, მაჭანკლობა, სულმდაბლობა, ენამრავლობა, მუხთლობა, მხეველობა, პატარძლობა, რძლობა, სარდლობა, სარქლობა, საწყლობა, საზიზღრობა, ქაჩლობა, ყასბობა, წამლობა, წაწლობა, ჯანჯლობა; მწერლობა, შთამომავლობა, მიმავლობა, ქვეწარმავლობა.

-ამ: არ-ამ-ი — არმ-ობა, ვარამ-ი — ვარმობა; ასევე: ვაზშობა, სალმობა, ქათმობა, ჭერმობა.

-ან: ამპარტავენ-ი: სი-ამპარტავენ-ე, ამპარტავენ-ობა; ასევე: სიმსივნე, სიმტყუფნე, სიმსუქნე; ბატკნობა, გულთმისნობა, დიაკვნობა, თარჯიმნობა, კაპიტნობა, მგოსნობა, მდიენობა, მისნობა, ნიშნობა, ოჩნობა, საგნობა, ფალავნობა, ყორნობა, ჩოგნობა, ციგნობა, ხულიგნობა, ჯაბნობა.

-ობა, -ება სუფიქსების გავლენით -ოვან და -ოსან-სუფიქსებიანი სახელებიც იკუმშება:

-ოვან: აზრ-ოვან-ი — აზროვნ-ება, ახ-ოვან-ი — ახოვნ-ება; ასევე: ბერწოვნება, გემოვნება, გვაროვნება, გულოვნება, ეროვნება, კეთროვნება, კინოხელოვნება, ლომგულოვნება.

-ოსან: გვირგვინ-ოსან-ი — გვირგვინოსნ-ობა; ასევე თოფოსნობა, მანდილოსნობა, მძლეოსნობა, ნაოსნობა, ნიჩბოსნობა, საქმოსნობა.

-არ: მაგარ-ი — სი-მაგრ-ე, ავდარ-ი — ავდრ-ობა; ასევე: სიმედგრე, სიმდიდრე, სიგამხდრე, სიწამხდრე, სისაზიზღრე, სიმაძღრე, სიფაშრე; ბაზრობა, ბინადრობა, ბობოქრობა, ზამთრობა, კეისრობა, ლაშქრობა, ლაჩრობა, მედგრობა, ნოქრობა, პატიმრობა, საზანდრობა, უმუშევრობა, უტიფრობა, და ა. შ.

მ—არ, მა—არ, ნა—არ, უ—არ: მი-მ-დევ-არ-ი — მიმდევრობა, მა-თხოვრ-ობა, გა-უ-გონ-არ-ი — გაუგონრობა; ასევე: მკვდრობა, გულშემატკივრობა, მომღერლობა, წინამძღვრობა, წევრობა, ქვეგამ-



ხედვრობა, გამხდრობა, მეტებრობა, მოყვრობა, მოძღვრობა, მოძღვრობა, ნაყრობა, ნაშოვრობა, ნაბიჭვრობა, გაუგებრობა, დაუდევრობა, დაუდევრობა, დაუვიწყრობა, მიუსაფრობა, შეუპოვრობა, მხატვრობა, დამწვრობა.

-ელ: საძაგელ-ი — სი-საძაგელ-ე, საძაგელ-ობა; ავმუცელ-ი — ავ-მუცელ-ობა; სიტიტვლე, სიშიშვლე, სიფხიზლე, სინათლე, სიყვითლე, სიწითლე, ბოსელ-ი — ბოსლ-ობა; ასევე: სი-დარბაისლ-ე — დარბა-ისლ-ობა; იმერლობა, მასპინძლობა, მგლობა, მეზობლობა, მღვდლო-ბა, რთვლობა, სოფლობა, ფარისევლობა, ფეხშიშვლობა, ფურცლობა, ფშავლობა, ფხიზლობა, ღორმუცლობა.

-დელ: დღევანდლობა.

მა—ელ, მ—ელ, უ—ელ: წარმომადგენლობა, რჯულმდებლობა, შუამდგომლობა, მიწისმზომლობა, თანამშრომლობა, გამცემლობა, თა-ყვანისმცემლობა, გამომცემლობა ქვემძრომლობა, დაუბანლობა, უთმენლობა, თანდაუთმთხვევლობა, შეუმიჩნევლობა, უპატივეცემლობა, გამოურკვევლობა, დაურღვევლობა, გაუტეხლობა, მიუღწევლობა, გა-ნუყოფლობა, მიუჩვევლობა, შეუცდომლობა, დაუცხრომლობა, გაუ-წევლობა, ჩაუწერლობა, თავდაუქერლობა.

-ენ, -ემ, -ელ: რეგენ-ი — სი-რეგენ-ე, ბრძენ-ი — სი-ბრძენ-ე, ბრძენ-ობა; ზღვენ-ი — ზღვენ-ობა, ირმობა, კვირაცხოვლობა, ოქრო-მჭედლობა, ნათლობა, რეგენობა, ყურძნობა, შენოდნობა, ჩენოდ-ნობა, ძღვენობა.

-ერ: ბებერ-ი — სი-ბებერ-ე, ბებრობა, ინჟინრობა, იუნკრობა, კა-ვალრობა, მტრობა, მოზვრობა, ოფიცრობა, სწორფრობა, შოფრობა, ხევისბრობა.

-ობ, -ოლ, -ორ: ზოხზობა, ფოთლობა, ობლობა, კოკრობა.

წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს: რედუქციის ნორმა ისე თანმიმდევრულადაა გატარებული განყენებული შინაარსის სახელთა საყრდენ ფუძეში, რომ მათი ჩვენება შეიძლება გამოვიყენოთ საკონ-ტროლო საშუალებად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სა-ხელთა კუმშვის ერთიანი ნორმის შესამუშავებლად.

კუმშვის საერთო ნორმიდან გადახვევის შემთხვევები მეტისმე-ტად იშვიათია. სახელდობრ, ზემოთ წარმოდგენილი ჯგუფებიდან რე-დუქციის საერთო ნორმიდან გადახრის შემთხვევები დასტურდება -ან, -არ, -ამ, -ელ და -ერ მარცვლებზე დასრულებულ სახელებში.

-ან და -ამ მარცვლებზე დასრულებულ სახელებს იშვიათად აქვთ შეუკუმშავი და შეკუმშული ვარიანტები.

მაგალითები:

ავანჩავანობა||ავანჩავნობა, გარეგანობა||გარეგნობა, შავგვრემანო-



ბა||შავგერემნობა, ბუნდოვანება||ბუნდოვნობა, მაღალფარდოვანება||  
 მაღალფარდოვნობა, ნაკლულოვანება||ნაკლულოვნება, დიდბუნებოვანება||  
 დიდბუნებოვნობა, მორბენალობა||მორბენლობა, ნაცვამობა||ნაც-  
 მობა, ძუძუნაჭამობა||ძუძუნაჭამობა, დედინაცვალობა||დედინაცვლობა.

შედარებით მეტია -არ და -ელ მარცვლებზე დასრულებულ სახელ-  
 თა შეკუმშული და შეუკუმშველი ვარიანტები.

მაგალითები:

თანაბარობა||თანაბრობა, ნასხვისარობა||ნასხვისრობა, უშოვარობა||  
 უშოვრობა, უცოდინარობა||უცოდინრობა, მამბეზლარობა||მამბეზლრობა,  
 მომღერალობა||მომღერლობა, თავმჯდომარეობა||თავმჯდომრობა, დაუ-  
 ვიწყარობა||დაუვიწყრობა, უტყუარობა||უტყუერობა, უჩინარობა||უჩინ-  
 რობა, უძინარობა||უძინრობა, უწყინარობა||უწყინრობა.

დიდი წილი ამგვარი ფუძეებისა უცხო წარმომავლობისაა.

მაგალითად:

აბეზარობა||აბეზრობა, ამაგდარობა||ამაგდრობა, ლაზღანდარობა||  
 ლაზღანდრობა, ამილახვარობა||ამილახვრობა, აჯამობა||აჯმობა, პარტი-  
 ზანობა||პარტიზნობა;

უღრეკელობა||უღრეკლობა, განუზომელობა||განუზომლობა, ულე-  
 ველობა||ულეველობა, სასოწარუტყვეთელობა||სასოწარუტყვეთლობა, ფეხ-  
 უცმელობა||ფეხუცმლობა, უძლეველობა||უძლეველობა, ხელმძღვანელო-  
 ბა||ხელმძღვანელობა, წინამძღომელობა||წინამძღომლობა, უღრეკელობა||  
 უღრეკლობა.

განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებისას თავისებურებას  
 გვიჩვენებენ -იერ სუფიქსიანი სახელები. ცნობილია, რომ -იერ-ივ-  
 ერ<sup>16</sup>. განყენებული შინაარსის სახელთა მაწარმოებელი სი—ე და -ობა  
 აფიქსების გავლენით -იერ სუფიქსისეული ე რედუცირდება, სამაგი-  
 ეროდ, აღდგება ვ ბგერა.

მაგალითები:

სიმშვენიერე||სიმშვენივრე, სიგანიერე||სიგანივრე, სიღონიერე||სი-  
 ღონივრე, სინოციერე||სინოცივრე, უდიერება||უდივრობა, გონიერება||  
 გონივრობა, ღონიერება||ღონივრობა, წესიერება||წესივრობა, ნოციერე-  
 ბა||ნოცივრობა, მაგიერობა||მაგივრობა, ერთჟამიერება||ერთჟამივრობა.

ამ რიგის ვარიანტთაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართული-  
 სათვის უფრო ბუნებრივია ურედუქციო ფორმები, ხოლო შეკუმშული

16 არ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 90.

სახეობები სალიტერატურო ქართულში აღმოსავლური დიალექტური წრის შემონატანია.

5. 2. კიდევ უფრო მეტი თავისებურებებით ხასიათდება განყენებული შინაარსის სახელები, რომელთა ძირეულ მორფემებად ხმოვან-ფუძიანი ფორმები გვევლინება. კერძოდ, ქართულში, ძველშიც და ახალშიც, ხმოვნით დაწყებული დაბოლოებების დართვისას -ა- და -ე- ფუძიანი საზოგადო სახელები და მიმღეობები კვეცის ერთგვარ წესს ემორჩილებიან, ხოლო მათგან განსხვავდებიან -ო- და -უ- ფუძიანი ფორმები: -ა- და -ე- ხმოვნიანი ფუძეკვეცადებია უგამონაკლისოდ, ხოლო -ო- და -უ- ფუძიანები — უკვეცლები<sup>17</sup>.

განყენებული შინაარსის სახელთა საყრდენ ფუძეში შესულ -ა- და -ე- ფუძიან საზოგადო სახელებს შორის სხვაობაა: -ა- ფუძიანი სახელები, ჩვეულებრივ, იკვეცება ხმოვნით დაწყებული მაწარმოებლების გავლენით.

მაგალითად:

ახალგაზრდა — ახალგაზრდ-ობა; ასევე: ბზობა, ბიძობა, ბრძობა, დედობა, დობა, ვარიობა, თამადობა, თილისმობა, თუთობა, კალანდობა, ლიტანიობა, მამიდობა, მცხეთობა, რკინობა, ცულისყუობა, ძიძობა, ძმობა, ყმობა, უბარაქობა, უგევმობა, უენობა და სხვა მრ.

იშვიათად განყენებული შინაარსის სახელთა მაწარმოებელი აფიქსების წინა პოზიციაში საზოგადო სახელების ე ხმოვანიც იკარგვის.

მაგალითად:

საუზმე — საუზმ-ობა; ასევე: წყალმცირობა, პირმტყიცობა, შეფობა, ერთსახობა, ხელმრუდობა, ფეხმძიმობა, ზერელობა, უძალღონობა.

უმრავლეს შემთხვევებში კი -ე- ფუძიანი სახელები უკვეცდებიან: ხელმოკლე — ხელმოკლე-ობა; ასევე: დღემოკლეობა, ბჭეობა, მზეობა, მნეობა, გვარეობა, მამამძუძეობა, დღე-ღამეობა, ჭკუამოკლეობა, მწდეობა, კლდეობა, მაღალზნეობა, მრავალსახეობა, დღეობა, ძეობა, სიძეობა, სისხლსავსეობა, ხეპრეობა, მაკეობა, მკლეობა, მხნეობა, იგივეობა, უზნეობა, ურძეობა, უტყეობა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსაკუთრებით დიდ ჯგუფს ქმნიან მ—ე, მე—ე და მო—ე მაწარმოებლიანი სახელები. ამ აფიქსებით ნაწარმოები მრავალი პროფესია-ხელობის სახელები და მი-

17 ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: შრომები, III, თბ., 1979, გვ. 145—170.



მღებები დასტურდება. ამგვარი ფორმების ფუძე განყენებული წინაარსის სახელების მაწარმოებელი აფიქსის გავლენით ზოგჯერ შეკვეცილია.

მაგალითად:

მე-ბარგულ-ე — მე-ბარგულ-ობა; ასევეა: მებატონობა, მეთამბაქობა, მისრობა, მეკობრობა, მემკვიდრობა, მენახირობა, მერიქიფობა, მეუფროსობა, მეუფობა, მეუღლობა, მეწისქვილობა, მეჯინიბობა, მონენობა, მონადირობა, მოსამსახურობა, მოქალაქობა, მოჯამაგირობა, მოკეთობა, თავმოწონობა, მოცადობა.

მაგრამ თანამედრვე სალიტერატურო ქართულში ამ რიგის სახელების შეკვეცილი ფორმების პარალელურად იხმარება მათი შეუკვეცილი ვარიანტებიც:

მე-ბარგულ-ობა||მე-ბარგულ-ე-ობა; ასევეა: მებატონობა||მებატონეობა, მეთამბაქობა||მეთამბაქოეობა და ა. შ.

მე—ე და მე—ო მაწარმოებლიანი სახელების შეკვეცილ ვარიანტთა საერთო რიცხვი უმნიშვნელოა ფუძეუკვეცლებთან შედარებით.

მაგალითად:

მე-აბრეშუმ-ე-ობა, მე-ბამბ-ე-ობა; ასევეა: მებაღეობა, მებოსტნეობა, მებრძმედეობა, თანამედროვეობა, მედროშეობა, მედუქნეობა, მეეზოვეობა, მეეტლეობა, მეეახშეობა, მეველეობა, მევენახეობა, მეთევზეობა, მეთესლეობა, მეთვალყურეობა, მეთუთეობა, მეთუნეობა, მეკამეჩეობა, მეკარტოფილეობა, მემიზნეობა, მეპატრონეობა, მეურვეობა, მეფუტკრეობა, მეწისქვილეობა.

მო-ადგილ-ე-ობა, მო-ანგარიშ-ე-ობა; ასევეა; თანამოაზრეობა, მოვალეობა, მოზარეობა, მოთავეობა, მოლარეობა, მომთაბარეობა, მონაცვლეობა, მონაწილეობა, მორიგეობა, მოსამართლეობა, მოსამსახურეობა, მოსახლეობა, მოღალატეობა.

მე-შვ-ე-ობა, შე-მ-ყურ-ე-ობა; ასევეა: მასალათმცოდნეობა, გამძლეობა, გამწეობა, მღებარეობა, მდგომარეობა, თავმჯდომარეობა.

მო-ახლ-ე-ობა; ასევეა: პირმოთნეობა, მოკეთეობა, მომჭირნეობა, მომხრეობა, მორწმუნეობა, მოსარჩლეობა, მოღვაწეობა, მოცალეობა, მოძალადეობა, მოწყალეობა და სხვა მრავალი.

ა და ე ხმოვანზე ფუძეგათავებულ ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და ნაწილაკებსაც განყენებული წინაარსის სახელთა წარმოებისას ფუძე არ ეკვეცებათ.

მაგალითები:

ვინაობა, ვილაცაობა, იმისთანაობა, მეობა, რაობა, სხვაობა, ჩვენისთანაობა, შენჩემაობა, აქაობა, ზედაობა, ნელნელაობა, სადაობა, შინაობა, წინაობა, ზეობა, მალეობა, ცალ-ცალკეობა, არაობა, არარაობა, ჰობობა, ჰოარაობა.

5. 3. თანამედროვე ქართულში არის დიდი ჯგუფი -ა-ფუძიანი სახელებისა, რომელთა დაბოლოებაც სიტყვათმაწარმოებელი აფიქსია<sup>18</sup>. ამ აფიქსის შესახებ ა. შანიძე აღნიშნავს: „ეს მაწარმოებელი ქონების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში „წითელ პერანგა ჯალათი...“ ეგვევ მაწარმოებელი გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რამე ნიშნის მიხედვით: ქერ-ა (ქერის ფერი)...“<sup>19</sup>

თანამედროვე ქართულში ა სუფიქსით ახალი ლექსიკური ერთეულები იწარმოება როგორც სახელური (კუდ-ა, ცხვირ-ა), ისე ზმნური (პრიალ-ა, ჩიფჩიფ-ა, ტირი-ა, დოყლაპი-ა) ფუძეებისაგან. ანალოგიური წარმოების ყალიბს იყენებს ე. წ. საბავშვო თამაშობების აღმნიშვნელი სახელები (დაჭერ-ა-ობა, ყურთაგლეჯ-ა-ობა). ამ ჯგუფის სახელებს -ა სუფიქსი განყენებული შინაარსის სახელთა მაწარმოებლის წინა პოზიციაში უმეტესად არ ეკვეცებათ.

მაგალითები:

ლაზღანდარ-ა-ობა; ასევეა: მუქთახორაობა, მამლაყინწაობა, სალახანაობა, ტარაკუჭაობა, ქარაფშუტაობა, ქვეშქვეშაობა, ყელყელაობა, ჩხირკედელაობა, პამპლაუშაობა; ბარგანაობა, ბაქიაობა, ბუდარაობა, ბუტიაობა, გაიჭერაობა, მანჭიაობა, მასხარაობა, ნაცარქექიაობა, პრანჭიაობა, ტაკიმასხარაობა, ფუნდრუკაობა, ქვაწვიაობა, ქვახარშიაობა, ქვაწურიაობა, ყოყლოჩინაობა, ჩიტირეკიაობა, წუნიაობა, ჭორიკანაობა, ენაჭარტალაობა;

აგანგალობა, ასკინკილობა, ბალბალუკაობა, დედავმიშველობა, თავდგომელობა, თავწვერაობა, ისნაისნაობა, კუზაკუზაობა, კეკემალულობა, მეთუშენაობა, ნიშხანიშხაობა, პამპულაობა, ქილიკაობა, ყვაცვაობა, ყურთაზიაობა, ჩადუნაობა, ჩიკორაობა, ძერაკუდაობა, ძიძგილობა.

<sup>18</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, ტ. I, 1950, გვ. 038.

<sup>19</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 127.



მაგრამ ამგვარი წარმოების სახელებში -ა'ს მოკვეცის შემთხვევაშიც საკმაოდ ხშირია. ზემოთ დასახელებულ სახელებსაც აქვთ შემთხვევითი ვარიანტები:

ლაზღანდარ-ობა, მამლაყინწ-ობა და ა. შ.

ამგვარადვეა შეკვეცილი:

ბაცაც-ა — ბაცაც-ობა, გაიძვერ-ა — გაიძვერ-ობა; ასევე: არამ-ზადობა, ავეიობა, გველაძობა, დოყლაპიობა, ენატანიობა, ვაჭრუკა-ნობა, თვალხუჭუნობა, კოკობზიკობა, კუდაბზიკობა, მუქთაყლაპიობა, მაჩანჩალობა, მაწანწალობა, მარტოხელობა, მატრაკვეცობა, ქალაჩუნობა, პირალიობა, ქალაბიჭობა, ქვებუდანობა, ყვინჩილობა, ყოყლო-ჩინობა, ცრუპენტელობა, ცალფეხობა, ცალთვალობა, ცალხელობა, ცაქციობა, კაციჭამიობა, ენამტანიობა, წინამასწარობა, მამბეზლარობა, ბაქიობა, მატყუარობა.

საანალიზო სახელთა ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებულია -ა მაწარმოებელთან, ამიტომ ამგვარ სახელთა ფუძეუკვეცელობა არის ბუნებრივი როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ ფორმებში.

5. 4. ხმოვანფუძიანი სახელებისაგან სი—ე აფიქსებით განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებისას უფრო მეტი სიჭრელეა:

ა) ზოგჯერ -ა-ფუძიან სახელებს სი—ე მაწარმოებლის გავლენით მოეკვეცება ძირეული ხმოვანი.

მაგალითად:

წმიდა — სი-წმიდ-ე; სიტურფე, სიყმე, სიყრმე, სიღრმე.

ბ) უფრო ხშირად კი -ა-ფუძიანები, ისე როგორც -ო- და -უ-ფუძიანი სახელები, ფუძეუკვეცელებად გვევლინებიან. ამგვარ შემთხვევებში მაწარმოებელი აფიქსის წინა პოზიციაში ფუძისეული -ა'ს, -ო'ს ან -უ'ს შემდეგ თავს იჩენს ვ ბგერა.

მაგალითად:

სი-ანკარა-ვ-ე, სი-აშკარა-ვ-ე, სი-ბრმა-ვ-ე, სი-კობტა-ვ-ე, სი-სადა-ვ-ე, სი-სუფთა-ვ-ე, სი-პატარა-ვ-ე, სი-ღრმა-ვ-ე, სი-ცოტა-ვ-ე. ასევეა: სიახლოვე, სივიწროვე, სიმარტოვე, სიმყუდროვე, სიმჭიდროვე, სიფართოვე, სიუცხოვე, სიგლუვე.

მხოლოდ ორიოდ აბსტრაქტული სახელი გვაქვს სალიტერატურო ქართულში უვინო ვარიანტით: სი-ყრუ-ე, სი-ცრუ-ე. ნოტიო ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელიც ვინიანი ვარიანტითაა გავრცელებული თანამედროვე ქართულში: სი-ნოტი-ვ-ე. ცხადია აქ ხმოვანთა შორის ო—ვ.

როგორც მაგალითები ცხადყოფს, ა-, ო- და უ- ხმოვნიანი ფუძეებისაგან ერთნაირად იწარმოება განყენებული შინაარსის სახელები



(-ე-ფუძიანების შესახებ იხ. მომდევნო პუნქტი). აფიქსისეული ნიშნისწინა პოზიციაში ყველგან აღმოჩნდა ვ ბგერა. სამეცნიერო ტურაში ვლუ-ს შემცველი ფორმების შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ ვინი სახელურ ან ზმნურ ფუძეებში სხვადასხვაგვარი წარმომავლობისა შეიძლება იყოს: 1. ფორმათა წარმოებისას გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში ან ფუძის აბსოლუტურ ბოლოში ის დაკარგულია და ზოგჯერ ნაწარმოებ ფორმებში აღდგება და 2. ვინის გაჩენა არ არის გამოირიცხული გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში<sup>20</sup>.

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ვინი რომ ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად მივიჩნიოთ, როგორღა ავხსნათ -ა-ფუძიანი სახელების — „ბრმა“, „პატარა“, „ღრმა“ — უკვეცელობა განყენებული შინაარსის სახელთა ფუძეში. ყურადღებას იქცევს ის, რომ -ო- და -უ-ფუძიანი სახელებისაგან განყენებული შინაარსის სახელების წარმოებისას დასაშვებია მათი უფინო ვარიანტებიც: სიახლოე, სივიწროე, სიგლუე... ხოლო სი-კობტ-ა-ე||სი-კობტ-ე, სი-სად-ა-ე||სი-სად-ე, სი-ცოტა-ე||სი-ცოტ-ე ვარიანტები კი აშკარად ხელოვნურია.

სავარაუდოა, -ა-ფუძიან სახელებში ვინი ფუძისეულია. მართლაც, საანალიზო სახელების შესაბამისი ნასახელარი ზმნების პირიან ფორმებში ყველგან ჩანს იგი.

შეადარე: ა-აშკარაე-ებ-ს — სი-აშკარაე-ე, ა-ბრმაე-ებ-ს — სი-ბრმაე-ე, ა-კობტაე-ებ-ს — სი-კობტაე-ე, ა-ღრმაე-ებ-ს — სი-ღრმაე-ე, და: ა-ყრუ-ებ-ს — სი-ყრუ-ე, ა-ცრუ-ებ-ს — სი-ცრუ-ე.

ცხადია, ამ ტიპის განყენებული შინაარსის სახელები საყრდენ ფუძედ ზმნურ ფორმებს იყენებენ და ვინიც ზმნური წარმომავლობისაა.

ამგვარივე წარმომავლობისა ჩანს ვინი -ო- და -უ-ფუძიან სახელებშიც.

შეადარე: ა-ახლოე-ებ-ს — სი-ახლოე-ე; ა-ფართოე-ებ-ს — სი-ფართოე-ე, ა-ვიწროე-ებ-ს — სი-ვიწროე-ე, ა-გლუე-ებ-ს — სი-გლუე-ე.

5. 5. შედარებით ბუნდოვანია დამოკიდებულება -ე-ფუძიანი სახელების ფუძესა და შესაბამის აბსტრაჰირებულ სახელებს შორის.

<sup>20</sup> არ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 88, 93; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 130, 148, 412—413; შ. ძიძიგური, ზმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 19—33.



შეადარე: მდარე — სიმდარე, მკვახე — სიმკვახე, მლაშე — სიმლაშე, მტკიცე — სიმტკიცე, მქისე — სიმქისე, მღვრიე — სიმღვრიე, მყიფე — სიმყიფე, მჩატე — სიმჩატე, მცირე — სიმცირე, მძალე — სიმძალე, მძიმე — სიმძიმე, მწარე — სიმწარე, მწვანე — სიმწვანე, მჟლე — სიმჟლე, მჟიდე — სიმჟიდე, მხნე — სიმხნე.

ზემოთ წარმოდგენილი ოპოზიცია ცხადყოფს, რომ ამგვარი დაყოფა — სი-მდარე-ე, სი-მკვახე-ე — სინქრონიულ დონეზე არასწორია. ასეთი დაყოფაც — სი-მდარე, სი-მკვახე — გაუმართლებელია, თუ გავითვალისწინებთ სი-ე-თი ნაწარმოები სახელების პარადიგმატულ მიმართებებს: ოდენპრეფიქსული სი- მაწარმოებელი სხვაგვარ — ა-, -ო, -უ ან თანხმოვანფუძიან სახელებში არ დასტურდება.

ეს სახელები უძველესი ქართული ლექსიკის კუთვნილებაა.

მე-ე აფიქსებს გამოყოფენ სახელებში მ-ღვრიე-ე, მ-ძიმე-ე, მ-ხნე-ე, მ-წიფე-ე<sup>21</sup>.

ზოგჯერ განყენებული შინაარსის -ე-ფუძიანი სახელების ფონეტიკური ვარიანტები აქაც (ისე როგორც -ა, -ო და -უ-ფუძიანების შემთხვევაში) წარმოაჩენს ხოლმე საყრდენი ფუძის თავდაპირველ სახეს.

მაგალითად:

სიმჟლე||სი-მჟლევე-ე, სიმჟიდე||სი-მჟიდევე-ე, სიმხნე||სიმხნევე-ე.

შეადარე: ა-მხნევე-ებ-ს — სი-მხნევე-ე, ა-მჟლევე-ებ-ს — სი-მჟლევე-ე.

„სავარაუდოა, სიტყვების — „მღვრიე“, „მძიმე“, „მხნე“, „მწიფე“ და „მჟლე“, „მჟიდე“ — ანალოგიურად ფორმებიც — „მდარე“, „მკვახე“, „მლაშე“, „მტკიცე“, „მქისე“, „მყიფე“, „მჩატე“, „მცირე“, „მძალე“, „მწარე“ და „მწვანე“ — ნაზმნარი სახელებია: მათ ფუძეშიც მე-ე (3) მიმღეობური წარმომავლობისაა, მაგრამ განყენებული შინაარსის სახელთა პარადიგმატულ მიმართებებში მიმღეობისეული -ე დაბოლოება გადააზრიანდა, როგორც განყენებული შინაარსის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენელი ნაწილი: \*მ-ხნ-ევე — \*სი-მხნევე-ე → სი-მხნ-ე.

5. 6. -ო და -უ ხმოვნით გათავებული საზოგადო სახელები, როგორც, საერთოდ, განყენებული შინაარსის სახელთა წარმოების დროსაც — უკვეცლებია.

<sup>21</sup> არ ნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 62, 66, 155.

მაგალითად

ამაობა, გარემოება, დროება, მყუდროება, საზოგადოება, ~~სახეობა~~  
ება, სამღვდლოება, საიღუმლოება, სარწმუნოება, საწუთროება, სა-  
ჭიროება, საშიშროება, სიტბოება, სიტკბოება, შნოება.

ბუობა, ქსუობა, შლუობა, ცრუობა, ძერაბუობა, უთუობა.

თუ -ო-ხმოვნიანი ფუძეებისაგან განყენებული შინაარსის სახელი  
-ობა სუფიქსით იწარმოება, მაშინ ნაწარმოებ ფუძეში თავს იყრის  
ორი ო.

ალო-ობა, არბო-ობა; ასევეა ეჩობა, ვიწროობა, კალოობა, კერ-  
ძობა, მარტობა, მჭიდროობა, უდროობა, უთობა, უსაზრდობა,  
უსარჩობა, უსასობა, შიობა, ხუროობა; ახლობა, კერძობა,  
თვალსაჩინობა, საბრალოობა, საიმედობა, სასაცილოობა, საჯარო-  
ობა, საუკუნობა.

6. ზემოთ წარმოდგენილი მასალის ანალიზისას მრავალგზის დაი-  
სვა განყენებული შინაარსის მაწარმოებელი სუფიქსების მონაცვლეო-  
ბის საკითხი. როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე ქართულში სახე-  
ლებში -ება||-ობა'ს მონაცვლეობის ფაქტები ზმნის პირიან ფორმებში  
-ება||-ობ თემის ნიშანთა მონაცვლეობასთან კავშირში უნდა განვიხი-  
ლოთ.

-ება||-ობ და -ება||ობა სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა დას-  
ტურდება შემდეგი სახის ზმნებსა და სახელებში.

1. წარმოიშვება||წარმოიშობა, იფლვება||იფლობა, იხრჩვება||იხრ-  
ჩობა, ეკვრება||ეკრობა.
2. აზროვნებს||აზროვნობს, ერთგულებს||ერთგულობს.
3. კისკისებს||კისკისობს, ცახცახებს||ცახცახობს, ფამფალებს||ფამ-  
ფალობს, დუდღუნებს||დუდღუნობს, ქირქილებს||ქირქილობს, ჯაჯღან-  
ებს||ჯაჯღანობს, ტრიალებს||ტრიალობს, ფრთხილებს||ფრთხილობს,  
დგაფუნებს||დგაფუნობს, კანკალებს||კანკალობს, ყიალებს||ყიალობს,  
ბოგინებს||ბოგინობს, ბორიალებს||ბორიალობს, ბაკუნებს||ბაკუნობს.
4. აძლებს||აძლობს.
5. მოქმედებს||მოქმედობს, შეიგრძნებს||შეიგრძნობს, იწყებს||იწყ-  
ობს.
6. აპირებს||აპირობს, აწებს||აწობს, ასწრებს||ასწრობს.
7. დასახელებულ ზმნათა შესაბამის მიმღეობებში: ჩაწებილი||ჩა-  
წობილი, მოსწრებული||მოსწრობილი, დაწყებული||დაწყობილი, ჩაფ-  
ლობილი||ჩაფლული, დახრჩობილი||დამხრჩვალი, დათრობილი||დამთვ-  
რალი.

8. -ელ, -იერ, -ოვან, -ოსან, უ—ო, უ—ურ, უ—ულ სუფიქსიან სახელებში: ბედნიერება||ბედნიერობა, ქვეყნიერება||ქვეყნიერობა, ზიერება||სახიერობა, წესიერება||წესიერობა; ბუნდოვანება||ბუნდოვნობა, უსიამოვნება||უსიამოვნობა, წლოვანება||წლოვანობა, ხმოვანება||ხმოვანობა; სხივოსნება||სხივოსნობა, პატიოსნება||პატიოსნობა; უწყინდურობება||უწყინდურობა, უძლურობება||უძლურობა, უბედურება||უბედურობა.

9. -ილ და -ულ სუფიქსიან მიმღეობებში: შეხედულება||შეხედულობა, შეთქმულება||შეთქმულობა, აგებულება||აგებულობა, გარყვნილება||გარყვნილობა, უკმაყოფილება||უკმაყოფილობა, უხერხულება||უხერხულობა, სრულყოფილება||სრულყოფილობა, გამოხატულება||გამოხატულობა.

ჩამოთვლილ ზმნებსა და სახელებში -ებ||ობ და -ება||ობა სუფიქსების მონაცვლეობა ქართულ ენაში მოქმედი სხვადასხვა კანონზომიერებით აიხსნება.

პირველი ჯგუფის (წარმოიშვება||წარმოიშობა, იფლვება||იფლობა და ა. შ.) ზმნებში -ება||ობა სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა ცხადყოფს, რომ არა მარტო ძველში, თანამედროვე ქართულშიც ცოცხალი, მოქმედი ფონეტიკური პროცესია -ვ-ებ—ობ. თანამედროვე ქართულ მწერლობაში და ზეპირ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს დასახელებულ ზმნათა -ვებ სუფიქსიანი სახეობები:

თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს (ა. კალანდ.), მეცნიერის თვალწინ წარმოიშვებია, იზრდებია რაღაც წარმონაქმნები („კომ.“). ენა წარმოიშვება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებიდან („სახ. გან.“).

მომდევნო მეორე და მესამე ჯგუფის ზმნებში (აზროვნებს||აზროვნობს, კისკიკებს||კისკისობს, ცახცახებს||ცახცახობს...)22. -ებ||-ობ თემის ნიშნების მონაცვლეობას სხვაგვარი საფუძველი აქვს.

ქართულში სახელისაგან ზმნის ფორმათა წარმოების გავრცელებული ყალიბებია: 1. სტატიკურ ზმნათა წარმოების ყალიბი: თავი — თავობ-ს კაცი — კაცობ-ს, ქალი — ქალობ-ს. გულ-ი — გულ-ოვნობ-ს და 2. დინამიკურ ზმნათა წარმოების ყალიბი (ა—ებ): ა-თავ-ებ-ს, ა-კაც-ებ-ს, ა-ქალ-ებ-ს. ცხადია, აზროვნ-ობ-ს, კისკის-ობ-ს, ცახცახ-ობ-ს, ტრიალ-ობ-ს... ფორმები ნასახელარი, ერთპირიანი სტატიკური ზმნებია და წარმოების მიხედვით ისევე მართებული და სწორი, რო-

22 მართალია, „ფამფალი“, „კანკალი“, „კისკისი“, „ტრიალი“ და სხვ. ე. წ. პირვანდელი მასდარბია, მაგრამ გრამატიკული თვალსაზრისით ისეთივე სახელებია, როგორც „კაცი“, „ქალი“ და ა. შ.



გორც „თავობს“, „კაცობს“, „ქალობს“, „გულოვნობს“ ზმნებზეა ახსნება, რომ XIX საუკ. ქართულ მწერლობაში ამ ზმნათა -ობ თემის ნიშნიანი ფორმები იყო ძირითადად გავრცელებული, ამგვარივე ფორმები აქა-იქ თანამედროვე ლიტერატურაშიც გამოჩნდება ხოლმე. მაგალითები:

ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნობისა (ილია). აზროვნობას აღარავისთვის ეცალა (აღ. ყაზბეგი). თქვენს ყრმას არ გაეხსნება აზროვნობა (ი. გოგებ.). ის კაცი... ასე ფიქრობდა და აზროვნობდა (ქ. ლომთ.). საღამოს უამი, ვაზროვნობ ფხიზლად (ვ. ფაფრ.). თითქო სანთელი შემოიტანეს ჩემს აზროვნობაში (შ. დაღ.); ამდაც ერთგულობდა ბასილი კეისარს (ქ. გამს.); რას გერჩის ესა და ეს კაცი, სულ შენზე რომ ქირქილობსო („ლიტ. საქ.“); ქების ღირსია კომკავშირელი ახალგაზრდების შრომითი თავდადება, რომლებიც მუყაითად ტრიალობენ ვენახებსა და ბაღებში („ახ. ცხოვრ.“); ჩიტუნები ფრთხილობენ („ქართ. გრამატ.“. II კლ. სახ.); დგაფუნობდა ნალები ნისლასი (ცისკ“).

მაგრამ სალიტერატურო ქართულში სახელებისაგან „თავი“, „კაცი“, „აზროვანი“, „ცახცახი“... მეორე ყალიბის დინამიკური ზმნებით იწარმოება ა—ებ, ი—ებ, უ—ებ, ე—ებ ყალიბით.

ვინაიდან საზოგადოდ სტატიკურ ზმნებს მხოლოდ დრო-კილოთა I ჯგუფის აწმყოს ფორმები მოეპოვება და, ბუნებრივია, მათი გამოყენების არეც შემოფარგლულია, ხოლო დინამიკური ზმნების ფუძეთა სისტემა მრავალრიცხოვანია და დრო-კილოთა თერთმეტივე ფორმა სრულად ეწარმოებათ: ცხადია, დასახელებულ ზმნათა -ებ-იანი ფორმები მეტად მრავალრიცხოვანია, -ობ-იანი კი ძლიერ შეზღუდულია. საფიქრებელია, ამან შეუწყო ხელი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასახელებულ ზმნათა -ებ-იანი ვარიანტების გავრცელებას, ხოლო -ობ-იანი ფორმების არალიტერატურულად კვალიფიკაციას. ამ ზმნებში -ობ—ებ სუფიქსთა ამგვარ შენაცვლებას კიდევ სხვა ფაქტორიც უნდა უწყობდეს ხელს:

ქართულში, ერთი მხრით, გვაქვს ამგვარი შესაბამისობა: თავი, კაცი, ქალი, აზრი, გულოვანი, ძალოვანი — 1) თავობს, კაცობს, ქალობს, აზრობს, გულოვნობს, ძალოვნობს და 2) ათავენს, აკაცებს, აქალებს, ააზრებს, აგულოვნებს, და მეორე მხრით: აზროვანი, კისკისი, ერთგული, ცახცახი, ბორიალი — 1) აზროვნობს|აზროვნებს, კისკისობს|კისკისებს, ერთგულობს|ერთგულებს, ცახცახობს|ცახცახებს, ბორიალებს|ბორიალობს და 2) ააზროვნებს, აკისკისებს, აერთგულებს, აცახცახებს, აბორიალებს.

სავარაუდოა, რომ მეორე რიგის ზმნებში -ობ სუფიქსის -ებ-ით შეცვლას ხელი შეუწყო ამავე ფუძისაგან ნაწარმოები დინამიკური

ზმნების -ებ-იანი ფორმების სიმრავლემ. მაგრამ იგივე ფაქტორი ხომ ძალაშია პირველი რიგის მაგალითებისათვისაც? რატომ არა გვაქვს „კაცებს“, „თავეს“, „ქალებს“... ისევე, როგორც გვაქვს „აზროვნეს“, „ცახცახებს“, „ერთგულებს“, „კისკისებს“ და ა. შ.?

აქ, ჯერ ერთი, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საწარმოებელი ფუძის აღნაგობას: -ებ და -ობ მონაცვლეობა უმეტესწილად ერთზე მეტ-მარცვლიან ფუძეებშია დადასტურებული. მეორეც, შესაძლოა, ამ შემთხვევაში თავი იჩინა იმ სხვაობამ, რომელიც არსებობს საგნის აღმნიშვნელ არსებითსა და მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს, ე. ი. პირველად მასდარებს შორის. კერძოდ, „კისკისობს“, „ცახცახობს“, „ბორიალობს“ და ა. შ. რიგის ზმნები — „ცახცახებს“, „იცახცახებს“, „უცახცახებს“, „აკისკისებს“, „იკისკისებს“, „ეკისკისება“... და „აბორიალებს“, „იბორიალებს“... ფუძეთა სისტემის გვერდით მთლიანად ზმნურ სემანტიკას იძენს და იჩრდილება მათი სიახლოვე სახელებთან, რაც ხელს უწყობს ამ ფორმათა შორის სხვაობის ნიველირებას, რის გამოც „ცახცახობს“ → „ცახცახებს“<sup>23</sup>. ხოლო „თავეობს“, „კაცობს“, „ქალობს“, „გულოვნობს“, „ძალოვნობს“ ზმნებს სემანტიკურად უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ სახელებთან: „თა(ვ)ობა“, „კაცობა“, „ქალობა“, „გულოვნობა“, „ძალოვნობა“ და ა. შ., ვიდრე „ათავებს“, „აკაცებს“, „აქალებს“ და ა. შ. ზმნებთან. ამის შესახებ ა. შანიძე მიუთითებს: „მხეცობა“ საწყისია „მხეცობ“-ს ზმნისა, რომელიც თავისთავად ნასახელარი ზმნაა (ნაწარმოებია „მხეც“-ისაგან), მაგრამ „მხეცობა“ პირველ წყაროსთან („მხეც“ სახელთან) უფრო ახლო დგას, ვიდრე მისგან ნაწარმოებთან („მხეცობს“ ზმნასთან)<sup>24</sup>, რაც განსაზღვრავს -ობ სუფიქსის სიმყარეს ამგვარ ზმნებში.

ზემოთ მივუთითეთ, რომ -ებ||-ობ წარმომავლობით პოზიციური ვარიანტებია, მაგრამ შემდეგ რიგ შემთხვევებში სახელური და ზმნური ფუძეების აღნაგობა გაბუნდოვანდა, რიგ შემთხვევაში კი ამ აფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს შორის არსებული სემანტიკური სხვაობა დაიჩრდილა, რის გამოც ქართულში, როგორც ძველში, ისე ახალში, მომრავლდა -ებ||-ობ-იანი ვარიანტები, რომელთა მონაცვლეობის საფუძვლის დაძებნა ჭირს. ასე, მაგალითად, რა საფუძველზე გაჩნდა აპირებს||აპირობს, აწებს||აწობს, ასწრებს||ასწრობს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა ამ

23 ხოლო „აზროვნობს—აზროვნებს“ მონაცვლეობის საფუძველი შეიძლება იყოს ამ სახელის ფუძის ასეთი რეინტერპრეტაცია: ა-ზროვნ-ობ-ს, შემდეგ, ა—ებ ყალიბის ანალოგიით, →აზროვნებს.

24 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 131, § 166.



ვარიანტთაგან -ებ-თემისნიშნის ფორმათა პირველადობა ექვს არსებულ ვევს, რადგან, ჯერ ერთი, ეს ფორმები აკეთებს, აშენებს დინამიკურ მოქმედებითი გვარის ზმნების ანალოგიურია და რადიკალურად განსხვავდებიან ათბობს, აღნობს ტიპის ზმნათაგან. მეორეც, ამ ზმნათადრო-კილოს ფორმები წარმოაჩენს ამ ზმნებთან -ებ თემის ნიშნის პირველადობას.

მაგალითად:

აპირებს||აპირობს, უპირებს||უპირობს, მაგრამ: იპირებს, ჰპირდება, დაუპირებია; დაეპირებინოს, დაუპირებინებია — და არა: იპირობს, ჰპირდობა, დაუპირობია და ა. შ. ასევე: ასწრებს||ასწრობს, ისწრებს||ისწრობს, მაგრამ: დაუსწრებინებია (და არა: დაუსწრობინებია).

მესამე, ამ ზმნათა და შესაბამის ნაზმნარ სახელთა -ობ-იანი ვარიანტები (აპირობს, აწობს, ასწორებს; ჩაწობილი, მოსწორება) უმთავრესად აღმოსავლური დიალექტური წრიდან გამოსული მწერლების ნაწერებშია დადასტურებული.

მაგალითად:

ასეც აპირობდა (შ. არაგვ.); ლაბარაკსაც აპირობდა (ალ. ყაზბ.); რასაპირობ, რას ფიქრობ (მე. ვაბ.); კარგად ქმევას უპირობენ ბაღლები მამალს (ვაჟა); კრება უპირობდა გადაყენებას თვით კათალიკოსს მიქელს (ი. გოგება.); ჰაჯი-ჩალაბი რაღაცას გვიპირობს (ნ. ლომ.); მაშინ რაღას უპირობს (ილია); ვერავინ ასწრობდა (ილია); მწყემსები საქონლის გატყავებას ველარ ასწრობდენ (ვაჟა); ვინც დაასწრობს მყვარის ხმის გაგონებას, ის დასძლევსო (ვ. ბარნ.); ეს დამოკიდებულება მშვენიერად და ცხოვლად არის გამოთქმული ერთ ჩვენ დროების... მოსწობილ შედარებაში (ილია); საღლეგრძელოში თამადას ასწრობდა [მდივანი] (ს. შანშ.); დაიქანცა საბრალო ამბაკო, ველარ ასწრობს ნამჯის და ბზის გადაწევას (ს. შანშ.); ფრთას აწობდა დიაციცმელში (ე. გამს.); კაცო, ვერ გავივიათ, წაღევას გვიპირობენ (ს. შანშ.); კაცი თუ ქორწილი დაეცწობა, თავიდან აქვს ეშხი (ბ. ჩხ.); ჩააწობდენ და ხჩრიდნენ ხელშია (ო. ჩხ.); გამოგლეჯდნენ და ჩააწობდენ (ო. ჩხ.); არც აპირობდნენ, რომ შემოსჭროდნენ (ო. ჩხ.).

ამიტომ სალიტერატურო ქართულში ამ ზმნათა -ობ-იანი სახეობები და მათი შესაბამისი ნაზმნარი სახელები კვალიფიცირებულია, როგორც -ებ-იან ფორმათა დიალექტური ვარიანტები.

საანალიზო მასალის მე-7 მე-8 და მე-9 ჯგუფებში გაერთიანებული წყვილებიდან „მოსწობილი“, „ჩაწობილი“, „დაწყობილი“ (გაკვეთილი), „ბედნიერობა“, „წესიერობა“, „წლოვანობა“, „ხნოვანობა“, „შეთქმულობა“, „აგებულობა“ და ა. შ. -ობა-სუფიქსიანი ვარიანტები ძირითადად აღმოსავლური დიალექტური წრიდან გამოსული

ქართველების მეტყველებასა და მწერლების ნაწერებშია დადგენილი რებული.



აქა-იქ ამ რიგის მაგალითები დღევანდელ სალიტერატურო ქართულშიც გამოჩნდება ხოლმე.

მაგალითად:

ვისიმ იცის რამინის გატაცების წუთიერობა („მშობლ. ლიტ.“); ახალი ტექნიკისა და მოწყობილობის რაციონალური გამოყენების შედეგად შრომისნაყოფიერება გაზრდილ იქნა 141 პროცენტით („წინსვლა“); შექმნილი უხერხულობა გამოასწორა („ცისკ.“); ჩემი გულისათვის დედასაც ნუ აყენებ უხერხულობაში („კომ.“); წედანდელივით უხერხულობას აღარ გრძნობდა („ცისკ.“); ყოველი მათი შეხვედრა უსიამოვნოვით მთავრდებოდა („ცისკ.“); ჯერ ერთი, ეს უპატიოსნობაა („კომ.“); მერე თავისი უძლურობით გააფთრებული სატპენი... ბარბაცით წამოდგებოდა ფეხზე და მუქარას მოჰყვებოდა („ხომლ.“); თან მოაყოლა უსათუთესი განცდა უბედურობით შეძრწუნებულისა (ო. ჩხ.); წიგნში დასტამბულმა მოთხრობებმა ძლიერ მომხიბლა აზრის სიღრმით, მხატვრული სრულყოფილობით („სოფლ. ცხოვრ.“); ხორცს ასხამენ პარტიის წინასწარდასახულობებს („საქ. აგიტ.“); გაბედულობით გააკრიტიკა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში („მშობლ. ლიტ.“); წინდახედულობა და აუჩქარებლობა გამოიჩინა ტარიელმა („მშობლ. ლიტ.“); ვინ იცის რით გათავდებოდა კაპასი ქალის თავაშვებულობა („თბილ.“).

ხაზგასმული სიტყვები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დიალექტური წრიდან შემონატანად ითვლება. მაგრამ ზოგჯერ საანალიზო წყვილების წევრთა შორის შეინიშნება სემანტიკური სხვაობაც.

ძველსავე ქართულში შენიშნულია, რომ ზოგჯერ -ებ||-ობ და -ება||-ობა-სუფიქსიან სახელთა წყვილები სხვადასხვა მნიშვნელობას იძენენ. ახალ ქართულშიც აქა-იქ შეინიშნება -ებ||ობ და -ება||-ობა სუფიქსებით ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობა. ასე, მაგალითად, თანამედროვე ქართულში მე-5 ჯგუფში წარმოდგენილი ზმნები და მათი შესაბამისი -ება||-ობა სუფიქსიანი სახელებიც ხშირად სინონიმურ ვარიანტებად გვევლინებიან და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგრამ ასევე თვალსაჩინოა ზოგჯერ მათ შორის სემანტიკური სხვაობაც.

მაგალითად:

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ძირითადად შეთანხმებული მოქმედებდნენ ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ („საქ. ისტ. ნარკვ.“); საზენიტო არტილერია უშუალოდ ქალაქის მახლობლად მოქმედობს („თბილ.“).

ორივე წინადადებაში მოქმედებს—მოქმედობს ზმნები ერთპირიანებია, მაგრამ -ებ-სუფიქსიანი ვარიანტი აშკარად აქტიურ შინაარსს, რაც ობიექტზე ზემოქმედებას გულისხმობს (=მოქმედებს მასზე).

ბოლო -ობ-იანი ვარიანტი პასიური შინაარსისაა: მოქმედობს არა ვინ-  
მეზე, არამედ თავისთვის (=საქმიანობს).

შინაარსობრივად ამგვარივე სხვაობაა ამ ფორმათა შორის: „შეი-  
გრძნობს“ (რალაცას) — „შეიგრძნობს“ (=იგრძნობს).

წარმომავლობით იწყებს||იწყობს ზმნებიც სინონიმური ვარიან-  
ტები უნდა იყოს. ამ ზმნების დრო-კილოს ფორმათა შედარება ადას-  
ტურებს მათ ისტორიულ იგივეობას: იწყებს, დაიწყებს, მაგრამ: დაი-  
წყო, დაუწყია, დაეწყო; იწყობს, დაიწყობს, მაგრამ: დაიწყო, დაიწყ-  
ო, დაუწყვია, დაეწყო, დაეწყოს.

III სერიის I თურმეობითში წარმოჩენილი ვ და კახურ დია-  
ლექტში დადასტურებული დავიწყვვი, დაიწყვევი<sup>25</sup> ფორმები ცხად-  
ყოფს, რომ ამ ზმნის ფუძე უძველეს ქართულში ლაბიალური ვინის  
შემცველი იყო და ისტორიულად „იწყობ“ ვარიანტის -ობ მომდინა-  
რობს -ვებ-ისაგან.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი ეს ზმნები ცალ-  
ცალკე ლექსიკური ერთეულებია და კონტექსტი განსაზღვრავს, რო-  
მელი მათგანი უნდა ავირჩიოთ.

შინაარსობრივი სხვაობა რიგ შემთხვევებში -ება||-ობა სუფიქ-  
სებით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელთა შორისაც დასტურდება. ასე,  
მაგალითად, მე-8 და მე-9 ჯგუფებში წარმოდგენილ ვარიანტთაგან  
სემანტიკური სხვაობა შეინიშნება ამ წყვილებს შორის: ბედნიერება—  
ბედნიერობა, პატიოსნება — პატიოსნობა, უწმინდურება — უწმინდუ-  
რობა, უბედურება — უბედურობა, შეხედულება — შეხედულობა,  
აგებულება — აგებულობა, გარყვნილება — გარყვნილობა, უკმაყო-  
ფილება — უკმაყოფილობა.

ამავე რიგში შედის ზემოთ დასახელებული ზმნების შესაბამისი  
სახელები: მოქმედება — მოქმედობა და შეგრძნება — შეგრძნობა.

ცხადია, ცალკე აღებული ეს წყვილები ერთი ლექსემის ვარიან-  
ტებია და ყოველი მათგანი ცალკე ლექსიკურ ერთეულად ვერ ჩაითვ-  
ლება, მაგრამ ამ წყვილთა შორის სემანტიკური განსხვავება საკმაოდ  
ხელშესახები გახდება, თუ მათ გარკვეულ კონტექსტებში მოვაქცევთ.

მაგალითად, თუ დასახელებულ ფორმებს პირიან ზმნათა რიგში  
განვიხილავთ, მაშინ აუცილებლად ამ წყვილთაგან -ება-სუფიქსიან  
ვარიანტს ავირჩევთ: აბედნიერებს — ბედნიერება, აუბედურებს —  
უბედურება, აპატიოსნებს — პატიოსნება, აშეხდავს — შეხედულება,  
აგებს — აგებულება, რყვნის — გარყვნილება და ა. შ.



ხოლო თუ მათ სახელების რიგში მოვაქცევთ, ცხადია, **-ობა-სუფიქსიანი ფორმებს ვიხმართ: ბედნიერი კაცი — ბედნიერობა** კაცისა — პატიოსანი — პატიოსნობა, უბედური — უბედურობა, გარეგნობა კაცისა — შეხედულობა, აგებულობა კაცისა, გარყვნილი კაცი — გარყვნილობა კაცისა და ა. შ.

ცხადია, „უბედურება|უბედურობა“ წყვილთაგან **-ება-სუფიქსიანი ზმნურ შინაარსთანაა მჭიდრო კავშირში, ხოლო -ობა-იანი — სახელთან.** ეს გასაგებია, რადგან, თუმცა წარმომავლობითა და თანამედროვე ქართული ენის ჩვენებითაც ეს სუფიქსები პოზიციური ვარიანტებია, მაგრამ იმ ფაქტს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რომ 1) ამ ფორმანტთაგან პირველადია **-ებ**, 2) ზმნის ფორმათა წარმოებაში მას ყოველთვის აქტიური როლი ეკისრება, 3) **-ება|-ობა** სუფიქსები ისტორიულად, პირველ ყოვლისა, მასდარების მაწარმოებელი პოზიციური ვარიანტები იყო და 4) მათ შემდეგ დაეკისრათ აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელთა ფუნქცია.

ძველსავე ქართულში იყო ორი სუფიქსი — პირვანდელი **-ება** და მეორეული **-ობა**, ორი ფუნქციით: პირვანდელი — მასდარის მაწარმოებლისა და მეორეული — აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლის ფუნქციით. ვინაიდან ქართული ენა აგლუტინაციურია და ყოველ სუფიქსს აქ თითო ფუნქცია აქვს, ამ შემთხვევაშიც გაჩნდა ტენდენცია, ერთ სუფიქსს ერთი ფუნქცია ეკისრა. ამიტომ თანამედროვე ქართულში ერთი ფუნქციისაგან **-ება** და პარალელურად **-ობა** სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებში **-ობა** სუფიქსი აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელ აფიქსად იქნა გააზრებული, ხოლო თავდაპირველი ფუნქცია მის პირვანდელ სახეობას შერჩა. ამგვარი კვალიფიკაცია ზემოთ წარმოდგენილი წყვილების მაწარმოებლებისა გასაგებს ხდის, რატომ ახლავს **-ება** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს ზმნური ელფერი და მნიშვნელობა, ხოლო **-ობა** სუფიქსიანებს — სახელური.

**-ებ|-ობ** და **-ება|-ობა** წყვილთაგან პირველის პირველადობისა და მეორის მეორეულობის ფაქტით არის შეპირობებული ის კვალიფიკაცია, რომელიც ეძლევა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **-ებ|-ობ** და **-ება|-ობა-სუფიქსიანი ვარიანტებს.** სახელდობრ, ზემოთ წარმოდგენილი ჯგუფების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ქართულში დადასტურებულ წყვილ ვარიანტთაგან წარმომავლობითა და წარმოების თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში **-ებ** და **-ება-სუფიქსიანი ფორმებია გრამატიკულად სწორი და მართებული (ჯგ. 6, 7), სხვა შემთხვევებში კი — -ობ** და **-ობა-სუფიქსიანი სახეობები (ჯგ. 2, 3),** მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყოველთვის ცალ-

მხრივად წყდება საკითხი; -ებ და ება-სუფიქსიანი ფორმებია ყოველთვის მიჩნეული ლიტერატურულად სწორად, ხოლო მათი -ობ ტერმინის სუფიქსიანი ვარიანტები უარყოფილია.

-ებ||-ობ და -ება||-ობა სუფიქსების მხოლოდ ამგვარი კვალიფიკაციით შეიძლება აიხსნას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში „აძლებს“ და „უძლებს“ ფორმების გავრცელება.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ამ ზმნის -ობ-იანი ვარიანტები იყო ძირითადი.

მაგალითები:

მე მოკრიალე ცა ვერ გამაძღობს (თ. რაზ.); ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს (ილია); ხარბის თვალის პატრონს ვერა გააძღობს რაო (დ. შახ.); მუშა ჭიანჭველები (მატლებს) გააძღობენ (ი. გოგ.); იმ ღორმუცელებს რა დააძღობთ (თ. რაზ.); სულ ბურთივით დარგვალბულები მოუდის საჭინელი [ცეცოს], ისე დააძღობს ხოლმე (ს. შვალ.); მამული რომ კუჭს ვერ გაგვიძღობს, მაგაზე კი დარწმუნდი (ალ ყაზბ.); ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს (ილია); არ გამომაძღობს მშიერსა (ვაჟა); გულს მხოლოდ შავი მიწა გააძღობს (ვ. ბარნ.); ღრუბელს ზღვის წყალი გააძღობს (გ. ლეონ.); ცხენებს დავაძღობ, დავასვენებ (ბ. ჩხ.); აივან-აგარაკს გამართავ, ჯიბეს გაიძღობ („თბილ.“).

ეს ზმნა არის დინამიკური, ე. წ. უნიშნო ვნებითი გვარის თბება ტიპისა<sup>25</sup>, (ღმრ.: ვათბობ, ვათბე, გამითბია — ვაძღობ, ვაძღე, გამიძღია და: ვთბები, გავთბი (ძველი: განვტეფ), გავმთბარვარ — ვძლები, გავძელ, გავმძლარვარ, რომლებსთვისაც 2-3-პირიან მოქმედებითი გვარის ფორმებში -ობ-სუფიქსიანი დაბოლოება არის ამოსავალი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულში სწორ, ლიტერატურულ სახეობად მიჩნეულია ამ ზმნის -ებ-სუფიქსიანი ფორმები.

25 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1953, გვ. 473—4; ქ. ლომოთაძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: ივე IV, 1953, გვ. 75—81; თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 274.

ანბონ კიზირია

ფუძის რედუპლიკაცია როგორც წინადადების  
მომრეხარისხოვანი წივრის ბაზორმების საშუალება

ფუძის რედუპლიკაცია ახალი სიტყვის წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი გულისხმობს სიტყვის ფუძის ან მისი ნაწილის გაორკეცებას და გამოხატავს სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას: უმთავრესად კი გამოყენებულია მორფოლოგიურ საშუალებად (ინდოევროპულ ენებში, ამერიკისა და აფრიკის ენებში... მაგ. ლათ. *do* — „ვაძლევ“, *dedi* — „მივეცი“...). ზოგ ენაში გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ან სხვა გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად<sup>1</sup> (ასე, მაგალითად, მალაიურ ენაში *orang* არის „ადამიანი“, *orang-orang* — „ადამიანები“, „ხალხი“, *kup* — „ქვეყანა“, *kup-kup* — „ქვეყნები“<sup>2</sup>).

რედუპლიკაცია აგრეთვე წარმოადგენს სემანტიკურ საშუალებას (ქართულში, აფხაზურში, სომხურში...). ფუძის რედუპლიკაციით შეიძლება აღინიშნოს შედარებითი ხარისხის ფორმებიც<sup>3</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „დასაწყისში რედუპლიკაციის შინაარსი სიმრავლე-მრავალგზისობა-ინტენსივობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. აქედან ის ზოგჯერ თითქოს სულ საწინააღმდეგო მნიშვნელობასაც იკუთხებს“<sup>4</sup>.

„აფხაზურში ძირთა რედუპლიკაცია — როგორც ეს აღნიშნული აქვს ქ. ლომთათიძეს — ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი გრა-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, II: ენის ლექსიკური შემადგენლობა, კრებ. „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“, IX, 1956, გვ. 22.

<sup>2</sup> А. А. Реформатский, Введение в языковедение, М., 1976, с. 287.

<sup>3</sup> Р. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, с. 228, 265.

<sup>4</sup> ქ. ლომთათიძე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენიმპის შობებე, V—VI, 1940, გვ. 115.

მატიკული მოვლენაა. რედუქლიკაციით იქ გამსჭვალულია როგორც მორფოლოგიის, ისე სემასიოლოგიის უბნები“<sup>5</sup>.



მკვეთრად გამოხატულია რედუქლიკაციით სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობა „თუ ზმნას ობიექტი (ერთპირიანებში — სუბიექტი) მხოლოდობითს რიცხვში აქვს, მაშინ ჩვეულებრივს, ურედუქლიკაციო სახეობას იყენებს, როგორც კი ეს ზმნასთან დაკავშირებული სახელი მრავლობითის გაგებას მოგვცემს, მაშინვე ზმნის ძირი გაორკეცებულად წარმოგვიდგება“<sup>6</sup>.

ქართულში განსაზღვრებად გამოყენებულ ზედსართავ სახელთა რედუქლიკაციით გამოხატულია თვისების ისეთი ინტენსივობა, რომელსაც „საკმაოდ“ სიტყვით გამოვხატავთ: **თხელ-თხელი** (=საკმაოდ თხელი), **მაღალ-მაღალი** (=საკმაოდ მაღალი), **შავ-შავი** (=საკმაოდ შავი), **ხმელ-ხმელი** (=საკმაოდ ხმელი)...

ამასთან ერთად, ფუძის გაორკეცება, „ერთგვარ მაგივრობას სწევს რიცხვის გამოხატვის საქმეში“<sup>17</sup> და, მართლაც, **თ ხ ე ლ-თ ხ ე ლ ი, მა ლ ა ლ-მა ლ ა ლ ი, შ ა ვ - შ ა ვ ი, ხ მ ე ლ-ხ მ ე ლ ი, მ ო კ ლ ე-მ ო კ ლ ე...** მრავლობითობის გაგების ნიუანსითაა შეწყობილი საზღვრულთან, რომელიც, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში დაისმის:

სუფრაზე წამდაუწუმ მოდიოდა ახალ-ახალი საქმელები (ე. ნინოშ.);  
სიხარულით მოდის... წითელ-წითელი ქოლგები (მ. ლორთქ.);  
მირბი-მორბიან მსხვილ-მსხვილი ჭიანჭველები (რ. ინან.);  
გამოჩენის ეშინოდათ წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს (ი. ნონ.);  
თევზები პატარ-პატარა ღელეებში შესულიყვნენ ქვირითის დასაყრელად

(აკაკი);

დიდ-დიდი მოხელეებისათვის ღლეობის მოხდა სავალდებულო გახადოს (მ. ჭავჭავ.);

ახალციხე ახალ-ახალი მებრძოლებით იცნებოდა (მ. ჭავჭავ.);

კატო და პაპა მიხა... ბირდაბირით მოკლენ-მოკლენ მორებად ხერხავდნენ

(გ. შატბ.)...

ფუძეგანმეორებული განსაზღვრება ბრუნვის ნიშანს დაირთავს მარტივი ფუძის დარად და საზღვრულთან ერთად იცვლება.

ფუძის რედუქლიკაცია მრავალ საინტერესო საკითხს აყენებს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს განმეორებული ფუძით გადმოცემული წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, რომელიც თავის დანიშნულებას აფიქსების დაურთავად ასრულებს.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 95.



სინტაქსის ისტორიამ იცის არაერთი შემთხვევა, როდესაც გაუფორმებელი ფუძე აღჭურვილია ფორმაცვალებად სახელთა ფუნქციით. ასეთ ვითარებაში სინტაქსურ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებს სიტყვათა რიგი წინადადებაში. ფორმით მდიდარ თვით ძველ ქართულ ენაში ბრუნვის ნიშანს არ ირთავს ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში. აქ ბრუნვის ნიშანთა უქონლობის საკომპენსაციოდ სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში დასმულ სახელთა ფუნქციის გამოსაცნობად ძველმა ქართულმა წინადადებაში სიტყვათა მტკიცე რიგი შემოინახა: პირველი ადგილი მოთხრობითში დასმულმა სუბიექტმა დაისაკუთრა, მომდევნო — სახელობითში დასმულმა ობიექტმა<sup>8</sup> — ისევე, როგორც ეს ამორფულ ენებშია: ფილიპე იხილა იოვანე (ვერს. 6, 10), პავლე გამოიჩინა შილა (მოც. 15, 40), ეს რომ შვა არამ (რუთ. 4, 19)...

სიტყვათა ასეთი რიგი შეირყა ბრუნვის ნიშანთა დართვით: როგორც კი სუბიექტს ან ობიექტს გაუჩნდა ბრუნვის ნიშანი, გაირკვა მეორე სახელის ფუნქციაც და მოიხსნა საჭიროება მტკიცე რიგისა: წარგზავნა ისაკ იაკობი (დაბ. 25, 19)... იხილა ადამ ევმან (ლიტ. ქრ. 6, 11)...

ფუძის გაორკეცება ემსახურება ერთი მეტყველების ნაწილისაგან მეორის მიღებასაც. არსებით სახელთა ფუძის განმეორებით ვიღებთ რთულ ზმნისართს<sup>9</sup>, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს.

ქართულ ენაში ზმნისართების ერთი ჯგუფი მომდინარეობს არსებით სახელთაგან ბრუნვის ნიშანთა გაქვევებითა და ფუძესთან შერწყმით, ან ადვერბალიზაცია ხდება ზოგი ფუძის რედუპლიკაციით. ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელის ფუძის გაორკეცებით წინადადებაში გამოიხატება ადგილი, დრო ან ვითარება, რომელთაგან მიიღება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები: ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებები, შდრ. ადგილ-ი და ადგილ-ადგილ, კარ-ი და კარ-კარ|კარ დაკარ, კედელ-ი და კედელ-კედელ, მინდორ-ი და მინდორ-მინდორ, ნაპირ-ი და ნაპირ-ნაპირ, ქედ-ი და ქედ-ქედ, წყალ-ი და წყალ-წყალ|წყალ და წყალ; გზა და გზა-გზა|გზა და გზა, ტყე

8 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა; ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1936, გვ. 312; ა. კიჭირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 115—117.

9 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 592.



და ტყე-ტყე..., ზაფხულ-ი და ზაფხულ-ზაფხულ; გულ-ი და გულდაგულ, ფენ-ი და ფენდაფენ, ცხენ-დაცხენ და ა. შ.

მნიშვნელობით ადგილ-ი = სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო..., ადგილ-ადგილ = აქა-იქ, ალაგ-ალაგ...

კარ-ი = შემოზღუდული ადგილის ანდა შენობის, ოთახის (რაიმე სათავსის) შესასვლელის დასახური (ხისა, რკინისა...)...; კარ-კარ|კარ-დაკარ = კარიდან... კარზე, ერთი სახლიდან მეორეში, — ეზო-ეზო... და ა. შ.<sup>10</sup>.

ფუძეთა შეერთება ან უკავშიროა (ასინდეტური), ან — კავშირია-ნი (სინდეტური). მაგალითები:

### 1. გამოსატულია ადგილი

ადგილ-ადგილ მინდორზე გორად იდგა ქარისაგან მინანქრული თოვლი (ვაჟა).

რაც ერთი იყო, იგივე მეორე... შიგადაშიგ დახვესებული, ალაგ-ალაგ გადმოკიდებული ძუსავით ბრაწი (ვაჟა).

აგერ გლახკანი, უთუოდ ჰშიანთ, რადგან თოვლ-ჰყავში კარ-კარ დაძრწინა (რ. ერისთ.).

ზაქროც კედელ-კედელ იმ ხმაურისაკენ მიიპარება (მ. ჭავჭავ.).  
მერცხალი... მინდორ-მინდორ დაფრინავდა (ი. გოგებ.).

მათე თავისი უეცარი შევილობილით დინჯად მიდიოდა ნაპირ-ნაპირ (ლ. გოთ.)

ლანდები ... ნაპირ-ნაპირ შევიდნენ ტყეში (კ. გამს.).  
ფრად სამწლო გამოდგა ხრიოკის ქედ-ქედ სვლა (ლ. გოთ.).  
ისინი ... ქედ-ქედ გავიდნენ (ლ. გოთ.).

იანკა ... ჩრდილ-ჩრდილ წავიდა (გ. შატბ.).

გალაქტიონი ... წყალ-წყალ შეჰყვა ლორთქიფანიძეთა წისქვილის არხს („ლიტ. საქ“).

კაქკაქი... წავიდა გზა-გზა (ვაჟა).

ნეტავ თქვენებრ დავდიოდე მთა-მთა, ვეძიებდე მონადირის კარებს (ხ. ბერ.).  
მელიამ... წამოიყვანა სორო-სორო... ყმაწვილი (ი. გოგებ.).

დიდი გზა ტყე-ტყე მიდიოდა (მ. ჭავჭავ.).  
ჭაბუკი ... მღვეარს ტყე-ტყე აედევნა (გ. შატბ.).

ქუჩა-ქუჩა გატარებთ ღრიალითა (მ. მგალ.).

ცეცომ... დედ-დედე წყაროსკენ მსხლის ჭამით გასწია (ხ. მგალ.).

ჭიტამ .. ყორე-ყორე უმოკლა და უბნის ბოლოს გზა მოუჭრა ზანას (ლ. გოთ.).

ალარ წვიმდა. ჭალ-ჭალა... მივდიოდით (გ. შატბ.).

<sup>10</sup> ვემყარებით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეაქტომეულს, თბ., 1950—64.



## 2. გამოხატულია დრო

მწირისუბნელი...ხალხი ძალიან შრომისმოყვარეა... ის ზ ა ფ ხ უ ლ-ზ ა ფ ხ უ ლ შილის სხვა მხარეს (გ. წერ.).  
 ზ ა მ თ ა რ-ზ ა მ თ ა რ დაწუნებულს ზაფხულში კი არ მყავს მტერი (აკაკი).

## 3. გამოხატულია ვითარება

კატა... წამოდგა ჩანგურს, ძირს ჩამოაგდო და ლუკმა-ლუკმა დაამსხვრია (აკაკი).  
 თუ მოგვაგნეს, სულ ლუკმა-ლუკმა დაგვჩლიჩენ (ი. გოგებ.).  
 უნდა დავხლიჩო კირილე ნაჭერ-ნაჭერ (ვაჟა).  
 მარგალიტის ტყუპის ცალი, ტოკავს ბალი ნებან-ნება (გ. ლეონ).  
 ნებან-ნება მყუდროებითა და სიტკბოებით ვწერო (გ. ლეონ).

ასინდეტური რედუბლიკაციის გვერდით გვაქვს სინდეტური რედუბლიკაცია. მნიშვნელობით მათ შორის განსხვავება არ იგრძნობა, მაგრამ არის რაღაც ნიუანსი, რომლითაც პირველი განსხვავდება მეორისაგან. შდრ.: კ ა რ-კ ა რ და კ ა რ და კ ა რ, ქ ე დ-ქ ე დ და ქ ე დ-და ქ ე დ, წ ყ ა ლ-წ ყ ა ლ და წ ყ ა ლ და წ ყ ა ლ, გ ზ ა-გ ზ ა და გ ზ ა და გ ზ ა, დ რ ო-დ რ ო და დ რ ო და დ რ ო...

მაგალითები:

### 1. გამოხატული ადგილი

დადის საწყალი კარდაკარ, მოწყალეებას თხოულობს (ვაჟა).  
 ჩემი საცერი ქედღდაქედ გადმოდიოდა (გამოც.).  
 ის წყალდაწყალ ხტებოდა ქვიდან ქვაზე (გ. წერ.).  
 გზადაგზა ვიგონებდით ჩვენს საყვარელ ზანა მდინარეს (კ. გამს.).  
 გზადაგზა სულ საწყალი პეპიას უბოროტო სიკვდილი მელანდებოდა (ილია).  
 ტყვიდატყვი მგელივით დადიოდა გაბენტერებული ჯავრისაგან (ვაჟა).

### 2. გამოხატულია დრო

ტაიგებიდან ნოტიო ქარი დროდადრო დაჰბერავს ხოლმე (დ. შენგ.).  
 ოსმალეთში... საქმე დღედადღე მწვავდება (ილია).

### 3. გამოხატულია ვითარება

პატრონი... გულდაგულ ექიდება მაკრატელს (აკაკი).  
 თინათინი... გულდაგულ შესდგომოდა სამსონას მოკაზმვას (ე. ნინოშვი.).  
 მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებიანებდნენ, რომ მათთვის თვალდათვალ დაენახებიათ, თუ რა საძაგლობაა (აკაკი).

მონადირე მიჰყვა კვალდაკვალ (აკაკი).

მხედრებს კვალდაკვალ მისდევდა ტარასი (ს. კლდ.).

არამითხე მოამაგე და ჭირისუფალი ჩამოუფელიდა სოფელს კომლდაკომლ (გ. ლეონ.).

მხარდამხარ დასხდნენ („ლიტ. საქ.“).

კურდღელს ფეხდაფეხ მივწვდი (აკაკი).

ფილუას ფეხდაფეხ მოსდევდნენ ბლუნძელაშვილი, მამასახლისი და გზირი (ს. შვალ.).

ქალაქს გარეთ გავიდა ცხენდაცხენ ელიკო (აკაკი).

მხედარმა ... ცხენდაცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს (აკაკი).

ხელდახელ მოილაპარაკეს მეგობრებმა (კ. ლორთქ.).

ბაბურაულმა ხეცურთა ხმალდახმალ ჩასვლა ურჩია (ვაჟა).

### ფუძის რედუპლიკაცია ხშირია ძველ ქართულშიც:

ყოველი, რომელი წმიდამან კრებამან და სხუთა მათ დიდებულთა კრებათა, რომელნი ადგილ-ადგილ იქმნეს, განაწესეს (მც. სჯ. კან., 127, 9).

ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ (აგიოგრ. ძეგლ., I, 257, 11).

ქამ-ქამ ცივი სული ქროდეს (ძვ. ქართ. ქრესტ. I, 29, 29).

აგზნებდეს მღვდელი იგი შეშასა განთიად-განთიად (ლივოტ. 6, 12).

წუთ-წუთ გარე-უკმოიხილის (წარტყ. 38, 20).

ინტერესს იწვევს ისიც, რომ ზოგი განმეორებული ფუძე მხოლოდ ასინდეტურად იხმარება, ზოგი — მხოლოდ სინდეტურად.

მხოლოდ ასინდეტურია: ადგილ-ადგილ (ადგილ-ადგილ ნიჭი ეტყობოდა და არა: ადგილდაადგილ ნიჭი ეტყობოდა), კედელ-კედელ (კედელ-კედელ მიიპარება და არა: კედელდაკედელ მიიპარება), ნაპირ-ნაპირ (მიდიოდა ნაპირ-ნაპირ და არა: მიდიოდა ნაპირდანაპირ), სორ-სორ (წამოიყვანა სორ-სორ და არა: წამოიყვანა სოროდასორო), ქალა-ქალა (ქალა-ქალა მივდიოდით და არა: ქალადაქალა მივდიოდით), ზაფხულ-ზაფხულ (ზაფხულ-ზაფხულ მიდის და არა: ზაფხულდაზაფხულ მიდის), ლუკმა-ლუკმა (ლუკმა-ლუკმა დაამსხვრია და არა: ლუკმადალუკმა დაამსხვრია)... მეორე მხრივ, დამკვიდრებულია ოდენ სინდეტური ფორმები: გულდაგულ (გულდაგულ ეჭიდება და არა: გულ-გულ ეჭიდება), თვალდათვალ (თვალდათვალ დაენახვებიათ და არა: თვალ-თვალ დაენახვებიათ), მხარდამხარ (მხარდამხარ დასხდნენ და არა: მხარ-მხარ დასხდნენ) და ა. შ.

გაუფორმებელი ფუძეები გამოიყენება ისეთ შემთხვევაშიც, როცა საპირისპირო ცნებებია შეერთებული:

ზ ა მ თ ა რ - ზ ა ფ ხ უ ლ ბარადა გდია (ვაჟა).

ვიცანი მისი ერთთავად ზ ა მ თ ა რ - ზ ა ფ ხ უ ლ გაცივებული ხმა (კ. ლორთქი).

აფიქსთა მნიშვნელობით ფუძის რედუბლიკაცია მის სიძველეზე მიუთითებს და აღრინდელი მოვლენა ჩანს. ცხადია, რედუბლიკაციას არ ექნებოდა ადგილი, თუ ენას აღმოაჩნდებოდა სათანადო აფიქსი, ამიტომ იგი დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსთა დამკვიდრებამდეა ჩამოყალიბებული, რამდენადაც „ის დაპირისპირება, რომელიც ამჟამად არსებობს ფუძესა და აფიქსს შორის, წინათ არ არსებობდა... ყველა ერთეული ლექსიკური იყო, ენაში მხოლოდ ფუძეები გვქონდა“<sup>11</sup>.



<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 254.

თამარ ზურაბიშვილი

სიტყვა და შესიტყვება  
(წყალობით, მეოხებით, შემწეობით)

ახალ ქართულში გვაქვს სინონიმური მნიშვნელობის მქონე მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნისართები: **წყალობით, მეოხებით, შემწეობით**, რომელთა ამოსავალი ფორმებიც (**წყალობა, მეოხება, შემწეობა**) დაახლოებით ერთი და იმავე შინაარსისაა. სახელდობრ, **წყალობა** ნიშნავს: კეთილგანწყობილებას, კარგ დამოკიდებულებას, კარგ რამეს, სიკეთეს...<sup>1</sup>, **მეოხება** — დახმარებას, შემწეობას, წყალობას<sup>2</sup>, ხოლო **შემწეობა** — ხელის გამართვას, დახმარებას, შველას<sup>3</sup>.

მაგალითები:

კნენა გაიანეს... ხელმწიფის მოწყალებით და ბრძანებით ენიშნება უდიდესი წყალობა პენსია სამოცი თუმანი თეთრი ფული (მკ. გაბ.).

დაუვიწყარი იქნება მუდამ ჩვენთვის ეს გულუხვი წყალობა (ნ. ლომ.).

გახსნა გახარებულმა მეფემ საკურტლე თვისი და გასცა წყალობა ულევო (ვ. ბარნ.)...

სიტყვამ თავისი მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. დმერთმა უშველოს „ცისკარს“, ეგ იმისი მეოხება არის (ილია).

(ეს)... იმ დაბალი წოდების მეოხებაა, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს (აკაკი)...

მოძღვარი ... გაჭირვებულს მგზავრებს შემწეობას აძლევდა ხოლმე (ალ. ყაზბ.).

ვინ მოსალაპარაკებლად მოდიოდა, ვინ რჩევის საკითხავად, ვინ შემწეობის სათხოვნელად (დ. კლდ.).

შეგეძლო გლახაკისათვის შემწეობა მიგეცა (აკაკი)...

როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, სამივე ამ სიტყვას დადებითი შინაარსი აქვს და მოსალოდნელი იყო, რომ მათგან ნაწარმოები ზმნი-

1 ქეგლ, VIII, 1197.

2 იქვე, V, 186.

3 იქვე, VII, 1073.

სართული ფორმებიც ამავე მნიშვნელობით იქნებოდა გამოყენებული წინადადებაში.



რა მდგომარეობაა ამ მხრივ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში?

ზმნისართები წყალობით, მეოხებით და შემწეობით, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ქართულში ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან, გამოყენების მხრივ ყოველთვის ერთგვარ სურათს არ გვიჩვენებენ. ეს განსაკუთრებით ეხება ზმნისართს წყალობით.

წყალობით დასახელებული ზმნისართებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულში. მას, ძირითადად, შენარჩუნებული აქვს ამოსავალი ფორმის ლექსიკური მნიშვნელობა და უმეტესად იხმარება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე საქმეში ვისიმე ან რისამე დადებითი როლისა თუ მათი მოქმედების სასურველი შედეგის შესახებ ლაპარაკობენ.

მაგალითად:

თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ შე... გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი (აკაკი).

მე ისა ვარ. ვისიც წყალობით შენ დღეს ასე მშვენიერი ხარ (აკაკი).

კეთილი ხალხის წყალობით ლუქმასა ეკამ (ალ. ყაზბ.).

სასახელოა ჩვენთვისა დედათ-მთავარის დღეობა, იმის წყალობით განმტკიცდა აქრთლში ახალი ზნეობა (ვაჟა).

ექვსის წლის განმავლობაში ჯაფის ამტანის დედაკაცის წყალობით... ოჯახი მოღონიერდა (გ. წერ.).

ცრუმორწმუნეობამ ... სვანებისამ ბოლო წლებში იკლო სკოლების წყალობით (ი. გოგებ.).

ყველაფერი შენი წყალობით შენდებოდა ამ ჩვენს თემში (ა. ქუთათ.).

სახლი, სახელი, ცხოვრება გაგას მეფის წყალობით შეუკრეფია (გ. ლეონ.).

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის და ყურადღების წყალობით ახალ ზიცოცხლეს იძენენ საქართველოს მთის რეგიონის სოფლები („სომ.“).

ჯაფარიძის, ხარშილაძის... და მიქაბერიძის თავგანწირული თამაშის წყალობით გუნდი ინიციატივას დაეუფლა („ლელო“)...

აღნიშნული მნიშვნელობისაა ზმნისართი წყალობით ისეთ ჩართულ გამოთქმებშიც როგორცაა: დვთის წყალობით, თქვენი წყალობით, რომელთაც აგრეთვე „იტყვიან, როდესაც რაიმე სიკეთის შესახებ ჰყვებიან“<sup>4</sup>.

<sup>4</sup> ქეგლ, VIII, 1197.



ღვთის მადლით და წყალობით სოფელში თითო-ორი კისერქანდაკი...  
ბიჭი არ გამოწყდება (ვაჟა).

ქე ვართ ღვთისა და თქვენი წყალობით კარქა (პ. ლომი)...

მაგრამ ბოლო დროს ზმნისართმა წყალობით, როგორც ჩანს, გაიფართოვა მოხმარების არე და ენაში გამოიყენება არა მხოლოდ ვისიმე ან რისამე დადებითი როლისა თუ მოქმედების სასურველი შედეგის გადმოსაცემად, არამედ საერთოდ მიზეზის გამოსახატავად და ხშირად თანდებულის ფუნქციასაც ასრულებს. ამიტომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც იგი ასეა განმარტებული: წყალობით — (ვისიმე, რისამე) მიზეზით, მეოხებით, გამო, გამოისობით<sup>5</sup>.

სწორედ ამ შინაარსის გამომხატველია იგი შემდეგ წინადადებებში:

არიან იმისთანა გარემოებანიც... რომელთა წყალობითაც გაიჭრებულს კაცი გაეტაცებინა ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთესნია, ის მომკოს (ილია).

ამით ვერ წაშალა დედამიწის ზურგზედ მიზეზი, რომლის წყალობითაც მარჯვე დიპლომატი ევროპის საქმეს დომხალსავით აურევს ხოლმე (ილია).

ნახევარი დო ეღვრება დიდის კოვზის წყალობით (ვაჟა).

(ამის) მსხვერპლად გარემოებისა და შემთხვევის წყალობით თქვენ აუცილებლად შეიქნებით (მკ. გაბ.).

ამ გარემოების წყალობით კვკასიის არქეოლოგიურ შესწავლას... შემთხვევითი ხასიათი აქვს (ივ. ჭავჭავ.).

ამ ხანამდე ცნობების მეტისმეტი ნაკლებობისა და შემთხვევითობის წყალობით ამ ისტორიის მხოლოდ ზოგიერთი მომენტების გამორკვევა შესაძლებელი (ივ. ჭავჭავ.).

რაა საჭირო, რომ რუსმა და ქართველმა ერმა განაახლონ პროგრესის გზაზე სვლა, შეფერხებული გარეგნული მიზეზების წყალობით (გ. ქიქ.).

მეც თუკი ვინმე... მსახავს თავის მოძულედ, ცრუ მიტანილ ამბის წყალობით... მსურს შევურიგდე (ივ. მაჩაბ. თარგმ.)...

წყალობით ზმნისართის აღნიშნული შინაარსით გამოყენებისას კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. სახელდობრ, ფრაზაში იგი ხშირად გადატანითი, ირონიული მნიშვნელობით იხმარება და ამის გამო ასეთ შემთხვევებში თავისი თავდაპირველი, ამოსავალი ლექსიკური მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრს იძენს — ვისიმე ან რისამე უარყოფით როლსა თუ მოქმედების არასასურველ შედეგს გადმოსცემს.

ირონიულ ელფერს წყალობით ზმნისართი უმრავლეს შემთხვევაში იძენს მაშინ, როდესაც იგი წინადადებაში სინტაგმას ქმნის ალა-

5 იქვე.



მიანის საკუთარ, და საერთოდ, ვინ ჯგუფის სახელებთანა და მათ შემცველ პირის ნაცვალსახელებთან. ჩანს, ადამიანის მიერ ჩადენილი მოქმედების დასახასიათებლად ენა მეტ გამომსახველობით საშუალებებს ეძებს და ნეიტრალური გამო, გამოისობით, მიზეზით თანდებულების ნაცვლად არჩევს უფრო ექსპრესიული, გამომეტყველებითი წყალობით ზმნისართი იხმაროს. ამასთან, ამას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ვინ ჯგუფის სახელი + წყალობით ქართულისათვის ბუნებრივი შესიტყვებაა.

**მაგალითები:**

ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზლობამ ენა ამოიღგა რუსეთში ბ-ნის კატკოვის და მისი კამპანიის წყალობითა და მხნეობითა (ილია).

დღეს შენ და სამსონის წყალობით სამართალი ვეღარ ჭრის სამართალს (ა. წერ.).

იმას ყველა ყბად იღებს... ნინოს წყალობით (ჭ. ლომთ).

სოფელ ნიგვზიანში ბეერ ტკბილ ცოლ-ქმრობას გადაესხა მწარე ნაღველი იასონის წყალობით (ე. ნინოშვი.).

ისე მეჩვენებოდა, თითქოს ური ჰიპის წყალობით მზე არასოდეს აღარ ამოანათებდა ბინიდან ცის კაბადონზე (ჭ. ბაქრ. თარგმ.)...

უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ზალხმა აითვალისწუნოს იგი (ილია).

როგორ შემძლო მაშინ წარმომედგინა, რომ ბანკში მოსამსახურე პირების წყალობით ეს ყველაფერი სიყალბე გამოდგებოდა (აკაკი).

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ მყვირალათა წყალობით ბანკში მოესპო ხმა და გავლენა (დ. კლდ.).

ხელნაწერები დაქსაქსულნი იყვნენ და გარყვნილნიც უეციცი გადამწერების წყალობით (ი. გოგებ.).

გაიძვერების წყალობითა გვქირს ამოდენი უბედურება (ივ. მაჭავ. თარგმ.)...

შენი წყალობით ეგ მალე გაგიყდება და დავიღუპები (შ. არაგვ.).

აი, შვილო, შენი წყალობით როგორ თავზე ლაფი დამასხეს (შ. არაგვ.).

ის ჩვენი თავმჯდომარე პარტიულ მანდატს დაკარგავს შენი წყალობით (ბ. კლდ.).

თქვენი წყალობით არსენამ მთელი დოვლათი გადაგვიწვა (შ. ჯავახ.).

გულამოსკვნილი დავტროდი ჩვენი თუ სხვისი წყალობით ჩვენს გატიალებულ ყოფას (ჭ. ლომთ.).

იმის წყალობითაა, რომ დღესაც ცოტათი ვკოქლობ (შ. კაკაბ. თარგმ.).

როგორ არ უნდა შებრალებოდათ იმათ წყალობით უდროოდ დაობლებული ათასი და ათი ათასი ოჯახი (ივ. მაჭავ. თარგმ.) და სხვ.<sup>6</sup>

<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ რუსულშიც მყარი გამოთქმა по милости, რომელიც სწორედ ქართულის წყალობით ზმნისართის შესატყვისია (იხ.: რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1956, გვ. 759), ხშირ შემთხვევაში აგრეთვე ამ შინაარსით იხმარება по милости кого (ирон.), из-за кого-н., по вине кого-н.: Толковый словарь русского языка, под ред. Д. Н. Ушакова, т. II, М., 1938, с. 215;

არტუ იშვიათად ზმნისართი წყალობით გადატანითი მნიშვნელობისაა მაშინაც, როდესაც იგი შესიტყვებას ქმნის არა ვინ ჩვეულებისა არამედ სხვა არსებით (თუ არსებითის ფუნქციით წარმოდგენილ) სახელებთან და ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგი ეს სახელი უარყოფითი შინაარსისაა და სემანტიკურად წყალობით ზმნისართს წესით ვერ უნდა იგუებდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ წინადადებებში მთლიანად მიჩქმალულია ზმნისართის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა და აქ იგი მხოლოდ ირონიულ ელფერს გადმოსცემს.

მაგალითები:

აი, ამ მისი „ნუსხის“ წყალობით გაილანძლა მარინეც (ჭ. ლომთ.).

სიყვარულის წყალობით მე ვშთენილვარ სოფლად გმობილი (ჭ. ლომთ.)- ჩვენს ქველ საქმეს, ყველგან განთქმულს ჩვენსა დიდებას, ფასიც, ღირსებაც უმცირდება ღვინის წყალობით (ივ. მაჩაბ. თარგმ.).

(იერემია) თავისი მეხსიერების წყალობით სამი წლის განმავლობაში მეორე კლასში გადავიდა (გ. წერ.).

საცა კი დამარცხდა ჩვენი ჯარი, ან ღალატით დამარცხდა, ან არა და ძველი, მეფობის დროინდელი გენერლების უნიჭობის წყალობით (ივ. მაჩაბ. თარგმ.).

ამ სისულელის წყალობით ერთ საღამოს... ჩემი თავი წარმოვიდგინე შეყვარებულად (ჭ. ლომთ.).

სენის წყალობით არის, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეულა (ჭ. ლომთ.).

(ქართველები) ისე დამარცხდნენ, რომა რაც მას აქეთ მოგვივიდა, სულ იმ ომის წყალობით (მ. ჯავახ. და სხვ.).

მაშასადამე, როგორც განხილული მასალიდანაც ჩანს, ზმნისართი წყალობით კონტექსტში ხშირად განსხვავებულ სემანტიკურ შინაარსს ავლენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მთლიანად თავისი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა.

ამიტომ, თუ ფრაზაში ზემოთ ნახსენები ირონია ან გადატანითი მნიშვნელობა არ ივარაუდება, მისი დაკავშირება ისეთ სიტყვებთან, რომელთა სემანტიკაც წინასწარ გამორიცხავს რაიმე დადებით თუ სასურველ შედეგს (სიკვდილი, უბედურება, დაღუპვა, ვერაგობა, სისაძაგლე, საშინელება, მტრობა, ბოროტება, ორგულობა...), არ იქნება მართებული.

---

С. И. Ожегов, Словарь русского языка, М., 1953. с 311. მაგალითები: „По твоей милости все смеются надо мной“. А. Н. Островский; „У Обломова в кабинете переломаны... почти все вещи... и все по милости Захара“. И. А. Гончаров...

ამავე მიზეზით გაუმართლებელია აგრეთვე წყალობით ზმნისარ-  
თის გამოყენება შემდეგ წინადადებებში:

ხელმძღვანელობის მხრივ სრული უკონტროლობისა და წაყრუების წყალობით ამ მანქანებს მოხსნეს ის უნიკალური აპარატურა და უმოქმედოდ ყრია. („კომ.“).

ტექნიკის ერთი ნაწილი დაუდევრობის წყალობით გამოსულია მწყობრიდან („განთ.“ ვანი).

ბევრი ცხოველი საქართველოში მოისპო ან ძალზე შემცირდა მათი სულადობა უწესრიგო ნადირობისა და ბრაკონიერობის წყალობით („საქ. ბუნ.“).

მართლაც, სალდათი, რომელიც ავდრის წყალობით მობუზულიყო... ერთბაშად შეინძრა (ალ. ყაზბ.).

ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და ყურადღების დაფანტულობის წყალობით ყველგან მოსცარვოდა ხელი (მ. გამს.).

გრიგოლის მოღვაწეობის ასპარეზის აღმნიშვნელი ადგილი შეუცვლელი დარჩენიათ და ამის წყალობით იქ გეოგრაფიულ ცნობებში ისტორიული პერსპექტივაც სრულიად დარღვეულია (ივ. ჯავახ.)....

დასახელებულ მაგალითებში წყალობით ზმნისართის ნაცვლად აჯობებდა ეხმარათ: გამო, გამოისობით, მიზეზით, შედეგად და ა. შ.<sup>7</sup>. მაგალითად, ასე:

ხელმძღვანელობის მხრივ სრული უკონტროლობისა და წაყრუების გამო ამ მანქანებს მოხსნეს ის უნიკალური აპარატურა და უმოქმედოდ ყრია.

ტექნიკის ერთი ნაწილი დაუდევრობის გამო გამოსულია მწყობრიდან.

ბევრი ცხოველი საქართველოში სრულიად მოისპო ან მათი სულადობა ძალზე შემცირდა უწესრიგო ნადირობისა და ბრაკონიერობის გამო (შედეგად).

მართლაც, სალდათი, რომელიც უამინდობის გამო მობუზულიყო... ერთბაშად შეინძრა.

ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და ყურადღების დაფანტულობის გამო ყველგან მოსცარვოდა ხელი.

გრიგოლის მოღვაწეობის ასპარეზის აღმნიშვნელი ადგილი შეუცვლელი დარჩენიათ და ამის გამო (შედეგად) იქ გეოგრაფიულ ცნობებში ისტორიული პერსპექტივაც სრულიად დარღვეულია.

7 წყალობით ზმნისართის უმართებულოდ გამოყენების შესახებ გაკვრით აღნიშნულია აგრეთვე გ. შალამბერიძის წიგნში: „უტყბესი და უმწარესი“, თბ., 1968, გვ. 65.



მაგრამ ეგვე **წყალობით** ზმნისართი ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციებშიც კი ბუნებრივი იქნებოდა (მიიღებდა ირონიულსა და დატანით მნიშვნელობას) თუ წაყრუება, დაუდევრობა, ბრაკონიერობა, ავდარი, დაფანტულობა და სხვა სიტყვათა ნაცვლად ვინ ჯგუფის სახელებს ან მათ შემცვლელ ნაცვალსახელებს გამოვიყენებდით. მაგალითად:

ხელმძღვანელების წყალობით ამ მანქანებს მოხსნეს ის უნიკალური აპარატურა და უმოქმედოდ ყრია.

ტექნიკის ერთი ნაწილი მისი წყალობით გამოსულია მწყობრიდან.

ბევრი ცხოველი საქართველოში სრულიად მოისპო... ბრაკონიერების წყალობით.

საღდათი, რომელიც მისი წყალობით მობუზულიყო... ერთბაშად შეინძრა.

ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და მისი წყალობით ყველგან მოსცარვოდა ხელი.

...მისი წყალობით იქ გეოგრაფიულ ცნობებში ისტორიული პერსპექტივაც სრულიად დარღვეულია.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ დასახელებული სახის სტილისტიკური დარღვევები დასტურდება რუსულშიც. ამის შესახებ, სახელდობრ, წინდებულ *благодаря*-ს მაგალითზე სათანადოდ აღნიშნულიც არის საენათმეცნიერო ლიტერატურაში და ნათქვამია, რომ წინდებული *благодаря*, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუქარგავს თავისი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა (*благодарить* ზმნასთან დაკავშირებით), ჩვეულებრივ, იხმარება, როცა საუბარია მიზეზებზე, რომლებიც იწვევენ სასურველ შედეგს, მაგ.: *«выздоровел благодаря заботам матери»*, *«спасся благодаря своей находчивости»* და ა. შ. ხოლო პრესაში დადასტურებული ისეთი მაგალითები, როგორცაა: *«благодаря снежным заносам движение прервано»*, ან *«поезд потерпел крушение благодаря небрежности стрелочника»* და სხვ. აღიქმება, როგორც ზემოთ მოყვანილი დებულების დარღვევა. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეტყველების წიგნური სტილისათვის უკვე დამახასიათებელია ამ წინდებულის ფართო გამოყენება საერთოდ მიზეზის გამოსახატავად და არა მხოლოდ ისეთისა, რომელიც „მისახურებს მადლობას“. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ნეიტრალური და უარყოფითი შედეგისაც კი. თუმცა, იმ ტიპის მაგალითების შეუძლებლობა,



**როგორცაა:** «Студент не пришел на занятия благодаря смерти матери» მეტყველებს იმაზე, რომ წინდებულში **благодаря** გარკვეულად შენახულია მისი გენეტური მნიშვნელობა\*. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს წყალობით ზმნისართის გამოყენების მხრივ ქართულშიც.

დასასრულ, რაც შეეხება ზმნისართებს მეოხებით და შემწეობით: მართალია, როგორც დასაწყისშივე აღნიშნული იყო, ამ სამ ზმნისართს ხშირად სინონიმური მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით ეს ორი უკანასკნელი მაინც სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. უპირველეს ყოვლისა, ისინი შედარებით ნაკლებად იხმარებიან ენაში, და, მეორე, რაც მთავარია, მათში მეტადაა შემონახული თავდაპირველი სემანტიკური მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ითქმის შემწეობით ზმნისართის შესახებ. ამიტომ წინადადებაში ეს ზმნისართები უმეტესად დადებითი შინაარსით გამოიყენება.

**მაგალითები:**

არ ვიცი, რა მადლობა უნდა გადაუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთა მეოხებითაც... ჩვენში გაძლიერდა... ქართულის სცენის დადგენის სურვილი (ილია).

ალავერდს გიორგისა სთხოვს, ბოდბეში წმინდა ნინოსა, რომ იმათ მეოხებითაც კახთ სხივი მოეფინოსა (ვაჟა).

თუ რამე სახეირო იცოდა ფეფიკომ, ყველა ეს — თედოს მეოხებით (ი. ეკალ-).

მისი მეოხებით დადგა ფეხზე და გამშვენიერდა ქართული პროზა და ლექსი (ბ. შანშ.).

მასების შემოქმედებითი შრომის მეოხებით მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გაიზარდა („კომ.“).

კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომის მეოხებით სოფლის მეურნეობა განუზრგვალად მიდის აღმავლობის გზით („კომ.“).

ლენინური... ეროვნული პოლიტიკის მეოხებით მოიპოვა... თავისუფლება („კომ.“).

საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობისა და დახმარების მეოხებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ქართველმა ხალხმა („კომ.“).

შემოსავალი დიდია მეურნეობის სწორი სოციალისტური გაძლიერების მეოხებით („კომ.“).

მთელი კოლექტივის... ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის მეოხებით... გვაქვს ქართული... საბალეტო ხელოვნება („ლიტ. და ხელ.“)...

ნაცნობი დიდკაცობის შემწეობით ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა სამსჯავროდან (ე. ნინოშვი.).

ნაცნობების შემწეობით ბეჟანმა იასონი მიაღებინა მწერლად მაზრის სამმართველოში (ე. ნინოშვი.).

\* Д. Э. Розенталь, Практическая стилистика русского языка, М., 1974, с. 263—264.



გლებების შემწეობით... ბოლოს მოიგეს საქმე (ე. ნინოშვი.).

უღელი მოზრები, რომლის შემწეობით ის მოელოდა „დასასრულს“ მგელმა შეუქამა (ე. ნინოშვი.).

ზოგიერთის მაღლიანის კაცის შემწეობით ისწავლა ხეცური ანაბანა (მელან.).

მაკრინე... ექიმის შემწეობით სასიცოცხლოდ გამობრუნდა (ეკ. ვაბ.).  
ერთხელ ანგელოზების შემწეობით გაიშვა სატუსალოდან (ჭ. ლომთ.).  
ამ ცხოვრების თვალსაჩინო ნიშნები ტელესკოპის შემწეობით მოჩანან კიდევო (ჭ. ლომთ.).

თექვსმეტის ფეხის შემწეობით... მივცოდა თუთის ნორჩს ფურცლებთან (ი. გოგებ.).

ყველა ეს ხმები ჩვენ ყურების შემწეობით გვესმის (ი. გოგებ.) და სხვ.

მაგრამ ზოგჯერ სტილისტიკური დარღვევები აღნიშნული ზმნისართების (ძირითადად, მეოხებით ზმნისართის) გამოყენების შემთხვევებშიც დასტურდება, რაც ფრაზას უკარგავს გამომსახველობით ძალას.

### მაგალითები:

ჩვენ ყოველივე ეს სამართლიან საბუთს გვაძლევს, რომ პატივცემულთ ავტორებს განუზიაროთ აზრი შესახებ იმის უმთავრესის მიზეზისა, რომლის მეოხებითაც ჩვენ არც თავდადებული მუშაკი გვყავს ლიტერატურისათვის და არც საკმაოდ ამისათვის მომზადებული (ილია);

აქამომდე უვალო ოჯახს ამ წირვების და კურთხევის მეოხებით ათ თუმანზე მეტი ვალი დაგვედო (ნ. ლომ.).

წარმოუდგა დათუას ალი, მისი გამოჩენა ჩვენს სახლში და ის მისი უნარები, რომელთა მეოხებით დაეცა ჩვენი სავსე ოჯახი (ნ. ლომ.).

უკუღმართ გარემოებათა მეოხებით თავგზადაბნეულ... ხალხთა უმრავლესობაც პირფერობს (ი. ეკალ.).

ახლა, როცა მისი მეოხებით განზრახვა ლამის ჩამეშალოს, — ...რა უფლება მაქვს საკუთარ გრძნობებს აფეყე (რ. ვეშტ.).

ჩვენი უვიციობისა და სიბრყვის მეოხებით მამა-პაპათავან სისხლით მორწყულსა და გაპოხიერებულ მამულს გადამთიელნი გვეცილებიან (ა. ჭუმბ.).

გიფიქრიათ ოდესმე იმ უბედურ სახლზე, რომელიც დაობლდა თქვენი მეოხებით? (ქ. ბაქრ. თარგმ.).

1913 წელს უნდა მოწყობილიყო ვ. ფაფაზიანის იუბილე, მაგრამ ფაფაზიანის მოწინააღმდეგეთა მეოხებით ეს იუბილე ჩაიშალა („სახ. ვან.“).

(მან) გააკრიტიკა... სამმართველოს ხელმძღვანელები, რომელთა მეოხებითაც ჭიანჭურდება დაწყებული მშენებლობა („ვანთ.“, ვანი).

ცუდად იმუშავებს... საბჭოებმა ამ ორგანიზაციათა ყოფილი ხელმძღვანელების უღარდელს მეოხებით („ვანთ.“, ვანი)...

ბანკის შემწეობით გაკოტრებული თავადიშვილის კარ-მიდამო და მამული შეიძინა იმერეთში (გ. ქიქ.).

გული აუცრუვა გიმნაზიის გაკვეთილებმა. გაუგებარი რუსული ენის შემწეობით ფრაზის გაზეპირებამ (გ. ქიქ.)...



მოყვანილ მაგალითებში **მეოხებით, შემწეობით** ზმნისართების  
 არც გადატანითი მნიშვნელობა ივარაუდება და არც — ირონიული  
 ელფერი. აქ ყველგან უბრალოდ თანამედროვე ქართულისათვის შეუ-  
 ფერებელი გამოთქმები გვაქვს.

ამრიგად თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში **წყა-  
 ლობით, მეოხებით** და **შემწეობით** ზმნისართების გამოყენებისას უნ-  
 და გავითვალისწინოთ მათი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელო-  
 ბაცა და ის ნიუანსებიც, რაც თითოეულ მათგანს ამა თუ იმ ფრაზაში  
 აქვს.



შუქია აფრიღონიძე

თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგიერთი ზმნისართი (იგივე ზმნიზედა) იხმარება დამოუკიდებლადაც და თანდებულის ფუნქციითაც. „ზმნიზედა ზმნის წყვილის ცალია, მასთან სახმარებელი და მისი მსაზღვრელი... მაგრამ ამასთანავე ჩვეულებრივია ზოგი ზმნიზედის გამოყენება თანდებულის ფუნქციით“<sup>1</sup>.

შდრ., ერთი მხრივ, ზმნასთან სინტაგმატურად დაკავშირებული ზმნისართები: ზემოთ ავიდა, გარშემო უვლის, გვერდით დაუჯდა, პირდაპირ უთხრა, შემდეგ გეტყვი, აქეთ წამოვიდა... და, მეორე მხრივ, სახელთა ნათესაობითი ან მიცემითი ბრუნვის ფორმებზე დართული თანდებულები: სახლს||სახლის ზემოთ, ხის გარშემო, მალაზიის გვერდით, სკოლის პირდაპირ, ცოტა ხნის შემდეგ, მას აქეთ და მისთ.

„საზოგადოდ თანდებულის ფუნქციას იძენენ ადგილისა და დროის ზმნიზედები“<sup>2</sup>.

ამგვარი ზმნისართები არტყუ ცოტაა ქართულში. მათ შორისაა ანტონიმური ზმნისართები — წინ და უკან. ამ ზმნისართებმა შეიძლება ადგილზედაც მიუთითონ და დროზედაც. ეს დამოკიდებულია თვით არსებითი სახელის მნიშვნელობაზე: ადგილის აღმნიშვნელ სახელებთან ეს თანდებულები ადგილზე მიუთითებენ (სახლის წინ, სკოლის უკან), ხოლო დროის აღმნიშვნელ სახელებთან (დღე, თვე, წელი, ხანი...) — დროზე (ერთი საუკუნის წინ(ათ), ცოტა ხანს||ხნის უკან).

წინ სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „წინ (წინა) ადგილის ზმნიზედაა, მაგრამ გაორკეცებული წინწინ ან წინდაწინ დროს აღნიშნავს. დროსვე აღნიშნავს წინათ, რომელიც მი-

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 603.

2 იქვე, გვ. 604.



ღებულა „წინააღმდეგ“ ფორმისაგან. დროული გაგება აქვს აგრეთვე უწინარეს-საც (შემოკლებით: უწინ), რომელშიც წინა შედის (\*უ-წინა-რე-მს-ი). დროული გამოყენება აქვს მას აგრეთვე ასეთ სიტყვებში: გუშინისწინ, შარშანისწინ<sup>3</sup>.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წინ სიტყვის დროითი მნიშვნელობა ასეა განმარტებული: „თავში, სათავეში, დასაწყისში; უფრო ადრე, რისამე მოხდენამდე“. განსაზღვრის მეორე ნაწილის საილუსტრაციოდ მოყვანილია სათანადო ნიმუშებიც:

ეს ფულები საქართველოს მუზეუმს უნდა ვუანდერძოო სიკვდილის წინ“ (კ. გამხ.).

სეზონის წინ კაპიტალურად შეკეთდა... წყლის გაყვანილობა („კომ.“).

ანალოგიურადვეა განმარტებული ადიექტური მნიშვნელობაც წინა სიტყვისა: „რაც წინათ, სხვაზე ადრე იყო, — წინანდელი, ადრინდელი“<sup>4</sup>.

რაც შეეხება წინ სიტყვის ანტონიმურ უკან სიტყვას, მისი დროითი მნიშვნელობა ასეა განმარტებული: „შემდეგ, მეორე“<sup>5</sup>. ამ განმარტებასაც ახლავს სათანადო ნიმუშები:

რამდენსამე წლის უკან, როცა ვაშლი ამოვიდა და ნაყოფი მოისხა, მეფემ დაიბარა მებაღე (ი. გოგბ.).

ცოტა ხანს უკან ჩემმა ორმა ბიძამ ბაკის კარებთან ერთი სხვა ურემიც მოაგორა (ნ. ლომ.).

მაშასადამე, წინ და უკან ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო ადგილის მნიშვნელობით, არამედ დროითი მნიშვნელობითაც.

უკანასკნელ ხანებში ქართულ პრესაში (რომელშიც მხატვრული ლიტერატურაც იბეჭდება ხოლმე) თავი იჩინა თანდებულებად გამოყენებული ანტონიმური წინ და უკან სიტყვების სინონიმური ხმარების ტენდენციამ, უფრო ზუსტად, უკან სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობით ხმარების ტენდენციამ. მაგალითად:

ჩემი ესპანური შთაბეჭდილებანი მინდა დავიწყო სიტყვებით, ოთხი წლის უკან რომ დავწერე არგენტინის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ („ცისკ.“).

მისი პირველი ნიშნები არცთუ დიდი ხნის უკან გამოჩნდა... („ახ. კომ.“) — ერთი კვირის უკან მე ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი („ახ. კომ.“).

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 598.

4 ქეგლ, ტ. VIII, თბ., 1964.

5 ქეგლ, იქვე.

6 ქეგლ, ტ. VI, თბ., 1960.



ზუგდიდელთა წარმატება მით უფრო სასიამოვნოა, რომ მათ დაიბრუნეს საში  
წლის უკან დათმობილი ჩემპიონის საპატიო ტიტული („მებრძ“). გეგზაიფიფიფიფი

შენ ისევე მიჰყვები ატლანტის ოკეანეს, როგორც ხუთი საუკუნის უკან  
კოლუმბი და მისი თანამგზავრები მიჰყვებოდნენ („ახ. კომ.“).

რამდენიმე წლის უკან მე და ვახუშტი ხევსურეთში წავედით, საქართვე-  
ლოს მთიან მხარეში, კავკასიონის მთებთან. ამას წინ უსწრებდა საინტერესო ამ-  
ბავი („ახ. კომ.“).

ცოლი სულ ორი დღის უკან მოუქვდა („ციცკ.“).

[ქუუუნამ]... ჯერ კიდევ სამი წლის უკან აუფორიაქა სული („ციცკ.“).

[ლადოს] ეს წიგნი ორი თვის უკან მიაჩეჩეს სარედაქტოროდ („ციცკ.“).

სიკრულეს ქმნის, მით უფრო, ერთი და იმავე ავტორის ნაწერებ-  
ში საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების ხმარება ერთი და  
იმავე ფუნქციით. შდრ., მაგალითად:

ამ ხუთი წლის წინ ბეირუთში აშენდა უზარმაზარი კაზინო („ციცკ.“, 1969);

და:

ამ რამდენიმე თვის უკან ვიმოგზაურე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და  
კანადაში („განთ.“, 1976).

ყველა აქ ჩამოთვლილ მაგალითში, რომელიც უკანასკნელი ათ-  
წლეულის პრესაშია დადასტურებული, უკან ნახმარია „წინათ“, „ად-  
რე“-ს მნიშვნელობით. ეს გარემოება ერთგვარად საეჭვოს ხდის თან-  
დებულებად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ანტონიმურობას.  
ამიტომ საკითხის ნათელსაყოფად საჭირო ხდება დამატებითი მასა-  
ლისა და არგუმენტაციის მოხმობა აღნიშნული სიტყვების ისტორიის  
გათვალისწინებით.

წინ და უკან სიტყვების „ძველი ფორმებია წინა და უკანა (ძვე-  
ლი ორთოგრაფიით: უკუანა), რომლებიც ზედსართაულადაც იხმარე-  
ბა“<sup>7</sup> და წინდებულ-თანდებულის ფუნქციითაც. მათ იგივე დროითი  
მნიშვნელობა ჰქონდათ, რაც ამჟამად აქვთ.

### 1. წინ, წინა

ძველ ქართულში წინა-ს ენაცვლება „პირველ“, „პირველი“ და  
განიმარტება, როგორც „მოწინავე“, „წინაპარი“ ან „უწინარეს“:

იყვნეს დღეთა მათ რღუნის წინათა (C); ...პირველ წყლით-  
რღუნისათა (DE) (მთ., 24, 38).

7 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 596.

8 სალექსიკონო ერთეულთა განმარტებისას და ილუსტრაციებისათვის ვეყრდ-  
ნობით: ძველი ქართულისათვის — ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსი-  
კონს“, თბ., 1973; ახალი ქართულისათვის — ქართული ენის განმარტე-  
ბით ლექსიკონს და მის სადოკუმენტაციო ფონდს.



სიკუდილის შენის წინა იქმოდ სიმართლესა (O, ზირ., 14, 16).  
 გლოცავ უკუე ყოვლისა წინა (I ტომ., 2, 1).  
 იოვანე შობისა წინავე წინაწარმეტყუელებდა (პავლე თებ., 317).  
 წინაცა ვთქუ და აწცა წინააწარ გეტყუ (II კორ., 13,2).

ამავე ფუძისაგანაა მიღებული ძველ ქართულშივე ხმარებული რამდენიმე სიტყვა: უწინა (=პირველი), უწინარეს (=„წინააწარ“, „პირველ(ად)“, უპირველესად), უწინარეს-ი მამა-მ (=პაპა), წინაით (=უწინ, პირველად, წინათ, „უწინარეს“), წინააწარ, წინაწარ (=„უწინარეს“, „წინდაწინ“, უწინ, ადრე), წინანდელი (=პირველი, ადრინდელი).

ახალ ქართულში, — როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში, — წინა სიტყვის შემცველ იმავე თუ სხვა ლექსიკურ ერთეულებში — სიტყვებსა და გამოთქმებში — დროითი სემანტიკა არ შეცვლილა:

უწინ — წინათ, პირველად, მანამდე, უფრო ადრე:

ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ თურმე ხმელეთი იყო (ე. ნინ.).

წინაზე — უახლოეს წარსულში, ცოტა ხნის წინ, ამას წინათ:

ბიოლა მიწყრება... წინაზე დგიმი მოხოვა და ვერ მივეცი (ნ. ლორთქ.).  
 წინაზე თქვენ ჩიოდით (ე. ნინ.).

წინავ — კუთხ. (ფშავ., ხევს.) — იგივეა, რაც წინათ:

წინავ კიდეე რა გვიჭირდა! — ამბობდა ნადირა (ვჟა).

წინათვე — ადრევე, წინდაწინ; წინანდებური — უწინდელის-თანა, ძველებური; წინანდელი — უწინდელი, ის, რაც გარკვეული დროის წინ იყო ან მოხდა; უწინარეს — უპირველეს, უადრეს; ადრევე, უფრო ადრე; უწინდებური — უწინდელი; უწინდელი — წინანდელი; წინაპარი — რამდენიმე თაობის წინ მცხოვრები სისხლით ნათესავი...

წინა ხშირად რთული ფუძის რომელიმე — პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური — კომპონენტია. მაგალითად:

ა. წინა ან მისი შემცველი ფუძე პრეპოზიციურია:

წინადროს — წარსულში, ადრე, წინათ:

ახალს რას იტყვიო ტრფობაზე, რაც არ თქმულიყოს წინადროს (ი. გრიშ.).

წინადღეს — კუთხ. (აჭარ.) — იგივეა, რაც გუშინწინ; წინაღამეს, წინაღამით — გასულ, განვლილ ღამეს; წინაპირველ(ად) — თავდაპირველად; წინა კვირა, წინაპირობა, წინამავალი, წინა(გან)ზრახვა, წინა(თ)გრძნობა... წინასაარჩევნო, წინასაგამოცდო, წინასამაისო, წინასაიუბილეო, წინასადღესაწაულო, წინასაყრილობო... წინარევოლუ-



ციური (=რევოლუციამდელი), წინაქრისტიანული (=ქრისტიანობამდელი), წინარე ენა (=მონათესავე ენათა აღრინდელი ერთიანობა), წინარეისტორიული (=ისტორიამდელი)...

ამავე მნიშვნელობის მატარებელია ზედსართავი წინა შემდეგ შესიტყვებებში: წინა გამოცემა (=აღრინდელი გამოცემა, წინა წლები (=განვლილი წლები) და ა. შ.

ბ. წინ(ა) ან მისი შემცველი ფუძე პოსტპოზიციურია:

გუშინწინ, შარშანწინ; ამას წინათ (=უახლოეს წარსულში, ცოტა ხნის წინ, — ქეგლ), ამასწინანდელი; ომისწინა, ომისწინანდელი; თესვისწინა; უკანასკნელისწინა...

ამავე დროითი სემანტიკის მქონეა გამოთქმები: სპექტაკლის წინ (ან: სპექტაკლის დაწყების წინ) — სპექტაკლამდე; წასვლის წინ — წასვლამდე და მისთ.

## 2. უკან, უკანა.

უკან < უკანა ზმნისართი, რა მნიშვნელობითაც უნდა ყოფილიყო იგი, ძველი ქართულიდან მოკიდებული, მუდამ უპირისპირდებოდა წინა-ს. ამ დაპირისპირებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ზმნისართული ფუნქციისაა ეს სიტყვები თუ ზედსართაულისა:

უკუ უკანასა მას (II შემდგომსა მას Q) დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები (ფლპ., 3, 13).

რომელი წინა უძლოდა და უკანა შეუდგა (C, მთ., 21, 19).

მრავალი იყვნენ წინანი უკუ უკანა და უკუ უკანანი წინა (მთ., 19, 30).

ეს დაპირისპირება ტრადიციით გადმოეცა ახალ ქართულს:

წინა კაცი უკანა კაცის ხილია (ანდ.).

გზა გაუნათოს სანთლითა უნდა უკანას წინამა (ვაჟა).

წინ წყალი, უკან მეწყერი (ანდ.).

წინ მარტი მიჩან, უკან აპრილი... (ვაჟა).

ერთი დღით წინ ეტყოდი თუ უკან, ეს არ იყო... თავსატეხი (პ. ლომთ.).

წინა-ს უპირისპირდება აგრეთვე უკუ უკანა-ს შემცველი რთული სიტყვა უკანასკნელი:

მრავალი იყვნენ პირველნი უკუ უკანასკნელ, DE მრავალი იყვნენ წინანი უკუ უკანა (C, მრ., 10, 31).

ამ ფუძისაგან ნაწარმოები ძველქართული სიტყვების დროითი სემანტიკა ასე განისაზღვრება:

უკუ უკანას — მერმე, დაბოლოს:

შურ-იგე შურის-გება... და უკუ უკანას შეეძინე ერსა შენსა.



უკუანასკნელ — „შემდგომად ამისა“, „მერმე“... ბოლოს:

უკუანასკნელ მოვიდეს (C) || შემდგომად ამისა, მერმე დეს (DE) (მთ., 25, 11).

მაშასადამე, უკან < უკუანა სიტყვის დროითი სემანტიკა უტოლდება შემდეგ, შემდგომ, მერმე სიტყვების სათანადო მნიშვნელობას და, ამდენად, უპირისპირდება წინა სიტყვის დროითს მნიშვნელობას. დროის თვალსაზრისით ამავე სემანტიკის მქონეა უკან სიტყვის შემცველი სიტყვები ახალ ქართულშიც:

უკანასკნელი — ბოლო; ბოლოდროინდელი || ბოლოს ხსენებული, დასახელებული; უკანასკნელ(ად) — ბოლოს, საბოლოოდ; დასასრულს (ქველ)<sup>9</sup>.

თანდებულის ფუნქციით გამოყენება უკან ზმნისართის დროითს სემანტიკას არ ცვლის. მყარი შესიტყვება მას უკან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა კვალიფიცირებული: მას შემდეგ, იმ დროიდან მოყოლებული.

ანტონიმური სიტყვების სინონიმურად ხმარებასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი მაგალითები, უკანასკნელი ხანის პრესაში რომ შეგვხვდა, ორივე ანტონიმს — წინ და უკან თანდებულებს — თანაბრად როდი შეეხება: თანდებულად გამოყენებული უკან კი იხმარება წინ სიტყვის მაგიერად, მაგრამ არა პირუკუ: წინ მხოლოდ ერთი გავებით (= ადრე, უწინ, მანამდე) იხმარება, ამდენად, წინ თანდებულის უხვად ილუსტრირების საჭიროება არ არის. სამაგიეროდ, უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ახალ ქართულში უკან სიტყვის თანდებულად გამოყენების შემთხვევებზე.

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, სამოციანელებიდან მოკიდებული ვიდრე ჩვენი საუკუნის შუა წლებამდე, უკან ტრადიციული მნიშვნელობით (= შემდეგ, მერმე, მოგვიანებით) არის ნახმარი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს მნიშვნელობა ერთადერთია ყველა კონტექსტში:

პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაისის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა — როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა (ილია).

სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და შე დიდ სატუსალოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს (ილია).

<sup>9</sup> ამ სიტყვებს ეხმიანება აგრეთვე დიალექტური უკანიხან, რაც ზოგიერთ კოლოში (აჭარულში, ინგილოურში) ნიშნავს: ბოლოს, საბოლოოდ; დასასრულს. — უკანასკნელად (იხ. შ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971. ავტორი იმოწმებს შემდეგ მაგალითს: „სულ უკანიხან შაჰმერანი გამოვდა მეიდანზე“ (მ. ჯანაშვილი).

როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი... მასში კენიანა დარეჯანი ერთ ბალან-გაცეივულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბეზ-აჭიმული და გამოპრანჭული (ილია).

ორ დღეს უკან ჩენი სოფლის ბოლოებში მივედი (ილია).

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა (ილია).

...რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი (ილია).

[ბავშვს] რამდენსაქე თვეს უკან კბილები ამოსდის ერთი მეორის შემდეგ (ი. გოგებ).

იმავე გამოქვამულში პატარა ხანს უკან უშველებელი ლომი შევიდა (ი. გოგებ).

ცოტა ხანს უკან სოსოს ტკივილი თითქოს სულ დაუამდა (ი. გოგებ).

ახლად შობილი [ფუტკარი].. პატარა ხანს უკან მინდორში მიდის (ი. გოგებ).

[ფორნველებმა] იციან, რომ ცოტა ხანს უკან თავიანთ... ქვეყანაში წამოსვლა მოუხდებათ (ი. გოგებ).

ქართველებს... [ომი]... საჭიროდ აღარ მიაჩნდათ მას უკან, რაც დადიანმა მორჩილება შემოუთვალა სვიმონ მეფეს (ი. გოგებ).

...რამდენისაქე დღეს უკან იჩეკებიან მატლებიც (ი. გოგებ).

ორ დღეს უკან, აღექსანდრე თავისი ლალით საქართველოსაკენ გაემგზავრა (რ. ერისთ).

...ქნიაში... კარები დააბაკუნა, მცირე ხანს უკან შიგნიდან დაუძახეს: „ვინა ხარო?“ (რ. ერისთ).

თორმეტს დღეს უკან მოვიდნენ [მეფე და ვეზირი] (რ. ერისთ).

ვახშამს უკან ჩვეულებრივ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ და ჩვენს-ჩვენს ოთახში დასაძინებლად წავედით (ვაჟა).

ერთს საათს უკან ისე გახდა ჩემი ყანები, ნაყანარობასაც ვეღარ შეატყობდი (ვაჟა).

პატარა ხანს უკან პაპაჩემი ისევ დამშვიდდა და მითხრა (ვაჟა, თარგმ).

ამ საგანზე კიდევ გვექნება ცოტა ხანს უკან მკითხველთან საუბარი... (ვაჟა).

ეს პირველი ნაბიჯია... მას უკან ჩვენ დანარჩენზე ვიზრუნოთ (ვაჟა).

...ერთს საათს უკან აღარ ვიქნები, სულ დამავიწყდება მტერიც და მოკეთიც... (ვაჟა).

არ გაუტრუვდა ნოეს იმედი და შვიდ დღეს უკან კაშნიკიც ნახა (ვაჟა).

ერთი თვის უკან ჭავარა

ისევაც ჩამოიყვანეს (ბაჩ).

ცოტა ხანს უკან პარკი მზად იყო (თ. რაზიკ).

—...თავებო! — ცოტა ხანს უკან მოგვესმა ერთი ყვირილი და ღრიალი ხვრელიდან (თ. რაზიკ).

მკათათვეში შუადღის უკან უფრო ცხელა (თ. რაზიკ).

[არწივი] ორი კვირის უკან სრულებით გასაღდა (თ. რაზიკ).

პატარა ხანს უკან... გამოჩნდა დიდი მოლურჯო მამალი ბატი (ნ. ლომ).

[ტარშინა] მე... იმას მართმევს, რომლისგანაც მოველი დღეის უკან ცხოვრებასა (მე. გაბ).



მართა... პატარა ხანს უკან შემოვიდა... გაოცებული (მ. ვაგ.).

...ერთი თვის უკან სოფელში წავალთ... (შ. არაგვი).

...ვახშამთ უკან ჩვეულებრივ ხალვათათ მოისვენა (ვ. ბარნ.).

შუადღის უკან უბანშიც-კი აღარ ჩაიარა საჩხუბრად (ვ. ბარნ.).

სადილს უკან რიგზედაც უნდა შაგესვენა (დ. მაჩხ.).

ეს იყო... ერთის წლისა და სამი თვის უკან მას შემდეგ, რაც მე და იმან ნაცნობობა შევეწყვიტეთ (ი. ეკალ.).

მე კი ორი კვირის უკან ამტრახანში უნდა წავიდე (აქვ. ცაგ.).

ვახშამს უკან გოგობმა სთხოვეს შანდუხას (მელან.).

მაგრამ ჩვიდმეტ წელიწადს უკან ჩემი ცხოვრება უცებ შეიცვალა (ლ. არდ.).

პაპაშა მიდის და პატარა ხანს უკან ისევ ბრუნდება (ვ. ლომთ.).

— სადილს უკან მე თვითონ ავალ ჩვენების სანახავად (ივ. მაქავ. თარგმ.).

ვანდელუბის პირველი რაზმი შუადღის უკან გამოჩნდა (ივ. მაქავ., თარგმ.).

სენეჟუსტს ცოტა ხანს უკან რომესპიერიც მოჰყვა (ივ. მაქავ., თარგმ.).

სიკვდილის უკან ძეგლიც კი აუგონ [კაცს]! კარგია თქვენმა მზემ (ივ. მაქავ., თარგმ.).

ორი კვირის უკან მე შევეჩვიე... ინსტიტუტს (ქ. ბაქრ., თარგმ.).

... ორი საათის უკან მე ნზად ვიქნები (ქ. ბაქრ., თარგმ.).

სადილთ-უკან მე კარგ გუნებაზე დავდექი და გადავწყვიტე თეატრში წასვლა (ქ. ბაქრ., თარგმ.).

თანდებულისავე ფუნქციით და იმავე მნიშვნელობით იხმარება უკან ქართულ დიალექტებშიც:

პატარა ხანთ უკანა და ახლა კიდე წაუღია თოლი მალა ი მეწისქვილსა (დიალექტ., თუშ.).

დიდ ბრძოლის უკვენ დმეწვ ციხეები-დ ყველა გამეწლუ, თუ რა-რა ყოფილიყო-დ ქალ-ხალ ტყვედ წწესხ (დიალექტ., თუშ.).

ამის შემდეგ (||მემრ||უკვენ) წავიდავ სახლშიაო (დიალექტ., თუშ.).

იმის უკენ გიორწმიდა ოკრად დამჩალა და შატილიონთ დაუქერავ ადგილ (დიალექტ., ხევს.).

მემრე მოიპარსავს, მეორე ხარჯის უკენა (დიალექტ., შთიულ.).

მოზელი ცოტა დრომ გავლას უკან ცომს მოუვლი (დიალექტ., ინგილ.).

და ხწვენას უკან ნიჩბი ვანიეეთ მარცოლს, ვტუმრავთ, მივტანთ... სკლადში (დიალექტ., ინგილ.).

გაწმენდას უკან ნავში ვყრუთ, ზედ წყალ ვოსხამთ (დიალექტ., ინგილ.).

მუგუცა წიმა შუადამის უკან (დიალექტ., ფერიდ.).

ხუთ-ექს დღეს უკან წავლეთი ქერეიდანსათი, აველით ქერეიდანჩი (დიალექტ., ფერიდ.).

რაქთენ დღეს უკან თაჯერი მოკდა და ემ კაცმა წავიდა და ნამა დაალავა და, რაძლა საქონელი იყო, მოზაფთა (დიალექტ., ფერიდ.)<sup>10</sup>.

<sup>10</sup> დიალექტურ ტექსტებზე დართულ სათანადო ლექსიკონებში უკან თავისი ფონეტიკური ვარიანტებითურთ ასე განიმარტება: იმის უკენ — იმის შემდეგ



ყველა ზემოთ მოყვანილი ნიმუში ამოკრებილია ან XIX საუკუნის კუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ოცამდე კლასიკოსის ნაწარმოებებიდან, ანდა დიალექტური მასალიდან. შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად თითოეული კლასიკოსის ნაწარმოებები ან ესა თუ ის დიალექტური მასალა რამდენიმეჯერ იქნა მოხმობილი. მოზოვებული მასალა ცხადყოფს, რომ უკან თანდებულის ტრადიციული მნიშვნელობაა მხოლოდ და მხოლოდ: „შემდეგ“, „მერმე“, და არა „წინ(ათ)“, „ადრე“, „მანამდე“.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სიტყვახმარება მოცემული მნიშვნელობით ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებსა და ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში დასტურდება. არ შეგვხვდებოდა (ზედაპირული მოძიებისას) აღნიშნული შეხამება აკაკის, დ. კლდიაშვილისა თუ ე. ნინოშვილის ნაწარმოებებში ანდა დასავლური ქართულის დიალექტურ ტექსტებში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად ამ ფორმებს აშკარად ხალხური სასაუბრო (ერთგვარად დიალექტურად კი) იერი გადაჰკრავს, მით უმეტეს, რომ თანდებულად გამოყენებულ უკან სიტყვას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შემდეგ ენაცვლება (მაგ., ცოტა ხნის შემდეგ, ორი თვის შემდეგ, სადილის შემდეგ და ა. შ.).

საინტერესოა ისიც, თუ რომელ სახელებს დაერთვიან აღნიშნული სიტყვები, ან რა ფორმით არიან ეს სახელები წარმოდგენილი.

სემანტიკური თვალსაზრისით ეს სახელები, ჩვეულებრივ, დროის რომელიმე მონაკვეთს აღნიშნავენ (ესენია: წუთი, საათი, დღე, წელი...), ან დღის რომელიმე ნაწილს (დილა, შუადღე...) და მასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოქმედებას (საუზმე, სადილი...), ანდა ზოგადად დროს (ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, იხმარება სიტყვა ხანი).

რაც შეეხება სახელთა ფორმას, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი:

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, თანდებულად გამოყენებული წინ „ძველად მიც. ბრუნვის ფორმას მოითხოვდა...“ მაგრამ ახალ

(ზევს.): უკანა — შემდეგ (მთიულ.); ამის უკვე — ამის შემდეგ (თუშ.); უკან შემდეგ, მერე, ბოლოს: დათესას უკან — დათესვის შემდეგ (ინგოლ.); უკან — შემდეგ: რაქთენ დღეს უკან; ვახშამის უკანაო (ფერეიდ.); იხ. ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ქართულში იგი ნათეს. ბრუნვის ფორმას მოითხოვს... აგრეთვე სხვა ზმნიზებლებიც: შემდეგ, უკან, შიგნით, გარეშემო და სხვ.<sup>11</sup>

თუმცა მოცემულ დასკვნაში ზოგადი ტენდენცია არსებითად სწორად არის შეფასებული, კონკრეტულ შემთხვევებში მას (ამ დასკვნას) სიზუსტე აკლია, სახელდობრ: ჩვენ მიერ დამოწმებულ ძველი ქართულის ნიმუშებში თანდებულად გამოყენებული წინა ზმნისართი სწორედ ნათესაობითში მართავს სახელს და არა მიცემითში (რღუნის წინათა, ყოვლისა წინა, სიკუდილის შენის წინა, შობისა წინავე). მიუხედავად ამისა, მიცემითის ფორმები ძველ ქართულში აშკარად სჭარბობს ნათესაობითისას, მაშინ როცა ახალ ქართულში ბრუნვის ფორმებისა და მათი სიხშირეების თანაფარდობა შეცვლილია ნათესაობითის სასარგებლოდ (საუზმის შემდეგ, სკოლის უკან, სახლის შიგნით, ხის გარეშემო...).

მაგრამ რიგ შემთხვევაში ტრადიციული მიცემითის ფორმა სტაბილურია ახალ ქართულშიც. ეს ეხება ნაცვალსახელური შედგენილობის მყარ შესიტყვებებს, როგორცაა **ამას წინათ** და **მას უკან**.

აქ ყურადღებას იქცევს ნაცვალსახელის ფორმის არანებისმიერობა თითოეულ შესიტყვებაში: მოცემული მნიშვნელობის შენარჩუნებით შეუძლებელია ნათესაობითის ფორმა (**\*ამის წინათ** და **\*მის უკან**). მეორე მხრივ, არანებისმიერია ნაცვალსახელთა დეიქტურნაწილაკიანი და უნაწილაკო, მარტივი ფორმების შეხამება თანდებულებთან: არა გვაქვს **\*მას წინათ** და **\*ამას უკან**.

აღნიშნული გარემოება საფუძველს იძლევა აპრიორულად დავუშვათ, რომ სინონიმურმა შესიტყვებებმა ერთნაირი სურათი უნდა (ან შეიძლება) მოგვცეს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკან იგივეა, რაც **შემდეგ**, **მერე** (ქეგლ, VI), ამ სიტყვათა შემცველ ნაცვალსახელოვან შესიტყვებათა კონსტრუქციების მსგავსებაც მოულოდნელი არ უნდა მოგვეჩვენოს. შდრ.: **მას უკან** და **მას შემდეგ**. ორივეგან ნაცვალსახელი მიცემითშია და დეიქტური ნაწილაკის გარეშეა წარმოდგენილი<sup>12</sup>. ასევეა ამჟამად რამდენადმე დიალექტური შეფერილობის მქონე შესიტყვება **მას მერე(თ)**, რომელსაც ზოგი მწერალი **შემდეგ-ის** ნაცვალად იყენებს<sup>13</sup>:

11 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 603—604.

12 საერთოდ კი, „შემდეგ და შემდგომ ახალ ქართულში... მოსდევს სახელს და მართავს მას ნათესაობითსა და მიცემითში“ (არ. მარტიროსოვი, თანდებულ ქართულში: იყ, I, თბ., 1946, გვ. 246).

13 არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 246. ილუსტრაციებიც ამ ნაშრომის მიხედვითაა დამოწმებული.

სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ, იმას რალს უზამ (ილია).  
ჩემი თინათინ არ დაიჩაგროს ჩემს მერე (ლ. ქიან.).

ანალოგიურ კონსტრუქციას იძლევა კიდევ ერთი შესიტყვება, რომელშიც თანდებულად გამოყენებულია სიტყვა აქეთ. „მისი ფუნქციაა აღინიშნოს ადგილი და დრო“<sup>14</sup>. ეს შესიტყვებაა მას აქეთ = მას შემდეგ, იმ დროიდან (ქეგლ, V), რომელიც ზემოაღნიშნულ შესიტყვებათა მნიშვნელობით წარმოდგება:

მას აქეთ, რაკი შენდაში ვცან მე სიყვარული,  
ჰოი, მამულო, გამიერთა მე ძილი და შვება (ილია).

დილას აქეთ არა მიჰამია-რაო (ილია).

ორმოცი წელი მეტია მას აქეთ, მაგრამ ასე მგონია... ახლა იყო მეტი (აკაკი).  
ამის მხახავსა მას აქეთ თვალთა დამაკლდა ჩინია (რ. ერისთ.).

შდრ., აგრეთვე: ჩვენი წელთაღრიცხვით = ქრისტეს შემდეგ = ქრისტეს აქეთ<sup>15</sup>.

რაც შეეხება დროული თვალსაზრისით იდენტური მნიშვნელობის (=შემდეგ), ოღონდ ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული იქით სიტყვის თანდებულად გამოყენებას ანალოგიურ მყარ შესიტყვებაში, იგი კვლავ ნაცვალსახელის მიცემითის ფორმას დაერთვის, ოღონდ ნაცვალსახელი ამჯერად დეიქტურნაწილაკიანია: ამას იქით<sup>16</sup> ან — გავრცობილი სახით — დღეის ამას იქით. მისი მნიშვნელობაა: დღეის შემდეგ, ამ დღიდან მოყოლებული, — ამიერიდან, დღეიდან (ქეგლ).

მაშასადამე, გვაქვს ნაცვალსახელოვან შესიტყვებათა ორი რიგი:

1. მარტივი, დეიქტური ნაწილაკის უქონელი რიგი: მას უკან, მას შემდეგ, მას მერე, მას აქეთ. შესიტყვებათა მმართველი წევრები დროული თვალსაზრისით სინონიმური მნიშვნელობისაა:

2. დეიქტურნაწილაკიანი რიგი: ამას წინათ, ამას იქით. შესიტყვებათა მმართველი წევრები დროული თვალსაზრისით ანტონიმური მნიშვნელობისაა. როგორც ვხედავთ, მადიფერენცირებელი ფუნქცია ეკისრება დეიქტურ ნაწილაკს:

პირველ რიგში მარტივი, უნაწილაკო ნაცვალსახელი ენაცვლება აღრინდელი დროის აღმნიშვნელ სიტყვას, მეორე რიგში კი ა-ნაწილა-

14 არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

15 ანალოგიურია ადამს აქეთ: „ადამს აქათ მეხუთე ელმწიფე ყოფილა (ვისრ.).“

16 „იქით ადგილის ზმნიზედაა, მაგრამ ამას იქით — ადგილისაც და დროისაც“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 597).

კიანი ნაცვალსახელი ენაცვლება ახლანდელი, უფრო ზუსტად, მოსა-  
უბრესთან დაახლოებული დროის, ე. ი. საუბრის თანადროულ  
მენტის აღმნიშვნელ სიტყვას. ამ დროის სიმბოლური გამოხატულებაა  
**დღეს (დღევანდელი დღე)**. შდრ. სამი ვარიანტი: **ამას იქით, დღეის ამას  
იქით და დღეის იქით**:

... ამას იქით მინც გამოვიფხიტო ყურები (დ. მაჩხ).

დღეის ამას იქით ვინც მაგისთანა სულელურ ხმებს ყრის ხალხში,  
...დავასჯევინებ (ილია).

დღეის ამას იქით ზედ აღარ შემოგხდავ! (შ. არაგვ).

მე... დღეის იქით! ერთი დღე ნულარ მაიცოცხლოსო! (ე. ნინ).

აქედან გამომდინარე, შესიტყვება **ამას წინათ** გაიაზრება როგორც  
დღეის, ახლანდელის წინამავალი, ე. ი. წარსული დროის აღმნიშვნელი,  
ხოლო **ამას იქით** — როგორც დღეის, ახლანდელის მომდევ-  
ნო ანუ მომავალი დროის აღმნიშვნელი შესიტყვება.

საგულისხმოა მეორე დაპირისპირება: მოცემულ ორ რიგში შე-  
საბამისად განაწილებულია ანტონიმთა ორი წყება: ერთი მხრივ, **უკან**  
და **წინათ**, მეორე მხრივ კი — **აქეთ** და **იქით**.

შდრ.: **მას უკან** — **ამას წინათ**; **მას აქეთ** — **ამას იქით**.

როგორც ვნახეთ, **წინ(ათ)** და **უკან** სიტყვები სალიტერატურო  
ენაშიც — ძველსა და ახალში, — და დიალექტებშიც მხოლოდ და მხო-  
ლოდ ანტონიმურად უკავშირდებიან ერთმანეთს. ამავე ურთიერთობას  
ადასტურებს მათი შეხამება ნაცვალსახელთა დიექტურნაწილაკიან და  
უნაწილაკო ვარიანტებთან (**ამას წინათ** — **მას უკან**).

ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ, ერთი შეხედვით. ურყევი წე-  
სის დარღვევა? რა საფუძველზე აღმოცენდა **უკან** სიტყვის საპირის-  
პირო მნიშვნელობა, ე. ი. რატომ ან როგორ მოხდა **წინ** და **უკან** თან-  
დებულთა სინონიმიზაცია?

ვფიქრობთ, თანდებულად გამოყენებული **უკან** სიტყვის ხმარება  
საპირისპირო (=წინ, ადრე, უწინ) მნიშვნელობით უნდა შეფასდეს  
როგორც სხვა ენიდან პირდაპირ გადმოღების, კალკირების შედეგი.

საქმე ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო თანდებულოვან კონსტ-  
რუქციებში ოპოზიცია **წინ** — **უკან** რუსულში შესაბამისად გვაძლევს  
ოპოზიციას: **назад—спустя**. შდრ.: **два часа (тому) назад—ორი სა-  
ათის წინ**, და: **два часа спустя—ორი საათის შემდეგ (უკან)**; ცალ-ცალკე  
რომ გამოვყოთ ადეკვატები, გვექნება: **წინ—назад**, **უკან (=შემდეგ, მე-  
რე)—спустя**. მაგრამ იმის გამო, რომ რუსული **назад**, ზმნისართის ქარ-  
თული ეკვივალენტი დამოუკიდებლად ხმარებისას არის **უკან (пошел на-  
зад—უკან წავიდა)**, როგორც ჩანს, დასაშვებად იქნა მიჩნეული აღ-



ნიშნულ კონსტრუქციებში **назад** სიტყვის გადმოღება არა აზრობრივად, „შინაგანად“ ეკვივალენტური წინ სიტყვით, არამედ ამ უკანასკნელს ანტონიმით, „გარეგნულად“ ეკვივალენტური უკან სიტყვით<sup>17</sup>. უგულვებელყოფილია ის გარემოება, რომ რუსული **назад** და ქართული უკან ერთმანეთის შესატყვისებია მხოლოდ სივრცის, ადგილის მნიშვნელობით და არა დროისა, ე. ი. ისინი ერთმანეთს შეესატყვისებებიან როგორც ზმნისართები და არა თანდებულები.

კალკირების პროცესი, ჩვენი აზრით, უნდა გაეადვილებინა რუსულისათვის საერთოდ არაადამახასიათებელ — თანდებულოვან (და არა წინდებულოვან) კონსტრუქციას, რითაც იგი ქართულისათვის ორგანულ — თანდებულოვან — კონსტრუქციებს ემსგავსებოდა<sup>18</sup>, გრამატიკულ-ფორმობრივმა მსგავსებამ — იდენტურმა სიტყვათა რიგმა (რიცხვითი სახელი+არსებითი სახელი+თანდებული) და სახელის ბრუნვის ფორმამ (ნათესაობითი ბრუნვა) სემანტიკური იდენტიფიკაციაც დააჩქარა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც:

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამოსავალი დროითი მნიშვნელობით გამოყენებულმა უკან თანდებულმა თანდათან სასაუბრო-დიალექტური შეფერილობა მიიღო, სალიტერატურო ენაში ერთგვარად ზედმეტი შეიქნა მისი ხმარება და ამიტომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მას შეენაცვლა შემდეგ (თვით მყარ შესიტყვებაშიც კი; შდრ.: მას უკან — მას შემდეგ). ქვეწყობილ წინადადებაში კი მხოლოდ ამ უკანასკნელმა გაიკაფა გზა. მაგ.: „კარგა დიდი ხანი იყო მას შემდეგ გასული, რაც გვადის ფორიების მოჯამაგირეობისათვის თავი ჰქონდა განებებული“ (ლ. ქიაჩი, ქეგლ).

ამრიგად, სალიტერატურო ენაში უკან სიტყვის დროითი მნიშვნელობა თანდათან მიწეღდა და ამ აზრით ეს სიტყვა, შეიძლება ითქვას,

17 შესაძლოა, „უნიფიკაციის“ ამ პროცესს — ამჯერად თვით ქართულ ნიბადაგზე — ქვეცნობიერად ხელი შეუწყო იმანაც, რომ უკან სიტყვის მნიშვნელობა ქართულში დაბრუნების სემანტიკასთანაა დაკავშირებული; იხ. ისეთი გამოთქმები, როგორცაა უკან დაიხია, უკან გაბრუნდა||გატრიალდა, უკან მისცა (=დაუბრუნა, ისევ მას მისცა) და ა. შ. ხოლო უკან დახევა, უკან დაბრუნება დროში (დროის თვალსაზრისით) სემანტიკურად წინათ სიტყვის მნიშვნელობის (=ადრე, უწინ) ტოლფასია.

18 ამ პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებდა ზეპირ მეტყველებაში თანდებულის წინამავალი **ТОМУ** ნაცვალსახელის თანდათანობით შესუსტება-გაქრობა, რითაც ეს ანტონიმური მეწყვილე ხდება.

ამჟამად დიალექტიზმადაა ქცეული<sup>19</sup>. თანამედროვე სალიტერატურო ენაში მისი „გამოღვიძება“ და ხმარების არის ხელოვნური გაფართოება, ვფიქრობთ, ბოლო ხანების სალიტერატურო ენაში სასაუბრო ელემენტის გაძლიერებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ ტენდენციის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ შეგნებული თუ ქვეცნობიერი სწრაფვა უკან თანდებულის დროითი მნიშვნელობის თავის უფლებებში აღდგენისაკენ. მაგრამ ძველის მიბაძვის ეფექტი მოჩვენებითი აღმოჩნდა, რადგან ძველი მნიშვნელობა კი არ აღდგა, არამედ ახალი და, რაც მთავარია, საპირისპირო მნიშვნელობა წარმოიქმნა.

ამგვარად, სასაუბრო ენისაკენ მიბრუნებისა და ტრადიციული ფორმების მიბაძვის თვალსაზრისით, უკან სიტყვის ხმარება წინათ, უწინ სიტყვების გავებით უნდა შეფასდეს როგორც ფსევდოიმიტაცია, ხოლო ფაქტობრივი ვითარებიდან ამოსვლით — როგორც კალკი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ უმართებულად გამოყენებული უკან თანდებული მხოლოდ დროის მონაკვეთთა აღმნიშვნელ სახელებს, ისიც — მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს დაერთვის (დღის, თვის, წლის... უკან). კლასიკოსების ენასა და დიალექტებში დადასტურებული ეს სიტყვა კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამით გარდა კიდევ სხვა სემანტიკის სახელებს დაერთვის (დილა, შუადღე... სადილი, ვახშამი... (პატარა, ცოტა, მცირე) ხანი, ... სიკვდილი და ა. შ.).

მაშასადამე, პროდუქტიულობის თვალსაზრისითაც შესაბამისობა უკან სიტყვის ძველ, ტრადიციულ მნიშვნელობასა და „განახლებულ“ (სინამდვილეში — ახლებურ) მნიშვნელობას შორის დარღვეულია. ამ უკანასკნელის ხმარება-გავრცელების არე მართულ სახელთა მხოლოდ ერთი სემანტიკური ჯგუფით იზღუდება და ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ტრადიციული მნიშვნელობის სარეალიზაციო არეს.

დასკვნა:

არც ისტორიულად და არც ამჟამად ქართულ სალიტერატურო ენაში უკან თანდებულის ხმარებას საპირისპირო წინ(ათ) დროითი მნიშვნელობით არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. უკან ტრადიციულად მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მოგვიანებით დროული ფუნქციის შესუსტებამ ამ სი-

<sup>19</sup> სალიტერატურო ენას დროის ფუნქციით (=შემდეგ, მერმე) გამოყენებული უკან ზმნისართი მხოლოდ მოქმედებითის ფორმასთან ხმარებისას შემორჩა. მაგ.: „იცოც... მერაბის ერთადერთი და თრი წლით უკან სწავლობდა“ (რ. ჯაფ.).



ტყვას დიალექტური უღერადობა შესძინა და მას შემდეგ შეინაცვლა რომელსაც სინონიმებს შორის (უკან, მერე, აქეთ) ამჟამად ვახსენებულნი მდგომარეობა უჭირავს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად კი მხოლოდ წინა წინათ უნდა ვიხმაროთ: ხუთი წუთის წინ, ორი წლის წინ, მრავალი საუკუნეების წინ(ათ) და ა. შ.

აქედან გამომდინარე, გაუმართლებელია აგრეთვე საქმის წარმოების პრაქტიკაში გასული თარიღის აღსანიშნავად ბოლო ხანებში უმართებულოდ ხმარებული — ასევე კალკირებული — გამოთქმა უკანა რიცხვით, რომელიც პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანი არუსული გამოთქმისა задним числом<sup>20</sup>.

სათანადო შინაარსის გადმოსაცემად ადეკვატური გამოთქმები იქნებოდა: გასული რიცხვით, წინა რიცხვით ან წინა თარიღით. რუსულ-ქართული ლექსიკონის აკადემიურ გამოცემაში ამ გამოთქმის ქართულ ეკვივალენტად მიჩნეულია გამოთქმა — გასული, წინა რიცხვით<sup>21</sup>. უპირატესობაც, ალბათ, ამ ვარიანტს უნდა მიენიჭოს.

20 მაგალითად: „ხომ არ ფიქრობს პროფესორი..., რომ მკითხველი გაუგებრობაში „უსასრულო რეგრესიის“ (!) ასაცდენად „უკანა რიცხვით“ მოიაზრებს, თუ როგორია.. დაყენებული საკითხის გადაწყვეტა?“ (სკომ.“).

21 რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983.

ალექსანდრე კობახიძე

„დედაშვილობამ“ — „დედაშვილობას“ ტიპის ფიციის  
ფორმულების შესახებ

ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში ხშირია ფიციის შინაარსის მქონე გამოთქმები. ასეთი გამოთქმები იყო ძველ ქართულშიც. კიდევ უფრო მეტია ახალში. თავისი სტრუქტურითა და სემანტიკური ნიუანსებით ისინი საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნიან. შედგენილობის მიხედვით შეიძლება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ჯგუფი გამოვყოთ: პირველში გაერთიანდება გამოთქმები, რომელთაც დაფიციების გამოსახატავად თვით ფიც- (ძვ. ქართ. ფუც-) ძირის ზმნები ახლავს. შინაარსის მიხედვით ეს ჯგუფი ნაირგვარია. მაგალითები:

ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მისდა არა ჯობნილა („ამირანდარეჯ“); მე თქვენთვის ბევრი შემეცოდებია და რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოგვედ, თოკი მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ (საბა); შენს მზეს ვფიცავ, სოფიო, ჩემი საფიქრებელი ეგ არის (ლ. არდ.); თუმცა მპარავნი არ მიპოვნოთ, ვფიცავ თავსა ჩემსა, მუცლებს დაგიბობ ყოველთაო (საბა); დედი, ვფიცავ დედაშვილობას, ამას ერის ხსნა ითხოვს და ამ დროს შეიძლება სხვა რამეზე ფიქრი? (შ. არაგვ.); მამაშვილობას გაფიცებ, ნუ მოხვალ (რ. გვეტ.); უხეირო ვინმეს არ შემყარო, თორემ სირცხვილს გაქმევ, პლატონ, მიგიტოვებ ქალს და სხვას მე თვითონ ამოვიჩევი!.. მამაშვილობას გაფიცები (დ. კლდ.); პავლე, გაფიცებ ყმაწვილკაცობას, შეიმაგრო თავი (დ. კლდ.); ძმობას ვფიცავარ, მეც ვნანობ, რომ შეეები მაგ საქმეს, მარა რა ვქნა? (დ. კლდ.); ათი დღეც არის, რაც მოხოვს თეიმურაზი ალექსანდრასა... შენ სიცოცხლეს ვფიცავ (ლ. არდ.); გაფიცები დამძმობასა, მხოლოდ ეხლა დავიკვნესე (შ. მღვიმ.); მამაჩემის სულს გაფიცები, ეს ღვინო ოჯალეშს არ დაუვარდება (უიარ.); იმ მამათქვენის საფლავს ვაფიცებ, მე როგორადაც თქვენის სახლის შეილსა და მეგობარსა, გამიცხადოთ თქვენი მოუნელებელი დარდები (ლ. არდ.); ჩემს მოხუცებულობას ვფიცავ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიო, ვერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამირჩებით (დ. კლდ.); მამე, ვფიცავ ჩემ მშობლებს, ჩემ გამჩენს... შენს მამობას და ნარგიზას დედობას, არ გავამტყუნო შენი ნდობა (შ. არაგვ.).



ფიცის შინაარსის მქონე გამოთქმების მეორე ჯგუფში (ფიც (ფუც-) ძირის ზმნები არა გვხვდება. თავის მხრივ, ამ ჯგუფის გამოთქმებიც არაა ერთგვაროვანი. აქაც შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის კონსტრუქცია. ერთ-ერთ მათგანში ფიცის შინაარსის გამოხატვა დაკისრებული აქვთ ისეთ ზმნებს, რომლებიც ამ მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში (დამოუკიდებლად კი ასეთ მნიშვნელობას მოკლებულნი არიან). ასეთი გამოთქმებია, მაგალითად: **შენ(ც) არ მომიკვდე, შენ ნუ მომიკვდები, თქვენ(ც) არ მომიკვდეთ, დედა (მამა...) არ მომიკვდეს, მამა(დედა...) არ წამიწყდეს (ნუ წამიწყდება) და მისთ.** მაგალითები:

შენც არ მომიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია (ილია); შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ,... ჩიხითმას ბოზბაში არ სჯობდეს (ილია); ჩემი გაზრდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი... სწორედ სულელი გამოვო (აკაკი); ამ სიციხეში შეწუხდებით ნამეტნავად, თქვენ ნუ მომიკვდებით (დ. კლდ.); მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მამიკვდება (ილია); ხევეპური არ არის, მართალია, მარა, თავი ნუ მომიკვდება, ძალიან გემრიელი მსხალია (რ. ჯაფარ.); კარგად არა ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? (ილია); მამის სული ნუ წამიწყდება, ვეღარას გამასწრებ (რ. ჯაფარ.); დედა არ მამიკვდება, ისეთ კურდღლებს მოგიყვან, რომ შენოდენები იყვნენ (ნ. ლომ.); შერცხვენილი ვიყვე, თუ ეს ამბავი რამეს ჰგავდეს (დ. კლდ.); აბესალო, ვიყვე დვთისაგან შეჩვენებული, თუ შენ ამაში არ ცდებოდე! (დ. კლდ.).

ფიც- (ფუც-) ძირის არმქონე გამოთქმების მეორე ტიპის კონსტრუქციაში ფიცის შინაარსის გამოხატვა არსებით სახელს აქვს დაკისრებული (შესიტყვეებში არსებით სახელთან ერთად სხვა მეტყველების ნაწილებიც იხმარება, უმთავრესად — ნაცვალსახელები). ასეთი გამოთქმებია: **ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშვილობამ, დედაშვილობას, მამაშვილობას, მამაშვილობამ, ჩემმა (შენმა, თქვენმა...) მზემ** და მისთ. ამ გამოთქმებში (ისევე, როგორც ზემოთოყვანილ ზმნურ კონსტრუქციებში) არსებითი სახელი ფიცის მნიშვნელობას იღებს მხოლოდ სათანადო კონტექსტში. ჩვენთვის მხოლოდ ეს ჯგუფია საინტერესო და ყურადღებასაც ძირითადად მასზე შევაჩერებთ, რამდენადაც სწორედ ამ ჯგუფის ფიცის ფორმულებში არცთუ იშვიათად შეინიშნება არსებითი სახელების უმართებულოდ ხმარების შემთხვევები (გამოთქმებში, სადაც რეალურად არსებობს ფიცის გამოხატველი ზმნები, ასეთი დარღვევები არცაა მოსალოდნელი).

აკად. აკ. შანიძე შორისდებულის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს „ფიცის ფორმულას“: «ღმერთმანი, დედა-შვილობამ, მამა-შვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ (ან: შენმა მზემ)», „ლაშარის ჯვრის მადლმა“ (ვა-

ქა...), „ლაშარის ჯვრის გამარჯვებამ“ (იქვე...), „ზენაარმან ღმრთისა-  
მან“ („ამირანდარეჯ.“) და სხვ»<sup>1</sup>.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **დედაშვილობა** სიტყვა-სტატიაში ◊ ნიშნის შემდეგ არის მყარი გამოთქმები: ◊ **დედაშვილობამ, დედაშვილობას** (მ ხ ო ლ ო დ მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა და მი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი) საფიციარო სიტყვა, როცა შვილი დედას ან დედა შვილს (ან კიდევ დედად ან შვილად მისაჩნევ ადამიანს) მიმართავს, — დედაშვილობას გეფიცები, დედაშვილობას გაფიცებ; გთხოვ, გვევდრები“<sup>2</sup>. ანალოგიურ გამოთქმას (ილენტური განმარტებითურთ) ვხვდებით იმავე ლექსიკონის **მამაშვილობა** სიტყვა-სტატიაში<sup>3</sup> (შდრ. აგრეთვე მყარი გამოთქმები ◊ ნიშნის შემდეგ სიტყვა-სტატიებში: **მზე, გაზრდა, გახარება, სიცოცხლე, მადლი** და სხვ.).

აკად. აკ. შანიძე ზემოხსენებულ ნაშრომში თუმცა სპეციალურად არ მიუთითებს „ფიცილის ფორმულებში“ ხმარებული სახელების ბ რ უ ნ ვ ა შ ე, მაგრამ ამ „ფიცილის ფორმულებში“ (ეს მოყვანილი ციტატიდანაც ჩანს) სახელები მხოლოდ მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფორმითაა წარმოდგენილი. განმარტებით ლექსიკონში კი, როგორც დავინახეთ, საგანგებოდაა მითითებული, რომ ზემოხსენებული გამოთქმების სახელები მ ხ ო ლ ო დ მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ს ა და მი ც ე მ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი იხმარებაო.

იბადება კითხვა: მაინც რომელ ბრუნვაში იხმარება სახელები აღნიშნულ კონსტრუქციებში, და თუ რამდენსამე ბრუნვაში — არის თუ არა განსხვავება ამ სახელთა ბრუნვების ფუნქციებში, თუ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს სახელის მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვა?

უნდა ითქვას, რომ ფიცის შემცველი გამოთქმები, ჩვეულებრივ, დიალოგური მეტყველების კუთვნილებაა. ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ფიცის შემცველი დიალოგის ორი სახე უნდა განვასხვავოთ: ერთ შემთხვევაში მთქმელი ცდილობს დაარწმუნოს მოსაუბრე (მსმენელი, მკითხველი) ნათქვამის სისწორეში, ჭეშმარიტებაში, სინამდვილეში; იფიცება, რომ ეს ნამდვილად ასეაო და მოწმედ ასახელებს წმიდათაწმიდას, ყველაზე უფრო ძვირფასის, საფიციარის აღმნიშვნელ სიტყვას. ამ ტიპის გამოთქმებისათვის, მათსადაამე, დამახა-

1 აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973. თბ., გვ. 625—626.

2 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III.

3 იქვე, ტ. V.



სიათებელია რწმუნება-მტკიცების ნიუანსი. ამგვარ ფიცის ფორმულებში არსებითი სახელი მოთხრობით <sup>არსებულს</sup> ვაში დგას: **ღმერთმანი, მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშვილობამ, მამა-შვილობამ, ჩემმა (შენმა, თქვენმა...) მზემ და მისთ.**

ფიცის შინაარსის მქონე დიალოგის მეორე ჯგუფი აერთიანებს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც გამოხატავენ თხოვნას, ხვეწნას, მუდარას: გეფიცები, გეხვეწები, გევედრები შემისრულო ესა და ეს თხოვნათ. ამდენად ამ ტიპის გამოთქმები ხასიათდება ხვეწნა-მუდარის შინაარსით. ფიცის ფორმულის ამ ჯგუფის არსებითი სახელებისათვის ნიშანდობლივია მიცემითი ბრუნვა, ასეთებია: **დედა-შვილობას, მამა-შვილობას, ჩემს (შენს, თქვენს...) მზეს და მისთ.**

**შენიშვნა 1.** ენაში (მართალია, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება რწმუნება-მტკიცების გამომხატველი ფიცის ფორმულის სხვა სახეც, სადაც არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაშია დასმული. ასეთ სახელებად გამოყენებულია: **ღმერთი, რჯული, ხატი, ჯვარი...**

**მაგალითები:**

არც თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი, რჯული (ილია);  
 ეგებ წინეთაც ჰყავდა შვილი და შენ... — რჯული, ხატი, ჯვარი!  
 შეჩვენებული ვიყო! ასე დამემზოს თავი! — და არისტომ მიწას დააბერტყა თავისი ლამაზი ახალი პატარა ბოხოხი (დ. კლდ.);  
 ღმერთი, რჯული, არა მმართვეს, დიჯერეთ, ქრისტიანები არა ხართ? (შ. არაგვი); ღმერთი, რჯული, მე ამ საქმეში უბრალო ვარ, — და [ხალმა] პირჯვარი გადაიწერა (შ. ჯავახ.).

ასეთ გამოთქმებში დაფიცებას დაახლოებით ასეთი აზრი აქვს; ღმერთს (რჯულს, ხატს, ჯვარს) ვფიცავ, რომ ეს ასეა. ამოსავალი, ალბათ, უნდა ყოფილიყო: ღმერთი (რჯული, ხატი, ჯვარი...) დამიფიცებია (=მოწმედ გამიხდია).

ჩვენთვის საინტერესო ფიცის ფორმულებში ერთი და იგივე არსებითი სახელი შეიძლება იყოს ან მოთხრობით, ან მიცემით ბრუნვაში. ბრუნვის ფორმას, ცხადია, გამოთქმის საერთო შინაარსი განსაზღვრავს.

**შენიშვნა 2.** ფიცის ფორმულაში შემავალ ზოგიერთ არსებით სახელს არ გააჩნია ორივე ბრუნვის (მოთხრობითისა და მიცემითის) ფორმა. მხოლოდ მოთხრობითში გვხვდება სახელები: **ღმერთი (ღმერთმანი, მე და ჩემ-**

მა ღმერთმა), თავი (თავმან ჩემმან, შენმან, თქვენმან, სიცოცხლე<sup>4</sup> (შენმა სიცოცხლემ, თქვენმა სიცოცხლემ) ისიც უნდა ითქვას, რომ ფიცის ფორმულებში ყოფი არსებითი სახელები მოთხრობითსა თუ მიცემით ბრუნვაში თანაბარი სიხშირით არ იხმარება. მაგალითად, უფრო ხშირად მოთხრობითშია ნახმარი სახელები: ზენარი, მადლი, სამაგიეროდ, უპირატესად მიცემითში გვხვდება: დაძმობა, გახარება და სხვ.

განვიხილოთ ფიცის ფორმულის შემცველი გამოთქმები მათი შინაარსის მიხედვით.

პირველ ჯგუფში მოთავსდება რწმუნებამტკიცების შინაარსის მქონე ფიცის ფორმულები, რომლებშიც, როგორც აღნიშნული იყო, არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაში დგას.

### 1. ღმერთმანი:

რა ვქნა. ღმერთმანი, ფულები კი არა მშურს, მაგრამ მოცლა არ არის (დ. ჭონქ.); მზითევი, თუ კაცი მართალს იტყვის, ქალის ნაკლებობის შესავსებია, ღმერთმანი! (დ. კლდ.); თუ მაგან ირინეს თავი არ დაანება, ღმერთმანი, მეტს აღარავინ მოუთმენს (დ. კლდ.); ღმერთმანი, ეგრე კარგი იქნება, ძმაო, — თქვა ერთმა (ნ. ლომ.); არ ვიცი, ღმერთმანი, ასე რად ხდება (ვაჟა); საკვირველი აღამიანი ხარ, ღმერთმანი (ნ. ლორთქ.).

### 2. მე და ჩემმა ღმერთმა:

ფიცის ეს ფორმულა განვითარებული ჩანს ახალ ქართულში:

მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, — თქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი (ილია); მართალს ამბობს, მე და

---

4 ჩვენ არ შეგვხვედრია ფიცის ფორმულებში სიცოცხლე მიცემით ბრუნვაში, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ეს შემთხვევითი იყოს. შეუძლებლად არ მიგვაჩნია მისი არსებობა მიცემითში დადასტურებული ისეთი სახელების გვერდით, როგორცაა ვაზრდა, გახარება, ცხონება და მისთ.

5 ეს სიტყვა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, მიღებულია ძვ. ქართული გამოთქმის „ღმერთმან იცის“ შეერთებით და შემდეგ მისი გამარტივებით. შდრ. ღმერთმან იცის, კარგი გულოვანი ჰაბუკი ხარო, მაგრაღია საჭირო გზა არის და ნუ წამოხვალო („ამირანდარეჯ.“); ჩემი გულისა ღმერთმან იცის და შენცა, რომელ წამსაცა ვერ დავემობ უშენობასა („ვისრ.“) ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა ღმერთმა(ნ) იცის (ან იცის ღმერთმა) თანამედროვე ქართულ ენაშიც იხმარება. მაგ.: იცის ღმერთმა, რომ ირინე არაფერ მაგისთანაში დანაშაული არ არის!... იცის ღმერთმა! (დ. კლდ.); დედავ, ნუ დამძრახავ, ღმერთმა ხომ იცის, მე ცუდი არა მიქნია რა (მე. ვაზ.).

ჩემმა ღმერთმა, გაიხმურა ხალხმა (ილია); მე და ჩემმა ღმერთმა, დედაშენი ცას დაწვევა, შენ ცოლს რომ ნახავს (ს. მგალ.); მე და ჩემმა ღმერთმა, კაი ღვთის წყალობაა ეგ! (ნ. ლომ.); ეგ შენი სიტყვებია, ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი წამალია (დ. კლდ.); სწორედ კარგი ჯორი გყავს, სოლომან, მე და ჩემმა ღმერთმა (დ. კლდ.).

ფიცის ფორმულის ასეთ მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი გამოთქმაც:

მე და ჩემმა სიყმემ, ი ცოლ-შვილი ნუ გამიწყდება, რო მაგითან არჩევანს ძე ხორციელი ვერ იზამდა (ს. მგალ.).

### 3. ზენაარმან ღმრთისამან.

ფიცის ეს ფორმულა მხოლოდ ძველი ქართული ენის კუთვნილებაა:

ზენაარმან ღმრთისამან, რადგან ეგრე კარგი ქაბუცი არის, თუ მოვირიო. არა მოვკლოო („ამირანდარეგ.“); კარგად გამიფრთხილდი, ზენაარმან ღმრთისამან დასტურად მოგკლოო (იქვე); ესე ქარავანი ჩემია და გაგიძარცვია, და თუ ყველასა ხელთა არა მომცემ, ზენაარმან ღმრთისამან და მზემან პატრონის ჩემისამან, რაც ამ ქარავნისდა შენ და შენთა ლაშქართა გიყოფია, მასვე თქვენ გიზამ (იქვე).

### 4. მზემ(ან):

ოდითგან შენდა მოშორებულ ვარ, შენმან მზემან, ვითარცა ვეშაბისა პირსა შეიგან ყოფილ ვარ პატიმრად და გული უშენობისა ჰირითა ამისცა („ვისსრ.“); მან გაიცინა და ეგრე თქვა, ვითა: ამბრი არაბო, შენმან მზემან, მოცთუნებულხარ! („ამირანდარეგ.“); შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა (რუსთ.); შენმან მზემან, უშენოსა არვის მიბხვდეს მთვარე შენი (იქვე); ღვინომ უთხრა: შენმა მზემან, პურო, გრილი ხარ ღიასო (თეიმ. II); ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ. რადაც უნდა ღირს! (ილია); არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ (ილია); მე კი, შენმა მზემ, იმათ საქმეში არა ერეულვარ (ლ. არდ.); რა პურ-მარილის კაცია!... იშვიათი კაცია, შენმა მზემ, იშვიათი (ს. მგალ.); მეც ეგ მინდოდა, შენმა მზემ, მომესხენებინა, მეფევე პატრონო (ა. გამს.); შენმა მზემ, მართალს გეუბნიები (მ. ჭავჭავ.); დედი, ჩემმა მზემ შენმა სიკოცხლეგი. დანა მე არ წამილია (ს. შანშ.);

ჰკრა მზემან ჰაბუკმან მას ღამარ ღაზნელსა ჩაბალახსა ზედა და, მზემან თქვენმან და თავმან თქვენმან, წინასა ტახტსა უნაგირთასა ხრმალი დაასო და მოკლა განაღამცა („ამირანდარეგ.“); ქაოზ ქოსისქემან ეგრე თქვა, ვითა: თქვენმან მზემან, თუ ცად არა აგვიყვანებენ, ქვეყანასა ზედა ამის უკეთესი სახლი არა დგასო (იქვე); არა, თქვენმა მზემ... არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ (ილია); დიად, თქვენმა მზემ! თუ მართალი გნებავთ, მართალიც ეგ არის (ილია); განა დანიშვნა ტყუილია? — ტყუილი ვახლავს, თქვენმა მზემ (ლ. არდ.).

საპყარმან უწყინა და უთხრა: — ხელმწიფის მზემან, ესრეთს წიხლს ჩაგაზულ, გვერდი მოგტეხოსო (საბა); გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბა-

ტონის მზემა (ილია); — აბა, ნათლულო, არ გათხოვდები? — კარგი, ნათ-  
ლიას მზემ, დამეხსენ, — და მორცხვობით დაიხედა ძირს (დ. ჭონქაძე, *საქართველოს  
საზოგადოებრივი განათლების მინისტრის მოადგილე*);  
ლეთ ახლავე ე რალაც მიგიქარავთ! — დაიძახა არჩილ ყლაპიაშვილმა, — თორემ ი  
მამაჩემის სულის მზემა, სუ ამოგზოცამთ ექა (ნ. ლომ.); ისეთი დაკრძა-  
ლული ადამიანია ნენეი, ჩემი შვილების მზემა და ლხენამა, რომ  
ამ უბანში ორი არ მოიძებნება (ს. შვალ.).

#### 5. თავმან:

ეს ფორმულა ახალ ქართულში თითქმის აღარ იხმარება. ძველ  
ქართულში კი (განსაკუთრებით „ამირანდარეჯანიანში“) ხშირად  
გვხვდება:

კვლა უბრძანა: თუმცა მისგან აწ არ იყავ მოგზავნილი,

თავმან ჩემმან, თავსა მოგვეთ, არად უნდა ამას ცილი (რუსთ.);

თავმან შენმან, ცხენი შეუტივა სეფედავლე და ხრმალი არა ამოიღო  
(„ამირანდარეჯ.“); შეუზახნეს და შეუტივეს ერთმანეთსა და თავმან შენმან,  
ომად კმა იყო (იქვე). თავმან მეფობისა შენისამან ეგზომი ფიცხელი  
ომი არა მინახავს (იქვე); მოახსენა ვაზირმან: თავმან შენმან, არცარა ენის-  
უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა თქვენსასაო (საბა).

დაიწყო ომი, რომე, თავმან თქვენმან, არა ნახულა ეგეთი ომი კა-  
ცისა თვალთა („ამირანდარეჯ.“); შეუტივეს ორთავე და, თავმან თქვენმან,  
მოკლეს ათას-ათასი კაცი (იქვე); გაიყვანა ცხენი ინდომან ჭაბუქმან და, თავმან  
თქვენმან, ვითა კატა მოკლა [მარტორქა] (იქვე).

თავმან მეფისამან, დიდად ბედუქეთური თურე ხარ (საბა); მე შენ  
დღეის წაღმა აღარას გეუბნები, თავმან მეფისამან (საბა).

#### 6. მადლმა:

თქვენმა მადლმა, მოცლა არა მაქვს (ილია).

ვიძახი კი არა, და აი ჩვენი წმიდი გიორგის მადლმა, პირი მერცხ-  
ვინება, რომ ისევ შენთან მოვდივარ (ანტ. ფურც.); უნდა გადავსახლდეთ სადმე,  
თორემ წმინდა გიორგის მადლმა, ე ბავშვები სულ გავვექლიტება, —  
სიტქვა სალომემ (ნ. ლომ.).

შენი ნათელ-მირონობის მადლმა, ქალაღში ეგრე გვიწერია  
(ნ. ლომ.).

ჩემი რჯულის მადლმა, გიჩივლებ, თუ წელსაც არა მომეცი რა (ნ. ლომ.).

ვენახიდან გამოვედი... ე წმინდა წირვის მადლმა, რო ძლივ მო-  
ვადგამდი ფეხებსა (ნ. ლომ.).

ჰო, ზიარების მადლმა, მართალს ვამბობ (ს. შვალ.).

საწყალი კაცი გარდაცვალა და იმისთვის ვაგროვებთ; სამადლობელი საქმეა.  
ღეთის მადლმა! (ს. შვალ.).

ფიქრი არ არის ამისი, დედა შვილობის მადლმა (ს. შვალ.).

ი მზი უუქის მადლმა და ზიარება არ გამოიწყრება, რომა წრეულ ხუ-  
თი კოდი პური ძველად ძლივს გამყვა (ს. შვალ.).

არა, არა, ლომისის მადლმა, სიკვდილისა არ მეშინის, არა! (შ. არაგვ.).

## 7. სიცოცხლემ:

შენმა სიცოცხლემ, მარიამ, მამაჩემი არ წამიწყდება, დღემდე ჩემს მომდინ რომ არ დაგინახო, მე ჩემი დამემართება (ლ. არდ.); შენმა სიცოცხლემ, ასმათო, ისე მოგველი აი ჩემს შვილზე უკეთ (გ. წერ.).

თქვენმა სიცოცხლემ, სულითა და გულით მოხარული გახლავარ (ლ. არდ.); თქვენმა სიცოცხლემ, ალექსანდრე, განგებ თქვენთვის მაქვს წვეულება (ლ. არდ.); აღარ არის მოსვენება, თქვენმა სიცოცხლემ, დიდაკობისაგან ყოველდღე ხან ერთი მეპატიეება, ხან მეორე (ლ. არდ.); თქვენმა სიცოცხლემ, კნიაზო, რომ თქვენი შვილი არ იყოს... სწორედ ძაღლის ლეკვივით დავარჩობდი (აკაკი); თქვენმა სიცოცხლემ, ძალიან ჯაფა სდომებია გაზეთის შედგენას (გ. წერ.).

ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ (ილია).

## 8. ცხოვნებამ:

არაფერი არ უთქვამს, მამიჩემის ცხოვნებამ (ილია); მამაჩემმა იცოდა, იმ მამიჩემის ცხოვნებამ, ქორი რო ქათამს გაიტაცებდა, თუნდა იმის ცხვირწინათ, ხელს არ აუქნევდა: წაიღოს, მონადირეაო (ვაჟა).

## 9. გაზრდამ:

საკვირველი არიან, შენმა გაზრდამ, მაგვარანი კაცი (დ. კონქ.); შენმა გაზრდამ, ერთი სამმანეთიანი მქონდა, მარა ფეხი გამობმია... უსათუოდ დუქნის დახლში გადაბრძანდებოდა (ნ. ლორთქ.).

გოიას გაზრდამ, ანიკა სულ იმას იძახის, ნეტა გაერთიანება მოხდესო (თ. დონე.).

## 10. მამაშვილობამ:

ცხოვრება გაპირდა, რაღაც ჩაი-ჩუი შემოიღეს, ფულები იმას უნდება.. მამაშვილობამ, ეს ჩაი დაგვლუბავს ჩვენა (ზ. ანტ.); ჰა, ცეცხრ, მოგილოცონი-შნობა? ღმერთმანი, მამაშვილობამა, რომ ძალიან ჰკვიანური საქმე გიქნია (ს. შვალ.); რა იცი, რო ვისაც ეშვილები, ისიც არ დაგცინის? ბევრი კიდევ დაგცინებს, მამაშვილობამ (ვაჟა); მამაშვილობამ, სულ ერთია, სადაც უნდა დაიმარხოს მკვდარი, სულს თავისი ადგილი აქვს (ვაჟა); ეგ შენი შიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძვლოა (დ. კლდ.).

## 11. დედაშვილობამ:

ხომ გენიშნა? ტყვილს არასოდეს არ ვიტყვი, დედაშვილობამ; სულს როგორ წავიწყმენდ (აკაკი); ნუ ტირით, შვილებო, ნუ! მამა ისევ დაბრუნდება, დედაშვილობამა, — ატყუებდა მარინე (ს. შვალ.); რა კარგია ეს ღოშში შეხვეული სულგუნი! გემრიელია, დედაშვილობამ (გ. წერ.); დედაშვილობამ, შენი რომ არ მერიდებოდეს, ქ... სს ვერაფერი დამაყენებს (გ. წერ.); თუ შენ პატრონი არ იშოვნე, დედაშვილობამა, არ გამოგადგება ეგრე ყოფნა (ვაჟა); ვერ უყურებთ, ადამიანებო, ი ძალღტილა როგორ ღმუის? ცუდი ნიშანია, დედაშვილობამ, უთუოდ მოკვდება ვინმე (ვაჟა); გულშვი, ხელი, თვარა, დედაშვილობამ, სხვაი თუ არა, ჩემს თავს მაინც შემოგაქლავ! —

უთხრა ანამ შვილს (ე. ნინ.); დედაშვილობამ, ძვირფასი ცოლი გეყოლება ყოველნაირად (დ. კლდ.); დროა აწი შენთვის, დედაშვილობამ, ოჯახს შეგიკლამო (მ. კიდო (დ. კლდ.); დედაშვილობამ, არც წუხელის აუნთია სანთელი (მ. გაბ.); თავიდან ბოლომდე აბდლურია შენი ნაწერები და თუ ვინმე აქებს იმათ, დედაშვილობამ, გატყუებს (მ. ლომთ.).

ახლა განვიხილოთ ხევწნა-მუდარის შინაარსის მქონე ფიცის ფორმულების ჯგუფი, რომელშიც არსებითი სახელი მიცემითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული.

### 1. ზენაარსა ღმრთისასა:

არქვეს ამირანს: ამირან დარჯანისძეო, ზენაარსა ღმრთისასა, რა გიქადებია, გაგვისრულეო! („ამირანდარჯ.“).

### 2. მზეს(ა):

ომად მადისძეო, ჩემსა მზესა, ყველა მართალი მიამბეო და წერილად მითხარო („ამირანდარჯ.“); ეგრე უბრძანა: ჩემსა მზესა, თავითგან ბოლომდის ყველა დაუკლებლად თქვიო (იქვე); სეფედავლე ეგრე უთხრა: დორათ დილამო, ნუ შეიჭირვებ, ჩემსა მზესაო, ნახო ჰაბუკობა ჩვენო (იქვე); შემინდე! ჩემსა მზესა, არა გიცნობდი და მერმე შენ ჰყირტად რასმე მეუბნებოდი ოდეს, არ მოგკალ, მადლი ღმერთსაო (იქვე); კვლავ უბრძანა: აწე, ჩემსა მზესა, წადით და ახლოს ნადირო მომინახეთო (იქვე); ყაზარო, ყაზარო! შენსა მზესა, ესა და ეს გამოგზავნე (ს. მგალ.); გაბრუნდი ბატონო, შენსა მზესა, სისხლს ნუ გვაძლევ! შუბლშეკვრით უთხრა ზაქარამ და ჯოხი მაგრა დააბაკუნა მიწაზე (იქვე).

ნუ ინებებთ, ბატონო, უსამართლობას; სამოსამართლოდ ნუ გამიხდით საქმესა, თქვენსა მზესა და თქვენის ცოლ-შვილის დღეგრძელობასა! — უთხრა თავაზიანად ზაქარამ (ს. მგალ.).

შენ გეთაყვანოს მარინეს თვალები და შენი ორი შვილის მზესა, ეჯამით ერთი რისაც ფქვილი უნდა იყვეს — ნუ დამიჭერ და რაზედაც უნდა დამავალე (ანტ. ფურც.).

### 3. მადლს(ა):

ღმერთო, შენს მადლსა, ერთი გვასხურე [=წვიმა მოიყვანე], შე კურთხეულო (ს. მგალ.).

### 4. ცხონებას:

დაიცა, მამიშენის ცხონებასა, თამრომ რა დააშავა, რო დაგილილავებია (ს. მგალ.); კარგია, მამიშენის ცხონებას, რა დროს ეგებებია (შ. არაგვ.).

დანებე თავი, შენთ მკვდართ ცხონებასა, კაცო ეძინოს მბალებსა! შენიშნავდა დედაჩემი (ვაჟა).

### 5. ვაზრდას:

ბიძიკო, თუ შეიძლება, ეს ჩოხები, რავარც იქნება, ისე გამილამბე... რავარც იქნება... ღამეში ღობეს გამოვედევით და ასეთი უბედურება მოგვივიდა... აბა, ჰე,

შენს გაზრდას (დ. კლდ.); წაგვიკითხე ერთი, შენს გაზრდას (ნ. ღუმბ.); სოსოია, წყალი დამალევი, შენ გაზრდას (ნ. ღუმბ.).



## 6. დაძმობას:

მადანო, მადანო! დაძმობას, მაგას ნუ მეტყვი (ს. მგალ.); დაძმობას, მოსამსახურე ხომ არ გინდა? აჯანკალბულის ხმით მიმართა ქიტუამ ერთ შუახნის მანდილოსანს (შ. არაგვ.).

## 7. გახარებას:

ანიკა! ცოტა კირი მომეცი, შენს გახარებას, — დაიძახა ქალმა ლობესთან (თ. დონუ.).

აქეთ, ბიჭებო, აქეთ, თქვენს გახარებას, გარკვევით მოგვესმა რაყდენის სიტყვები (ელ. ზედა.).

## 8. მამაშვილობას:

მამაშვილობას, კნიაზო! ნუ აგვრევე, ჩვენ ჩვენი ვიცით (ზ. ანტ.); ნუ, მამაშვილობას, აგრე ნუ გაწყრები! — ღიმილით უთხრა ოსმან-ალამ (დ. ჰონქ.); მამაშვილობას, თუ რამე გაქვთ გასაყიდი, ... ნურას დაგვიჭერთ (გ. წერ.); მამაშვილობას, როცა დაჰკიდო, ზეით ასწიე, თვარა ცეცხლი კიდო გოუჩნდება! — უთხრა ხელოსნის ძმამ (გ. წერ.); ბიჭო, გამახარე, არიქა, მამაშვილობას, ცეცხლი მომიტანე (ვაჟა); ერთი ამას გთხოვ, პაპავ, მამაშვილობას, გზირს დამიძახებინო (ვაჟა); მაინც, მაინც! ... მამაშვილობას, გამაგებე, თუ გიყვარდე! — ჩაიცივებით უთხრა დინტერესებულმა ბეკინამ (დ. კლდ.); სესია ვარ, მამაო, ნახატაანთ სესია, გამომხედე, მამაშვილობას (ვ. ბარს.); ერთ პატარა ბიჭს მეწველი თხა მოჰყავდა. — პატარა ბიჭო, ... მივიძახე, მამაშვილობას, წყაროდან ერთი ღოქი წყალი ამოგვიტანე (ნ. ლორთქ.); მოითმინე, მამაშვილობას, რა ვუყოთ, ცოტა ნერვიული კაცია (რ. ჯაფ.); მე შემიძლია გავუპრა ბაქსანი, მომეცი ნება, მამაშვილობას (ი. აბაშ.).

## 9. დედაშვილობას:

მომიტვეთ, დედაშვილობას (ლ. არდ.); რა ამბავია, მითხარი ჩქარა, დედაშვილობას? — შეკრთომით ვუთხარი მე (დ. ჰონქ.); დედაშვილობას, აგრემც ღმერთი გიცოცხლებს შეილებს, შენი ღვთის გულისათვის დამანებე თავი, ეხვეწებოდა დედაჩემი (დ. ჰონქ.); შეილო, შინ შემოდი, ნამუშევარი ხარ, დედამიწამ არ დაგცადოს, — უთხრა ერთხელ დედამა — არა მიშავს რა, იდე! ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედაშვილობას (ილია); შენ დედა იყო და მე შეილო, ნუ მეტყვი უარს, დედაშვილობას (აკაკი); კიდევ წაიციდეთ შენ და ნინო? ნუ აჯავრებ, დედაშვილობას (აკაკი); ბაბაღე, დედაშვილობასა, აგრემც ღმერთი შეეწვეა ი შენ ერთ შეილსა, ბარემ მანდა ხარ და აამსე ე ჩემი კოკაც (ნ. ლომ.); დედაშვილობასა, ... თუ დედად არ მიწამებ, დაძმობასა. — შესთხოვა ნენემ, — მოქმევივე ყველაფერი, ენას ნუ შემიკრამ (ს. მგალ.); გაუშვი, დედაშვილობას (ვაჟა); აღარ იტირო, დედაშვილობას (ვაჟა); თვალი გეპიროს, დედაშვილობას, მგელი არ მიგვიწვდეს (ვაჟა); მკითხავმა ნიშანი მოითხოვა, მე ვუთხარი: მე თვითონ გახლავარ სამკითხაო, შემატყე რამ, დედა-



შვილობას მეთქი (დ. მაჩხ.); დედაშვილობას, მიშველე, ქვეყნის (პ. ლომო.); ჩემთან წამოიყვანეთ, დედაშვილობას, ჩემთან, — თითქმის წვედრებით უთხრა მას შავებით მოსილმა ვიღაც ტანმაღალმა ქალმა (რ. გვიტ.); დედაშვილობას, არაფერი დამიძალო, თორემ ცოდვაა (ლ. ქიაჩ.); ახლა ამას გვედრებში, დედაშვილობას, ორი რამ შეუსრულო შენს უბედურ დედას (კ. გამს.).

როგორც საილუსტრაციო მასალის განხილვამ გვიჩვენა, ფიცის ფორმულებში მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვების გამოყენებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს. თითოეულ ბრუნვას ხმარების თავისი სფერო აქვს. მაგრამ ამ კანონზომიერებას თან ახლავს ზოგიერთი სირთულე და ანომალიაც. მოკლედ შევეხებით ასეთ შემთხვევებსაც.

1. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფიცის ფორმულებში მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის უადგილოდ ხმარების შემთხვევები (უფრო ხშირად მიცემითის ნაცვლად მოთხრობითია ნახმარი). მაგალითად:

გამეტე ერთი გროში, შენი დედ-მამის ცხოვნებამა (ა. ბელ.).

აქ გვაქვს თხოვნა-მოწოდება და, ამდენად, უადგილოდაა ნახმარი მოთხრობითი ბრუნვა. უნდა გვქონოდა: ... შენი დედ-მამის ცხოვნებას.

უი, რავა მოსწრებიხარ დედაშენს! ჩამოდი, დედაშვილობამ (ოტ. იოს.).

აქაც თხოვნა-ხევეწნის შინაარსია ფიცის ფორმულაში. მოთხრობითი ბრუნვის მაგივრად უნდა იყოს მიცემითი: ... ჩამოდი, დედაშვილობას.

— დაწყნარდი, დედაშვილობამ! — ამშვიდებდა იაღონა (რ. კლდ.).

აქაც მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად უნდა გვქონოდა მიცემითი (დაწყნარდი, დედაშვილობას!)

2. ფიცის ფორმულების ანალიზისას ზოგჯერ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ მოცემულ წინადადებაში ერთდროულად გვაქვს როგორც რწმუნება-მტკიცების, ისე თხოვნა-ხევეწნის ნიუანსი. მაგალითი:

— ნუ გეშინია, შვილო... მე შეგარიგებ ფეფენასთან... მე დოუქოქებ და ისე შევეხეწეწები, გაპატოს, დედაშვილობამ... ოღონდ ახლა წაპყევი... ოღონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებ (დ. კლდ.).

— ასე მიმართავს სოფიო თავისი ქმრის ძმისწულს მარინეს, რომელმაც დედამთილის ჩხუბს ვედარ გაუძლო და თავის შესაფარებლად თავისი ქმრის ბიძის ოჯახს მიაშურა. ამ წინადადებაში არის დაპირება-რწმუნებაც (მე შეგარიგებ დედამთილ ფეფენასთან, დავუქოქებ და ისე შევეხეწეწები, რომ გაპატოსო) და მის გვერდით თხოვნა-მუ-



დარაც (ოლონდ ახლა წაჰყევი, ოლონდ მაგას ჩვენზე ნუ გაახელებო).  
 წინადადებაში გვაქვს დედაშვილობამ, ე. ი. უპირატესობა რწმუნება-  
 მტკიცების ნიუანსს აქვს მიცემული, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა  
 მიცემითი ბრუნვის ხმარებაც: დედაშვილობას, ოლონდ ახლა წაჰყევი,  
 ოლონდ ჩვენზე ნუ გაახელებ ფეფენასო. თხოვნის მომენტი აქ მით უფ-  
 რო ანგარიშგასაწევია, რომ ფეფენა სოფელში კუდიანად ითვლებოდა  
 და ყველას მისი შიში და რიდი ჰქონდა, მასთან ურთიერთობის გაფუ-  
 ჭებას ერიდებოდნენ.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის  
 („განთიადი“) ერთი ადგილი:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:  
 შენს მიწას მიმაბარეო.

თითქოს თხოვნაა აქ მთავარი: სამშობლო მხარეს ევედრება მეო-  
 სანი: „შენს მიწას მიმაბარეო“. ასე რომ, საესეებით თავისუფლად შეიძ-  
 ლებოდა ყოფილიყო: დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას  
 მიმაბარეო. მაგრამ პოეტს ნახმარი აქვს დედაშვილობამ. ამიტომ ეს  
 ადგილი ასე უნდა გავიგოთ: დედაშვილობამ, ცოტა რამეს გთხოვ. ე. ი.  
 ფიცი ეკუთვნის არა თხოვნას, არამედ იმის მტკიცება-  
 რწმუნებას, რომ თვით თხოვნის საგანი უმნიშვნელოა, ბევრი  
 არაფერია. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ეს გამოთქმა ორ  
 ნაწილად იყოფა და პირველი ნაწილის შემდეგ ორწერტილი ზის. მეორე  
 ნაწილი წინადადებისა წარმოადგენს პირველის დაკონკრეტებას.

დაბოლოს, განვიხილოთ ფიცის ფორმულების გამოყენების ერთი  
 თავისებურებაც. საქმე ეხება ფიცის ფორმულების ერთ ჯგუფს, სა-  
 დაც ფორმალურად რწმუნება-მტკიცების გამოთქმა  
 გვაქვს, მაგრამ სინამდვილეში ფიცის ფორმულის სახით ირონიუ-  
 ლი გამოთქმა იხმარება.

შევადაროთ ერთმანეთს ასეთი ფორმულები:

თუ გნებავს, იმათაც მოვიწვევ, თქვენმა სიცოცხლემ, ახლავე გაახ-  
 ლები, დავპატიებ (ლ. არდ.).

მოიბრანვე, შენმა სიცოცხლემ, ქსნის ერისთავი მოვა შენ მოსატა-  
 ცებლად (მე. გაბ.).

პირველ წინადადებაში ჩვეულებრივი ფიცის ფორმულაა რწმუნე-  
 ბა-მტკიცების შინაარსისა. მეორე წინადადებაშიც ფორმალურად ფიცი  
 გვაქვს, მაგრამ მისი შინაარსი სულ სხვაა — გამოთქმა ირონიულია.

კიდევ ორი მაგალითი:

უპ, უპ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე (ილია).  
შენმა მზემ, ბატონიშვილი მოვა შენი გომბიოსთვისა (ს. მაგალ.).

აქაც იგივე კონტრასტია.

ამგვარი ფიცის ფორმულების რიცხვი ენაში ცოტა როდია. შედგენილობის მიხედვით ასეთი გამოთქმები მრავალგვარია. მაგალითები:

რაო, ოთარანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის?... მაშ არა-და, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, — იტყუა ოთარანთ ქვრივმა (ილია); შენმა მზემ, კონამ თუ იცის შენი ამბავი, აკი იმიტომ ეზრალეები, — უთხრა მას გიგომ (ნ. ლომ.); შენ წამოგყევი, შენმა მზემ, მზეთუნახავს მომიყვან შენ დუქანში (ნ. ლორთქ.).

რაო, მოგეწონა? მოგეწონა, თითქოს ბატონიშვილი იყო! სხვა არა მოგეწონა რა, მამა გიცხონდა? როგორ თუ „ჩემი და შენი წყალიო“! — დაიყვირა მიხეილ ყლაპიაშვილმა, — მამა გიცხონდა, დიდი მონაწილე არა ხარ ხმამალაღანთი! (ნ. ლომ.); მამა გიცხონდა, ყურზედ ხახვი არ დამაჭრას!... უთხრა მკვახედ ესტატემ (ს. მაგალ.).

რაც მაქვს, ის ჭამონ, იმასაც კარვად ვიახლებიან!.. არა, მაგათ სიცოცხლემ, ძროხას დოვუკლავ (დ. კლდ.); გვერდში ამოუყენოს ჩემს რძალს მათი სოფლის ნაცარში ამოქიჩნილი ქალბატონი!.. თავისი ტყვედწასული შვილი გოუტოლოს ბეგლარ ჭინჭარაძეს! მაგათმა სიცოცხლემ! დევსხათ მაგათ თავს-ლაფი (დ. კლდ.); ნუ გყავთ მაგი სახლში... გამოაგდეთ... კარში გამოაგდეთ! — შენმა სიცოცხლემ! — გამოსძახა მარინემ სახლიდან (დ. კლდ.); მანამდე ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო და კისერზე არ მიეხვიო ისე მაგრად, რომ ვერსად გაგექცევი... დიახ, შენმა სიცოცხლემ (დ. კლდ.); შენ, ვაქბატონო, ბაზრობა რომ გათავდება, მაშინ წადი, შენმა სიცოცხლემ (დ. კლდ.); თავი დამანებე, თვარა ხელახლა მიგამტრევე მაგ დამტრევეულ ფეხებს! თავი დამანებე, შენ შემეწევი, შენმა სიცოცხლემ, რომ გამიპირდეს... (დ. კლდ.).

სიცივეა, თვარა, მამიშენის ქოხში თორნესავით თბილა, შენმა გახეთქამ!... აღექი! (ნ. ლორთქ.).

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა.

ფიცის ფორმულები თავისი სტრუქტურითა და სემანტიკური ნიუანსებით მრავალფეროვანია. ენობრივი თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ფიცის ფორმულების ერთი ისეთი ტიპი, სადაც არსებითი სახელი დგას მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში. ამ ტიპის გამოთქმებში ზოგჯერ ხსენებულ ბრუნვათა აღრევის შემთხვევებიც შეინიშნება. განხილული მასალის ანალიზმა შემდეგი გვიჩვენა: რომ არ შეგვეშალო ფიცის ფორმულებში მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ხმარება, საჭიროა გავამახვილოთ ყურადღება ამ ფორმულის შინაარსობრივ მხარეზე. იქ, სადაც ფიცის ფორმულაში გვაქვს რისამე



მტკიცება (და ამ მტკიცებისთვისაა მოხმობილი საფიცველი სტუ-  
ყვა), არსებითი სახელი უნდა ვიხმაროთ მოთხოვნი ბრუნვაში (დედაშვილობამ, მამაშვილობამ, ცხონებამ...). ხოლო იმ შემ-  
თხვევაში, სადაც ფიცის ფორმულას აქვს ხვეწნა-მუდარის  
შინაარსი, არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში უნდა იქნეს  
დასმული (დედაშვილობას, მამაშვილობას, ცხონებას...).



წელი ცაბიზივილი

აბსოლუტიზმის ფუნქციის გარეშე ზოგი უმსიხვეჭი  
ქართულში

ყურადღებას იქცევს შემდეგი უმსიხვეჭებები:

1. -გან-თანდებულებანი მოქმედებითი+საობიექტო მიმდებარები: მოყოლებული, მოყიდებული, დაწყებული. ისინი ხან დროის გარემოების როლში გვევლინებიან, ხან — ადგილის გარემოებისა. ასეც არიან განხილული სპეციალურ ლიტერატურაში<sup>1</sup>.

პირველ რიგში ვნახოთ, რა სტილისტიკური ნიუანსები ახლავს აღნიშნულ უმსიხვეჭებს:

1. მიმდებარე უკავშირდება ისეთ -გან თანდებულებანი მოქმედებითს, რომლითაც გამოხატულია დროის ვრცელი (ზოგჯერ — თვალუწვდენი) მონაკვეთი; გარკვეულ შემთხვევებში — უსასრულო, დაუსაბამო დროც. ასეთია, ერთი მხრივ, სტერეოტიპული გამოთქმები: ადამ და ევადან; ათადან-ბაბადან; ქვეყნის გაჩენიდან, ძველი დროიდან; უხსოვარი დროიდან; მეორე მხრივ, უფრო კონკრეტული უმსიხვეჭებები: იმ დროიდან; იმ დღიდან. მაგალითები:

ა) აღნიშნულია დროის მხოლოდ საწყისი:

ათადან-ბაბადან მოყოლებული... (საუბ.).

...ლაზები, აფშისები და სხვა ტომები ძველი დროით განეე მოყოლებული ქრისტიანები არიან (ივ. ჯავახ.).

...რა რომ თავის მშობლები აღარ დახვდენ ცოცხლები [ზალიკას], მივიდა თავის ბატონთან... და იმ დროიდან დაწყებული იქ ცხოვრობდა (ე. ნინ.).

იმ დღიდან მოყოლებული, ილიას გული მზევიანარის სახატედ იქცა (რ. გვეტ.).

ბ) მითითებულია მოქმედების მიმდინარეობის ზღვარიც, მაგრამ მკაცრი ქრონოლოგიური ჩარჩო მაინც არა გვაქვს; უმსიხვეჭებით გამოხატული დრო მაინც ზოგადია, ვრცელი:

<sup>1</sup> იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 134, 142.

ზღვის სივრცეს არც არაფერი აკლდება და არც არაფერი ემატება **ქვეყნის**  
გაჩენიდან დაწყებული დღევანდელ დღემდე (ი. ზოგ.).

...ეს თავისებური საბერძონაზვნო რესპუბლიკა იმ დროიდან **შეიქმნა**  
ბული დღემდე შუა საუკუნეების მკაცრ კანონებს ემორჩილება („ლიტ. საქ.“).

2. შესიტყვებით გადმოცემულია დროის უფრო განსაზღვრული მონაკვეთი:

აგერ ყველიერიც დადგა, ყველიერი თავის განუშორებელი მეგობრებითურთ —  
ბერიკებით და დილიდამ მოყოლებული მეორე დილამდე განუწყვეტლად  
სმა-ჭამით (ვაჟა).

შვიდი წლიდგან მოკიდებულ იოც წლამდინ ჩემი განთიადის დღე-  
ნი ბატონის სახლში დამიღამებია (ილია).

ბლობიდან მოკიდებულ იყურძნის მცვრეამდე სხვის ვენახებში  
დაძრწოდნენ, ხილის ქურდობა გართობად მიაჩნდათ (გ. შატბ.).

...არქეოლოგმა ვიორგი ლომთათიძემ ჩვეული მადლით ამეტყველა საფლავის  
ქვები — მეორე საუკუნეიდან მოკიდებულ იდღემდე („ლიტ. საქ.“).

ეს ხერხი არაერთგზის გამოუყენებიათ დიდ მწერლებს ანტიკური ხა-  
ნიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე („კომ.“).

ისმის კითხვა: -გან-თანდებულისანი მოქმედებითი, ჩვენთვის საინ-  
ტერესო მიმღეობის გარეშე, შეასრულებდა თუ არა იმავე ფუნქცი-  
ას — გადმოგვცემდა თუ არა დროის განუსაზღვრელ (ან — შედარებით  
განსაზღვრულ) მონაკვეთს? რა თქმა უნდა, გადმოგვცემდა. სწორედ  
დროში დაწყებითობის აღნიშვნაა -გან თანდებულისანი მოქმედებითის  
ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშივე<sup>2</sup>.

მაშ, რა როლი აკისრია მიმღეობას?

იქნებ დროში მოქმედების საწყისის ხაზგასმა, როგორც აღნიშნუ-  
ლია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>3</sup> მაგრამ, თუ დრო თვალუწვდენია,  
განუსაზღვრელია, მის საწყისს, ვფიქრობთ, ხაზგასმა არ სჭირდება...  
განსაზღვრული, კონკრეტული დრო კი ისედაც ხაზგასმულია...

თუ ჩაუვკვირდებით თუნდაც ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციებს,  
მიმღეობას თითქოს სხვა როლი უფრო ეკისრება: აღნიშნოს შემასმენ-  
ლით გამოხატული მოქმედების უწყვეტობა, განმეორებითობა, ჩვეუ-  
ლებრიობა. უფრო კარგად ჩანს ეს ფუნქცია მიმღეობისა ქვემოთ მო-  
ყვანილ მაგალითებში, როცა:

ა) დროის საწყისი თავისთავად ხაზგასმულია, დაკონკრეტებულია;

2 ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისა-  
თვის ძვ. ქართულში, ივე I, 1946; თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარე-  
ბითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის  
ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ. 1946, გვ. 414.

3 ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

მეტიც — გარკვეული თარიღითაა გადმოცემული. მიმღეობას კი შე-  
სიტყვება მაინც ჰვლობს; ჰვლობს სწორედ იმიტომ, რომ ხაზი გაუსვლილი  
შემასმენლით გადმოცემული მოქმედების განმეორებითობას, ჩვეულებ-  
რიობას:

ის ეაქებს არას დაპდედა,  
ბა ლო ბო თ მო კი დებუ ლი. (ბაჩანა).

...ეს კალაქე 1951 წლიდან მოკიდებული გზავნის წერილებს ჯან-  
მრთელობის დაცვის ორგანოთა ყველა ინსტანციაში... (რ. ჯაფ.).

აკ. შანიძემ 1920 წლიდან მოყოლებული არაერთი გამოკვლევა,  
მათ შორის მონოგრაფიული გამოკვლევა, მიუძღვნა ქართულ ზმნას (იკე).

ბ) დროის საწყისთან ერთად გარკვეულია მოქმედების მიმდინარე-  
ობის ვადა, ხანგრძლივობა:

ამ დღიდან მოყოლებული მთელი ხუთი წელიწადი დაყო მიხაკომ...  
ნოტარიუსთან (ნ. ლომ.).

ე. ი. ხუთი წელი დაყო ისე, რომ თითქმის დღე არ გაუცდენია.

...იგი [გრ. ორბელიანი] 1843 წლიდან დაწყებული თხუთმეტი წლის  
განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა მეფის რუსეთის დამკვიდრებისათვის და-  
ლესტანში (აბ. შახ.).

ე. ი. თხუთმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძოდა.

მაგრამ ყურადღებას იქცევენ ისეთი წინადადებები, რომლებშიც  
მოქმედების ხანგრძლივობა ან მიმდინარეობის ხასიათი გადმოცემულია  
(ხაზგასმულია) დროის ან ვითარების ზმნიზედებით. მაგალითად:

ამ ცხელს ქვეყანაში თებერვლიდან დაწყებული მისამდინ ყო-  
ველდღე ქრის ღონიერი ქარი (ი. გოგ.).

იმ დღიდან მოკიდებული თავები ყოველთვის ბედნიერი იყვ-  
ნენ, თავის ბედს სჯერდებოდნენ და მტეს არ ეძებდნენ (აკაკი).

გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრის პირამდე მდინარე ერ-  
თავად მღვრივე იყო... (ვაჟა).

1861 წლის მაისიდან დაწყებული ჟურნალ „ცისკარში“ შეუ-  
წყვეტლივ იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო წერილები (აბ. შახ.).

1943 წლიდან მოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების პროგ-  
რესული ადამიანები ყოველ წელს აღნიშნავენ საბჭოთა არმიის გმირულ გა-  
მარჯვებას სტალინგრადთან („კომ.“).

ეს წინადადებები, ერთი მხრივ, ბადებენ ეჭვს: თუ მიმღეობის  
ფუნქცია შემასმენლით გამოხატული მოქმედების დიურატიულობის  
აღნიშვნაა, რატომღა გაჩნდა საჭიროება იმავე ფუნქციის მქონე ზმნი-  
ზედების გამოყენებისა? მეორე მხრივ კი, გვაგარაუდებინებენ, რომ  
სწორედ ფუნქციითაა მსგავსებამ გახადა იქნებ შესაძლებელი ამ ზმნი-



ზედებისა და ჩვენთვის საინტერესო მიმღეობების ერთდროულად წმენ-  
რება.

დგება ზმნა-შემასმენლის საკითხიც: თუ ჩვენს მსჯელობას გავყვებო-  
ბით, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ განსახილველ შესიტყვებებთან  
შეწყობილი შემასმენელი გარკვეული ნაკვთის ფორმაში ან, ყოველ  
შემთხვევაში, უსრული ასპექტისა უნდა იყოს. მაგრამ გვხვდება  
თითქმის ნებისმიერი ნაკვთის (და ასპექტის) ზმნას... თითქოს მოუ-  
ლოდნელი იყო ამ შესიტყვებებთან უკუთქმითი შინაარსის შემასმენ-  
ელიც (რაც განმეორებადია, ჩვეულებრივია, ის ხომ დადებითი შინაარ-  
სისაც უნდა იყოს). მაგრამ გვაქვს:

484 წ. (sic!) მოყოლებული ვახტანგ მეფის მოღვაწეობის და ცხოვრე-  
ბის შესახებ სანდო ცნობები არ მოგვეპოვება (ივ. ჯავახ.).

მაშასადამე, არც მოქმედების განმეორებითობის აღნიშვნა განსა-  
ზღვრავს განსახილველი მიმღეობების გამოყენებას -გან-თანდებული-  
ანი მოქმედებითი გამოხატულ დროის გარემოებასთან?!

ამ მიმღეობების ფუნქცია რომ ნათელი და განსაზღვრული არ  
არის, ამიტომაც ვხვდებით მათ ხშირად მოულოდნელ კონტექსტში:  
როცა, ჯერ ერთი, -გან-თანდებულიანი მოქმედებითი აღნიშნულია  
კონკრეტული დრო, მოქმედების კონკრეტული საწყისი დროში (ხაზ-  
გასმა რომ არ სჭირდება) და არც განმეორებითობა ივარაუდება მოქ-  
მედებისა. მაგალითად:

დიდიდან დაწყებული შუალამემდე დარბაზი ახალგაზრდებით არის  
სავსე („თბილ.“).

ჩვენი საუკუნის 30—40-იანი წლებიდან მოყოლებული ყველასა-  
თვის ცხადი გახდა, რომ ავტომობილი ხმელეთის სხვა ტრანსპორტთა შორის არის  
ყველაზე ეკონომიური, კომფორტული და მოსახერხებელი („თბილ.“).

ასეთი ნებისმიერი გამოყენება მიმღეობიანი კონსტრუქციებისა  
დროის გარემოებად მხოლოდ თანამედროვე ქართულს როდი ახასია-  
თებს. აი, როგორ, თითქმის მოულოდნელ, შესიტყვებებს ვხვდებით  
XIX საუკუნის მწერალთა ენაში:

დილის შვიდი საათიდან დაწყებული თითქმის აქამდის მეძინა  
(აკაკი).

ამ დიდიდან დაწყებული თინათინის ნახვა მენატრებოდა (აკაკი).

მთელი 34 წელი ქ. ნ. ერთს სამმართველოში მსახურობდა 8 საათიდან  
დაწყებული ვიდრე 3 საათამდე (ვაჟა).

ვაჟი ან ქალი ცხრა წლიდან მოკიდებული მოშორებულია დედ-  
მამას (გ. წერ.).

ამ დიდიდან დაწყებული ტასომ გამოიცვალა ხასიათი (ე. ნინ.).



მიმღებები დაწყებული, მოყოლებული, მოკიდებული თითქმის თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ოღონდ, ფუნქციათა ერთგვანობა რი განაწილება მაინც შეიმჩნევა: დაწყებული, რომელიც შედარებით ხშირად გვხვდება XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში, უფრო კონკრეტული დროის საწყისზე მიუთითებს. იგი რუსული начиная-ს („დეებრიჩასტიეს“) კალკად გამოიყურება. ვფიქრობთ, რუსული ენის გავლენამაც შეუწყო ხელი დროის გარემოებად ამგვარი მიმღებობიანი კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებას.

საკითხი ისმის: უცხო იყო, საერთოდ, ამგვარი კონსტრუქციები ქართული ენისათვის?

მიმღებობიანი კონსტრუქციების გამოყენება აბსოლუტივის ფუნქციით ქართული ენისათვის უჩვეულო არ ჩანს. ამ ფუნქციის მქონედ ვთვლით, კერძოდ, განკერძოებული განსაზღვრების ერთ სახეს — ისეთ განკერძოებულ განსაზღვრებას, რომელიც სინტაქსურ წყვილში შემასმენელთან შედის<sup>4</sup>.

**მოყოლებული, მოკიდებული** მიმღებობებიც შეიძლება შეგვხვდეს წინადადების წვერის განსაზღვრებისა და განკერძოებული განსაზღვრების როლში. მაგალითად:

პომპეუსის საქართველოში შემოჭრა და ამ დროითგან მოყოლებული ამბები ამ წიგნის IV თავშია მოთხრობილი (ივ. ჯავახ.).

[ირემამ]... უამბო თავის თავგადასავალი, დაწყებული სეფე-ფულის გამგზავრებიდან... (შ. არაგვ.).

ჩემს სამშობლოში დადგა ავღარი, მოყოლებული ჩრდილოეთიდან (რ. მარგ.).

ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებები კი აბსოლუტივის ფუნქციის მქონე, საზღვრულისაგან განმარტოებულ განსაზღვრებასთან დაჯგუფდება. სწორედ, როგორც აბსოლუტივი, ითავსებს იგი რამდენიმე გარემოების ფუნქციას (გამოდის დროისა და ადგილის გარემოების როლში, ზოგ შემთხვევაში მიზეზის სემანტიკასაც შეიცავს).

გადაჭრით რაიმეს თქმა ამ მიმღებობის წარმომავლობაზე ჯერ-ჯერობით ჭირს. განსახილველი შესიტყვებები ქართულ სალიტერატურო ენაში თითქოს XVIII საუკუნიდან იხმარება ძირითადად, თანაც, ჭარბობს მოკიდებული მიმღებობით შედგენილი შესიტყვებანი<sup>5</sup>.

4 იხ. ნ. ცქიტიშვილი, განკერძოებული განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ., 1961, გვ. 237—262.

5 ვეყრდნობთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებისა და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მუღმივი კომისიის სალექსიკონო ფონდებს.

### ა) დროის გარემოების როლში:

და მისცეს ღმერთმან ძლევა და შუადღით გან მოკიდებულ კოცეს თათარნი ვიღრე ბინდამდე... (ბერი ეგნატ. „ქართლ. ცხ.“).

...დაიწყო ცურვა და დილიდამ მოკიდებულ შუადღემდი ნაპირს გამოიტანა („ამირანდარეჯ.“ — დამატ.).

დილიდამ მოკიდებულ სლამომდინ ირკინეს („უარამ.“).

...ქალაქის სამღებრო იჯარით აღევით ორას ორმოც თუმნათ, ამ წლის მარტის ერთი დამ მოკიდებულ მომავალი წლის მარტის დამდეკამდინ... (საქ. სიძვ. III).

...ხუთს დღეს უკან თელავს უნდა გამოისტუმრო თავეთის სრულის დავთრით და ბარათითა, რომ ოკტომბრიდამ მოკიდებულ დღევანდლამდის სრული ანგარიში უნდა მოგვეცენ (საქ. სიძვ. III).

### ბ) ადგილის გარემოების როლში:

...კაკაბეთი დამ მოკიდებულ მარტყოფამდის აყრა და ქალაქში მოსვლა ებრძანებინა... (საქ. სიძვ. II).

...ჩვენო დისწულო იოანე!.. სამასი კაცის ერთის თვის სურსათი, დიღმით გამ მოკიდებულ, რაც ახლო სომხეთის სოფლები იყოს ერეკლეს ციხით, ამათ უნდა შეაწეროთ და გარიგოთ (საქ. სიძვ. I).

ხელმწიფის სასახლით მოკიდებულ აბანოს კარამდი ორპირად ასეთი ხევნარი იღვა და შტო შტოში გაბანდვით ასერიგად მორთული ჰქონდა, რომ ათასი წელი ეწვიმა, შუაზე წვიმის ცვარი არ ჩავარდებოდა... („რუსულ.“).

მას ტახტისა ქვეშე სამასი გლახა იხსდა და იმ ტახტით მოკიდებულ ქალაქის კარამდი სულ ღმთის კაცნი იღგნენ („რუსულ.“).

კარიდან მოკიდებულ ტახტამდის შლია ფარჩეხი... (თეიმ. II).

შთაბეჭდილება ასეთია: აღრეულ ძეგლებში ადგილის გარემოების ფუნქციით უფრო იხმარება ეს შესიტყვებები.

ქართული ენის დიალექტებში დაცული ასეთი გამოთქმები: ამ გაყოლებაზე... ამ გაყოლება... (ყინვანით) მოკიდებით... და სხვ. გვაგვარაულებინებს, რომ:

1) იმავე ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდა საწყისიც. თანაც, საწყისი თუ მიმღეობა ერთოდა უთანდებულო მოქმედებითსაც;

2) მოყოლებული, მოკიდებული მიმღეობებით შედგენილი შესიტყვებები, პირველ რიგში, ადგილის გარემოების როლში გამოდიოდნენ, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნაუდნენ საწყის პუნქტს სივრცეში<sup>6</sup>. მაგალითად, ფშაური: ყინვანით მოკიდებით = ყინვანს მოკიდებული, ყინვანს მიკრული, უშუალოდ ყინვანიდან დაწყებული სივრცე („ყინვანით მოკიდებით ბორბალამდინ ფშავის კეცს ეძახიან“<sup>7</sup>). ამაზევე მიგვანიშნებს შედარებით აღრეულ ძეგლებში და-

<sup>6</sup> შტრ. ლ. კვაქაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

<sup>7</sup> ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 128.

დასტურებული გამოყენება მოკიდებული მიმღეობისა ქვემოთ მიყვანილ წიგნებში:

...ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა დადოსა (**„ქართლ. ცხ“**. I).

...ესე ძარღვი ორკერძად იქნებინა ვგრე რომელ ერთი შარიანისა წუერი დეიძლსა მოკიდებული იქნების... (**„წიგნ. სააქ.“**).

იოდე რომე [ყვაილი] ყოველი ფერადი არი: იის ფერი არის, შავი წურილი, მავარი, ბრტყელი და ერთმანეთის მოკიდებული ყვაილი და კალის ფერი და თეთრი... (**„უხწ. კარ.“**).

როგორც მიუთითებენ, ენაში ხომ ვლინდება ასეთი ზოგადი ფსიქოლოგიური კანონზომიერება — სივრცე—დრო—მიზეზი: კონკრეტულიდან განყენებულისაკენ... პირველადია სივრცეში ლოკალიზაცია, მეორეული — დროში დეტერმინაცია...<sup>8</sup>.

სწორედ საწყისი პუნქტის ხაზგასმის სურვილი თუ გაამართლებს მიმღეობის გამოყენებას ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში, რომლებშიც -გან თანდებულისანი მოქმედებითი მიმღეობის გარეშეც გამოხატავს სასურველ ადგილის გარემოებას:

თეკლათიდან მოკიდებულ დიდ გზამდის... რკინის გზის ტოტი იყო გაყვებული (**გ. წერ.**).

ე. ი. „რკინიგზის ტოტი“ უშუალოდ ეკვროდა თეკლათს.

[არხებში] ჩრდილოეთი ზღვის ყველაზე უკიდურესი სანაპიროდან მოკიდებულ კონტინენტის გულისაკენ ჰქვეთენ ჰოლანდიის დაცემულ ვაკეს... (**რ ჭაფ.**).

უფრო ბუნებრივი ჩანს მიმღეობის გამოყენება ისეთ შესიტყვებებში, რომლებიც თვალუწვდენ სივრცეს გამოხატავენ. მაგალითად:

აბა დაიძახე: ქართელო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მართო დიპლომატიის ქართულის მეტმა... შემოგხედოს ვინემ (**ილია**).

სამეგრელოდან მოყოლებული სინოპამდე სავაპრო დუქნები როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში უფრო ჰანებს ეკუთვნის (**ი. გოგ.**)

მთებიდან მოყოლებული ჰორიზონტის კიდემდე ყველაფერი ერთ წუთს განათდა და გაშუქდა (**ს. მთვარ.**).

ჰერეთ-ბერია... გადაჭიმული იყო კახეთის აღმოსავლეთის საზღვრითგან მოყოლებული ლიხის მთამდე (**ივ. ჭავჭავ.**).

8 არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის, ფსიქოლოგია, III, თბ., 1945, გვ. 490 და 492.

ამავე ხაზს აგრძელებს მოკიდებული მიმღეობიდან მიღებული პრევერბიანი და მოკიდებული: სივრცე (რას მოკიდებული)—მიზეზი (რაზე დამოკიდებული).



მოქმედების მიმდინარეობის უწყვეტი ასპარეზის, უწყვეტი ხაზის აღნიშვნა უნდა ჰქონდეს დაკისრებული მიმღეობას ქვემოთ მოყვანილ შესიტყვებებში, რომლებშიც -გან-დამ-თანდებულნიანი მოქმედებითის გვერდით შეიძლება იხმარებოდეს უთანდებულო მოქმედებითი ან -გან-თანდებულნიანი ნათესაობითი (კითხვაზე ვისგან?||რისგან):

ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნი დამ მოყოლებული ჰის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიზინებული (ილია).

...ყოველი ნაწილი დაათვალიერა [წისქვილის] სარეკელადამ მოყოლებული კრიჰამდე (ვაჟა).

მწერლები დან მოკიდებული მაზრის მმართველამდე ყველანი მისი მეგობრები და პატივისმცემელნი იყვნენ (გ. წერ.).

...არქიელი დგან მოკიდებული მთელი მილეთის ხალხს ცოლს თქვენართამთ (ავტ. ცაგ.).

გლახებისაგან დაწყებული მირონცხებულ მეფემდის ყველას სჭირია ძლიერი მეფე, მფარველი, მოყვარე და ნათესავი (ნ. ლორთქ.).

ადგილის გარემოებადაც გვხვდება მიმღეობით შედგენილ მოულოდნელი შესიტყვებები. მაგალითად:

...თითქოს ამ ხიდგან დაწყებული სულ სხვა მხარისაკენ მივდიოდით... (შ. არაგვ.).

ათვალიერ-ჩაათვალიერეს გზა და უფრო ხერხიანათა სცნეს, მოეტაცნათ ქალი სადმე სოდანლუდიდან დაწყებული ვიდრე იაღლუჯამდის (ვ. ბარნ.).

[ბახვა] გამოუტყდა ჯვირიკოჩას: — ხორციდან დაწყებული სულამდინ გამცლიან (გ. წერ.).

(ხორციდან სულამდის კი სტერეოტიპული შესიტყვებაა).

როგორც ვხედავთ, დაწყებული, მოყოლებული, მოკიდებული მიმღეობებით შედგენილი შესიტყვებები საკმაოდ გავრცელებული, ფეხმოკიდებულა ქართულ სალიტერატურო ენაში. გარკვეულ შემთხვევებში მათ გამოყენებას ახსნა ექებნება — დაჩნდება ის სტილისტიკური ნიუანსები, რომლებიც მათ ახლავს. ხშირად კი მათი ხმარება საკმაოდ ნებისმიერია.

ამიტომ ჩნდება თითქოს მოთხოვნილება: შევზღუდოთ ამგვარი შესიტყვებების გამოყენება, თუ არ არსებობს საამისო სტილისტიკური საჭიროება. კერძოდ: შედარებით ბუნებრივი ჩანს მათი ხმარება აბსოლუტივის ფუნქციით მაშინ, როცა ხაზგასასმელია მოქმედების უწყვეტობა დროსა და სივრცეში. თანაც, ამ სტილისტიკურ ნიუანსს უკეთ გადმოგვცემენ მოყოლებული, მოკიდებული მიმღეობები. ამიტომ იქნებ სჯობდეს ამ უკანასკნელთა ხარჯზე თავი ავარიდოთ დაწყებულს.

ეს შესიტყვებები, როგორც აბსოლუტივის ფუნქციის მქონე სხვა

მიმღობიანი კონსტრუქციებიც, უნდა გამოიყოს მძიმეებით წინადადების დანარჩენი წევრებისაგან.

II. -გან-თანდებულის მოქმედებითან აბსოლუტივის ფუნქციის მქონე შესიტყვებას ქმნის აგრეთვე აწმყო დროის სასუბიექტო მიმღობა **გამომდინარე**. ჩვეულებრივ, იგი აქედან ზმნისართს ერთვის და ფუნქციით უტოლდება ჩართულის ერთ ჯგუფს, რომელიც „...გვიჩვენებს აზრების თანამიმდევრობას, ან კიდევ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას...): ჯერ ერთი, ერთი, მეორე, პირველი, მეორე, კიდევ, მაშასადამე, ამგვარად, პირიქით (პირუკუ), დასასრულ, ერთი სიტყვით, სხვათა შორის, მაგალითად, ნაწილობრივ და სხვ.<sup>9</sup>

შესიტყვება აქედან **გამომდინარე** დამახასიათებელია უფრო სამეცნიერო-პოპულარული და პუბლიცისტური ლიტერატურის სტილისათვის. მაგალითები:

...აღზრდის, განათლებისა და სწავლების... მიზანი, ამოცანები და შინაარსი... განპირობებულია საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წყობით. აქედან **გამომდინარე**, ბუნებრივია, რომ უმაღლესი სკოლის სწავლების შინაარსის დადგენისას... გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების განვითარების კულტურულ-ტექნიკური დონე, მისი მოთხოვნილებები... („სკ. და ცხოვრ.“).

...საზოგადოების მეცნიერული მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს... მისში მონაწილე პიროვნების თვისებებიც. აქედან **გამომდინარე** საჭიროა საზოგადოების განვითარების არა მარტო თეორიული გააზრება-დამუშავება... არამედ, საზოგადოების მიზნების შესაბამისად, ადამიანთა მომზადების სრულყოფილი გეგმები და სისტემები („სკ. და ცხოვრ.“).

...საჭიროა გამოვავლინოთ ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ქალაქის ქუჩების მოწყობის უხარისხობას იწვევენ. აქედან **გამომდინარე** მკითხველებს მსურს გავუზიარო ზოგიერთი მოსაზრება („თბილ.“).

მიმღობა **გამომდინარე** შეიძლება დაერთოს -გან-თანდებულის მიმღობით შედგენილ მთელ შესიტყვებას და აღნიშნოს ზმნით გამოხატული მოქმედების უშუალო საწყისი, მიზეზის ნიუანსით. მაგალითები:

...ქანობრივი ტრაფარეტიდან **გამომდინარე** ცურტაველს ვარსქენი უნდა დაეხატა ბორტების თანამიმდევრულ განსახიერებად („განთ.“).

ზემოაღნიშნული ამოცანებიდან **გამომდინარე** სკკბ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის დადგენილება... გვავალებს... („სკ. და ცხოვრ.“).

...ამ მოსაზრებიდან **გამომდინარე** [რომ წერთნა სეზონურ ხასიათს უნდა ატარებდეს], ზოგიერთი სპორტსმენი სეზონის მოახლოებამდე არაფერს არ აკეთებს („ლელო“).

<sup>9</sup> ლ. კვავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 307.



ამგვარ შესიტყვებებში მიმღეობა (გამომდინარე) აბსოლუტური ფუნქციის მქონე საზღვრულდაკარგულ (განკერძოებულ) განსაზღვრებას უტოლდება. იგი შეიძლება იმართოს ბრუნვაში შემასმენლის მიერ. მაგალითად:

ამ ინტერესებიდან გამომდინარე ს არ შემოიღია მოვიწონო მათი მოქმედება (ს. კლდ.).

= ვითვალისწინებ რა ამ ინტერესებს (ამოვდივარ რა ამ ინტერესებიდან)...

აბსოლუტივის ფუნქცია გამომდინარე მიმღეობის გვიანდელი ფუნქცია ჩანს. ადრეულ ძეგლებში ამ მიმღეობასთან ძირითადად უთანდებულო ნათესაობითი გვხვდება და აღნიშნავს მოქმედების საწყისს სივრცეში. თვით მიმღეობა ხან ჩვეულებრივი (ატრიბუტული) განსაზღვრებაა, ხან — განკერძოებული.

მაგალითები:

ხოლო ამ ცხენისწყალს მიერთვის, ქორდას ზეით, ჩრდილოდამ, კავკასისს გამომდინარე ქვეი... („ქართლ. ცხ.“).

ჩრდილოს-ქვეს ერთვის ქვეი ნუნისისა სამკრიდამ, ამისა და ქეობის შუას მთის გამომდინარე („ქართლ. ცხ.“).

ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდამ ქვეი, ალევის მთის გამომდინარე (იქვე).

მიერთვის ტანას ქვეი დრისა გამომდინარე რაზმითის მთისა („ქართლ. ცხ.“).

მოერთვის თორის-წყალს სამკრიდამ ბაკულიანის წყალი, გამომდინარე ბაკულიანის მთისავე (იქვე).

გამომდინარე მიმღეობასთან აღნიშნული ფუნქციით შეგვხვდა აგრეთვე:

ა) უთანდებულო მიცემითი:

სამკრით არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიალ დიდი და ცხელი, მღულარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცებს („ქართლ. ცხ.“).

ბ) -დამ-თანდებულიანი მოქმედებითი:

ამას ზეით ერთვის სხვა ქვეი, გამომდინარე... შუათის მთიდან... („ქართლ. ცხ.“).

...მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან („ქართლ. ცხ.“).

გ) -გან-თანდებულიანი ნათესაობითი:

...შეუდგნენ მთასა მალალსა კავკასისასა, მსგავს ჯოჯოხეთისასა, სადაცა იყო ჭურღმული მრავალი, გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან (S-1743, რკფ.).

დ) -ში-თანდებულისანი მიცემითი. ოღონდ, იგი უშუალო პუნქტს კი არ აღნიშნავს, არამედ ზოგადად სივრცეს (სივრცეში მდინარეებს):

დასავლით მიერთვის ზღუას მდინარე ქანეთში გამომდინარე („ქართლ. ცხ.“).

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ მიცემითი და ნათესაობითი (აგრეთვე, მოქმედებითი და ვითარებითი) ბრუნვების ფუნქციები მსგავსია. ამიტომ ისინი ადვილად ენაცვლებიან ერთმანეთს, კერძოდ, ადგილის გარემოების გამოსახატავადაც. გარკვეულია, რომ გენეტურად ეს ბრუნვები ერთი წარმოშობისაა<sup>10</sup>

ახალსა და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, უფრო ბუნებრივია ამ მიმღობასთან -გან-თანდებულისანი მოქმედებითი. მაგალითად:

სოფელ ტორტლას შუაზე ჰყოფდა დიდი რუ, გამომდინარე მდინარე ლიახვიდან (ს. შვალ.).

მე საერთო არა მაქვს რა კომუნისტებთან და კათოლიკური თეოლოგიიდან გამომდინარე თვალსაზრისს ვიზიარებ, — განაცხადა ბულიემ („კომ.“).

გამომდინარე მიმღობით შედგენილი, აბსოლუტივის ფუნქციის მქონე შესიტყვებები, განსაკუთრებით კი, მყარი შესიტყვება აქედან გამომდინარე, კალკის შთაბეჭდილებას ტოვებს (შდრ. რუს. исходя из этого...), მაგრამ საკითხი არ ისმის მისი უკუგდების შესახებ. ჯერ ერთი, ეს შესიტყვება უკვე ბუნებრივი კუთვნილებაა ქართული სალიტერატურო ენისა, მეორეც, აქაც გამოვლენილია სემანტიკის ცვლის ზოგადი ფსიქოლოგიური კანონზომიერება: სივრცეში ლოკალიზაცია — მიზეზი.

აღნიშნული შესიტყვება განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების ტიპისაა და უნდა გამოიყოს მძიმეებით წინადადების წევრებისაგან.

---

<sup>10</sup> არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში, მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 1—2, 1945, გვ. 66; გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), მეცნ. აკად. მოამბე, III, № 5, 1942, გვ. 498—500; ა. მარტიროსოვი, მიც. და ნათ. ბრუნვების წარმოება და ფუნქციები... სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 377.

ალექსი ზინფარაული

## ეტიმოლოგიური ეტიუდები

(ეული)

აკად. ა. შანიძე -ეულ სუფიქსის შესახებ წერს: „**ეულ** აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათ. ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის-**ეულ-ი**, ერისთვის-**ეულ-ი**, ჩემ-**ეულ-ი** („მაგა ცხენსა ჩემ-**ეულსა**“, „ვეფხ.“), შენ-**ეულ-ი** („მასვე ცხენსა შენ-**ეულსა**“, „ვეფხ.“).

**შენიშვნა**. ამ დაბოლოებისაგან არს. სახ. გაკეთდა; გურიაში იტყვიან: „ჩემი სოფლობა“, „მისი სოფლობა“ და სხვ., სადაც თავკიდური ს წარმოშობით ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაწილია. ნანეიშვილის-**ეული** (სოფელს ჰქვია გურიაში, საჯავახოში), აქედან ასეთი გააზრიანება \*ნანეიშვილი(ს)სეული [ასიმილაციით ნანეიშვილი(ს)სოფული].

ეს სუფიქსი, — განაგრძობს მეცნიერი, — შეიძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს: მამა-პაპ-**ეულ-ი**, მთ-**ეულ-ი** (→მთ-**იულ-ი**).

პირდაპირ ფუძეზე დართვას უნდა ჰქონდეს ადგილი მამ-**ულ-სა** და დედ-**ულ-ში** (←\*მამ-**ეულ-ი**, \*დედ-**ეულ-ი**)<sup>1</sup>.

მეცნიერი არაფერს ამბობს სუფიქს -**ეულ-ის** წარმომავლობაზე და არსებით სახელ „**ეულ**“-ზე.

რაც შეეხება **სეულ-ს**, **სეულობა-ს** და **სოფულ-ს**, **სოფულობა-ს** — ეს სუბსტანტივი არის აგრეთვე იმერულში და არაერთგზის დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებში. იგი მოხვდა დიალექტურ ლექსიკონებაშიაც. „სოფლობა (იმერ. გურ.). ნ. სოფლებიანი“ (ალ-ლ). „სოფლებიანი (იმერ.) მემკვიდრეობის პატრონი, მდიდარი ქონებიანი, მზითევიანი“. (იქვე).

მოვიყვანოთ ისტორიული დოკუმენტებით შემონახული ვამონათქვამები „**სეულ**“-სა და „**სეულება**“-ზე (resp. „**სოფულ**“-სა და „**სოფ-**

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 129.

ლობა“-ზე). საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე დოკუმენტში დას-  
ტურდება როგორც მარტივი -სეულ ფორმა, ისე ა. შანიძის მიერ ნახველში  
რეაქციები - (ს)სეულ ფორმა:

გოგიაძე უჩივლა: მერაბ ზულუციძემ მამაჩემს ხაინდრავასეული გლე-  
ხები და ადგილ-მამული წიგნით უბოძაო, შენ წამართვი და შენ გყავსო, ივანემ  
აშორო უთხრა.

აწ ასე გვაჩინეთ: წამოაყენოს ივანემ ორმოცდარვა გლეხი კაცი და ასე შეა-  
ფიცოს: ხაინდრავასეულს გლეხებსა და ადგილ-მამულს რომ შედავები,  
მაგ წიგნშიდ რომ გიწერია, ხაინდრავასეული არც გლეხები, არც მამული  
მე არაფერი მქონდეს (ქსძ, V, 694).

მოგვადექით კარსა და გვეაჩენით; და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გე-  
მაძალი წუწუბავას და მისის ძმის თუ თარიასეული პარტახი გუთხოვეთ  
უშაბაკეთს და ფეშქაშიცა მოგუართვით, როგორათაც ჩვენი გული შეგვიჯერდე-  
ბოდა; და გიბოძეთ იმ სამის ძმანების — კამოგელაის და გემამალის და თუ თა-  
რისეული პარტახი შენ და გარ მისის სახლ-კართა, ჭურ-მარნითა (იქვე,  
III, 616);

მისგან ნაყიდს თათელაშვილისეულს ადგილსა და კარგარეთ-  
ლისეულს მამულზედ დაგაყენეთ (იქვე, III, 937—938).

ბიძაჩემი უშვილო იყო და მისსოულს აქრთამებდა ბატონი; და შენ  
შოდი ჩემთან და ეს საქმე გეკითხე და ბორჯი მოგეცით თეთრის, სადამდის მოვა-  
ხერხებდით; შენი საკუთარი თეთრი გაიღე-ტქო, და შენ საკუთარი წიგნი დაიწერე  
ბატონისაგან და ის ბიძის ჩემისეული შენ დაიკავე... იესემ უბასუხა:  
ბატონი ბიძის ჩემისეულს სხვას აძლევდა, მიბრძანა: ერთგული ხარ  
ჩემი სასაკუთრო არის უშვილო კაცისეული, შენ წყალობას გიზამ, ქრთამს  
თუ მომცემ, თორემ სხვა გვარის კაცს მივცემო; შენ გითხარი, მაგრამ მაშინ არ  
შემომიდექი. აღარც ბატონმა ინება. თავისი უშვილო კაცისეული საკუთ-  
რათ წიგნით მიბოძა და მაქვს.

ეს საქმე სამართლის წიგნით გავსინჯეთ; და ბატონის სახსო არის უშვილო  
კაცისეული და, ვისაც უბოძებს, სიტყვა არ აქვს (იქვე, VI, 273).

შემოგწირეთ... ნოღას სასახლე მისისა მოჯალაბითა და სახასოს შესაულითა და  
საძებრითა და უძებრითა, ქელბაქიანის ხუციასსოული... გლეხი ერთ კვამ-  
ლად ბიშნარაშვილი ხახუტა, (ისტ. დოკ., წ. I, 32) გიბოძეთ ქავთარაძის გიორგისა  
და იონათამისსოული მამული მისის სახლ-კართა, მამულითა (იქვე,  
33-27).

ა. შანიძის მიერ ნახსენები „ნანეიშვილისეული“-ც იხსენიება ის-  
ტორიულ დოკუმენტებში: „საჯავახოს ნანეიშვილისეული  
გაიყვეს ქაიხოსრომ ერისთავმა და ვახტანგ ერისთავმა“ (ქსძ., VI, 449).

აი კიდევ ამ რიგის მაგალითები:

მაქაცარია კობანიძისეული კაცი იყო (ქსძ., III, 769); შენ რომ  
იმ წიგნში კაცი გიწერია და შედავები, არც იმ კაცისეული ალაგი ეს იყოს...  
(იქვე, VI, 528); ჩვენი საერთო კაცი მამაპაპისსოული ცინცაბაძე და კიწ-  
მარიაშვილი ხელთ გყავს (იქვე, VI, 562); მოურავი ხარ და თავისი მამის-  
სეული მამული და გლეხები მიეცი (ქსძ., VI, 442); ხმალაძისეული

ვენაცი დარჩა ამ უმიკაშვილ გივის (იქვე, IV, 503); ვიყიდეთ... ჰეინამის... და სულთამასეული პარტახტები და ჩუჩხუნადისსეული პარტახტები (იქვე, III, 509); ხენწიფის წყალობა ადგილი მქონდა ოფჩას, პარკინაშვილ ძისსოულზე ვესახლე (იქვე, VI, 490); ქაქუჩელამ ის შუბგისსეული შუა გაუყოს სეხნიას (იქვე, VI, 503); როსტომამ უჩიელა; ვაშაყმაძისსოული ჩემი სასაკუთრო არისო და ნახეუარს მართმევ და რას მემართლები, არ ვიცი. ესიკამ უბასუხა: მართალია, მამისა და ბაბუისსოული არის და რავაც სხვაი, ისე ნახეუარი შენ გაქ და ნახეუარი ჩემია (იქვე, VI, 562).

ახლა ძნელია გაგება, მთხრობელი თუ დამწერი სეულ-ს და სოულ-ს წინამავალ სიტყვას აბამდა (ჭდენტისსოული) თუ ცალკე სიტყვად წარმოთქვამდა (ჭდენტის სოული). ამათ ხან ერთად ბეჭდავენ გამოცემელები, ხან — ცალ-ცალკე. მაგრამ იმავე ძეგლებში დადასტურებული „სეულობა“ და „სოულობა“ იმაზე უნდა მეტყველებდნენ, რომ, სადაც ორი ს დასტურდება, იქ „სეული“ და „სოული“ უკვე ცალკე სიტყვაა. იქაც, სადაც ერთი „სანია“, შეიძლება მეორის არქონა უბრალოდ დამწერის ბრალია და ცალკე უნდა გამოვყოთ სეული||სოული ან -ეული (ამაზე ქვემოთ).

მოვიყვანოთ მაგალითები -სეულობა||-სოულობა-ზე:

ბატონმა რომ წყალობა მიყო და ჩემი ძმისსოულობა მიბოძა, ამისთინ თქვენ გარე შემომადექით და ცოლ-შვილით დამამწყვდიეთ (იქვე, VI, 278); მე რომ ზღურები მიწერია, იმას შიგნი ჩემის კაცის ზიარის ჩამოდმა არც მამის შენისსეული იყო, არც ბაბუაშენის, არც სეულობა გქონდეს (იქვე, VI, 498); სეხნიამ უჩივლა, რომ ბაბუის ჩუენის ბუში იყო და ის უშვილოდ გარდაეგო და შენ მიდი ბატონს ცავარულთან და მისისსეულობა (sic! ა. ჰ.); იქრთამე და მე არ შემატყობინეო (იქვე, VI, 502).

ჩემი ეკლესიის მღვდელი გოდოგანს მოსახლე იესე კვინიხიძე და მისი ძმა დავითელა გარდაშენდა უძეთ; რომ ძეობა არ დარჩენია და მისსეულს ალაც თქვენ მევედრეთ. და ვისმინე ვედრება თქვენი და მოხსენება და გიბოძე იესე კვინიხიძის და მისი ძმის დავითელასსოულობა ალაგი, მამული, ქურ-მარნით, საფლავ-სამარხით, ტყით, ველით, გასავლით და გამოსავლით, საძებრით და უძებრით და სამართლიანის საზღვრით (იქვე, III, 1129)

როგორც ვხედავთ, „სოულობა“ მთელი უძრავ-მოძრავი ქონებაა.

გოგია ავალიანის ძმები რომ ხლებია ხოსია წულუკიძეს და მომკვდარა და იმათი სოულობა ხოსიას შვილებსა და შვილისშვილებს რომ აქვს, ვავსინჯეთ. მაგრამ, სანამდი წულუკიძეები ერთმანეთში არ გამართლდება, მანამდი იმათი სოულობა, ვისაც ახლა უჭირავს, ისევე იმას ეჭიროს (იქვე, VI, 694)

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ -ეულ სუფიქსის კვალი შემორჩენილია სოფლის სახელში (უმთავრესად დას. საქართველოში); ანასეული (გურ. მახარაძე), ახალბედისეული (იმერ. წულუკ.), ლელაძისეული (იმერ. ზესტ.), მზისეული (აფხ. გულრ.), მირსკისეული (კახ. ლაგოდ.) და პატელესეული (იმერ. ვანი).

მზისეული და მირსკისეული ახალი წარმონაქმნია, მაგრამ ძველი  
ლიბს იმეორებს.

ეგვე -**ეულ** სუფიქსი ერთვის პირდაპირ ფუძეს და სოფლ-  
ხელს აწარმოებს; თ ა რ გ ა მ ე უ ლ ი (**მეგრ. გეგ.**), თ ო რ მ ა ნ ე უ -  
ლი (**ოს. ზნ.**), მ ა რ ნ ე უ ლ ი (**ქართლ. მარნ.**), პ ა ტ ა რ ძ ე უ ლ ი  
(**კახ. საგ.**), რაც, ჩვენი აზრით, გვარ პატარიძეს უკავშირდება.

მაგრამ -**ულ** სუფიქსის პარალელურად გვაქვს -**ურ**, რომლიდანაც  
დისიმილაციის გზით მივიღეთ -**ულ**. ეს სუფიქსიც ადგილის სახელ-  
წოდების საწარმოებლად იხმარება: ჩ ა ი ლ უ რ ი (**კახ. საგ.**), წ ი წ ა -  
მ უ რ ი (**ქართლ. მცხეთა**), ა ნ ა ნ უ რ ი (**ქართლ. დუშ.**), კ ე ლ ა ს უ -  
რ ი (**ავხ. გულრ. სოხ.**), დ უ მ ა ს ტ უ რ ი (**კახ. ახმ.**) და სხვ.

ა-ზე დაბოლოებულ სახელებს როცა ერთვის -**ურ**, იქმნება შთა-  
ბეჭდილება, თითქოს -**აურ** სუფიქსი გვექონდეს, მაგრამ ეს მოჩვენები-  
თია, აქაც სუფიქსია -**ურ**: ნ ი ა ბ ა უ რ ი (**გურ. მახ.**), კ ა კ ა ბ ა უ რ ი  
(**იმერ. თერჯ.**), ი ა კ ო ბ ა უ რ ი (**აქ. შუახ.**), ბ ა დ ი ა უ რ ი (**კახ. საგ.**),  
გ უ დ ა უ რ ი (**მოხ. ყაზბ.**), ნ ა მ ნ ი ა უ რ ი (**მესხ. აღიგ.**), კ ა ლ ა -  
უ რ ი (**კახ. გურჯ.**), ფ ა ს ა ნ ა უ რ ი (**მთ. დუშ.**) და მრავალი სხვა. ორი-  
ოდე მაგალითი ისტორიული დოკუმენტებიდან:

ციხედის, გელხაური სახლუცესს გიორგის ერგო (**ქსდ. VI, 442; 1755**);  
ერთი საკმლო გოგინაური? (**იქვე, VII, 634**); შემომიწირავს ქველვარ-  
დიას ნარიმანაული პარტახტი (**იქვე, 659**).

გვაქვს ე-დაბოლოებიან სახელებზე -**ურ** სუფიქსის დართვის შემ-  
თხვევები, სადაც აგრეთვე -**ეურ** სუფიქსი ეგონება კაცს, მაგრამ ესეც  
მოჩვენებითია: პ ა ვ ლ ე უ რ ი (**მთ. დუშ.**), ბ ა ბ ა ნ ე უ რ ი (**თუშ.**  
**ახმ.**), მ ა ნ ა ს ე უ რ ი (**მთ. დუშ.**).

ა-დაბოლოებიანთ რომ -**ეულ** (-**ურ**) ერთვის ამისი მაგალითებიც  
გვაქვს: ხ ა რ ა ბ ა უ ლ ი (**იმერ. წულუკ.**), ჭ ო რ ბ ა უ ლ ი (**ოს. ზნ.**),  
ხ ა რ ა გ ა უ ლ ი (**იმერ. ორჯ.**), ბ ე რ ძ ე ნ ა უ ლ ი (**ქართლ. ქარ.**),  
ჩ ა რ ე ქ ა უ ლ ი (**კახ. ახმ.**).

ასე რომ -**ეულ** სუფიქსი ამათგან აშკარად განსხვავებულია, — მას  
მეტი აქვს ე-ხმოვანი. -**ეულ** სუფიქსი იყოფა ე(ვ)-**ულ** შემადგენელ  
ელემენტებად<sup>2</sup>. -**ევ** ელემენტი (უ-ს წინ ვ დაკარგულია), უნდა იყოს  
ევ||-ივ თემისნიშნისან ზმნათაგან გადმოყოლილი. ასეთი ზმნები ქარ-  
თულში ბევრია და მათგან მიმღობის წარმოებისას ყოველთვის -**ულ**  
სუფიქსი გამოიყენება. ასე მაგ.:

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში,  
1942, გვ. 44.

ბნ-ევ-||ბნ-ივ: ბნეული (დაბნეული);  
 ზნ-ევ||ზნ-ივ: ზნეული (შეზნეული);  
 ზლუ-ევ||ზლუ-ივ: ზლუეული (დაზღვეული);  
 თევ-||თ-ივ: თეული (გათეული);  
 თრ-ევ-||თრ-ივ: თრეული (მოთრეული);  
 თხ-ევ-||თხ-ივ: თხეული (დათხეული);  
 კვლ-ევ-||კვლ-ივ: კვლეული (მიკვლეული);  
 კმ-ევ-||კმ-ივ: კმეული (დაკმეული);  
 ლ-ევ-||ლ-ივ: ლეული (გალეული);  
 მთხვ-ევ||მთხვ-ივ: მთხვეული (შემთხვეული);  
 მსხვრ-ევ-||მსხვრ-ივ: მსხვრეული (დამსხვრეული);  
 მტვრ-ევ-||მტვრ-ივ: მტვრეული (დამტვრეული);  
 მღვრ-ევ-||მღვრ-ივ: მღვრეული (ამღვრეული);  
 მშ-ევ-||მშ-ივ: მშეული (დამშეული);  
 მხ-ევ-||მხ-ივ: მხეული (მომხეული)

და ასე: ნგრეული, ნძრეული, ნჯღრეული, პნეული, რბეული, რეული, რთმეული, რქმეული, რღვეული, რყეული, რჩეული, (ა)სეული, სრეული, ტეული (დატეული), ფეული (დაფეული), ფრქვეული, ქნეული (მოქნეული), (ა)ქშეული, ქცეული, ჩვეული, ჩნეული, ცნეული, ძლეული, წეული (მოწეული), წვეული, წვნეული, წყაული, წყაღეული, ჭდეული, ხეული (დახეული), ხვეული, კმეული (იჭუმევს)...

ეს ნაშმნარი სახელები ენის აქტიური ლექსიკის ფონდს განეკუთვნებიან, ხშირად გამოიყენებიან სხვადასხვაგვარი აფექსაციით და უთუოდ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ -ევ თემისნიშნისეული ვ-ს ჩავარდნის შემდეგ უ-ს წინ, რაც სავესებით ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია ქართულში, -ეულ სუფიქსი ჩამოყალიბდა.

რამდენიმე სახელთან თითქოს -ეურ სუფიქსიც დასტურდება: (მკლეური, ყველეური, ცოლეური, ხელეური) მაგრამ აქ პროგრესულ დისიმილაციასთან გვაქვს საქმე: ფუძისეულმა ლ-მ სუფიქსისეული ლ განიმსგავსა და რ-დ აქცია.

წერილობით წყაროებში არის თითო-ოროლა შემთხვევა, სადაც -ევულ სუფიქსი დასტურდება:

შეცვალა ძლიერებამან ღმრთეებისამან თითოვეულეებაჲ ორთაჲ მათ (გრ. ნოხ. — კაც. აგებ. 145, 17);<sup>3</sup> ამის ფარდი გოგოას ერგო: სახელებიღამ თავის

<sup>3</sup> ძველი ქართულის სილუსტრაციო მასალასთან გამოყენებული გვაქვს ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“-ს შემოკლებები.

წილათ ბიძა ბესანას ჯალაბიდამ ნაყიდი სახლები თავის ბაღითა და მამეველი სახლის ალაგი თავის ეზოთი“ (ქსდ IV, 650); „თუ ამას იქით ან პაპეველი მამეველი ან ამას წინათ ჩვენი ნასყიდი საღავო გამოჩნდეს... ორთავი პასუხი უნდა გავცეთ“ (იქვე, 652); „...და ჭონხანაში პაპეველი ერთი დუქანი“ (იქვე. 651).

მაგრამ ეს კერძობითი შემთხვევებია და აქ -ვ შეიძლება მეორეული მოვლენა იყოს: ერთ შემთხვევაში რომ -ვ უ-ს წინ იკარგება, მეორე შემთხვევაში იმავე უ-ს წინ შეიძლება გაჩნდეს, როგორც ხმოვანთგამყარი. ზემომოყვანილ სიტყვებთან ბუნებრივია -ეულ სუფიქსი:

„ამათ რომ მამეველის სახლის ალაგი აქეთ... ესენი უნდა დაფასდეს“ (ქსდ. VI, 803); „...და თუ მამეველი ან პაპეველი ასაღები ან მისაცემი გამოჩნდეს, საერთო არის“ (ქსდ V, 83); „დაგვრჩა გაუყრელი ჩუენი მამული და მამა-პაპეული“ (იქვე, 268).

ეს მაგალითები ადასტურებენ აკად. ა. შანიძის ვარაუდს: „პირდაპირ ფუძეზე დართვას უნდა ჰქონდეს ადგილი მამ-ულ-სა და დედ-ულ-ში (\*მამ-ეულ-ი, \*დედ-ეულ-ი)“ (იხ. ზემოთ.) მეცნიერის ვარსკვლავიანი ფორმები დოკუმენტურად დადასტურდა, მაგრამ აქ ისიც არის საინტერესო, რომ წარმომშობი (მამ-ეულ-ი) და წარმომშობილი (მამ-ულ-ი) ერთ წინადადებაში იხმარებიან და სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობები აქვთ: შესიტყვებაში „მამული“ და „მამა-პაპეული“ — „მამული“ სახანგ-სათესი მიწაა, „მამა-პაპეული“ (-მამეულ-პაპეული) კი მამაპაპისეული ქონებაა.

ა. შანიძეს -ეულ სუფიქსის პირდაპირ ფუძეზე დართვის სამი-ოთხი მაგალითი მოაქვს. ძველსა და ახალ ქართულში მრავალი მაგალითი გვაქვს პირდაპირ ფუძეზე ამ სუფიქსის დართვისა. აი, ზოგი მათგანი:

„კითხვაი საღმრთოთა წიგნთაი შეჰკრებს გონებასა განბნეულსა“ (მ. სწ. 74, 19); ცეცხლითა განღეულნი იტანჯებოდეს“ (სიბრძ. სოლ. 16, 16); „უყავი ღვანრეული სამოსელი იოსეფისი“ (ფი%. XIX 9); „ცანი მისნი ცუარ-განრეულ ღრუბლითა“ (იბ. რომ. კურთხ. მოხ. 188,2); „ჰქმნენ ივინი საქუმეველად... აღზავეული განრჩეული „წმიდა“ (0, გამოხლ. 30, 35); „სამოსელნი მისნი იყვნენ „განრღვეულ“ (ღვიბტ. 13, 45); „საწყაული... ზედა-გარდა-თხეული“ (ლ. „, 83); „გარდარეულითა შრომითა დაღებულ არს მტუერი ზედა თავსა მაგისსა“ (ფლტტ. 134, 29).

„ყოველნი ჭალაქნი მომტურეულნი არა მოწუნა ისრამელმან“ (იხუ ნ. 11, 13); „მეუფისაგან რისხვეული არს იგი“ (მ. სწ. 28, 12); „მოსცემდა მას კაცთ-მოყუარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნება“ (შუშ. XI, 4); „საქმენი შენნი სირცხვლეულნი კულად ქვეულ არიან შენადგე“ (მ. სწ. 183, 11); „შვიდნი შვიდეულნი სრულნი აღპრიცხუნე თავისა შენისად“ (G, II, შჯ. 16, 9); „ძლიერი იგი ახოანი... ძლეულ არს და დაცემულ და მიწასა შერეულ“ (მ. სწ. 221, 32); „რომელმან გწყევოს შენ, წყეულ იყავნ“ (იბ.

რომ. კურთხ. ისაკ და იაკ. 24, 16); „ხელუთა დამიმტკიცეს სარეცილი ჩემი“  
(0, იგ. სოლ. 7, 17); „შეკრიბენით ძენი ისრაჲლისანი თითოეულსა მათგანსა“  
(27, 12).

ვნახოთ შემდგომი საუკუნეებიც:

„დაეყო მარტოდ და ღარიბად ესე წლეული მე წელი“ (ვეფხ. 168, 2||167, 2);  
„ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამა წელიწადს წლეულსა“ (808, 2||806, 2); „წლე-  
ულს კაცი გავგზავნე და არც შიგ გაატარა: (მოსავალი) წრეულსაც იმან  
აიღო“ (ქსძ VII, 488); „...და ის ბრალეული გამაწილებელთა... ტეტია... სა-  
ერთოდ დაიდონ და ისე წილში ჩაადონ“ (ქსძ. VI, 362); „კიდევ თავიანთ გვერდის  
ოთახი აქვთ გირათო, მამის დროეული“ (იქვე, 381)...

ზემოთ ჩვენ ვნახეთ მაგალითები, სადაც კაცისეულ- და მისთანა  
ფორმებში მეორე ს გაჩნდა და სეული||სოული არსებით სახელად იქ-  
ცა. ეს მოხდა დასავლურ (გურული, იმერული...) კილოებში. ქვემოთ  
განვიხილავთ მაგალითებს, სადაც -ეულ სუფიქსი ჩამოსცილდა ნათე-  
საობითის ფორმას და დამოუკიდებელ სიტყვად, ჯერ ზედსართავად,  
შემდეგ კი არსებით სახელად იქცა. XVI—XVIII საუკუნეთა წერილო-  
ბითს ძეგლებში ეს პროცესი თვალნათლივ ჩანს.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში ყმისა (გლეხისა)  
და მამულის გაყიდვა, გაცვლა და გაჩუქება ჩვეულებრივი მოვლენა  
გახლდათ. ვისგანაც გლეხს ყიდულობდნენ, იმ გლეხს პირველი მეპატ-  
რონის სახელი მიჰყვებოდა. მაგ., არის ასეთი ცნობა:

„ერთი გლეხი, დათუა თედორაშვილი, ხუხუა ლაშხიშვილისაგან ვიყიდე, ერთი  
გლეხი გიორგი აკობიძე იოვაკის ნემსაძისაგან ვიყიდე“ (ქსძ. III, 518).

ეს გლეხები მკვიდრთაგან თუ ერთმანეთისაგან გასარჩევად ერთი  
ლაშხიშვილისეული იქნებოდა, მეორე — ნემსაძისეული.

ერთი მაგალითიც:

„უკანბერიძეს ოთარის თავის ყმის შვილი, ლომკაცის შვილის ბერის შვილი  
ნადირა ახალციხეს გაეყიდნა. და ჩვენ ბატონის შვილმა კათალიკოზმა დომენტი  
დავისხენით და გარდმოვიყვანეთ, და ჩვენ პაპუნა დოქიძეს წყალობა უყავით და  
უბოძეთ ეს ჩვენგან დახსნილი ნადირა. ამასთან არას კაცს ხელი არა აქვს, არც  
ამის ნათესავსა და არც უკანბერიძეს“ (ქსძ III, 694-695).

რაკი დომენტი კათალიკოსმა დაიხსნა, ამ გლეხს სხვა პატრონი  
აღარა ჰყავს. დომენტიმ დოქიძეს აჩუქა ეს ნადირა და იგი დოქიძისა-  
თვის დომენტისეულია და ყოვლად უუფლებო, უთავისო, უფლება-  
აყრილი...

ვნახოთ სხვა მაგალითები:

„მოვიყიდე... ყანდიაშვილისეული ნასახლარი თავისის ქვეყრებითაო“  
(ქსძ VI, 356); „და ზემო უბანში პაპის ჩვენისეული მეჩოგურის დუქანი“

**(იქვე IV, 650);** „გამეზარდასა და ფადლაძისეული მამული და ტყე მოგეცილ აგრევე ლობიუასეული მამული, ტყე მომიცემია ნაციხვარას“ **(იქვე, 111, 261).**

„მას ჟამსა ოდეს ივანწკებლამე ამოსწყდა უნათესაოთ, მისეული მამული გიბოძეთ სახლ-კარითა... და ისიც გიბოძეთ, იმავე ალაგზედა ნიშნისშვილისა და მამულაშვილის ეული შიგანი ალაგი მოვიმატეთ. ამას გარეთ, რაც სულმას შვილის მამული ნიშნისა შვილის ეულსა და მამულას შვილის ეულს მამულსა მისათ სანაცვლოთ სულმაშვილსა მივეციოთ იოვანეს ბერიისეული მამული“ **(იქვე, 261).**

„შეგიწყალეთ და მოგეციოთ... კანაძის გივისეული მამული“ **(იქვე, 273);** „გიბოძეთ მამულკასეული სამამათმთავროდ ახატანს სამი კომლი კაცი“ **(იქვე, 392);** „არის ნემსაძისეული ხოშტიბელას სასახლე თორმეტი კუამლის კაციოთ“ **(იქვე, 614);** „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ მამული ძმათას შვილისეული მისისა სახლ-კარითა, ქუევერ-მარნითა“ **(იქვე, 518);** „არმანია ყვაპსეული კაცი (=ყვაპ შარვაშიძისეული, ა. ჭ.) მაგიერშიდ მოყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ“ **(იქვე, 648).**

ამ მაგალითებში -**ეული** ხან წინამავალ სიტყვასთან ერთად არის ხოლმე, ხან კი გამოყოფილია, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ „მორდლისეული მიწა“, „ძამაშვილისეული ვენაჯი“, „დარჩიასეული ბაგა“ თუ „გუგუნაშვილისეული მამული“ **(ქსდ V, 566),** ისეთი ობიექტებია, რომელთაც პატრონი დაჰკარგვია და სხვა დაჰპატრონებია. ამიტომაც „**ეული**“ ჯერ ზედსართავად აღიქმება: ვილაცის **ეული ვენაჯი** (მამული, სახლი, ალაგი, ყმა...), შემდეგ კი საზღვრულსაც კარგავს და თვითონ იქცევა სუბსტანტივად და აღნიშნავს უპატრონოს, ოხერს, პარტახტს, ბაითალმანს.

ამრიგად, როგორც დასავლურში „**სეული**“||„**სოული**“, აღმოსავლურში „**ეული**“ გამოიყო ცალკე სიტყვად. ზოგჯერ -**ეულ-ს** უპირისპირდებოდა **მკვიდრი**, რათა მათ შორის გარჩევა ყოფილიყო, რადგან „**ეული**“ ნაყიდი თუ ნაჩუქარი და ამიტომაც უფრო უუფლებო და საწყალი იყო, ვიდრე „**მკვიდრი**“.

„ასურელთ სამაჩველნი მიწას შეეცილნეს. და რადგან ის ეული კაცი იყო, არცარა დიდი სამართალი ჩვენ უყავით და არცარა დიდს ის გამოგვეკიდა“ **(ქსდ VI, 594).**

ვერ გამოეკიდა იმიტომ, რომ ის უპატრონო, უადგილმამულო, ვილაცისეული იყო და ბევრის უფლება არ ჰქონდა.

„თუ არ აღასრულებთ და სიტყვა რამე გაქვსთ წინააღმდეგომი, რომ ამ მლუღლებს მკვიდრნი ერთს კოდს პურს და ეულნი ნახევარ კოდს არ მისცემთ, აქ ჩამოდით ერთობით და ჩვენს წინაშე სამართალში ილაპარაკეთ“ **(ქსდ III, 937).** „რომელნიც მკვიდრნი არიან, ერთი კოდი პური უნდა მიეცათ ახალში და, რომელნიც ეულნი არიან — ნახევარკოდი“ **(ქსდ V, 426, 1788 წ.);** „თუ ზემო



განწესებისაებრ არ მისცენ მე მკვიდრეთ ერთი კოდი, და ეულთ ნახევარ-კოდი, ნულარ უხუცებენ“ (იქვე, 427).

ე. ი. აეულთ გარკვეული შეღავათიც ჰქონია.

აქ, როგორც ვხედავთ, ეული სუბსტანტივია და იგი არის „უუფლო“ (საბა), „მოსული კაცი უმამულო, ბოგანო, ტაბარუკი“ (ნ. ჩუბ.). აქ კაცია ეული, მანამდე კი მიწაც შეიძლებოდა ეული ყოფილიყო:

„ხერთვისარნი სსაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა ქაქამიძისა ეულზედა არიან, ამბაკიანთა აქუს“ (საშხ. საქ. ისტ. მახ. 34).

„მართებს ერჩინდიას ჭუჭულიას, ქირიას ეულის აღვილის კაცი რომე სახლობს, 1 საკლავი, ერთი ქათამი“ (ქსდ III, 466); „შევიწყალეთ და გიბოძეთ მცხეთას მუედლიშვილის იოვანეს ეული სახლკარი მისის ჭურ-მარნითა და ნატამალითა და ბახჩა-ბოსტნითა და დიღუამს მზევასძის ეული საბეგროს ვენაჯითა“ (იქვე, 251).

აქ „ეული“ ზოგადი მნიშვნელობისაა (უპატრონო, პარტახტი...).

შემდეგ „ეული“ თანდათან ცალკეედება და დამოუკიდებელ სიტყვად იქცევა.

„ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჰირი მოსცეს ისიაურელს ეულს მახარას“ (ქსდ VII, 293). „შეუწირავს სანატრელს მეფეს ალექსანდრეს ალავერდს წმიდის დიდის მთავარმოწამის გიორგისათვის მერის სოფელი საწინამძღვრო და სამი კომლი ბაქრაძე აზნაურიშვილები რაჰიდამ ეულნი“ (იქვე, VI, 205); „თუ ეული ვართ, თქვენი ყმა უნდა ვიყოთ და, თუ ბატონი გვყავს, რომელს კაცს დამართებია ეს უსამართლობა!“ (იქვე, VII, 337).

სიტყვა (სუბსტანტივი) „ეული“ არა ჩანს ქართ. ენის ძველ ძეგლებში<sup>4</sup>, არა ჩანს იგი ვისრამიანსა, ამირანდარეჯანიანსა, ვეფხისტყაოსანსა, გ. მონაზონის „ხრონოლოგისა“ და იოვ. პეტრიწის შრომებში. ამდენად, იგი შექმნილია გვიანფეოდალური ეპოქის ქართულში და წმინდა სოციალური ტერმინია.

თანამედროვე ქართულში ეული გახლავთ:

„ვისაც არავინ არა ჰყავს, — უპატრონო, უთვისტომო. კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული“ (ხალხ.). უმიწაწყლო, უსახლკარო, უბინადრო, ბინამოუკიდებელი. „ჩვენებური თათარი უფრო ეული კაცია, ვიდრე ფეხმოკიდებელი ბინადარი“ (ილია). არ ვიცოდით... „რამდენი კომლი გლეხი დარჩა სრულიად უმიწოდ, ეულად“ (ი. გოგებ.) (ქეგლ).

„ეული“ გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება:

„სიტყვა გადავადე ერშია, სიტყვა რა სიტყვა, ეული“ (ვაჟა).

4 ორიოდ შემთხვევა დასტურდება ძველ ფონდში, სადაც „ძმ ეული“ იქითხებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს გადაწერის შეცდომაა და სიჩუყათ-ს მაგიერ წაუჭიბხვთ ძი უყათ.



მნიშვნელობის გადახრა შორს მაინც არ წასულა.  
როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საუკუნეებში ეულ-ს ენა  
რამდენიმე ტერმინი (ზოგი ქართული, ზოგი უცხოური).

**I. ნაქონი:**

„გიბომეთ ციხედიდს სამი კომლი კაცი, უწინ მიწობლიძის ცოლყოფილს მარიამს ჰქონებოდა და მასუკან ზუმბულიძეს არდაშას ეულად ექირაა... რაც ციხედიდს ზუმბულიძის ნაქონი გლეხები დარჩა, სახასოდ დავეიქერია, სამოურაოდ თქვენ გიბომეთ“ (ქსძ III, 600). „გიბომეთ ხოდაშენს ოდიანის შვილის მორდლის პაატას ნაქონი მამული“ (იქვე, V, 598). „გიბომეთ ბუდალაშვილის ნაქონი მამული თავისის ნავენახობითა“ (იქვე, III, 1017).

**II. ბეითალმალი||ბეითალმანი.** სიტყვა არაბულია: ბაით-ალ-მალ „1. ხაზინა“. „2. უპატრონო ქონება“ (ქეგლ).

ზოგჯერ „ნაქონი“ და „ბეითალმანი“ ერთად იხმარება:

„ალმოსავლეთში შენ და შენს შვილს გაბრიელაშვილის ნაქონი ბეითალმანი მამული მოგეცით“ (ქსძ III, 917); „დავით საჩინოშვილის ნაქონი ბეითალმანი მამული დიმიტრის ბოძებია და მოურავს დაკარგულის გილდამაშვილის ნაქონი ბეითალმანი ბოძებია“ (ქსძ VII, 379).

ზოგჯერ კი „ბეითალმალი“||„ბეითალმანი“ დამოუკიდებლად ნიშნავს ოხერს, უპატრონოს, ტიალს, პარტახს:

„რადგან ამ სახლების მსყიდველი სოლოდაშვილი ხატუა ამის ეკლესიის ყმა ყოფილა, ის ამოწყვეტილა და იმის ბეითალმალი ამას დარჩომია“ (ქსძ, V, 215). „ბაშარაძის ბეითალმალი რომ არის, იმის ნახევარი გიორგის კაცს უბომეთ“ (იქვე, IV, 670). „ბაკურციხეში ლუაშვილების ორი საკომლო — ერთი ამოწყვეტილის ბეითალმანი და მეორე ცოცხლის კაცის გიოს მამული, ნასყიდობთ მიუციათ“ (ქსძ V, 206); „გიბომეთ ამოწყვეტილის ლაშხაურის ბეითალმანი მამული“ (იქვე, III, 104). „სასახლოთ გასაყოფი ბეითალმანი: გურჯაანში ზვერიაშვილის ბეითალმანი;

- იქვე, გურჯაანში, ცისკარიძის შვილის ბეითალმანი;
- ვეჯინის მთავარაშვილის ბეითალმანი;
- აქვე წნორაშვილის ბეითალმანი;
- აქვე მოვიდაშვილის ბეითალმანი;
- აქვე შათირისშვილის ბეითალმანი (ქსძ VI, 246).

„არაგვეზე წიკლაურის მამული არის ბეითალმანათა“ (იქვე, VII, 231); „ბეითალმანი ქვევრებიც ამრიგად უნდა გაიყონ“ (იქვე, VI, 891).

ბეითალმანი მამულია, სახლია, მიწაა, ნიეთია...

**III. ხარაბა (არაბ. ხარაბა);** „ამოვარდნილი, ოხერი ადგილი, ნანგრევები; პარტახი“ (ქეგლ).

„ავის დროის მიზეზით ის წერაქვის სოფელი ხარაბა იყო“ (ქსძ V, 244).

**IV. პარტახი (||პარტახტი)** „უმუშევარი ვენახი, აბეჩხარი“ (ნ. ჩუბ.)

პარტახტი: „უნამუშავრო ოჯერივით“ (საბა). სიტყვა „პარტახი“-ს



დღევანდელი მნიშვნელობაა: „უპატრონოდ მიგდებული, გავუფრთხილებული, გაოხრებული, გაჩანაგებული (ადგილ-მამული, სახლ-კარი) (ქავლ).  
 აღრე „პარტახი“ ცოცხალზედაც ითქმოდა:

„ნაბოსლევს კოზოლაძისეულს პარტახს მართებს რვა თორმეტანი ღვინო“ (ქსდ III, 924).

ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ **-ეული** და **პარტახი** ერთ კონტექსტში იხმარებიან, ხოლო **„ეული“** უპირატესად ადამიანია:

„გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა ერისთავმა გვიბოძა“ (ქსდ III, 761). „(ერგო) დათუნა ყიფიანისეული პარტახი; ბრეგვაძისეული პარტახი, ნახევარი ლაბაძისეული პარტახი (ქსდ. VI, 430); „ნოლას ერთი პარტახტი გაბადაძისეული ვიყიდეთ და ლომთაძეს გორიას აქუს“ (იქვე III, 509); „მამუკა ობოლაძე ამოწყდა და მისი პარტახი გელათის წინამძღვარს მივეცი“ (ქსდ III, 766). „რომელიც კარგი ყოფილიყო, თავეთვის დაეპირათ და პარტახტი ჩემთვის დაეგდოთ“ (ქსდ VII, 562); „შემოგწირეთ... მისის შეწირულობის მამულითა, გლეხითა, შენითა და პარტახტითა“ (ქსდ III, 585).

**V. ნაოჯარი:**

„გვიბოძებია ორი ნაოჯარი, ორმოცდაცხრამეტის წლის აოჯრებული: ერთი... ანაშვილის ნასახლები მისის საწნავითა, უწნავითა, წვეწავითა... მეორე აწყვერის თუნიშვილის ნასახლები, მისის საწნახლითა, თულა იღვეს, ქვევრითა, მარნითა“ (ქსდ III, 567).

(ე. ი. 11 წლის „ნაოჯარი“ უბოძებია: შაჰ-აბასმა 1659 წელს ააოხრა კახეთი).

**VI. ვერანა:**

„ღმერთსა ვფიცავ და თქვენ მეფობასა, ვერანა ვენახები ამიშენებია“ (ქსდ V, 310).

**VII. ტიალი:**

„ის მამული ტიალად იღვა“ (ქსდ VII, 496).

ცხადია, ეს ტერმინები მიახლოვებითი სინონიმებია მხოლოდ, მაგრამ შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ აგებულებას მაინც კარგად ასახავენ.

ჩვენთვის მთავარი ის იყო, რომ **-ურ-**იდან მიღებულ სუფიქსს **-ულ-**ს ჯერ თემისნიშნისეული **-ევ** მიერთო წინიდან, შემდეგ **ევულ-ეული**; **-ეული** სუფიქსი ჯერ ზედსართავად იქცა, შემდეგ კი არსებით სახელად მოგვევლინა.

წინეული პოხონელიძე

ფანტ-, პანტ-, ფანჩ- ფუძეების ისტორიისათვის ქართულში

ენის ლექსიკის კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინონიმთა გამოვლენას და მათ შესწავლას ისტორიული ასპექტით. ამჯერად წარმოვადგენთ აბნევს, შლის, ქსაქსავს ზმნების სინონიმებად ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ ფანჩ-, პანტ-, ფანტ- ფუძიან ზმნებს.

ფანჩ- ფუძიანი ზმნები:

რამ ესე შემემთხუე ჩუჴნ, ვითარმედ სადაჲ შემკრიბენ და აღგუზარდენ, ანუ აჴსადა დაგუტევენ და დაგუფანჩენ (აღაპ., 337, 37).

მაშინ იძლია ბანაკი ჩრდილოჲსა სომეხთაგან, მეოტ იქმნეს და დაიფანჩნეს ყოველნივე (ქართლ. ცხ., I, 47, 4).

განყოფილი ყოველთაღმე და მრავალთა მიმართ დაფანჩული ვერცა თუთ თვისა თუსისა კმა არს შეკრებად და ერთ ქმნად (ი. პეტრ. II, 64, 34).

ამით რომელ შემემთხუევის მას დაფანჩვაჲ და ნაწილთა განყრაჲ (ი. პეტრ. II, 53, 15).

ზოგნი დაიფანჩნეს, წაიდეს (ამირანდარეჯ., 494, 2).

ჩუენ დაგუფანჩნეს ზიდიდითა ლაშქართათა (ამირანდარეჯ., 653, 1).

მე-12 საუკუნიდან ფანჩ- ფუძიანი ზმნების პარალელურად იმავე შინაარსით გვხვდება პანტ- ფუძიანი ზმნებიც:

ანასდათ ეგოდენი სიმრავლე განსქდა, იძლია, დაიპანტა (ქართლ. ცხ., II, 97, 13).

გულისა ჴიმზხურვალე მას სისხლისა ძარღვთაგან დაჴპანტავს (წ. სააქ., 25, 31).

ბუნებისა ძალმან ყოველგან ასოსა შიგან დაჴპანტოს (წ. სააქ., 296, 9).

ფეტყისაებრ გაბერილობაჲ გამოვიდეს და დაიპანტოს (წ. სააქ., 264, 22).

ფანჩ-, პანტ-ფუძიანი ზმნები სინონიმური წყვილის სახითაც დასტურდება:

გამოჴდომმან დაფანჩნა და დაპანტნა, ვითა წერონი ტულრილმან (ქართლ. ცხ., II, 77, 11).

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში **ფანჩ-**, **პანტ-**, **ფანტ-ფუძიანი** სამივე ზმნური ფორმა გვხვდება.

იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი და (ვ. ტ., 271, 4).

„ვეფხისტყაოსნის“ უძველეს — 1646 წლის — მამუკასეულ, 1671 წლის ბეჟან წერეთლისეულ და მომდევნო ხანის ყველა ძირითად ხელნაწერში დასტურდება **პანტ-ფუძიანი** ზმნები.

პერპერასა და პანტულსა, ზედა სცვეთენ ვითა ხილსა (ვ. ტ., 1436, 4).  
მოდიოდა მარგალიტი მოპანტული, მონაყარი (ვ. ტ., 1552, 2).

**ფანტ-ფუძიანი** ზმნები:

მათნი ლაშქარნი გაგვექცეს; ვეცენით, გა-ც-ა-ვ ფანტენით (ვ. ტ., 621, 1).  
ყველაკაი დამეფანტა, დაპრჩომოდა რაცა ჭირსა (ვ. ტ. 529, 3).

„ვეფხისტყაოსნის“ არცერთ ნაბეჭდ გამოცემაში **პანტ-ფუძიანი** ზმნები არ გვხვდება, ისინი **ფანტ-ფუძითაა** შეცვლილი.

მე-15 საუკუნიდან **ფანჩ-ფუძის** პარალელურად **პანტ-ფუძის** მაგივრად იხმარება **ფანტ-ფუძიანი** ზმნები.

„საშუალი ქართულის რამდენიმე ცნობილ ტექსტში სისტემატურია **ფანტავ|ფანჩავ** ფუძეთა პარალელური ხმარება, გვხვდება იგი საბას ლექსიკონშიც“, — აღნიშნავს ივ. ქავთარაძე და მოყვანილი აქვს სათანადო მაგალითებიც ძეგლებიდან<sup>2</sup>.

მე-17 საუკუნიდან **ფანჩ-ფუძიანი** ზმნები **თმა** სიტყვასთან ქმნის მყარ სინტაგმას, აღნიშნავს გაფანტულ, აწეწილ, გაბურძგნულ თმას, წვერ-ულვაშს:

რა ბრალია წასახდენლად, თმა ვიშერი, შავნი ხშირად,  
ამბარ-ზილფი და ფანჩული, მიგრეხილი მოგრეხილად (თემ. I., 38, 193).  
ზილფს ფანჩავს წამწამის ნიავე, წამ-წამად წამონაქროლი (არჩ., 303, 16).

მე-16 საუკუნიდან ძირითადად **ფანტ-ფუძიანი** ზმნებია გავრცელებული:

გაუშვეს, ყოვლენით დაფანტეს, მელაფე და მრბეველი (თემ. I., 12, 104).  
ერთხან ჭარი უკუფანტეს (არჩ., 250, 100).

ბედმან შეკრიბოს, ჰკვამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი? (დ. გურამი, 70, 62).

**ფანჩ-** და **ფანტ-ფუძიანი** ზმნების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო სურათს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებები „ქილილა და დამანა“ და „სიბრძნე სიცრუისა“. სპეციალურ ლი-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად გამოცემათა ვარიანტები, გამოსაცემად მოამზადა ვახტანგ ბააკაშვილმა, სტროფთა საძიებელი შეადგინა ბორის დარჩიამ, თბ., 1964.

<sup>2</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., I, 1964, გვ. 232.



ტერატურაში შენიშნულია, რომ „ეს ორი ნაწარმოები დაწერილია სრულიად სხვადასხვა მანერით, სხვადასხვა სტილით“<sup>3</sup>.

მართლაც, თუ ფანჩ-ფუძიანი ზმნები „ქილილა და დამანას“ სტილისთვისაა დამახასიათებელი, „სიბრძნე სიცრუისა“ მხოლოდ ფანტ-ფუძიანი ზმნებს იცნობს:

.საკენკთა თვისასა სარგებლისათვის დაჰფანჩვენ (ქილ. და დამ., 335, 5).  
 დილის ნიავსა ყვაილი მას მწვანოანსა ზედა ფერად-ფერადად მოეფანჩა (ქილ. და დამ., 175, 9).

ფეტვი მოუფანტავთ ჩვენს კარზე (სიბრძ. სიცრ., 107, 15).

მელს სიხარბით და მსუნავობით ჰკუა და მცნება დაეფანტა (სიბრძ. სიცრ., 23, 21).

ფანჩ-ფუძიანი ზმნები, როგორც ჩანს, ძველი საისტორიო წყაროების გავლენით დასტურდება აგრეთვე მე-18 საუკუნის გამოჩენილ მწიგნობარ ვახუშტისთან.

გარნა სიმრავლითა ლექათაა დაიფანჩნენ ქართველნი (ქართლ. ცხ., IV, 496, 15).

სხუანი სპანი დაიფანჩნენ არგუეთს შინა (ქართლ. ცხ., IV, 871, 26).

მაგრამ მე-18 საუკუნისათვის ფანჩ-ფუძიანი ზმნები „გაბნევის“ შინაარსით რომ უკვე ძველი ფორმაა, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამ პერიოდის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე დართული ლექსიკონები, რომლებშიც, როგორც შემდგენლები აღნიშნავენ, განმარტებულია მხოლოდ ძნელად გასაგები და ძველი ფორმები, მათ შორის, ფანჩ-ფუძიანი ზმნებიც<sup>4</sup>.

ახალ ქართულში ფანჩ-ფუძიანი ზმნები მხოლოდ თმის აღმნიშვნელ სახელებთან დასტურდება და გამოიყენება „თმის გაფანტვის“, „აბუტძგვის“ მნიშვნელობით:

თამაშობდი ღვინჭილათი, თმები შუბლზე დაგეფანჩა (გ. ლიონ).

სქელ, დაფანჩულ წარბებს ქვეშ თვალები კეთილად უელავდა (გ. დოჩან).

კ. გამსახურდია ამ ფუძეს, როგორც ჩანს, ფანჩვიერს (თმიანის, ბალნიანის აღმნიშვნელი სიტყვის) გავლენით ხმარობს დაფანჩვული ფორმით.

<sup>3</sup> ე. მეტრეველი, აღ. გვახარია, სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, კრ. სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 180.

<sup>4</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ლექსიკონები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და იზოლდა წაქაქემ, სარგის ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1976.

და ფანჩუელი შავი თმა-წვერი ომახიან გამომეტყველებას მატყობდა (ჯ. გამს.).  
ზევრად ბნელში მათ (ჯ. გამს.).

...ამირ ახმეტმა... ზე აწიკა... და ფანჩუელი წარბები (ჯ. გამს.).

მან ხმალივით შეაგება მზერა ისრიმისფერ თვალებს, და ფანჩუელ, თეთრ წარბებქვეშ თრითინებსავით აწრიალებულთ (ჯ. გამს.).

ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ქართული სიტყვა **დაფანჩული**, „ბაღნიანის“, „ბუსუსიანის“ აღმნიშვნელი იყო<sup>5</sup>, მასზე დაყრდნობით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მითითებულია **დაფანჩულ**-ის ამ მნიშვნელობაზე.

**პანტ**-ფუძიანი ფორმები დასტურდება გურულში:

ეშმაკი და უხილავი თელ ქვეყანას დაპანტესა (გურ., დლ.).

დედინაცვალი დუუპანტავს ეზოში ერ გაკეთება ღობს [ეთერის] (გურ. დლ.).

მოფრინდა ის სკვინჩე, რომელმაც ეთერის დაპანტული ღობი უუხიკა (გურ., დლ.).

**ფანტ**-ფუძიანი ზმნები „გაბნევის“ შინაარსით ძირითადია ქართულის ყველა დიალექტში; გაფართოებული მნიშვნელობით ინგილოურისა და მესხურისათვისაა დამახასიათებელი. ამ დიალექტებში აღნიშნული ზმნა გამოიყენება „დაგლეჯის“, „შექმის“, „დაზიანების“ მნიშვნელობითაც:

ხალხმა ნახა, მოლა ტაჲ მაჲდარ, ვირ ქანავრებს დოჷ ფანტავ (ინგ.).

— ხალხმა ნახა, მოლა ბიძია მოჲკვდარა, ვირი მგლებს დაუგლეჯია.

ჩონ ზაზნა დაფანტეს (ინგ.) — ჩვენი ზაზინა გაძარცვეს.

იმასთან გორც ეს დაფანტულ ცჷცჷლ იყო (ინგ.) — იმასთან ახლოს ერთი დანგრეული წისქვილი იყო.

ყათრი (=ჯორის) კულზე მიაბა და წიხლით დააფანტინა (მეხს.).

გ. კლიმოვის აზრით, **ფანტ** საერთო-ქართველური ფუძეა. მკვლევარი წარმოგვიდგენს შემდეგ შესატყვისობებს: ქართ. **ფანტ**, სვან. **პანტ**, **პინტ**, ხოლო ზანურისათვის კი, გ. მაჷვარიანის ნაშრომზე დამყარებით, რომელშიც **ფანტ**-ფუძე აღდგენილია **ფეტვ** ფუძესთან შეპირისპირების საფუძველზე, მიუთითებს აღდგენილ **ფანტ** ფორმაზე<sup>6</sup>.

ივ. ქავთარაძეს, როგორც აღვნიშნეთ, შენიშნული აქვს **ფანტავ**|| **ფანჩავ** ფუძეთა პარალელური ზმარება, ამასთან, მიაჩნია, რომ **ფანჩავს** მიღებულია **ფანტავს** ფუძისაგან სათანადო დიალექტში, რომელსაც ახალ ქართულში დაუკარგავს გავლენა, და შეცვლილ ფორმას მნიშვნელოვანი ადგილი ვერ დაუჭერია<sup>7</sup>.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მაკედონელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 94.

<sup>6</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

<sup>7</sup> ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 232.



სავარაუდოა, რომ ფანჩ-, პანტ-, ფანტ-ფუძეებისათვის ამოსავალი იყოს ბერძნ. *παντ/α* „ყველგან, ყველა მიმართულებით“<sup>8</sup>.

**პ→ფ; ტ→ჩ** შეიძლება ავხსნათ თანხმოვანთა ექსპრესიული მონაცვლეობით, რაც იმაში ვლინდება, რომ სიტყვის ყველა თანხმოვანს შეუძლია იქცეს მფერად, ფშვინვიერად ან მკვეთრად<sup>9</sup>.

ეს მოვლენა განსაკუთრებით ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფანჩ-ფუძიანი ზმნა პირველად გამოვლინდა მე-11 საუკუნის ტაო-კლარჯელი მწიგნობრების — გიორგი ხუცეს-მონაზვნისა და იოანე პეტრიწის შრომებში, და რომ ამ პერიოდის ქართული სამწერლო ენის წარმმართველ ძალას ტაო-კლარჯული, ნ. მარის სიტყვებით, „ქართველების სინას მეტყველება“ წარმართავდა, ეს ზმნა ამ დიალექტის ერთეულად უნდა მივიჩნიოთ.

პანტ-ფუძიანი ზმნები დასტურდება მე-12 საუკუნიდან. იგი იმდროინდელი ქართულის ცოცხალი მეტყველების ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს.

სვანურში დადასტურებული პანტ-ფუძიანი ზმნები ქართულიდან უნდა იყოს შესული.

- ხალხ ქვდპანტან ნებოზ (ბქ.) — ხალხი გაიფანტა საღამოს.
- ლახორ ჩვვდპინტან (ლენტ.) — შეკრება დაიშალა.
- ხოლა ლიპანტალ ოხვსყა უჯერილ ამხვარ (ბქ.) — ცუდად გაუფანტავს ურჯულო მტრები.

მეგრულ-ჭანურში აღნიშნული ფუძის ზმნები გაფანტვის შინაარსით არ დასტურდება. აღნიშნულ ზმნურ ფუძეებთან დაკავშირებით შევეხებით რამდენიმე საკითხს.

ათონის აღაპების უძველესი ფენის გადამწერი იოანე თფილაისძე თავის ანდერძში გვამცნობს:

ესე აღაპნი იქიაჟა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყენეს საძებნელად, ხოლო მე... გადაეწერენ დაწყობით, ვითა ჟერ იყო (აღაპ. 273, 17).

როგორც ანდერძიდან ირკვევა, იოანე თფილაისძემ აქა-იქ „დაფანჩულად“ დაწერილი აღაპები შეკრიბა, კალენდარულ რიგზე დაალაგა

<sup>8</sup> ამ ფუძის შესახებ იხ. ი. ქერქაძე, ბერძნულიდან შეთვისებული ზოგი სიტყვის შესახებ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971 წ., გვ. 7.

<sup>9</sup> კ. შმიდტი, ქართველური ფუძე-ენის ბგერათსისტემის რეკონსტრუქცია-ისათვის, თსუ „იმომხილველი“, სამეც-ბიბლ. კრებული, 2—3, თბ., 1964, გვ. 54.



ისე, როგორც დედანში იყო, ხოლო ახალი აღაპებისათვის ადგილი დატოვა, რათა შემდგომ რიგიანად ჩაეწერათ და ძველზე უკანა დნელად საძებარი არ გამხდარიყო.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ აქა-იქ გაბნეული წერა, რომელიც მხოლოდ მერმინდელ მინაწერებში და აღაპების წიგნებში გვხვდება, „აშლით წერად“ ან „დაფანჩულად წერად“ იწოდებოდა და უწესობებად იყო მიჩნეული<sup>10</sup>.

ვერარულობთ, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე — ზემოთ განხილული „გაბნევის“ შინაარსით ნახმარი — **ფანჩავს** ზმნური ფორმა უნდა იყოს გამოყენებული.

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული არიან აშოტ კურაპალატის აზნაური **გაბრიელ დაფანჩული** და ამავე საგვარეულო სახელწოდებით ცნობილნი აბულასათ, არშუშა, გუარამ, პატრიკ და ეზრა **დაფანჩულნი**:

იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა, და ერქვა მას სახელი გაბრიელ და ფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვან და ფანჩულნი (გრ. ხანძთ., 107, 16).

ამისთვისა მსგავსად აღთქუმისა ხანძთას შინა ელოცეების ყოველთა და ფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე (გრ. ხანძთ., 108, 32).

ზედწოდება **დაფანჩული** სოციალური მდგომარეობის ამსახველი ტერმინი უნდა იყოს.

ამ შემთხვევაში **ფანჩი-ფუძიანი** ზმნა გადატანით აღნიშნავს „დაუკავებელს“, „თავისუფალს“. იგი შესატყვისი უნდა იყოს ქართული „ტაძრეულისა“. ამ თვალსაზრისით საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში **ფანჩი-პანტ-**, **ფანტ-**ფუძიანი სამივე სახის ზმნური ფორმა დასტურდება. მაგრამ, თუ სწორია ჩვენი ვარაუდი, რომ **ფანტ-**ფუძე **ფანჩი-** და **პანტ-**ფუძეებთან შედარებით უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, მაშინ „ვეფხისტყაოსანში“ **ფანტ-**ფუძიანი ადგილები უნდა გასწორდეს **პანტ-**ფუძით, მით უმეტეს, რომ ლექსთწყობის ალიტერაციას ამ შემთხვევაში პ ბგერა უფრო აძლიერებს.

**ფანჩი-ფუძიანი** ზმნური ფორმებით „ვეფხისტყაოსანი“ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციებს აგრძელებს, **პანტ-**ფუძიანი ზმნების ჩვენებით კი ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათავეებისაკენ მიგვანიშნებს.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 69.

## მიხეილ ზაბაშვილი

### კვლავ ზოგი ენოზრივი შეუსაბამოვის შესახებ ჩვენს პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში

სალიტერატურო ენაში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ხასიათის (ორთოგრაფიული, სინტაქსური, სტილისტიკური...) უზუსტობანი, დარღვევები, შეცდომები; გვხვდება განსაკუთრებით პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში. შემთხვევითი არ იყო, რომ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მესამე წიგნი (1980 წ.) მთლიანად მიეძღვნა თანამედროვე ქართული პრესის ენას. მასში მოთავსებულ წერილებში განალიზებულია ლექსიკურ ნორმათა დარღვევები, უზუსტობანი წინადადებათა აგების თვალსაზრისით, სხვადასხვა სტილისტიკური შეცდომა და ზოგი სხვა მოსავლელი საკითხი.

აღნიშნული წიგნის გამოსვლით, რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა საუბარი სხვადასხვა ენობრივ დარღვევაზე. კვლავ და კვლავ უნდა დავუბრუნდეთ მსგავს მოვლენებს, რათა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დავიყვანოთ ისინი.

ჩვენ ამჟამად გვინდა გამოვყოთ რამდენიმე საკითხი, რომლებიც აქტუალურად გვეჩვენება.

#### 1. იგივე, ერთი და იგივე

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ ზემოდასახელებული წიგნის წინასიტყვაობაში სინტაქსური ხასიათის დარღვევათა ნიმუშებს შორის მოყვანილია წინადადება: „მოთხრობა იგივე სტილში მთავრდება, როგორც იწყება“... (გვ. 6).

ამ მოვლენაზე საჭიროა ყურადღების საგანგებოდ გამახვილება, რამდენადაც იგი საკმაოდ გავრცელებულია როგორც ზეპირ მეტყველებაში, ისე ჟურნალ-გაზეთებში (ასე გასინჯეთ, ცალკეულ მწერალთა ნაწერებშიც კი)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. მ. კეკელიძე, „ერთი და იგივეს“ სწორად გამოყენებისათვის, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, 1966, გვ. 62.



ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ყველასათვის ცნობილია, რომ „იგივე“ მხოლოდ სახელობით ბრუნვაშია ასეთი ფუძით, ყველა დასარჩენი ბრუნვაში მას ენაცვლება სხვა ფუძე — „იმავე“.

მართლაც, ასეა ჩვენი კლასიკოსებისა და (ცალკეული გამონაკლისების გარდა) თანამედროვე მწერალთა ნაწერებში:

- [ქართველები] ქალაქს მოიქცნენ იმავე დამეს (ნ. ბარათ).
- ის უბედური კაცი... იმავე ადგილას დაინახე (ილია).
- იმავე ხეზე ყვავი იჭდა (ვაჟა).
- [ღრინელები] იქიდანაც იმავე რიგითა და წესთ მოდიან (ი. გოგება).
- ჩამოდი ცხენიდან! — იმავე ხმით განაგრძო ბეჟანამ (ლ. ქიჩი).
- [მარიაში] ერთსა და იმავეს გაიძახოდა (შ. არაგვ).
- გაიძახოდა ერთსა და იმავეს, ვინ იცის, მერამდენედ (დ. შენგ).
- წიგნები ეწყო ერთსა და იმავე ადგილას (ჭ. ლომთ).
- როგორ! — თითქმის ერთსა და იმავე დროს იკითხეს სუფრასთან მსხლომთ (შ. დაღ).

მაგრამ ამ ბოლო დროს ეს წესი ხშირად ირღვევა. ამის ერთი ნიმუში ზემოთ იყო მოყვანილი. ჩვენ გვინდა მას დავემატოთ სხვები:

- ბნის დამჭირავებელს... ეძლევა სხვა, კეთილმოწყობილი, იგივე ფართობის საცხოვრებელი, რაც მანამდე ეჭირა („კომ.“).
- იგივე მინისტრის განცხადებით... (ტელ).
- იგივე სიტუაციაში აღმოჩნდით... („კომ“).
- იგივე ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, რომ... („კომ.“).
- ორიოდე მაგალითი იგივე მუსიკოსის შესახებ... (ტელ).
- ერთი და იგივე ასობით შესრულებული წარწერა („კომ.“).
- ერთი და იგივე თემის გადამღერება (ტელ).
- ერთი და იგივე მწვერთნელის ორი მოსწავლე („ციცკ.“).
- ხდება ხოლმე, რომ ერთი და იგივე ტელეფონის ნომერს რამდენჯერმე ვკრეფთ („კომ.“).

ეტყობა, ასე მოქმედის ან დამწერის სურვილია (ქვეცნობიერად), „გამარტივოს“ ნაცვალსახელის ბრუნება; სახელობითშია „იგივე“ და ამიტომ თითქოს ასევე შეიძლება იყოს: „იგივემ“, „იგივეს“ და ა. შ. მაგრამ ჩვენ, ენის მომხმარებლები, შეზღუდული ვართ „იგი“ ნაცვალსახელის ბრუნებით: სახელობითი — იგი, მაგრამ მოთხრობითი — მან ან იმან, მიცემითი — მას ან იმას და ა. შ. „იგივე“ ხომ -ვე- ნაწილაკდართული „იგია“, ზოგი რამ, ეტყობა, პირდაპირ უნდა დავიზებრიოთ ისე, როგორც ქართული სალიტერატურო ენა მოითხოვს.

## 2. გოგონა

სიტყვა „გოგო“ პირველ რიგში ნიშნავს ქალს ბავშვობის ასაკში (14—15 წლამდე), ხოლო „გოგონა“ ამ სიტყვის კნინო-

ბ ი თ-მ ო ფ ე რ ე ბ ი თ ი სახეობაა. რამდენიმე მაგალითი ლიტერატურიდან:

[ბეკია] ღმერთს ამას ევედრებოდა: ღმერთო, ელენეს გოგო აყოლეო! (დ. კლდ.).

ათი-თორმეტი წლის გოგო... (ნ. ლორთქ.).

გოგონა ტირილ-ტირილით წვიდა თავისი ბატებისაყენ (ნ. ლორთქ.).

თორმეტიოდე წლის ინგილო გოგონა... (ი. გოგებ.).

დედამ პაწია გოგონა შორიახლო, მწვანეზე დასვა (ი. გოგებ.).

საშინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს კატო (ნ. ლომ.).

ლეკვი დაედევნა უკან ციციანთაღლების დაჭერის სურვილით შეპყრობილ ონავარ გოგონას (რ. გვიტ.).

„დედაენაში“ რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ, კურდღლის ბაჭიამ თუ ჩიტების სტვენამ ვენახში? (ა. კალანდ.).

ჩვეულებრივია გამოთქმები: ბატარა გოგონა, ცელქი გოგონა, ცქრიალა გოგონა... სამაგიეროდ, არ ითქმის: გასათხოვარი (ან გაუთხოვარი) გოგონა, მკერავი გოგონა, ფაბრიკაში მომუშავე გოგონები... დღეს შეიმჩნევა ამ სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება: ხშირად „გოგონას“ ხმარობენ ქალიშვილის, მოწიფული ქალის მნიშვნელობით:

[საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში] ტელეფონის პულტს უსხედან გოგონები და თავაუღებლად მუშაობენ („კომ.“).

ცხადია, რომ ტელეფონისტები არ შეიძლება იყვნენ 10—15 წლის ბავშვები.

საქართველოს პირველობაზე ფარიათბაში გოგონები და ჭაბუკები მონაწილეობდნენ (ტილ.).

აქაც ქალიშვილები ივარაუდებიან, თუნდაც იმიტომ, რომ ჭაბუკებთან ერთად არიან ნახსენები. შდრ. მოწოდება: „თითოეული კომკავშირელი ქალიშვილი და ჭაბუკი XI ხუთწლედის წინა ხაზზე! („ახ. კომ.“).

რუსულში, როგორც ცნობილია, არის ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა: девочка და девушка. პირველი ნიშნავს სწორედ გოგოს, გოგონას, ხოლო მეორე — ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალს, ქალიშვილს, ქალწულს (ძველად барышня-ს იტყოდნენ ამ გაგებით).

ეტყობა, ამ სიტყვების (девочка-სა და девушка-ს) გარეგნული მსგავსების გამო, „გოგონა“ მიუყენეს მეორესაც. Девушка-ს ასეთი გააზრიანებისათვის ხელი უნდა შეეწყოს იმის სურვილსაც, რომ ახალგაზრდა ქალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უფრო ახალგაზრდად“ იქნეს წარმოჩენილი.

რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩვენს ეკრანებზე მიდიოდა ფილმი „Девушка спешит на свидание“. ეს სათაური მაშინ სწორად იყო



თარგმნილი: „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება“. 1982 წ. გამოვიდა ახალი ფილმი „Девушка и гранд“. ამჯერად კი ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ეს სათაური თარგმნეს ასე: „გოგონა და გრანდი“ (თუმცა აღნიშნულ ფილმშიც გასათხოვარი ქალია მთავარი პერსონაჟი).

სამხატვრო გამოფენებზე, რეპროდუქციათა ალბომებში ნახატებს, რომლებზედაც მოწიფული ქალია (ან ქალები არიან) აღბეჭდილი, ხშირად ასეთი წარწერები აქვთ: „გოგონა ყვავილით“, „გოგონა და ჩიტი“, „გოგონები ლომთან“, „გიტარის დამკვრელი გოგონა“, ხოლო რუსულად იქვე ამოკითხავთ სიტყვებს: „девушка с цветком“, девушка с птичкой“, „девушки со львом“, „девушка, играющая на гитаре“...

„გოგონას“ მნიშვნელობის ასეთი „გადაწყვეა“, ჩვენი აზრით, აუცილებლობით არ არის გამოწვეული, გაუგებრობაა.

### 3. საოცარი

ეს სიტყვა, როგორც მისი აგებულებიდანაც ჩანს, უნდა ითქვას ისეთ ვინმეზე ან რამეზე, რომელიც აოცებს, აცვიფრებს ადამიანს.

სწორედ ამ გავებით იყენებენ მას ჩვენი მწერლები. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება მე-19 საუკუნის და თანამედროვე ლიტერატურიდან, რომლებშიც „საოცარი“ ძნელად თუ შეიცვლება სხვა სიტყვით:

[ირემი] რარიგ საოცარი მშვენიერებით მოიდერებს კისერს! (ილია).

[კრუხები] საოცარი შეუცდომლობით მიხვდნენ სუსტ მხარეს ქორისას (ი. გოგებ.).

ცრუპენტელამ თქვა:... უცხო ქვეყანაში... ისეთი საოცარი რამები ვნახე, რომ თქვენ აქ სიზმარშიაც ვერ ეღივრებოთო (ი. გოგებ.).

საღაც მომხიბვლელ საოცარ პანგებს სტვენდა ბულბული (გ. ტაბ.).

მზად ვარ... გათენებამდე ვუცქირო რუბენსს, ამოსვლას მზისას... საოცარ ფერებს (გ. ტაბ.).

[ამირანი] გარეგნობითაც საოცარ არსებას ჰგავს: მას ფშაურ თქმულები-სამებრ „საცერივით თვალები“ ჰქონდა (ივ. ჯავახ.).

ვარღს აღმოხდა ხმაი საოცარი (ა. კალანდ.).

ამ ბოლო დროს ყურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიაში (აქა-იქ მხატვრულ ლიტერატურაშიც კი) მეტისმეტად ხშირად იხმარება სიტყვა „საოცარი“ და მისგან მიღებული „საოცრად“ და „საოცრება“, არის თუ არ არის საჭირო, ესადაგება თუ არა მომდევნო სიტყვას. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მისი მთქმელი სხვა სიტყვას ვერ პოულობს კარგის სათქმელად იმის შესახებ, ვინც ან რაც ძალიან მოსწონს, ვინც უნდა, რომ კარგად დაახასიათოს; ასევე, „საოცრად“



ზმნისართს ხმარობენ იქ, სადაც არ არის ამის აუცილებლობა<sup>2</sup>. ამ სიტყვებს მიმართავენ როგორც ზეპირ მეტყველებაში, ისე წერაში.

ტელეგადაცემა იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტზე გ. შავგულიძეზე და ერთი გამომსვლელი მის შესახებ ამბობს: „საოცარი მსახიობი იყო“; ცოტა ხნის შემდეგ: „გიორგი შავგულიძემ საოცარი ოხუნჯობა იცოდა“, „საოცრება იყო შავგულიძე ხარიტონის როლში“, „საოცრად გვიხაროდა მასთან შეხვედრა“.

მართლაც, გ. შავგულიძე ძალიან კარგი მსახიობი იყო, ბევრ როლში იგი, შეიძლება ითქვას, შეუღარებელი იყო; ეჭვი არ გვეპარება, რომ კარგი ხუმრობა იცოდა; ისიც გვჯერა, რომ მასთან ურთიერთობა უხაროდათ, მაგრამ სიტყვა „საოცარი“ აქ არაფერ შუაშია, ისევე, როგორც „საოცრად“ და „საოცრება“.

ანდა სხვა მაგალითები, კვლავ ტელეგადაცემებიდან: „საოცრად დიდ მუშაობას ეწევა უმაღლესი განათლების სამინისტრო“; გადაცემის იგივე მონაწილე იქვე ამბობს: „ასეთი შეკითხვა ჩვენთვის საოცრად საინტერესოა“; ცოტა ქვემოთ: „აუდიტორია საოცრად სავსეა ხალხით“.

ამ წინადადებებშიც „საოცრად“ სტილისტიკურად შეუთავსებელია; შეიძლებაოდა უბრალოდ თქმულიყო: „დიდ მუშაობას ეწევა...“, „საინტერესოა...“ ან „დიდად (ან: ძალიან, მეტისმეტად...) საინტერესოა“, ხოლო „სავსე“ ნიშნავს ისეთ რასმე, რაც მთლიანად არის დაკავებული, რაშიც მეტი აღარ ეტევა და აქ „საოცრად“ კი არა, „ძალიან სავსეც“ კი სიტყვების გაუმართლებელი შეხამება იქნებოდა. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ერთი სიტყვა სამჯერ არის ზედიზედ ნახმარი.

მუსიკა საოცრად ეხმარება რეჟისორს... აქცენტების გამოკვეთაში („თბილ“). აქ, ლენინგრადის საკონცერტო დარბაზში გამოსვლა საოცრად საპასუხისმგებლოა (ტელ.).

თემის ხეობა ხასიათდება არქიტექტურული ძეგლების საოცარი სიმრავლით (ტელ.).

აქაც შეიძლებაოდა მარტივად: „კარგად ეხმარება“, „დიდად ეხმარება“, „დიდად საპასუხისმგებლოა“, „ხასიათდება ძეგლების სიმრავლით“ (ან კიდევ უფრო მარტივად: „თემის ხეობაში ბევრი არქიტექტურული“).

<sup>2</sup> ამ და ზოგი სხვა ზმნისართის უადგილოდ ხმარების შესახებ იხ. თ. ზურაბიშვილი და ც. კალაძე, მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, III, 1980, გვ. 78.

ტურული ძეგლია“, ანდა: „თემის ხეობაში მრავლად არქიტექტურული ძეგლები“).



ბავშვს საოცრად მოსწონს რ. ინანიშვილის მოთხრობები (რად).

პროფ. ბუჩარდი და მისი კოლეგები საოცრად განცვიფრებული არიან ამ გარემოებით. („ლიტ. საქ.“).

საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს მოქანდაკის საოცარი სამყარო (ტელ).

„საოცრად მოსწონს“ სტილისტიკურად უმართებულოა, ხოლო „საოცრად განცვიფრებული“ და „საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს... საოცარი სამყარო“ ხომ ყოვლად უხვირო ტავტოლოგიაა.

ერთ ნიჭიერად, მართლაც მხატვრულად დაწერილ ქრონიკას, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება, ჩვენი აზრით, ერთგვარ ჩრდილს აყენებს ის, რომ თითქმის ყოველ გვერდზე (ზოგჯერ ერთ გვერდზე—რამდენჯერმე) გვხვდება ეს სიტყვა: „საოცრად ბრძნული ლეგენდა“, „საოცრად მორიდებული იყო“, „სულიერად საოცრად ფაქიზი“, „იგი ცხოვრებაში საოცრად ზომიერი იყო“, „საოცრად სუსტი ქალი“, „ქალს სული საოცრად ნაზი ჰქონდა“ და სხვ.

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა როგორც გაზეთებიდან, ასევე რადიო- და ტელეგადაცემებიდან და აგრეთვე ზოგი მწერლის ნაწარმოებებიდან, მაგრამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია იმის ნათელსაყოფად, თუ რა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე ან მსმენელზე თავისთავად „უწყინარი“ სიტყვა, როდესაც მას იყენებენ არა თავის ადგილას ან მეტისმეტად ხშირად.

ასეთ შეუხსაბამობათა შესახებ აკად. არნ. ჩიქობავა წერს: „სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელობის მიხედვით, გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება“ (ხაზი ავტორისა)<sup>3</sup>.

ეტყობა, რელაქციებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ცალკეული ავტორების გამოსაქვეყნებელ წიგნებს, სტატიებს თუ ეთერში გადმოსაცემი მასალის ტექსტს, რომ „საოცარისა“ და მისგან მიღებული სიტყვების ხმარება შემციირდეს საერთოდ, განსაკუთრებით კი გამოირიცხოს ისეთ კონტექსტში, სადაც აშკარად ზედმეტია, სტილისტიკურად გაუმართლებელია.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 1946, გვ. 170.

#### 4. რუსული უმახვილო ო-ს გადმოცემა

დიდი ხანია, რაც ქართულ ენაში დამკვიდრდა წესი — რუსული უმახვილო ო-ს გადმოცემა ო-თი. ამის შესახებ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ვკითხულობთ: „...უმახვილო ო-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები, აგრეთვე საკუთარი სახელები და გვარები, გეოგრაფიული სახელები ქართულში გადმოიცეს ო-თი. მაშასადამე, გვექნება: ტოლსტოი (და არა ტალსტოი), დოსტოევსკი (და არა დასტაევსკი); ბორის გოდუნოვი (და არა ბარის გადუნოვი), ლომონოსოვი, გრიბოედოვი, ვორონცოვი, ბოროდინი, ოსტროვსკი... და მრავალი სხვა“<sup>4</sup>.

ეს მარტივი წესი თითქოს ყველამ კარგად იცის; მართლაც, ასეთ სახელებს, ა-თი დაწერილს, ახლა ვეღარსად შევხვდებით; ვერც ზეპირ მეტყველებაში გაიგონებთ ლამანოსოვს, გრიბაედოვს, დასტაევსკის და მისთანებს<sup>5</sup>.

მაგრამ აი, ფეხბურთის მატჩების რეპორტაჟის დროს ზოგი ჩვენი რადიო- და ტელეკომენტატორი მოქცეულია რუსული გამოთქმის გავლენის ქვეშ და მათ მეტყველებაში ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების გვარები ისმის ასე: „ბურთი აქვს ლაზინსკის“, „ურტყამს პანამარიოვი“, „სალავიოვი წაიქცა“, ასევე: ჩენსაკოვი, პრაკაპენკო, ლაბანოვსკი, მალაფეევი, დარონინი და სხვ.

ქართული ორთოეპიის წესი შედარებით მარტივია: ჩვეულებრივ ითქმის ისე, როგორც იწერება. ზემომოყვანილ რუსულ გვარებში გახაზული ანების ნაცვლად ქართულად იწერება ო (როგორც რუსულშია) და, მაშასადამე, გამოითქმის (უკვე რუსულისაგან განსხვავებით) ასევე, ო-დ: ლოზინსკი, პონომარიოვი, სოლოვიოვი, ჩენსოკოვი, პროკოპენკო, ბოროვსკი, დოლოგობოლოვი, კოსოლაპოვი, პოგორელოვი, პოტოჩნიაკი, ბოლანოვსკი, მალოფეევი, დორონინი...

<sup>4</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 31—32.

<sup>5</sup> სხვათა შორის, მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის 20—30-იან წლებამდე ქართულში იშვიათობა არ იყო რუსულ და რუსულის გზით შემოსული სიტყვებში ა იქ, სადაც დღეს ო არის დამკვიდრებული; მოვიგონოთ თუნდაც ილიას „მგზავრის წერილებიდან“ აფიცერი ან მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ მთლიანი არლოვ: ჩვეულებრივი იყო კამისია, კამიტეტი და მისთანები, მაგრამ საერთო წესიდან ეს გადახრა დაძლეულ იქნა და ახლა ასე აღარც არავინ ამბობს და არც წერს ვინმე.

ამ საყოველთაოდ ცნობილ წესზე იმიტომაც საჭირო ყურადღების გამახვილება, რომ კომენტატორი, რომელიც ამბობს „საღვთისმეტყველებს“, „დალგაპოლოვს“, „პატარინიასა“ და მისთანებს, რუსული უმახვილო ბგერის ა-დ გამოთქმას ახვევს თავს რადიომსმენელებსა და ტელემაყურებლებს და, მაშასადამე, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული და ყველასაგან გაზიარებული წესის რევიზიას ახდენს.

---

ცირა კალაძე

სახელ-მამისსახელოებით მიმართვის შესახებ ქართულში

პიროვნებისადმი მიმართვის სხვადასხვა საშუალებათაგან ქართული ენისათვის ისტორიულად ბუნებრივი ჩანს მიმართვა სახელით, მიმართვის ობიექტის საკუთარი სახელის აღნიშვნით:

ქრისტე, გიცი შენ ვინ ხარ; პეტრე, არა უწყია, რა იგი უბრძანე მოციქულსა ჩემსა; შენ უწყი, ბალაჰვარ, ვითარ სიჩოებასა... შინა მპოვე; ნუ გეშინინ, ილარიონ, დღესვე განისწავლოს იგი; რაა არს, რაა გელმის, ეფთჳმე; ისმინე, რაჟღენ და ლაუტევენ უხმარნი ეგე სიტყუანი... და სხვ.

მიმართვის სახელი შეიძლება განსაზღვრული იყოს ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სხვა არსებითი სახელით (ძმაო, დაო, ძეო, შვილო და მისთ.), ან მას ახლდეს შორისდებული შ. მაგალითად:

ძმაო ლუკიანე, რაჟა შეშინდი ერთისაგან ჭიისა; გვედრები შენ, ძმაო აზარია, რაჟა მაუწყო მე; შვილო გაბრიელ, საოსტიგნიტ ცხელი საშველი კორკოტისაჲ მომართუ; შიოდასაფ... ვითარ მოითმენ ბნელსა მას გარესკელსა; აწ გვედრები შენ, მამაო შაბრაამ, რაჟა მიავლინო ეგე სახელ მამისა ჩემისა; შილაო ჩემო თავინე, ჩემდა მოიქეც... და ა. შ.<sup>1</sup>

პიროვნებისადმი მიმართვა სახელითა და მამის სახელით ქართულისათვის ბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო არც ისტორიულად, არც კილოების მიხედვით. ძველ ლიტერატურულ და საისტორიო ძეგლებში დადასტურებული მამისსახელიანი საკუთარი სახელები (ივანე აბულეთის ძე, ბარამ ვარდანის ძე, ოთაღო შერვაშის ძე, საღირ კოლონკელის ძე, სარგის ვარამის ძე, ევდემონ ჩხეტის ძე, ჭავთარ ივანეს ძე, კახაბერ კახაბერის ძე და მისთ.) არც ერთ შემთხვევაში მიმართვისას არ გამოიყენება. ეს ფორმები დღევანდელი სახელ-გვარული ერთეუ-

<sup>1</sup> მაგალითები ამოღებულია ა. კიზირიას წერილიდან „მიმართვა ძველ ქართულში“; ქართული ენის სტრუქტურის საკითხები, III, 1963, გვ. 19.

ლების ფარდია და ამავე დროს პიროვნების გენეალოგიური დახასიათების ერთ-ერთ უმარტივეს ვარიანტს წარმოადგენს.

პიროვნების გენეალოგიური დახასიათება ზოგადენობრივი მოვლენაა, გამოწვეული ენის მომხმარებლის მოთხოვნებით — მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. ეს დახასიათება დისტანციური დამოკიდებულების გამომხატველი ჩანს. დისტანციის საფუძველი შეიძლება იყოს სოციალურიც და ასაკობრივიც, ან ამგვარი დახასიათება უბასუხებდეს ე. წ. კანცელარიული ეტიკეტის მოთხოვნებს. როგორც ცნობილია, აღმოსავლურ ენათა უმეტესობა პიროვნების დასახელებისას აღნიშნავდა ამ პირის მამას, პაპას, ზოგჯერ უფრო შორეულ წინაპარს, ზოგჯერ შვილს და სარწმუნოებასაც კი<sup>2</sup>. (მაგალითად, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის ავიცენას ზუსტი სახელი აბუ ალი იბნ სინა ნიშნავს მამა ალისა და შვილი სინასი). მამა-პაპის მიხედვით პიროვნების დეფინიცია უცხო არ არის არც ზოგი ევროპული ენისათვის.

ქართული ენა ერთ-ერთი იმ ენათაგანია, რომელთაც ადამიანის გენეალოგიური დახასიათება უაღრესად გამარტივებული აქვთ. ამ სიმარტივეს ქართული ავლენს პიროვნებისადმი ოდენ სახელით მიმართვის წესშიც.

მიმართვის ფორმულებში მამის სახელის გამოჩენა გვიანდელი მოვლენაა და უკავშირდება ქართველ და რუს ხალხს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებას.

თვით რუსულ ენაში სახელ-მამისსახელობით მიმართვა შედარებით ადრე დაიწყო (როგორც მიუთითებენ, დაახლოებით მე-16 საუკუნიდან), მაგრამ ძალიან დიდხანს ის მხოლოდ სოციალურ ფუნქციას ინარჩუნებდა. ცნობილია, მაგალითად, რომ პეტრე I და ეკატერინე II თვითონ ამტკიცებდნენ იმ პირთა სიას, ვისაც რაიმე საგანგებო დამსახურების გამო ან თვით მათი — მიმართველთა კეთილგანწყობილების ნიშნად წილად ხვდებოდა სახელითა და მამის სახელით მოხსენიების პატივი. მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს შეიძინა მამის სახელით პიროვნების მოხსენიებამ საყოველთაო მოხმარების უფლება. (დღეს ამგვარ მიმართვებს რუსულში, ძირითადად, ასაკობრივ-პრესტიჟული ფუნქცია აქვს)<sup>3</sup>.

<sup>2</sup> იხ. Н. А. Белгородский. Социальный элемент в персидских именах, прозвицах, титулах и фамилиях: Записки Инст-та Востоковедения АН, т. I, Л-д, 1932, გვ. 213-242.

<sup>3</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. В. И. Максимов, А. Л. Максимова, Откуда пошли Петр Петрович и Комар Комарович: ეურნ. „Русская речь“, 1980, № 2.

სწორედ ამ პერიოდიდან არის დადასტურებული ქართულშიც სახელითა და მამის სახელით მიმართვის ფორმები (ივან პეტროვიტი ტიპისა).

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველებს იშთავითვე უგრძნიათ ამ ფორმების სიუცხოვე, ვერ გაუთავისებიათ ისინი და უცდიათ მათი „გაქართულება“, რისთვისაც გამოუყენებიათ ძველ ქართულ ენაშივე არსებული სახელ-მამისსახელიანი შესიტყვების მოდელი — სახელი + ნათესაობით ბრუნვაში დასმული მამის სახელი (იოსებ დავითის-ს ტიპისა): ამ მოდელის მიხედვით აგებული საკუთარი სახელები გვხვდება უკვე სახარებისა და ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში (მაგალითად, ისუ ბარაბაისი — მთ. 27, 17; იაკობ ზებედესი — მრკ. 1, 19; იაკობ აღდესი — მრკ. 3, 17<sup>4</sup>; იეზონია იეზერისი — 11, 1; ფალტია ბანიაისი || ფალტია, ძმ ბანიაისი — 11, 13<sup>5</sup> და სხვ.); მაგრამ, რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, ამგვარი სახელები დადასტურებულია ძველ ქართულ სიგელ-გუჯრებსა და ბოძების წიგნებშიც. მაგალითად, ერთ უძველეს საბუთს (1259 წ.) მოწმის ასეთი ხელმოწერა აქვს: „მეჭურჭლეთუხუცესისა კახოსისა დაწერილსა მე, ავაგ სარგისცა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“<sup>6</sup>. 1260—70 წწ. დათარიღებულ საბუთს „წიომღვიმის კრებულის (sic) დაწერილი ზოსიმე ტოხანის-ძისადმი სამწირველოს ბოძების შესახებ“ — მოწმეები ადასტურებენ: „აწ ამას დაწერილსა ჩუენსა მოწმენი ვართ ამას შინა უდაზნოსა მყოფნი ძმანი ...მამაი თევდორე, ... ნიკოლოზ საგდუხტისი, მიქაილ აფხაზი“<sup>7</sup>... სხვაგან, 1281—82 წლის საბუთს ერთ-ერთი მოწმე ასე აწერს ხელს: „მე მარკოზ თადეოზისი მოწამე ვარ პატრონისა კათალიკოზისა ბრძანებისაჲ“<sup>8</sup>.

ამგვარი სახელ-მამისსახელიანი ფორმით პიროვნების მოხსენიება უცხო არ ყოფილა არც შემდგომ (XIV—XVI) საუკუნეებში. ძველ ქართულ ალაპებში ვკითხულობთ: „მწუხრი პანაშვიდი იოსებ ხაფლა-

4 იხ. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.

5 იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1976.

6 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 65. უნდა იყოს ხარგისისცა. შეცდომის მიზეზი ისაა, რომ საკუთარი სახელის ბოლო მარცვალი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნადაა მიჩნეული.

7 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 167.

8 იქვე, გვ. 172.



ისი“ (var. ხაფლისი), სხვაგან: „პანაშვიდი იოსებ ხავთაის ძესა“<sup>9</sup> ან „ორ იოსებს „ალაპების“ ტექსტების გამომცემელი პროფ. ელ. მეტრეველი ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს (მამის სახელში განსხვავებას ნუსხებში ასოთა გრაფიკული აღრევით ხსნის)<sup>9</sup>. მამასადამე, ხაფლაისი = ხაფლაის ძე. იმავე „ალაპებში“: „ამასვე დღესა ალაპი ივანე ქავთარისი“; „ალაპი ოთარისა ვარაზასი“<sup>10</sup> და ა. შ.

გიორგი ავალიშვილის ცნობილ ხელნაწერ კრებულში, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული, შეტანილია სოლომონ პირველის შვილიშვილის გიორგი ბაგრატიონის თავგადასავალი, რომელსაც სათაურად აქვს: „შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა“<sup>11</sup> იმავე პერიოდში თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „მაშინ [ლეკნი] დაეცნენ ყარაღაჯს, სადაცა გორს მყოფნი მეფის ძენი იულონ ირაკლისა და ძის ძეი მეფისა იოანე გიორგისა განვიდნენ...“<sup>12</sup>

დამოწმებული შესიტყვებები ყველგან სახელ-მამისსახელიანი საკუთარი სახელებია. გამორიცხული არ არის, რომ ქართულ კანცელარიაში მათს დამკვიდრებას ხელს შეუწყობდა აღმოსავლურ სამყაროსთან ქართველი ხალხის მაშინდელი სიახლოვე, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ამგვარად „გაკეთებული“ სახელები შემოუნახავთ მთის კილოებსაც: ხევსურულს, თუშურს, ფშაურს. ცნობილი ხოგაის მინდი და მისი ნსგავსი სახელები, როგორცაა ბიტურაისა აბაი, სანავის სანავი, უთურგის გიორგი, ხოშაქის ტურა, ლუის ლუხუმი და სხვ. სახელ-მამისსახელიანი შესიტყვებებიდან მიღებული საკუთარი სახელებია<sup>13</sup>.

სწორედ ამ, ქართულისათვის უკვე ბუნებრივი ყალიბის მიხედვით გაუმართავთ ქართველებს გასულ საუკუნეში სახელ-მამისსახელობით მიმართვის ფორმები.

<sup>9</sup> მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 74, 108, 120.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 84, 88.

<sup>11</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, 1959 წ. გვ. 353.

<sup>12</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 61.

<sup>13</sup> დასამოწმებლად იხ. ა. შანიძე, ხალხური პოეზია, ტ. I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 49, 32; 100, 1; 142,4; 143,7; 146,2,27 და სხვ. და ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960, გვ. 398, № 124; 363, № 65.



ამგვარი „გაქართულებული“ მიმართვები დასტურდება ბესიკიანის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით. დიდი იმპერატორია, ეკატერინა ალექსისავე, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევე; დიდი და ყოვლად მოწყალეო იმპერატორია ეკატერინა ალექსისაო<sup>14</sup>.

ამგვარივე ფორმა მიმართვისა შემოუნახავს საქ-ს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის H კოლექციის № 1196 ხელნაწერს, რომელიც დაახლოებით 1818 წელს უნდა იყოს შესრულებული. გ. ავალიშვილს თავისი ხელნაწერი კრებული უჩუქებია დავით იოანეს ძე ორბელიანისათვის და ხელნაწერის ყდის საცავ ქალაღღზე შიგნიდან მიუწერია: ბრწყინვალეო თავადო დავით იოანესო ორბელიანო...<sup>15</sup>

ასეთი მიმართვის რამდენიმე შემთხვევა ილია ჭავჭავაძის პირად წერილებშიცაა შემორჩენილი:

დიდად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ ივანისავე!  
საყვარელო კნიაზო, რაფიელ დავითისავე!  
ღრმად პატივცემულო ბატონო ექვთიმე სვიმონისავე!  
ბატონო მიხეილ ვახტანგისავე!<sup>16</sup>...

მაგრამ, როგორც ჩანს, მიმართვის ფორმათა ამგვარმა წარმოებამ ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა და იმთავითვე ამ რიგის სახელები ქართულ საბუთებშიც რუსულისებურად გაფორმდა. ბესიკიანს ვკითხულობთ:

მაღალშობილო ბრილადირო და კავალერო ვასილ სტეფანიჩ, მწყალობელო ჩემო ხელმწიფევე (გვ 194); გრიგორი ალექსანდროვიჩ (გვ. 192), სერგია ლაზარევიჩ (გვ. 213) და მისთ.

დოკუმენტებისა და მიმოწერის შემდეგ სახელ-მამისსახელობით მიმართვის ფორმები რუსულიდან ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის ენაში დამკვიდრდა, შემდეგ კი ზეპირმეტყველებაშიც გავრცელდა და არაერთი უხერხულობისა თუ შეუსაბამობის მიზეზი გახდა. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიმართვის აღნიშნული მოდელი სხვადასხვა შეფასებას იმსახურებს მხატვრულ თარგმანსა და ზეპირმეტყველებაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოსა და რუსეთის

14 ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ. თბ., 1962, გვ. 189, 191.

15 ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III. კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, თბ., 1948, გვ. 147.

16 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროს ყვას რედაქციით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 87, 147, 149.



კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას მოჰყვა რუსულიდან ქართულ  
 თულად თარგმნით დიდი გატაცება. უკვე 60-იანი წლებიდან ქართულ  
 პერიოდულ გამოცემებში ხშირად ვხვდებით რუსულიდან ნათარგმნ  
 თხზულებებს. მთარგმნელები ივ. კერესელიძე, ივ. მაჭავარიანი, ი. პო-  
 ლუმორდვინოვი, ალ. სულხანოვი, ი. ბერიძე, გრ. წინამძღვაროვი, გან-  
 დეგილი და სხვები სახელ-მამისსახელით მიმართვის ფორმებს ქართულ  
 ენაზეც რუსულ ელფერს უტოვებენ; როგორც წესი, გადმოაქვთ ასე:  
 ივან ზახარჩი, აფანასი პავლოვიჩი, ანა პეტროვნა, ტატიანა ვლასოვნა  
 და ნისტ. ასე რომ უკვე გასული საუკუნის დამლევეს ქართულ მწერ-  
 ლობაში გარკვეული ტრადიციაც კი დამკვიდრდა აღნიშნული მიმართ-  
 ვების რუსულისებურად, რუსული ელფერით გადმოღებისა<sup>17</sup>.

დღეს მთარგმნელთა დიდი უმრავლესობა ერთსულოვნად უჭერს  
 მხარს ამ ტრადიციას. აღნიშნული პრინციპითაა გადმოტანილი სახელ-  
 მამისსახელობით მიმართვები პუშკინის რჩეულ თხზულებათა ქართულ  
 თარგმანებში, დოსტოევსკის, გოგოლის, ჩეხოვის, ლევ ტოლსტოის,  
 ტურგენევის, ალ. ტოლსტოის, ტინიანოვის, კუპრინის, ფურმანოვის,  
 ბაბელის, ბულგაკოვის, ილფისა და პეტროვის, შიშკინის თხზულება-  
 თა თანამედროვე ქართულ თარგმანებში<sup>18</sup>.

შედარებით იშვიათად თანამედროვე თარგმანებში შეიძლება შე-  
 გვხვდეს სახელ-მამისსახელიანი მიმართვის ფორმის გადმოქართულე-  
 ბაც. ასეა, მაგალითად, ნათარგმნი ლეონიდ ლეონოვის რომანები „რუ-  
 სული ტყე“ და „ქურდი“ (მთარგმნელი გ. კარბელაშვილი): სოფიო  
 ბაგრატიის ასულო, ვასილი კასიანეს ძეგ, ნიკოლოზ თომას ძეგ, ივანე  
 მათეს ძეგ და მისტ.

თუ სათარგმნ მასალაში მიმართვის ფორმა მხოლოდ მამის სახე-  
 ლია (ვასილიჩი, საველიჩი, დუკიანიჩი, ონუფრიევნა...), ქართულ თარგ-  
 მანში ის რუსული ელფერითვეა გადმოღებული იმ მთარგმნელებთან,  
 რომლებიც ტრადიციულ წესს უჭერენ მხარს, ლ. ლეონოვის თხზუ-

17 სანიშნოდ იხ. მ. ლერმონტოვი, მასკარადი, თარგმ. გრ. წინამძღვაროვი-  
 სა: „ცისკარი“, 1864, X; ა. გრიბოედოვი, ვაი ჭკუისაგან, თარგმ. განდეგილისა:  
 „მოამბე“, 1903, VII; თ. დოსტოევსკი, დანაშაული და სასჯელი, თარგმ. ინ-ანი-  
 ხა: „მოამბე“, 1905, X; მ. გორკი, სამნი, თარგმ. ი. პოლუმორდვინოვისა: „მო-  
 ამბე“, 1903, VII; „ხანზღეკ“, თარგმ. ი. ბერიძისა: „ცისკარი“ 1859, XI; ივანე  
 სავიჩი პოდუბრინი, თარგმ. ი. კერესელიძისა: „ცისკარი“, 1869, VII და სხვ.

18 მთარგმნელები არიან: ი. აგლაძე, კ. გამსახურდია ი. ზურაბიშვილი, შ. და-  
 დიანი, მ. პატარიძე, დ. კასრაძე, ვ. გუნია, პლ. ბებია, შ. აფხაიძე, ქ. ირემაძე, ი. ქაე-  
 ჟარაძე, რ. ჯაფარიძე, ჯორჯანელები, გ. კიკილაშვილი, ნ. ხატისკაცი, თ. ჯავახიშვილი,  
 ი. და ა. ახალშენიშვილები, დ. დეკანოზიშვილი, თ. ბებურიშვილი, ა. სოკოლოვა,  
 შ. სულაბერიძე და სხვები.

ლებათა აღნიშნულ თარგმანებში კი ასეთი მიმართებებიც გაქართუ-  
ლებულია (ტიმოთეს ძევ, ზოგდათის ასულო, სიმონის ასულო და სხვები).

ჩვეულებრივ, თუ მიმართვის ფორმები რუსულსებურადაა გად-  
მოღებული ქართულ თარგმანში (ივან პეტროვიჩ, ანა ილინიშნა...), იმა-  
ვე თარგმანში სახელ-მამისსახელიანი ყველა ფორმა (არა მიმართვისა-  
საც) რუსული ელფერიითაა გადმოტანილი, ხოლო როდესაც მიმართვის  
ფორმები გაქართულებულია, გაქართულებულია სახელ-მამისსახელია-  
ნი საკუთარი სახელები სხვა შემთხვევებშიც.

მაგრამ უხერხულობა, რომელსაც ქართულში საერთოდ სახელითა  
და მამის სახელით მიმართვა იწვევს, იმაშიც ვლინდება, რომ ზოგჯერ  
ერთსა და იმავე ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს რუსულსებურად გად-  
მოტანილი სახელ-მამისსახელიც და გაქართულებულიც. მაგალითად,  
ილფისა და პეტროვის „ოქროს კერპის“ ჯორჯანელებისეულ თარგმანში  
სახელ-მამისსახელიანი მიმართვის ფორმები ყოველთვის რუსულსე-  
ბურადაა გადმოტანილი (ადამ კაზიმიროვიჩ, სერგეი მიტრიჩ, ზოსია  
ვიქტოროვნა და ა. შ.). ხოლო როდესაც სახელი და მამის სახელი  
თხრობისას გამოიყენება, აქ მთარგმნელები ხან რუსულსებურ ფორ-  
მას არჩევენ, ხან კი მას აქართულებენ. ერთი მხრივ, გვაქვს:

ვასისუალი ანდრეიჩის ცხოვრებაში დადგა მწვავე... ტანჯვის პერი-  
ოდი (ილფ. პეტრ., 134).

...აი ლუკია ფრანცევენაც ადასტურებს ამის კანონიერებას (იქვე, 139)  
და მისთ.

### მეორე მხრივ:

არასამსახურებრივ გარემოში ალექსანდრე ივანეს ძე მხდალი...  
ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა (იქვე, 97).

ადამ კაზიმიროვის ძემ პედალს ფეხი დააჭირა (იქვე, 77).

...ფედორ ნიკიტას ძეს ამოუცნობი მეთოდურობით ეცხადებოდნენ...  
სიზმრები (იქვე, 85) და ა. შ.

თარგმანებში სხვა სახის შეუსაბამობებიც გვხვდება. მაგალითად,  
ა. ლუკინის, დ. მედვედევისა და ვ. მიხაილოვის „შურისძიების“ მთარ-  
გმნელს სახელ-მამისსახელით მიმართვა ძირითადად რუსულსებურად  
გადმოაქვს (ელუარდ ქსავერიევიჩ, ნიკოლოზ არტუროვიჩ, ევგენი  
ევგენიევიჩ და მისთ.), ზოგჯერ კი მას აქართულებს: — ეპ, ნიკოლოზ  
ივანეს ძევ, ეს რა შეცდომა მოგსვლიათ! — ვუთხარი კუნენცოვს  
(გვ. 49).

სადავოა სხვა პრინციპიც, როდესაც თხრობისას სისტემებრივ გა-  
მოყენებულია გაქართულებული მოდელი (ალექსანდრე ნიკოლოზის  
ძე ემელიანოვი ემელიანოვის ქუჩაზე ცხოვრობს: ნიკოლოზ ალექ-



სანდრეს ძე იატაკქვეშა ბოლშევიკურ უჯრედში შედიოდა; **ლუდმილა** ევგენის ასულმა; **დარია ვახილის ასული**; **მარგარიტა ვლადიმერის ასული** და ა. შ.), ხოლო მიმართვისას რუსულისებურს ეძღვევა უპირატესობა (ნადეჟდა კონდრატიენა, ნიკალაი ალექსანდროვიჩი, მატვეი ავერიანოვიჩი და ა. შ.)<sup>19</sup>.

ცხადია, ამგვარ აღრევას სალიტერატურო ენა ვერ შეიწყნარებს, ერთგვარი მასალა ერთი პრინციპით უნდა გადმოიცეს. როგორი შეიძლება იყოს ეს პრინციპი?

ამ საკითხით დაინტერესებას ჩვენში უკვე გარკვეული ისტორია აქვს. ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა რამდენჯერმე აღძრეს საკითხი ქართულ ენაში სახელ-მამისსახელობით მიმართვის ფორმების მოგვარების შესახებ. 1959 წელს ქართულ პრესაში (ონომასტიკის სხვა საკითხებთან ერთად) აღნიშნული საკითხის გარშემო საგანგებო დისკუსიაც კი გაიმართა, რომელმაც კიდევ ერთხელ გაახაზა პრობლემის აქტუალურობა. სამწუხაროდ, დისკუსიას არსებითი შედეგი არ მოჰყოლია, ოღონდ მან უფრო ცხადად გამოავლინა მოპაექრეთა ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები აღძრული საკითხის მიმართ. კერძოდ, გაირკვა, რომ ჩვენი სამეცნიერო და ლიტერატურული ინტელიგენციის ერთი ნაწილი მხარს უჭერს ტრადიციულ წესს — რუსული სახელ-მამისსახელობით მიმართვის ფორმები მხატვრულ თარგმანშიც „რუსულისებურად“ გადმოვიდოთ<sup>20</sup>, ნაწილს კი, რადგან ქართული ძე მიაჩნია რუსული იჩ-ის ეკვივალენტად, სურს ქართულ თარგმანში დანერგოს ამგვარი მიმართვების გაქართულებული ვარიანტი<sup>21</sup>.

ბუნებრივია, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ორგანულად დაუკავშირდა, ერთი მხრივ, საერთოდ მხატვრული თარგმანისა და, კერძოდ, ონომასტიკის მოსაგვარებელ საკითხებს, ხოლო, მეორე მხრივ, ტრადიციისადმი მაქსიმალურად რაციონალური დამოკიდებულების სურვილს. ამაზე მიუთითებდნენ თავიანთ წერილებში ქართული ონო-

19 იხ. კრებული „მოთხრობები ლენინზე“ (ავტორები: დ. სიდოროვსკი, ზ. ვოსკრესენსკაია, ნ. ჟდანოვი, ლ. პოდვოსკი, ს. ვინოგრადსკაია. ს. მირერი; მთარგმნელი ს. შამფრანი), თ., 1981.

20 მაგალითად, იხ.: რ. ქორჭია, მხატვრული თარგმანის საკითხებისათვის: „ცისკარი“, 1959, № 3; ალ. ნეიმანი, კვლავ სახელისა და მამის სახელის გადმოქართულების გამო: „თბილისი“, 1959, 18 VII; გ. გაჩეჩილაძე, ვთარგმნოთ თუ გავიმეოროთ?: „ლიტ. გაზ.“, 1959, № 39 და სხვ.

21 იხ. არ. ჭუმბაძე, პერსონაჟის სახელისა და მამის სახელის გადმოღების საკითხისათვის: „ლიტ. გაზ.“, 1959, № 23; მისივე, პასუხად დოც. ალ. ნეიმანს: იქვე № 31; გრ. შანიძე, გავრით თარგმანის საკითხებზე: „ლიტ. გაზ.“ 1959, № 35 და სხვ.



მასტიკის შესახებ 1967 წელს გამართული დისკუსიის მონაწილენი<sup>22</sup> აღნიშნა, რომ ტრადიციის წინაშე ზედმეტი რიდი მიუღებელია, რომ ყოველგვარი ჩვევა არ შეიძლება ტრადიციად ჩაითვალოს, რადგან ყოველი ტრადიცია გულისხმობს სოლიდურ ასაკსაც, რომ „ძველი ქართველი მწიგნობრები გვაწვდიან მცდარი ტრადიციის გასწორების ნიმუშებს და ამგვარად ამის ტრადიციაც გვაქვს“ (ი. ქავთარაძე), რომ „ენის სიმტიცესა და უკვდავებას მცდარი ტრადიციის... გასწორების უნარიც გამოხატავს“ (ნ. ყიასაშვილი). აღნიშნული დისკუსიის მასალებში მკვეთრადაა გამოჩნული ზოგადად ენობრივი ტრადიციები და სალიტერატურო ენის ტრადიციები, რადგან ეს უკანასკნელი გაცნობიერებულია, მის მოწესრიგებაში ერევიან მწიგნობრები (კ. გიგინეიშვილი).

ამგვარი სწორი დამოკიდებულების მიუხედავად, როგორც ზევით ვაჩვენეთ, დღემდე სიჭრელე გვაქვს სახელითა და მამის სახელით მიმართვის გადმოღებისას ქართულ თარგმანებში. თუმცა ადვილი შესამჩნევია უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ თარგმანთა ტენდენცია — დაიცვან ტრადიციული წესი, „რუსულსებური“, იმისათვის, რომ თარგმანებს ორიგინალის ეროვნული სპეციფიკა ამ გზითაც შეუნარჩუნონ. ეს კი სწორ პოზიციად უნდა მივიჩნიოთ<sup>23</sup>.

ქართველი და რუსი ხალხის, ქართული და რუსული ენის მჭიდრო ყოფითი, მეცნიერულ-ტექნიკური თუ ლიტერატურული კონტაქტები გვაეალებს, რომ ამ ტენდენციას მომავალშიც დავუჭიროთ მხარი.

გაცილებით მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ამ ბოლო დროს დასახელებული მიმართვის ფორმების გავრცელება ქართულ ზეპირმეტყველებასა და ორიგინალურ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ლიტერა-

22 ნ. ყიასაშვილი, რა პქეათ შექსპირის გმირებს ქართულად?: „ლიტ. საქ.“, 1967, № 26; არჩ. აღხაზიშვილი, პრინციპი — ფონეტიკური თუ ტრანსლიტერაციული: იქვე, № 49; ნ. კაკაბაძე, სტაფილო თუ შტაფილო?: იქვე, № 52; თ. ჯინორია, კი გვიღირს, მაგრამ კიდევ გვიჭირს: იქვე, 1968, № 2; ი. ქავთარაძე, ტრადიციული პრინციპების გათვალისწინებით: იქვე, № 4; კ. გიგინეიშვილი, შეიკრიბნენ და დასხდნენ: იქვე, № 5.

23 აღსანიშნავია, რომ „რუსულსებურად“ გადააქვთ სახელ-მამისსახელობით მიმართვის ფორმები თანამედროვე და კლასიკური რუსული თხზულებების ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, თურქულ, სპარსულ თარგმანებშიც, ოღონდ აღმოსავლურენოვანი თარგმანები ზოგჯერ ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ და წარმოთქმის მაქსიმალური სიზუსტის მისაღწევად საკუთარი სახელისა და მამის სახელის პირველად ხსენებისას სქოლიოში გვაწვდიან ამ სახელთა ლათინურ ტრანსკრიფციასაც.



ტურაში. ამის საშიშროება კარგა ხანია იგრძნობა, რაც თავის ფრთხილ აღნიშნა კიდევ ქართულ პრესაში<sup>24</sup>.

რუსული სახელ-მამისსახელობით მიმართვა უმეტესად ქალაქურ მეტყველებას ახასიათებს (თითქმის არ გვხვდება დიალექტებში, ან თუ გვხვდება, ისევე ე. წ. „ცივილიზებული“ კაცის საუბარში) და ხშირად ერთგვარად პრესტიჟულ-სტილისტიკურ ფუნქციას ემსახურება. მართალია, გარკვეულ სიტუაციებში, გარკვეულ საზოგადოებრივ წრეში ამგვარი მიმართვის ფორმები აღიქმება, როგორც შეცდომა, როგორც დაბალი ენობრივი კულტურის გამოვლინება, მაგრამ უკვე უმკველია ისიც, რომ არცთუ იშვიათად სწორედ ამგვარი მიმართვები ატარებს სრულიად აშკარად გამიზნულ აზრობრივ, კერძოდ, სუბორდინაციულ, ანდა ემოციურ დატვირთვას. ამიტომ ეს არანორმატიული ენობრივი მოდელი ენის ბუნებისა და ტრადიციების საწინააღმდეგოდ ჩვენს თვალწინ იხვეჭს ენაში დამკვიდრების უფლებას. ეს მდგომარეობა დაფიქრების საფუძველს და საკითხის მოგვარების სურვილს წარმოშობს, მაგრამ ამ მხრივ მოსალოდნელი გარკვეული სირთულეები სრულიად აშკარაა. ერთ-ერთ სირთულეს ის ქმნის, რომ აღნიშნული ტიპის მიმართვები უკანასკნელ ხანს ძალიან ადვილად იკაფავს გზას ქართულ ორიგინალურ მხატვრულ პროზასა თუ პუბლიცისტიკაში (რაშიც მწერლებს ვერ დავადანაშაულებთ) და პირუკუ, ალბათ ლიტერატურის ენის მხარდაჭერა კიდევ უფრო მკვიდრ ნიადაგს უქმნის ამ მოდელს ფართოდ ხმარება-გავრცელებისათვის.

განსაკუთრებით ანგარიშგასაწევეია ის, რომ სახელითა და მამის სახელით მიმართვა ზოგჯერ მართო ენობრივი ფაქტი კი არ არის, არამედ ერთგვარი პირობითი ენობრივი ნიშანია, მწერლის მიერ შეგნებულად მომარჯვებული გარკვეული სტილისტიკური ხერხია, რომელიც ნაწარმოების მოქმედ პირებს შორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახავს. ესაა ერთგვარი „სოციალური“ მინიშნება, რომელიც მაშინვე თავის ადგილს აკუთვნებს მიმმართველსაც და მიმართვის ობიექტსაც — ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე. ამ ხერხს მხატვრული ენა ვერ შეეღვევა და ამის მოთხოვნის უფლება არც არავის აქვს, რადგან არაუზუალური ლექსიკა და ფრაზეოლოგია, თუკი ის სტილისტიკურად შეფერილ კონტექსტშია მოხმარებული, ენას ალამაზებს, ახალ გამომსახველობით ძალას მატებს მას და მისი გამდიდრების ერთ-ერთ

<sup>24</sup> ვლ. ფანჩვიძე, ივ. გიგინეიშვილი, მეტყველების კულტურა და ზოგერთი მოსაზრება: „კომუნისტი“, 1970, 15.X.

უფლებამოსილ წყაროდ მიიჩნევა<sup>25</sup>. ამიტომ სწორად მოხმარებულ სახელ-მამისახელობით მიმართვის ფორმაც ქართული ტრანსკრიპციით ჩვენი მხატვრული ლიტერატურის ენის ერთ-ერთ „სამკაულად“ შეიძლება ჩაითვალოს, თუკი მას მკითხველისათვის გასაგები სტილისტიკური დატვირთვა ექნება. (სწორედ ასე დამკვიდრდა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში, მაგალითად, სოლომონ ისაკიჩი, როგორც სოციალური ტიპი), მაგრამ ამგვარი ენობრივი სქემებით წინასწარ მოხაზული ტიპობრივი სიტუაციები ისე არ უნდა გახშირდეს, რომ ლიტერატურულ შტამად იქცეს და ამის გამო, როგორც სტილისტიკურმა ხერხმა, ძალა და უფლებამოსილება დაკარგოს. უკანასკნელი წლების ქართული მხატვრული პროზისა და პუბლიცისტიკის ენა კი ამის საშიშროებას აშკარად ქმნის.

რასაკვირველია, ჩვენ ისეთი შემთხვევები არა გვაქვს მხედველობაში, როდესაც, ვთქვათ, მხატვრული ან პუბლიცისტური ნაწარმოების სიუჟეტში ქართველებთან ერთად რუსებიც მონაწილეობენ და ქართველებს მხოლოდ სახელით მიმართავენ, რუსებს კი — სახელითა და მამის სახელით<sup>26</sup>. არც ისეთი შემთხვევები, როდესაც ასაკობრივი, კოლეგიალური, სუბორდინაციული და ა. შ. დამოკიდებულება ავალეებს რუს წრეში მოხვედრილ და ამიტომ რუსულად მოსაუბრე ქართველებს ერთმანეთს სახელითა და მამის სახელით მიმართონ<sup>27</sup>. ჩვენ ვგულისხმობთ ქართულ მწერლობაში უკანასკნელ ხანს მომრავლებულ და თითქმის დამტკბულ ერთგვარ სიტუაციებს, რომლებიც სწორედ ამ ერთფეროვნების გამო გახდა მოსაწყენი, არაემოციური, ვეღარ ასრულებს მხატვრულ-სტილისტიკურ ფუნქციას და მხოლოდ აზიანებს როგორც თვით თხზულების ესთეტიკურ მხარეს, ისე მკითხველის ლიტერატურულ გემოვნებას.

ამგვარი შემთხვევები იმდენად ხშირია ბოლო წლების ქართულ პროზაში, რომ სანიმუშოდ თხზულებებზე მითითება ზედმეტად მიგვა-

<sup>25</sup> იხ. В. Я. Дерягин, Беседы о русской стилистике, М., 1978, გვ. 23, 27, 29, 79, 90. ცნობილია, მაგალითად, თუ რა ეფექტურად იყენებდა და იყენებს გერმანული მწერლობა მისასალმებელ ფორმულებს — გუტენ ტაგ და ჰაილ ჰიტლერ, როგორც პირობით ენობრივ ნიშნებს ადამიანთა შორის დამოკიდებულების სადიფერენციაციოდ.

<sup>26</sup> სანიმუშოდ იხ. თ. იოსელიანი, შავი და ცისფერი მდინარე: „მნათობი“, 1975, № 8; მ. ქოიავა, არტახები: „ცისკარი“, 1977, № 4; ჯ. ქირია, ტრამალების სევდიანი სიმღერა: „მნათობი“, 1979, № 6; Элевтер Андришикашвили, Воспоминания о жидком гелии, Тб., 1980. მისივე, Начиная с Эльбруса, Тб., 1982 და სხვ.

<sup>27</sup> ამ მხრივ სანიტერესოდ დიფერენცირებულ მასალას შეიცავს ე. ანდრონიკაშვილის დასახელებული წიგნები.

ჩნია, მაგრამ მიმართვის ეს ფორმულები უკვე ფეხს იკიდებს მხატვრულ ნარკვევშიც, რაც განსაკუთრებით სახიფათოა. ნიმუშად შეიძლება წა-  
ვასახელოთ ერთი ნარკვევი<sup>28</sup>, რომელიც ეხება პარტიის ერთ-ერთი  
რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელი ქალის ცხოვრებას. საგულის-  
ხმოა, რომ ნაცნობი კოლმეურნეებიც და შემთხვევით გზად შეხვედ-  
რილი პროფესორიც რაიონის ხელმძღვანელს მიმართავენ ბუნებრივი  
ქართული თავაზის ფორმით („ქალბატონო მედეა“), ხოლო მძლოლი და  
მეურნეობის დირექტორი — სახელ-მამისსახელობით („დიახ, მედეა  
არჩილოვნა,... სპორტული კომპლექსის გვერდზე გახლავთ“, „როგორც  
თქვენა ბრძანებთ, მედეა არჩილოვნა“, „გულთამხილავი ხართ, მედეა  
არჩილოვნა“ და ა. შ.). და ეს ხდება სრულიად ბუნებრივად, აბსოლუ-  
ტურად ნეიტრალურ სიტუაციებში.

განსაკუთრებით შეუფერებელია ქართული ენისათვის მხოლოდ  
მამის სახელით მიმართვა (ფარნაოზიჩ, დომენტიჩ ტიპისა), რამაც მტკი-  
ცედ მოიკიდა ფეხი უკანასკნელ ხანს როგორც ცოცხალ მეტყველება-  
ში, ისე (რაც უფრო დამაფიქრებელია) ლიტერატურის ენაში.

თვითონ რუსულ ენაში მხოლოდ მამის სახელით მიმართვას ძვე-  
ლად უმეტესად გაცნობიერებული სოციალური ინტერპრეტაცია ახლ-  
და — მამით იყო ცნობილი მიმართვის ობიექტი, მამის პატივისცემა  
იყო წინ წამოწეული, თვით ობიექტი კი გაუპიროვნებელი იყო. ასე  
მიმართავდნენ მხოლოდ სოციალურად დაბლა მდგომს ან თანატოლს,  
ოღონდ ვინც ამის უფლებას აძლევდა მიმმართველს. ამიტომ იყო, რომ  
წინათ ასე მიმართავდნენ უმეტესად ქალებს, თანაც დაბალი სოცია-  
ლური წრისას (ალბათ გამორიცხულია, რომ ვინმეს სერიოზულად მიე-  
მართა ანა კარენინისათვის მხოლოდ მამის სახელით — არკადიევნა).

ქართულში პირიქით ხდება. მხოლოდ მამის სახელით ხშირად მი-  
მართავენ სწორედ პატივისცემ პირებს. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ  
მიმართვაში ერთგვარი, მართალია, ზოგჯერ უსაფუძვლო, ყალბი, მაგ-  
რამ მაინც მოწიწება ივარაუდება. რა გამოდის? პატივისცემა უნდათ  
გამოხატონ პიროვნების მიმართ და მის პიროვნებას კი უგულვებელ-  
ყოფენ — მის სახელს არ ახსენებენ და მამის (შეიძლება სრულიად  
უსახელო მამის) სახელით მიმართავენ.

სხვათა შორის, რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნუ-  
ლია, რომ მამის სახელით მიმართვამ საუკუნეთა მანძილზე ნაირ-ნა-  
ირი მოდულაცია განიცადა დანიშნულება-მოხმარების თვალსაზრისით,  
მაგრამ პარალელურად ამ ფორმებს არასოდეს არ დაუტოვებიათ სა-

<sup>28</sup> ლ. მ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, რიყრაქიდან რიყრაქამდე: „ცისკარი“, 1982, № 1.



ხუმარო სფეროც<sup>29</sup>. უნდა ითქვას, რომ ეს თვისება აღნიშნულ ფორმულებს ქართულშიც ძალდაუტანებლად გადმოჰყვა — ისინი ძალდაუტანებლად ხშირად სწორედ ოდიოზური ნიუანსის გამოხატვას ემსახურებიან<sup>30</sup>.

მიმართვის ამ ფორმულის შეწყნარება ქართული ენისათვის სრულიად შეუფერებელია, მაგრამ ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებული, იგი უკანასკნელ წლებში საკმაოდ გავრცელდა მხატვრული ლიტერატურის ენაში და ამ გზით კიდევ უფრო განიმტკიცა არსებობის უფლება.

ოდენ მამის სახელით, ისე როგორც სახელითა და მამის სახელით მიმართვაც მწერალს ზოგჯერ სჭირდება როგორც სტილისტიკური საშუალება გარკვეული სიტუაციების დასაზუსტებლად, მოქმედ პირთა სოციალური თუ ინტელექტუალური დახასიათებისათვის. მაგრამ როდესაც ამ ხერხის გამოყენებას საზღვარი არა აქვს, როდესაც თხზულების შინაარსით ნაგულისხმევი ურთიერთობები მას აუცილებლად არ მოითხოვს, მაშინ ის იქცევა შტამპად და უფერულდება, როგორც სტილისტიკური საშუალება. შედეგად იმას ვიღებთ, რომ სხვადასხვა თხზულების მოქმედი პირები ერთმანეთს ემსგავსებიან, თავისთავადობას კარგავენ, ხოლო მწერლის მიერ მომარჯვებული მხატვრული ხერხი ხელიდან გვეცლება, ქრება და გვრჩება მხოლოდ ცხოვრებიდან მხატვრულ ტილოზე უღიმღამოდ, ნატურალისტურად გადატანილი ტიპობრივი ურთიერთობანი. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ:

ერთ მოთხრობაში<sup>31</sup> კინორეჟისორსა და გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელს მისი ჯგუფის წევრები მხოლოდ მამის სახელით მიმართავენ (ყველაფერი ადგილზეა, **დიანოზიჩი**; გისმენთ, **დიანოზიჩი...**), თვითონ ყველა მათგანს სახელით ან გვარით მიმართავს, მაგრამ როგორც კი თავისი უფროსის — სტუდიის დირექტორის კაბინეტის მოსაცდელში მოხვდება, „**კონსტანტინოვიჩის** სცალიაო?“ — ჰკითხავს მდივან ქალს.

29 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ვ. ი. მაქსიმოვისა და ა. ლ. მაქსიმოვას დასახ. წერილი. აღნიშნული მიმართვის ამ თვისებას მოხერხებულად იყენებს ნ. ვ. გოგოლი თავის „შინელში“ პეტროვიჩის მკითხველისათვის წარსადგენად (იხ. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ნ. ვ. გოგოლი, თბ., 1972, გვ. 190—191).

30 ამიტომ, რომ დასახელებული ფორმულები ქართულში ადვილად მოერგო ფამილარულ დამოკიდებულებასაც. ამითვე აიხსნება კეთილგანწყობილი იუმორით ნათქვამი პენდელოვიჩი, შექსპიროვიჩი, ნაფისოვნა და მისთ. (იმთ მიმართ, ვინც პენდელის, შექსპირის, ნაფისის... შემოქმედებას ხანგრძლივად იკვლევს), მურთაზოვიჩი (მამის მიმართ, რომლის შვილი — მურთაზი — რითიმეა სახელგანთქმული), საყვარელოვიჩი (როცა საერთოდ არ იციან მისამართი ობიექტის სახელი) და სხვ.

31 ა. ჩხიკვიშვილი, რეჟისორი: „განთიადი“, 1976, № 3.



სხვაგან<sup>32</sup>, ორი მოქმედი პირის — სარდიონ რაჭველიშვილი<sup>33</sup> და მინაგო ჩარკვიანის ურთიერთობაში სუბორდინაცია ძირითადად მართვებით რეალიზდება. **ერასტოვიჩი** — მიმართავს მინაგო სარდიონს და ორივეს ადგილი მკითხველისთვის გასაგებია, ხოლო როგორც კი მომდევნო თავში იმავე რაჭველიშვილს სხვა პერსონაჟი — ანთიმოზ ჩახუნაშვილი ქართული თავაზის სიტყვით მიმართავს (გისმენთ, **ბატონო სარდიონო**), მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ მინაგო და ანთიმოზი განსხვავებულ დამოკიდებულებაში არიან რაჭველიშვილთან და ეს, მართლაც, სულ უახლოეს სტრუქტურებში ზუსტდება.

საკონსერვო ქარხნის დირექტორი მირიან დევიძე<sup>34</sup> თავის უახლოეს მეგობარს, რომელსაც მინისტრის მოადგილის პოსტი უკავია, მამის სახელით მიმართავს (**ნესტორიჩი**), ასევე მიმართავს რაიკომის მდივანს ბიუროზეც (კი მაგრამ, **ევსტაფიჩი**, რა სჭირს ჩემს საკითხს საგანგებოდ შესასწავლი) და თავის ფიქრებშიც (!) (ან რა უფლება მაქვს უარი ეუთხრა **ევსტაფიჩის** გამოგზავნილ კაცს...), თვითონ მას კი — დევიძეს — მამის სახელით მიმართავენ მძლოლიც და კადრების განყოფილების გამგეც (ბევრი არაფერი, **გედევანოვიჩი**, მინდა ვიცოდე რამდენი მერგება; რა გაცინებთ, **გედევანოვიჩი**?...). საინტერესოა, რომ ავტორისეულ თხრობაშიც ეს პერსონაჟები მამის სახელით იხსენიება, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელები მკითხველმა იცის (სიტყვა ჩამოუვლო **ნესტორიჩს**; **გედევანოვიჩს** არ ეამა აუგად ხსენება და სხვ.).

ტიპიურია ის შემთხვევებიც, როცა ოჯახის წევრები, შვილები, შვილიშვილები... სრულიად ნეიტრალურ სიტუაციაში მიმართავენ ოჯახს უფროსს (მამას, პაპას) მამის სახელით და იგრძნობა, რომ ეს მხოლოდ გასაგები და გამართლებული ფამილარობის გამოვლინება კი არ არის, არამედ იმის ნიშანი, რომ მიმართვის ობიექტი თავის ადგილას, სამსახურში, უფროსია და მას ასე უწოდებენ ზეღპვეითები<sup>34</sup>.

მხოლოდ მამის სახელით ქართველი პატრიარქატი ადამიანის მოხსენიება რომ არათუ უხერხულობას არ იწვევს, არამედ ზოგჯერ კეთილგანწყობისა და სიყვარულის დასტურიცაა, ამაზე მეტყველებს არაერთი სპორტული ყურნალისტის სტატია, რომლებშიც დეაწლმოსილი ქართველი სპორტსმენები ან მათზე ამაგდარი პირები მხოლოდ ამგვარად მოიხსენიება (**ზაზოვიჩი**, **ვასილიჩი**). სტატიებში საგანგებო-

32 რ. კობიძე, გვირის ფოთლები, თბ., 1979.  
 33 ი. ყაჭვიშვილი, გამოცხადება: „მნათობი“, 1979, № 9, 10.  
 34 ნიშნულად იხ. დ. კვიციანიძე, მწვანე ქალაქი: „განთიადი“, 1977, № 6.

და აღნიშნული, რომ ამ ადამიანებს ასე მიმართავდნენ მისი ახლობლები სიყვარულის ნიშნად<sup>35</sup>.

სახელითა და მამის სახელით ან მხოლოდ მამის სახელით მიმართვის ფორმათა დამკვიდრება ქართულში ჩვენი ენის ფუნქციონირების ერთ-ერთი ნაკლოვანი მხარეა, რომელიც აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს; მით უმეტეს, რომ ქართულ ენას აქვს უამრავი საშუალება ამ უხერხულობას თავი დააღწიოს და მოკრძალება თუ თავაზიანობა საკუთრივ ქართული ლექსიკით გამოხატოს.

იყო დრო, როდესაც ბუნებრივი ქართული თავაზის სიტყვები **ბატონო** და **ქალბატონო** საეჭვო ასოციაციების აღმძვრელ სიტყვებად მიაჩნდათ, მაგრამ ამისათვის, როგორც ჩანს, დიდი ხანია არავითარი საფუძველი არ არსებობს<sup>36</sup>. მეტიც, საფიქრებელია, რომ **ბატონი** სემანტიკურად თავიდანვე ხასიათდებოდა გარკვეული ნიუანსური მრავალფეროვნებით და იგი, როგორც ენობრივი საშუალება, იმთავითვე თავაზის გამოხატვასაც ხმარდებოდა. სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ რატომ მიმართავდა მეფე გიორგი XI ბატონობით სულხან-საბა ორბელიანს და მის ძმას:

...ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან! მრავალი მოკითხვა მომიხსენებია... ბატონო სულხან, რაღას მალავთ, რატომ საქაროდ... არ იტყვი, როგორც გარიგებულა<sup>37</sup>.

ბატონო მდივანბეგო ვახტანგ. შენ... მითხარ, ან მეო და ჩემი ძმანო და ან ჩემი შვილი... მე ეს მოგახსენე<sup>38</sup>.

ბატონობით მიმართავს სულხანს და მის ძმას ერასტის შაჰნავაზიც:

...მოგიწერ მე, მეფე შაჰნავაზ, ძმებო, ბატონო საბაე და მდივანბეგო, ბატონო ერასტი! მოგახსენებ ძმათა თქვენთა ქართასა უსაწყლესა მწუხარებათა თქვენთა<sup>39</sup>...

35 ნიმუშად იხ. არჩ. გოგელია, უბერებელი კაცი: „ლელო“, 1980, 20.XII; შ. შალოლაშვილი, თუ მან შეაკეთა: „თბილისი“ 1983, 15.IV და სხვ.

36 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ვახტანგ დიანი, სიტყვას ეცვლება მნიშვნელობა: „საქ. ქალი“, 1965, № 5; შ. ძიძიგური, თავაზიანი მიმართვის ფორმა ქართულში: „ლიტ. საქ.“, 1965, 30.VII; კ. გამსახურდია, ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის: „ლიტ. საქ.“, 1968, 16.XII; ვლ. ფანჩვიძე, ივ. გიგინეიშვილი, მეტყველების კულტურა და ზოგიერთი მოსაზრება: „კომ“, 1970, 15.X და სხვ.

37 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტ. 2, 1909, გვ. 222.

38 იქვე, გვ. 264.

39 სამძიმრის წიგნი, მიწერილი მეფის შაჰნავაზის მიერ ყანდაღრიდან საბასულხან ორბელიანისადმი საბას ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო: იქვე, გვ. 219.



მხოლოდ თავაზის გამომხატველი იყო სიტყვა **ბატონი**, რომელიც ქალის აღმნიშვნელი სახელის განსაზღვრებად გამოიყენებოდა:

...ის ფრანგთ მეფის ქალი ბატონი დედაჩემი რომ მოუყვანიათ, იმას დიდებულს კაცის შვილი მრავალი მოჰყოლია (რუსულ. 277, 13).

ბატონთან ვილაპარაკეთ და სამართალი შენვე დაგჩა. ახლა ბატონი დედოფალიც შუა შემობრძანდა და შენც ფეშქაში მოგვართვი<sup>40</sup>.

ბატონი ყუარყუარე და ბატონი მანუჩარ იქ იდგნეს და ბატონი დედის-იმედი ახალციხეს მოვიდეს!<sup>41</sup>...

და ყენი განჯას მოვიდა და ბატონს მანუჩარს ჩალაბუთი მოსცა და ბატონს დედის-იმედს ხუთი დიდი სოფელი<sup>42</sup>.

ესე წიგნი მოგართვით ჩვენ თქვენ, ჩვენ რძალს, მდივანბეგის ქალს ბატონს გუქას<sup>43</sup>.

ჩემი ქალი ბატონი ხვარამზე გულაწმენდით თქუენის შვილის ავთანდილისათვის მომიციემა<sup>44</sup>.

თავაზის გამომხატვის მიზნით და ოდიოზური ნიუანსით მოხდენილად იყენებს აღნიშნულ სიტყვას გრ. ორბელიანი: **მარიამ ბატონის** რძალიც მოკუდა; ჩემი **ბიძია ბატონი** ალექსანდრე მწერს; ახლა ჩემო ღთისწყალობავ ძმაო, **ბატონო ილიკოვ!** ჩემო **ბატონო ილიავ** იარანალო; ჩემო ბურიენო **ბატონო დიმიტრი** და ა. შ.<sup>45</sup>

ბუნებრივ დარბაისლურ ქართულად ისმის **ბატონი||ბატონო** ქალის განსაზღვრებად დ. კლდიაშვილის თხზულებებში: ოხ, **ბატონ პეღაგაის** ვახლავართ; კი, **ბატონო მართა**; **ბატონო ეკა**, თუ გებრალე-ბით, ღვინოს ნუ დაგვანახვებთ; თქვენთან უკაცრავად, **ბატონო ირინე** და სხვ<sup>46</sup>.

<sup>40</sup> ადგილის დათმობის წიგნი ბატონიშვილების კოსტანტილესი და ოტიასი: იქვე, გვ. 248.

<sup>41</sup> ცხ"ბა საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 48.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>43</sup> საქართველოს სიძველენი, I, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1920, გვ. 128.

<sup>44</sup> გ. სააკაძის ვინაობის შესახებ: „საისტორიო კრებული“, IV, 1929, გვ. 75.

<sup>45</sup> გრ. ორბელიანი, წერილები აკ. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით I, 1936, გვ. 51, 64; II, 1937, გვ. 52, 157, 169.

<sup>46</sup> დ. კლდიაშვილი, თხზულებანი: „ჩვენი საუნჯე“, ტ. 14, თბ., 1961. გვ. 326, 334, 362, 389, 390, 395 და სხვ. რუსულ თარგმანში აღნიშნული მიმართვის ფორმა კონტექსტის მიხედვით სხვადასხვაგვარად გადადის. ძირითადი ვარიანტებია: Дорогая, уважаемая, родимая და მისთ. შდრ. დ. კლდიაშვილი, Сочинения в двух томах, т. II, перевод с грузинского Н. Чхеидзе, Тб. 1952, გვ. 8, 31, 53, 57, 58, 62 და სხვ.

ამგვარი მიმართვები ხშირად გვხვდება ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის მიმოწერაშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თედო სახოკიას წერილები ეკატერინე გაბაშვილისა და ნატო გაბუნია-ცაგარლისადმი (ჩემო დიდად პატივცემულო ბატონო ეკატერინე...; დიდად საყვარელო ბატონო ნატალია, დიდად და დიდად გმადლობთ თქვენის წერილისათვის...)47; ტასო მახაბლის წერილები მარჯორი უორდროპისადმი (ძვირფასო ბატონო მარჯორი; დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორი, ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორი...)48 და მრავალი სხვა.

ყველა ზემოთ მოყვანილი საბუთი იმ თვალსაზრისს უჭერს მხარს, რომ სიტყვა ბატონი უკვე კარგა ხანია დაცლილია სოციალური შინაარსისაგან და თავის უპირველეს დანიშნულებას — თავაზის გამოხატვას ემსახურება. ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში ამ სიტყვის სხვა, ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობებიც არის აღნიშნული49. უფრო დაწვრილებით ამაზე მიუთითებდა გ. ახვლედიანი50. დღესდღეობით კიდევ უფრო ფართოვდება ამ სიტყვის მოხმარების არე სხვადასხვა სტილისტიკური დანიშნულებით. კერძოდ, თუ ბატონო საკუთარი არსებითი სახელის წინ დგას (ბატონო დავით), მაშინ ან გულწრფელი თავაზიანობა გვესმის, ან ირონიული (ყალბი), ხოლო თუ ბატონი მოსდევს საკუთარ სახელს (დავით ბატონო), მაშინ ან ფამილარული დამოკიდებულება მქლავნდება, ან კვლავ ირონია51.

გამოყენების თვალსაზრისით ბატონო-ს გვერდით უდვას ქალბატონო, რომელსაც, მართალია, შედარებით შეზღუდული მოხმარების

47 იხ. თინა სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან: „საისტორიო მოამბე“ ტ. 32, 33—34. თბ., 1976. აქვე (ტ. 32, გვ. 204) დაბეჭდილია იპოლიტე ვართავას მიერ 1898 წ. 5 იანვარს მიწერილი ერთი ბარათი თედო სახოკიასადმი, რომლის დასაწყისი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველ ინტელიგენციას დიდხანს ეუცხოებოდა მიმართვის ფორმულებში მამის სახელის მონაწილეობა: „კეთილად მოსაგონარო ძმავ, ამხანავო თედო („იჩს“ არ გწერ, რადგან ქართველებმა არ იციან „იჩობა“...)“.

48 იხ. წერილები უორდროპებისადმი, გ. შარაძის პუბლიკაცია: „მნათობი“, 1983, № 2.

49 ქეგლ, 1.

50 იხ. მისი „სიტყვას ეცვლება მნიშვნელობა“. „საქ. ქალი“, 1965, № 5.

51 შდრ. ანა კალანდაძის „ოქროს ნისკარტი, ჯეინჩა ბატონო!“ სხვათა შორის, მიმართვის ფორმულებში ერთ დროს ქართველი ინტელიგენცია იყენებდა სიტყვა უფალო-საც. სადგო არაა, რომ ამ სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა არსად, არც ერთ მიმართვაში არ ივარაუდებოდა. ესეც ერთ-ერთი თავაზის ფორმა იყო. მაგრამ ენამ ის ვერ შეისისხლხორცა, დროთა განმავლობაში მან დაკარგა მიმართვის ფუნქცია და გაქრა აღნიშნული ფორმულებიდან.

სფერო აქვს, მაგრამ, რაც ამჟამად ჩვენთვის უმთავრესია, ისიც წარმატებით ასრულებს თავაზის ფუნქციას. ამიტომ რუსულ თარგმანებში ეს სახელები ან პირდაპირ გადააქვთ ქართული ტრანსლიტერაციით (ბათონო, კალბათონო) და პირველად ხმარებისას ზოგჯერ სქოლიოში მითითებულია განმარტებები (Форма вежливого обращения к мужчине,... к женщине), ან მათ ენაცვლება კონტექსტის შესატყვისი თავაზის სიტყვები (уважаемый, дорогой, родной, друг мой, товарищ და მისთ.), ან მთარგმნელი ისევე კონტექსტის შესაფერისად იშველიებს მამის სახელს<sup>52</sup>.

რომ ამგვარი შენაცვლება სწორია და ბუნებრივი ორივე ენის თვალსაზრისით, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ პირუკუ შემთხვევებში, როცა რუსულიდან ითარგმნება ისეთი სიტყვები, რომელშიც სახელ-მამისსახელიანი შესიტყვება თავაზის, მოკრძალების გამოხატვას ემსახურება, იგი (სახელი და მამის სახელი), როგორც წესი, ამ ბოლო დროს ითარგმნება ბათონო (ქალბათონო)-ს მოშველიებით<sup>53</sup>.

თავაზის გამოხატვის მიზნით გამოდგება აგრეთვე პატივცემულო და ამხანაგო (სიტუაციისა და კონტექსტის შესაბამისად), ოღონდ, როგორც აღნიშნულია<sup>54</sup>, სწორი ქართულის თვალსაზრისით საჭიროა, რომ მიმართვისას ეს სახელები მსაზღვრელები იყოს და მათ მეწყვილედ საკუთარი არსებითი სახელები ჰქონდეთ. ე. ი. არ ვარგა ამგვარი გამოთქმები: პატივცემულო, აქეთ მობრძანდით, ან ამხანაგო, გთხოვთ მომარადოთ და მისთ. უნდა ითქვას: პატივცემულო გიორგი, პატივცემულო ნინო, ამხანაგო ირაკლი, ამხანაგო თამარ და ა. შ. როგორც ჩანს, უხერხულობის საფუძველს თვით აღნიშნულ სახელთა სემანტიკა იწვევს, ამიტომ, თუ არ არის საშუალება, რომ საკუთარი სახელე-

52 ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაძლევს ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“ ქართული და რუსული ვარიანტის შედარება: ქართ. ბათონო ბაჩანა, რუს. Бачана Акакиевич; ბათონო გივი — Гиви Давидович; ბათონ შალვა ხელაიას — Товарища Шалву Хелая; ქალბათონო ელენე — Елена Сергеевна და ა. შ. (იხ. ნ. დუმბაძე, მარადისობის კანონი, თბ., 1978, გვ. 150, 154, 165, 198, 200, 205, 222 და სხვ. შტრ. Закон вечности, рассказы, перевод З. Ахвледиани, Тб., 1979, გვ. 135, 138, 147, 178, 179, 184, 198 და სხვ.).

53 სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ გავ. „პრავდიდან“ გადმობეჭდილი ერთი წერილი (ნ. მიშინა, აქ ვარსკვლავები ისე ახლოა: „კომუნისტი“, 1983, 20 IV), რომელშიც მოთხრობილია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსებისა და მუშაობის შესახებ. ობსერვატორიის დამაარსებელი აკად. ევგ. ხარაძე წერილის რუსულ ვარიანტში, ბუნებრივად, მამის სახელით იხსენიება, ქართულში კი — სწორი ქართული თავაზის ფორმით — ბათონი ევგენი.

54 ვლ. ფანჩივიძე, ივ. გიგინეიშვილი, დასახ. წერილი.



ზიც ვიხმართ მათ გვერდით (ვთქვათ, იმიტომ, რომ არ ვიცნობთ მის მართვის ობიექტს, არ ვიცით მისი სახელი), მაშინ უმჯობესია ვიხმაროთ ნეიტრალური დამოკიდებულების აღმნიშვნელი მიმართვის ფორმა მოქალაქე[ვ].

ისიც აღსანიშნავია, რომ მიმართვის ფორმულებში მონაწილე ამ, შედარებით ახალი ლექსიკური ერთეულებიდან ყველაზე ფართო მოხმარებისაა ამხანაგო, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრებულია ქართველის მეტყველებაში. ქართულმა ენამ ერთგვარად დააკანონა კიდეც ამ სახელის მიმართვად გამოყენების წესები. კერძოდ, ამხანაგო (არსებით სახელთან ერთად) მიმართვის აუცილებელი წევრია ჩვენი ყოფის გარკვეულ სფეროებში, საგანგებო სიტუაციებში, ოფიციალურ შეკრებებზე, ახალგაზრდულ ფორუმებზე და ა. შ. ხოლო ამ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა (ამხანაგებო!) თითქმის შეუცვლელია ფართო აუდიტორიისადმი მიმართვის დროს.

მიმართვის სხვა სახელებისაგან განსხვავებით ამხანაგო ადვილად ეგუება ადამიანის როგორც სახელთან, ისე გვართან მეწყვილეობას. ამხანაგო დავით და ამხანაგო აბაშიძე თანაბრად ბუნებრივი ქართული მიმართვებია, ოღონდ განსხვავებულია ამ წყვილთა მოხმარების სფეროები მიმართვის ობიექტისადმი სიახლოვე-სიშორისა და სუბორდინაციის თვალსაზრისით. არის სხვა ნიუანსებიც, რომლებიც ხაზს უსვამს მიმართვის აღნიშნული ფორმის მოქნილობასა და პერსპექტიულობას<sup>55</sup>.

ამგვარად, ქართულ ზეპირმეტყველებაში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში — ყველგან ქართველი ქართველს უნდა მიმართავდეს სწორი ქართული მიმართვი: ბატონო ივანე, ქალბატონო ანა, პატივცემულო ვიორგი, ამხანაგო ირაკლი და ა. შ. და არა: ივან პეტროვიჩ, ანა დავიდოვნა, ანდა: ივანე პეტრეს ძე, ანა დავითის ასულო და მისთ. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქართულად მოაზროვნე კაცის ცნობიერებაში მხოლოდ სახელის (და გვარის) ცოდნა არის საკმარისი ადამიანის ცნობა-დამახსოვრებისათვის, რუსულად მოაზროვნე კი ასევე აუცილებლად მიიჩნევს მამის სახელსაც. ქართველს მეხსიერებისათვის ძალდატანება მოუხდება ყვე-

55 მიმართვის ამ ნაირ-ნაირ ლექსიკურ საშუალებებს თანამედროვე ქართული მწერლობა კარგად იყენებს, როგორც მხატვრულ ხერხსაც. ამ მხრივ დასამახსოვრებელ შთაბეჭდილებას ახდენს ნ. დუმბაძის გმირის ბაჩანა რამიშვილისა და პარტიის რაიკომის თანამშრომელთა საუბარი. ამ საუბრისას ნახმარი მიმართვის ფორმების — ბატონო-სა და ამხანაგო-ს „უწყინარი“ მონაცვლეობა რომანის ამ მონაკვეთის სიუჟეტურ ქვეტექსტსაც გამჟღავნებს ხდის და მთელი საუბრის მხატვრულ ეფექტსაც აძლიერებს.

ლა თავისი (თუნდ კარგი) ნაცნობის მამის სახელი რომ მოიგონოს (ალბათ მკრეხელობას ვერც იმას დავარქმევთ, რომ ქართველთა ინტელიგენციის დიდ ნაწილს ძალდაუტანებლად ვერ გაახსენდება ჩვენი გამოჩენილი ეროვნული მოღვაწეების — მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების მამის სახელები, მაშინ როდესაც შეუტყდომლად იცის, რომ პუშკინი **ალექსანდრ სერგეევიჩი** იყო, ლერმონტოვი — **მიხაილ იურიევიჩი**, ჩაიკოვსკი — **პიოტრ ილიჩი** და ა. შ.), ხოლო რუსისთვის ეს სრულიად ბუნებრივი ფსიქიკური პროცესია (ე. წ. აზროვნებითი ფიქსაციაა), რადგან მისთვის მისი მეგობარი, კოლეგა, ნაცნობი ან მეზობელი ვახლი კი არა, ვასილ პეტროვიჩია ან ნინა ივანოვნაა და არა მხოლოდ ნინა. ამ განსხვავებას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ამგვარად, პიროვნებისადმი მიმართვის ფორმების მოწესრიგება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სადღეისო ამოცანაა. ამ ამოცანის სწორად გადასაწყვეტად საჭიროა ზეპირმეტყველებიდან მთლიანად განიდევნოს სახელითა და მამის სახელით ან მხოლოდ მამის სახელით მიმართვა, მის მაგიერ კი გამოვიყენოთ ისტორიულად კანონიერი და ქართულისათვის ბუნებრივი თავაზის სიტყვები, ეს თავისთავად შეზღუდავს ორიგინალური ლიტერატურის ენაში სახელმამისსახელობით მიმართვის უცხო მოდელის გავრცელებას. უკანასკნელი მწერალმა შეიძლება გამოიყენოს ზომიერად, როგორც მხოლოდ სტილისტიკური ხერხი. მხატვრულ თარგმანში კი მხარი უნდა დაეუჭიროთ სწორედ რუსულისებურ მიმართვას (აკაკი აკაკიევიჩი-სა და პულხერია ივანოვნა-ს ტიპისას), როგორც ორიგინალის ეროვნული სპეციფიკის გამოვლენის ერთ-ერთ მოხერხებულ საშუალებას.

საკითხი დაისმის თარგმნილი ინფორმაციებისა და ოფიციალური მიმართვების (ე. წ. ადრესების) შესახებ. ალბათ მართებული იქნება, თუ დავიცავთ ენის მიერ უკვე ნაწილობრივ შემუშავებულ სწორ წესს და, როდესაც ინფორმაცია რუს პიროვნებას ეხება, მას მამის სახელით ვახსენებთ (**ვლადიმერ თევდორეს ძემ, სოფიო მიხეილის ასულმა...**), ხოლო თუ ქართველს — ქართული თავაზის სიტყვებით (**ბატონმა..., ქალბატონმა..., ამხანაგმა..., პატივცემულმა... და ა. შ.**). ასევე მოვიქცევით ადრესებშიც: ქართველ ადრესატებს ქართული წესისამებრ მივესალმებით ოფიციალურ საბუთებშიც (**ბატონო გიორგი ან ძვირფასო ბატონო გიორგი ან დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი, მოგილოცავთ...**), ხოლო რუს ადრესატებს მივესალმებით რუსული წესისამებრ (**ძვირფასო იგორ ანდრეის ძე, მოგილოცავთ...**).

რასაკვირველია, საკითხის მოგვარების პროცესში ბევრი რამ სავსა-  
განგებო დაკვირვებას და დამოკიდებულებას მოითხოვს (მაგალითად, სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული მნიშვნელობის თარგმნილი ინფორმაციები); შეიძლება ზოგი დაბრკოლებაც გაჩნდეს; შესაძლებელია ზოგმა, უკვე ღრმად ტრადიციულმა ფორმამ გამონაკლისის უფლებაც მოიპოვოს. ენა ამგვარ გამონაკლისებს ადვილად მოუვლის.

---

მარინო ოსაძე

## რუსული ენის უმათიერებელხმოვნინანი კომპოზიტივის ქართულად გადმოცემისათვის

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პირობებში ტერმინოლოგიური ლექსიკის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ახალი მოვლენებისა და მეცნიერული დარგების ზრდა მოითხოვს მათ სახელდებას.

ტერმინების შექმნის ერთ-ერთი გზა ენის ფლექსიურ-დერივაციული საშუალებებია. სიტყვათა აფიქსაციის შემდეგ ახალი ტერმინების შექმნის უწყვეტ ბაზას სიტყვათა თხზვა წარმოადგენს. კომპოზიცია ტერმინთა მიღების ყველაზე პროდუქტიული გზაა.

კომპოზიციის საშუალებითაა მიღებული ქართულში უამრავი ახალი მეცნიერული ტერმინი, რომელთაც მანამდე სალიტერატურო ენა არ იცნობდა. ასე, მაგალითად: აირსადენი, ქანჩსაჭრელი, მთვარეშავალი, მრავალკუთხედი, წყალსარინი და სხვ.

ყოველ ენას თხზული სიტყვის შექმნის თავისი საკუთარი ყალიბი მოეპოვება. ქართულ ენაშიც კომპოზიტთა მოდელები საუკუნეების მანძილზე შემუშავებულა. სახელთა თხზვა არაერთი ქართველი მეცნიერის საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა.

ჩვენი სტატია მიზნად არ ისახავს აღწეროს ენობრივ კომპოზიტთა ტიპები. ამჯერად განვიხილავთ მხოლოდ კომპოზიტების ერთი ჯგუფის ზოგიერთ თავისებურებას, როდესაც მათი სტრუქტურა და სემანტიკა სირთულეს ქმნის რუსულიდან ქართულად თარგმნისას. საანალიზო მასალად გამოყენებულია რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია<sup>1</sup>.

კომპოზიტების რუსულიდან ქართულად გადმოღებისას გამოყენებულია ყველა ის შესაძლებლობა თხზვისა, რაც ქართული ენისათვისაა სპეციფიკური. ყველაზე მეტად პროდუქტიულია ის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის ფუძეები წარმოშობით ერთმანეთის მიმართ

<sup>1</sup> ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1977.



შსაზღვრელ-საზღვრულია. ამ შემთხვევებზე აქ საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურიდან ყველასათვის კარგადაა ცნობილი<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ის შემთხვევები, როდესაც რუსული კომპოზიტების შესატყვისად ქართულში გვაქვს არა რთული სიტყვა, არამედ მიმლეობა, საწყისი, დერივაციული ან თანდებულიანი სახელი.

მაგალითად:

- ა) მიმლეობითაა გადმოცემული:
  - узловязатель — მნასკველი
  - узловязательный — სანასკვი
- ბ) საწყისითაა გადმოცემული:
  - лучеиспускание — გამოსხივება
- გ) დერივაციული სახელითაა გადმოცემული:
  - чуркоразделочный — საკორკოშელო
- დ) თანდებულიანი სახელითაა გადმოცემული:
  - камерообразный — კამერისებრი

რუსულში რთული სიტყვების სხვადასხვა ტიპს გამოყოფენ<sup>3</sup>. ზოგადი, რაც ყველა ტიპის კომპოზიტების წარმოებას ახასიათებს, ეს არის შემაერთებელი *o* და *e* ხმოვნების საშუალებით სიტყვის ფუძეების დაკავშირება. ეს ხმოვნები ფონეტიკურად განპირობებული ვარიანტებია, მათი ხმარება ფუძის რაგვარობაზე დამოკიდებული.

შემაერთებელი ხმოვნის წარმომავლობაზე არსებობს მოსაზრება, რომ ის მოგვიანო ხანის წარმონაქმნია, კერძოდ კი იმ დროისა, როცა განვითარდა ფლექსია. მისი წარმოშობა დაკავშირებულია *o*-ბოლო ხმოვნიან სახელებთან. მიაჩნიათ, რომ შემაერთებელი ხმოვანი მიღებული უნდა იყოს სწორედ *o*-ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით. თავდაპირველად ეს ხმოვანი გაჩნდებოდა თანხმოვანფუძიან სახელებთან, შემდეგ კი ხმოვანფუძიანებთანაც<sup>4</sup>.

შემაერთებელხმოვნიანი რუსული კომპოზიტებია: полотер, водовоз, огнетушитель, камнеотделитель და მრავალი სხვა.

ამ ტიპის რუსული კომპოზიტები არავითარ სირთულეს არ ქმნის ქართულად გადმოღებისას.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 149—164.  
<sup>3</sup> Грамматика русского языка, I, фонетика и морфология, М., 1960, გვ. 271.  
<sup>4</sup> Е. А. Василевская, Словообразование в русском языке, М., 1962,



სხვაგვარად დგას საკითხი უცხო წარმომავლობის კომპოზიტების თარგმნისას. რუსულში ეს კომპოზიტები მეტწილ შემთხვევაში ერთებელხმოვნია, რომელიც მათ ზოგჯერ ქართულ კომპოზიტშიც გადმოჰყვებათ. სწორედ აქ იჩენს თავს სიძნელეები.

უცხოურიდან ნასესხები კომპოზიტები, ძირითადად, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1) უცხო წარმომავლობის კომპოზიტები, რომლებიც მთლიანად (თავის კომპონენტებიანად) ნასესხები ა. ა. სე, მაგალითად, რთული შედგენილობის ბერძნული წარმომავლობის სიტყვა **термометр** — **თერმომეტრი**, რომელიც ორი ფუძისაგან შედგება: **thermē** — „სითბო“ და **metreō** — „ვზომავ“, რუსულშიც და ქართულშიც უცვლელადაა დატოვებული. ამ რიგის ტერმინებია: **ვიბროგრაფი**, **ჰიდროავიაცია**, **გალვანოსკოპი**, **კოსმოცენტრი**, **მიკროამპერი**, **ელექტროაკუსტიკა** და სხვები.

2) ჰიბრიდული წარმომავლობის კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი უცხოური ნასესხობაა, მეორე კი — რუსული. მაგალითად: **магнитопроводимость** — **მაგნიტგამტარობა**, **аминокислоты** — **ამინომჟავები**, **камерооборот** — **კამერასაბრუნე** და სხვ.

გამოდის, რომ რუსულში ორსავე შემთხვევაში რთული სიტყვის კომპონენტებს შორის **o** ხმოვანი გვაქვს. ქართულში პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც რთული სიტყვა მთლიანად უცხოური წარმომავლობისაა, რუსულის მსგავსად **o** ხმოვანი გვაქვს: **ვიბროგრაფი**, **კოსმოცენტრი**, **თერმომეტრი** და სხვ. ხოლო, როცა რთული სიტყვა ჰიბრიდულია (პირველი კომპონენტი უცხო წარმომავლობის ფუძეა, მეორე კი — რუსული), **o** ხმოვანი ქართულ კომპოზიტს არ გადმოჰყვება.

ვნახოთ ეს დამატებით მასალაზე. **Магнито-კომპონენტიანი** რთული სიტყვების ქართულად გადმოღებისას ორი ჯგუფი გამოიყოფა:

ა) **მაგნიტ-** ფუძეს **o** ხმოვნით უკავშირდება შომდევნო კომპონენტი. მაგალითად: **მაგნიტოგრამა**, **მაგნიტოგრაფი**, **მაგნიტომეტრი**, **მაგნიტოოპტიკური**.

ბ) **მაგნიტ-** ფუძის სახით, **o** ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი. მაგალითად: **მაგნიტმატარებელი** — **магнитоноситель**, **მაგნიტამგზნები** — **магнитовозбудитель**, **მაგნიტამოძრავებელი** — **магнитодвижущий**. თითქოს გარკვეული კანონზომიერება ჩანს:

ა) ის უცხოკომპონენტებიანი სიტყვები, რომლებიც საერთაშო-



რისო ტერმინებად ქცეულა და მრავალ ევროპულ ენაში გვხვდებოდა, რუსულ სულში (აქედან კი — ქართულშიც) **მ** ხმოვნითაა დამკვიდრებული.

ბ) ის სიტყვები, რომლებსაც პირველი კომპონენტი უცხოური აქვს, მეორე კი — რუსული, ქართულად გადმოცემისას **მ** ელემენტს არ საჭიროებს.

**ო** ხმოვანი რუსულ კომპოზიტებში ფუძისეული რომ ნამდვილად არ უნდა იყოს, ამას ის მოწმობს, რომ სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა, ბერძნულში კი მას ასეთი ფორმა აქვს — **Magnetis**. მაგრამ, თუ ეს რუსულის სპეციფიკური შემაერთებელი ხმოვანია, მაშინ როგორღა უნდა აიხსნას ამ **ო-ს** არსებობა საერთაშორისო ტერმინებში, იმგვარ რთულ სიტყვებში, როგორცაა: **магнитофон, магнитограф, магнитометр?**

ამგვარ შემთხვევებში საჭიროა გაირკვეს:

ა) საანალიზო **ო** ხმოვანი ხომ არ წარმოადგენს უცხო წარმომავლობის სიტყვის ფუძისეულ ხმოვანს რუსულ ტერმინში?

ბ) ასეთივე შემაერთებელხმოვნის წარმოება ხომ არ არის იმ ენებშიც, საიდანაც ეს ტერმინები შემოვიდა?

ამკარაა, რომ **ო** შემაერთებელი ხმოვანია, მაგრამ საინტერესოა, არის ეს საკუთრივ რუსული შემაერთებელი ხმოვანი თუ იმავე ბერძნული ენისაა, რომელიც თან გადმოჰყვა ამ სიტყვებს რუსულში. შესაძლებელია, აქ ბერძნულ **ო** და რუსულ **ო** ხმოვანთა ფონეტიკურ დამთხვევასთანაც გვქონდეს საქმე.

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს საკითხი შემაერთებელი **ო-ს** წარმომავლობის შესახებ, რომელი ენიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, სულერთია, ქართული ჰიბრიდული კომპოზიტი შემაერთებელ ხმოვანს უგულვებელყოფს.

მაგრამ, ამავე დროს, ქართულში გამოიყოფა საკმაოდ დიდი ჯგუფი რთული სიტყვებისა, სადაც ორი უცხოური ფუძის შეერთების დროსაც არა გვაქვს **მ** ხმოვანი — რუსულისაგან განსხვავებით. ასე, მაგალითად: **აზბესტბეტონი — асбестобетон, ალუმინპროფილაქტიკა — алюминопрофилактика, ბამბუკბეტონი — бамбукобетон, ალდეჰიდკეტონები — альдегидкетоны** და სხვ.

**აზბესტი** ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (<asbestos). ამ ფუძის შემცველ ქართულ კომპოზიტებში **მ** ხმოვანი არ დასტურდება. ანალოგიურ შემთხვევაში, როცა **магнито-** ფორმით შედგენილი უცხო-კომპონენტის სიტყვები გვქონდა, აღნიშნული ხმოვანი ქართულ კომპოზიტებს გადმოჰყვა. აქ კი უკვე განსხვავებულ წარმოებას ვხვდებით. ქართულ კომპოზიტებში **აზბესტი** ოდენ ფუძის სახითაა წარმოდ-



გენილი და უკვე ქართულ ყალიბებს დაქვემდებარებული. ასევე **ასფალტბეტონი** — **асфальтобетон** (ასფალტიც ბერძნული წარმოშობისაა — **asphaltos**). რატომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში ასფალტობეტონი?

**Бензоаппарат** ქართულად **ბენზინის აპარატი**. ამ კომპოზიციის ორივე კომპონენტი უცხო წარმომავლობისაა. თითქოს აქ ქართულ კომპოზიტში მოსალოდნელი იყო **ო** ხმოვანი — **ბენზოაპარატი**, როგორც ანალოგიურ შემთხვევაში გვაქვს. მაგალითად: **ბენზონაფთოლი**, **ბენზოქინონი**, **ბენზოელექტროლი**.

ისეთ კომპოზიტებში, რომლებშიც შეერთებულია ორი უცხო წარმომავლობის ფუძე და რომლებიც რუსულში შემაერთებელხმოვნია, ქართულშიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ყველგან უნდა გვქონოდა ხმოვანი, მაგრამ ზოგჯერ ეს მოდელი დარღვეულია (**აზბესტბეტონი**, **ალუმინპროფილაქტიკა**, **ბამბუკბეტონი...**). მართალია, აქ ორივე ფუძე უცხოურია, მაგრამ, შესაძლებელია, კომპოზიტი საკუთრივ რუსულშია. შექმნილი. ამიტომაც ამგვარი კომპოზიტები ქართულად გადმოღებისას შემაერთებელ ხმოვანს არ საჭიროებენ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჰიბრიდული კომპოზიტები რუსულში (ისეთი თხზული სიტყვები, რომელთა ერთი კომპონენტი უცხოური წარმომავლობისაა, მეორე კი — რუსული) შემაერთებელხმოვნია.

საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია ერთ პრინციპს მიჰყვება ჰიბრიდული კომპოზიტების რუსულიდან გადმოღებისას. ლექსიკონი ამგვარ კომპოზიტებში უგულვებლყოფს შემაერთებელ **o** ხმოვანს, ე. ი. უცხო მორფემას და ოდენ ფუძით წარმოგვიდგენს რთული სიტყვის პირველ კომპონენტს.

ასე, მაგალითად:

- აზბესტქაღალდი — асбобумага
- ასფალტდამგები — асфальтоукладчик
- იოდსახამებელი — йодокрахмальный
- ბენზინჩასახმელი — бензозаправочный
- ბომბსაჭერი — бомбодержатель
- ტემპერატურაგამტარობა — температуропроводность
- ენერგიაშემცველი — энергонсситель
- ფაზაგაღამბრუნი — фазоопрокидывающий
- მაგნიტურდრეკადი — магнитоупругий

მაგალითად:

- აერობაზი — аэролиния
- აეროსასხურებელი — аэроопрыскиватель
- დინატროუჯრედი — динаatroклетчатка
- სულფონაერთები — сульфосоединение
- ამიდოსაღებავი — амидокраска
- ამიდომჟავები — амидокислоты
- ამიდოჯგუფი — амидогруппа
- პნევმოსაშრობი — пневмосушилка
- ტურბობურღი — турбобур
- ტურბომშენებლობა — турбостроение
- ტურბოორთქლმავალი — турбопаровоз
- ტურბოლერძული — турбоосевой
- ტურბოტუმბი — турбонасос
- ტურბოსაჭირხნი — турбонагнетатель
- ტურბოქვაბი — турбокотел
- ტურბომძრავა — турбодвигатель
- ტურბოხრახნიანი — турбовинтовой
- ენერგომომარაგება — энергоснабжение
- ენერგომატარებელი — энергопоезд

ზემოთ დასახელებულ სიტყვებს, რომლებშიც პირველი ფუძე უცხოურია, მეორე კი — ქართული, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, **o** ხმოვანი არ უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, **ტურბობურღი — турбобур**, ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ტურბინა ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა — **turbine**. ჩანს, რომ **o** ხმოვანი არ წარმოადგენს ფუძისეულ ხმოვანს ფრანგულში. ამიტომ, რადგანაც **o** ხმოვანი შემეერთებელი ჩანს, ქართულმა ის უნდა უგულვებელყოს და თავისი საკუთარი ყალიბის მიხედვით აწარმოოს კომპოზიტი. მართლაც, **ტურბობურღის** ნაცვლად ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილია **ტურბინბურღი** ან **ტურბასაბურღი**. ამის მსგავსად შეიძლება გაკეთდეს სხვა ზემოთ დასახელებული ჰიბრიდული კომპოზიტებიც. მაგალითად: **ჰაერობაზი**, **ჰაეროსასხურებელი**, **დინატრონუჯრედი**, **სულფიდნაერთები**, **ამიდსაღებავი**,



ამიდმუავეები, ტურბინმშენებლობა, ტურბინდერძული, ტურბინსაქობა-  
ხნი, ენერგიამომარაგება, ენერგიამატარებელი.

მაგრამ თუ ჭირს რუსული ჰიბრიდული კომპოზიტების გადმო-  
ღება ქართულად ოდენ ფუძის სახით, მაშინ ტექნიკური ტერმინოლო-  
გია რუსულ თხზულ სიტყვებს მსაზღვრელ-საზღვრულად აქცევს. მა-  
გალითად, **энерговооруженность**—ენერგეტიკული აღჭურვილობა, **шпа-  
лопиление**—შპალების ზერხვა, **ремонтосложность**—რემონტის სირთუ-  
ლე, **тракторохозяйство**—სატრაქტორო მეურნეობა...

ამრიგად, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში წარმოდგენილი კომპო-  
ზიტების განხილვამ ცხადყო, თუ როგორ ჭრელ სურათს ვიღებთ რუ-  
სულიდან ქართულად ტერმინების თარგმნისას.

კომპოზიტებში ერთგვარი სურათის მისაღწევად საჭიროა და-  
ზუსტდეს იმ ტერმინთა თარგმნის პრინციპი, რომლებიც შემაერთე-  
ბელხმოვნიანი წარმოებისაა რუსულში. საჭიროა გავითვალისწინოთ  
მათი კომპონენტების წარმომავლობა. თუ **о** უცხო ენის ფუძისეული  
ხმოვანია, იგი ქართულშიც გადმოჰყვება ტერმინს, ხოლო თუ იგი რუ-  
სულის სპეციფიკური მორფემაა, ქართულ კომპოზიტში მიზანშეუწო-  
ნელია მისი დატოვება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა  
ცნობილი, მორფოლოგიური ინვენტარის სესხება არ უნდა ხდებოდეს  
და იგი მხოლოდ „იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, როდესაც  
ენაში დიდი რაოდენობით არის შემოსული ერთი და იგივე ფუძე და  
სადაც ერთი და იგივე აფიქსი მრავალჯერ მეორდება სხვადასხვა ფუ-  
ძეში“<sup>5</sup>.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნის ტერმინო-  
ლოგიური ლექსიკა წარმოადგენს კომპოზიტების ზრდის მნიშვნელო-  
ვან ბაზას. სწორედ ამიტომაც საჭირო, კიდევ უფრო მეტად დაზუსტ-  
დეს რთულ სიტყვათა სტრუქტურის ზოგი პრინციპული საკითხი. \*

<sup>5</sup> ბიძ. ფ. ი. ხ. უ. ა., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 344.

ლია კაივაური

## გერმანული ch ბრაჟემის ქართულად გადმოცემის საკითხისათვის

სხვადასხვა ენის ორთოგრაფიიდან ცნობილია შემთხვევები, რო-  
ესაც ერთი და იგივე ბგერა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა  
ხიშნითაა გადმოცემული, ან, პირიქით, რამდენიმე სხვადასხვა ბგერა  
ერთი და იმავე ხიშნით გადმოიცემა. ამ უკანასკნელი შემთხვევის  
ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს **ch** შეხამება გერმანულ ენაში.

გერმანულში **ch** გრაფემის ფონეტიკურმა რეალიზაციამ შეიძლება  
საში სხვადასხვა ტრანსკრიფცია მოგვეცეს: **k**, **x** და **h**.

1. **k** თანხმოვნის გადმოცემა **ch** გრაფემით იშვიათია და ამ გზას  
ძირითადად მიმართავენ ბერძნული წარმომავლობის სიტყვებში:  
Charakter, Christ, Chaos, Chlor, Chronik<sup>1</sup> და სხვ.

**ch** გრაფემით **k** ბგერის ქართულად გადმოცემის საკითხი ამჟამად  
ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს.

2. გერმანული ენის ორთოგრაფიაში **ch** გრაფემით გადმოცემუ-  
ლია **x** ბგერა **a**, **o**, **u** ხმოვნებისა და **au** დიფთონგის შემდეგ. ეს წარ-  
მოთქმა „ach-Laut-ის სახელწოდებითაა ცნობილი (Macht, Sprache,  
acht, noch, Epoche, auch, rauchen...).

**ch** შეხამების **x** ბგერად წარმოთქმა განხილულ უნდა იქნეს, რო-  
გორც ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის მაგალითი. უკანა  
რიგის ხმოვნებთან მეზობლობა (მათ შორის — **a**-სთანაც) იწვევს **x**-ს  
არტიკულაციას. Buch წარმოითქმის როგორც bu:x, განსხვავებით  
Bücher-ისაგან, სადაც ეს **ch** შეხამება **h**-დ წარმოითქმის: büher<sup>2</sup>.

**X** ბგერა ნაპრალოვანი უკანაენისმიერი თანხმოვანია. მისი წარ-

<sup>1</sup> ამ სიტყვებში ბერძნული **x** ქართულში ქ-თი გადმოიცემა (იხ. თანამედროვე  
ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1, თბ., 1970, გვ. 41.

<sup>2</sup> О. И. Никонова, Фонетика немецкого языка, М., 1948, с. 55.



მოთქმის დროს აქტიურია რბილი სსა, რომელიც ენის უკანა ნაწილში  
ზე ეშვება და ნაპრალს წარმოშობს.

3. გერმანული ენის ორთოგრაფიაში **ch** გრაფემით გადმოცემულია აგრეთვე **ჭ** ბგერა და ამ წარმოთქმას „**ich-Laut**“-ს უწოდებენ. **Ch** წარმოითქმება **ჭ**-დ სხვადასხვა პოზიციაში: **e, i, eu, ü, l, m, n, r** ფონემების შემდეგ, **-chen** სუფიქსში და — იშვიათად — სიტყვის დასაწყისშიც (**ich, Gewicht, Blech, Gespräch, Köchin, Gerücht, reichen, Märchen, Milch, Mädchen, Fübchen, China, Chinese...**).

ეს ბგერაც (**ჭ**) ნაპრალგან თანხმოვნად ითვლება. ამ ბგერის არტიკულაციის ადგილი არის ხახა. ამიტომ გერმანული თანხმოვნების კლასიფიკაციისას ის ფარინგალთა ჯგუფში შეაქვთ.

**x** და **ჭ** ბგერები ერთი **ch** ფონემის ორ ნაირსახეობას წარმოადგენს.

რუსულ ენას არ მოეპოვება ბგერა, რომელიც „**ich-Laut**“-ს გადმოსცემს; ამიტომ რუსულში ამ ბგერას წარმოთქვამენ ან როგორც არაპალატალიზებულ **x**-ს (მაგალითად „**gesicht**“-ს კითხულობენ როგორც „**гезихт**“), ან წარმოთქვამენ პალატალიზებულ **x'**-ს, მაგრამ ის მაინც განსხვავდება გერმანული **h**-ისაგან — როგორც თავისი არტიკულაციით, ასევე წარმოთქმითაც. **h** შუაენისმიერი თანხმოვანია, **x'** კი — უკანაენისმიერი პალატალიზებული თანხმოვანი. **h** ბგერა ბევრად უფრო რბილია, ვიდრე რუსული **x'**. წერის დროს კი რუსულში როგორც „**ach-Laut**“-ი, ისე „**ich-Laut**“-ი გადმოიცემა **x** გრაფემით. რუსები ამბობენ და წერენ:

Генрих	Бехер
Ульбрихт	Брехт
Фихте	Вирхов
Шухардт	Дирихлет
Фейхтвангер	Эсмарх და სხვა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულში?

„**Ach-Laut**“-ისა და „**ich-Laut**“-ის ქართულად გადმოცემის საკითხი გერმანულ სახელ-გვარებსა და გეოგრაფიულ სახელებს, აგრეთვე, გერმანულიდან შემოსულ ინტერნაციონალიზმებს ეხება. როგორც ცნობილია, ეს სახელები ქართულში უპირატესად რუსული ენის მეშვეობით შემოდის, უფრო იშვიათად კი — უშუალოდაც. რაკი რუსულში, როგორც **x**, ისე **ჭ** ერთი **x** გრაფემით გადმოიცემოდა, ქართულშიც დამკვიდრდა ორსავე შემთხვევაში **ხ** გრაფემით გადმო-



ემის წესი და მყარი ტრადიციაც შეიქმნა ამ მხრივ. ქართულში ცვლილებულია:

- შლაიხერი (და არა შლაიჰერი, გერმ. Schleicher).
- ფიხტე (და არა ფიჰტე, გერმ. Fichte).
- ულბრიხტი (და არა ულბრიჰტი, გერმ. Ulbricht).
- ფოიხტვანგერი (და არა ფოიჰტვანგერი, გერმ. Feuchtwanger).
- ბეხერი (და არა ბეჰერი, გერმ. Becher).

უკანასკნელ ხანებში ჩვენში შეინიშნება ცდები ქართული დაწერილობის ასეთი წესის გადასინჯვისა: თუ აქამდე, როგორც „**ach-Laut**“-იანი, ისე „**ich-Laut**“-იანი გერმანული სახელები ქართულში **ხ** გრაფემით გადმოიცემოდა, ახლა არის ცდები გერმანული წარმოთქმის შესაბამისი დაწერილობის შემოღებისა: „**ach-Laut**“-ის შემთხვევებს ისევ **ხ** გრაფემით გადმოსცემენ, ხოლო „**ich-Laut**“-ის შემთხვევებისათვის კი ჰაეს იყენებენ. მაშასადამე, გვხვდება გერმანულ მწერალ-მოღვაწეთა სახელ-გვარების ასეთი დაწერილობა:

ჰაინრიჰ ჰაინე	ულრიჰ ბეჰერი
ვოლფგანგ ბორჰერტი	ჰაინრიჰ ბიოლი
ერიჰ მარია რემარკი	გერჰარტ ჰაუპტმანი
ბერნჰარდ კელერმანი	ლიონ ფოიხტვანგერი და სხვ.

გეოგრაფიულ სახელთაგან: ციურიში, მიუნჰენი და სხვ. საილუსტრაციო მაგალითები:

პირველ წიგნში თავი მოიყარეს გერჰარტ ჰაუპტმანმა, ჰაინრიჰ მანმა, თომას შანმა, შტეფან ცვაიგმა, ლიონ ფოიხტვანგერმა, ჰანს ფალადამ და ერიჰ მარია რემარკმა. მეორე წიგნში გაერთიანდებიან ჰერმან ჰესე, ბერნჰარდ კელერმანი, იაკობ ვასერმანი, კარლს კრაუზე, ფრანკ ვედეკინდი, ლეონარდ ფრანკი, ალფრედ დობლინი, ბრუნო ფრანკი, ერიჰ კესტნერი და კლაუს მანი.

მესამე წიგნი განიხილავს ვოლფგანგ ბორჰერტს, ჰაინრიჰ ბიოლს, ვოლფგანგ კოპენს, ჰანს ვერნერ რიჰტერს, კარლ ლუდვიგ ოპიცს, გერტ ლედიგს, გიუნთერ ფაიზერნბორნს, ფრიდრიჰ დიურენმატს, მაქს ფრიშს, ჰანს ჰენი იანს და ულრიჰ ბეჰერს (ნ. კაკაბ., 1).

დასაღწევთ გერმანულმა მწერალმა ერჰარტ კესტნერმა 1958 წელს ქალაქ კოლნის ლიტერატურული პრემიის მიღებისას განაცხადა (ნ. კაკაბ., 2).

3 თუმცა, როგორც კიტა ჩხენკელი აღნიშნავს, ქართულს არ გააჩნია რბილი „**ich-Laut**“-ის შესატყვისი ბგერა (როგორც ვაჰქსს გერმანულ სიტყვებში: (Küche, Eiche...)). იხ. K i t a T s c h é n k e l i, Einführung in die georgische Sprache, Band I, Amirani Verlag, Zürich (Switzerland), 1958, გვ. 54.



გერმარტ ჰაუპტმანი გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი (იქვე).

ლიონ ფოიხტვანგერი<sup>4</sup> შემოქმედებითი მოღვაწეობა დრამატურგობითა და ლირიკოსობით დაიწყო (იქვე).

ერიხ მარია რემარკი ე. წ. „დაკარგული თაობის“ („verlorene Generation“) მწერალია (იქვე).

როგორც ვხედავთ, აქ მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში „ich-Lauf“-ი ყველგან ჰაეთია გადმოცემული.

ამ ფორმების პარალელურად გვხვდება ასეთი დაწერილობებიც:

ერიხ მარია რემარკი  
ლიონ ფოიხტვანგერი  
ციურინი  
ჰაინრიხ ჰაინე  
ულრიხ ბეხერი და სხვ.

საილუსტრაციო მაგალითები:

ამ ასი წლის წინათ პარიზში გარდაიცვალა სახელმოხვეცილი მწერალი ჰაინრიხ ჰაინე (გ. ხავთ.).

ჰაინრიხ ჰაინეს შესანიშნავი ლექსების ქართულად გადმოცემას უთუოდ დიდი გულისყურით მოეკიდება საბჭოთა მკითხველი (კ. გამს.).

ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრის“ ჯორჯანელებისეული თარგმანის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ:

ბრეხტი დაკარგა არა მარტო გერმანიამ, არამედ მთელმა მოწინავე მსოფლიომ (ა. გელ.).

ამ წიგნის სატიტულო ფურცელზედაც ბრეხტი იკითხება (ჯორჯ.).

მაგრამ იმავე ჯორჯანელების მიერაა ნათარგმნი ერიხ მარია რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“. აქ ავტორის სახელი უკვე ერიხ ფორმითაა გადმოცემული. ასევეა ეს სახელი გადმოცემული ამ წიგნის წინასიტყვაობაში:

ერიხ მარია რემარკი ჩინებული დიაგნოსტიკოსია (ნ. კაკაბ., 8).

კ. გამსახურდიას<sup>4</sup> და გ. კარბელაშვილის<sup>5</sup> თარგმანებში რემარკი ერიხ მარიად არის მოხსენიებული.

ორი სხვადასხვა გერმანული გვარი, რომელთა ფუძის შემადგენელ ნაწილში ერთი და იგივე სიტყვა (Reich) შედის, ქართულად ორი

<sup>4</sup> ერიხ მარია რემარკი, დასავლეთის ფრონტი უცვლელია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 1931.  
<sup>5</sup> ერიხ მარია რემარკი, სამი მეგობარი, თარგმანი გ. კარბელაშვილისა, ბათუმი, 1959.

სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული. **რაიხენბახი და რაიჰესბერგი<sup>6</sup>.**

სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული **ch** გრაფემის ქართულად გადმოცემის ერთი საერთო წესის დადგენის აუცილებლობა. ამ საკითხს შეეხო ვ. ფურცელაძე<sup>7</sup> თავის წერილში, რომლის დებულებები და დასკვნები ჩვენთვის სავსებით გასაზიარებელია. შეიძლება დამატებითი არგუმენტაციითა და სათანადო მასალით შემაგრება აღნიშნული დებულებებისა.

უწინარეს ყოვლისა, ისმის კითხვა: რომელია ქართულისათვის უფრო ბუნებრივი და სწორი: **ხ** თუ **ჰ**?

განვიხილოთ **ჰ** ფონემა ქართულში.

კიტა ჩხენკელი წერს: ქართულ სიტყვებში **ჰ** იშვიათად გვხვდება. ქართველი ამ ბგერას **h**-ს გადმოსაცემად უმეტესად იყენებს უცხო სიტყვებში: **ჰავა, ჰანგი, ჰორიზონტი<sup>8</sup>.**

ქართული **ჰ** ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე გერმანული **h**. დღეს ქართულში სულ უფრო ნაკლებად გვხვდება ფშვინეიერშემართვიანი ხმოვნები, რაც გერმანული ენისათვის, პირიქით, მეტად დამახასიათებელია (Hase, Himmel, Hammer...).

ამ ვითარების ამსახველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სპირანტი **ჰ** ხმოვნების წინ ადვილად იკარგება ქართულში, ზოგჯერ — სრულიად უკვალოდ:

მაგ.:

ჰამბორი — ამბორი	ჰომი — ომი
ჰამბავი — ამბავი	ჰარამი — არამი
ჰაერი — აერი	ჰალალი — ალალი

და თუ გერმანულ „**ich-Laut**“-ით დაწყებულ სიტყვას ქართული **ჰ** ფონემით გადმოვცემთ, შეიძლება ეს **ჰ** ბოლოს და ბოლოს სულ დაიკარგოს და დაგვრჩეს:

- იმზეე** — ნაცვლად **ხიმზეე**-სი (გერმ. Chiemsee).
- ემნიცი** — ნაცვლად **ხემნიცი**-ისა (გერმ. Chemnitz).

<sup>6</sup> ს. ავალიანი, ჰანს რაიხენბახის ფილოსოფია, თბ., 1961; რაიჰესბერგი, მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში, ბათ., 1900, თარგმნა თ. კიკვაძემ.

<sup>7</sup> ვ. ფურცელაძე, გერმანული **ch** გრაფემის გადმოცემა ქართულში, თსუ შრომები, 164, ენათმეცნიერება, თბ., 1975.

<sup>8</sup> Kita Tschénkeli, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ქართულში არ მოგვეპოვება არცერთი ფუძე, ჰ-ზე რომ ბოლოვდებოდეს (გარდა რამდენიმე მხოლოდ დებულისა: ვაჰ, ეჰ, ვიჰ, ოჰ..), მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ქართულისათვის სუსტი ჰ უცხოური ენებიდან შემოსული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბოლოსაც დაიკარგოს და დავგრჩეს:

ჰაინრი — ნაცვლად ჰაინრიჰ-ისა (გერმ. Heinrich).

ერი — ნაცვლად ერიჰ-ისა (გერმ. Erich).

ფრიდრი — ნაცვლად ფრიდრიჰ-ისა (გერმ. Friedrich).

ულრი — ნაცვლად ულრიჰ-ისა (გერმ. Ulrich).

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბერძნულიდან გადმოსულ საკუთარ სახელებშიც. უკვე ძველ ქართულშივე შეინიშნებოდა ბერძნული ჰ-ს არგადმოცემის ტენდენცია:<sup>9</sup>

გვაქვს:

ელადა (და არა ჰელადა).

ერმი (და არა ჰერმი).

ეფესტოს (და არა ჰეფესტოს).

ელისპონტი (და არა ჰელისპონტი) და სხვ.

ა. შანიძის აზრით, ჰ-ს უფრო მწიგნობრული ხასიათი აქვს უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებში, როგორცაა ჰარმონია, ჰეგემონია, ჰიპოთეზა, ჰორიზონტი, ჰიდროსადგური...<sup>10</sup>

ეს გასათვალისწინებელი გარემოებაც რომ არ იყოს, ისიც საკმარისია, რომ ch, იქნება ის „ach-Laut“-ი თუ „ich-Laut“-ი, გერმანული ენის ფონეტიკაში ერთ ფონემად ითვლება. x და ç ორ ენობრივ ერთეულს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ერთი ფონემის ორ, პოზიციურად შეპირობებულ ვარიანტს, რომლებიც ერთი ch გრაფემით გადმოიცემა<sup>11</sup>. თუ ç ბგერას ჩავსვამთ მარცვლის ბოლო პოზიციაში უშუალოდ უკანასკნელი ხმოვნის შემდეგ, x-ს კი — მარცვლის იმ მდგომარეობაში, სადაც ç იხმარება, დავინახავთ, რომ ამ ექსპერიმენტულ ცვლას არასდროს არ მოჰყვება შედეგად მნიშვნელობის ცვლა<sup>12</sup>.

<sup>9</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 43.

<sup>10</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 25.

<sup>11</sup> K. D u d e n, Grammatik der deutschen Gegenwartssprache, Leningrad, 1962, გვ. 26—27.

<sup>12</sup> L. H y e m s l e v, Neue Wege der Experimentalphonetik, Phonometrie, Allgemeine Theorie, Zweiter Teil, New York, 1968, გვ. 115—116.



ერთი უცხოური ფონემის ორი ნაირსახეობის გადმოცემა სხვადასხვა ქართული ფონემით კი მიზანშეუწონელია. **ხ** ბგერა ქართულში მიჩნეულია უკანაენისმიერ (ველარ) ნაპრალოვან ბგერად, **ჰ** კი — ხორხისმიერ (ლარინგალურ) ნაპრალოვან ბგერად<sup>13</sup>.

მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: გერმანულ ენაში **ch** ფონემის გვერდით არსებობს **h** ფონემაც (Halle, Hamburg, Harz, Heidelberg, Hessen, Mannheim, Heine...), ეს **h** ფონემა და გრაფემა ქართულში **ჰ** ფონემითა და გრაფემით გადმოიცემა. ვამბობთ და ვწერთ: **ჰალე**, **ჰამბურგი**, **ჰარცი**, **ჰაიდელბერგი**, **ჰაინე**, **ჰესენი**, **მანჰაიმი**. როგორც ვხედავთ, ქართულ **ჰ**-ს თავისი ფუნქცია აქვს და მისი გამოყენება **ch** ფონემის გადმოსაცემად ზედმეტი ხდება.

მაშასადამე:

1. გერმანულ ენაში **x** და **ç** ერთი ფონემის ორ, პოზიციურად შეპირობებულ ნაირსახეობას წარმოადგენს და არ შეიძლება მათს განსხვავებულ წარმოთქმაზე დაყრდნობა;

2. ქართულში **ჰ** ბგერა მეტად სუსტია და, ამას გარდა, ქართული **ჰ** გრაფემა გერმანული **h** გრაფემის გადმოსაცემად გამოიყენება;

3. გერმანული სახელ-გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულში უპირატესად რუსულის გზით შემოდიოდა, სადაც **ch** ფონემის ორივე ნაირსახეობა რუსული **x** გრაფემით გადმოიცემოდა. ამ გარემოებამ ქართულში დაამკვიდრა ორსავე შემთხვევაში **ხ** გრაფემით გადმოცემის მყარი ტრადიცია.

შემოთქმულის საფუძველზე მიზანშეუწონელია გატარდეს გერმანული **ch** გრაფემის ქართულად გადმოცემის შემდეგი წესი:

გერმანული ენიდან შემოსულ პირთა და გეოგრაფიულ სახელებში, აგრეთვე, ამავე წარმოშობის საერთაშორისო სიტყვებში, **ch** გრაფემა (სულერთია, **x** იქნება იგი ფონეტიკურად, თუ **ç**) ქართულში გადმოიცეს **ხ** გრაფემით.

ამგვარად, ქართულად გვექნება:

აიზენახი	გორბახი	ლაიხპარტი	როიხლინი
ალბრეხტი	დახაუ	ლაუხჰამერი	ულბრიხტი
არხორნი	დირიხლექტი	ლიბქენხტი	ულრიხი
ახენი	დიტრიხი	ლიხტენშტაინი	ფილახა
ბახი	ერიხი	მელანხტონი	ფილხენერი
ბეხერი	ერხარტი	მეტერიხი	ფიხტე
ბოხუმი	ესმარხი	მიუნენი	ფოიერბახი

<sup>13</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, I, თბ., 1973, გვ. 15.



ბორხერტი  
 ბრეხტი  
 ბუხენვალდი  
 ბუხეიცი  
 ბუხნერი  
 ბუხპოლცი  
 გერხარტი  
 გლაუხაუ

ეშენბახი  
 ვილიხი  
 ვირხოვი  
 ზალცახი  
 კირხერი  
 კნოხე  
 კოხი  
 კოხერი

მიუნჰაუზენი  
 ნახტიგალი  
 ოფენბახი  
 პუხტა  
 რაიხენბახი  
 რაიხერი  
 რაიხსტაგი  
 რიხტერი

ფოიხტვანგერი  
 ფრიდრიხი  
 ფუხტელგებირგე  
 შლაიხერი  
 შტაინახი  
 შუმახერი  
 შუხარტი  
 ციურიხი  
 ჰაინრიხი  
 ჰონსტი  
 ჰუხი და სხვ.



## შემოკლებათა ბანმარბობა

- ა. აბაშ. — ალექსანდრე აბაშელი  
 ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე  
 აგიოგრ. ძეგლ. I — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,  
 წ. I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963  
 ადიგ. — ადიგენის რაიონი  
 აკაკი — აკაკი წერეთელი  
 „ამირანდარეჯ.“ — მოსე ხონელი, „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა,  
 გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბილისი, 1967  
 „ამირ-დარ.“ — დამატ. — „ამირან-დარეჯანიანი“ — დამატებანი, „ვეფხისტყაოსნის“  
 აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი  
 ანდ. — თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბილისი, 1967  
 ზ. ანტ. — ზურაბ ანტონოვი  
 შ. არაგვ. — შიო არაგვისპირელი  
 ლ. არდ. — ლავრენტი არდაზიანი  
 „არქ. ნაშთი“ — ვასილ ბარნოვი, „არქეოლოგიური ნაშთი“  
 არჩ. — არჩილი  
 გ. ასათ. — გურამ ასათიანი  
 ლ. ასათ. — ლევან ასათიანი  
 აფხაზ. — აფხაზეთი  
 აღაბ. — აღაბები ათონის ივერიის მონასტრისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074  
 წლის ხელთნაწერი (აღაბებით), გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, 1901.  
 აჟ. — აჟარა  
 „ახ. კომ.“ — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“  
 ახმ. — ახმეტის რაიონი  
 ა. ახნაზ. — არტემ ახნაზაროვი  
 ბაბ. — ი. ბაბელი, „ცხენოსანთა არმია“, თარგმანი რ. ჯაფარიძისა  
 ნ. ბარათ. — ნიკოლოზ ბარათაშვილი  
 ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი  
 ქ. ბაქრ. — ქეთევან ბაქრაძე  
 ბაჩ. — ბაჩანა  
 ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი  
 ბერი ეგნატ. „ქართლ. ცხ.“ — ბერი ეგნატაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“,  
 „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო  
 ფონდი  
 ხ. ბერ. — ხუტა ბერულავა  
 ბულგ. — მ. ბულგაკოვი, „ოსტატი და მარგარიტა“, თარგმანი გ. კიკილაშვილისა



- ბქ. — ბალსჭევმოური: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სეანური ენის სალექსიკონო ფონდი
- ეკ. გაბ. — ეკატერინე გაბაშვილი
- გამოც. — გამოცხადება იოვანესი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბილისი, 1961
- კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
- კ. გამს., წ. — კ. გამსახურდიას წინასიტყვაობა, დართული ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ხ. ვარდოშვილისეულ თარგმანს, თბილისი, 1958
- „განთ.“ — ქურნალი „განთიადი“
- „განთ.“ ვანი — ვანის რაიონული გაზეთი „განთიადი“
- ვალ. გაფრ. — ვალერიან გაფრინდაშვილი
- გეგ. — გეგეჰკორის რაიონი
- გ. გეგ. — გურამ გეგეშიძე
- ა. გელ. — აკაკი გელოვანი, წინასიტყვაობა, ბერტოლდ ბრენტის „კავკასიური ცარცის წრე“, თბილისი, 1961
- რ. გვეტ. — რაჟდენ გვეტაძე
- ი. გოგ., ი. გოგებ. — იაკობ გოგებაშვილი
- ნ. გოგოლ., თარგმ. — ნანა გოგოლაშვილი, თარგმანი, ე. თ. ა. ჰოფმანი, კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია, თბილისი, 1981
- ლ. გოთ. — ლევან გოთუა
- ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
- გულრ. — გულრიფშის რაიონი
- დ. გურამ. — დავით გურამიშვილი
- გურ. — გურია
- გურ. დლ. — გურული დიალექტი, ალ. დლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბილისი, 1937
- გურჯ. — გურჯაანის რაიონი
- დაბ. — დაბადება, წიგნი ძუელისა ალექსიმისანი, ტ. I, ნაკვ. I, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1947
- შ. დად. — შალვა დადიანი
- „დედოფ. ბიზანტ.“ — ვასილ ბარნოვი, „დედოფალი ბიზანტიისა“
- დიალექტ. — ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961
- თ. დონე. — თინა დონეაშვილი
- გ. დოჩ., გ. დოჩან. — გურამ დოჩანაშვილი
- ნ. დუმბ. — ნოდარ დუმბაძე
- დუშ. — დუშეთის რაიონი
- ირ. ევდ. — იროდიონ ევდოშვილი
- ია ეკალ. — ია ეკალაძე
- თ. ერისთ. — თამარ ერისთავი
- რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
- ვანი — ვანის რაიონი
- ვაჟა — ვაჟა-ფშაველა



- ვერს. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ტექსტი გამო-  
საცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ
- „ვისრ“. — ვისრამიანი“
- „ვ. ტ.“ — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი და ვარიანტები, ტექს-  
ტი ძირითადი ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და  
აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.
- ელ. ზედგ. — ელიზბარ ზედგინიძე
- ზესტ. ზესტაფონის რაიონი
- ზნ. — ზნაურის რაიონი
- თარგმ. — თარგმანი
- „თბილ.“ — გაზეთი „თბილისი“
- თეიმ. I — თეიმურაზ პირველი
- თეიმ. II — თეიმურაზ მეორე
- თერჯ. — თერჯოლის რაიონი
- რ. თვარ. — რევაზ თვარაძე
- თუშ. — თუშეთი; თუშური დიალექტი
- პ. იაშვ. — პაოლო იაშვილი
- იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
- ილია — ილია ქავჭავაძე
- ილფ.-პეტრ. — ი. ილფი, ე. პეტროვი, „ოქროს კერპი“, თარგმანი ჯორჯანელებისა,  
ბათუმი, 1962
- იმერ. — იმერეთი
- რ. ინან. — რევაზ ინანიშვილი
- ინგ., ინგილ. — ინგილოური დიალექტი: ინგ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ინგ. ქავ-  
თარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი, 1961, გრ. იმნაიშვილი —  
ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966
- ოტ. იოს. — ოტია იოსელიანი
- პ. კაკ. — პოლიკარპე კაკაბაძე
- ზ. კაკაბ. — ზურაბ კაკაბაძე
- ნ. კაკაბ. 1 — ნოდარ კაკაბაძე, ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატუ-  
რიდან, თბილისი, 1964
- ნ. კაკაბ. 2 — ნოდარ კაკაბაძე, ჰაინრიხ მანის ცხოვრება და შემოქმედება, თბი-  
ლისი, 1957
- ნ. კაკაბ. 3 — ერიკ მარია რემარკი, „უამი სიცოცხლისა და სიკვდილისა“, წი-  
ნასიტყვაობა, თბილისი, 1960
- ა. კალანდ. — ანა კალანდაძე
- კახ. — კახეთი
- დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
- ს. კლდ. — სერგო კლდიაშვილი
- კ. კობ. — კარლო კობერიძე
- „კომ.“, „კომუნ.“ — გაზეთი „კომუნისტი“
- II კორ. — კორინთელთა მიმართ... ეპისტოლე პავლესი, ახალი აღთქმა, ეპისტო-  
ლენი პავლესნი
- კოტეტი. — ვახტანგ კოტეტიშვილი
- კუპრ. — ა. კუპრინი, „ორთა ბრძოლა“, თარგმ. პლატონ ზებიასი, თბილისი, 1958



- ლაგოდ. — ლაგოდების რაიონი
- ლევიტ. — წიგნი ლევიტელთაჲ, წიგნი ძველი აღთქემისანი, ტ. I, ნაკვ. I სტ. გვ. 111, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1948
- „ლელო“ — გაზეთი „ლელო“
- ლენტ. — ლენტეხური დიალექტი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის სალექსიკონო ფონდი
- გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
- „ლიტ. და ხელ.“ — გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“
- „ლიტ. საქ.“ — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“
- ლიტ. ქრ. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946
- ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
- ქ. ლომთ. — ჭოლა ლომთათიძე
- ნ. ლორთქ. — ნიკო ლორთქიფანიძე
- ლუკინი — ა. ლუკინი, დ. მედვედევი, ვ. მიხაილოვი, შურისგება, თბილისი, 1967
- მ., მთ. — სახარებაჲ მათჴსი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945
- ო. მამფ. — ოთარ მამფორია
- რ. მარგ. — რევაზ მარგიანი
- მარნ. — მარნეულის რაიონი
- კ. მაყაშ. — კოტე მაყაშვილი
- ივ. მაჩაბ. — ივანე მაჩაბელი
- დ. მაჩხ. — დიმიტრი მაჩხანელი
- ივ. მაჭავ. — ივანე მაჭავარიანი
- მ. მაჭავ. — მუხრან მაჭავარიანი
- აბ. მახ. — აპოლონ მახარაძე
- მახ. — მახარაძის რაიონი
- „მებრძ.“ — გაზეთი „მებრძოლი“
- მეგრ. — სამეგრელო
- დუტუ მეგრ. — დუტუ მეგრელი
- მელან. — მელანია
- მესხ. — მესხეთი; მესხური დიალექტი: ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961
- ს. მთვარ. — სიმონ მთვარაძე
- მთ. — მთიულეთი
- მთიულ. — მთიულური დიალექტი
- „მიმქრ. შარ.“ — ვასილ ბარნოვი, „მიმქრალი შარავანდედი“
- „მნათ.“ — ჟურნალი „მნათობი“
- მოც. — საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950
- მოხ. — მოხეური
- მრ. — სახარებაჲ მარკოზისი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945
- „მტკვ. ვაჟი“ — ვასილ ბარნოვი, „მტკვრის ვაჟი“
- შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი
- მშობლ. ლიტ. — მშობლიური ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო

მცხეთა — მცხეთის რაიონი

„ნიანგი“ — ჟურნალი „ნიანგი“

ე. ნინ., ე. ნინოშვი. — ეგნატე ნინოშვილი

შ. ნიშნ. — შოთა ნიშნინიძე

მ. ნოზ. — მელ. ნოზაძე, საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, თბილისი, 1941

ი. ნონ. — იოსებ ნონეშვილი

ვ. ორბ. — ვახტანგ ორბელიანი

ორჯ. — ორჯონიკიძის რაიონი

პავლე თებ. — ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა ამა პავლე ბერისაჲ, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი

ი. პეტრ. II — იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937

„პირ.“ — ვასილ ბარნოვი, „პირიმზე“

თ. რაზიკ. — თედო რაზიკაშვილი

რკფ — რუსთაველის კომისიის („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის) სალექსიკონო ფონდი

რუთ. — წიგნი რუთისი, წიგნი ძველი აღთქმისანი, I, ნაკვ. II, თბილისი, 1948

შ. რუსთ. — შოთა რუსთაველი

„რუსულ.“ — „რუსულდანიანი“, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი

საბა — სულხან-საბა ორბელიანი

„საბჟ. ხელ.“ — ჟურნალი „საბჟოთა ხელოვნება“

საგ. — საგარეჯოს რაიონი

სამ. ძეგლ. — ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, თბილისი, 1963—1970

ლ. სანიკ. — ლევან სანიკიძე

საუბ. — საუბრიდან

„საუნჯე“ — ჟურნალი „საუნჯე“

„საქ. აგიტ.“ — ჟურნალი „საქართველოს აგიტატორი“

„საქ. ბუნ.“ — ჟურნალი „საქართველოს ბუნება“

„საქ. სიძვ.“ — საქართველოს სიძველენი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი

„საქ. ქალი“ — ჟურნალი „საქართველოს ქალი“

„სად. ხ. ჩ.“ — რევაზ ინანიშვილი, „სადამოს ხანის ჩანაწერები“

„სახ. გან.“ — გაზეთი „სახალხო განათლება“

სბიქე — კრებული — „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956

სიბრძ. სიცრ. — სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, თბილისი, 1957

„ს. ივ. კ.“ — რევაზ ინანიშვილი, „სიმშვიდე ივრის ქალებში“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1973, № 47

„სკ. და ცხოვრ.“ — ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“

„სოფლ. ცხ.“ — გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

სოზ. — სოხუმის რაიონი

ლ. სტურ. — ლია სტურუა

გ. ტაბ. — ვალაქტიონ ტაბიძე

ტ. ტაბ. — ტიციან ტაბიძე

ტელ. — ტელეგადაცემა

I ტიმ. — ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე... ჰავლეში, ახალი აღთქმა

ტინ. — იური ტინიანოვი, „კუხლია“, თარგმ. ქეთევან ირემიძისა, თბილისი, 1946

ა. ტოლსტ. — ალექსეი ტოლსტოი, „თავადი სერებრიანი“, თარგმ. შ. სულაბერიძისა, თბილისი, 1964

„ტრფ. წამ“ — ვასილ ბარნოვი, „ტრფობა წამებული“

ტურგ. — ივანე ტურგენევი, „კვამლი“, თარგმ. ნიკ. ხატისკაცისა, თბილისი, 1969

უიარ. — უიარაღო (კონდრატე თათარაშვილი)

„უსწ. კარ.“ — „უსწორო კარაბადინი“, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომიის სალექსიკონო ფონდი

ფ. ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე

ფერეიდ. — ფერეიდნული დიალექტი: ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961

ფლზ. — ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე... ჰავლეში, ახალი აღთქმა, ეპისტოლენი ჰავლეში

მ. ფოცხ. — მორის ფოცხიშვილი

ფურმ. — დ. ფურმანოვი, „ჩაბაევი“, თარგმ. შ. აფხაიძისა, თბილისი, 1957

ანტ. ფურცელაძე — ანტონ ფურცელაძე

ქარ. — ქარელის რაიონი

ქართლ. — ქართლი

ქართლ. ცხ. I — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955

ქართლ. ცხ. II — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959

ქართლ. ცხ. IV — ქართლის ცხოვრება, ტ. IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973

ქართ. გრამატ., მე-2 კლ. — ვ. რამიშვილი, ქართული გრამატიკა, მეორე კლასის სახელმძღვანელო

ჯ. ქარჩხ. — ჯემალ ქარჩხაძე

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. ტ. 1—8, თბილისი, 1950—1964

ლ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი

„ქილ. და დამ.“ — „ქილილა და დამანა“, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II<sub>1</sub>, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1962

გ. ქიქ. — გერონტი ქიქოძე

„ქოჩ. ხე“ — ვასილ ბარნოვი, „ქოჩორა ხე“

ქრონ. I — ქართლის ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I, ტფილისი, 1892

ა. ქუთათ. — ალექსანდრე ქუთათელი

აღ. დღ. — ალექსანდრე დღონტი — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, 1974; ტ. II, 1975

ყაზბ. — ყაზბეგის რაიონი

- ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი
- „ყარამ.“ — „ყარამანიანი“, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მისიის სალექსიკონო ფონდი
- ს. შანშ. — სანდრო შანშიაშვილი
- გ. შატბ. — გიორგი შატბერაშვილი
- შენ. — შენიშვნა
- დ. შენგ. — დემნა შენგელაია
- „შ. თ. მწ.“ — რევაზ ინანიშვილი, „შორი თეთრი მწვერვალი“
- ნ. შიუკ. — ნიკო შიუკაშვილი
- შიშკ. — ვ. ი. შიშკოვი, „უგრიუმ-მდინარე“, რომანი ორ წიგნად, წ. II, თბილისი, 1962, თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა
- შუახ. — შუახვევის რაიონი
- ნ. ჩახნ. — ნ. ჩახნაშვილი, მ. ვადახაბაძე, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობა მევენახეობაში, თბილისი, 1973
- ს. ჩიქ. — სიმონ ჩიქოვანი
- ბ. ჩხ. — ბორის ჩხეიძე
- ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე
- თ. ჩხენკ. — თამაზ ჩხენკელი
- ავქ. ცაგ. — ავქსენტი ცაგარელი
- პ. ცახ. — პეტრე ცახელი
- „ცისკ.“ — ჟურნალი „ცისკარი“
- „ცოდვა სიჭ.“ — ვასილ ბარნოვი, „ცოდვა სიჭაბუკისა“
- გ. წერ. — გიორგი წერეთელი
- წ. სააქ. — „წიგნი სააქიმოა“, ექ. ლ. კოტეტიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936; „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი
- წულუკ. — წულუკიძის რაიონი
- ალ. ჭავჭ. — ალექსანდრე ჭავჭავაძე
- ო. ჭილ. — ოთარ ჭილაძე
- გ. ჭიჭ. — გივი ჭიჭინაძე
- დ. ჭონქ. — დანიელ ჭონქაძე
- ი. ჭუმბ. — არისტო ჭუმბაძე
- გ. ხავთ. — გრიგოლ ხავთასი, ჰაინრიხ ჰაინე, თბილისი, 1956
- ხალხ. — ხალხური
- გრ. ხანძთ. — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946
- ხევს. — ხევსურული დიალექტი; ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ჭავთარაძე, I, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961
- ივ. ჯავახ. — ივანე ჯავახიშვილი
- მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი
- რ. ჯაფ. — რევაზ ჯაფარიძე
- ჯორჯ. — ბერტოლდ ბრეხტი, „კავკასიური ცარცის წრე“, თარგმანი ჯორჯანელეზისა, თბილისი, 1961

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
X ლია ლეჟავა, ივანე გიგინეიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები	7
X არნოლდ ჩიქობავა, ხალხი, ენა, მწერალი	37
Ⓜ ივანე გიგინეიშვილი, პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი ახა- ლი ქართული ლექსის ენაში	40
X ქეთევან ლომთათიძე, დიალექტური ლექსიკის ადგილი სალიტერა- ტურო ენაში	64
X ელენე კოშორიძე, სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერ- ობის ისტორიისათვის	70
ასმათ პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი	81
გიორგი გოგოლაშვილი, მეორე კავშირებითის ფორმათა წარმოე- ბის ზოგადი საკითხი თანამედროვე ქართულში	109
თინათინ ღვინაძე, ვნებითი გვირგვინის ფორმათა წარმოებისა და გამო- ყენების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში	117
X ბესარიონ ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნირსა- ხეობისათვის ქართულში	136
✓ X ლატავრა გელენიძე, არ/არა-ნაწილაკიანი სახელები ქართულში მურმან სუხიშვილი, ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოება თანამედროვე სალიტერატუ- რო ქართულში	167
✓ X როგნედა ღამბაშიძე, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი	182
X ვაჟა შენგელია, ორი სადაურობის აღმნიშვნელი სახელის მართლწე- რისათვის	192
+ X მერი შინჯიაშვილი, განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი თანამედროვე ქართულში	195
ანტონ კიზირია, ფუძის რედუქციაცია, როგორც წინადადების მეორე- ხარისხოვანი წევრის გაფორმების საშუალება	227
✓ X თამარ ზურაბიშვილი, სიტყვა და შესიტყვება (წალობით, მეოხებით, შემწეობით)	234
შუქია აფრიდონიძე, თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის	244
X ალექსანდრე კობახიძე, „დედაშვილობამ“ — „დედაშვილობას“ ტი- პის ფიცის ფორმულების შესახებ	259



✓ ნელი ცქიტიშვილი, აბსოლუტივის ფუნქციის მქონე ზოგი შესიტყვება ქართულში . . . . .	284
✓ ალექსი შინკარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები (ეულ) ნინელი ჭოხონელიძე, ფანტ-, პანტ-, ფანჩ- ფუძეების ისტორიისათვის ქართულში . . . . .	295
* მიხეილ ჭაბაშვილი, კვლავ ზოგი ენობრივი შეუსაბამობის შესახებ ჩვენს პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში . . . . .	301
* ცირა კალაძე, სახელ-მამისსახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში . . . . .	309
* მარინე ოსაძე, რუსული ენის შემაერთებელსმოწინაინი კომპოზიტების ქართულად გადმოცემისათვის . . . . .	330
ლია კაიშაური, გერმანული ch გრაფემის ქართულად გადმოცემის საკითხისათვის . . . . .	337
შემოკლებათა განმარტება . . . . .	345

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2135

\*

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი კლ. გაგუა  
უმც. მეცნ. თანამშრომელი ვ. კალანდიაძე

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ებრალიძე  
მხატვარი გ. ნადირაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ოკუჯავა  
კორექტორი გ. შაბურიშვილი

გადაეცა წარმოებას 15.3.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.4.1984;  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 22,25;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,5.

უე 00973;

ტირაჟი 5000.

შეკვეთა № 3630.

ფასი 2 მან. 70 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ВОПРОСЫ КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ РЕЧИ

Книга VI

(На грузинском языке)

Тбилиси

1984

